

საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი

MINISTRY OF CULTURE AND MONUMENT PROTECTION OF GEORGIA
KUTAISI STATE HISTORICAL MUSEUM

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის

უ რ ო მ ე ზ ი

კრებული XXI

W O R K S

OF KUTAISI STATE HISTORICAL MUSEUM

EDITION XXI

UDC 069.02:93/94(479.22)(066)

Q-845

კრებული დაარსებულია 1968 წელს

რედაქტორი: პროფ. ო. ლანჩავა

სარედაქციო კოლეგია:

პროფ. ო. ლანჩავა—მუზეუმის დირექტორი, ნ. რურუა—საქართველოს კულტურის მინისტრი, დ. ლორთქიფანიძე—საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორი, ნ. ვაჩიშვილი—საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს აღმასრულებელი დირექტორი, მ. ბურჭულაძე—საქართველოს კულტურის სამინისტროს მთავარი სპეციალისტი, ICOMM-ის საქართველოს ეროვნული კომიტეტის მდივანი, მ/კ. დ. სულაბერიძე—ფონდების მთ. მცველი, ასოც. პროფ. ლ. გაბუნია—ახალი ისტორიისა და განათლების განყოფილების კოორდინატორი, მ/კ. მ. კეზევაძე—ქუთაისის სახელმწიფო არქივის დირექტორი, მ/კ. ლ. ჯიქია—მთ. მეცნიერ-კონსულტანტი, მ/კ. მ. საჩკოვი—ბუნებისა და პალეონტოლოგიის კოლექციების მცველი (კურატორი), ც. მუმლაძე—ხელნაწერ და ძველნაბეჭდ ნივთთა კოლექციების განყოფილების მცველი (კურატორი), ნ. ცაგარეიშვილი—ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერი, ასოც. პროფ. ნ. კუტივაძე—ქსუ, ისტორიის დოქტორი ნ. ქარციძე—(პასუხისმგებელი მდივანი).

ISSN 2233-3495

რელაქტორისაგან

წინამდებარე კრებული ეძღვნება ცნობილ მეცნიერს, საზოგადო მოღვაწეს, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ერთ-ერთ დამაარსებელს და მის პირველ დირექტორს ბატონ ტრიფონ ჯაფარიძეს.

თითქმის ერთი საუკუნეა ტრიფონისმაგვარ უანგარო მამულიშვილთა თავდადებული მეცადინეობით იქმნებოდა და შენდებოდა ჩვენი ეროვნული კულტურის თვალსაჩინო განმთსაცავი, რომელმაც იმთავითვე შეიძინა დასავლეთ საქართველოს მუზეუმების სათაო მუზეუმის სტატუსი.

რაოდენ სასიხარულოა, რომ თავის საუკუნოვან იუბილეს (2012 წ.) მუზეუმი როგორც იქნა შეხვდება ახალჭერქვეშ, ახალ შენობაში. ფაქტობრივად, ამით აღესრულა მუზეუმელთა მრავალი ათწლეულის ოცნება, რაც იმას ნიშნავს, რომ ამჯერად ეროვნული ღირებულებები დადგა ყველაზე მაღლა.

დაიხ, სწორედ ახლა ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების გულმოდგინე მეცადინეობით, გადაწყდა საუკუნის პრობლემა, რომელიც ჩვენი ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში სრულიად გადაუჭარბებლად ახალი ეტაპის დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს. თუნდაც იმიტომ, რომ აქამდე არაერთხელ იყო მცდელობა მუზეუმის შესაფერის შენობაში დაფუძნებისა. უფრო მეტიც, იქმნებოდა და განიხილებოდა ახალი შენობის პროექტები მაგალითად, 1938 წელს მშენებლობაც კი დაიწყო. ჩაიყარა ფუნდამენტი, თუმცა ერთი წლის შემდეგ ის მშენებლობა საბოლოოდ შეწყდა. ამ ხნის განმავლობაში მუზეუმმა ცამეტჯერ შეიცვალა ადგილი და ასე განაგრძობდა ხეტიალსა და მომთაბარე ცხოვრებას ბოლო პერიოლამდე. ბუნებრივია, შექმნილი მდგომარეობა უარყოფითად აისახებოდა მუზეუმის წინსვლაზე. დღეს კი, როგორც იქნა დასრულდა ქალაქის სხვადასხვა შენობებში დასაწყობებული კოლექციების მდუმარე ცხოვრება. ამიერიდან მუზეუმისათვის გადმოცემული ყოფილი ეროვნული ბანკის შენობის საცავები, რომელიც აგებულია XIX საუკუნის მიწურულს (1894-96 წწ.) ინჟინერ სახაროვის პროექტით, კარს გაუღებს ათეული წლების განმავლობაში ნაგროვებ ეროვნულ სიმდიდრეს და მისი ექსპონატები ხელმისაწვდომი იქნება მომავალი თაობებისა და ფართო საზოგადოებისათვის. ამიერიდან მუზეუმი შეძლებს თავისი მისია პირნათლად შეასრულოს: საექსპოზიციო სივრცის განახლება, კოლექციების უსაფრთხო დაცვა და თანამედროვე სისტემებით აღჭურვა, სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოების ეფექტურად ჩატარება, სამეცნიერო და საგანმანათლებლო ღონისძიებების წარმართვა, პუბლიკაციების შექმნა და ექსპონატების ასლების დამზადება, ვიზიტორთა მოზიდვა და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს ქალაქის კულტურული ცხოვრების წინსვლას.

პირველად კრებულის არსებობის ისტორიაში იბეჭდება მუზეუმის ვოლონტერთა და ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენციის მასალები, რომელიც მიეძღვნა მუზეუმების საერთაშორისო დღეს. თემები განაწილებულია პროფილის მიხედვით, რითაც ახალგაზრდა მკვლევარებს საშუალება მიეცათ გამოავლინონ მეცნიერული კვლევის უნარი და არჩეული დარგისადმი ინტერესი.

გამოჩენილი ყურადღებისა და თანადგომისათვის განსაკუთრებული მადლობა მინდა გამოვხატო კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბატონ ნიკა რურუას, იმერეთის მხარის გუბერნატორის ლაშა მაქაცარიასა და მისი მოადგილის ბატონ გიგა შუმანიას და ყველა იმ ღირსეული ადამიანის მიმართ რომელთაც გაითავისეს მუზეუმის მდგომარეობა და მონაწილეობა მიიღეს საუკუნის პრობლემის გადაწყვეტაში.

პროფ. ო. ლანჩავა

ციცინო მუმლაძე

ტრიფონ ჯაფარიძე – მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე



"დიდბუნებოვან კაცთა და სახელოვან გმირთა მაგალითებით ისტორია სწვრთნის ერსა, ზრდის და დიდებულნი საქმენი კიდე გულს უკეთებენ მოქმედებისათვის, აქეზებენ, ამხნევენ, თუ ნამეტნავად ის მაგალითები ერის საკუთარის ისტორიისანი არიან. ერი თავის გმირების ცხოვრებითა და მაგალითებით უნდა სულდგმულობდეს, თუ მართლა ერობა ჰსურს და აგრეც არის, საცა ერი ერობს". – წერდა ილია. საქართველოს ისტორიამ შემოგვიწახა ჩვენი დიდებული წინაპრების სახეები, რომელთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის მაგალითზე იზრდებოდნენ და კვლავაც გაიზრდებიან მომავალი თაობები. მაგრამ დროის უკუღმართობით, ზოგჯერ დავინწყების მტვერი ეფინება ხოლმე იმ ადამიანთა ხსოვნას, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე ზვარაკად მიიტანეს საქართველოს წინსვლისა და კეთილდღეობის სამსხვერპლოზე. მათ შორისაა შესანიშნავი მეცნიერი, პუბლიცისტი, მხარეთმცოდნე და საზოგადო მოღვაწე ტრიფონ ჯაფარიძე.

ტრიფონ ჯაფარიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ დღემდე ძალზედ მწირი მასალებია გამოქვეყნებული. ეს უმეტესად განპირობებულია იმით, რომ მის სახელს, როგორც გასული საუკუნის 30-იანი წლების რეპრესიების მსხვერპლისას, გარკვეული წლების მანძილზე ტაბუ ჰქონდა დადებული. მისი მოღვაწეობის ამსახველი ზოგიერთი ცნობის გამოქვეყნება შესაძლებელი გახდა მხოლოდ რეაბილიტაციის – 1956 წლის დეკემბრის შემდეგ. მხედველობაში მაქვს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ მიხეილ ნიკოლეიშვილის მიერ გამოქვეყნებული შრომები: "ქუთაისის მუზეუმის ისტორიიდან" [მასალები, ტ.1, 1968წ.], "განძი და საგანძური" [1986წ. ქუთაისი], მისივე საგაზეთო სტატია [გაზ. "ქუთაისი", 1962წ. 13 ნოემბერი]; ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ დავით ბრეგაძის სტატია – "ვალმოხდილი მოქალაქე" [გაზ. "მონამეთა", №4, 1991წ. აპრილი], ციცილო მუმლაძის ორი პუბლიკაცია ["ისტორია პატივს მიაგებს", გაზ. «ქუთაისი», 1990წ. 14 აპრილი; «დანოსები», გაზ. «მონამეთა» №2-3, 1991წ. თებერვალ-მარტი] და მცირე მონოგრაფია – "ტრიფონ ჯაფარიძე" [გამ. «სარანგი», 1993წ.]. მაგრამ ეს მასალებიც ვერ იძლევიან ღვანწმოსილი მეცნიერისა და მოქალაქის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მთლიან სურათს. თუმცა მეტნაკლებად გამოიკვეთა ამ შესანიშნავი პიროვნების ზოგადი პორტრეტი, კერძოდ ის, რომ ტრ.ჯაფარიძე იმ პირთა, იმ მოღვაწეთა შორის იყო, რომლებმაც მიზნად დაისახეს მრავალტანჯული, უფლებდაკარგული მშობელი ერისათვის მოეპოვებინათ ის აუცილებელი მდგომარეობა და უფლება, რაც მინიჭებული აქვს ყოველ სრულუფლებიან ერს. ჯერ კიდევ თავის თანამედროვეთაგან იგი ერის იმედად იყო მიჩნეული და მხოლოდ "თანამედროვე კაენთა" აღზევებით უნდა აიხსნას, რომ "ხალხის მტრად" შერაცხული წავიდა ამ ქვეყნიდან.

ტრიფონ ჯაფარიძე დაიბადა 1876 წლის 7 ნოემბერს სოფ. ხრეთში (შორაპნის მაზრა) აზნაურ მიხეილ ჯაფარიძის ოჯახში. დედა პელაგია დეკანოზ ალექსი ჭიჭინაძის ასული გახლდათ. რვა წლამდე ტრიფონი ოჯახში დედ-მამის მზრუნველობის ქვეშ იზრდებოდა, მათგანვე ისწავლა წერა-კითხვა. 1884 წელს იგი შეიყვანეს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, რომლის დასრულების შემდეგ, როგორც წარმატებული მოსწავლე, სახელმწიფო ხარჯზე მიიღეს თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1898 წელს დაამთავრა სემინარია და ისევ სახელმწიფო ხარჯით გაგზავნეს კიევის სასულიერო აკადემიაში, რომლის სრული კურსი – ისტორია-არქეოლოგიის განხრით 1902 წელს დაასრულა.

სტუდენტობის პერიოდში იგი იყო ქართველთა სათვისტომოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი. სათვისტომოსათვის საინტერესო საკითხებზე ადგენდა და კითხულობდა სამეცნიერო ხასიათის რეფერატებს. ფილოლოგიურ ფაკულტეტზე სისტემატურად ისმენდა ლექციებს ფსიქოლოგიასა და ის-

ტორიაში. აკადემიის მუზეუმში პროფესორ ნ.პეტროვის ხელმძღვანელობით ეცნობოდა სამუზეუმო საქმიანობას და ამასთან ერთად ისმენდა მოხსენებებს "მემატიანე ნესტორის სახელობის საისტორიო-სამეცნიერო საზოგადოებაში". სწორედ აქ, 1902 წელს დაებადა პირველად აზრი, ქუთაისშიც დაეარსებინა საისტორიო საზოგადოება და მუზეუმი, რაც 1911 წელს თანამოაზრეებთან ერთად განახორციელა კიდეც.

1903 წელს ტრ.ჯაფარიძემ ქუთაისში ეპისკოპოს ნესტორ ყუბანიევიშვილის ქალზე – ოლღაზე იქორწინა. ოლღას წმინდა ნინოს სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული, შესანიშნავად იცოდა უცხო ენები, საუცხოოდ ქარგავდა და ქსოვდა, იყო კარგი დიასახლისი და ოჯახის დედა. ტრიფონსა და ოლღას 8 შვილი გაუჩნდათ.

ტრ.ჯაფარიძე სხვადასხვა წლებში იყო საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ქუთაისის გამგეობის თავმჯდომარე (1911-1921წ.წ.), ქალაქის საბჭოს ხმოსანი (1914-1917წ.წ.) და მუშაობდა სასწავლო და საფინანსო სექციებში. 1917 წელს შეიქმნა ქუთაისის აღმასრულებელი კომიტეტი. ტრ.ჯაფარიძეს, როგორც კომიტეტის წევრს (1911-1921წ.წ.) დავალებული ჰქონდა "ისტორიული ძეგლებისა და მასალების დაცვა უეცარი შემთხვევებით დაღუპვისაგან". იყო სიძველეთა და ხელოვნების ძეგლების დაცვის რწმუნებული დასავლეთ საქართველოში (1921-1930წ.წ.). კითხულობდა ლექციებს ჯერ ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტში, შემდეგ კი ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მხარეთმცოდნეობის ფაკულტეტზე. იგი ერთ-ერთი დამფუძნებელია დასავლეთ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო ბანკისა, რომლის წესდება 1920 წლის 19 ოქტომბერს დაამტკიცა საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობის სამინისტრომ. ტრ. ჯაფარიძე იყო შესანიშნავი პუბლიცისტი, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, მუშაობდა პარტიის კომიტეტში და ფრაქციაში საქართველოს გასაბჭოებამდე – პარტიის ლიკვიდაციამდე (1917-1921წ.წ.). [ცნობები შრომითი საქმიანობის შესახებ წარმოდგენილია ტრ.ჯაფარიძის პირადი არქივიდან, რომელიც მის ოჯახში ინახება, ასევე E-192/2467-დან].

განუზომელია ტრ.ჯაფარიძის დამსახურება ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ - ეთნოგრაფიული მუზეუმის დაარსებისა და ფონდებით დაკომპლექტების საქმეში. იგი იყო მუზეუმის პირველი დირექტორი (1922-1930წ.). მისი მოღვაწეობის პერიოდში მუზეუმის ფონდები შეივსო მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ნუმიზმატიკური და ჭედური ხელოვნების ძეგლებით, ძველი ხელნაწერი წიგნებითა და ისტორიული დოკუმენტებით. სამუზეუმო მასალების შეგროვება მან ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ქუთაისის გამგეობას თავმჯდომარეობდა. "თუ თვალს გადავავლებთ ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების არსებობის პერიოდს 1912 - დან 1921 წლამდე, დავინახავთ, რომ მას ნაყოფიერი და ფრიად სასარგებლო მუშაობა ჩაუტარებია. ამ საქმეში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის საზოგადოების ხელმძღვანელს ტრიფონ ჯაფარიძეს. როცა მეფის მოხელეები ხალხის მიერ შექმნილ კულტურული მემკვიდრეობის საქმეს ყურადღებას არ აქცევდნენ, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი კულტურის გულშემატიკვართა და პატრიოტ მოღვაწეთა თაოსნობას. ტრ. ჯაფარიძე ერთ-ერთი ასეთი მოღვაწე იყო. იგი თავის ჩინებულ ცოდნასა და ენერგიას შეგნებულად ახმარდა ქართველი ხალხის მიერ შექმნილი კულტურული სიმდიდრის დაცვისა და მოვლა-პატრონობის საქმეს". – წერს მ.ნიკოლეიშვილი. [მ.ნიკოლეიშვილი, გაზ. "ქუთაისი", 1962წ. 13.11.]

ტრ.ჯაფარიძე, როგორც საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარე უშუალოდ ხელმძღვანელობდა საზოგადოების ძალებით მოწყობილ ეთნოგრაფიულ საღამოებსა და წარმოდგენებს, რომლებიც მიზნად ისახავდა იმ დროისთვის ქართველთა სულში მიძინებული ეროვნული გრძნობების გაღვივებას. [გაზ."სამშობლო", 1917წ. 28.01.]

ტრ. ჯაფარიძე დიდ ინტერესს იჩენდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხისადმი. იკვლევდა, თარგმნიდა და აქვეყნებდა მასალებს, რომლებიც უშუალო კავშირში იყო ამ საკითხთან. იგი აღტაცებით შეხვდა 1917 წლის 12 მარტს მცხეთის ტაძარში ჩატარებულ კრებას, რომელზედაც, სამღვდელოებისა და ერის წარმომადგენელთა დადგენილებით, აღდგენილ იქნა საქართველოს ავტოკეფალიური ეკლესია. [ტრ.ჯაფარიძე – "ავტოკეფალიის გარშემო"; გაზ. "ჩვენი ქვეყანა", №13; 1917წ.25.04.]. ამიტომ, ახალი მთავრობის პოზიციამ საქართველოს ეკლესიის ექსტერიტორიალობის თაობაზე, რომელიც გაცხადებული იქნა პროფესორ ბენეშევიჩის გამოსვლაში

მისი აღშფოთება გამოიწვია. ტრიფონ ჯაფარიძემ, რომელიც მაშინ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარე იყო, ასე შეაფასა ეს მომენტი: ". . . თუ საქართველოს ეკლესია ექსტერიტორიული იქნა, მაშინ ისტორიული საზღვრები ჩვენი ეკლესიისა უარყოფილი იქნება და ამიტომ არაქართველთა მართლმადიდებელ ეკლესიას, რუსის იქნება ის თუ სხვისი – სულ ერთია, სადაც ისურვებს, ნება ეძლევა ეყოლიოს სრულიად დამოუკიდებელი მწყემსმთავარი. ამგვარად, მოხდება ის, რაც ისტორიაში არ მომხდარა, ე.ი. არა თუ ერთ ეპარქიაში, არამედ ერთ ქალაქშიც იქნება ორი, ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი მწყემსმთავარი მართლმადიდებელი ეკლესიისა. ეს მოვლენა კანონიერი თვალსაზრისით უნესოა და პრაქტიკულადაც უხერხული. ასეთ მოვლენას შეიძლება არასასურველი შედეგი მოჰყვეს ორივე მხრით, მაგრამ თუ ეს მოხდა ძალდატანებით, მაშინ პასუხს აგებს რუსეთის ეკლესია, პირველ შემთხვევაში მსოფლიო კრებისა და მეორეში მსოფლიო ისტორიის წინაშე" [ტრ.ჯაფარიძე - "ავტოკეფალიის გარშემო", გაზ. 'ჩვენი ქვეყანა', №13; 1917წ. 25.04]. ტრიფონ ჯაფარიძემ ქუთაისის საისტორიო - საეთნოგრაფიო საზოგადოების სახელით პროფესორ ბენეშევიჩის გაუგზავნა მიმართვა - პროტესტი, სადაც აღნიშნული იყო, რომ "საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება მხურვალე პროტესტს აცხადებს იმ განზრახვაზე, რომ თქვენ მოინადინეთ საქართველოს ეკლესიისათვის თავს მოგეხვიათ ანტიკანონიური უტერიტორიო ავტოკეფალია. საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება დაბეჯითებით მოითხოვს აღდგენილ იქნას თვითმპყრობელობისაგან უდიერად გათელილი საქართველოს ეკლესიის კანონიერი უფლებები." [გაზ.-"ჩვენი ქვეყანა"; 1917წ.3 მაისი; №13].

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ ადგილობრივი საეპარქიო საქმეების გასაძღოლად, საჭირო გახდა საეპარქიო საბჭოს არჩევნების ჩატარება. საბჭოს წევრთა არჩევის დროს დიდი ყურადღება უნდა მიქცეოდა მათ თავდადებას სამშობლო ეკლესიების განთავისუფლების საქმეში. [მოკეთე - გაზ. "ჩვენი ქვეყანა", №157, 1917წ. 24.10.]. ქართული ეკლესიის წინაშე განუვლი ამაგისათვის ტრ.ჯაფარიძე იმერეთის საეპარქიო საბჭოს წევრად აირჩიეს.

ტრ. ჯაფარიძე, როგორც სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის რწმუნებული, დიდ ინტერესს იჩენდა ისტორიული ძეგლების აღრიცხვისა და დაცვის საქმისადმი. გარკვეულწილად მისი დამსახურებაა, რომ დღეს დასავლეთ საქართველოში შემოგვრჩა ამ პერიოდის განუკითხავ ანტირელიგიურ ნგრევას გადარჩენილი ბევრი შესანიშნავი საკულტო დანიშნულების ძეგლი. ქუთაისის მუზეუმის არქივში დაცულია უამრავი მასალა, რომლებიც შეიცავენ ცნობებს მის მიერ დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და შენახვისათვის განუვლი საქმიანობის შესახებ.

1923 წლისათვის საქართველოში მასიურად დაიწყო ეკლესიების დაკეცვა. საშიშროება შეექმნა მათში დაცულ ქართული ჭედური ხელოვნების ძეგლებსა და უნიკალურ ხელნაწერ წიგნებს. ტრ. ჯაფარიძისა და მისი თანამოაზრეების გონიერებისა და მათ მიერ განუვლი კოლოსალური შრომის შედეგად, სამოქმედო ზონაში არსებულ ეკლესიებში დაცული ეროვნული სიმდიდრის არა ყველა, მაგრამ უდიდესი ნაწილი გადარჩენილ იქნა და მუზეუმის ფონდსაცავებში დაიდო ბინა.

ქართული კულტურული მემკვიდრეობისადმი ტრ.ჯაფარიძის უდიდესი სიყვარულის გამოხატულება იყო მისი დამოკიდებულება გელათის მონასტრისადმი, რომელსაც სიცოცხლის ბოლო წლებამდე არ აკლებდა ყურადღებას. მისი დამსახურებაა, რომ გელათის მონასტერში არსებული ჭედური ხელოვნების ძეგლები და ძველი ხელნაწერი წიგნები, სანამ ისინი ქუთაისის მუზეუმს გადმოეცემოდა, თვით მონასტერშივე საიმედოდ იყო დაცული.

ტრ.ჯაფარიძემ გადაურჩინა შთამომავლობას არგვეთის მთავრების, წმინდა მონამეთა დავით და კონსტანტინეს ნეშტი, რომელიც 1923 წელს "ულმერთოთა კავშირის" წევრებმა მონამეთის მონასტრიდან გამოიტანეს და შეურაცხყვეს, მისი მოთხოვნით "ულმერთოთა კავშირის" წევრთა მიერ შეურაცხყოფილი წმინდანთა ნეშტი ქუთაისის მუზეუმში იქნა მოთავსებული. [E-192/240]. იმ დროისათვის მისი ასეთი გაბედული მოქმედება გმირობის ტოლფასი იყო. ტრ.ჯაფარიძის გამჭრიახობა რომ არა ბოლშევიკური ხელისუფლების თანხმობა წმინდანთა ნეშტის მუზეუმში მოთავსებაზე ალბათ ძალიან გაჭირდებოდა: მიმართვაში, წმინდანების მაგივრად, მან დავითი და კონსტანტინე საქართველოს ეროვნულ გმირებად მოიხსენია. ამ ფაქტთან დაკავშირებით თ.მჭედლიშვილი წერს: ამინდის გაუარესების გამო "ულმერთოთა კავშირის" წევრები შეფერხდნენ, ამით "ისარგებლა სასი-

ქადულო მამულიშვილმა, ჭემმარიტმა ქრისტიანმა და საზოგადო მოღვაწემ, ქუთაისის საისტორიო საზოგადოებისა და მუზეუმის დამაარსებელმა და პირველმა დირექტორმა, პუბლიცისტმა ტრიფონ ჯაფარიძემ (მისი მამა-პაპანი სამღვდელონი იყვნენ) და სასწრაფოდ დაუკავშირდა რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარმმართველობის გამგეს, ვუკოლ ბერიძეს და შეატყობინა, რომ “განსაცდელში იყვნენ საქართველოს ეროვნული გმირები – დავითი და კონსტანტინე”. ვუკოლ ბერიძე დაუკავშირდა მთავრობის წევრებს, მაგრამ მასაც არ უხსენებია, რომ დავითი და კონსტანტინე წმინდანები იყვნენ, არამედ მხოლოდ აღნიშნავდა, რომ ძმები ქართველი ერის სახალხო გმირები იყვნენ და დაუშვებლად მიაჩნდა მათი ნეშტის მოსპობა-განადგურება. თბილისიდან მოვიდა ბრძანება და ტრიფონ ჯაფარიძემ წმინდანთა ნეშტს ქუთაისის მუზეუმში დაუდო ბინა. 1923 წლიდან 1954 წლამდე დავითისა და კონსტანტინეს წმინდა ნაწილები დაცული იყო ქუთაისის მუზეუმში, მაგრამ მორწმუნე ერი მაინც ახერხებდა სანთლით ხელში მიახლებოდა მათ წმინდა ნაწილებს და ელოცა მათ წინაშე”. [თ.მჭედლიშვილი – “წამება და ღვანლი წმინდანთა და დიდ მონამეთა. . .”, orthodoxy.ge]

ტრიფონ ჯაფარიძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართული წიგნის გამოცემისა და პოპულარიზაციის საქმეს. 1913 წელს ამხანაგად შევიდა თ.ა. მთავრიშვილისა და ამხანაგობის გამომცემლობაში. მისი წინასიტყვაობით დაიბეჭდა 1914 წელს ნიკო ნიკოლაძის – “მამულის სიყვარული და მსახურება”. [ქიმ 2173/776]. წინასიტყვაობაში ნათლად ჩანს, რატომ აირჩია ეს წიგნი გამომცემლობამ ხელმეორედ გამოსაცემად. ტრ.ჯაფარიძე წერს: “პატივცემული ავტორი თავის აზრს მკაფიოდ არკვევს და ნათლად ხატავს იმ ფორმებს, რომელშიც უნდა განხორციელდეს მამულის სიყვარული, გვაჩვენებს იმ გზას, რომელსაც უნდა დაადგეს ყველა, ვისაც მამულის სიყვარული აქვს და მას ემსახურება. მკითხველისათვის მიგვიჩვენებია გაიტანოს ავტორის აზრი და შეადაროს იმათს აზრს, ვინც ერთის მხრით ისე იფიქროვებს სამშობლოს სიყვარულს, რომ შოვინიზმის კალაპოტში ახრჩობს, და მეორეს მხრით ისე აფართოებს, რომ კოსმოპოლიტიზმის უსაზღვრო სივრცეში ფანტავს. . . დეე იყოს აზრთა სხვადასხვაობა, ეს არის პროგრესის შემქმნელი, მაგრამ ვეცადოთ კი, რომ სიყალბემ დროებითაც არ დაჩრდილოს ჭემმარიტება”. [ნ.ნიკოლაძე – “მამულის სიყვარული და მსახურება”, გამ. 1914წ. გვ.6-7].

სამუზეუმო საქმიანობას ტრ.ჯაფარიძე კარგად უთავსებდა სამეცნიერო-კვლევით სფეროში მოღვაწეობას. იგი არის ავტორი შრომებისა: “ქრისტიანობის გავლენა მონათა მდგომარეობაზე რომის სახელმწიფოში”[1904წ. სტავროპოლი], “თანამედროვეობა და კულტურული იდეალი”[1904წ. სტავროპოლი], “დეკანოზი ალექსი ჭიჭინაძე”[1903წ, ქუთაისი], “ენის გაჩენა”[1912წ. ქუთაისი], “ბუნება და ადამიანი”[1912წ. ქუთაისი], “ახალი ათონი”[ქუთაისი],. . . ჩამოთვლილთაგან ფუნდამენტურ ნაშრომს წარმოადგენს – “ქრისტიანობის გავლენა მონათა მდგომარეობაზე რომის სახელმწიფოში”. ეს ნაშრომი მას აკადემიაში სწავლის დროს დაუწერია. ეს იყო მისი საკანდიდატო დისერტაცია. ნაშრომი შესრულებულია რუსულ ენაზე და 1904 წელს წიგნად გამოიცა სტავროპოლში.

საკითხის გასაშუქებლად მკვლევარს გამოუყენებია ყველა ხელმისაწვდომი ლიტერატურა. სპეციალურად შეუსწავლია მისთვის საინტერესო პერიოდი – სამოქალაქო და სამართლის ისტორიის, ფილოსოფიისა და რელიგიის იმდროისათვის გამოცემული, უმთავრესად რუსულ ენაზე ნათარგმნი ლიტერატურის მიხედვით. რაც შეეხება თემის ძირითად ნაწილს, აქ მას უსარგებლია სამი გერმანული მონოგრაფიითა და ქრისტიანული ეკლესიის ისტორიის რამდენიმე გერმანული გამოცემით. აღსანიშნავია, რომ მის მიერ მოპოვებული ცნობებით გაირკვა – საკითხი, ქრისტიანობის გავლენა მონობაზე – არცერთ ნაშრომში არ იყო სკურულოზურად შესწავლილი . ამდენად რომის სახელმწიფოს მაგალითზე ეს გახლდათ პირველი ცდა მისი მონოგრაფიული შესწავლისა.

საკითხის გასაშუქებლად ტრ.ჯაფარიძე მოხერხებულად იყენებს მეცნიერული კვლევის შედარება — შეპირისპირების ხერხს. მონათა მდგომარეობაზე სტოიკური და წარმართული ფილოსოფიისა და ლიტერატურის გავლენის მაგალითების ერთმანეთთან შედარებით იგი უპირატესობას აძლევს წარმართულს, მაგრამ ამასთანავე აღნიშნავს, რომ აბოლიციონისტური – მონობის მოსპობის იდეა არც წარმართულ რელიგიაში ჩნდება. საბოლოოდ, მკვლევარი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ეს იდეა სათავეს იღებს ქრისტიანულ რელიგიაში, რომლის მიხედვითაც ყველა ადამიანი ბუნებით და წარმოშობით თანაბარია. რომ წარმართული, მეხთამტყორცნელი ღმერთისაგან განსხვავებით იესო

ქრისტეს მიერ ყველას, გამონაკლისის გარეშე მინიჭებული აქვს ადამიანური ღირსება. და რომ ყველა მათგანის ამქვეყნიური ცხოვრების მიზანია, მოინანიოს ცოდვები და პატიოსანი კეთილი ცხოვრებით მოიპოვოს სასუფეველი ცისა. და, ბოლოს მკვლევარი ვრცლად ეხება იმ ცვლილებებს, რომელიც ქრისტიანული რელიგიის აბოლიციონისტურმა იდეამ მოახდინა რომის კანონმდებლობაში საერთოდ, კერძოდ კი მონათა მდგომარეობაზე.

ნიგინი – “ქრისტიანობის გავლენა მონათა მდგომარეობაზე რომის სახელმწიფოში” – დღეისათვის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, იგი არ რჩება ქრისტიანული რელიგიისა და ფილოსოფიის საკითხებით დაინტერესებულ მკვლევართა ინტერესს მიღმა.

აღსანიშნავია, რომ ტრ.ჯაფარიძე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეკრებისა და გამოცემის საქმეს [ქიმ 6407/60; ქიმ 192/428]. 1936 წელს ქუთაისის მუზეუმის ეგიდით გამოიცა მის მიერ შეკრებილი გამოცანები. მოგვიანებით, 1965 წელს, გამომცემლობა “ნაკადულმა” გამოსცა “ხალხური სიბრძნის” მეხუთე ტომი, რომელშიდაც სხვა ზეპირსიტყვიერ მასალებთან ერთად წარმოდგენილია გამოცანები, რომელსაც პეტრე უმიკაშვილის, ექვთიმე თაყაიშვილისა და ჯუანშერ სონღულაშვილის მიერ შეკრებილ ნიმუშებთან ერთად, საფუძვლად დაედო ტრიფონ ჯაფარიძის მიერ შეგროვილი გამოცანები [“ხალხური სიბრძნე”, ტ.V, გამ 1965წ.]. ტრ. ჯაფარიძემ თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა შოთა რუსთაველის “ვეფხისტყაოსნის” შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეში. 1937წელს, რუსთაველის საიუბილეო დღეებში გამოსცა “შოთა რუსთაველის აფორიზმები”; საიუბილეო კომიტეტის დავალებით მოამზადა წერილი – “ადათები მე-12 საუკუნეში “ვეფხისტყაოსნის” მიხედვით. . . [გაზ. “სტალინელი”, 1937წ. №27].

ინტერესს იწვევს ტრ. ჯაფარიძის დახვეწილი მაღალპროფესიული, პუბლიცისტური მემკვიდრეობა, რომელიც არ არის შემოფარგლული ერთი, რომელიმე თემით. იგი უშუალოდაა დაკავშირებული გაზეთ “კოლხიდასთან”, რომლის რედაქცია 1909 წელს დააარსა ინტელიგენციის ეროვნული მიმართულების ჯგუფმა ქუთაისში. გაზეთმა სხვადასხვა სახელწოდებით – “იმერეთი” (1912-1915წ.წ.), “ახალი ივერია” (1914წ.), “სამშობლო” (1915-1917წ.წ.), “ჩვენი ქვეყანა” (1917-1918წ.წ.) იარსება საქართველოს ანექსიამდე.

მეოცე საუკუნის პირველი მეოთხედის ქართული პუბლიცისტიკისათვის დამახასიათებელია შემოქმედებით სფეროთა სიუხვე და ჟანრობრივი მრავალფეროვნება. ეს უპირველესად განაპირობა იმან, რომ იმ საჭირობოროტო საკითხთა ფართო სპექტრიდან, რომლებიც ცხოვრებისეულმა სინამდვილემ დააყენა მეცხრამეტე საუკუნის ჟურნალისტიკის წინაშე, უმრავლესობა კვლავაც ინარჩუნებდა თავის სიმწვავეს, დღის წესრიგში აყენებდა მათი გადაჭრის აუცილებლობას. უსახსრობის გამო რედაქციები უმეტესად მხოლოდ რამდენიმე პირისაგან შედგებოდა. მრავალმხრივი და მწვავე საზოგადოებრივი ხასიათის პრობლემათა გაშუქება მათგან ენციკლოპედიური ხასიათის განათლებას მოითხოვდა. ტრ.ჯაფარიძე იმ პუბლიცისტთა შორის იყო, რომლებმაც წარმატებით გაართვეს თავი ამ ურთულეს პრობლემას. რასაც არ უნდა ეხებოდეს იგი თავის პუბლიცისტურ წერილებში, ყოველთვის იჩენს მაღალ პროფესიონალიზმს, ამჟღავნებს დასმულ პრობლემებში ღრმად წვდომის უნარს, ამასთან, რა სოციოლოგიურ კონცეფციასაც უნდა აღიარებდეს, მუდამ გამოდის ქართველი ხალხის, როგორც ეროვნული მთელის ინტერესებიდან. პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებულ მის წერილებში გაშუქებული საკითხები იმდროინდელი საქართველოს სოციალ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს მოიცავს. და მაინც, განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა იგი საქართველოს ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი. ამ საკითხისადმი მიძღვნილ წერილებში დღეს შეიძლება ბევრი რამ სადავოდ მოგვეჩვენოს, მაგრამ იმჟამინდელი პასუხი კითხვებზე – ვინ არის ქართველი ერი, საიდან მოდის და რა გზით უნდა იაროს მან აღთქმული ტაძრისკენ, ჩემი აზრით, დღესაც ანგარიშგასაწევი და აქტუალურია. ამ მიმართებით საინტერესოდ მეჩვენება 1917 წლის 18 მარტს გაზეთ “სამშობლოში” გამოქვეყნებულ წერილში გამოთქმული მისი მოსაზრებანი: “ეროვნული მიმართულება არის ნიშნობლივი თვისება ქართველი ერისა და მის სულიერ მოთხოვნილებას მარტო ეს შეესაბამება – წერდა ტრ.ჯაფარიძე – დღეს მონობის ბორკილი იმსხვრევა, თავისუფლება და პიროვნების ხელშეუხებლობა საქვეყნო მცნებად ცხადდება და ვიქონიოთ იმდენი პატივისცემა და სამართლიანობა, რომ ვაღირსოთ ქართველ ერს, აღიაროს რაც უნდა და მიისწრაფოს იქით, საითაც მიუთითებს მისი ფაქიზი ბუნება, მკვირცხლი

ნიჭი და მგრძობიარე გული. სთქვას თავისუფლად ქართველმა ერმა, რა უნდა და დარწმუნდებით, რომ მას უნდა აღადგინოს სპეციაკი სახე, მართვა-გამგეობა, თავისუფალი ეკლესია, ფართო მრეწველობა, დიადი ხელოვნება და ყოველივე ის, რაც შეადგენდა მისი შემოქმედების ძვირფას ბეჭედს – სრული ავტონომია.

საქართველო ვერ მოსპო გარეშე მტერმა, საქართველო ვერ მოსპო საუკუნო მონობამ, ვეცადოთ საქართველო არ მოსპოს შინაურთა უთანხმოებამ”.

ტრ.ჯაფარიძის ეს გაფრთხილება დღესაც კონსოლიდაციისაკენ მოუწოდებს ქართველ ერს, რადგან მხოლოდ ერთიანი სულისკვეთებითა და ძალისხმევით მიიღწევა ის დიდი მიზანი, რომლისკენაც მიისწრაფის დღეს თითოეული ქართველი, მიზანი, რომელსაც საქართველოს გამთლიანება და კეთილდღეობა ჰქვია.

სწორედ საქართველოს ბედ-იღბალზე ფიქრი, მისი კეთილდღეობისათვის ბრძოლა არ აპატიეს ტრ.ჯაფარიძეს და 1937 წლის 30 ივნისს იგი დააპატიმრეს. ვერავითარმა ბრალდებამ, ცრუ მონმეთა ჩვენებებმა, რეჟიმმა, რომელიც მაშინ იყო გამეფებული საპატიმროში ვერ გატეხა მისი ნებისყოფა. იგი კატეგორიულად უარყოფდა ყველა ბრალდებას და უარს ამბობდა დაესახელებინა ის პირები, რომლებიც მასთან ერთად “ენეოდნენ” კონტრრევოლუციურ საქმიანობას. ბოლოს ჯამრთელობამ უმტყუნა, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ტრ.ჯაფარიძე ქუთაისის ციხის საავადმყოფოში გარდაიცვალა. ძიება შეწყდა. საქმე არქივს გადაეცა.

1956 წელს ტრ.ჯაფარიძის შვილების – ქალბატონ რიმასა და ბატონ კაკო ჯაფარიძის თხოვნით, უმაღლესმა სასამართლომ გადასინჯა მისი საქმე და დაადგინა, რომ “дело о привлечении к ответственности Джафаридзе Трифона Михайловича по ст.ст. 58.10. и 58.11. УК ГССР прекратить за отсутствием в его действиях состава преступления”. [სუკის არქივი №6222, ფ.47.]

მიმდინარე წელს ტრ. ჯაფარიძის დაბადების 135-ე წელი შესრულდა. მიმაჩნია, რომ მისი სამეცნიერო და პუბლიცისტური მემკვიდრეობა, მისი ღვაწლი ქვეყნისა და ერის წინაშე, ბევრ ქართველ მოღვაწეთა მსგავსად, დღემდე ჯეროვნად არ არის დაფასებული.

გავა დრო და ისტორია დამსახურებულ პატივს მიაგებს ყველა იმ ქართველ მოღვაწეს, რომელთაც მთელი თავიანთი შეგნებული სიცოცხლე საქართველოს წინსვლისა და კეთილდღეობისათვის ბრძოლას შესწირეს. მათ შორისაა ტრიფონ ჯაფარიძეც, მის სახელს დავინყება არ უწერია, რადგან XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში მომრავლებულ პოლიტიკოსთა და პარტიის ლიდერთა მსგავსად იგი არ იყო მარტო პოლიტიკური მოღვაწე, არც ამა თუ იმ პარტიისა და მიმდინარეობის შეხედულებათა ბრმა მიმდევარი და გამზიარებელი. თავისი საქმიანობისა და მოღვაწეობის ფართო სპექტრით ის უფრო ქართველ სამოციანელებს უახლოვდებოდა. მისი კრედო – ქართველი კაცის ბუნების შესახებ, დღესაც აქტუალურია – “გადავხადოთ ფარდა ქართველის გულსა და სულს განურჩევლად სქესისა, წოდებისა და ხელობისა და რაც წავიკითხოთ ყველამ ვინამოთ. მე საჯაროდ ვაცხადებ, რომ იქ ამოვიკითხავთ: მე ვარ ბუნებით მესაკუთრე, ნაციონალისტი, მორწმუნე, თავისუფლების მოტრფიალე ნამდვილი დემოკრატი”. [ტრ.ჯაფარიძე – “ავტოკეფალიის გარშემო”; გაზ.“ჩვენი ქვეყანა”, №13; 1917წ. 25.04]. სწორედ ამ პრინციპებით იცხოვრა და მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ქართული სულის გამთლიანებასა და ეროვნული იდეალებისათვის ბრძოლას მოახმარა.

ლიტერატურა:

1. **ბრეგაძე დ.** – “ვალმოხდილი მოქალაქე”, გაზ. “მონამეთა”, №4, 1991 წ. აპრილი
2. **მოკეთე** – გაზ.“ჩვენი ქვეყანა”, №157, 1917წ. 24.10.
3. **მუმლაძე ც.** — “ტრიფონ ჯაფარიძე”, გამ. “სარანგი”, 1993წ.; “ისტორია პატივს მიაგებს”, გაზ. “ქუთაისი”, 1990წ. 14 აპრილი; “დანოსები”, გაზ. “მონამეთა”, №2-3, 1991წ.;
4. **მჭედლიშვილი თ.** – «წამება და ღვაწლი წმინდანთა და დიდ მონამეთა», orthodoxx.ge.
5. **ნიკოლაძე ნ.** – “მამულის სიყვარული და მსახურება”, გამ.1914წ. გვ. 6-7.
6. **ნიკოლეიშვილი მ.** – “ქუთაისის მუზეუმის ისტორიიდან”, მასალები ტ. I, 1968წ.; “განძი და საგანძური”, 1986წ. ქუთაისი.
7. **სუკის არქივი** – საქმე №6222, ფ. 47.
8. **ჯაფარიძე ტრ.** – «ავტოკეფალიის გარშემო», გაზ. «ჩვენი ქვეყანა», №13, 1917წ. 25.04.

9. ჯაფარიძე ტრ. – «ქრისტიანობის გავლენა მონათა მდგომარეობაზე რომის სახელმწიფოში», 1904წ. სტავროპოლი.
10. «ხალხური სიბრძნე»– ტ. V, შემდგენლები: მ.ჩიქოვანი და ჯ.ბარდაველიძე, გამ. 1965წ.
11. E-192/ 157, 240, 428 ; 2467;
12. კიმ 2173/776

TSITSINO MUMLADZE

TRIPHON JAPHARIDZE - SCIENTIST AND PUBLIC FIGURE

Georgian history had saved for us the names of our great ancestors, whose lives and activities were an example for past generations and as well will be an example for the future generations. But time passes and dust covers the memory of those, who had donated their lives for the progress and wellbeing of their country. Among them, we must name an excellent scientist, publicist, side expert and public figure Triphon Japharidze.

Triphon Japharidze was born on November 7, 1876 in the village Khreiti, Province of Shoraphna, in the family of nobleman Mikheil Japharidze. His mother, Pelagia, was a daughter of the dean Aleksii Tchitchinadze. Till the age of 8, he grew up under his parents control, they took care of him and taught him to read and write. In 1884 he entered Kutaisi Church School, and after he graduated it as a successfully, he entered Tbilisi Church Seminary at the expense of the state. In 1898 he graduated the Seminary and again at the expense of the state he was sent to Kiev Church Academy, where in 1902 he graduated the full course of history-archeology.

During his student period he was a head of the Georgia Community. He issued and read scientific articles interesting for the community. Systematically attended history and psychology lectures at the philological faculty. Under the leadership of professor N. Petrov he studied museum activities in the Academy Museum and listened to the reports “Nestorius’s Chronicle in the Historical and Scientific Society”. Here, in 1902 he got an idea to found a historical society and museum in Kutaisi, which he put into life in 1911 with a help of his companions.

In 1903 he married Olga, daughter of the Kutaisi bishop - Nestor Kubaneishvili. Olga had graduated St. Nino School, knew foreign languages, embroidering and knitting, was a good housewife and mother. They had 8 children.

During the years, T. Japharidze was the head of the board of Kutaisi Georgian historic-ethnographic society (1911-1921), a member of city council (1914-1917) and worked in the educational and financial sections.

In 1917 an Executive Committee had been founded in Kutaisi. T. Japharidze, as it’s member (1911-1921) “had to protect historical monuments and materials from sudden damage”. He was a trustee of antiquities and art monuments protection in Western Georgia (1921-1930). Read lectures in Kutaisi People University, then in Kutaisi State Pedagogical Institute on the side expert faculty. He is one of the founders of commercial-industrial bank in Western Georgia, which was founded by the Finance and Trading Ministries of Georgian Republic on October 19, 1920. T. Japharidze was an excellent publicist, member of Georgian national-democratic party, worked in it’s fraction before the annexation of Georgia, when the party was closed (1917-1921).

Invaluable is the merit of T. Japharidze in the foundation and staffing of Kutaisi State Historical-ethnographic Museum. He was the first headmaster of the museum (1922-1930). During his work there, the museum received al lot of archeological, ethnographic, numismatic and embossing monuments, historical documents and manuscript books. While working in the museum, he also managed to make scientific researches. He is an author of following works: “The influence of Christianity on Slaves Roman State”, “Modernity And Cultural Ideal”, “Dean Aleksii Tchitchinadze”, “Creation of the Language”, “Man and The Nature”, “New Athens”, ... From the listed bellow works the most fundamental is “The influence of Christianity on Slaves Roman State”. It was his candidate thesis. It is done in Russian language and was issued in Stavropol in 1904.

T. Japharidze’s journalistic heritage is not framed with one theme. His journalistic works are connected to the newspaper “Kolkhida”, which was founded by a group of people with national direction in 1909, and which existed till the annexation of Georgia.

Triphon Japharidze was a victim of repressions of last century. He died after a long and heavy illness in Kutaisi prison on October 10, 1938.

ეკატერინე ყელაშრაძე

ტრიფონ ჯაფარიძე ქუთაისის მუზეუმის არქივები

ქართველ საზოგადო მოღვაწეთა პლეადაში გამორჩეული ადგილი უჭირავს ტრიფონ ჯაფარიძეს. ერის წინაშე, სხვა დამსახურებათა შორის, განუზომელია მისი ღვაწლი ქუთაისის ისტორიული მუზეუმის დაარსებისა და მისი, როგორც სამეცნიერო და კულტურაგანმანათლებლო დაწესებულების, ჩამოყალიბების საქმეში. მუზეუმის წერილობითი წყაროების განყოფილებაში დაცულია მისი პირადი არქივი. რომელშიც კარგად არის წარმოდგენილი მისი როლი მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოში მიმდინარე მოვლენების ფონზე. მის შესახებ ასევე საინტერესო მასალებს ვპოულობთ ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების, ისტორიული მუზეუმის, კირილე ლორთქიფანიძის, ევსევ ნიკოლაძის, გიორგი ზდანოვიჩის (მაიაშვილი), ალექსანდრე გარსევანიშვილის, პეტრე ჭაბუკიანის და სხვათა არქივებში. ჩვენი მიზანია ტრიფონ ჯაფარიძესთან დაკავშირებულ მასალებზე საძიებლის შედეგადად, რომელიც, შემდგომ ფონდში მოსულ მკვლევარს დაეხმარება მუზეუმში მის შესახებ არსებული ნივთიერი და დოკუმენტური მასალის მიკვლევა-შესწავლაში. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ დღემდე ამ ღირსეული მოღვაწის შესახებ ძალზე მწირი მასალაა გამოქვეყნებული.

ცნობილი მეცნიერის ევსევ ნიკოლაძის პირად არქივში დაცულია მისივე ხელნაწერი: „ჩემი მოგონება ქუთაისის მუზეუმის წარსულიდან“, რომელშიც მუზეუმის შექმნის შესახებ საუბრისას აღნიშნავს სამ მომენტს, რომელთა შორის უმთავრესია მისი შეხვედრა ტრიფონ ჯაფარიძესთან, რომელმაც დიდი გავლენა იქონია შემდგომში მასზე, როგორც პიროვნებაზე და ასევე დიდი ბიძგი მისცა მისი მომავალი პროფესიის განსაზღვრას. ევსევი წერს: „უმაღლესი სკოლის დამთავრების შემდეგ პეტერბურგიდან ჩამოვედი, ქუთაისში დავინყე მასწავლებლობა საშუალო სკოლაში. მასწავლებლობის დაწყების თანავე გავეცანი ტრიფონ ჯაფარიძეს. ის იყო 12 წლით ჩემზე უხნესი. დამთავრებული ჰქონდა კიევის სასულიერო აკადემია და კარგად უჭრიდა ენაც და კალამიც.“

მასწავლებლად დანიშნული პირველ დღეს მივედი სკოლაში აკადემიის სტუდენტის ფორმით და აქედან მიხვდა ტრიფონი, რომ ეს ჩემს წრეს ეკუთვნისო. მომკრა რა თვალი, ფეხზე წამოდგა, წინ მომეგება, ხელი ჩამომართვა და შემეკითხა:

– რომელი აკადემია დაამთავრე და როგორი მომზადება გაქვს ძველი და ახალი ენების ცოდნაში?

– მე დავამთავრე პეტერბურგის სასულიერო აკადემია, სადაც სხვა დისციპლინებთან ერთად კარგად ისწავლება ენები: ბერძნული, ლათინური, ფრანგული და გერმანული.

– რადგანაც ასეა, შენ იქნები ჩემი მთავარი დამხმარე ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზოგადოების მუშაობაში. ეს საზოგადოება ახლა დაარსდა და მგონია იხიერებს, ოღონდ ჩვენ გვექნება საქმე მეცნიერულ საკითხებთან და ამიტომ ენების ცოდნა ჩვენთვის დიდად საჭიროა-ო“ [ქიმ. E-99/26].

ამავე მოგონებაში ევსევი აღნიშნავს, რომ ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუშაობა ძირითადად სამუზეუმო ექსპონატების შეგროვებით გამოიხატებოდა და რადგან საზოგადოების წევრები ხანშიშესულები იყვნენ, ეძნელებოდათ პროვინციებში მოგზაურობა, ამიტომ ამ მისიას მე და ტრიფონ ჯაფარიძე ვასრულებდითო: „სოფლებში დავდიოდით მე და ტრიფონი. ოთხი ზაფხულის განმავლობაში, 1913 წლიდან 1916 წლამდე, ჩვენ ორმა, ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზოგადოების მანდატით, მოვიარეთ მთელი ზემო იმერეთი, რამდენიმე ისტორიული ძეგლი აღვრიცხეთ და ბევრი სამუზეუმო ექსპონატი შევაგროვეთ. ვინც ექსპონატს ჩაგვაბარებდა, მას მივცემდით ხელწერილს, რომ მივიღეთ მისგან ესა და ეს ნივთი. თუ ნივთის პატრონი ფულს მოითხოვდა ხელწერილში აღვნიშნავდით, რამდენი ფული გადავუხადეთ. შემდეგ ეს ნივთი გატარდებოდა საერთო ნიგნში და ჩაბარდებოდა ტრიფონს შესანახად, ამ წესს ვასრულებდით, სანამ ერთად ვიყავით, 1912 წლიდან 1930 წლამდე.“ [ქიმ. E-99/26].

ცნობილია, რომ 1911 წლის 4 დეკემბერს ქართულ გიმნაზიაში გაიმართა ინტელიგენციის კრება, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება ქუთაისში ისტორიისა და ეთნოგრაფიის დამოუკიდებელი საზოგადოების დაარსების შესახებ, რომლის თავჯდომარედ არჩეულ იქნა ტრიფონ ჯაფარიძე:

“ტრიფონ ჯაფარიძემ გამგეობასთან ერთად თავიდანვე უმთავრესად ერთი განსაზღვრული მიზანი დაისახა – ქართული მუზეუმის დაარსება ქუთაისში” [ც.მუმლაძე. 1993:28]. მუზეუმი თვითონ უნდა შეექმნა საზოგადოებას შეგროვილი ნივთებისაგან, რომელიც თანდათან გროვდებოდა შემონირულობისა და შესყიდვების სახით, თავდაპირველად შეგროვილი მასალები გრიგოლ გველესიანის /მუზეუმის გამგის/ ბინაზე იყო განთავსებული. და აი, დადგა სანატრელი დღეც, საისტორიო–საეთნოგრაფიო საზოგადოების ბაზაზე შეიქმნა მუზეუმი, რომლის პირველი დირექტორი (1922-1930წ.წ.) იყო ტრიფონ ჯაფარიძე.

საინტერესოა საკუთრივ მუზეუმის არქივში დაცული მისასალმებელი სიტყვა, რომელიც 1923 წლის 10 ივნისს წარმოთქვა ტრიფონ ჯაფარიძემ, მუზეუმის პირველი გამოფენის გახსნის დღეს: “მე მაქვს ბედნიერება მივესალმო დღეს საზოგადოებას და გამოვსთქვა სიამოვნება ქუთაისის სახელმწიფო საისტორიო–საეთნოგრაფიო მუზეუმის გახსნის გამო. მუზეუმის მნიშვნელობა ხალხის ეროვნული განვითარებისა და კულტურული აღორძინებისათვის იმდენად დიდია, რომ ასეთი დანესებულების დაარსების დღე ფრიად სასიამოვნო მოვლენას შეადგენს და ამიტომ მსურს განსაკუთრებულად აღინიშნოს ჩვენი ისტორიის კაბადონზე. 10 ივნისი 1923 წლისა იქნება ისტორიული დღე ჩვენ ცხოვრებაში და აი ამ დღიდან ერთი ფრიად სასარგებლო დანესებულება, როგორცაა მუზეუმი კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ჩვენს ეროვნულ განვითარებას.

მოვალეობა მიკარნახებს პატივცემულ საზოგადოებას გავაცნო მოკლე ისტორია ამ დანესებულებისა და აღვნიშნო ის პირობები, რომელთა შორის დაიბადა და გაჩნდა ეს დანესებულება.

ქუთაისში საისტორიო საზოგადოების დაარსება და მუზეუმის მოწყობა განვიზრახეთ 1902 წელს, როცა უმაღლესი სასწავლებლიდან გამოყოლილი აღფრთოვანება გვასულდგმულვდა და იდეალებით გამსჭვალული ეროვნულ სულის კვეთებას განვიცდიდით; გვსურდა ქუთაისი მეცნიერულ დარგშიც აგვემუშავებია, რადგან რამდენიმე კულტურული და საქველმოქმედო საზოგადოება უკვე არსებობდა.” [ქიმ. E-192/1063].

ტრიფონ ჯაფარიძის პირად არქივში დაცულ ავტობიოგრაფიაში ვკითხულობთ: „16 წლის დაულალავი და უანგარო შრომით ვცდილობდით შეგვექმნა ქუთაისში ქართული საისტორიო–საეთნოგრაფიო მუზეუმი. ჩვენი შრომა სრული გამარჯვებით დაბოლოვდა და 1923 წლის 10 ივნისს ქუთაისში გაიხსნა სახელმწიფო მუზეუმი, სადაც გამოფენილია დიდძალი განძეულობა. ყველა თანავგიგროძობს ამ მამულიშვილურ შრომაში.” [ქიმ. E-6407/2].

აღნიშვნის ღირსია მუზეუმის დირექტორის მოვალეობანი, რომელიც ტრიფონ ჯაფარიძეს 11 პუნქტად ჰქონდა ჩამოყალიბებული. თუ ამ დოკუმენტს გადავხედავთ მივხვდებით, რომ ყველა ამ პუნქტის პირნათელი შემსრულებელი იყო იგი მთელი მისი მოღვაწეობის მანძილზე. ჩამონათვალი ასეთია: „1)მართვა-გამგეობა მუზეუმისა: მისი დაცვა, მოვლა და გაფართოება. 2)მთელ რაიონში მოწყობა აგენტურისა, რომლის მიზანიცაა საყურადღებო ადგილების აღწერა, სამუზეუმო ნივთების აღმოჩენა, ისტორიული ნაშთების დაცვა და სხვა. 3)სამუზეუმო ნივთების შექმნა რა საშუალებითაც მოსახერხებელი იქნება. 4)საარქეოლოგიო ექსკურსიების მოწყობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. 5)საარქეოლოგიო მასალების დასაბეჭდათ და გამოსაცემად დამზადება. 6)ისტორიული ნაშთების გადაღება ფოტოგრაფიულად ან რა სახითაც შესაძლებელი იქნება. 7) გამოსაკვლევი ადგილების დასახელება ან საჭირო გამოკვლევათა ინიციატივა. 8)წლიური ანგარიშის შედგენა. 9)რესპუბლიკის გარეშე და რესპუბლიკის მთავრობის უმაღლეს დანესებულებათა ორგანოებთან დამოკიდებულება მთავარ სამმართველოს საშუალებით. 10)ყოველ დიდსა და პრინციპიალურ საკითხებში დირექტივების მიღება მთავარ სამმართველოდან. 11)კანცელარიის მოწყობა, ხელმძღვანელობა და მინერ-მონერის წარმოება.” [ქიმ. E-192/163]

ტრიფონ ჯაფარიძე მუზეუმის ცხოვრებით ცხოვრობდა. არ არსებობდა მისთვის მხოლოდ სამუშაო საათები, ის ღამითაც კი ამოწმებდა თუ რა ხდებოდა ამ დანესებულებაში მისი არ ყოფნის დროს: „29 აპრილს ღამის II საათზე და 20 წუთზე მე მივედი შოთა რუსთაველის ქუჩიდან მუზეუმის ეზოს ჭიშკართან და სასტვენით მოუწოდე ღამის დარაჯ გერასიმე ადვიშვილს.” [ქიმ. E-192/825].

მუზეუმი თანდათან იკრებდა ძალებს, ფონდსაცავებს ემატებოდა ნივთები. 1923 წლიდან კი, როდესაც მასიურად დაიწყეს ეკლესია–მონასტრების დაკეტვა ტრიფონ ჯაფარიძის დიდი ძალისხმევით ის ტაძრები და ისტორიული შენობები, რომლებიც ფასეულ სიმდიდრეს წარმოადგენდა,

გადმოცემული იქნა მუზეუმისათვის, რათა იმ საშინელი ტერორის პერიოდში ყოფილიყო დაცული და გადარჩენილი. ეს იყო გელათის მონასტერი, ბაგრატის ტაძარი, ქუთაისის ყოფილი საკათედრო ტაძარი (სობორო), ოქროს ჩარდახი და სხვა. 1923 წლით დათარიღებულ ოფიციალურ საბუთში, რომელიც მიწერილია ქუთაისის ქალაქის მუშათა და გლეხთა მილიციის გამგისადმი ტრიფონი ნერს: „ამით მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ ა/წ. 23 ივლისს, თანახმად სამაზრო აღმასკომის დადგენილებსა, მე ჩავიბარე ქუთაისის საკათედრო ტაძრის შენობა და ჩემი თხოვნით შიგ დავანებული ნივთები. ტაძრის ჩაბარების ოქმის ასლს და ნივთების სიის ასლს ამას თანავე გაახლებთ.“ [ქიმ. E-192/105]. სწორედ ამ ყოფილ საკათედრო ტაძარში აპირებდა ტრიფონ ჯაფარიძე საეკლესიო მუზეუმის მოწყობას: „ტრიფონ ჯაფარიძეს საეკლესიო მუზეუმისთვის შესაფერისი შენობაც ჰქონდა შერჩეული – საკათედრო ტაძარი, იგივე „სობორო“. ძნელი არ არის მისი ჩანაფიქრის გამოცნობა. მან ძალიან კარგად იცოდა, რომ ახალი ცხოვრების მესვეურნი დიდხანს არ მოითმენდნენ ქალაქის ცენტრში აღმართული საკულტო დანიშნულების ძეგლს და ამდენად, მასში მუზეუმის გამართვით ცდილობდა მის გადარჩენას.“ [ც. მუმლაძე. 1993: 42]. ამ ეკლესია-მონასტრების შემოერთების შემდეგ იზრდებოდა მათ მიმართ დამთვალეიერებელთა დაინტერესებაც, რაც მოითხოვდა თანამშრომელთა რაოდენობის გაზრდას და მომსახურებისათვის გარკვეული საფასურის გადახდას. სწორედ ამ საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას ტრიფონ ჯაფარიძე სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარსამმართველოსადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათში: „კარგათ მოგეხსენებათ, რომ ქუთაისის მუზეუმის, გელათის ტაძრის, ბაგრატის ტაძრის ნანგრევის, უქიმერიონის ციხის და სხვა ძეგლების დათვალეიერების მსურველთა რიცხვი 1923 წლიდან თანდათან მატულობს. ამ ზაფხულზე ქუთაისში დაარსდა ორი საექსკურსიო ბაზა /საქართველოსი და რუსეთის/ ივლისში, თუმცა ოფიციალურად მუზეუმი დახურული იყო, მაგრამ ექსკურსანტები მაინც შეუწყვეტლად ათვალეიერებდნენ.

ქუთაისის მუზეუმს მცირე შტატი ჰყავს და განსაზღვრული საშუალებაც აქვს და ამიტომ აღმინისტრაციას ძლიერ უძნელდება მოგზაურებს მუზეუმში დაათვალეიერების და სხვა ძეგლებიც, მითუმეტეს, რომ გელათში მისვლას იქით-აქით 7 ვერსი მანძილის გავლა უნდა ფეხით და ორი თანამშრომელი თუ არ გაჰყვა მოგზაურებს, ერთს პასუხისმგებლობაც არ დაეკისრება, სათაფლიის გვირაბიც, რომელიც უკვე შესულია აღრიცხვაზე აღებულ ძეგლთა სიაში და სახელმწიფო თანხაც დახარჯულია, 5 ვერსით არის ქუთაისზე დაშორებული და თუ სპეციალური ხელმძღვანელი არ იქნა ისე დათვალეიერებაც არ შეიძლება.

როგორც იცით მოსაზღვრე რესპუბლიკებში /ნაწილობრივ თბილისშიც/ ასეთი ძეგლების დათვალეიერებისათვის ერთგვარი გადასახადია დაწესებული, რაც ნივთიერ შემოსავალსაც იძლევა და უკეთეს დისციპლინასაც ამყარებს.

მოვალე ვარ მოგახსენოთ, რომ ქუთაისშიც საჭირო და სასარგებლო იქნება შემოიღოთ ერთგვარი გადასახადი.

ჩემი აზრით სამართლიანი იქნება ასეთი დებულება დამტკიცდეს და ცხოვრებაში გატარდეს.“ [ქიმ. E-192/1721].

არ არსებობდა რაიმე კულტურული წამოწყება ქალაქში რომლის მონაწილე არ ყოფილიყო ტრიფონ ჯაფარიძე. ერთ-ერთი ასეთია ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის გახსნა 1933 წელს ქუთაისში: „ამა წლის 28 თებერვალს ქალაქის თეატრში ქალაქის საბჭოს ინიციატივით მოხდა ინსტიტუტის საზეიმო გახსნა.“ [ქიმ. 6407/66] იუნყება ტრიფონ ჯაფარიძის პირად არქივში დაცული უნივერსიტეტის დაარსების აქტის ორიგინალი, რომელსაც ხელისუფლების ჩინოვნიკებთან ერთად ხელს აწერენ ინტელიგენციის წარმომადგენლები, ესენია: ი. სირაძე, ი. ვაშაყმაძე, ივ. ძაძამიძე, შ. ჩიხლაძე, შ. სიხარულიძე, გ. ახვლედიანი, კ. ჭკუასელი, ი. მოსეშვილი, გრ. კიკაჩიშვილი, მ. კოსტავა, ა. ადამაშვილი, ტრ. ჯაფარიძე, შ. ნუცუბიძე, მ. გოგიბერიძე, ივ. გვერდნითელი, დ. რუსიძე, ვ. ბარდაველიძე, ლ. რუხაძე, ვ. ფრანგიშვილი, გრ. ჯანელიძე.

ტრიფონ ჯაფარიძის პიროვნების დახასიათებისათვის ფრიად საინტერესოა ქუთაისის ისტორიული მუზეუმის არქივში დაცული ერთი დოკუმენტი. ეს არის 1934 წლის სამუშაო გეგმა. როგორც ვიცით გარკვეული მიზეზების გამო იგი 1930 წლიდან უკვე აღარ იყო დირექტორი და ამ სამუშაოებს ასრულებდა, როგორც მეცნიერ-მუშაკი. ჩემი ყურადღება ამ საბუთმა იმით მიიქცია რომ, მთელი წლის მანძილზე განერილი სამუშაო გეგმა ძალიან დატვირთული და ყოვლისმომცველია.

გათვლილი აქვს ყოველი თვე, რიცხვი და საათიც კი. ამდენად საჭიროდ მივიჩნეე მისი სრულად წარმოდგენა მკითხველის წინაშე: „მიმდინარე 1934 წელში, ჩემ მიერ ჩატარებული იქნება შემდეგი სავალდებულო მუშაობა: ა) რიონჰესის მშენებლობის მონოგრაფიული შესწავლა, ბ) ბაგრატის ტაძრის ნანგრევების აღწერა, გ) უქიმერიონის ციხის აღწერა, დ) ოქროს ჩარდახის და ისტორიული ხის-ჭადრის აღწერა, ე) პატრიქეთის მეურნეობის მონოგრაფიული შესწავლა, ვ) არტელ „ავეჯი“-ს მონოგრაფიული შესწავლა, ზ) 100 სამუზეუმო ნივთის აღწერა, ლ) 60 სამუზეუმო ნივთის შეკრება, თ) გელათის ძეგლების ყოველ თვიურად დათვალიერება, ი) ზაფხულზე შორეული ექსკურსიების კონსულტაცია და ხელმძღვანელობა, ია) ბაღდათის რაიონში სამეცნიერო ექსპედიციის ჩატარება მუზეუმის თანამშრომელთა მონაწილეობა.

ამ სამუშაოების შესრულება გათვალისწინებულია 250 სამუშაო დღეში ე.ი. 1250 საათში კვარტალურად შემდეგ ნაირად:

I კვარტალი: 1) რიონჰესის გამოკვლევის დაწყება 25 დღე.

2) ოცი ნივთის აღწერა – 5 ,,

(იანვარ-მარტი) 3) არტელ „ავეჯი“-ს – შესწავლა – 5 ,,

4) ბაგრატის ტაძრის ნანგრევების აღწერა – 40 ,,

II კვარტალი: 1) რიონჰესის შესწავლის დამთავრება – 48 ,,

2) პატრიქეთის მეურნეობის შესწავლა – 8 ,,

3) 30 ნივთის აღწერა – 7 ,,

4) გამოფენის მოწყობაში მონაწილეობა – 12 ,,

III კვარტალი: 1) ექსპედიციის ჩატარება – 45 ,,

2) 30 ნივთის აღწერა – 10 ,,

3) ოქროს ჩარდახის და ჭადრის აღწერა – 20 ,,

IV კვარტალი: 1) ჭიათურის გამოფენაში მონაწილეობა – 10 ,,

2) 20 ნივთის აღწერა – 5 ,,

(ოქტომბერ-დეკემბერი) 3) ნივთების შეგროვება და გელათში მიმოსვლა – 60 ,,.”

[ქიმ. E 192/3880].

ბოლოს მინდა მუზეუმის შთაბეჭდილებათა წიგნში არსებულ ერთ ჩანაწერზე გავამახვილო ყურადღება, რომელიც 1966 წლით არის დათარიღებული და ვინმე აკაკი კაჭახიძეს ეკუთვნის: „ამ მუზეუმის დამაარსებელს ტრიფონ ჯაფარიძეს და მის ღვანლს ამ საქმეში დროდადრო ვხვდებოდი და თვალყურს ვადევნებდი, მისი მუშაობის დროსაც. ძლიერ სასიამოვნოდ დამირჩა მუზეუმის გამდიდრება სათანადო ექსპონატებით, მხოლოდ სამწუხაროდ დამირჩა ის, რომ ტრიფონ ჯაფარიძისადმი პატივისცემა არ არის წარმოდგენილი სათანადოდ.“ [ქიმ. 192/7002]. ალბათ თითოეული ჩვენთაგანის სათქმელიც ეს არის ამ დიდებული პიროვნების მიმართ, რომელმაც საკუთარი სიცოცხლეც კი შესწირა ამ კეთილშობილურ საქმეს.

ტრიფონ ჯაფარიძის ღვანლის წარმოსაჩენად, ფონდში არსებულ უზღვავე მასალათა შორის ამჯერად ეს დოკუმენტები საკმარისად მივიჩნეეთ.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ქუთაისის მუზეუმის არქივებში ტრიფონ ჯაფარიძის შესახებ დაცული მასალების საძიებელს.

ეს არქივებია:

6407 – ტრიფონ ჯაფარიძის არქივი: № 1; 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 16; 17; 18; 19; 20; 21; 22; 23; 25; 26; 27; 28; 29; 30; 35; 53; 60; 65; 66; 82; 89; 90; 91; 102; 120; 123; 129; 130; 131; 134; 135; 137; 138; 139; 140; 141; 142; 143; 144; 145; 146; 147; 148; 149; 150; 151; 152; 153; 154.

E – 192 ქუთაისის ისტორიული მუზეუმის არქივი: № 6; 9; 11; 13; 14; 29; 31; 32; 34; 35; 36; 37; 38; 41; 44; 50; 53; 54; 62; 63; 69; 70; 71; 72; 91; 96; 97; 98; 99; 100; 101; 102; 103; 104; 109; 110; 111; 115; 116; 117; 118; 120; 126; 139; 142; 143; 146; 147; 149; 152; 156; 157; 158; 159; 160; 161; 168; 174; 176; 179; 180; 188; 189; 191; 192; 206; 208; 210; 212; 215; 216; 222; 224; 229; 234; 237; 238; 245; 246; 247; 249; 250; 252; 253; 254; 257; 270; 279; 285; 302; 306; 308; 321; 324; 325; 349; 351; 355; 357; 361; 363; 364; 367; 371; 372; 373; 374; 376; 381; 382; 384; 385; 392; 393; 397; 398; 411; 417; 427; 433; 439; 441; 446; 456; 457; 459; 464; 472; 475; 482; 485; 487; 489; 491; 493; 496;

497; 499; 501^ა; 506; 509; 511; 514; 518; 520; 523; 525; 529; 531; 533; 534; 535; 538; 541; 542; 546;
550; 565; 567; 573; 582; 583; 585; 586; 587; 590; 595; 597; 598; 599; 600; 602; 609; 610; 611; 613;
615; 638; 639; 641; 666; 668; 669; 670; 672; 675; 677; 680; 685; 690; 692; 697; 699; 701; 705; 706;
707; 708; 709; 710; 711; 712; 713; 716; 718; 720; 722; 726; 727; 729; 730; 731; 732; 733; 738; 742;
744; 745; 746; 748; 750; 752; 753; 754; 755; 756; 756¹; 756²; 756³; 756⁴; 756⁵; 756⁶; 756⁷; 756⁸; 756⁹;
756¹⁰; 756¹¹; 756¹²; 756¹³; 756¹⁴; 756¹⁵; 757; 758; 759; 760; 761; 762; 763; 764; 765; 766; 771; 776;
777; 784; 785; 788; 793; 794; 795; 797; 804; 806; 810; 811; 812; 816; 817; 822; 824; 825; 828; 829;
831; 834; 835; 836; 837; 838; 843; 846; 851; 852; 856; 857; 864; 870; 873; 874; 875; 876; 878; 879;
880; 881; 882; 893; 894; 895; 901; 906; 913; 923; 924; 925; 926; 930; 931; 932; 933; 935; 936; 937;
938; 939; 947; 948; 949; 955; 956; 958; 965; 974; 975; 976; 978; 982; 984; 987; 989; 994; 995; 1006;
1010; 1013; 1016; 1017; 1018; 1019; 1021; 1022; 1024; 1043; 1044; 1045; 1046; 1063¹; 1063²; 1069;
1070; 1071; 1080; 1082; 1089; 1094; 1104; 1105; 1110; 1112; 1122; 1130; 1133⁴; 1133¹⁹; 1133²²; 1133²⁴;
1133²⁵; 1134; 1136; 1139; 1140; 1145; 1154; 1155; 1160; 1170; 1171; 1172; 1176; 1177; 1182; 1185;
1188; 1192; 1193; 1194; 1200; 1202; 1204; 1205; 1207; 1208; 1212; 1213; 1216; 1217; 1224; 1270;
1271; 1276; 1283; 1292; 1304; 1315; 1323; 1329; 1332; 1333; 1334; 1335; 1336; 1337; 1338; 1341;
1344; 1351; 1353; 1359; 1368; 1374; 1376; 1378; 1384; 1385; 1388; 1394; 1395; 1401; 1402; 1410;
1419; 1429; 1430; 1431; 1432; 1433; 1434; 1436; 1437; 1438; 1439; 1440; 1441; 1442; 1443; 1444;
1445; 1450; 1472; 1473; 1474; 1475; 1477; 1481; 1484; 1486; 1492; 1494; 1495; 1504; 1508; 1515;
1523; 1531; 1534; 1539; 1542; 1544; 1552; 1553; 1554; 1562; 1570; 1572; 1573; 1578; 1583; 1588;
1590; 1598; 1612; 1656; 1662; 1663; 1667; 1668; 1677; 1688; 1689; 1691; 1692; 1713; 1715; 1716;
1718; 1719; 1721; 1722; 1723; 1724; 1725; 1731; 1733; 1737; 1739; 1740; 1744; 1745; 1748; 1749;
1750; 1751; 1752; 1753; 1758; 1759; 1760; 1761; 1764; 1765; 1768; 1771; 1775; 1776; 1777; 1778;
1779; 1780; 1781; 1782; 1783; 1787; 1804; 1809; 1811; 1819; 1822; 1831; 1837; 1843; 1844; 1847;
1851; 1860; 1871; 1873; 1876; 1877; 1878; 1879; 1883; 1886; 1892; 1894; 1895; 1896; 1898; 1900;
1902; 1914; 1918; 1920; 1921; 1922; 1924; 1925; 1926; 1928; 1929; 1929¹; 1948; 1953; 1961; 1962;
1964; 1965; 1966; 1967; 1970; 1973; 1983; 1085; 1986; 1987; 1989; 1993; 1994; 1996; 1997; 1998;
1999; 2000; 2002; 2003; 2005; 2007; 2017; 2027; 2028; 2029; 2030; 2031; 2032; 2033; 2034; 2035;
2036; 2037; 2038; 2039; 2040; 2041; 2042; 2043; 2044; 2045; 2046; 2047; 2048; 2049; 2050; 2051;
2052; 2053; 2054; 2055; 2056; 2057; 2058; 2059; 2060; 2061; 2065; 2065; 2066; 2072; 2072; 2081;
2082; 2083; 2095; 2126; 2135; 2139; 2144; 2151; 2155; 2156; 2157; 2158; 2159; 2160; 2161; 2162;
2168; 2173; 2175; 2176; 2178; 2180; 2183; 2184; 2186; 2187; 2188; 2190; 2191; 2192; 2193; 2194; 2195;
2196; 2197; 2198; 2199; 2200; 2201; 2202; 2204; 2205; 2206; 2207; 2208; 2209; 2210; 2211; 2212 2213;
2214; 2215; 2216; 2217; 2218; 2219; 2221; 2222; 2223; 2224; 2225; 2226; 2227; 2228; 2229; 2230;
2231; 2233; 2238; 2240; 2242; 2243; 2244; 2247; 2249; 2253; 2254; 2255; 2259; 2260; 2263; 2266;
2269; 2270; 2272; 2273; 2274; 2275; 2276; 2277; 2278; 2279; 2280; 2281; 2282; 2283; 2285; 2303;
2307; 2312; 2313; 2315; 2316; 2320; 2322; 2323; 2324; 2328; 2353; 2354; 2358; 2360; 2363; 2366;
2367; 2368; 2369; 2372; 2373; 2375; 2379; 2388; 2389; 2390; 2391; 2397; 2399; 2400; 2404; 2405;
2406; 2407; 2408; 2409; 2410; 2411; 2412; 2414; 2417; 2418; 2419; 2420; 2421; 2422; 2425; 2426;
2427; 2432; 2436; 2438; 2439; 2440; 2441; 2442; 2443; 2444; 2451; 2454; 2456; 2457; 2458; 2459;
2460; 2461; 2462; 2467; 2473; 2480; 2481; 2485; 2486; 2517; 1518; 1521; 2522; 2525; 2527; 2532; 2533;
2534; 2534; 2535; 2540; 2543; 2544; 2546; 2547; 2548; 2551; 2552; 2553; 2554; 2555; 2809; 2834;
2845; 2852^ა; 2854; 2858; 2865; 2869; 2872; 2873; 2874; 2876; 2878; 2881; 2882; 2883; 2884; 2885;
2886; 2887; 2888; 2889; 2890; 2891; 2892; 2893; 2894; 2900; 2904; 2927; 2929; 2936; 2938; 2939;
2941; 2945; 2949; 2956; 2957; 2958; 2959; 2960; 2961; 2963; 2964; 2965; 2966; 2967; 2968; 2969;
2970; 2971; 2972; 2973; 2975; 2984; 2985; 2987; 2988; 2990; 2991; 2992; 2995; 2996; 2997; 2999;
3001; 3002; 3007; 3008; 3009; 3010; 3015; 3017; 3018; 3019; 3021; 3022; 3024; 3032; 3037; 3051;
3063; 3066; 3069; 3083; 3085; 3086; 3089; 3091; 3092; 3095; 3098; 3100; 3101; 3103; 3105; 3106;
3109; 3111; 3112; 3114; 3116; 3118; 3119; 3120; 3121; 3122; 3123; 3124; 3130; 3131; 3132; 3133;
3134; 3136; 3138; 3139; 3142; 3143; 3144; 3146; 3152; 3156; 3158; 3159; 3161; 3170; 3170; 3174;

3231; 3236; 3265; 3266; 3267; 3268; 3274; 3276; 3278; 3279; 3284; 3285; 3289; 3297; 3305; 3306; 3307; 3308; 3309; 3310; 3311; 3312; 3313; 3314; 3315; 3316; 3317; 3318; 3319; 3320; 3321; 3322; 3323; 3324; 3325; 3326; 3327; 3328; 3329; 3330; 3331; 3332; 3333; 3334; 3335; 3336; 3337; 3338; 3339; 3340; 3341; 3342; 3343; 3344; 3345; 3346; 3347; 3348; 3349; 3350; 3351; 3352; 3353; 3354; 3355; 3356; 3357; 3358; 3359; 3360; 3361; 3362; 3363; 3364; 3365; 3366; 3370; 3371; 3374; 3376¹; 3376²; 3378; 3379; 3382; 3383; 3384; 3386; 3389; 3390; 3391; 3392; 3393; 3394; 3395; 3396; 3397; 3398; 3399; 3400; 3401; 3402; 3403; 3406; 3407; 3408; 3410; 3411; 3412; 3413; 3415; 3425; 3427; 3429; 3431; 3432; 3433; 3434; 3436; 3437; 3438; 3439; 3440¹; 3445; 3447; 3452; 3453; 3454; 3456; 3458; 3460; 3461; 3463; 3568; 3570; 3571; 3572; 3573; 3574; 3575; 3583; 3599; 3604; 3647; 3648; 3653; 3654; 3707; 3716¹⁷; 3724; 3751; 3776; 3777; 3778; 3781; 3782; 3787; 3790; 3791; 3829; 3836; 3844; 3849; 3851; 3869; 3874; 3880; 3959; 4084; 4107; 4112; 4114; 4115; 4128; 4132; 4140; 4153; 4179; 4182; 4189; 4197; 4220; 4274²¹; 4274²³; 4276; 4288; 4344; 7002.

5286 — ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების არქივი: № 2; 5; 6; 7; 9; 10; 11; 18; 20; 28; 32; 33; 35; 38; 40; 44; 47; 48; 49; 50; 52; 54.

5287 – № 2; 3; 4.

5289 – № 1; 2; 3; 4; 5; 6.

5290 – № 1; 2; 3; 4; 5; 6; 7; 7^b; 8; 20; 21; 24; 26; 28; 29; 32.

5947 – № 2; 4; 5; 6; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 16; 17; 18; 19; 20; 28; 29; 30; 31; 32; 34; 35; 36; 37; 38; 39; 40; 45; 46; 47; 48; 49; 50; 51; 54; 59; 62; 63; 64; 65; 66; 67; 68; 69; 70; 71; 72; 73; 75; 76; 77; 78; 79; 80; 81; 82; 83; 84; 85; 86; 90; 92; 93; 94; 95; 96; 98; 99; 100; 101; 102; 103; 104; 105; 106; 107; 108; 114; 115; 116; 117; 118; 119; 120; 121; 122; 123; 124; 125; 126; 127; 128; 130; 131; 132; 133; 134; 135; 136; 138; 139; 140; 141; 143; 144; 145; 146; 147; 148; 149; 150; 151; 152; 153; 154; 155; 156; 157; 158; 159; 161; 162; 163; 164; 165; 182; 183; 184; 185; 186; 188; 191; 193; 194; 219; 223; 230; 233; 234; 237; 238; 241; 242; 243; 244.

5948 – № 13(1,2,3,4,5); 16(18); 17(9); 27(2); 28(1,2); 48(1,2).

2173 – კირილე ლორთქიფანიძის ლიტერატურული არქივი: № 776.

6417 – კირილე ლორთქიფანიძის საბანკო არქივი: № 5213.

E – 99 – ევსევ ნიკოლაძის არქივი: № 22; 26; 27.

E – 198 – პეტრე ჭაბუკიანის არქივი: № 20; 26; 30; 31; 33; 34; 35; 38; 152; 300; 347; 349; 350; 351; 353; 391; 545; 943; 1473; 1890; 2444.

6416 – გიორგი ზდანოვიჩის (მაიაშვილი) არქივი: № 1627.

2175 – ალექსანდრე გარსევანიშვილის არქივი: № 25; 32; 41.

ლიტერატურა:

- 1) მუმლაძე ც. 1993 : ტრიფონ ჯაფარიძე. ქუთაისი.
- 2) 6407 – ტრიფონ ჯაფარიძის არქივი: №2; 66.
- 3) E – 192 – ქუთაისის ისტორიული მუზეუმის არქივი: №1063²; 163; 825; 1721; 3880; 7002.
- 4) E– 99 – ევსევ ნიკოლაძის არქივი: №26.

EKATERINE KELAURADZE

TRIPHON JAPARIDZE IN THE ARGHIVES OF KUTAISI MUSEUM

Triphon Japaridze holds an important place in the pleiad of Georgian statesmen. His merit is immeasurable for foundation of Kutaisi Historical Museum, which then was formed as a scientific and cultural-educational institution. His private archive is kept in written sources of the museum, in which you can see his important role in the process of current events at the beginning of the twentieth century. You can also find many interesting materials about him in the archives of Kutaisi Historical-Ethnographical Society, Historical Musum, Kirile Lortkipanidze, Evsev nikoladze, Giorgi zdanovich (Maiashvili), Alexandre garsevanishvili, Petre Chabukiani and others. Our aim is to make up an index in connection with the material of Triphon Japaridze, which will help to the researchers coming to the fund of finding and learning the documentary material about the museum. This is very important, because little is known about this person so far.

In the private archive of the famous scientist Evsev Nikoladze, you can find his manuscript: „My Memory from the Past of kutasi Museum” where he marks three moments, while speaking about creating the museum and of the main among them is his meeting with Triphon Japaridze, who made great influence on him as a person and gave him great push in defining his future profession. In the same memory Evsev Nikoladze remarks, that „The main task of Kutaisi Historical-Ethnographical Society was to collect the museum displays. As the members of the society were elderly people, they found difficulties to travel to provinces, and this job was done by me and Triphon Japaridze.”

It is known, that on the 4 th of December, in 1911, in Georgian Gimnazium, was held the meeting of intelligentsia where was decided to form Kutaisi Historic and Ethnographic independent society and Triphon Japaridze was appointed as a chairman.

There were two points in the duties of the museum director-Triphon Japaridze, and if we look through this document, we will see that he was a real performer of these points. He lived with the life of the museum. There were no working hours for him. He even came to the institution at nights and checked what was going there at this time.

The museum was gathering its strenghtn little by little. New items were added to the funds. from 1923, when it began closing churches and monasteries, with the help of Triphin Japaridze, those temples and historical buildings were passed to the museum, in order to protect them in the period of terrible terror. That was Gelati Monastery, Bagrati Temple, Kutaisi former Cathedral Temple (Soboro) and others.

After combining these chur ches and monasteries, grew interests of visitors, which required increasing of the Stuff and giving distinet fee for this service.

There wene no cultural activities in the city without Tripon Japaridze. One of them was the opening Kutaisi Pedagogical Institute, in 1933.

When characterising the personality of trilhon Japaridze, it is interesting to see one of the documents Kept in the archive of the museum.

This is a working plan of the year 1934. As it is Known the wasnit the director from 1930, but worked as a scientist-workev. I paid great attantion to this document, because this plan was for the whole year and it was very universals.

Among the matrerals existing in the funds, these documents are quite enough to see the great merit of Triphon japaridze

ტრიფონ ჯაფარიძე და ანტირელიგიური ბრძოლა

XIX-ის დასასრული და XX-ს-ის დასაწყისი საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ურთულესი პერიოდია. ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა საქართველოში ითვალისწინებდა ქართველი ხალხის თანდათან გაქრობას, მის გარუსებას, ქართული კულტურისა და ტრადიციების მოსპობას, მის ნაცვლად რუსულის დამკვიდრებას. ეს პოლიტიკა სხვადასხვაგვარი მეთოდებითა და ხერხებით, სიტუაციის შესაფერისი აქტივობით ხორციელდებოდა საქართველოს ანექსიის მთელ მანძილზე.

ქართული ეკლესია, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მთელ მანძილზე, ქართველი ხალხის ეროვნული მთლიანობის განმტკიცების საქმეს ემსახურებოდა. ამიტომ ცარიზმმა ქართული სახელმწიფოებრივი აპარატის მოშლისა და რუსული მმართველობის დამკვიდრების კვალდაკვალ, ქართულ ეკლესიას შეუტია. 1811-1814 წლებში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში გაუქმდა კათოლიკოს-პატრიარქის ტახტი. ქართული ეკლესია რუსეთის სინოდის ეგზარქოსად გადაიქცა. ეგზარქოსის თანამდებობაზე დანიშნეს რიაზანის არქიეპისკოპოსი თეოფილაქტე რუსანოვი. ნირვა-ლოცვა შემოღებული იქნა რუსულ ენაზე. მისი მითითებით დაიწყო საეკლესიო ქონების აღწერა, რათა იგი ხაზინას გადაეცემოდა. ამ მოძრაობას, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში ქართული ეკლესიის წარმომადგენლები აღუდგნენ წინ. მოძრაობამ აჯანყების ხასიათი მიიღო, მოძრაობის სასულიერო მესვეურები გაენათელი ექვთიმე და ქუთათელი დოსითეოსი დააპატიმრეს და რუსეთში გადაასახლეს [ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე -1991 წ. გვ.17-18].

ქართული ეკლესია რუსიფიკაციის ამ პოლიტიკას ვერ უწევდა სათანადო წინაღმდეგობას, მაგრამ ცარიზმის კოლონიური რეჟიმის მთელ მანძილზე იბრძოდა დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. 1917 წლის თებერვალში ცარისტული რეჟიმის დამხობა ქმნიდა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის ხელსაყრელ მომენტს და გარანტიას. 1917 წ. 12 მარტს მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში საზეიმოდ გამოცხადდა ეკლესიის ავტოკეფალია. 16 მარტს თბილისში სასულიერო მოღვაწეთა კრება შედგა და გადაწყდა, რომ სიონის ტაძარში ღვთისმსახურება ქართულ ენაზე შესრულდებოდა. რუსეთის მთავრობა იძულებული გახდა დათანხმებულიყო ამ განზრახვაზე, მაგრამ მაინც შეიტანა მნიშვნელოვანი შესწორება, რომლის მიხედვით ავტოკეფალია ძალაში უნდა შესულიყო არა ტერიტორიული, არამედ ეროვნული მთლიანობით, რაც იმას ნიშნავდა, რომ მართლმადიდებლური რუსული და სხვა არაქართული მოსახლეობის ეკლესიები ისევ რუსეთის გამგებლობაში უნდა დარჩენილიყო. ამ გადაწყვეტილებამ ქართველ საეკლესიო პირთა პროტესტი გამოიწვია [ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე 1991წ. გვ. 184].

1917 წლის 13 აგვისტოს ქართულმა სამღვდელთა აღადგინა თბილისის ეპარქია, თბილისელ მეტროპოლიტად აირჩიეს ეპისკოპოსი — ლეონიდე, ამავე პერიოდში მოხერხდა ეპისკოპოს კირიონის სამშობლოში დაბრუნება.

1917 წლის 17 ოქტომბერს მოეწყო კათალიკოს — პატრიარქის არჩევნები კენჭს იყრიდა ორი კანდიდატი — ეპისკოპოსი კირიონ საძაგლიშვილი და მიტროპოლიტი ლეონიდე ოქროპირიძე. კირიონს მისი ინტელექტუალური შესაძლებლობების გამო ინტელიგენციის დიდი ნაწილი უჭერდა მხარს. ლეონიდე მოხსნა თავისი კანდიდატურა კირიონის სასარგებლოდ. კირიონი გახდა საქართველოს კათალიკოს პატრიარქი. [გ. მჭედლიძე, მ. კეზევაძე —2008 წელი. გვ.406-407].

1917 წლის 14 ოქტომბერს მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში მოხდა კირიონ II საძაგლიშვილის კათალიკოს — პატრიარქად აღსაყდრება. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის გამოცხადება დიდმნიშვნელოვანი აქტი იყო, არა მარტო ქართული ეკლესიის, არამედ მთელი ქვეყნის ისტორიაში. ამით გამოსწორდა რუსეთის მიერ ჩადენილი უსამართლობა აღსდგა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, რომელიც იმ დროს დაკანონდა მსოფლიო საეკლესიო კრებაზე (გ. მჭედლიძე, მ. კეზევაძე — ქუთაისი. 2008, გვ. 408).

1918 წლის დამოუკიდებლობის აქტის მიღებამდე, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში იგი ყველაზე მნიშ-

ვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა. 1920 წლის ნოემბერში ეკლესია სახელმწიფოსაგან გამოყოფილად გამოცხადდა.

1921 წელს მოხდა საქართველოს ანექსია. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით საქართველომ დაჰკარგა ეროვნული სუვერენიტეტი. განხორციელდა მისი მეორედ დაპყრობა რუსეთის მიერ. რასაც მოჰყვა ეკლესიების რბევა, სასულიერო პირთა ფიზიკური და მორალური განადგურება. ყოველივე ამან მასობრივი ხასიათი მიიღო.

საქართველოს მოსახლეობის გულისწყრომას ინვევდა მთავრობის ანტირელიგიური ღონისძიებები ქრისტიანული ეკლესიის წინააღმდეგ. 1922-1923 წლებში ხალხის სურვილის საპირისპიროდ დაინგრა 1500 ეკლესია და განადგურდა საეკლესიო ქონება, დაინვა უნიკალური ხელნაწერები, რომელთაგან ბევრი ეროვნულ განძს წარმოადგენდა. კომუნისტები და კომკავშირელები ხელისუფლების ნაქეზებით ანგრევდნენ არა მარტო ეკლესია-მონასტრებს, არამედ ხოცავდნენ სასულიერო წრის წარმომადგენლებს. ეს იყო ნამდვილი ანტირელიგიური დიქტატურა, რომელიც შეურაცხოფდა ხალხის რწმენას, ტრადიციასა და კულტურას.

1921 წლის გასაბჭოების შემდეგ, მენშევიკური მთავრობის წინადადებით, საეკლესიო საბჭოს დადგენილების თანახმად, რომელსაც კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდე ხელმძღვანელობდა, სიონისა და სვეტიცხოვლის განძეულობა უნდა გადაეტანათ ქუთაისის სახელმწიფო ხაზინაში ან ბანკში შესანახად. მენშევიკური მთავრობის წინადადებით მუზეუმის ზედამხედველს ექვთიმე თაყაიშვილს დაევალა, რომ ხაზინის ქონებასთან ერთად თბილისიდან ქუთაისში გადაეტანა სამუზეუმო საკუთრება. გამზადდა ნივთები და მატარებლით ქუთაისში გადმოვიდა.

თბილისიდან ჩამოტანილ განძეულობას შეემატა გელათისა და მარტვილის განძი. ქონების ის ნაწილი, რომელიც სამუზეუმოდ იქნა მიჩნეული ექვთიმე თაყაიშვილმა და მიტროპოლიტმა ნაზარი ლეჟავამ გადაარჩიეს და გასამგზავრებლად მოამზადეს, ხოლო დარჩენილი ნაწილი ნაზარი ლეჟავას ჩაბარდა ხელწერილით.

გეგმის მიხედვით ნაზარი ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად განძს უნდა გაყოლოდა პარიზში და უკან არ უნდა დაბრუნებულიყო, ვიდრე ამას საჭიროება არ მოითხოვდა, მას პარიზში უნდა გაეგრძელებია მოღვაწეობა და განძეულობა დაეცვა, მაგრამ მღვთელმთავარმა არ მიატოვა თავისი ქვეყანა გასაჭირის ჟამს. [გ. ასათიანი- თბილისი 1995წ. გვ. 24]

დასავლეთ საქართველოს მარბებში სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის საქმის ორგანიზაცია დაკისრებული ჰქონდა ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმს, რომლის დირექტორი იყო ტრიფონ ჯაფარიძე.

ტრიფონ ჯაფარიძე მე-20 საუკუნის I ნახევრის თვალსაჩინო მოღვაწეა, მან ძველი საეკლესიო ისტორიული ძეგლების დაცვა-პატრონობაც იკისრა. ქუთაისის მუზეუმის დირექტორი ნათესაურადაც იყო დაკავშირებული სასულიერო წოდების წარმომადგენლებთან და ეს კიდევ უფრო ამძაფრებდა მის სურვილს დაეცვა ჩვენი ეკლესია მონასტრები იმ წარმართთაგან, რომლებიც ცდილობდნენ სარწმუნეობის აღმოფხვრა-ამოგდებას. [დ. ბრეგაძე „ვალმოხდილი მოქალაქე“ გაზ. „მონამეთა“ 1991 №4]

ტრიფონ ჯაფარიძეს განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის დაარსებასა და ფონდების დაკომპლექტებაში. იგი იყო მუზეუმის პირველი დირექტორი (1922-1930წლებში). მისი მოღვაწეობის დროს მუზეუმის ფონდები შეივსო მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ნუმიზმატიკური და ჭედური ხელოვნების ძეგლებით. ძველი ხელნაწერი წიგნებითა და ისტორიული საბუთებით.

სამუზეუმო მასალების შეგროვება მან ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარე იყო. [ც. მუმლაძე - გაზ. „ქუთაისი“, 1990წ. 14 აპრილი].

საისტორიო და საეკლესიო საზოგადოებამ ტრ. ჯაფარიძის მესვეურობით მუშაობა გააჩაღა სიძველეების მოძიებისა და შეკრებისათვის. მოსახლეობამაც შეძლებისდაგვარად უმნიშვნელო სახსრები შესწირა საზოგადოებას.

საზოგადოებამ ტრ. ჯაფარიძის თაოსნობით ზოგიერთი საპატიო პირის წინაშე, რომელთა ოჯახშიც საყურადღებო ნივთები ინახებოდა აღძრა წერილობითი შუამდგომლობა და მიუგზავნა მათ

დებუტაცია. აგრეთვე მოაწყო ექსკურსიები შორაპანის მაზრაში ზუგდიდის რაიონში და სვანეთში. სამთავებან აქტიური მონაწილეობა მიიღო. ორი წლის მუშაობამ ეროვნულ მუზეუმს ქუთაისში საიმედო საძირკველი გაუსკვნა. 1915 წ. მუზეუმში მოგროვილი იყო 1000-ზე მეტი ნივთი. [ანგარიში ქუთაისის საისტ. საეთ. საზ-ისა 1913-15წწ. ქუთაისი. “ 1916წ. გვ-5]

ძველი ნივთების მოპოვების მიზნით ტრ. ჯაფარიძეს პირადი მიმონერა ჰქონდა სხვადასხვა პირებთან. ძალზე საინტერესოა მისი წერილი იმერეთის ეპისკოპოსს ყოვლად უსამღვდელოეს გიორგისადმი: “სოფელ ხომელში, მაცხოვრის ეკლესიაში ძველი სამხატვროს (იკონოსტასი) მოშლისა და ახლის გაკეთებასთან დაკავშირებით, ძველი კარები და ძველი ხის ხატები მოუვლელად დარჩა.” ტრიფონი თხოვს, რომ ის გადმოიტანონ მუზეუმში – „რადგან მუზეუმისათვის ეს ნივთები ყოველ შემთხვევაში საყურადღებოა და თანაც მუზეუმის დანიშნულებაც ისაა, ამგვარ ძველ ნივთებს მოუაროს და დაიცვას... ეგებ ოდესმე ვინმე მეცნიერისთვის სამუშაო მასალად გამოდგეს.“ [ქიმ. 5286/333].

1916 წლის 12 ივნისს გამართულ კრებაზე აღინიშნა, რომ გამგეობამ ნაყოფიერად იმუშავა, ბევრი ძვირფასი ნივთი შეიძინა, ამავე კრებაზე ტრ. ჯაფარიძემ ვრცელი სიტყვით გააცნო საზოგადოებას იმ უხვი შემონიერულობის შესახებ, რომელიც გაუღია ჩვენს მსცოვან საზოგადო მოღვაწეს კირილე ლორთქიფანიძეს — აუარებელი ხელნაწერები, წიგნები და სხვა ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც მას სხვადასხვა დროს შეუძენია სხვა და სხვა პირებისაგან ქართული საზოგადოებისათვის გადასაცემათ. მან აგრეთვე თავისი საკუთარი ბიბლიოთეკა, რომელშიაც ბევრი უნიკალური წიგნია, შესწირა ჩვენს მუზეუმს” [ქიმ. 5289/2].

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება ტრიფონ ჯაფარიძის თაოსნობით ენერგიასა და ძალ-ღონეს არ იშურებდა იმისათვის, რომ სიძველეები დაეცვა და გადაერჩინა.

მუზეუმის არქივში დაცულია უამრავი მასალა, რომლებიც შეიცავენ ცნობებს ტრიფონ ჯაფარიძის მიერ დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლების, მათში არსებული განძეულის არამარტო გადასარჩენად, არამედ შემდგომი დაცვისა და შენახვისათვის განეული საქმიანობის შესახებ..

1923 წლისათვის საქართველოში მასიურად დაიწყო ეკლესია-მონასტრების დაკეტვა. საშიშროება შეექმნა მათში დაცულ ქართული წიგნური ხელოვნების ნიმუშებსა და უნიკალურ ხელნაწერ წიგნებს. მან ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ სამოქმედო ზონაში არსებულ ეკლესიებში დაცული ეროვნული სიმდიდრე გადაერჩინა. ამ პერიოდისათვის ტრიფონ ჯაფარიძე დაკავებული იყო ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის გამოფენის მოწყობით. თავი არ აურიდებია ზედმეტი დატვირთვისათვის და ეკლესიებსა და მონასტრებში არსებული განძეულის დაცვის მიზნით, ქუთაისის სამაზრო აღმასკომს, ქუთაისში საეკლესიო მუზეუმის მოწყობა შესთავაზა. 1923 წლის 14 მარტს ტრიფონ ჯაფარიძე ქუთაისის სამაზრო აღმასკომს წერს: „საეკლესიო მუზეუმის შესახებ გთხოვთ, სწრაფად მოიფიქროთ, რადგან ეკლესიები იკეტება. იქ დიდძალი სიმდიდრე და განძეულობაა, მათ შორის ისეთი ნივთები, რომლებიც არქეოლოგიურ განძს წარმოადგენს. საეკლესიო მუზეუმში ძვირფასი განძეულობით უნდა იქნეს ცალკე დანახება... სადაც თავს მოიყრის დიდძალი სიმდიდრე-განძი, რაც სახელმწიფოსთვის სასახელო და სასარგებლო იქნება და კაცობრიობის ყურადღებას მიიპყრობს. იმ მუზეუმში დაგროვდება სიძველენი, რომელნიც სხვადასხვა ადგილებში თუმცა დღემდე დაცულია, მაგრამ ვინ იცის რა ხიფათი მოელის...” [E ქიმ. E 192/245].

მას საეკლესიო მუზეუმისათვის შენობაც ჰქონდა მოძებნილი. ეს იყო საკათედრო ტაძარი — იგივე “სობორო.” “საეკლესიო მუზეუმისათვის საუკეთესო ადგილია და შესაფერისი ბინა ქუთაისის ყოფილი საკათედრო ტაძრის შენობა, რომელიც ქალაქის ცენტრშია, განცალკევებული შენობაა, გარშემო ბაღით შეზღუდული და შიგნით მხატვრულად მორთული. თუ ამ შენობას ეს დანიშნულება მიეცემა ქუთაისის ექნება ისეთი რამ, როგორც თბილისსა აქვს — “ხელოვნების ტაძარი” — “храм славы”- მე ასეთი მუზეუმის მოწყობა და სამსახური ისედაც მევალება და შრომას არ დავზოგავ” [E ქიმ. E 192/245]. მაგრამ მის ჩანაფიქრს ასრულება არ ეწერა. საკათედრო ტაძარი დანგრეულ იქნა. 1923 წლის შემოდგომაზე, ტაძრიდან გამოიტანეს ხატები, დაყარეს ბაღის კიდეზე, ფეხებით შედგნენ, სობორის სამრეკლო ძალზედ მაღალი იყო, მის თავზე არსებული ვებერთელა ჯვარი გა-

დალუნეს და ასე გადალუნული იყო ტაძრის სრულ დანგრევამდე, საბოლოოდ სობორო მომავალ წელს დაანგრეს [ე.თავბერიძე - გაზეთი “მონამეთა”, 1990წ. №7-8 ივნისი-აგვისტო].

ტრიფონ ჯაფარიძემ გადაურჩინა ხალხს არგვეთის მთავრების, წმინდა მონამეთა დავით და კონსტანტინეს ნეშტი, რომელიც 1923 წელს „ულმერთოთა კავშირის“ წევრებმა მონამეთის მონასტრიდან გამოიტანეს და შეურაცხვეს. 1923 წლის 4 მარტს, გაზეთ „მუშა და გლეხში“ რუბრიკით “ბრძოლა ცრუ რწმენების წინააღმდეგ”, დაიბეჭდა საექიმო კომისიის ოქმი დავით და კონსტანტინეს ნაშთების გახსნის შესახებ. ოქმი იუნყებოდა, რომ 1923 წლის 18 თებერვალს ქუთაისის ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების პრეზიდიუმის წინადადებით ამავე საზოგადოების წევრმა ექიმებმა იოსებ ჯინორიძემ, დავით ლორთქიფანიძემ და ივანე შლიუტკოვსკიმ - ქუთაისის მაზრის ჯანმრთელობის განყოფილების კოლეგიის გამგემ ექიმ ვალერიან აბზიანიძის, ექიმ ლოსაბერიძის და ექიმ კვიციანიძის თანდასწრებით მონამეთის მონასტერში მოახდინეს დავით და კონსტანტინეს ნაშთების დათვალიერება: დათვალიერების მიზანი იყო დაედგინათ მათი სასწაულებრივი ხასიათი. შედგა საექიმო კომისიის დასკვნა, სადაც საზგასმით აღინიშნა, რომ მეცნიერება იცნობს ძეგლების შენახვას არა მხოლოდ ე.წ. წმინდანებისას, არამედ ბევრი ჩვეულებრივი ადამიანისას, მაგალითად ეგვიპტეში, იტალიაში, შვეიცარიაში, რუსეთში და აგრეთვე სვანეთშიდაც და არა მარტო ადამიანებისას, არამედ ისტორიის წინა დროის ცხოველებისას. მეცნიერება იცნობს ხელოვნურად ჩონჩხების შენახვას სარწმუნოებრივი და მეცნიერული თვალსაზრისით უხსოვარი დროიდან. კომისიამ დაასკვნა, რომ „დავით და კონსტანტინეს ნაშთის დღემდე შენახვაში არავითარი სასწაულებრივი, ან არაბუნებრივი არ იყო“ [გაზეთი - “მუშა და გლეხი“, 1923 წ. 4 მარტი]. აი რას ვკითხულობთ ელ.თავბერიძის სტატიაში “ბოროტების კარუსელი”: “...სადგურიდან ისინი ქალაქის ცენტრისაკენ წამოვიდნენ, გზაში შეკრებილ ხალხს ძვლებს აჩვენებდნენ, ყვიროდნენ. ერთი-ორი იგინებოდა კიდევ. შემდეგ ძვლები ყუთში ჩაყარეს, ახლანდელი აღმაშენებლის მოედანზე, სახაჭაპურის თავზე, III — ინტერნაციონალის კლუბი იყო და იქ შეინახეს. იქ ისინი დიდხანს იყო, ყველას აჩვენებდნენ — სათანადო განმარტებასაც აძლევდნენ, თუ როგორ ატყუებდნენ ხალხს” [ე. თავბერიძე გაზ. “მონამეთა” №7-8, 1990წ. ივნისი-აგვისტო.]

ტრიფონ ჯაფარიძის მეოხებით “ულმერთოთა კავშირის” წევრთა მიერ შეურაცხყოფილი წმინდათა ნეშტი ქუთაისის მუზეუმში იქნა მოთავსებული.

ქუთაისის მუზეუმის არქივში დაცულია უამრავი მასალა, რომელიც შეიცავენ ცნობებს ტრიფონ ჯაფარიძის მიერ დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლების, მასში არსებული განძეულის არამარტო გადასარჩენად, არამედ მათი შემდგომი დაცვისა და შენახვისათვის განეული საქმიანობის შესახებ.

1923 წლის მაისის თვეში მონამეთის მონასტრის საეკლესიო განძეულობა: ვერცხლის ხატები, ჯვრები, საცეცხლურები და სხვა უამრავი საეკლესიო ნივთი გადმოეცა ქუთაისის მუზეუმს და მის დირექტორს ტრიფონ ჯაფარიძეს ჩაბარდა. [ქიმ. E 192-109, 128]. 1923 წლის აგვისტოში გადაწყდა გელათისა და ქუთაისის საკათედრო ტაძრის სიმდიდრე დაცული ყოფილიყო ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმში [E 192-84; 114; 117; 118].

1923 წლის 9 ივლისს ქუთაისის მუზეუმში მოვიდა საქართველოს რესპუბლიკის სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა საგანგებო კომიტეტის რწმუნებულის განცხადება, რომელიც ავალბდა მუზეუმის დირექტორს ტრიფონ ჯაფარიძეს გამგზავრებულყო შორაპნის მაზრაში და ადგილობრივი აღმასკომის მიერ დანიშნულ პირთა მონაწილეობით აღენერა ქალაქისა და მაზრის სიძველეები, გამოერკვია მათი ისტორიული და მეცნიერული მნიშვნელობა, და გადატანილ ყოფილიყო ისინი ქუთაისისა და თბილისის მუზეუმში, რათა გადარჩენოდა იმ ანტირელიგიურ ბრძოლას, რომლებსაც ბოლშევიკები აწარმოებდნენ [E 192/249].

1923 წლის ივნისის თვეში ტრიფონ ჯაფარიძემ იმოგზაურა შორაპნის მაზრაში, ადგილობრივ წარმომადგენელ შუკაკიძესთან ერთად, მათ მოიარეს მაზრის 12 სოფელი. განსაკუთრებით დიდი საეკლესიო საგანძური ამოღებულ იქნა ჯრუჭის მონასტრიდან, ეს განძეულობა თვით არქიმანდრიტმა პავლემ ჩააბარა ტრ. ჯაფარიძეს.. [ქიმ. 192-188, 189].

იმ ანტირელიგიურ ბრძოლაში, რომელიც XX საუკუნის 20-30 — იან წლებში მიდინარეობდა საქართველოში, ტრ.ჯაფარიძესა და სხვა მოღვაწეებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა

ქართველი მკვლევარი, ისტორიკოსი და მხარეთმცოდნე გიორგი ბოჭორიძე, რომელიც საბოლოოდ საბჭოური რეპრესიების მსხვერპლი გახდა. მისი მუშაობა მიზნად ისახავდა საქართველოს სოფლებში შემორჩენილი ისტორიული ძეგლების აღნუსხვას, აღწერას და გამოცემას. 1925 წლის გაზაფხულზე გ. ბოჭორიძემ, სპეციალური მინდობილობით – საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის მანდატით, იმოგზაურა ქუთაისის, შოროპნის, რაჭისა და ლეჩხუმის მაზრაში [მ.ნიკოლეიშვილი, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები — ტ.1 1968წ, გვ.11.].

1930 წლის 13 აგვისტოს, გ. ბოჭორიძემ რაჭა-ლეჩხუმიდან და იმერეთიდან ჩამოტანილი ისტორიული ნივთები, ხელნაწერები, სტამბური წიგნები და სხვა საეკლესიო ნივთები ჩააბარა ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის დირექტორს ტრიფონ ჯაფარიძეს და ზედამხედველ ევსევ ნიკოლაძეს. [ქიმ. E 192-2482].

ტრიფონ ჯაფარიძის პიროვნება თანამედროვეთა საყოველთაო ყურადღებით იყო გარემოცული. 1929 წლამდე მის მოღვაწეობას ჯეროვნად აფასებდნენ ხელისუფლების წარმომადგენლებიც. შემდეგ კი სიტუაცია შეიცვალა. დაინტერესებული პირების მიერ სხვადასხვა ინსტანციებში გაგზავნილი საჩივრების საფუძველზე იქმნებოდა კომისიები, იკვლევდნენ მუზეუმისა და მისი პერსონალის საქმიანობას. 30-იან წლებში, რეპრესიების პერიოდში მის წინააღმდეგ ბრძოლა განსაკუთრებით გააქტიურდა [ც.მუმლაძე – “ტრ. ჯაფარიძე”, გამ.“სარანგი”;1993წ.].

1930 წლის 22 აპრილს გაზეთში – „ლენინის გზით“, გაჩნდა ანონიმური წერილი სათაურით — “ბნელი საქმეები ქუთაისის მუზეუმში, ტრიფონ ჯაფარიძე მავნებელია — იგი უნდა მოიხსნას”, წერილში ვკითხულობთ: „...არ შეიძლება დამშვიდებით მოიხსინო ამბები, რომლებსაც ადგილი აქვს ქუთაისის მუზეუმის გარშემო. პირველ რიგში მოგახსენებთ ერთ გარემოებას: „ქუთაისის მუზეუმს განაგებს საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი და თვითონ სამუზეუმო ადამიანი ...” ეს გახლავთ ტრიფონ ჯაფარიძე... ადამიანი: აზნაური, მღვდელთა შთამომავალი და „წმინდა“ ეპისკოპოსის გვაროვანი სიძე, მებატონის ფსიხოლოგიით აღსავსე, ძველად საეპარქიო საქმის გავლენიანი პირი, ეროვნული დემოკრატიული პარტიის დამფუძვლებელი ბელადთაგანი, ერთი სიტყვით იმ „დროში“ პატივცემული და დაფასებული მოღვაწე...” [გაზეთი „ლენინის გზით“, 1930წ, 22 აპრილი].

წერილის ავტორმა ტრიფონ ჯაფარიძეს მთელი რიგი ბრალდებები წაუყენა: რომ მუზეუმი ვერ აკმაყოფილებდა თანამედროვე საბჭოთა მოთხოვნებს, მუზეუმი გადაიქცა საეკლესიო საგანძურად, მის მუზეუმში არ არის კლასთა ბრძოლის ამსახველი მასალები, განდევნა მუზეუმიდან “თავდადებული არქეოლოგი” პეტრე ჭაბუკიანი . . .

“მუზეუმში, რომელიც ეკლესიად გადააქცია, ყავს საკუთარი შტატი, რომელშიც შედის მთავარი დიაკვანი სოხაძე და ყოვლად სამღვდელო ნიკოლაძე. იგი მავნებელია, და არ გამოადგება ქუთაისის მუზეუმს დირექტორად, მოწაფეებსა და ექკურსიებს, რომელიც მუზეუმის დასათვალისწინებლად მოდიოდნენ, აძლევდნენ აშკარა ანტისაბჭოთა განმარტებებს, ჯაფარიძე ანტიმარქსისტულ განცხადებებს იძლეოდა ექსპონატების შესახებ. . . .

ჯაფარიძე, ნიკოლაძე და სოხაძე მოხსნილია სამუშაოდან, ხდება მუზეუმის რეორგანიზაცია”. [გაზ. „კომუნისტი“ 1930წ, №230, 2 ოქტომბერი]. ტრიფონ ჯაფარიძე “ხალხის მტრად” გამოცხადდა.

მუზეუმისადმი მაკონტროლებელი ორგანოების განსაკუთრებულ ინტერესს ტრიფონ ჯაფარიძე იმით ხსნიდა, რომ “დღემდე მუზეუმს მტერი არ ჰყავდა, მის ზრდა-განვითარებას ყველა თანაურდნობდა და სამართლიანად შეიძლება ითქვას, რომ მუზეუმი უმტერო დაწესებულება იყო და შინა მუშაობასაც ზუსტად ის უწყობდა ხელს და კიდევ მიტომ შეგროვდა და აღინუსხა სახელმწიფოსათვის ფასდაუდებელი სამეცნიერო ფონდი, რასაც ადასტურებს გამოფენილი ექსპონატები და გამოსაფენი მასალა. რესპუბლიკის პრესამ ამ რვა წლის განმავლობაში ქართულმაც და რუსულმაც ხშირად აღნიშნეს მუზეუმის ღირსება და ნაყოფიერი მუშაობა („კომუნისტი“, „მუშა და გლეხი“, „ზარია ვასტოკა“). მთავრობას ვთხოვ საშუალება მომცეს ან გაზეთში გამოვაქვეყნო უტყუარი საბუთები ყალბი ბრალდების წინააღმდეგ, ან საჯაროთ ვუპასუხო პროვოკატორს და მსჯავრი ხალხმა დადოს. საბჭოთა ხელისუფლება არ ინებებს, რომ მე ადამიანური უფლება წამერთვას და

ძალმომრეობის მსხვერპლი შევიქმნე”. ვკითხულობთ ზემოთ ხსენებული საგაზეთო წერილის პასუხში, რომელიც 1930 წლის 29 აპრილს დაინერა და ინახება მის პირად არქივში. [ქიმ. 6407/71].

1930 წლის 22 აპრილს გამოქვეყნებული წერილის საფუძველზე ქუთაისის რაიკომის ბიურომ შეისწავლა მუზეუმის და მისი თანამშრომლების საქმიანობა. სამსახურიდან გაანთავისუფლეს დირექტორი ტრიფონ ჯაფარიძე, ზედამხედველი ევ. ნიკოლაძე და ტარასი სოხაძე. მუზეუმის დირექტორის მოადგილედ დაინიშნა პ. ჭაბუკიანი. მუზეუმის საქმიანობის გასაუმჯობესებლად დასახეს პრაქტიკული ღონისძიებები: „1) შეივსოს მუზეუმი კლასთა ბრძოლის გამომხატველი მასალით და განიდევნოს ისტორიული ძეგლები, რომელთაც არავითარი მნიშვნელობა არ აქვს.

2) ძველი სიგელ-გუჯრები, რომელიც საიდუმლოდ არის ჩაკეტილი გამოიფინოს რათა ნათელყოს ბატონყმობის პერიოდი.

3) გაიყიდოს არა სამუზეუმო საეკლესიო ნივთები და თანხა გადაირიცხოს ინდუსტრიალიზაციის და კოლექტივიზაციის ფონდში”.

ეს დადგენილება დამტკიცებული იქნა რაიკომის ბიუროს მიერ [გაზ. — “ლენინის გზით” — “დირექტორი ტრიფონ ჯაფარიძე, ნიკოლაძე და სოხაძე გადაყენებული არიან” — 1930წ. 20 სექტემბერი].

ყოველივე აქედან ნათელი ხდება, რომ ტრიფონ ჯაფარიძე 30-იანი წლების რეპრესიების მსხვერპლი გახდა. 1937 წ. 30 ივნისს იგი დააპატიმრეს, გაასამართლეს სისხლის სამართლის კოდექსის 58-IV და 58-II მუხლების შესაბამისად. ე.ი. ანტისაბჭოთა აგიტაცია-პროპაგანდისა და ანტისაბჭოთა ორგანიზაციული ქმედებისათვის [ციცინო მუმლაძე—ტრ.ჯაფარიძე”, 1993წ. გვ 20].

დაპატიმრების შემდეგ მას ჯანმრთელობამ უმტყუნა და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ციხის საავადმყოფოში გარდაიცვალა. ძიება შეწყდა.

განუზომელია ტრიფონ ჯაფარიძის როლი, ისტორიული სიძველეების დაცვის საქმეში, სწორედ მისი უდიდესი დამსახურებაა, რომ სხვადასხვა სახის ისტორიული ნივთი თუ მატერიალური კულტურის არაერთი ძეგლი გადარჩა განადგურებას. მან თავისი მოღვაწეობით წარუშლელი კვალი დატოვა ქალაქის კულტურის ისტორიაში.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში საქართველოში მიმდინარე ანტირელიგიურ ბრძოლას ტრიფონ ჯაფარიძესთან ერთად ბევრი ღირსეული მამულიშვილი შეეწირა. თავისი სიცოცხლის მსხვერპლად გაღებით, მათ მომავალ თაობებს შეუნარჩუნეს ეკლესია-მონასტრებში დავანებული ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის საგანძური. თვით ეკლესია კი მაინც ვერ იხსნეს ბოლშევიკთა მარნუხებიდან. ეს მომავლის საქმე იყო: სამოცდაათწლიანი საბჭოთა უღელის მოხსნის შემდეგ, საქართველოში ქართულმა მართმადიდებელმა ეკლესიამ წარმატებით განაახლა საღმრთო საქმიანობა. ათასობით გაიზარდა მართმადიდებელი მრევლის რაოდენობა და ეს ქართული საზოგადოების სულიერი ამაღლებით უნდა აიხსნას.

ლიტერატურა:

1. ასათიანი გორა - „ახალმონაშენი — ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაზარი“ - თბილისი — 1995 წ.
2. „ანგარიში ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა 1913-15 წლებში ქუთაისში“. ქუთაისი — 1916 წ.
3. ბრეგაძე დავითი - „ვალმოხდილი მოქალაქე“ - გაზეთი „მონაშენი“ 1991 წელი №4.
4. თავბერიძე ელგუჯა — „ბოროტების კარუსელი“ ანუ ნითელ წიგნში შესატანი ისტორია. გაზეთი „მონაშენი“ - 1990 წელი. ივნისი-აგვისტო №7-8.
5. გაზეთი „კომუნისტი“ - „რა ხდება ადგილებზე“, 19930 წელი №230
6. გაზეთი „ლენინის გზით“ - „ბნელი საქმეები ქუთაისის მუზეუმში“ 1930 წელი 22 აპრილი.
7. გაზეთი „ლენინის გზით“ - „დირექტორი ტრიფონ ჯაფარიძე და სოხაძე გადაყენებული არიან“. 1930 წლის 20 სექტემბერი
8. მუმლაძე ციცილო - „ტრიფონ ჯაფარიძე“ - ქუთაისი, 1993 წელი.
9. მუმლაძე ციცილო - „ისტორია მიაგებს პატივს“ - გაზეთი „ქუთაისი“ 1990 წლის №14.
10. მჭედლიძე გიორგი, კეზევაძე მერაბი - „ქუთაის - გაენათის ეპარქია“ ქუთაისი 2008 წელი.

11. გაზეთი „მუშა და გლეხი“- 1923 წელი 4 მარტი
12. ნიკოლეიშვილი მიხეილ - „მუზეუმის ისტორიიდან“ - ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები, ტომი I, 1968 წელი.
13. ნიკოლეიშვილი მიხეილ — „განძი და საგანძური“ - ქუთაისის 1986წ.
14. სურგულაძე აკაკი, სურგულაძე პაატა - „საქართველოს ისტორია 1783-1990“ - თბილისი 1990 წელი.
15. ქუთაისის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმის არქივი (ქიმ) E-192-84, 109, 114, 117, 118, 128, 188, 189, 245, 249, 2482.
16. ქუთაისის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმის არქივი 5286-2.
17. ქუთაისის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმის არქივი 5286-333
18. ქუთაისის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმის არქივი 6407-71.

NINO KUKHIANIDZE

TRIPON JAPARIDZE AND ANTIRELIGIOUS FIGHT

The end of XIX century and the beginning of XX is one of the important periods in the history of Georgia. Colonial politics of tsarism wanted to change Georgian people's culture and traditions as a Russian.

Tsarizm fought against Georgian national state apparatus and along establishing Russian board of administration it attacked Georgian church. In 1811-1814, the throne of catholicon-patriarch was abolished. On 12 March 1917 in the temple of Svetitskhoveli in Mtskheta Georgian autocephaly was announced solemnly.

Before the receiving of Georgian Independence Act of May 26, 1918, recovering of autocephaly was the most important event in our country's history.

In 1921 Georgia was annexed, by establishing Soviet Government Georgia lost national sovereignty. The country was conquered repeatedly, which was followed by the sacking and troubling of churches, physical and moral destruction of ecclesiastical.

Georgian people were against the antireligious arrangements against the Georgian Church. There were 1 500 churches destroyed with their property, unique manuscripts were burnt.

In west Georgia's administrative - territorial units (Mazra), organization of antiquities and monuments protection was imposed on the historical and ethnographic museum, director of which was Tripon Japaridze. He was a prominent figure of the begging of XX century. He imposed on himself the responsibility for the depending of old historical monuments.

Tripon Japaridze had done his great services for establishing Kutaisi State Museum and staffing funds.

In 1923 when they began massive closing of churches and kindled antireligious battle, Tripon Japaridze aimed creating of church museum but his dream did not fulfilled. Cathedral temple of Kutaisi, where he wanted to open the museum, Bolsheviks destroyed.

Tripon Japaridze saved remains of princes of Argveti David and Konstantine to Georgian people. In 1923 in Kutaisi museum was brought in Gelati and Motsmeta church treasure and was handed to him.

This selfless fight for saving of national treasure caused his announcement as an "enemy of the people". He became a victim of 30-ies. He was arrested in 1937 and lately died in hospital of prison.

The role of Tripon Japaridze is immeasurable in the matter of saving historical antiquities. Just his merit is that a lot of different kind of historical or material-cultural things. Tripon Japaridze made a great trace in the history of Kutaisi culture.

რკინის ცოცხით გავდევნოთ

საჭოთა აპარატიდან

მანუალები, გამყვანებელი და უთავბოლონი

მტკიცეაღნი...

ბნელი საქმეები ქუთაისის მუზეუმში

ტრ. ჯაფარიძე მკვლევარია—იგი უნდა მოიხსნას

...არ შეიძლება დამწვრებით მიიხიზნოს ამა-
ბერი რაიმეც... ადგილი აქვს ქუთაისის მუ-
ზეუმის გარშემო.

სირველ რიგში მოიხსენებთ ერთ გარემოებას: ქუთაისის მუზეუმს განსვენ საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი და თვითონ სამუშეოშია ადამიანი... ეს ვალანტი ტრიალანაა ჯაფარიძე.

ადამიანი: ახალური, მდიდრული შთამომავალი და „წილი“ ბიუსიანისის გარდაცემის სიძე, მება-
ტონის ფსიქოლოგიური აღსაყვანი სიძე, მება-
ტონი საჭინის გვერდითი პირი, ერთგულ საგარ-
ეო რატულ პარტიის დამფუძნებელი მდილდაგანი; ერთი სიტყვით კი ბოლოში „პარტიულური და დამსახურებული მდილდაგანი“.

ამ ყველა ის „სამკალები“, რომლებიც ამმე-
ნიცნებ „წილი“ ტრიალანის მდილარ წარსულს...
მთლიან სკანდინავიურ მუშაობაში ამ ადამიანის
აღწერა, მებრძოლი მუშაობის გააქცობით მის ახალ
მოღვაწეობას და მათში ადგილს გასაგები იქ-
ნავე ქუთაისის მუზეუმის, როგორც სამეცნიერო
დაწესებულების მუშაობაში.

პირველი გასაგებობა ქუთაისში არსე-
ბობდა ისტორიის-საეტიმოლოგიის საზოგადოე-
ბის, რომელმაც შეარჩია იმდენი ისტორიული
ნოტი და გააქცობდა, რომ გასაგებების მებ-
რძე უნდა შესაძლებელი გახდებოდა მუზეუმის გასა-
ნა მათთან იახებას საერთოდ საქმითა საბელ-
მწიფო მუშაობაში.

ტრიალანა ჯაფარიძემ კარგად იცის ამ მიხანის
შინაობა, მაგრამ ზედმეტ რაზონდინებ სიტ-
ყვას ეიტყობა აქვს მუშაობაში.

საჭოტის მუშაობაში მუშაობის უნდა იმდენო-
დეს წარსულ საეტიმოლოგიაში, აშუშების
კეთილშინების მებრძოლ საფეხურებს და,
რაც მთავარია, დამყარება ამ დამაგებების კლას-
თა შორის მუშაობის მუშაობა და ბრძოლის მებ-
რძობა.

— ბნელი ბატონო ტრიალანა!

რა კლასები იყო საქართველოში? იყვნენ მებ-
ბრძობები და მდიდრები, რომელთა წინაშე
მუშაობის თვით ჯაფარიძე და იმდენი ადამიანი...

ამ ეკლესიას მკვდრი საეტიმოლოგია, რომელ-
შიც შეიღობა მთავარი დიდაგნი სიხარული და ყოვე-
ლად სამდიდრო ნოლოდები, თუბრა პარტიულ-
მდილ დირექტორიც არ არის მდიდრული ამ
დირექტორს...

ჯაფარიძემ სდენის მუშაობის ყველა კეთილის
მდიდრულს, სდენის ყოველგვარ ახალ ძალის
რომელიც კი შეეცდება ამ კულტურულ მუშაობ-
რულ დამსახურების გადღერებას.

მის მუშაობაში კლასობრივობის, ტრიალის ხანის
და სხვა მნიშვნელოვანი განსებები ისეა ერთმანეთ-
ში არეული, რომ ეს სამეცნიერო დაწესებულებ-
ბა კი არა, კერძო კოლექციონერის კაბინეტი
გავიწყდება.

„პარტიულური“ დირექტორი იყენებდა მუშაობ-
ის მდიდრულს და თვითონ იმართებდა თავი საჭოთა
საზოგადოებრივობის წინაშე!

ამ რამდენიმე ხნის წინად ჩხარობდა გლგობა
მის, ზეცხებ აქცობდა ჯაფარიძეს, რომ სოფელ
დვანში მის მიერ პარტიულურად კლასობ-
რივად აღმოჩენილია ე. წ. „ხედილი“, რომელიც
ბატონდინების დროს გლგობას ახამდენ ფეხებით
და აწმებდენ ასეთ უშუალო მდიდრობაში ჩა-
ბრუნდებოდა. ეს ხუნდა ცოცხალი მოწმეა ჩვენ-
ში მნიშვნელოვანი მუშაობის მოქმედების და უნდა-
გარის სკვანის ურთილ-ბრუნდებულ-მუშაობა და
მამულომდიდრო პარტიულების ზოდან იმის შე-
გახება, რომ: პარტიულობა სხვაგან იყო, ხოლო
ჩვენს საქმეში პარტიულობა თხად მდიდრო
დღესმადი და სხვა და სხვა.

გლგობა ხედავდნენ სიხარული ჯაფარიძის მიერ
ისტორიული მუშაობის მუშაობაში. ჯაფარიძემ უარი
გვარდებდა, მაშინ არ არსობა.

ამდენი ნოტივის აღმოჩენის შესახებ აქცობდა
ჯაფარიძემ გლგობად და უთავბოლოდ-მუშაობა, მა-
გრამ მუშაობის დირექტორის ესეც არ მდილდა და
ეს ნოტივი დაღობდა.

დღესდინდის აღმოჩენილი ხუნდი ჩაბრუნებას
ქუთაისში სხვა დამრძობებისგან ხარობდა და
იგი ამ ვანად ჯაფარიძის სასოფლომდიდრო (მუ-
ზეუმში) უფრო საიმედო ადგილას იხანება.

შესინა. კახუციანს ადამიანის და მდილდნ
მუშაობის კლასის ნივთების ექსპოზიციონერული
კოლექციები.

კახუციანის მიერ სათავლივის მათა 1925 წელს
აღმოჩენილი იქნა ბუნების გვირგვინის
მდილდა—სტალინისტიკის ნივთები, რომელმაც
დღეს უცვლ ცნობილია როგორც სილიდო მდი-
რე, ხოლო სილამპოში მარგელი მდილდის მდი-
ლონი. დაგვირგვინ თვის ცნობები აქცობდა ერთ
აღმოჩენილ ბატონო მდილდნ და არ დადას-
ტურა.

სირიქით— მან უწყო დღეს კახუციანს, მაგრამ
გვირგვინის აღმოჩენა განმარტდა. ხალხმა იქცე-
დნა მის ხანადად. უცვლ საჭოთა მუშაობის გვირგ-
ვინს დაქცეა, მაგრამ ჯაფარიძის თავი არ მუშა-
ობდა მის წინაშეაქცობდა.

— მუშაობდა და მუშაობდა, ვინ მაქცევის
ურთადადობა რამდენი გვირგვინი და ხანაში აღმო-
ჩენილი ქუთაისის ოლქში—თხადი იყო დახ-
ნდობით დირექტორის კაბინეტი.

კახუციანს მამართა ტელისში მდილდის ორ-
განხატვებს, რომელთა წარმომადგენლები ჩა-
მოიღებდნენ ქუთაისში. ჯაფარიძემ მათთან
ერთად სირიქული ინახული გვირგვინი... რა თქმა
უნდა, მუშაობის მიღებული იქნა ბოლოში ამ მდილ-
დასაქცევა.

— ბატონო არ პირიქდა ამ გვირგვინის გამოხუ-
რებას აჯაფარიძემ?

გამოხილის ეს მუშაობებისა.

ჯაფარიძის მუშაობის დამდიდრობით ილუ-
პება და წადღებობა ომის, წარაობის და მდი-
ლონი ურთქცობაში შეგლები და ხხ.

თვით ცნობი მათავალი მუშაობა დადასახე-
ლოლი იმის დასამდიდროდ, რომ ჯაფარიძე
სდვას თავის წოდების წინაშეაქცობდა კეთილშინე-
ბის სადაწარმო.

სოფელ გოდანში ხანაში კანდიდატის ნოტი
ში ილდა ერთი უბარამპოში დცხები, მნიჭი
ხალხის დადასახელებით ამ ცაცხების კემ მებატო-
ნებით აუტანელ წამებით უმასხანდილდობდნ თა-

გუგულახინის დიდგანილება ქუთაისის მუზეუმის ფასახვა

ღირსმკვრი ტრ. ჯაფარიძე, ნემოქაქე და სოსქაქე

გადაამდიდრო არიან

ქუთაისის რაიკომის ბიუროში მოხსინა მუშ-
გლგინის მოხსინება ქუთაისის საისტორიო საეტ-
ნოგრაფიო მუშაობის გამოკვლების შესახებ.

მუშაობების სპეციალურმა კომისიამ დაწერ-
ილიდებით შეინწავლა მუშაობის და მისი შტა-
ტის მუშაობა-სამუშაობა.

ყველა ის ბრძოლები, რომლებიც ჩვენს გა-
ზეთში იყო აღნიშნული, კომისიამ დამტიციე-
ბულად სცნო და გამოიტანა შემდეგი დასკვნა:
მოიხსნას სამასხარეადან მუშაობის ნელმდიდრე-
ლი შტატის მთელი შემადგენლობა— დირექტო-
რი ტრ. ჯაფარიძე, ზედასმდიდრელი ევ. ნიკო-
ლაქე და ტარახი სიხარული.

მუშაობის დირექტორის მთადილდით წამო-
ყენებული იქნას ახს. პ. კახუციანი.

მუშაობის თავის სიმდიდრე დასაყენებლად
მიღებულ იქნას შემდეგი პრაქტიკული ღონის-
ძობანი.

1. შეიქცოს მუშაობის კლასთა ბრძოლის გა-
მომატებელი ისტორიული მდიდრებით და განდიდრე-
ბის იქიდან ისეთი საექსპლესი ნივთები, რომ-
ლებიც არავითარი ისტორიული მნიშვნელობა
აქვს და რომლებიც ბოლომად მოიბოტება მუ-
ზეუმში.
2. ძველი სიგელ-გუჯრები, რომლებიც გამო-
ხატავენ საქართველოში ბატონდინების პერიოდს
და რომლებიც მუშაობაში საიდუმლოდ იქნის ჩა-
კეტილი დირექტორის მიერ— გამოიყენებოთ იქ-
ნას მუშაობაში თვალსაჩინო ადგილას სათანადო
ახსნა განმარტების დარტვით, რათა მშრომელითა
ფართო მასხათვის ნათელი იყოს ამ დოკუმენ-
ტების არსებობა და მისი მნიშვნელობა.
3. გაიყიდოს არა სამუშაოში საექსპლესი ნივ-
თები და შემოსული თანხები გადაიციოს ინ-
დიუსტრიულიწავისა და კოლექტივიწავის ფონ-
დში. კომისიის გამოანგარიშებით ასეთ ნივთების
გაყიდვით შემოვა დაახლოვებით რამდენიმე
მილიონი მანეთი.
4. შემოღებულ იქნას კეთილშინების გაცემის
წესი ნივთების მიღების დროს და მიღებული
ნივთების ზუსტი აღრიცხვა, შეფასება და საერ-
თოდ დაცულ იქნას ანგარიშანიობა.
5. აუცილებლად შეიცვალოს შექცინილი ექს-
პონატთა გამოფენის წესი— კლასთა ბრძოლის
მანიფენებელ მდილდა პირველ რიგში მთავახეობით.
6. დაბოლოს კომისიის მუშაობის არსებულ
შენობა მიაჩნა შეუფერებლად, რადგან იგი
ვიწრო და ნოტივი, და საჭიროდ სცნობს მის-
თვის შესადრე შენობის გამოანგებას.

რაიკომის ბიურომ ეს დადგინდება დამტიციეა.

მარიამ ბაზრინდაშვილი
(ვოლონტერი)

სოლომონ მეორის სიგელი

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერ და ძველნაბეჭდ წიგნთა კოლექციების განყოფილების ფონდში 65 000-მდე ისტორიული დოკუმენტია დაცული, რომელთაგან 3 000-მდე სიგელ-გუჯარია. ქრონოლოგიური ჩარჩო ამ დოკუმენტებისა XIV-XIX საუკუნეებს მოიცავს. მათ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებათ არამარტო იმერეთის, არამედ საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნების სოციალ-პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური განვითარების ისტორიის შესწავლის საქმეში. ამიტომ, ქართველ ისტორიკოსებს, რომელთაც აღნიშნულ საკითხებზე უხდებოდათ მუშაობა, თავიანთ უპირველეს ამოცანად, ამგვარი დოკუმენტების მიკვლევა, შესწავლა და მათი სამეცნიერო ბრუნვაში შეტანა მიაჩნდათ.

ქუთაისის მუზეუმში დაცული ისტორიული დოკუმენტები სხვადასხვა დროს შეისწავლეს და მათი დიდი ნაწილი გამოაქვეყნეს კიდეც: ო.სოსელიამ, მ.დუმბაძემ, შ.ბურჯანაძემ, მ.სვანიძემ, გ.მჭედლიძემ, მ.რეხვიაშვილმა, მ.ნიკოლეიშვილმა, პ.ვაჭრიძემ, მ.კეზევაძემ, რ.აბესაძემ და სხვებმა.

გარკვეული რაოდენობა სიგელ-გუჯრებისა იმერეთის სამეფოს უკანასკნელ მეფეს სოლომონ მეორეს უკავშირდება და უმეტესად მის მიერ გაცემულ წყალობისა და შეწირულების სიგელს წარმოადგენს. მათი გათვალისწინებით თამამად შეიძლება ვისაუბროთ სოლომონ მეორის სიბრძნის, გულმონყალების, გულუხვობისა და დიდსულოვნების შესახებ.

ჩემი კვლევის ობიექტი ქიმ №138 – სოლომონ მეორის შეწირულების სიგელია. ინტერესი ამ დოკუმენტისადმი, გარდა იმისა, რომ მასში სოლომონ მეორის პერიოდის მტრისგან შევიწროებული იმერეთის სამეფოს მდგომარეობაა წარმოჩენილი, განპირობებულია იმითაც, რომ მასში გაცხადებულია ის დიდი პატივისცემა და სიყვარული, რომელიც სოლომონ მეორეს თავისი ბიძის, მის მიერ “მეორე აღმაშენებლად” [ქიმ№706] შერაცხულ სოლომონ პირველისადმი ჰქონდა. გარდა აღნიშნულისა, სიგელი ინტერესს იწვევს თავისი არქიტექტონიკითაც. იგი შედგება შესავლის, ძირითადი და დასკვნითი ნაწილისაგან. ტრადიციულად, შესავალში არის მიმართვა-ვედრება ღვთისადმი და წმინდანებისადმი. ძირითად ნაწილში მოცემულია მიზეზი სიგელის შექმნისა და დასასრულ – წყევლა და შეჩვენება მათი, ვინც ამ სიგელით მიღებული გადაწყვეტილების შესრულებას ხელს შეუშლიდა.

ქიმ №138 შ.ბურჯანაძეს დამონმებული აქვს თავის შრომებში: “იმერეთის სამეფოს საშინაო პოლიტიკა 1782–1802 წლებში” და “სოლომონ პირველი” [ქიმ სმ№77], მაგრამ სრული სახით იგი დღემდე არ გამოქვეყნებულა. ჩემი მიზანია სიგელის სკურპულოზური აღწერილობის შედგენა და საკუთრივ დოკუმენტის პუბლიკაცია.

ქიმ №138 არის შეწირულობის სიგელი იმერეთის მეფის სოლომონ მეორისა ჯრუჭის წმინდა გიორგის მონასტრისათვის ადგილ-მამულისა და გლეხების შეწირვის შესახებ. სოლომონ მეორეს, ადრეც ჰქონია გადაწყვეტილი ჯრუჭის წმინდა გიორგის მონასტრისათვის, სოლომონ პირველის სულის საოხად, შესანიშნავის გაღება, მაგრამ, ამ გადაწყვეტილების შესრულებაში მისთვის ხელი შეუშლია სამეფოში მიმდინარე “უნესობათ”. სიგელში ვკითხულობთ: “გარნა ჩვეულებამან მსოფლიოთა შფოთთამან მრავალი უნესობა შემოიღო და მსახურებად მისდა დავეყენე. და ოდესცა მოხედუა ჰყო წყალობა აურაცხელმან ღმერთმან და სრულიად ღიხთ ამერთა სამეფო მარწმუნა, მყისვე ვინყე ზრუნვად და მსახურებად პატიოსნისა სულისათვის მისისა...” [ქიმ№138-1r].

სიგელი წარმოადგენს ერთ ფურცელს, რომლის ზომებია: 106 X 52სმ.; შედგება ორი კეფისაგან, რომლებიც ერთმანეთზეა გადაწყებულნი. მოყვითალო ფერის ქაღალდი; ლამაზი კალიგრაფიული მხედრული; საზედაო ასოები შესრულებულია ასომთავრულითა და სინგურით. ტექსტში გამოყენებულია ხმარებიდან გამოსული ასოები: ჰ, უ (უბრჯგუ), ე, წ; ძირითადი ტექსტი დაწერილია ერთ სვეტად შავი მელნით და განთავსებულია I და V – ზე; განკვეთილობის ნიშნად გამოყენებულია მძიმე, წერტილი, წერტილი და მძიმე და ორწერტილი; მწერალი – ხუცესი ნიკოლას გაბაონი [ნი-

კოლოზ გაბაშვილი]; სიგელი დანერილია ქორონიკონს ჩღჟა ნოემბრის კვ – 1791 წლის 26 ნოემბერს; ჭვირნიშნაანი.

სიგელი დამტკიცებულია სოლომონ მეორის რვაკუთხა და დედოფალ მარიამის ოთხკუთხა მურის ბეჭდით;

v მარცხენა აშიაზე წარმოდგენილია ხუთი მინანერი, კერძოდ:

1.... "ჩვენ ყოვლად სამღვდელო ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოს ვამტკიცებ სიგელსა ამას. ვინაცა ხელყოს შლად წერილსა ამას, იყავნ იგი წყეულ და შეჩვენებულ სულით და ხორციით ან და საუკუნოდ." – მინანერი დამტკიცებულია მიტროპოლიტ დოსითეოსის რვაკუთხა მურის ბეჭდით.

2. "ჩვენ ყოვლად სამღვდელო გაენათელი მიტროპოლიტი ეფთვიმი ვამტკიცებ სიგელსა ამას: ნებითა ღვთისათა და ვინცა ვინმე კაცთაგანმან შლად ხელყოს ზეგარდმოთა რისხვითა დაისაჯოს და წყეულ კრულ და შეჩვენებული იყოს სულით და ხორციით". – მინანერი დამტკიცებულია მიტროპოლიტ ეფთვიმის რვაკუთხა მურის ბეჭდით.

3. "ქ: მე ყოვლად სამღვდელო მთავარებისკოპოსი ანტონი, ვამტკიცებ სიგელსა ამას ნებითა ღვთისათა, ამინ": – მინანერი დამტკიცებულია მთავარ ეპისკოპოს ანტონის ოთხკუთხა მურის ბეჭდით....

4. "ჩვენ ყოვლად სამღვდელო: შამოქმედელი მიტროპოლიტი იოსიბ ვამტკიცებ: სიგელსა ამას ნებითა ღმთისათა და ვინცა და ვინმე კაცთაგანმან: შლად ხელყოს: ზეგარდმოთა რისხვითა დაისაჯოს და წყეულ და შეჩვენებული იყოს სულით და ხორციით." – მინანერი დამტკიცებულია მიტროპოლიტ იოსიბის ნუშისებური მურის ბეჭდით.

5. "ქ: ჩვენ ყოვლად სამღვდელო ნიკოლაოზ წმიდელი სოფრომ ნებითა ღვთისათა ვამტკიცებ სიგელსა ამას. და ვინცავინ შლად ხელყოს ზეგარდმოთა რისხვითა დაისაჯოს და წყეულ და შეჩვენებულ იყოს სულით და ხორციით"....

სოლომონ მეორის წყალობის სიგელის – ქიმ №138 აღწერის შემდეგ, ვაქვეყნებთ სიგელის სრულ ტექსტს და ამით მისანვდომს ვხდით მას სოლომონ მეორის პერიოდის იმერეთის სამეფოს შესწავლით დაინტერესებულ მკვლევართათვის.

სოლომონ მეორის წყალობის სიგელი ქიმ №138 :

r – მიზესა მიზეზთასა ერთკეთილობასა, ყოველ კეთილთა მაკეთილებელსა ზესთა ნათელსა, ნათელთმთავარსა, ერთარსებასა შორის სამპირებასა და სამთა პირთა შორის ერთარსებასა, ერთხელმწიფესა, ერთუფლებასა, და ერთღვთაებასა. მამასა, ძესა, და სულსა წმიდასა. დიდება ქება და თაყვანისცემა ელაღადებოდედ ყოველთა სიტყუიერთა ბუნებათა მიერ; ვინადგან იგი არს მიზეზი არსთა ქმნულებისა თქმისაებრ მოსე ღვთიუ მზრახუალასა, დასაბამად ქმნა ღმერთმან ცაი და ქუეყანა, იგი არს მპყრობელი ცათა და ქუეყნისა, თქმისაებრ ღვთის მგალობელისა მეტყუელისა დავითისასა, შენი არიან ცანი და შენი არს ქუეყანა, ხოლო მტკიცედ დაპყრობისათვის იგივე დავით პირექმნების ღმერთსა და იტყვის. მე დავამტკიცენ სვეტნი მისნიო: მაშასადამე ყოველივე კეთილობა და სიმტკიცე მისდამი აღივლინების, და იგივე მოიღების სიმტკიცედ ყოველთა კეთილთა, და ამისთვის დამამტკიცებულად ამა პირისა და განჩინებისა მოვიღებ სახელსა ერთარსისა სამებისასა თქმისაებრ პავლესა რომლისაგან ყოველი, რომლისა მიერ ყოველი, და რომლისა შორის ყოველი, მისა დიდება უკუნისამდე ამინ. იტყვის უფალი პირითა ბრძნისა სოლომონისათა, მე მოყუარენი ჩემნი მიყუარან, და მადიდებელნი ჩემნი ვადიდნეო, ესე სანატრელი აღთქმაი ცხადად ცისკროის წმიდათა ზედა ღვთისათა, და მზისა უბრწყინვალესად მიეფინების პირსა ყოვლისა ქუეყნისასა, რომელთათვის იტყვის პავლე, ლუანლი კეთილი მომიღუანე ბიეს, სრბა აღმისრულებიეს, სარწმუნოება დამიმარხავს, ამიერითგან მიმელის მე სიმართლისა იგი გვირგვინი, რომლითა გვირგვინოსან მყოს მართლმსაჯულმან იესო, და ამას რა იტყოდა ნეტარი პავლე არა მხოლოდ თავისა თვის თვისისა განისაკუთრებდა სიტყვასა ამას, არამედ ზოგად ყოველთათვის. რომელთაცა ტრფიალებითა საღვთოთა იღუანეს შედგომად ქრისტესა, და ვნებანი იგი მისნი ჰორცთა შინა თვისთა იტვირთნეს, რომელთა შორის საჩინოობს, ვითარცა მზე მნათობთა შორის, მონამეთა მთავარი, მტერთა მძლეველი, მეფეთა ღვთის მოყუარეთა წინამბრძოლი, ვნებათა ყოველთა დამხსნელი, ხელმწიფეთა ტახტგვირგვინისა მეურნე, სნეულთა კურნებისა მიმნიჭებელი, პყრობილთა თავისუფლებისა მიმცემი, ყოველგან პოვნილი შემწე, მომწოდებელთა თვისთა, ზღუასა შინა მენავთსა-

ყუდლე, ქუეყანასა ზედა სადგურის მოლუანე, ჭირთაგან მხსნელი, კაცთათვის, ვნებად მოსრულთა სულთა არანმიდათა მდევნელი, მონამეთა და მოლუანეთა თუალი, სათნო ღვთისა და საყვარელი ერთგული ქრისტესი გეორგი; რომელმანცა სიბრძნითა თვისითა და სიმხნითა ფერად ფერადნი განცდანი ღვთის მბრძოლთანი თავს იხსნა. ცეცხლსა შინა გამოიცადა ვითარცა ოქრო, წყალსა, ყინელსა, ურმის თუალსა და განჭურვებულსა რკინისა ორღანოსა, თორნესა განცეცხლებულსა და სამსალასა მაკუდინებელსა, და არა თუ მხოლოდ დაუთმო უშიშითა გონებითა, არამედ ვითა გვირგვინისა და სუფევისა მიმართ სწრაფით მირბიოდა და ძალითა ღვთისათა დათრგუნა იგინი, და სამართლად ითქუა მისთვის, მე მოყუარენი ჩემნი მიყუარან, ვინადგან ყოველივე დიდება მსოფლიო და შვება არა რად შერაცხა, და მხოლოდ ღმერთი შეიყვარა. მომძაგებელმან სოფლისა დიდებისამან და იდიდა იგი თქმისაებრ ზემონერილისა, ვინადგან აღიდა მან ღმერთი, ღმერთმანცა აღიდა იგი, და ამისთვის ჯერ არს ყოველთა ქრისტიანეთა მიერ პატივით მადლობა მისი თაყუანისცემა: ან მეცა მათანადა სურვილმან საღვთომან, მეფეთა და დავითიანთა შთამონაქუსი ბაგრატონი ძის ძე ალექსანდრესი, და ძე არჩილისი მეფე ყოვლისა იმერეთისა მეორე სოლომონ, და თანამეცხედრე ჩემი დადიანის კაცისა ასული დედოფალი მარიამ, ვინებეთ ძალისაებრ ჩვენისა შენირვად და ძლუნვად რადმე, და მირთმად შენდა ჰოი მხნეო მონამეორათა ძალითა მით ძლიერითა ახოვნებისა შენისათა ნარგვემართოს სკიპტრა მეფობისა; ხოლო ამა განჩინებისა საცნობელად ყოველთა ესრეთ განვაცხადოთ: მეფემან დიდად სახელოანმან სოლომონ, და ყოველსავე ჭირსა და ბრძოლსა შინა თანა მყოფმან და თანა მბრძოლმან ძმამან მისმან სასურველმან ძლიერმან და ახოანმან საიმერეთოს უფლისწულმან ბატონიშვილმან არჩილ ოდეს ნებითა ღვთისათა, და წინა ძლუნვითა შენითა ნარმართა მეფობა თვისი, და დასდვეს სული თვისი, ვითარცა მწყესმან კეთილმან სამწყსოთა თვისთათვის, და არა რიდა თავსა თვისსა. ვიდრემდის ქუეყანით თვისით აგარის ნათესავნი არა განსდევნა, ვინადგან იგინი უფლებდეს ქუეყანასა მისსა სიმაგრეთა და ციხეთა მქონებელნი, ქრისტიანეთა აჭირვებდენ ტყუშ ჰყოფდნენ, ქრისტეს სისხლით სყიდულთა ერთა, მაჰმადის შესანიჩავ ჰყოფდენ და სხუათა მრავალთა უნესოთა და სიბილნეთა მიერ ქუეყანა ესე სრულიად განრყუნეს და ქუაბ ავაზაკთა აღმოაჩინეს, გარნა სახელოანმან მეფემან სოლომონ, და საყუარელმან ძმამან მისმან ახოანმან ბატონიშვილმან არჩილ, აღილეს შური ვითა ფინეზმან და განგმირეს გული მათი, მრავალგზის ურიცხუ ლაშქართა წყობითა, და სისხლთა მათთა მიერ მორწყეს ქუეყანა თვისი, და შემდგომად ციხენიცა მიუხუნეს და სრულად იავარყვეს, და აღმოფხურეს მიზგითნი მათნი, და დაადუმეს მათ შორის ბილნისა მოჰამედისა ქადაგებანი; მისტაცნის ტყუენი ხელთაგან მათთა ვითა ქრისტემან სულნი პყრობილთანი, დამონებისაგან მათისა გამოიხსნეს, თავისუფალ ჰყუნეს ეკკლესიანი. შემნე ექმნეს ობოლთა, ქვრივთა, გლახაკთა, და მიმძლავრებულთა, გარნა ვინათგან განჩინებამან ზენამან არა რიდა მასცა და გარდაცულალებულ იქმნა ამიერ,სამართალ იყო ჩემ მიერ მსახურება მათი ორთა მიზეზთათვის, ესე იგი ღუნისათვის ამის ქუეყნისა, ვინადგან აგარიანთა მონებისაგან გამოიხსნა, და კვლიად ამისთვის რომელ მამობისა ადგილი მან აღმოავსო ჩემდა, ვითა პირმშო ძე ეგრეთ მიწადა და შემიტკბო, და შრომით პოვნილი ტახტი მეფობისა თვისისა, ჩემთვის განასაკუთრა, გარნა ჩვეულებამან მსოფლიოთა შფოთთამან მრავალი უნესოება შემოილო მსახურებად მისდა დავეყენე: და ოდესცა მოხედუა ჰყო წყალობა აურაცხელმან ღმერთმან და სრულად ლიხთ ამერთა სამეფოი მარნმუნა მყისვე ვინყე ზრუნვად და მსახურებად პატიოსნისა სულისათვის მისისა და გამოვირჩიე ესე საოხად მისთვის, რომელიცა შემდგომთა შინა წერილთა იხილვების: იყო მლუდელი ვინმე პატიოსანი დავით მისვე მეფისა სოლომონისაგან პატივცემული, რომელსა თვისნი დღენი ერთგულებით მონებასა შინა მისსა ნარევლო, და სადაცა და ოდესცა ჭირი რადმე წაჰკიდებოდა მას მეფესა ესეცა თანა ყოფილიყო, და ვნებანი მისნი ამასცა ეტვირთნეს და ოდეს ჩვენდა მოინია, პატივით შეწყნარებულსა, ჩვენცა პატივ ვეცით და შევიტკბეთ კაცი სულშემოსილი გუარობით წერეთელი, ერთგული და ერთგულთა ტომთაგან შთამომავალი ღირსი ქებისა კარის დეკანოზი ჩვენი დავით, რომელიცა უწყალოსა სიკუდილსა ეწყლა გულითა, და ერთილა მხოლოი ძე მიელო, და იგი უმკვიდრო იყო. და შემდგომად მისსა ქონებული მისი მამული სამეფოდ იდებოდა და მეფისაგან სოლომონისა, მტკიცის პირით, და მოუშლელის დავთრით დამტკიცებული წყალობაცა, და ვინათგან ესე მლუდელიცა ფრიად ჰყუარობდა სულსა მისსა, ნებითავე მისითა ყოველივე მისი ქონებული შევსნირეთ შენდა დიდო მონამეო გეორგი ჯრუჭის უდაბნოსა შინა განსვენებული, და განუსაკუთრეთ პატიოსანსა მას ადგილსა და მონასტერსა და მას შინა შეკრებულთა წმიდათა მამათა: ქორეთს სასახლე, მისი ზურითა, მიწითა, ადგილითა, წყლითა, ტყითა, ველითა,

და ყოვლის მისის სამართლიანითა სამზღურითა: მუნვე ქორეთს სოფელსა შინა მოსახლე გუდაძე პაატა, ბიძინა, გიგია და სეხნია: კაპანაძე ბასილ, და მისი ძმები დათუა და გოგიტა: დათუაშვილი დათუა და მისი ძმისწული სეხნია: ბიჭაშვილი ბეჟია: მეგრელი გიგია მეფე სოლომონისაგან სამართლით სისხლში ანაყუანი და ესრეთ დავთრით ბოძებული: ყარვაძე ნასყიდა, სეხნია, დათუნა, პაატა და ივანე, კვალიად ესეცა სამართლით ნაშოარი და დავთრით ბოძებული: ლილუაშვილი გიორგიტა, და ივანიკა: ქამუშაძე დათუა, ხუცესი საბა. კვირია, ბერი, ხუცისშვილები, ივანიკა და მისი ძმები, თევდორე, ბერი და დათუა: ითხვისს მეგრელიშვილი კვირია, და პაპუჩა: მჭედლიძე მამუკა: რაზმაძე პაატა და ზაზუტა მათი ძმები. რაჭას ფარახეთის სასახლე თავისის ადგილით, მამულით, მიწით, წყლით, ტყით და ყოველითურთ მისის ქონებულით. მოსახლე ჩილუნძიე შაქარი მისი ძმითა და ძმისწულითა: კვალიად ჩილუნძიე სვიმონა, კაციელა, სეხნიკა, და რამაზიკა: სევას ნადირაშვილი სეხნია და გიგიტა: ჭიბრევს შოშიკა თავისის ადგილ-მამულით: მარტუათ უბანს ქამუშაძე შიო და ბასილა; თავისის ადგილ-მამულით: ესიტაშვილი ბერი, თავის ცოლშვილით: ესე ყოველივე მათის მიწაადგილით და ზურით, სახნავ სათესით და წყლით, ტყით საფლავ სამარხით, სახარდნით და სანისქვილოთ, და მათის ყოვლითურთ ქონებულით შენდა შემინირავს დიდო მონამეო გეორგი ჯრუჭისაო: შეინირე ვითარცა ქრისტემან მწულილი, და ვითარცა მამამან საუკუნემან აბელის ძღუწნი და აბრაამის შესანირაავი, საოხად სულისა მეფისათვის სოლომონისა და სახსენებელად საუკუნოდ, და მეცა შემნე მექმენ, და მეფობა ჩემი წარმართე, რათა შენ მიერ განძლიერებულმან კვალიადცა უძლო მსახურებად შენდა: ესე მტკიცე განჩინება, ესრეთ განვასაზღურეთ, ვიდრემდის ცოცხლებდეს ესე პატიოსანი მღუდელი დავით მას მსახურონ, და შემდგომად მიცუალებისა მისისა უცუალებელად

v – განესაკუთროს უდაბნოსა ჯრუჭისასა, თანა მონამეობითა უწმიდესისა კათოლიკოსისა მაქსიმესითა, და ყოვლად სამღუდელთა მიტროპოლიტთა მიერ: ყოვლად სამღუდელთა ქუთათელ-მიტროპოლიტისა დოსითეოსისათა, გაენათელ-მიტროპოლიტისა ევთიმისა, და მთავარეპისკოპოსისა ანტონისათა; რომელთა თანა მონამედ უფისთ პალატისა ჩვენისა განმგენი, წერეთელ სახლთუხუცესი ზურაბ: წულუკიძე გიორგი: წერეთელი ქაიხოსრო: ბოქოულთუხუცესი წერეთელი ვახუშტი: კვალიად წერეთელი გიორგი და ქველი: და ზოგად ყოველნი პალატისა ჩვენისა განმგენი და მოხელენი: ან უკეთუ იქმნას ვინმე მეორე იუდა, და ახალი საპფირა, და ესე განჩინება უარჰყოს, და შლად ამისა ჴელყოს, უარ იქმნას იგიცა წინაშე ანგელოსთა ღვთისათა, პირისაგან მართლმსაჯულისა ქრისტესა, და მიილოს აქაცა და მერმესაცა საუკუნესა ნაწილი იუდა განმსყიდველისა: მოვედინ მის ზედა რისხვით წარლუნა ნოეს ჟამისა: დაქცევა სოდომელთა ქალაქთა: წყევით განშორება პირისაგან ღვთისა კაენებრი: სამეოც-დაათშიდგ ზისი შურისგება ლამექისი, და ოხერ იქმნას ყოველთაგან კეთილთა, და განსაგებელი მისი სხუამან მიილოს მტერმან მისმან: დაეუფლნეს მას მოძულენი მისნი, და აჭირვებდეს მტერნი მისნი: დაიწყოს ერთარსისა სამებისაგან, და განჯორციელება ქრისტესი უხმარ იქმნას მისთვის: და ქალწული მარია მ მოსაჯულ ექმნას: ნათლისმცემელი იოანე რისხულ იქმნას მისთვის: და შეჩვენებულ იყავნ ათორთა მოციქულთაგან: შვიდთა კრებათაგან: ოთხთა მსოფლიოთა პატრიარხთაგან, და მათთა სამღუდელთა მიერ: და კათოლიკოსის მაქსიმესგან, და მისთა მიტროპოლიტთაგან, თავით, ცოლშვილით, თესლ ტომით, ნათესავ სახლის წულით, სახლ სავანით, აგარაკ ვენაჭით, და თვით ფერხის წასადგმელით ადგილითურთ, აქა, და მერმესა მას სოფელსა უხუაიშნოდ იპყრას სიკუდილმან, ეშმაკმან, და ჯოჯოხეთმან ამინ: აღინერა ჴელითა უღირსისა ხუცისა ნიკოლაოს იობიან გაბაონელისათა; განხორციელებითგან სიტყვისა ღვთისა, ჩლჟა: ნოემბრის: კვ.

ლიტერატურა:

1. ქიმ №138 – სოლომონ II წყალობის სიგელი
2. ქიმ სმ №77 – შ. ბურჯანაძე - “სოლომონ I” (პოლიტიკური მიმოხილვა)
3. შ.ბურჯანაძე – ”იმერეთის სამეფოს საშინაო პოლიტიკა 1782-1802წ.წ.” საქ. მეც. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. IV, 1962წ.
4. ქუთაისის მუზეუმის ისტორიული დოკუმენტების აღწერილობა, ტ. I.

MARIAM GAPRINDASHVILI
(VOLUNTEER)

DIPLOMA OF SOLOMON II

There are about 65 000 historical document in the manuscript and old printed books department of Kutaisi State Historical Museum and about 3 000 of them are charters. Chronological framework of these deeds includes XVI-XIX centuries. They are very important in the matter of learning not only Imereti region but whole Georgian and neighbor countries' social-political and cultural-economic history. So for the Georgian historians, who had worked on the mentioned problems, finding and learning such documents were the first business.

Historical documents saved in museum of Kutaisi was learnt and published in various times by O. Soselia, M. Dumbadze, Sh. Burdzhnadzze, M. Svanidze, G. Mtchedlidze, M. Rekhviashvili, M. Nikoleishvili, P. Vatchridze, M. Kezevadze, R. Abesadze and others.


Quite a few diplomas are connected to the last king of Imereti - Solomon II and they are mostly his favour and donation diplomas. According them we can boldly discuss about king's wisdom, charity, generosity and magnanimity.

My research unit is KHM№138 donation diploma of Solomon II. This diploma is interesting for its content. There is a description of that period of time, when Georgia was disturbed by enemy and there is also a great respect and love of Solomon II to his uncle Solomon I, whom he called "the second David the Builder" (KHM№706). In addition, diploma is interesting for it's architectonic. It compounds of introduction, main part and conclusion. Traditionally, there is an application-entreaty to the God and saints in introduction. The reason of creation of diploma is given in main part. And in conclusion, they who wanted to hinder decisions made by this diploma were damned and cursed.

KHM№138 Sh. Burjanadzze certified in his works: "Internal Politics of Imereti in 1782-1802 Years." And "Solomon I" [KHM№77], but full variant is not published yet. My aim is to show detail description of diploma and publishing of the document. In this way we can make it easy to access for the researchers who are interested in period of Solomon II.

Diploma is one paper, which size is: 106X52sm, it consists of two parts which are fixed on another. Yellow paper, nice calligraphic Mkhedruli, there are some letters in this text which are useless now. They are: ჳ, უ, (ubrjgu), o, ჳ. Main text is written in one column by the black ink and is placed on "r" and "v". As a space it is used a comma, full stop, semicolon and colon. Nikolaos Gabaoni (Nikoloz Gabashvili) is a priest writer. Diploma is written in 26 November 1791.

Diploma is certified by the octahedron seal of Solomon II and quadrangular soot seal of queen Mariam.



მანია ჩაკვიტაძე

(ვოლონტერი)

„გალობანი, თქმული დავით მეფისანი...“

ძველ ქართულ სასულიერო პოეზიაში გამოიყოფა ორი დარგი: ლიტურგიკული და სამოძღვრო-მოთხრობითი პოეზია. ლიტურგიკულ პოეზიას მიეკუთვნება ე.წ. საეკლესიო ჰიმნოგრაფია, ღვთისმსახურების დროს შესასრულებელი ჰიმნები და საგალობლები, რომლებშიდაც გადმოცემული იყო ღრმა რელიგიური გრძნობები (კ.კეკელიძე, 1989, გვ.587).

თავდაპირველად ხდებოდა საგალობლებისა და ჰიმნების თარგმნა, ძირითადად ბერძნული ენიდან, ხოლო VII საუკუნიდან დაიწყო ქართული საგალობლების შექმნა. აქედან გამომდინარე ძველი ქართული ჰიმნოგრაფიული ტერმინოლოგია შედარებით ღარიბია.

ჩვენი შესწავლის საგანს წარმოადგენს ქუთაისის მუზეუმში დაცული №22 ხელნაწერი, რომელიც შეიცავს ბერძნულიდან გადმოთარგმნილ ეფრემ მცირის მხატვრულ ძეგლს “წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ღთისმეტყუელისა მუკლები იამბიკოი სასწავლოისა წილ წარმართთაისა, რომლისაგან განაყენა ქრისტიანენი ივლიანე განდგომილმან, ზედა წარწერილი თუთ მისსივე”, რომელიც გამოსცა ს. ყუბანეიშვილმა (ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 365-372) და ევსევი ნიკოლაძემ (ეფრემ მცირე-მხატვრულ ნაწარმოებთა ბერძნულიდან ქართულ ენაზე მთარგმნელი, 1959). ამ ხელნაწერზე ასევე უმუშავნია რამაზ ხალვაშს (ტბელი აბუსერიძის გალობანი, 1992) და იოანე სამხარაძეს (2006წელს).

ჩვენ მიერ შერჩეული ხელნაწერი წიგნი წარმოადგენს XIII საუკუნის ძეგლს, რომელიც დაცულია ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების ფონდში. იგი წარმოადგენს საგალობელთა კრებულს. მუზეუმში შემოსულია გელათის მონასტრიდან. ხელნაწერი წარმოადგენს ეტრატს; შესრულებულია ნუსხურით, ხოლო სათაურები და აბზაცთა პირველი ასოები გამოყოფილია მრგლოვანი, სინგური ნაწერით. წიგნს აქვს ტყავგადაკრული ყდა, რომელიც საკმაოდ დაზიანებულია და შემორჩენილია მხოლოდ ნაწილი, კერძოდ უკანა ყდა. ხელნაწერი ნაკლულია, დაზიანებულია როგორც საკუთრივ ფურცლები, ისე წარწერები, ზოგი საერთოდ გადაშლილია, ზოგიც გაფერმკრთალებული, რაც ნაწერს ძნელადნასაკითხს ხდის. ტექსტში ალაგ-ალაგ არის ნაწერი აღდგენილი და გაახლებული, ძირითადად მხედრული დაწერილობით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ხელნაწერის აღდგენა მოგვიანებითაც უცდიათ.

ძველი პაგინაციით არის 30 რვეული. დასაწყის ფურცლებზე არ ჩანს გადანომვრა, ადგილ-ადგილ, წიგნის შიგა გვერდებზეც ნაშლილია ნომრები ან ძნელად გასარჩევი არის. მესამე გვერდიდან მეცხრე გვერდის ჩათვლით იწყება არაბული ნუმერაცია; მეათე გვერდიდან კი ხდება მრგლოვანი ასოებით დანომვრა. ხელნაწერში მრავლად ვხვდებით მინაწერებს, როგორც ნუსხური, ისე მხედრული შესრულებით, რაც მეტად მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენს ტექსტის შესწავლის პროცესში.

საყურადღებოა ასევე ის ფაქტი, რომ რამდენიმე ფურცელზე, ზედა და ქვედა კიდეებზე გაკეთებული მინაწერების მხოლოდ ნაწილი, ზოგჯერ კი რამდენიმე ასო ჩანს. ვფიქრობთ, რომ ეს ფაქტი უნდა მიუთითებდეს ხელნაწერის სულ პირვანდელ სახეზე; ის, რომ ყდაში ჩასმამდე იგი გაცილებით უფრო დიდი ზომის ეტრატი უნდა ყოფილიყო, ვიდრე დღეს არის. ყდაში ჩასმის შედეგად კი უფრო მოკლე წიგნად შეიკრა. წიგნს 227r-228v_ზე დართული აქვს ზანდუკი.

ხელნაწერში ორ ადგილას (207v, 215v), ფურცლის ზედა მარცხენა კიდეზე არის მხედრული ასოებით მინაწერი საკუთარი სახელი “გიორგი”. ვფიქრობთ, რომ ეს იმ პიროვნების სახელი უნდა იყოს, ვინც სცადა ამ ხელნაწერის აღდგენა. ასევე დასტურდება (210v, 238r) მხედრული შესრულებით მინაწერი: “იხ. პავლე ინგოროყვა”. პავლე ინგოროყვას მართლაც შესწავლილი აქვს ეს ხელნაწერი და გამოქვეყნებული რამდენიმე ტექსტის მხედრული თარგმანი (პ.ინგოროყვა, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, 1913), მაგრამ მათ შორის, ჩვენი კვლევის ობიექტი – “გალობანი თქმული დავით მეფისანი” არ შედის.

ხელნაწერი სულ შეიცავს 48 საგალობელს, რომელთა ჩამოთვლისგანაც ამ ეტაპზე თავს

შევიკავებთ. სწორედ ამათ რიცხვში შედის ჩვენ მიერ დამუშავებული ტექსტი “გალობანი, თქმულნი დავით მეფისანი”, რომელიც 213–215 გვერდებზეა მოთავსებული.

ამ ეტაპზე ჩვენი ყურადღება შევაჩერეთ დავით მეფის საგალობელზე. ჩვენი მიზანია წარმოვაჩინოთ რამდენად არის შესწავლილი ეს საგალობელი ქართველი მეცნიერების მიერ, ამასთან ერთად, მკითხველს შევთავაზოთ ქუთაისის მუზეუმში დაცული, ჩვენ მიერ ნუსხურიდან მხედრულზე გადმოწერილი ამ ნუსხის სრული ვერსია. ტექსტზე მუშაობისას შევეცადეთ დაგვეცვა დედნის სიზუსტე.

ტექსტზე მუშაობისას გამოიკვეთა შემდეგი: ხელნაწერში არ არის გამოყოფილი აბზაცები. ამისათვის გამოყენებულია სინგურით შესრულებული ასომთავრული. განკვეთილობის ნიშნად გვხვდება წერტილი და სამი წერტილი; თითოეული გვერდი შედგება ოცდათერთმეტი ბნკარისაგან. 215r_ზე მთავრდება დავითის საგალობელი და ოცდამეათე ბნკარზე უკვე მოცემულია მომდევნო საგალობლის სათაური “გალობანი წმიდისა ღვთისმშობლისნი სავედრებელნი”. 213r და 214v გვხვდება მინაწერები: “ესე იყო გწგბითა ლა თა” (213r). 214v_ზე გაკეთებული მინაწერი გაფერმკრთალებულია და ძნელად გასარჩევი, ჩვენ მაინც შევეცადეთ და შემდეგნაირად წავიკითხეთ იგი: “დიჯჴსა ზა”.

ჩვენ ტექსტის შესწავლის პროცესში გავეცანით თბილისის უნივერსიტეტის მიერ 1989 წელს გამოცემულ ამ საგალობლის ტექსტს და შევადარეთ იგი ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში დაცულ ხელნაწერს. მათი შედარების პროცესში გამოიკვეთა შემდეგი განსხვავებები: ჩვენს ხელნაწერში 213r_ზე, 16_ბნკარში დასტურდება სიტყვები: **ლთო მცხრო**, ხოლო შესაძარებელ ტექსტში იმავე ადგილას იგი გამოტოვებულია. მსგავსი შემთხვევები გვხვდება სხვა გვერდებზეც, 213v_ზე, 6_ბნკ.: **რს ესმა**; 213v_ზე, 23_ბნკ.: **შნდა აღვიმს**; 213v_ზე, 31_ბნკ.: **გწნ**; 213v_ზე, 25_ბნკ.: **ყრმა შპნი**; 214r_ზე, 11_ბნკ.: **შეუნვ ლმნ**; 215r_ზე, 5_ბნკ.: **მტყროთ ელ**. ასევე იყო პირიქითაც, ხელნაწერში არ დასტურდებოდა, გამოქვეყნებულ ტექსტში კი შეგვხვდა. 213r_ზე, 26_27_ბნკარში გვაქვს **მდინრემნ უკორისა ლუართამწ**, გამოქვეყნებულია **მდინარემან უკეთურებისამან**. 214r_ზე, 16_ბნკ.: **ქუყყანასა ზედა**.

ხელნაწერი მეტად მრავალფეროვანია და საინტერესო სინტაქსურ-მორფოლოგიური თვალსაზრისით. ტექსტში დასტურდება ასევე საინტერესო სინტაქსური წყვილები, როგორც არის მაგალითად “კონოლი თმათა” და მისთ.

პალეოგრაფიული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია ასოთა მოხაზულობა და გადაბმები, რაც ნუსხურისათვის უჩვეულოა. ვფიქრობთ რომ აქ იგრძნობა მხედრულის გავლენა. XII საუკუნიდან უკვე ნელ-ნელა მკვიდრდება მხედრული ანბანი და ეს პროცესი ამ ხელნაწერზე ნათლად აისახა.

ხელნაწერში მრავლად გვხვდება რთული სიტყვები, რომლებიც დღეს ერთად იწერება, ხოლო ტექსტში მათი შემადგენელი კომპონენტები ცალ-ცალკეა წარმოდგენილი. ასეთია მაგალითად: დედაკაცსა (დედა კცსა), სჯულისმდებელი (სჯლის მდებელი), ერთცისკროვნება (ერთ ცისკროვნება), გულისთქმით (გლის თქმით), ღთისმეტყველთაგან (ღთის მეტყელთაგან), ვამრავალნილე (ვამრვლ ნილე), მამაკაცებრ (მამა კცებრ), მრავალგვარსა (მრვლ გუარსა), გლახაკათათვის (გლხკათ თვს), რაითურთით (რთ თურთით). ტექსტში მრავლადაა ქარაგმები.

ხელნაწერს უფრო სიღრმისეულად შევისწავლით მომავალში. ქვემოთ წარმოდგენილია ქუთაისის მუზეუმის №22 ხელნაწერში დაცული საგალობელი „გალობანი თქმულნი დავით მეფისანი“: ხელნაწერის ფოტოპირები, ნუსხურად შესრულებული, დართული აქვს კრებულს.

213r

1. **წმს უფითა რლისაცა წე ქედ დადრეკილ**
2. **არს ყნი მუჭლი მორკების და ეწყლი**
3. **შნსა ვმობს აღსარებსა მეცა სიტყო აღმ**
4. **სარებელსა მომხედენ ხტსა მამსგვსე**
5. **და სკრვლდ გრძნობისა და გონიერ**
6. **სა მყოფობისად დამანესე შნებრ არს**
7. **თა სიტყვებისა ჩმშსცა შეკრებილა ხმე**

8. უმდლო გექმენ ბნბითნი რდძლნი არა
9. სჯლთაებრ ვილჯუმენ მსგვსბისაგნ დავა
10. კლდი და დავჰბადე ბრტი ხხილლთა მრსა
11. გემოვნებასა ვრცელად გნუხუჭნ გრძ
12. ნობან ძნლო ბრლულთა თვს მდე
13. ბორნი სიტყე გნაზრქე ვრნთა და კარ
14. ვითა მიწისათა სიზრქე უსასბისა გნმ
15. ძუარცუე რა მონანული შეგივრდებნ
16. თომსრო ბნბითსა რდ პორფირსა
17. თვთმფლბელობასა თა მეფობისაცა
18. შარავანდედნი მრნმნენ ხმე ვნბთა
19. ბილნთა მონად მუჰყიდე თვი რ
20. რლისაგნცა ვინ ძლეულ არნ მის
21. დაცა დამონებულ არნ პაენს მკლ
22. ველებრ ცნობა სეითის ძეთა ლირ
23. ნებად გამირთა სილოდით მავლობად
24. ხუთ ქლქელთა შეგინებისა მწვრე
25. უფრდსდ ვამრვლ წილე ვარდ
26. აღმართ მსრბოლმნ მდინრემნ უკთრ
27. ისა ლუართამნ მეგვპტური გლ
28. მძიმობად ქანანელთა ჩუჭულებანი
29. მსხრპლვი ნგბთი ზმნდ და სახრვაი
30. კონოლი თმათად და სხნი რლთი შნ
31. ჰბრძნე არა მსგვსებდ უნრმდებესად

213v

1. მოვიგენ თვთ მთ პირმშოთა სხეთა საცა
2. ამას თს იყო ქნლი და ვრც ქმნა სიტყსდ რა
3. დედობრივთა ოხათა მრცხვნდენ ცდვილნი
4. რლთა პილი საშუაელი და დასსრლ მე ვარ
5. ვა უფსკრლი შესაკრებელი ბილნებისა დ
6. ღვართად რვს ესმა ოწლისა მეფეთა
7. ვჰბადევედ გრნა უსჯლთა და რაოდ
8. ენ მეძლო ვსცთებოდე მლლთა ზა კუმევისა
9. და ნრმრთთა აპრევისა მრ და ძლთა
10. ცისათა თყნისცემისა ზენაფსა მოძრა
11. ობისა ასურასტანული ზმნობად და ცთ
12. ომილთა ვარსკლვთა და უცთომელთა
13. კრებად და გწყრად სუჭ და ბედი და შბის
14. დლე ვრსლთოთა უსმენელმან ვიჩქურენ
15. მლლინთა მირ ვერ ცნობად სიბრძნითა
16. ლთისაფთა ლდ და შემქმედისგნ შექმნილ
17. თამრცვლბდ თყნის ცემისა სრლ ვყვ
18. რვს თვთოეულისა ვნბისა კერსა ვჰმ
19. სახურე ამის თს ლთ მამა კცებრ მოქმედ
20. იქმნა ზშთა ლთთა რა კცებრ უწყოდნ
21. ის ვნბნ ჩნნი და ლთბრ ივსნიდეს ბრლთა
22. გნრლთა ლთის მშბლდ ქდგონ დედაი ქცლი
23. შნდა აღვიმს სჯლნი დავთრგუნენ წიგ

24. ნს და ანლი ბნ ბითრო და სჯ ლისა
25. შნისა მწმე სჯლი გონ ბისაი ც დვისა და კრ
26. ცთა სჯლსა დავამონე თითოეულ
27. თა მვეცთ გნ შემზ ვებელსა მვეცსა ვე
28. მსგ ვსე მრ ვლ გუარსა და მრვ ლ ხ ტსა
29. და სხუა ყ მ სხოზბრ ხილ ლსა და მკსენა
30. რსა ბ ნბისაებრ თითოეულისა არ და შევ
31. ძრნუნდი მანგლისა გნ მფრინ ვლსა

214v

1. რ ი შურსა სიკდ ლისსა მიჰკდის რნი ჩ მბრ
2. მიმდემად ცრუდ ფუცვიდენ გნსაკროთო
3. მელსა სხ ვლსა შნსა. ამის თს სისხლთა
4. ქნლ ბრივთაგნ კრცნი ლ თისნი და ანლი
5. შეზვებ და ლ თი და კ ცი რ ა იოხდენ დედაი
6. ჩმებრ გნწრვთ უსსო ქმნილთა: დანაქმ.
7. ოლონისადასა წურბლის მსგვ სად ვერ
8. მაძლარ სხ თა ს ფლის კიდეთა ვეძიებ
9. და პყრობ ად და ლთისა სზღვ რთა
10. ვაბრალობ ვა მცირეთა და უნდოთა
11. ჩმისამდე უძლებებისა და გ ლისთქმისა.
12. ბრტდ გრდავკედ საზღ ვრთა და შევრთე
13. სხლი სხ ლსა და აგარაკი აგარაკსა და
14. უუძლურესთა მივხუჭყე ნწლი მ თი
15. და ვილუნდ უმეზობლობასა ვრმცა მა
16. რტოი ვმკვდრობ. მბრძოლ ვექმენ ყთა
17. წესთა სჯ ლისა შნისთა და ქორწილთა მრ
18. ხენეშთა ვჰმძლ ვრე სანოლსა ჩმსა
19. და სხ თა ბრ ტთა მცემთა ვაცოდვე ერი
20. ჩმი ვა მ ფეთა მისთა იწლი.
21. ამისთს ქწლი დედაი და შობ და ანლი სიტ ყვსა
22. რ ა ანლი ხ ტ ყოფაი მეორედ მისცეს ც დვი
23. თ გწმრყუნელთა მისთა დედობრივთა
24. რ და ოხათა ბრძმედითა დაადნოს ყლი
25. ნივთი შეცოდებისა. ყწრმთა შბი.
26. ვეცხლი ვა მიწაი და ოქროი ვრ თიჯაი
27. უბნის და გიუნჯენ და თ წნის ვეც ანგაჰ
28. რებისა მამო ნას ვრ იგი ძუჭლთა მთ
29. ბაალს და ასტარტეს ქამოს საძაგელსა.
30. სიტ ყა ნ და ბჭეთა ზა მამხილებელი
31. მოვიძულენ ხ მლიქნელთა ძმა ცული

214r

1. სივერაგე ვითნე და შემ სმენელნი და
2. ვიტკებენ ზრხ ვნი და ცრუნი გწვსცენ მსჯ
3. ავრნი ცრემლნი ქურვთანი და ობო
4. ლთა ბრგუნვილი ტირილი არ შევინ
5. ყლე არა გწუხუწნ წწლევნი მოქენე
6. თა უფ რდსლა შწ ქწს რ ი იზარდები

7. მცირედცა ზრდითა მთა ამის თს შებ
8. ლთისა ადამიანისგნ დედა კცსა რა მიწით
9. შბილთა კცთა ცთომასა ვა ლთისა დედა
10. დაჰვსნიდეს ქწლი და იოხდეს ცდვილთა
11. შეუწვ ლმნ მ: ესენი ვცოდენ სხრბისა
12. სჯლთა და მცნბთა შა შნთა მცემელთა რ
13. ყურმილისა მიპყრობსა და გლხკთა თ?ს
14. გწმიშულებასა და რთუ რითთ არა ფი
15. ცსა შნ სჯლის მდებელი ჩმი ჰბრძანებდი
16. და გლის თქმით მიმხედველობასა გნს
17. რლებლდ მრუშებად დასდებდი დალათუ
18. ესრეთ გწვხრწენ ყნი გრძნობანი და
19. ყდ ხრწნილება ვიქმენ გრწა აღვი
20. ხუწნ ცწლი არცა დავდეც სსბდ ჩმი, ლწისა
21. მრთ უცხოდასა არცა უცხო თესლი რ მე
22. სრწმწბ საწურთელ ვყვ სწლისა
23. გრეშე მისსა რწი მსწვ ეს ლთის მეტწყლთა შთა
24. და აწ მომდრეკელი მწკლთა გწლისათა
25. ვწმობ ვა სწ მანასე მილხინე მწყო
26. მილხინე და ნუ წრწწყმედ ცდვთა შა, ნუ
27. მოივსენებ ძურთა ჩმთა ნუ დამსჯი
28. მექსკნლთა თა რწწწწწ რწწწწწ
29. ულთადა ამწლბლი ზესკწწლს ცწთა ძწლთგწწ
30. საკუთრწდ ლწთს მშწბლდ გქწდგბთ უხრწწწ
31. ელო ქწწლო და გურწამს ვწდწტივი

215v

1. წტიწსა შწწწწწ წწწწწწ წწწწწწ წწწწწწ
2. მეტწყლთაებრ და ცვდვილთა მოქცევასა აწი
3. ჭებ მის მწრ ვა ცხად ჰყოფს თიატროდ იგი
4. მრწობლთა სწწლთა სიკეთე ეგვპტისა
5. ლირსი მწრმ მტყრთწელ. ჟმწწწწ წწწწწწ
6. და ვმელთა აღმოფშვწწწწწ წწწწწწ წწწწწწ
7. რი მეფობიწსა წწწწწწ წწწწწწ და წწწწწწ
8. ბანი უქმი ქმწწწ წწწწწწწწწწწწ დაწწწწწ
9. სხუამწწწწწწწწწწწწწწწწწწწწწწწ
10. სპანი მწწწწწწწწწწწწწწწწწწწწწწწ
11. გწწწწწწწწწწწწწწწწწწწწწწწწწწწწ
12. კილი წწწწწწწწწწწწწწწწწწწწწწწწწ
13. მრთწწწწწწწწწწწწწწწწწწწწწწწწწ
14. მრთწწწწწწწწწწწწწწწწწწწწწწწწწ
15. ცწწწწწწწწწწწწწწწწწწწწწწწწწწწწ
16. ბით გრძწწწწწწწწწწწწწწწწწწწწწწ
17. ლი ძუალსა თა და წწწწწწწწწწწწწწწწ
18. რსა და გწწწწწწწწწწწწწწწწწწწწწწ
19. შობისაწწწწწწწწწწწწწწწწწწწწწწ
20. ჩწწწწწწწწწწწწწწწწწწწწწწწწწწწწ
21. მარტიო წწწწწწწწწწწწწწწწწწწწწწ
22. ბაო გწწწწწწწწწწწწწწწწწწწწწწწ

23. რა გიხილო ნთლი ნთლითა ონსათა სლით
24. აღათა ძე გმოგიბრწყინვო მშნ და
25. უსრ ლბლთა სკნეთა არა უხილ ვს მზესა
26. ქწლი დედად თვნიერ შწნსა და არცა ჩმოდენ
27. ბრლ ეულსა ნთლი მისი გწრნა მე შწითა
28. ოხითა დდფლო ვესავ ხილვად ნთლსა
29. ძისა შწისა ნთლსა ზეშთა სკნეთასა.

ლიტერატურა:

1. დავით აღმაშენებელი, 1989, "გალობანი სინანულისანი", თბ.;
2. პ. ინგოროყვა, 1913, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, თბ.;
3. კ.კეკელიძე, 1989, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ.;
4. კ. კეკელიძე, 1989, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, თბ.;
5. ე. ნიკოლაძე, 1959, ეფრემ მცირე-მხატვრულ ნაწარმოებთა ბერძნულიდან ქართულ ენაზე მთარგმნელი, ქუთ.;
6. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტექსტები, I, თბ.

**MAIA CHAKVETADZE
(VOLUNTEER)**

“CHANTS WERE SAID BY KING DAVID”

We selected the XIII century manuscript of the monument, which is kept in the Manuscripts Department of Kutaisi State Museum. It is a collection of chants. This manuscript is a parchment, which is written with nusxuri. The book has a leather cover, but only the back part is saved. The manuscript is damaged, sheets and inscriptions are also damaged, some inscriptions are absolutely erased, which makes the inscription hardly readable.

We think that the manuscript would be much greater size book before it would have been inserted in the cover. The table of contents is attached to the book on 227r-228v.

During the working on the text the following was discovered: There are no paragraphs in the manuscript, It is used asomtavruli, which is written by the red ink (singuri). But whole title is written by the red ink (singuri) when a new chant starts. As a sign of the differences there is a full stop or three full stops. The interesting syntactical couples are confirmed in the text, for example “Kotsoli Tmata” and so on.

Also, outline and adhesion of the letters are very interesting with the view of paleography, which is unusual and rare for nusxuri. There should be an influence of the mxedruli writing, because since the twelfth century the mxedruli writing was spreaded, so this fact is reflected in this manuscript.



ლია ბითაძე, ელისო ყვავაძე, ომარ ლანჩავა, როლანდ ისაყაძე, მოკინა ლალიაშვილი, ნიკოლოზ ვაჩიშვილი, პაატა გაფრინდაშვილი, მარია დოპროვოლსკაია

ბაგრატის ტაძარში აღმოჩენილი „მდიდარი ქალბატონის“ სამარხის კომპლექსური კვლევის წინასწარი შედეგები*

ბაგრატის ტაძრის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში 2003-2009 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად დადგინდა ძეგლის სტრატეგრაფია და სამშენებლო ეტაპები [1:136-140; 2:162; 3:138-153].

ტაძრის იატაკის ქვეშ არსებული ადრე შუასაუკუნეების საკულტო არქიტექტურის ძეგლების შესწავლის პარალელურად ინტერიერსა და ექსტერიერში 100-ზე მეტი სამარხი გაითხარა, რომელთა ქრონოლოგიური ჩარჩო V-XIX საუკუნეებს მოიცავს.

გათხრებისას აღმოჩენილ ადრე შუასაუკუნეების სამარხებში ორი ქრონოლოგიური ჯგუფი გამოიყოფა: 1. ორმოსამარხები, რომელთაც ფარავს VI ს-ის დასაწყისის ბაზილიკის ჰიდრავლიკურ-ხსნარიანი იატაკი. მათ ჩაჭრილი აქვთ IV ს-ის ბაზილიკის იატაკის დონე. 2. VIII ს-ის მეორე ნახევრის შემდგომი დროის ორმოსამარხები და კირხსნარიანი სამარხები.

კირხსნარიანი სამარხები საერთოდ იშვიათი მოვლენაა, ძირითადად რომაული ხანის სამაროვნებზე გვხვდება და საქართველოში აქამდე მხოლოდ ბიჭვინთის გვიანანტიკური ხანის სამაროვნიდან იყო ცნობილი [4:117-156].

გათხრების ამ ეტაპზე ქუთაისში 6 კირხსნარიანი სამარხია გამოვლენილი, რომლებიც ბიჭვინთის სამარხებისგან ქრონოლოგიურადაც დაშორებულია და კამერის მოწყობის პრინციპითაც საკმაოდ განსხვავდება. მათ შორის გამორჩეულია №50-ე სამარხი, რომელშიც ქრისტიანული ეპოქის სამარხებისათვის უჩვეულო, მდიდრული ინვენტარი აღმოჩნდა [5:17-20].

იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ უახლესი მონაცემებით №50-ე სამარხი გამართულია გათხრებით გამოვლენილი იმ ბაზილიკის ნართექსში, რომლის აგებაც ეგრის-აფხაზთა მეფის ლეონ II სახელს უკავშირდება [6:13-14].

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ლეონ II ქუთაისში მოღვაწეობის ხანა VIII საუკუნის 80-იან წლებზე მოდის [7:216].

სამარხის კონსტრუქციის ზედა ნიშნული VIII ს-ის ბაზილიკის ნართექსის იატაკის დონეზეა გასწორებული და ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ გარდაცვლილი არა მშენებარე, არამედ უკვე დასრულებულ ბაზილიკაში დაკრძალეს. აქედან გამომდინარე, სამარხის ქვედა ქრონოლოგიური მიჯნა VIII ს-ის მიწურულით შეიძლება განისაზღვროს, თანაც მისი გამართვის დროს ჩაჭრილია VI სს-ის დასაწყისში განახლებული პირველი ბაზილიკის (IV ს.) ნართექსის ჰიდრავლიკურხსნარიანი იატაკი (სურ. №1).

№50-ე სამარხის კონსტრუქცია რამდენიმე ნაწილისაგან შედგება:

1. ზედა ნაწილი წარმოადგენს N-O ხაზზე დამხრობილ, გარედან კარგად დამუშავებული საშუალო ზომის ქვის ფილების ერთი რიგით შეკრულ ყუთს, რომლის სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლებში ოთხ-ოთხი, თავსა და ბოლოში კი თითო ფილა დევს. ყუთის გარე ზომებია 2,3×0,68 მ., სიმაღლე 0,4 მ-დე. ფილები ერთმანეთთან დაკავშირებული იყო სუსტი კირხსნარით. ასეთივე ხსნარის თხელი შრით გადალესილი შიდა სივრცე ქვის ფილებით ყოფილა გადახურული, რომელთაგან უძრავად აღმოსავლეთის ნაწილში მხოლოდ ერთი ფილა იყო შემორჩენილი (ქვაყუთის სახურავი თავის დროზე ნიველირებული იყო VIII ს-ის ნართექსის იატაკის დონეზე, რითაც შემსვლელთათვის მონიშნული იყო საფლავის ადგილი), დანარჩენები, როგორც ჩანს, ბაგრატის ტაძრის მშენებლებმა

* დაიბეჭდა ჟურნალ „ანალებში“ (№6, 2010). ვინაიდან აღნიშნული ჟურნალის გავრცელება რეგიონებში შეზღუდულია, ხოლო ბაგრატის ტაძრის არქეოლოგიური კვლევის შედეგებისადმი საზოგადოების ინტერესი დღითიდღე მატულობს, რედაქცია ავტორთა თანხმობით მცირე კორექტივით ბეჭდავს სტატიას წინამდებარე კრებულში.

ააცალეს, მაგრამ საბედნიეროდ სიღრმეში აღარ ჩავიდნენ და ზემოდან სამშენებლო ანატკეცებით გადაფარეს.

ეს სტრუქტურა შეესაბამება იყო 0,2-0,3 მ-ის სიძლიერის ლორღიანი მიწით, რომელიც თავის დროზე დაფენილი იყო სამარხის კამერაზე.

2. შუა ნაწილი მართკუთხედის ფორმის კამერას წარმოადგენს. იგი შემოსაზღვრულია გაურან-დავი ხის ფიცრებით შეკრულ ჩარჩოსა და მიწაში გაჭრილ ორმოს კონტურს შორის ჩასხმული, ადვილად შლადი დუღაბის კედლებით (სიმაღლე 0,4 მ. სიგანე 0,5-0,10 მ.).

3. ქვედა ნაწილში, ასევე ხის ფიცრებით შემოზღუდულ ტრაპეციის ფორმის (ფეხებისკენ დავინ-როებული) სივრცეში, მიცვალებული დაუკრძალავთ პირდაპირ მიწაზე, ზემოდან კი მთელი ტანი გადაუფარავთ სილისა და კორხსნარის თხელი შრით ისე, რომ მხოლოდ სახის ნაწილი ჩანდა. დუღაბის შრემ ძლიერ გაართულა ჩონჩხის პრეპარაცია, თუმცა ინვენტარის ძირითადი ნაწილი in situ მდგომარეობაში დაფიქსირდა (სურ. №2). ზოგიერთი ნივთის დუღაბისგან გამოცალკევება კი მხოლოდ ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ლაბორატორიაში მოხერხდა.

მიცვალებულის დამხრობა კანონიკურად ქრისტიანულია, ხელებისა და ფეხების პოზაში კი წარმართული ელემენტები ჩანს: მარჯვენა ხელი ედო მკერდზე, მარცხენა კი მენჯზე. მარჯვენა ფეხის წვივის ძვლები კი გადაჯვარედინებული (გადალაგებული) იყო მარცხენაზე. ფეხის თითები ნაკლული და გაბნეულია (სურ. 2).

ხელების ანალოგიური პოზა ხშირად გვხვდება სხვადასხვა რეგიონის (მათ შორის საქართველოს) წინა და ადრექრისტიანული ხანის სამაროვნებზე, ერთ შემთხვევაში დადასტურდა ბაგრატის ტაძრის ინტერიერში აღმოჩენილ V ს-ით დათარიღებულ №88-ე უინვენტარო ორმოსამარხშიც.

ფეხების გადაჯვარედინებული პოზა გვხვდება ყუბანისპირეთში მეოცებთან ძვ. წ. I-ახ. წ. I სს-ში (სამარხების 11%-ში), სარმატებთან მხოლოდ II-III სს-ში (7%, 366 სამარხიდან) [8:30-31], X-XIV სს-ით დათარიღებულ დაღესტნის ქრისტიანულ სამარხებში (ურადის სამაროვნის №2-3-5 სამარხები) [9:243-245]. საქართველოში დადასტურებულია ნებელდაში, აბგიძრახუს სამაროვანზე (№9 და №54 სამარხები). მ. თრაპში მათში სარმატული დაკრძალვის წესს ხედავს [10:121], თუმცა მკვლევართა სამართლიანი დასკვნით ფეხების გადაჯვარედინებული პოზა არ განეკუთვნება რომელიმე კონკრეტულ არქეოლოგიურ კულტურას და მით უმეტეს არ წარმოადგენს ეთნიკურ მახასიათებელს [11:529-537].

ფეხების გადაჯვარედინება (შეკვრა), ძვლების საგანგებოდ არევა, ან ფეხის თითების ნაწილობრივი ამოცლა ხშირად დასტურდება იმ რეგიონების ძეგლებზე, რომლებიც სალტოვო-მაიაცკის (ხაზართა ხაკანატის) კულტურის არეალშია მოქცეული და მკვლევართა აზრით, მაგიური ძალების მქონე ქურუმი ქალების სამარხებშია დაფიქსირებული [12: 529-537].

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ლეონ II დედა ხაზართა მეფის ასული იყო [13: 242-243], სამეფო კარს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ხაზარეთთან და კვლევის ამ ეტაპზე ფრთხილი ვარაუდის დონეზე არ გამოირიცხება გარდაცვლილის, რომელიც უთუოდ სამეფო ოჯახის წევრი იყო, ამ სამყაროდან წარმომავლობა.

№50-ე სამარხის ინვენტარი წარმოდგენილია ოქროს, ვერცხლის, მინის და ძვირფასი ქვებისაგან შედგენილი სამკაულებით:

1. დიდი ზომის ოქროს სასაფეთქლები, 2 ცალი (სურ. №12);
2. ოქროს ბეჭდები. მარცხენა ხელზე ფირუზისთვლიანი, მარჯვენა ხელზე ლალისთვლიანი (სურ. №9-10);
3. ნახევრადძვირფასი თვლებით დამშვენებული ოქროს შედგენილი სამაჯურები. თითო ხელზე 4 ცალი (სურ. №8);
4. ოქროს მთლიანადსხმული სამაჯური [მარცხენა ხელზე]. სურ. №6);
5. ვერცხლის მთლიანადსხმული, ჭვირულგამოსახულებიანი სამაჯური მარჯვენა ხელზე (სურ. №7);
6. შავი მინის სამაჯურები, 2 ცალი (სურ. №14), და ფერადი მინის სამაჯურებიც (2 ც.);

7. ტრაპეციის ფორმის ოქროს საკიდები, 3 ცალი (სურ. 11);

8. პირამიდული ფორმის ოქროს ფირფიტებით შედგენილი სამაჯური (სურ. 13).

ოქროსა და ვერცხლის ნივთების ჭედურობის ტექნოლოგიაში შეინიშნება გარკვეული მსგავსება ბიზანტიური სამყაროსა და VII-VIII სს-ის აღმოსავლეთ ევროპის კულტურების საიუველირო ნაწარმთან. ფირუზისთვლიანი ოქროს ბეჭედი (სურ. №9) კი თითქმის იმეორებს VIII საუკუნით დათარიღებულ ბალიჭის (აღმოსავლეთ საქართველო) სარკოფაგში აღმოჩენილ ოქროს ბეჭედს [14:147].

ზემოთ აღნიშნული ფაქტების მიუხედავად, გარდაცვლილის ვინაობის დადგენა კვლევის ამ ეტაპზე შეუძლებელია, ხოლო მდიდარი ქალბატონის სამარხი დაკრძალვის წესისა და ინვენტარის თავისებურებებიდან გამომდინარე მაშინვე კომპლექსური კვლევის ობიექტი გახდა.

ჩონჩხის სამარხშივე ვიზუალური დათვალიერებისას გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ინდივიდს ახასიათებდა ძალიან ვიწრო მენჯის ძვალი, გრძელი და ვიწრო ძვლები (სურ. №2).

მიცვალებულის მორფოლოგიური ანალიზით, სქესი დადგენილია შემდეგი ნიშნების მიხედვით: თავის ქალაზე კეფის ძვლის გარეთა ზედაპირი გლუვი, სუსტი და მცირე ზომის დვრილისებრი მორჩები, შუბლის ძვლის ბორცვები გარკვევით გამოხატული, მსუბუქი ქვედა ყბა, ქვედა ყბის კუთხეები არაა გარეთ განზიდული, ქვედა ეშვის სიმაღლე უკანასკნელი კბილის სიმაღლეს არ აღემატება, კბილები შედარებით მცირე ზომისაა.

სქესის განსაზღვრა მენჯის ძვლის მიხედვით არ განხორციელდა, რადგან მენჯის ძვლის გასუფთავება სამარხში ვერ მოხერხდა და მთლიანად დაიშალა.

შემორჩენილი ნიშნები, რომლებიც სქესის დიფერენცირებას ახდენს, საკმაოდ სარწმუნოა. ასაკი კრანოლოგიური მონაცემების საფუძველზე განისაზღვრა [15:75-98] მორფოლოგიური ნიშნებით: თავის ქალას ნაკერების შეზრდისა და კბილების ცვეთის ხარისხის მიხედვით. კეფის არეში ნაკერების კერების შეზრდის მიხედვით ასაკი 16-20 წლით განისაზღვრება, ხოლო კბილების ამოჭრის ვადებით შეიძლება ასაკი განისაზღვროს 18-25 წლით (რადგან ამოჭრილია III საღეჭი კბილი). რაც შეეხება კბილების გაცვეთის ხარისხს, იგი უმნიშვნელოა და შეიძლება უფრო მცირე ასაკზე ვიმსჯელოთ.

ნაკერების ობლიტერაცია (შეზრდა) უფრო სწორ წარმოდგენას გვიქმნის საპასპორტო ასაკზე, რადგან მცირედაა დამოკიდებული გარემო პირობებთან. კომპლექსური კვლევის შედეგად ასაკი განისაზღვრა 20-25 წლით.

დაკრძალული ქალბატონის სრული კრანოლოგიური დახასიათება თავის ქალას დაცულობიდან გამომდინარე (სურ. №3) შეუძლებელია.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ სახის ქალა არ არის შენარჩუნებული, გაიზომა მხოლოდ განივი დიამეტრი (164 მმ.), გრძივი დიამეტრი შუბლისა და ქალას უკანა წერტილებს შორის (მ-ოპ-164), კეფის ზედა ნაწილის ქორდა (პო-ბ-124), კეფის სიგანე (ასტ-ასტ-113). ანთროპოლოგიური ტიპის დადგენა ჩამოთვლილი ნიშნების მიხედვით არ ხორციელდება.

თავის ქალას აღწერილობითი ნიშნები: თავის ქალას ფორმა (ნორმა ვერტიცალის) ფართო სამკუთხოვანია (ურყპენტაგონოიდეს). იგი ყველაზე განიერი უკანა მესამედის არეშია, შუბლისა და თხემის ბორცვები მკვეთრად გამოხატული, კეფა მკვეთრად უკან წარზიდული. ეს ფორმა ბრექიკრანულ თავის ქალასათვის არის დამახასიათებელი (სურ. №5).

ქალაზე გამიზნული დეფორმაციის კვალი არ აღინიშნება, სინოსტოზური დეფორმაციებიც, რომლებიც მისი ნაკერების ნაადრევი გაძვალეების შედეგია, ასევე არ აღინიშნება. შუბლის ძვლის მარჯვენა ბორცვის ზემოთ აღინიშნება ძვლის შეფერილობა, რომელსაც ძვალზე ლითონი ტოვებს (სურ. №4, 5).

ცხრ. № 1.

ძირითადი ნიშნების განაზომები ლულოვან ძვლებზე*

ბარძაყის ძვალი I		დიდი წვივის ძვალი II		მხრის ძვალი III		იდაყვის ძვალი IV		სხივის ძვალი V	
1	412	1	325?	1	296	1	242	1	222
2	397	3	54	2	293	2	215	2	209
5	370	1a	-	3	45	6	22	4	14
5a	352	6	-	4	48	3	33	4A	12
7	22	9	17	5	14	11	12	5	10
9	26	9a	17	6	12	12	13	5a	10
21	54	4	-	7	47	13	21	3	37
12	-	7	-	9	42	14	21	5/5	40
6	22	8	21	10	39	3:2	15.3	3:2	17.7
10	23	8a	25	7:1	15.9	1:2	112.6	5:2	83.3
8	70	10	-	6:5	85.7	6:2	10.2		
11	27	10b	65?	9:10	107.7	11:12	92.3		
17	101	9a:8a	68.0	7a	60	13:14	100.0		
8:2	17.6	10b:1	20.0						
10:9	88.5								
6:7	100.0								
(18+19):2	36.5								
18	32								
19	41								
11:2	6.8								

წარბზედა არეს შესწავლა მნიშვნელოვანია, რადგან მკაფიოდ განასხვავებს ქალისა და მამაკაცის თავის ქალას, ადამიანის თანამედროვე და წამარბ ფორმებს. აღნიშნულ თავის ქალაზე წარბზედა რკალი ჩამტკვრულია და ამიტომ ამ ნიშნის შეფასება ქულებით შეუძლებელია (სურ. №4). სხვა აღწერილობითი ნიშნები: მსხლისებრი შესავლის ქვედა კიდე, ცხვირისწინა ფოსო, ცხვირისწინა წვეტის ფორმების შეფასება, ასევე შეუძლებელია სახის ქალას არ არსებობის გამო.

თავის ქალაზე შესწავლილი იყო „ფიზიოლოგიური სტრესის მარკერები“ [16:14-25], რომლებსაც იყენებენ ცხოვრების წესის რეკონსტრუქციისათვის. თავის ქალაზე აღინიშნება: ჰიპეროსტოზები თხემსა და კეფაზე, *Cribra orbitalia* მარცხენა თვალბუდეში, ქვედა ყბის ორივე მხარეს პირველი

* სადაც: I. 1. ბარძაყის ძვლის უდიდესი სიგრძე, 2. ბარძაყის ძვლის საერთო სიგრძე, 5. დიაფიზის სიგრძე, 5a. დიაფიზის სიგრძე წინა ზედაპირიდან, 7. დიაფიზის სიგანე ხორკლიანი ხაზის მაქსიმ. განვით. დონეზე, 9. დიაფიზის ზედა სიგანე, 21. ქვ. ეპიფიზის სიგანე, 12. დიაფიზის ქვ. სიგანე, 6. დიაფიზის საგიტალური დიამეტრი ხორკლიანი ხაზის მაქს. განვითარების დონეზე, 10. დიაფიზის ზედა საგიტალური დიამეტრი, 8. დიაფიზის შუანაწილის გარშემოწერილობა, 11. დიაფიზის ქვ. საგიტალური დიამეტრი, 17. ბარძაყის ძვლის ყელის გარშემოწერილობა, 8:2-მასიურობის მაჩვენებელი, 10:9-პლატიმერიის მაჩვენებელი, 6:7-პილასტრის მაჩვენებელი, (18+19):2-ბარძ. ძვ. თავის მასიურობის მაჩვენებელი, 18. ძვ. თავის ვერტ. დიამეტრი, 19. ბარძ. ძვლის თავის საგიტ. დიამეტრი. II. 1. დიდი წვივის ძვლის საერთო სიგრძე, 3. ზედა ეპიფიზის სიგანე, 1a.-უდიდესი სიგრძე, 6. ქვ. ეპიფიზის სიგანე, 9. დიაფიზის შუანაწილის სიგანე, 9. ადიაფ. სიგანე მკვებ. ხვრ. დონიდან, 4. უდიდესი საგიტალური დიამეტრი, 7. ქვ. ეპიფიზის საგიტალ. დიამ., 8. შუანაწილის უდიდესი საგიტალური დიამეტრი, დიაფიზის საგიტ. დიამ. დიაფ. მკვებ. ხვ. დონეზე, 10. დიაფიზის შუანაწილის გარშემოწერილობა, 10b. დიაფიზის უმცირესი გარშემოწერილობა, 9a:8a – პლატიკენემიის მაჩვენებელი, 10b:1 – სიმკვრივის მაჩვენებელი, III. 1. მხრის ძვლის უდიდესი სიგრძე, 2. საერთო სიგრძე, 3. ზედა ეპიფიზის სიგანე, 4. ქვედა ეპიფიზის სიგანე, 5. დიაფიზის შუანაწილის უდიდესი სიგანე, 6. დიაფიზის შუანაწილის უმცირესი სიგანე, 7. დიაფიზის შუანაწილის უმცირესი გარშემოწერილობა, 9. მხრის ძვლ. თავის უდიდესი სიგანე, 10. მხრ. ძვ. თავის ვერტიკალური დიამეტრი, 7:1-ძვლის სიმკვრივის მაჩვენებელი, 6:5-დიაფიზის განივი კვეთის მაჩვენებელი, 9:10-თავის განივი კვეთის მაჩვენებელი, 7a. — დიაფიზის გარშემოწერილობა, IV. 1. იდაყვის ძვ. უდიდესი სიგრძე, 2. ფიზიოლოგიური სიგრძე, 6. იდაყვის მორჩის სიგანე, 3. დიაფიზის უმც. გარშემოწერილობა, 11. დიაფიზის საგიტ. დიამეტრი, 12. დიაფიზის სიგანე, 13. დიაფიზის ზედა სიგანე, 14. დიაფიზის ზედა საგიტ. დიამ., 3:2 – სიმკვრივის მაჩვენებელი, 1:2 – უდიდესი სიგრძის მაჩ., 6:2 – იდაყვის მორჩის სიგანის მაჩ., 11:12 – დიაფიზის განივი კვეთის მაჩ., 13:14-პლატოტენიის მაჩვენებელი, V.1. სხივის ძვლის უდიდესი სიგრძე, 2. ფიზიოლოგიური სიგრძე, 4. დიაფიზის სიგანე, 4a. დიაფიზის შუანაწილის სიგანე, 5. დიაფიზის საგიტ. დიამეტრი, 5a დიაფ. შუანაწილის საგიტ. დიამ., 3. დიაფ. უმცირესი გარშემოწერილობა, 5/5 – დიაფ. შუანაწილის გარშემოწერილობა, 3:2 – სიმკვრივის მაჩვენებელი, 5:4 – განივი კვეთის მაჩვენებელი.

მოლარის გაცვეთა და ვარდისფერი შეფერილობა, მარცხენა M3 (სიბრძნის კბილის) ემალის მუქი ვარდისფერი ლაქა, კბილის ქვა, ქვედა ყბის მარცხენა მხარის ეშვის (C) არასწორი ზრდა.

პოსტკრანიალური ჩონჩხი შემდეგი ძვლებითაა წარმოდგენილი: ლავინის, მხრის, იდაყვის, სხივის, ბარძაყის, დიდი წვივის (არასრული), მცირე წვივის (ფრაგმენტი), მკერდის (მახვილისებრი მორჩის გარეშე) (სურ. №3). ჩონჩხის ყველა ძვალი გაზომილია საყოველთაოდ აღიარებული მეთოდით [17:121-140; 18:148-177].

მარჯვენა ლავინის ძვალი (სურ.№3) კარგადაა შემონახული. მისი სრული სიგრძე 142 მმ-ია, რაც ასევე ადასტურებს მდებრობით სქესს. ლავინის ძვლის ორმაგი სიგრძე და მკერდის ძვლის ტარის სიგანის მიხედვით მხრების სიგანის აღდგენა ხორციელდება. ამ შემთხვევაში მხრების სიგრძე უდრის 31.8 სმ.

მხრის ძვალის გაზომვა სრული პროგრამით მოხერხდა (ცხრ. №1). ძვალი ხასიათდება საშუალო სიგრძით და ძალიან მცირე განივი ზომებით, განსაკუთრებით კი დიაფიზის სიგანე და გარშემოწერილობა. სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებული მონაცემების მიხედვით, ძვლოვანი რელიეფის ზედაპირის მდგომარეობის მიხედვით, შეიძლება ვიმსჯელოთ კიდურების ფიზიკური დატვირთვის ინტენსიურობაზე. ამიტომ, გამოკვლევაში გამოყენებულია ოსტეოსკოპური მეთოდის კაც [19:38-40].

მხრის ძვლის რელიეფის განვითარებას განსაზღვრავენ კუნთების მიმაგრების ადგილის გამოხატულობით.

მხრის სარტყელის განვითარებას განსაზღვრავს *Crista tuberculi minoris* და *Crista tuberculi majoris*. ამ შემთხვევაში შეფასებულია 1 ქულით, რაც ძალიან სუსტ განვითარებას აღნიშნავს. *Tuberositas deltoidea* ის ადგილია, სადაც კუნთები: *deltoideus, m. brachialis* მაგრდებიან. ძვლის ამ მონაკვეთის გამოხატულობაც 1 ქულით ფასდება, რაც მიუთითებს მხრის მუსკულატურის სუსტ განვითარებაზე. ასევე 1 ქულით შეფასებულია *Tuberositas majus, Tuberositas minus; Margilateralis, medialis et anterior* და *Epicondili lateralia et medialis* განვითარება. მარცხენა და მარჯვენა მხრის ძვალზე აღინიშნება როკებს შორის ხერეღი, რაც ამ ჩონჩხის თავისებურებას წარმოადგენს.

იდაყვის ძვალი და სხივის ძვლების გრძივი ზომები საშუალოზე ოდნავ დიდი, ხოლო განივი ზომები მცირე სიდიდით გამოირჩევა (ცხრ. №1). ორივე ძვლის ზედაპირზე აღინიშნება ისეთი შეფერილობის ლაქები, როგორც თავის ქალაზე (სურ. №4,5). თავის ქალასაგან განსხვავებით, ორივე ძვალზე ორ-ორი ასეთი კვალია, პირველი იდაყვის არეში სახსრის ზედაპირიდან 2-3 სმ. დაშორებით, მეორე მაჯის სახსრის ზემოთ, სავარაუდოდ, სამაჯურის ადგილას. სხივის ძვლის რელიეფი სხვადასხვა განვითარებით გამოირჩევა. ამ ძვალზე გამოხატულია მყესების გამხსნელი ღარი (2 ქულა), მყესების *m. biceps brahii* მიმაგრების ადგილი *Tuberositas radii* (2 ქულა).

ბარძაყის ძვალი ხასიათდება საშუალო სიგრძით და მცირე განივი ზომებით (ცხრ. №1). სხვა ძვლებისაგან განსხვავებით, ბარძაყის ძვალზე კარგადაა გამოხატული ხორკლიანი ხაზი, რომელიც მუსკულატურის განვითარებაზე მეტყველებს. დიაფიზი მთელ სიგრძეზე თითქმის ერთი სიგანისაა. ეპიფიზებიც მასიური არ არის. დიდი ციბრუტის (*Trochanter major*) და მცირე ციბრუტის (*Trochanter minor*) ზედაპირის განვითარება საშუალო ქულით ფასდება. ციბრუტების განვითარების ხარისხი მიუთითებს წელის სარტყელის განვითარებაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მენჯის ძვალი, რომლის შესწავლაც კამერალურ პირობებში არ მოხერხდა, ძალიან მცირე ზომისაა (სურ. №2). იგი იმდენად დაზიანებული იყო, რომ ჩვენს მიერ სამარხში გაზომილი სიდიდე რეალურად არ მიგვაჩნია.

დიდი და მცირე წვივის ძვლები განსაკუთრებით ცუდი დაცულობისაა. დიდი წვივის ძვალზე (ცხრ. №1) გაიზომა რამდენიმე ნიშანი, რაც მიუთითებს ინდივიდის გრაცილოზობაზე (ამ ძვლის სრული სიგრძე გაზომილია სამარხში, მარცხენა ფეხის ანაბეჭდით მიწაზე). ბარძაყის მუსკულატურის განვითარებაზე მეტყველებს დიდი წვივის ძვლის პროქსიმალური როკის ზედაპირის განვითარება (2 ქულა), წვივის კუნთების განვითარება (2 ქულა). მცირე წვივის ძვლის ფრაგმენტულობის გამო, მისი გაზომვა და შეფასება შეუძლებელია (ცხრ. №1).

პოსტკრანიალური ჩონჩხის საფუძველზე შეიძლება გამოითქვას მოსაზრება, რომ „მდიდარი ქალბატონის“ ცხოვრების წესი არ იყო აქტიური. ძვლოვანი მასალა მიუთითებს საშუალოდ განვითარებულ ქვედა კიდურებზე და სუსტად განვითარებულ სხეულის ზედა სარტყელზე. სხეულის სიგრძე მნიშვნელოვანი მორფოლოგიური ნიშანია, რომელიც დიდწილად განსაზღვრავს სხეულის სხვა ზომებს. „მდიდარი ქალბატონის“ სხეულის სიმაღლე 1568,5 მმ-ის ანუ 156,9 სმ-ის ტოლია და

საშუალო სიმაღლედ მიიჩნევა. სხეულის სიმაღლე და სხეულის პროპორციები ერთმანეთთან არის დაკავშირებული, მაგრამ ეს კავშირი აბსოლუტური არაა. გამოთვლილია: სხივ-მხრის მაჩვენებელი (75,0), მხარ-ბარძაყის მაჩვენებელი (71,8). ქვედა კიდურების — სხეულის სიგრძის მაჩვენებელი (52,8), ტანისა და სხეულის სიგრძის მაჩვენებელი (47,2). ეს მაჩვენებლები ზოგადად მიუთითებენ სხეულის მეზომორფულ ტიპზე.

სხეულის განივი ზომების ცვალებადობა მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული მასასთან. დადასტურებულია, რომ მასის და გრძივი ძვლების პერიმეტრები არის დაკავშირებული ძალიან მაღალი კორელაციით [20:1-12]. “ჩონჩხის მოცულობის პირობითი მაჩვენებლის” [21:224-248] საფუძველზე გათვლების თანახმად, დაკრძალული ქალბატონის სხეულის წონა 40,9 კგ. უდრიდა.

თავის ქალას ზოგადი მოცულობა სხეულთან შედარებით გვაფიქრებინებს, რომ გარდაცვლილს ბავშვობაში რაქიტი ჰქონდა გადატანილი. რაქიტი ძვლოვან მასალაზე შემდეგი ნიშნებით გამოიხატება: თავის ქალის ზომების გაზრდა, ჩონჩხის ძვლის ნაკლებად განვითარება, ქათმის ფორმის გულმკერდი, და მცირე ზომის მენჯი. თავის ქალაზე აღინიშნება შუბლისა და კეფის ბორცვების მკვეთრი გამოხატულობა. თავის ქალა უკანა ხედიდან კვადრატულია (სურ. №4). ყოველივე ეს გამოწვეულია ნივთიერებათა ცვლის (განსაკუთრებით კი – მინერალური) დარღვევით. ჩვენი აზრით, მდიდარი ქალბატონი შესაძლოა ზამთარში დღენაკლული დაიბადა, იკვებებოდა სხვისი რძით (ძიძის რძით), რაც კალციუმის ცუდ ათვისებას იწვევს. ძუძუთი კვების შედეგად ბავშვი ითვისებს დაახლოებით 70% კალციუმს და 50% ფოსფორს. ეს შეფარდება ირღვევა თუ ბავშვი იკვებება სხვისი რძით. რაქიტული ნიშნები ყოველთვის ერთნაირად არ გამოიხატება, იგი დამოკიდებულია ავადმყოფობის მიმდინარეობის ხარისხზე [22:224-248].

ნაშრომში პირველად შესწავლილია მიცვალებულის ძვლის და სამარხის გრუნტის მიკროელემენტების შემცველობა [23:97-108].

ძვლისა და გრუნტის ნიმუშების მიკროელემენტური შემცველობა განსაზღვრულ იქნა სპექტრალური ემისიონური და ატომური აბსორციის მეთოდებით.* განსაზღვრულ იქნა მიახლოებითი-რაოდენობრივი კონცენტრაცია Si, Al, Mg, Ca, Fe, Mn, Ni, Co, Ti, V, Cr, Mo, Cu, Pb, Ag, Zn, Sn, As, Cd, Na, Zr, Sr (ცხრ. № 2). ძვლის მიკროელემენტური შემადგენლობა იძლევა საშუალებას განვხორციელოთ წინასწარული პალეოდიეტური რეკონსტრუქციები. მიღებული მონაცემების მიხედვით აღინიშნება Zn- და Cu მომატებული კონცენტრაციები, რაც ალბათ დაკავშირებულია ინდივიდის სპეციფიკურ კვების სტატუსთან და შესაძლოა კავშირში იყოს კვებაში ზღვის თევზის და უხერხემლოთა სისტემატიურ მოხმარებასთან. ამ ფაქტის დასამტკიცებლად აუცილებელია დამატებითი გამოკვლევა. ასევე აღსანიშნავია, რომ აღმოჩენილია As, Pb, Sb მცირე კონცენტრაციები. ეს ელემენტები, როგორც წესი შედიოდნენ ტრადიციული დეკორატიული კოსმეტიკური საშუალებების შემადგენლობაში. ნელსაცხებლის სისტემატიური გამოყენებისას შესაძლებელია ამ ელემენტების ნაერთების შეღწევა ქსოვილების შემადგენლობაში. ფაქტის საბოლოოდ დასადგენად აუცილებელია ამ ელემენტების კონცენტრაციის განსაზღვრა და შედარება ჩონჩხის სხვადასხვა ძვლებში.

ცხრ. №2

ელემენტები	კონცენტრაცია
Ca	4.53(%)
Zn	156.6
Pb	1,1
Cu	21,7
As	0,07
Cd	0,05

* მადლობას ვუხდით სამეცნიერო კვლევით ფირმა «Gamma» პრეზიდენტს, ბ-ნ ვ. გვახარას და მის თანამშრომლებს, ღვინის ლაბორატორიის გამგეს ქ-ნ ი. ჭანტურიას და ლაბორატორიის თანამშრომელს ნ. მანველიძეს ძვლოვან ნაშთისა და და ნიადაგში მინერალური ელემენტების განსაზღვრისათვის.

მომავალში „მდიდარი ქალბატონის“ ძვლოვან ნაშთში დამატებითი ქიმიური და იზოტოპური შემადგენლობის განსაზღვრა საშუალებას მოგვცემს უფრო ზუსტად აღვადგინოთ მისი ცხოვრების წესის თავისებურება.

სამარხიდან მოპოვებული ნიმუშების პალინოლოგიური მასალა უაღრესად მდიდარი და მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელი აღმოჩნდა, რაც ზოგადად, სამარხებისთვის საკმაოდ იშვიათ მოვლენას წარმოადგენს. მცენარეთა მტვრის კომპლექსში დიდია ხემცენარეთა, განსაკუთრებით ნიწვოვანთა შემცველობა (დიაგრამა №1).

მენჯის ძვლებს შორის ნაწილი მიცვალებულის მუცლის არეა და აქედან მოპოვებული პალინოლოგიური მასალისთვის დამახასიათებელია მტვრის მარცვლების კარგი კონსერვაცია და მრავალფეროვნება (ნიმუში 1,2,3). მტვრის შესანიშნავი დაცულობა განპირობებულია ჯერ ნერწყვის და შემდეგ კუჭის წვენის ზემოქმედებით, რის შედეგადაც ხდება მტვრის მარცვლების სტერილიზაცია.

მუცლის არეში აღებულ სამივე ნიმუშში დაფიქსირდა მცენარეთა 50-მდე სახეობის მტვრის მარცვლების საკმაოდ დიდი რაოდენობა. დომინირებს ფიჭვისა და ლიბანური კედარის მტვრის მარცვლები. მეორე ნიმუშში გვხვდება კედარის ტეტრადები და განვითარების სხვადასხვა სტადიაზე მყოფი მტვრის მარცვლები. კარგადაა წარმოდგენილი მურყანი, ნაბლი, მუხა და სხვა ფოთლოვანი ხემცენარეები. ნაპოვნია ღვიის და კვიპაროსის მტვრის მარცვლები. არის საკვებ მცენარეთა მტვერიც. ნაპოვნია თხილის 21 და კაკლის მტვრის 9 მარცვალი. სამარხის სხვა ნაწილებში თხილისა და კაკლის მტვრის მარცვლების ასეთი დიდი რაოდენობა არ დაფიქსირებულა. მხოლოდ მუცლის არეშია ნაპოვნი სუროს, ეფედრას, ბზის და არყის მტვერი (ტაბულა №1). ბალახოვნებიდან აქ უამრავია სხვადასხვა გვიმრის სპორები. არის ლიკოპოდიუმის და ხავსის სპორებიც, რომლებიც სამარხის სხვა ნიმუშებში არ არის დაფიქსირებული.

რაც შეეხება არაპალინოლოგიური ხასიათის ნამარხებს, ბევრია ხის მერქნის ტრაქეალური უჯრედები. მრავლადაა წარმოდგენილი სელის ბოჭკოები. გვხვდება სელის (ცისფერი, შაბიამნისფერი, ვარდისფერი) ბოჭკოები, რომელთაგან სჭარბობს ცისფერი (ტაბულა №2,4). ბამბის ბოჭკოები ცოტაა, შალისა კი უფრო ნაკლებია; კარგადაა წარმოდგენილი სოკოს სპორებიც. დაფიქსირდა სხვადასხვა სახის ზოოლოგიური მასალა, მაგალითად, ფუტკრის ბუსუსები და კლანჭები.

შემდეგი მასალა მიცვალებულის ხერხემლის შუა ნაწილის ქვეშაა აღებული (ნიმუში №4,5). აქ მტვრის მარცვლების რაოდენობა არ არის ისეთი დიდი, როგორც მუცლის არეში აღებულ სინჯებში. საერთოდ არ აღინიშნება ღვიის, კვიპაროსის, არყის, კაკლის და სხვა მცენარეთა მტვერი. ხემცენარეთა შორის ჭარბობს ფიჭვის და კედარის მტვერი. მრავლადაა წარმოდგენილი ნაბლის, მურყნის, მუხისა და თხილის მტვრის მარცვლები. უხვად გვხვდება ბალახოვნების მტვერიც. ჭარბობს ველური მარცვლოვნების მტვერი და ტყის გვიმრების სპორები. არაპალინოლოგიური ნაშთებიდან დომინირებს ხის მერქნის ტრაქეალური უჯრედები. საკმაოდ ხშირად გვხვდება სელის ბოჭკოები, მათ შორის აღინიშნება ცისფრად შეღებილი ბოჭკო. ბევრია ველური მარცვლოვნების ფიტოლიტებიც. დაფიქსირდა წყალმცენარეთა (*Pseudoschizae*) ნაშთებიც.

მიცვალებულის ნეკნებთან აღებული პალინოლოგიური სპექტრი უფრო მდიდარია (ნიმუში №6,7). ნიწვოვანთა შორის გამოჩნდა ნაძვი. განხილულ ნიმუშებში პირველად დაფიქსირდა წიფლის, ზეთისხილის და ვარდისებრთა ოჯახის მტვრის მარცვლები. სხვა ტაქსონების რაოდენობრივი შემადგენლობა თითქმის იგივეა, როგორც ზემოთგანხილულ ნიმუშებში. დომინირებს ფიჭვი და კედარი. ბევრია მურყნის და ნაბლის მტვერი. მუხის, თელის, ძელქვის, ლაფანის, ღვიას და კვიპაროსის მტვერის დიდი წვლილი არ შეაქვთ პალინოსპექტრის ფორმირებაში. უაღსანიშნავია, რომ ნეკნების არედან აღებულ მასალაში ნაპოვნია პეკანის (*Carya*) მტვერი, რომელიც, ისევე როგორც ლიბანური კედარი, კვიპაროსი და ზეთისხილი, ინტროდუცირებული უნდა ყოფილიყო. ბალახოვნების ჯგუფში ჭარბობს იმ სარეველათა მტვერი, რომლებიც ეზოებში, გზების და ბილიკების პირას იზრდებიან, ესენია: ღორის ბირკა, ავშანი, ვარდკაჭაჭა და სხვ. ტყის გვიმრების სპორების რაოდენობა უმნიშვნელოა.

არაპალინოლოგიურ ნაშთებს შორის დომინირებს ხის მერქნის, მათ შორის ლიბანური კედარის, ტრაქეალური უჯრედები. ტექსტილის ქსოვილის ბოჭკოებს შორის რაოდენობრივად ჭარბობს სელის ბოჭკოები, ბამბის ბოჭკოები კი ცოტაა. სელის ფერადი ბოჭკოებში ჭარბობს ვარდისფერი.

გვხვდება აგრეთვე ცისფერი სელის ბოჭკო. აღინიშნება სოკოს სპორები, მათ შორის ნაკელის, ესენია: *Sordaria*, *Sporormiella*, *Podospora*. ზოოლოგიური ნაშთებიდან ნაპოვნია ფუტკრის და სხვა მწერების ბუსუსები, ჩრჩილის და ტკიპების ჯაგრები და ბრჭყალები, პეპლების ფრთების ეპიდერმისი. აგრეთვე ნაპოვნია ფრინველის ბუმბულის ნაშთი (ნიმუში №7).

მარჯვენა ფეხის წვივთან აღებული ნიმუში (№8) უაღრესად მდიდარი აღმოჩნდა. სულ დათვლილია 436 მტვრის მარცვალი, რომელთაგან 356 მიეკუთვნება ხემცენარეებს და ბუჩქებს. ძალიან ბევრია ფიჭვის და ლიბანური კედარის მტვრის რაოდენობა. ლიბანური კედარის ტეტრადებიც კი აღინიშნება. წინვოვნებიდან ნაპოვნია აგრეთვე სოჭის, ნაძვის და ღვიის მტვერიც. ბევრია მურყნის და ნაბლის მტვრის მარცვლები. შედარებით ნაკლებია კაკალი, წიფელი, რცხილა, მუხა, ძელქვა და თხილი. ბალახოვანთა ჯგუფში დომინირებენ ველური მარცვლოვნები და ტყის გვიმრების სპორები. სარეველების მტვრის რაოდენობა უმნიშვნელოა.

არაპალინოლოგიურ ნამარხებს შორის ჭარბობს დაშლილი ხის მერქნის ტრაქეალური უჯრედები და სელის ბოჭკოები. აღინიშნება ცისფერი ბოჭკო და ბამბის ქსოვილის მიკრონაშთების მცირე რაოდენობა.

მიცვალებულის მარცხენა ხელის მაჯის არეში აღებულ სინჯში მტვრის მარცვლების რაოდენობა ცოტაა (ნიმუში №9). სულ დათვლილია 171 პალინომორფი, საიდანაც მტვრის მარცვალი მხოლოდ 68-ა. ეს იმით აიხსნება, რომ მიცვალებულის ხელი კირით იყო დაბინძურებული. კვირი კი ორგანულ ნაშთებს, მათ შორის მცენარეთა მტვერს ანადგურებს.

პალინოლოგიურ სპექტრში დომინირებს ფიჭვის და კედარის მტვერი, რადგან მათი მტვრის მარცვლები უფრო მდგრადია და ნებისმიერ არახელსაყრელ პირობებს უძლებენ. მცირე რაოდენობით დაფიქსირდა მურყნის, მუხის, კაკლის, რცხილის, პეკანის, კვიპაროსის და თხილის მტვრის მარცვლები. ბალახოვნების ჯგუფი ღარიბია. გვხვდება ველური მარცვლოვნების და სარეველების მტვრის მარცვლები, აგრეთვე ტყის გვიმრების სპორები. შედარებით ბევრია დაშლილი ხის მერქნის უჯრედები, ასევე აღინიშნება სელის და ბამბის ბოჭკოებიც. ნაპოვნია მარცვლოვნების ფიტოლიტები, სოკოს სპორები. ზოოლოგიური მასალა შეიცავს მწერების ბუსუსებს, ძაღლის ბენჯს და ფრინველის ბუმბულს.

მიცვალებულის მარჯვენა ხელის იდაყვთან აღებული ნიმუშის სპექტრი არაა მდიდარი, რადგან ნაწილობრივ, მაგრამ მაინც, აღინიშნება კირის ნარჩენები (ნიმუში №10). ხემცენარეთა ჯგუფში კარგადაა წარმოდგენილი წინვოვნები, განსაკუთრებით კი ფიჭვი და კედარი (ტაბულა №3), ცოტაა ნაძვის მტვერი. მტვრის ერთეული მარცვლებით არის წარმოდგენილი კაკალი, პეკანი, ძელქვა, იელი. უფრო მეტია ლაფნის და თხილის მტვერი. ბალახოვნების ჯგუფი მოიცავს ველურ მარცვლოვნებს, სარეველებს და ტყის გვიმრებს. არაპალინოლოგიურ ნაშთებს შორის ბევრია ხის მერქნის უჯრედები, ფიტოლიტები და სელის ბოჭკოები. აღინიშნება აგრეთვე დაშლილი ძვლის კრისტალები, მწერების ბუსუსები, ტკიპების ჯაგრები და სხვა ნაშთები.

მარცხენა (ნიმუში №11, 12) და მარჯვენა (ნიმუში №13) ხელის სამაჯურებთან აღებული მასალის პალინოლოგიური სპექტრი უხვად შეიცავს პალინომორფებს, რომლებიც შესაძლოა სამაჯურების ჟანგის მარილებმა შემოგვინახა. ისევე, როგორც ყველა სინჯში, აქაც ჭარბობს ფიჭვის და ლიბანური კედარის მტვრის რაოდენობა, ხოლო სოჭის, ღვიის და კვიპაროსის მტვრის მარცვლების რაოდენობა უმნიშვნელოა. სამაჯურების ზედაპირიდან აღებულ სინჯში კარგადაა წარმოდგენილი ნაბლი. ამ სამაჯურის შიდაპირიდან აღებულ ნიმუშში (№12) ნაბლის მტვრის მარცვლები საერთოდ არ დაფიქსირებულა. ამ ნიმუშის პალინოლოგიურ სპექტრში ბევრია მურყნის და თხილის მტვერი, ხოლო კაკლის, ძელქვის, მუხის, ცაცხვის, რცხილის და ლაფნის მტვერი შედარებით ნაკლებია. ამ სინჯებში პირველად გამოჩნდა ხეჭრელის მტვრის მარცვლები. ბალახოვნებს შორის ჭარბობს ტყის გვიმრის სპორები, ესენია: ენრის გვიმრა, კრიპტოგრამა და სხვა გვიმრანაირები. ამ უკანასკნელთა გვარამდე ან სახეობამდე განსაზღვრა ვერ მოხერხდა, რადგან მათ სპორებს გარეთა საფარი შრე – პერისპორიუმი არ ქონდათ შემორჩენილი. აღინიშნება აგრეთვე ველური მარცვლოვნები და სარეველები, რომელთა შორის მცირეა ჯინჭრის, მრავალძარღვას, ფარსმანდუკის, მჟაუნის, მათიტელას, ნაცარქათამას და სხვათა მტვრის მარცვლები. არაპალინოლოგიური ფოსილიების ჯგუფში დომინირებს ხის მერქნის უჯრედები და ტექსტლის ბოჭკოების რაოდენობა. განსაკუთრებით ბევ-

რია სოკოს სპორები, (სინჯი №12). სოკოებს შორის აღსანიშნავია ნაკელის სოკო, უსტულინა და ბრახისპორიუმი, რომელებიც ხის მერქანზე იზრდება. ნაპოვნია სოკო ხაეტომიუმის სპორებიც. ამ სოკოს სპორები სხვა ნიმუშებშიც გვხვდება. იგი სახლდება მცენარეული წარმოშობის ტექსტილზე და მის დაშლას უწყობს ხელს [24:313-329]. ამ ორ სინჯში დაფიქსირდა აგრეთვე სოკო გლომუსის სპორები. ეს სოკო ნიადაგის ეროზიის მაჩვენებელია, ზოგჯერ კი ნიადაგის დამუშავების ანუ მიწათმოქმედების მარკერია [24:105].


კარგადაა წარმოდგენილი ზოოლოგიური მასალა. აღინიშნება მწერების ბუსუსები, პეპლების ფრთების ქერცლისა და სხვა სახის მიკრონაშთები. ტექსტილის უამრავი ბოჭკო და მათ შორის ფერადი, დაფიქსირდა სამაჯურების შიდამხრიდან აღებულ ნიმუშებში. ჭარბობს სელი, გაცილებით ნაკლებია ბამბა, მცირეა აბრეშუმისა და შალის ბოჭკოები. საკმაო რაოდენობით აღმოჩენილია სელის ცისფერი ბოჭკოები შედარებით ნაკლებია წითელი, შავი, ვარდისფერი და ყვითელი ფერის ბოჭკოები.

მსგავსი სურათია მარჯვენა ხელის სამაჯურშიც (№13), მაგრამ აქ მაინც შეინიშნება პალინოსპექტრის რამდენიმე თავისებურება. მაგალითად, დომინირებს მურყნის მტვრის შემცველობა, კედარის მტვერი მეტია ფიჭვის მტვერზე, უხვადაა წარმოდგენილი აგრეთვე წაბლის მტვრის მარცვლები. ნაპოვნია ნეკერჩხლისა და ტირიფის მტვერიც, რაც მარცხენა სამაჯურის სინჯებში არ დაფიქსირებულა. ბალახოვნებიდან ჭარბობს სარეველები, განსაკუთრებით ღორის ბირკა და ნაცარქათამა. არის ისეთი მცენარეების მტვერი, რომელებიც წყალთან იზრდება, მაგალითად, წყლის მრავალძარღვა. ტყის გვიმრების ტაქსონომიური შემადგენლობა გაცილებით უფრო მდიდარია. აღინიშნება კილამურა, გველის ენა, გვიმრუჭა და სხვ.

არაპალინოლოგიურ ფოსილიებს შორის ბევრია ხის მერქნის უჯრედები და ტკიპების ნაშთები. ნაპოვნია სოკოს სპორები, მათ შორის ნაკელის სოკო სორდარიაც. ქსოვილის ბოჭკოები კარგადაა წარმოდგენილი. ჭარბობს სელი. შეგვხვდა წითელი ფერის სელის ბოჭკო. ბამბის ბოჭკოების რაოდენობა ნაკლებია. ნაპოვნია შალის ორი ბოჭკოც. განხილულ სინჯში აბრეშუმის ბოჭკო არ დაფიქსირებულა.

მიცვალებულის თავის ქალას ქვეშ აღებული მასალის პალინოლოგიური სპექტრი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია (ნიმუში №14). მასალაში აღინიშნა 70-მდე ორგანიზმის პალინომორფი, რომელშიც დომინირებს მურყნის და წაბლის მტვრის რაოდენობა. ბევრია თხილის მტვრის მარცვლები. სხვა პალინოსპექტრებთან შედარებით ნიწვოვნების შემცველობა გაცილებით ნაკლებია. აღინიშნება ფიჭვის, ლიბანური კედარის და კვიპაროსის მტვრის მარცვლები. ნაპოვნია მუხის, კაკლის, იფნის, ტირიფის, თელას, ძელქვის და თხილის მტვერი. განსაკუთრებითაა აღსანიშნავი, რომ მხოლოდ ამ სინჯში აღმოჩნდა ველური ვაზის მტვრის მარცვალი. კარგადაა წარმოდგენილი ბალახოვანთა ჯგუფი, დომინირებენ გვიმრის სპორები. მეორე დომინანტი ვარდკაჭაჭას მტვერია. აღნიშნული სარეველის ჩგარდა, დაფიქსირდა ღორის ბირკა, ავშანი, ნაცარქათამა, ჯინჭარი. მხოლოდ ამ ნიმუშშია ნაპოვნი ხორბლის მტვრის მარცვალი. უხვადაა წარმოდგენილი არაპალინოლოგიური ჯგუფი, ჭარბობს ხის მერქნის ტრაქეალური უჯრედები. ბევრია სელის ბოჭკო, მათ შორის ცისფრად შეღებილი, ხოლო ბამბის ბოჭკოები გაცილებით ნაკლებია. მცირე რაოდენობით აღინიშნება ლურჯი და შავი ფერის სელის და შალის ბოჭკოები.

ნაპოვნია სოკოს სპორები, მათ შორის სორდარია, ნეიროსპორა და ხაეტომიუმი. აღინიშნება წყალმცენარეების ნაშთები. რაც შეეხება ზოოლოგიურ მასალას, იგი აქ უხვადაა წარმოდგენილი. ბევრია მწერების ფოსილიები, მათ შორის ფუტკრის ბუსუსები და კლანჭები. არის ძაღლის და შველის ბენვები. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სპექტრებში ნაპოვნია კედარის ტეტრაედები და განვითარების სხვადასხვა სტადიაში მყოფი მტვრის მარცვლები, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ სამარხში მოხვდა კედარის ყვავილები, მრავალრიცხოვანი მტვრიანებით. ამასთან ერთად, სამარხში ნაპოვნია კედარის მერქნის უჯრედები. სწორედ ამ ორმა ფაქტმა საშუალება მოგვცა გვევარაუდა, რომ მიცვალებულს კედარის აყვავებული ტოტები ჩაატანეს. როგორც ცნობილია, კედარის ტოტებზე და მის ნიწვებზე გამოიყოფა ნებოვანი ფისი, რომელიც იკრავს არა მარტო კედარის, არამედ მის გარშემო მყოფ სხვა მცენარეების მტვრის მარცვლებსაც. ეს ფაქტი დამტკიცებულია რეცენტიული მასალის კვლევისას.



დიაგრამა №1. სამარხი №50-დან აღებული ნიმუშების ხემცენარეთა პალინოლოგიური სპექტრები.

№50 სამარხის პალინოლოგიური და არაპალინოლოგიური პალინომორფების რაოდენობა რ. №1. №50-ე სამარხი გახსნამდე

	მტვრის			ხერხემლოვანი		ნეკნებთან		წვეთთან	მაჯასთან	იდაქთან	მარცხ. სამაჯურთან		მარჯ. სამაჯურთან	ქალას ქვეშ
	1	2	3	4	5	6	7				11	12		
Total AP – ხემცენარეთა მტვრის ჯამი	184	288	144	53	7	130	255	356	25	50	304	55	130	59
Total NAP – ბალახების მტვ. ჯამი	32	107	84	40	43	58	55	80	43	45	61	12	80	75
Total pollen – მტვრის საერთო ჯამი	216	395	228	93	50	188	310	436	68	95	365	67	210	134
Total NPP - არაპალინოლოგიური ნაშთების ჯამი	189	280	294	257	137	297	183	176	103	276	273	307	354	334
Total palynomorphs - პალინომორფების საერთო ჯამი	621	1070	750	443	237	673	803	1048	239	466	1003	441	774	602

ზემოთ მოყვანილი პალინოლოგიური მასალის ანალიზი საშუალებას იძლევა აღვადგინოთ იმ გარემოს მცენარეულობა, სადაც ცხოვრობდა №50 სამარხის მიცვალებული. მდიდარი შემადგენლობის პალინოლოგიური სპექტრების მიხედვით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მიცვალებული ცხოვრობდა „ედემის ბაღში“, სადაც ლიბანური კედარის გარდა, იზრდებოდა უამრავი, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოეთიდან შემოტანილი მცენარე. კედარის გარდა, ინტროდუცირებული იყო კვიპაროსი, პეკანი, ზეთისხილი და ეგზოტური გვიმრები, რომლებიც დღეს საქართველოში არ იზრდება. ამ ბაღში უამრავი ხეხილიც იყო გაშენებული, მაგალითად: კაკალი, თხილი, პეკანი, ზეთის ხილი და სხვა.

ამავე დროს, ქუთაისის მიდამოებში ბუნებრივი ლანდშაფტი ტყიანი უნდა ყოფილიყო. ფართოფოთლოვანი ტყეში

ნაბლს დიდი ფართობი ეკავა. მასთან ერთად იზრდებოდა მუხა, ძელქვა, რცხილა, ცაცხვი, რ ველური ვაზი და სხვა.

მცენარეული საფარის შემადგენლობა საშუალებას გვაძლევს, აგრეთვე ვივარაუდოთ, რომ განხილულ რეგიონში, სადაც მიცვალებული ცხოვრობდა, იმ დროს თბილი კლიმატური პირობებით ხასიათდებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ იარსებებდა ამგვარი „ედემის ბაღი“, სადაც თბილი ქვეყნებიდან შემოტანილი ხეები ხარობდა. არც ტყეში გაიზრდებოდა ნაბლის და ძელქვის ტყე, რომელთაც თბილი ჰავა ესაჭიროებათ.

მიცვალებული დაკრძალული იყო შემოდგომაზე. ამაზე მეტყველებს კედარის აყვავილებული ტოტების არსებობა სამარხში, რადგან ლიბანური კედარის ყვავილობა შემოდგომაზეა (ოქტომბერი, ნოემბერი). მიცვალებულს ცისფერი კაბა ეცვა, თანაც იგი ახალი არ იყო. მხოლოდ ნახმარ ტანსაცმელზე უნდა ყოფილიყო ასეთი რაოდენობით აღმოჩენილი მცენარეთა მტვრის მარცვლები და სხვა სახის მიკრონაშთები. კაბას საყელო ქონდა. სუდარა ბამბის თეთრ ქსოვილისგან უნდა ყოფილიყო.

გარდაცვლილის მუცლის არეში აღმოჩენილი სამკურნალო მცენარეების მტვერი (ეფედრა, ღვია და სხვა) იმაზე მეტყველებს, რომ მიცვალებულს ჰქონდა სასუნთქი ორგანოების დაავადება. გარდა

ამისა, გარდაცვლილის თავის ქალას ზოგადი ფორმა და მოცულობა სხეულთან შედარებით გვაფიქრებინებს, რომ მას ბავშვობაში რაქიტი ჰქონდა გადატანილი.

პოსტკრანიალური ჩონჩხის საფუძველზე შეიძლება გამოითქვას მოსაზრება, რომ „მდიდარი ქალბატონის“ ცხოვრების წესი არ იყო აქტიური. ძვლოვანი მასალა მიუთითებს საშუალოდ განვითარებულ ქვედა კიდურებზე და

სუსტად განვითარებულ სხეულის ზედა სარტყელზე. პალინოლოგიური მონაცემების მიხედვით, ქალბატონი ძალიან ბევრ დროს ატარებდა ბუნებაში (სუფთა ჰაერზე), რაც რაქიტის მკურნალობის ულტრაიისფერი სხივების მიღებისა და ორგანიზმში D ვიტამინის გამომუშავების ერთადერთი საშუალებაა დიეტურ კვებასთან ერთად.

ახალგაზრდა ქალბატონის გარდაცვალების მიზეზი რაქიტი არ უნდა ყოფილიყო. რაქიტისთვის დამახასიათებელია იმუნიტეტის დაქვეითება [25:30] ამიტომ, სავარაუდოდ, გარდაცვალების მიზეზი შეიძლება ნებისმიერი ინფექცია ყოფილიყო ტუბერკულოზის გარდა*.

ყოველივე ზემოთქმულიდან დასტურდება, რომ მდიდარი ქალბატონი უთუოდ დიდგვაროვანი ოჯახის წარმომადგენელი იყო. მისი დამარხვა კანონიკურად ქრისტიანულია, ხელებისა და ფეხების პოზაში წარმართული ელემენტები აღინიშნება. აღსანიშნავია ისიც, რომ ქრისტიანულ ეპოქაში ძვირფასი სამკაულების ჩატანება სამარხში იშვიათობას წარმოადგენს. აღნიშნული ფაქტები გარდაცვლილის ვინაობის საკითხს ჯერ-ჯერობით ღიად ტოვებს. ბაგრატის ტაძრის მდიდარი ქალბატონის კომპლექსური კვლევა გაგრძელებას საჭიროებს.

ლიტერატურა:

1. ო. ლანჩავა, რ. ისაკაძე, არქეოლოგიური გათხრები ბაგრატის ტაძრის ინტერიერში, ქართველური მემკვიდრეობა, VIII, ქუთ. 2004, გვ. 136-140.
2. ო. ლანჩავა, ქუთაისის არქეოლოგია, ქუთ. 2007, გვ. 109-162.
3. რ. ისაკაძე, ქუთაისის ადრექრისტიანული ეკლესიები, ქართველური მემკვიდრეობა, XIII, ქუთ. 2009, გვ. 138-153.
4. გ. ლორთქიფანიძე, ბიჭვინთის ნაქალაქარი, თბ. 1991, გვ. 117-156.
5. ო. ლანჩავა, რ. ისაკაძე, ნ. ქარციძე ქალის მდიდრული სამარხი „ქუთათისის საყდრიდან“ (ახალი აღმოჩენა), ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის შრომები, კრებული XIX, ქუთ. 2009, გვ. 17-20.
6. ო. ლანჩავა, რ. ისაკაძე, 2009 წელს ბაგრატის ტაძრის ფუნდამენტების გამაგრებასთან დაკავშირებულ სამუშაოებზე არქეოლოგიური მეთვალყურეობის ანგარიში, ხელნაბეჭდი, ქუთ. 2010, გვ. 13-14.
7. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ. 1973, გვ. 216.
8. М. Г. Мошкова, К вопросу о катакомбных погребальных сооружениях как специфическом этническом определителе, История и культура сарматов. Саратов, 1983, стр. 30-31.
9. П. Тахнаева. Христианская культура средневековой Аварии (VII-XVI вв.) в контексте реконструкции политической истории. Махачкала, 2001, стр. 243-245.
10. М. Трапш. Культура Цебельдинских некрополей. Труды, Т. 3, ТБ. 1971. стр. 121.
11. М. Г. Мошкова, К вопросу о катакомбных погребальных сооружениях как специфическом этническом определителе, История и культура сарматов. Саратов, 1983, стр. 30-31.
12. С. А. Плетнева, "Амазонки" как социально-политическое явление, "Культура славян и Русь". М., 1998 г., стр. 529-537.
13. ქართლის ცხოვრება, ტ., I, თბ. 1955, გვ. 242-243.
14. მ. სინაურიძე, კაზრეთის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. თბ. 1985. გვ. 147.
15. მ. აბდუშელიშვილი. კრანოლოგია, თბ., "განათლება", 1976, გვ. 75-98.

* განსაზღვრულია ტუბერკულოზის და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის ბ-ნ მ. კოტეტიშვილის და მისი თანამშრომლების ნ. თაღუმაძის და ნ. ბაბლიშვილის მიერ.

16. А. П. Бужилова. Древнее население. Палеопатологические аспекты исследования., М. 1995, стр. 14-25.
17. Martin R. Lehrbuch der Anthropologie in systematischer Darstellung. 2 Auflage. Jena. 1928, p. 121-140.
18. В.П. Алексеев. Остеометрия. Методика антропологических исследований. М. Наука, 1966, стр. 66-92; 148-177.
19. В.Н. Федосова. Общая оценка развития компонента мезоморфии по остеологическим данным. (Остеологическая методика. Вопр. антропологии) М. МГУ, 1986, вып. 76, с. 38-40.
20. Г.Ф. Дебец. Опыт определения веса живых людей по размерам длинных костей. VII Международный Конгресс антропологических и этнографических наук. М. Из-во “Наука”, 1964 стр. 1-12.
21. Н.П. Шабалов. Детские болезни. Учебник 5-е изд. СПб. Питер. 2005, т. 1, с. 224-248.
22. М. В. Добровольская. Минеральный состав скелета человека: основные соединения и микроэлементы (по материалам древних погребений) // Вопр. Антропол., 1986, вып. 77, 97-108.
23. Van Geel B., Aptroot A. 2006. Fossil ascospores in Quaternary deposits. *Nova Hedwigia*, 82:313-329.
24. Van Geel B 1998. A study of non-pollen objects in pollen slides (edd. M.L. van Hove and M. Hendrikse). Utrecht 105 p.

**L. BITADZE, E. KVAVADZE, O. LANCHAVA, R. ISAKADZE, SH. LALIASHVILI,
N.VACHEISHVILI, P. GAPRINDASHVILI, M. DOBROVOLSKAYA**

PRELIMINARY RESULTS OF COMPLEX INVESTIGATION OF “RICH LADY” BURIAL FOUND IN BAGRATI TEMPLE

During 2003-2009, under the project of rehabilitation of the Bagrati Temple (Kutaisi) more than 100 various types of burials dated to V-XIX cent.AD were excavated. The archaeological studies established the stratigraphy of the monuments and the building stages.

Most important appeared to be burial No.50 located in the basilica built during the reign of Egris-Abkhazian king Leon II and dated to the end of VIII cent.AD. The inventory was found to be very rich and consisted of many gold, silver and glass ornaments, which is unusual for burials of the Christian period. The pose of the deceased whose left hand was on the breast and the right hand- in the pelvis area and the right leg was over the left one was rather unusual for the Early Christian time. In the burial calcimine remains were found. Similar lime burials are characteristic for the Roman period. In Georgia the burials of the Bichvinta cemetery belong to such type of burials.

The anthropological study of the “rich lady”’s cranium showed that the young woman was 20-25 when she died. The state of preservation of the facial skeleton does not allow one to establish the anthropological type of the woman under investigation. However, a very big longitudinal diameter, euryptenonoid (Euryptenonoides) form of the cranium when observed vertically (Norma *verticalis*) suggests that the cranium is brachycranic, with well-defined frontal and parietal tubers and is square-shaped from the back. Besides, the presence of a pigeon breast is also recorded. A big size of the cerebral cranium compared to the postcranial one, the decreased mass (49,9 kg at the height of 156,9cm) suggests that the “rich lady” suffered from rachitis in her childhood. Most probably she was born in late autumn or in winter and was not fed on breast milk.

According to the palynological data, the “rich lady” was buried in autumn. She lived in a very rich paradise garden similar to the Medea’s garden where besides local varieties there grew many introduced plants. The body of the deceased was covered with blossomed branches of cedar of Lebanon (*Cedrus libani*) may be as a symbol of Christianity or of eternal life. Precisely the blossomed branches made it possible to establish the season of burial, since cedar blossoms in late autumn.

A lot of blue flax fibers found in the area of big bones suggest that she was dressed in a long blue dress with collar and the underwear was made of thin rose flax fabric. The shroud of the deceased might have been of white cotton since colored flax fibers were found in low quantities.

Large quantities of pollen of various plants found in the sample under the cranium and on the clothing show that she spent a lot of time in the open air, was not engaged in physical labor (which is evidenced by poor development of the relief of long bones, low functional load and poorly developed muscular system). Probably rachitis was the cause of respiration function disturbances. It is known that during rachitis the thorax is laterally squeezed and its lower edges are open outward. Such deformation leads to respiration disturbances, congestion and causes frequent diseases of respiratory organs. Ephedra pollen found in the belly area may be indirect evidence of the fact that the deceased had respiration problems. This pollen might have got to the stomach from the taken ephedra extract. It is known that even today ephedrine is made of ephedra leaves and fruit and this medicine removes bronchospasms. Thus, even nowadays, ultraviolet rays, fresh air and balanced nutrition are the main condition for treatment of rachitis.



№50 სამარხი გახსნამდე

მოჭიქული კერამიკა ქუთაისიდან (ფრინველის გამოსახულებით)

XII-XIII საუკუნეები ქუთაისური მოჭიქული კერამიკის ისტორიაში შეიძლება ითქვას „აფეთქების ხანა“. აქ გვხვდება ძალიან მრავალფეროვანი, მაღალმხატვრული გემოვნებითა და განსხვავებული ორნამენტით (მცენარეული, გეომეტრიული, ჯვრისებური, ფრინველისა და ცხოველის გამოსახულებიანი, ბორჯღალის, თევზიფხური, კონცენტრული წრიული ხაზები, მზის, რომელიც დამახასიათებელია ქუთაისისათვის), შემკული ჯამები. როგორც ადგილობრივი ასევე იმპორტიც.

ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ ფრინველის გამოსახულებიან ჯამებზე, რომელიც შუა საუკუნეების ქართული მოჭიქული კერამიკის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული და პოპულარული სახე იყო. ქუთაისის მაგალითზე ისინი 12 ერთეულითაა წარმოდგენილი და ერთმანეთისაგან განსხვავებული ორნამენტისა და ფრინველის აღნაგობის მიხედვით ორ ჯგუფად გავყავით:

1. პირველ ჯგუფში გავაერთიანეთ იმ ჯამების ფრაგმენტები (4 ერთეული), სადაც ფრინველის მხოლოდ მარცხენა პროფილია გამოსახული, კერძოდ, კისერი, ფრთა, დეზები (ფეხები) და კუდი. ფერთა შეხამებაც თითოეულ ჯამის ფრაგმენტების თითქმის ერთნაირია. მეორე ჯგუფში (8 ერთეული), გაერთიანებულ ჯამების ფრაგმენტზე გამოსახული ფრინველები პატარა ზომისაა და ყველა მათგანი ერთ ფონზე (მწვანე, ყავისფერი, ყვითელი, მომწანენო-მოყავისფრო), ამოკანვრით არის შესრულებული.

განვიხილოთ I ჯგუფი:

შ. ნ. 10130 AA-842. ქ.ც. სავ. №8020.90.

ჯამი. ძირის ფრაგმენტი. მონითალო ფერის კეცი. შიდა პირი დაფარულია თეთრი ანგობით და შუაში ამოკანვრულია ფრინველის მარცხენა პროფილი. კერძოდ: კისერი, ფრთა და დეზები. ნახატი შესრულებულია ამოკანვრით, ნაკანშიგა სივრცეები შევსებულია ყავისფერი საღებავით, დადებულია სოსნისფერი წერტილები და დაფარულია უფერული ჭიქურით. ქუსლის გარეთა მხრიდან შუაში ამოზურცული კოპია, რომელსაც თავი ნაკვეთილი აქვს.

ზომები: დაბალი გამოყვანილი ქუსლი. ქუსლის სიმაღლე-0,8 სმ; ქუსლის დმ-7 სმ; კეცის სისქე-0,7 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, ციტადელის ცენტრალური ტერიტორია ზედაპირულად. (სურ. 1)

შ. ნ. 9539 AA-764. ქ.ც. სავ. №1368. 84.

ჯამი. ძირის ფრაგმენტი. მონითალო ფერის კეცი. შიდაპირი დაფარულია თეთრი ანგობით და შუაში ამოკანვრულია ფრინველის მარცხენა პროფილი. კერძოდ: ფრთა და დეზები. ნაკანრი ხაზები ამოვსებულია ყავისფერი საღებავით. ნაკანრის შიდა სივრცე დაფარულია ღია მწვანე და მოყვითალო საღებავით, შემკულია სოსნისფერი წერტილებით. გადავლებული აქვს უფერული ჭიქური.

ზომები: დაბალი გამოყვანული ქუსლი. ქუსლის სიმაღლე-0,8 სმ; ქუსლის დმ-8 სმ; კეცის სისქე-0,7 სმ; ქუსლის გარეთა მხრიდან შუაში ღილისმაგვარი კოპი, რომელსაც თავი ნაკვეთილი აქვს. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, ბაგრატის ტაძრის ეზოს დასავლეთის კედელთან. (სურ. 2)

შ. ნ. №10130 AA-842 ქ.ც. სავ. №8034.90.

ჯამი. ძირისა და გვერდის ფრაგმენტი. წითლად გამომწვარი. შიდაპირი თეთრად ანგობირებული. ამოკანვრით შესრულებულია ფრინველის ფრთა და სავარაუდოდ მცენარეული ორნამენტი. ნაკანრი ხაზები ამოვსებულია ყავისფერი საღებავით. ფრთა დაფარულია მწვანე და ყვითელი ფერის საღებავით და სოსნისფერი ურთიერთპარალელური ექვსი წერტილით. გადავლებული აქვს უფერული ჭიქური. ჯამის ქუსლი დაბალი, ბორბლისებურია. ქუსლს გარეთა მხარეს აქვს ღილისებური კოპი.

ზომები. ქუსლის დმ-7,3 სმ; ქუსლის სიმაღლე-1,1 სმ; კეცის სისქე-0,6 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, L27 ნაკვეთის მე-12 და L28 ნაკვეთების მე-5 კვადრატების გადაკვეთაზე. ჩანახშირებული ორმოს მასალა. (სურ. 3)

შ. ნ. №10130 AA-842 ქ.ც. სავ. №8028.90.

ჯამი. ძირის ფრაგმენტი. წითელკეციანი. სქელკედლიანი. კარგად განლექილი თიხა. შიდაპირი თეთრად ანგობირებული. ამოკანვრით შესრულებულია ფრინველის გამოსახულება მარცხენა

პროფილში, (თავის გარეშე). ფრინველს ირგვლივ შემოუყვება ამოკანვრით შესრულებული მცენარეული ორნამენტი, ნაკანრი ამოვსებულია ყავისფერი, ხოლო ნაკანრშიდა სივრცეები კი მწვანე საღებავით. ფრინველი დგას მაღალ ფეხებზე, რომელიც შევსებულია ყვითელი საღებავით, ასევე ყვითელია ფრინველის ძირითადი ტანი. ფრთა დაფარულია სოსნისფერი, ყვითელი და მუქი სოსნისფერი წერტილებით. კუდი არის ორ ფერში მწვანე და ყვითელი. ფრინველს ყელთან შემოუყვება მუქი სოსნისფერი წერტილები. ჯამი დაფარულია უფერული ჭიქურით. ჯამს აქვს ფართე ბორბლისებური ქუსლი. ქუსლს შიგნით გარეთა მხრიდან აქვს ღილისმაგვარი კოპი.

ზომები: ქუსლის დმ-9 სმ; ქუსლის სიმაღლე-1,3 სმ; კეცის სისქე-0,8დან 1 სმ-მდე. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, L27 ნაკვეთის მე-12 და L28 ნაკვეთის მე-5 კვადრატების გადაკვეთაზე. ჩანახშირებული ორმოს მასალა. (სურ.4) ანალოგიურია შირვანა-გუსტაშფის ანუ (ბიანდოვანი I) ნაქალაქარზე აღმოჩენილი ფრინველის ფრაგმენტი, რომელიც თარიღდება XII-XIII საუკუნეებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს მიერ შესწავლილ ყველა ნიმუშზე ჩანს, რომ მეთუნე ოსტატებს მკვეთრად ამოუკანრავს კონტურები, სადაც სუფთად არის ჩასმული ფერადი საღებავები, არ არის გაღვრილი. მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი ფრაგმენტი არ არის თავის გამოსახულებით და ძნელია აღიქვა მისი სრული სახე, ტანის მოყვანილობიდან ნათლად ჩანს რომ გამოსახული ფრინველი საკმაოდ მოხდენილად და ამაყად დგას. ფრთა ყელ-მკერდის მიჯნაზეა მიბმული. ხელოსნების გამოსახულების გამოსაცოცხლებლად ხმარობენ რამოდენიმე ფერს: ყავისფერი, სოსნისფერი, ღია მწვანე, ყვითელი.

2. მეორე ჯგუფში (8 ერთეული), გაერთიანებულ ჯამების ფრაგმენტზე გამოსახული ფრინველები პატარა ზომისაა და ყველა მათგანი ამოკანვრით ან კომბინირებული წესით (ამოკანვრა-ამოფხეკით) ერთ ფონზე (მწვანე, ყავისფერი, ყვითელი, მომწვანო-მოყავისფრო), არის შესრულებული:

ქ.ც. სავ. №722.04.

ჯამი. ძირისა და გვერდის ფრაგმენტი. ყავისფრად გამომწვარი, კარგად განლექილი თიხა. ორმხრივად თეთრად ანგობირებული. შიდაპირის მოყვითალო-მომწვანო ფონზე ჯამის ძირში ამოკანვრით შესრულებულია ფრინველის გამოსახულება, რომელიც მარჯვნივაა მიმართული და პირთან აქვს ამოკანვრით შესრულებული ჭიხებური ორნამენტი, ფრინველს დიდი ოვალისებრი თვალის და თავის მოყვანილობა აქვს. მაღალყელიანი, ყელს თავსა და ბოლოში ორი სარტყლისებური ნაკანრი აქვს, ასეთივე ნაკანრი აქვს კუდთან. ფეხები კლანჭებით დაბოლოებული. კუდი სამად გაყოფილი, ცალი ფრთა გაშლილი, რომლის შიგნით ნაკანრი წერტილებია, ფრინველს აქვს არწრისებური დახრილი ნისკარტი. ნაკანრი ხაზები ამოვსებულია მუქი ყავისფერი საღებავით. ჯამს გადავლებული აქვს უფერული კრიალა ჭიქური. შიდაპირზე შემორჩენილი აქვს ზედადგარის ფეხების ფრაგმენტები. დაბალი, გამოყვანილი ქუსლით.

ზომები: ქუსლის დმ-7,5 სმ; ქუსლის სიმაღლე-1 სმ; კეცის სისქე-0,6 სმ; ჩიტის სიმაღლე-4,6 სმ. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, შემთხვევით ზედაპირული მონაპოვარია. (სურ.5)

მ. ნ. 10130 AA-842. ქ.ც. სავ. №5932.87.

ჯამი. ძირის ფრაგმენტი. კეცი გადანატეხში რუხად გამომწვარი, კარგად განლექილი თიხა. ორმხრივად თეთრად ანგობირებული. შიდაპირის ყვითელ ფონზე ჯამის ძირში ამოკანვრით შესრულებულია ფრინველის გამოსახულება, რომელიც მარჯვნივაა მიმართული და პირთან აქვს ამოკანვრით შესრულებული ჭიხებური ორნამენტი. ფრინველს დიდი მრგვალი თვალის მოყვანილობა აქვს. მაღალყელიანი, ყელისა და თავის შეერთების ადგილზე სამი სატრყლისებური ნაკანრი ხაზი აქვს. ასეთივე სატრყელი აქვს ყელის დასაწყისთან, მუცლის ცენტრში და კუდის დასაწყისთან. კუდისაკენ აქვს ორი მცირე ზომის ერთმანეთში ჩასმული წრეხაზი. კუდზე დატანილია წერტილოვანი ნაკანრები. ასეთივე ორივე ფრთაზე და გულ-მკერდზე. ფრთები გაშლილი, ოდნავ მოხრილ მდგომარეობაში. ნაკანრი ხაზები ამოვსებულია მუქი ყავისფერი საღებავით. გადავლებული აქვს უფერული კრიალა ჭიქური. შიდაპირზე შემორჩენილი აქვს ზედადგარის ფეხების ფრაგმენტები. გარეპირი დაფარულია ყვითლად, დატანილია ყავისფერი ლაქები და გადავლებულია უფერული კრიალა ჭიქური. დაბალი, გამოყვანილი ქუსლით. კეცის სტრუქტურის მიხედვით შეიძლება იყოს შემოტანილი.

ზომები: ქუსლის დმ-7,8 სმ; ქუსლის სიმაღლე-1 სმ; კეცის სისქე-0,5 სმ; ჩიტის სიმაღლე-5,7 სმ. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, I3 ნაკვეთი, მე-6 კვადრატი №3 ორმოს მასალა. (სურ.6)

შ. ნ. 10130 AA-842. ქ.ც. სავ. №5939.87.

ჯამი. ძირის ფრაგმენტი. ნითლად გამომწვარი კეცი. შიდა და გარე პირი თეთრად ანგობირებული. შიდაპირის მწვანე ფონზე, ჯამის ცენტრში კომბინირებული ამოკანვრა-ამოფხეკის ხერხით შესრულებულ პარალელურ წრეში ჩასმულია მცენარეული წრიული ორნამენტები და ფრინველის გამოსახულება, (მარცხნივ მიმართული, ტანის ნაწილია შემორჩენილი), ნაკანრი ხაზები ამოვსებულია ყავისფერი საღებავით. ფრინველს ნისკარტიდან გადმოედინება ორი წვეთი. გადავლებული აქვს უფერული კრიალა ჭიქური. შიგაპირზე შეიმჩნევა ერთი მცირე ზომის კოპი. გარეპირზე მოჭიქულია მწვანედ და ყავისფრად. ქუსლი თხელი, ფართედ გაშლილი, გამოყვანილი.

ზომები: ქუსლის სიმაღლე-1,3 სმ; კეცის სისქე-0,6 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, I3 ნაკვეთი, მე-6 კვადრატში მდებარე №3 ორმოს მასალა. (სურ.7)

შ. ნ. 10130 AA-842. ქ.ც. სავ. №8023.90.

ჯამი. ძირის ფრაგმენტი. რუხკეციანი. ორმხრივ თეთრად ანგობირებული. შიდაპირის მწვანე ფონზე ამოკანრული ხაზებით გამოსახულია მარჯვნივ მიმართული ფრინველის კუდი და კლანჭები. ნაკანრი ხაზები ამოვსებულია ყავისფერი საღებავით. გადავლებული აქვს უფერული ჭიქური. შიდაპირზე ძირში ემჩნევა ზედადგრის ნაშთი. დაბალი ფართე გამოყვანილი ქუსლით.

ზომები: ქუსლის დმ-7,5 სმ; კეცის სისქე-0,5 სმ; ქუსლის სიმაღლე-1 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი K27 ნაკვეთი, კვადრატი 7-8. (სურ.8)

შ. ნ. 10130 AA-842. ქ.ც. №5933.87.

ჯამი. ძირის ფრაგმენტი. ნითლად გამომწვარი, შიდა მხრიდან თეთრად ანგობირებული, რომელიც ძლიერ დაზიანებულია. გამოსახულია ამოკანვრით შესრულებული ფრინველი მარცხენა პროფილით, რომელიც ნაკლებად გაირჩევა. ნაკანრი ხაზები ამოვსებულია ყავისფერი საღებავით. გადავლებული უნდა იყოს უფერული ჭიქური. გარეთა პირზეც შეიმჩნევა ანგობი, რომელიც დაფარულია ყავისფერი და ყვითელი ჭიქურით.

ზომები: კეცის სისქე-0,7 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, I3 ნაკვეთი, მე-6 კვადრატში მდებარე №3 ორმოს მასალა. (სურ.9)

შ. ნ. 10130 AA-842. ქ.ც. №5936.87.

ჯამი. ძირის ფრაგმენტი. ნითლად გამომწვარი. შიდაპირის თეთრად ანგობირებულ, ყვითელ ფონზე ამოკანვრით შესრულებულია ფრინველის ტანისა და ფეხების ფრაგმენტი მარცხნივ მიმართული. ნაკანრი ხაზები ამოვსებულია ყავისფერი საღებავით. გადავლებული აქვს უფერული ჭიქური. გარეპირი თეთრად ანგობირებულია და დაფარულია ყავისფერი და ყვითელი ჭიქურით. ჯამის ქუსლი ფართოდ გაშლილი და გამოყვანილი.

ზომები: ქუსლის დმ-8,5 სმ; ქუსლის სისქე-0,5 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, I3 ნაკვეთი, მე-6 კვადრატში მდებარე №3 ორმოს მასალა. (სურ.10)

შ. ნ. 10130 AA-842. ქ.ც. №5937.87.

ჯამი. ქუსლის ფრაგმენტი. ნითლად გამომწვარი კეცი. თეთრად ანგობირებული შიდაპირის ყვითელ ფონზე ჭიქური ძლიერ დაზიანებულია. ამოკანვრით შესრულებულია ფრინველის მარცხენა პროფილის (თავისა და კისრის) გამოსახულება. ნაკანრი ხაზები შევსებულია ყავისფერი საღებავით. ფრინველის ნისკარტთან ამოკანრული აქვს ჭიისებური ორნამენტი. ფრინველის თვალი გამოსახულია ორი მცირე ზომის წრიული ხაზით. დაფარულია უფერული ჭიქურით. გარედან ქუსლის ნაწილი ანგობირებულია და გადავლებულია ყავისფერი და ყვითელი ჭიქური. ჯამის ქუსლი ფართედ გაშლილი და გამოყვანილია.

ზომები: ქუსლის სისქე-0,5 სმ. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, I3 ნაკვეთი, მე-6 კვადრატში მდებარე №3 ორმოს მასალა. (სურ.11)

შ. ნ. №9539 AA-764 ქ.ც. სავ. №4290.85.

ჯამი. ძირის ფრაგმენტი. ნითელკეციანი. შიდაპირი თეთრად ანგობირებული. შიდაპირის ყვითელ ფონზე ძირში დატანილია ამოკანვრით შესრულებული ფრინველის გამოსახულება მარცხენა პროფილით. მაღალყელიანი. ფრინველის თვალი წარმოადგენს ორ ერთმანეთში ჩასმულ პატარა კონცენტრულ წრეს. ნისკარტი არწივისებური. დაბალფეხიანი. ტანი დაფარულია ნაკანრი წინკლებით. ნაკანრშიდა ხაზები ამოვსებულია ყავისფრად. გადავლებულია უფერული ჭიქური. გარე-

თა მხრიდან ქუსლზე შეიმჩნევა თეთრი ანგობისა და ყავისფერი, ყვითელი ნალვენების ჭიქურის კვალი. ქუსლი გამოყვანილი, მაღალი, ფართედ გაშლილი.

ზომები: ქუსლის სიმაღლე-2 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, „ლაზების მეფეთა“ სასახლის ნანგრევებიდან. **(სურ.12)**

ზემოთ აღწერილი მეორე ჯგუფის ჯამების ფრაგმენტების აღწერისას ხაზგასასმელია ის, რომ მიუხედავად მოცულობით ფრინველის პატარა ტანისა ნისკარტი და დეზები არნივისებურია, ეს კი ხელოსნის ფანტაზიად შეიძლება ჩაითვალოს., ტანი დაფარულია ნაკანრი წინწკლებით, (ეს დამახასიათებელია მეორე ჯგუფის ყველა ფრინველისათვის). ნიშანდობლივია ისიც, რომ ფრინველი როგორც მარცხნივ, ასევე მარჯვნივაა მიმართული. როგორც პირველ, ისე მეორე ჯგუფის ჯამებზე ფრინველი გამოსახულია ჯამის ფსკერზე. აღნიშნული ჭურჭელი მასთან ერთად აღმოჩენილი თანმხლები მასალის მიხედვით XII-XIII საუკუნეებით განისაზღვრება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ის ნიშან-თვისება რაც დამახასიათებელია ზოგადად XI-XIII საუკუნეების საქართველოს მოჭიქული კერამიკისათვის, ფაქტობრივად ახასიათებს ქუთაისური მოჭიქული კერამიკის ყველა პერიოდს. ქუთაისის ნაქალაქარზე აღმოჩენილი მოჭიქული ჭურჭელი თავისებური ნიშნების მატარებელია. ეს გამოწვეულია იმითაც, რომ ქუთაისი VIII-XIII საუკუნეებში მონიწივე საქალაქო ცენტრი იყო საქართველოში და აქ თავს იყრიდა როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური კულტურის მიღწევები და შესაბამისად, მოჭიქული ჭურჭელიც, რომელიც ადამიანის ყოფის აუცილებელ ატრიბუტად მკვიდრდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ძალზე ბევრია მსგავსი ორნამენტის ნაწარმი, ძნელია აქაურ ფრინველს ზუსტი სახელი მოუძებნო, ეს ითქმის, როგორც პირველი, ისე მეორე ჯგუფის ჯამებზე. პირველი განპირობებულია უფრო მეტად იმით, რომ არც ერთ მათგანზე არ არის შერჩენილი თავის გამოსახულება, თუმცა ფერები (პირველი ჯგუფი) მსგავსია უფლისციხეზე (XIV ს.), **[მინდორაშვილი 2008: 46]**. ქარვასლის ტერიტორიაზე (XVI-XVII სს.) და სინაგოგაში (XIV ს.), **[მინდორაშვილი 2009: 26; 43]** აღმოჩენილი მტრედის გამოსახულებიანი ჯამებისა. მ. მინიშვილი ასეთ ჯამებს XII-XIII ს-ის დასაწყისით ათარიღებს. ფრინველის გამოსახულებით შემკული ჯამები აღმოჩენილია კვეტერაში. მათზე გამოსახულია არა მარტო ერთი სახეობის, არამედ კარგად გაირჩევა სხვადასხვა ჯიშის ფრინველები: ბელურა, მტრედი, იხვი, შევარდენი, ყანჩა. ამავე დროს კარგადაა მიგნებული ფრინველის ბუნება და ხასიათი. მსგავსი ჯამები კვეტერაშიც რომ უმზადებიან, ამაზე მეტყველებს იქ აღმოჩენილი, ამოკანვრით მოხატული და მოუჭიქავი ჯამის ნატეხი. **[მინდორაშვილი 2010: 35-37]**.

აღნიშნული ორნამენტის ჯამები (XII-XIII ს.ს.) დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილია ბათუმის ციხეზე, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში: თბილისში, რუსთავში, დმანისში, უჯარმაში, გუდარეხში, ჟინვალში, კვეტერაში და სხვ.

XIII საუკუნით თარიღდება მელნიკში, შუმენში და ტირნოვოში აღმოჩენილი ანალოგიური გამოსახულებიანი ჯამები. **[მინიშვილი 1998: 59,60]**.

მტრედის გამოსახულებიანი ჯამები აღმოჩენილია კერამიკული წარმოების მნიშვნელოვანი ცენტრის, ძველი ოაზისის ჩაჩას (შაში) (ქალაქი ბინკატი-თანამედროვე ტაშკენტის ტერიტორია) გათხრების დროს. მეცნიერების ვარაუდით, მტრედი ამ შემთხვევაში ძველი რწმენის მიხედვით წარმოადგენდა წარმატების სიმბოლოს, ფრინველი ყოველთვის გამოსახულია ჯამის ძირზე და ყველა მათგანზე ირგვლივ სხვადასხვა ორნამენტია დატანილი. მათ მეცნიერები IX-X საუკუნეებით ათარიღებენ. **[Исхакова Е., Иганбердиев Р.]**.

მოჭიქული ჯამის ძირის ფრინველის გამოსახულებით შემკობა დამახასიათებელია აზერბაიჯანის როგორც ერთფერად, ასევე მრავალფერად მოჭიქული კერამიკისათვის (XI-XII სს.), რომელიც ცენტრალურ ადგილს იკავებს კომპოზიციამში. **[Достиев Т.]**

არქეოლოგიური გათხრების შედეგად გვიანსაშუალო საუკუნეების მნიშვნელოვანი კერამიკული მასალა აღმოჩნდა ფეოდოსიაში, რომელიც ორ ჯგუფად იყოფა: ადგილობრივი და შემოტანილი. მათ შორის შედარებით იშვიათად არის წარმოდგენილი ფრინველის (იხვი) გამოსახულებიანი ჯამები. **[Анбабина 1985: 51-52]**.

ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩენა იყო მიმდინარე წელს, თბილისში, მეტეხის ხიდთან, ორმოცი სებასტიანელი მონამის სახელობის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც ვახტანგ გორგასლისდროინდელ ციხის გალავანთან მიაკვლიეს სასახლის ნაშთებს, რაც ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობამდე ბევრად ადრინდელ ხანას მოიცავს. ასევე ნაპოვნია I-II საუკუნის რომაული აბანო, IV საუკუნის მარანი და სხვადასხვა დროის სამარხები. როგორც მკვლევარები (ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი მერაბ ძნელაძე და ქალბატონი ვერიკო ჩიხლაძე) აღნიშნავენ, უფრო ზედა ერთ-ერთ დონეზე კარგად ფიქსირდება IX-XI საუკუნეების სასახლის ნაშთები ქვის ფილებით მოპირკეთებული იატაკი, რომელიც უთუოდ მაღალი ფენის წარმომადგენელს ეკუთვნოდა. მიკვლევულ აკლდამათაგან, რომელიც ასევე მაღალი წრის ოჯახს ეკუთვნოდა, დაკრძალული იყო 11-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვი. სამარხის იატაკის დონეზე აღმოჩნდა ჯამები, ერთი ფაიანსის ვაზა და მინის ჭურჭელი. როგორც ქალბატონი ვერიკო ჩიხლაძე აღნიშნავს, ეს ჯამები თბილისური კერამიკისაგან გასტყდით დამზადებული, რომელიც ამ პერიოდში ძალიან მაღალ დონეს აღწევდა. აკეთებდნენ მოჭიქულ კერამიკის, თბილისურ ფაიანსს. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ მეცნიერებმა მოჭიქულ ჯამზე გამოსახულ ფრინველი ხოხობად მიიჩნიეს.

კრებულის ფორმატიდან გამომდინარე, მეტ-ნაკლებად წარმოვადგინეთ ზოგადი სახე გამოყენებითი ხელოვნების ამ უმნიშვნელოვანესი დარგის ერთ-ერთი სახეობის შესახებ. ვრცლად აღნიშნული საკითხები წარმოდგენილი იქნება ცალკე მონოგრაფიაში.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს გამოყენებითი ხელოვნების ამ დარგის, მოჭიქული კერამიკის ერთ საინტერესო თვისებისა თუ ხასიათის შესახებ. კერძოდ ის, რომ მოჭიქული კერამიკა მუდმივ დინამიკაშია. იგი აღმოსავლეთში იშვა და სხვადასხვა პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული კავშირების შედეგად ფართოდ ვრცელდება, ზოგან ვითარდება ლოკალური თავისებურებებით. ეს თვისება კი საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ მის მიერ განვლილ გზას მთელი შუა საუკუნეების მანძილზე.

ლიტერატურა:

1. **არჩვაძე თ., ჩიკოიძე ც., ჩხატარაშვილი მ.** 2005: რუსთავში გათხრილი საერო სასახლე.-ვ. ჯავარიძე (რედ.), რუსთავი III. თბილისი.
2. **ლანჩავა ო.** 2007: ქუთაისის არქეოლოგია. ქუთაისი.
3. **მინიშვილი მ.** 1976: ქართული მოჭიქული წარმოების ისტორიიდან. თბილისი.
4. **მინიშვილი მ.** 1979: მოჭიქული კერამიკის სანარმო შუა საუკუნეების თბილისში IX-XIII სს. თბილისი.
5. **მინიშვილი მ.** 1998: შუა საუკუნეების მოჭიქული კერამიკა (IX-XVIII სს.) დისერტაცია ხელნაწერის უფლებით. თბილისი.
6. **მინიშვილი მ.** 1998: შუა საუკუნეების მოჭიქული კერამიკა (IX-XVIII ს.ს.). სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი. თბილისი.
7. **მინდორაშვილი დ.** 2008: უფლისციხე შუა საუკუნეებში. თბილისი.
8. **მინდორაშვილი დ.** 2009: არქეოლოგიური გათხრები ძველ თბილისში.
9. **მინდორაშვილი დ.** 2010: კვეტერის ციხის არქეოლოგიური მასალა.
10. **ჯაფარიძე ვ.** 1956: ქართული კერამიკა (XI-XIII სს). თბილისი.
11. **ჯორბენაძე ბ., მარგველაშვილი მ., რჩეულიშვილი გ.,** 1987: ჟინვალის ნაქალაქარი და სამაროვანი.- ო. ლორთქიფანიძე (რედ.), ძმ. №4, 54-58.
12. **Археологические находки на каспийском побережье.**
<http://members.fortunecity.com/shahink/caspianru.htm>
13. **Айбабина Е.** 1985: Поливная керамика Каффы XIV- XV вв.- Материалы I Симпозиума Попихромная поливная керамика Закавказья- Истоки и пути распространения. Тезиси. 51-52.
14. **Достиев Т.** Художественная керамика Азербайджана XI-XII вв.
www.irs-az.com/pdf/1285140875758212570.pdf
15. http://bse.chemport.ru/kondujskij_gorodok.shtml
16. **Исхакова Е., Иганбердиев Р.,** Зооморфные мотивы в керамике ЧаЧа.

<http://www.sanat.orexca.com/rus/archive/2-07/zoomorf.shtml>

17. უნიკალური არქეოლოგიური აღმოჩენები

<http://www.ambioni.ge/unikaluri-arqeologiuri-armocenebi-tbilissi/>

OMAR LANCHAVA, NONA KARTSIDZE

BIRDS FACED GLAZED DISHES FROM KUTAISI

XII-XIII centuries in a life of Kutaisian glazed dishes is an epoch of blooming. Here we are meeting a lot of dishes, made with highly artistic quality and with different ornament. Dishes are as import, so local products too.

Now we have to focus your attention in a birds faced dishes. In middle centuries these dishes were most diffused and popular. According the materials, which were discovered in Kutaisi, these dishes are represented with 12 units. We divided them into two groups by their ornament and birds structure.

In first group we have united 4 fragments of dish, in which the bird is shown with its left profile. Exactly there is shown neck, wing, feet and tail. And the colors of these fragments are almost the same. In second group we united 8 fragments. On these fragments birds have little size and all of them are made in green, brown background.

We have to mention, that in every fragment masters have to work a lot and very carefully. Master has made contours sharply and the paint is not spilled out. None of these fragments has its own, real face, we can imagine full face of the image _ bird is standing very proudly and elegantly. The wing is hanging in the middle of neck and burst. To introduce this figure like alive, masters are using several colors _ brown, yellow, green and lilac.

On the fragments, which are united in the second group, birds are small sized and all of them are made by engraved in the green, brown, yellow background. During the describe the second group of dishes we have to mention, that birds has a small body, but the beak and the sours looks like eagle's. Body is covered by engraved spots. Birds face is looking as left side, so on right side too. And in both group's birds are placed from below the dishes. According the materials, which were discovered with these fragments of glazed dishes, they are dating by XII-XIII centuries.

Those signs which are typical of these dishes are also typical for all glazed pottery from whole Georgia in XI-XIII centuries. Glazed pottery which was found in Kutaisi settlements has peculiar signs. During the VIII-XIII centuries Kutaisi was one of the top city center in Georgia and here was concentrated top culture as from East, so from West and of course glazed pottery, which was the main attribute in the life of people.

There was manufacturing a lot of dishes like these ones in Georgia, but despite of this it is always hard to make a name of these birds. At first birds from first group had not head fragments. But we have dishes like them from Uflistsikhe, They also was found in Kvetera. In those dishes we can find different birds, such as _ sparrows, pigeons, ducks, falcons, herons.

In west Georgia dishes faced birds on it are famous from Batumi castle. And in east Georgia, they are found in Tbilisi, Rustavi, Dmanisi, Ujarma, Gudarekhi, Jinvali, Kvetera and in others.

Same dishes from Melniki, Shumeni and Tirnovo are dated in XIII century.

Pigeons faced dishes was found during the archaeological discoveries in old oasis Shashi. Scientists have opinion, that the pigeon means old faith and it was a symbol of good luck. Birds are always faced from the below of the dish and have different ornaments. They are dated by IX-X centuries.

After archaeological excavations there was an important discoveries in Feodosia. They are divided in two groups: local and import. Between them there is duck faced dishes.

There was very important discovery in Tbilisi, in this year. Near the Metekhi bridge, where the church of 40 Sebastian martyrs is building was found palace remains, also I-II century's bath and IV century's cellar and burials of different centuries. In the layers of IX-XI there is a palace remains and a fragment of the floor. In one burial, they found several glazed dishes and one of them had a bird below and the scientists are thinking that it is a pheasant.

According the type of this works we have represented a small part from our article, full version about glazed dishes will be editing in another edition.

We have to mention, that this type of art has its own dynamic, which always moves. It was born in East, but was diffused in whole world and in some country they took typical forms and ornaments. This changes gives us possibility to study carefully in its each level.

ქუთაისის მუზეუმში დაცული ბრინჯაოს ირანული ექსპონატები

ქუთაისის ისტორიული მუზეუმის არქეოლოგიური ფონდი ქართული კულტურის ძეგლებთან ერთად გარკვეული მეცნიერული მნიშვნელობისა და მხატვრული ღირებულების მქონე უცხოურ ნაწარმსაც შეიცავს. მათ შორისაა ირანული წარმოების ქრონოლოგიურად და ფუნქციური დანიშნულებით ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ნივთები: გრიფონის ბრინჯაოს ქანდაკება, არაბულწარწერიანი ბრინჯაოს როდინი და ცხოველთა ბრძოლის სიუჟეტის ბრინჯაოს საწებელი.

გრიფონის ბრინჯაოს ქანდაკება წარმოადგენს ფრინველისა და ცხოველის ატრიბუტების მქონე მრგვალ ქანდაკებას. გრიფონის სხეულის წელსზედა ნაწილი მტაცებელი ფრინველისაა: მოკაუჭებული ნისკარტი აქვს, ფართო ნესტოები, მოგრძო, ღრმად ჩამჯდარი და ბოროტად მზირალი თვალები. ნისკარტს ქვევით პატარა წვერი აქვს. თავით, კლანჭებით დაბოლოებული წინა ფეხებით და პალმისებურად განლაგებული ბუმბულიდან წამოზრდილი ფრთებით არწივს მოგვაგონებს. თავზე, კეფის არეში ოთხკუთხედიანი ამოჭრილი (4X4სმ), რომელსაც სარქველი უნდა ჰქონოდა, მაგრამ დარჩენილია მხოლოდ ხუფის საკეტი ნაწილი. გრიფონს წელსქვედა ნაწილი ლომს მიუგავს. სხეული გაჭიმულია და უკანა ფეხები თათებით ბოლოვდება. გრძელი კუდი ლომისას ჰგავს. ქანდაკების ზომებია: სიგრძე – 30სმ; სიმაღლე – 20სმ. ინვ.№889, სურ.1

გრიფონის ქანდაკება ნაპოვნია 1839 წ. სოფელ ნაფარეულში (თელავის რაიონი), მდინარე ალაზნის პირას, პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის მამულში. პოეტის ქალიშვილის მეშვეობით გრიფონის ქანდაკება მოხვდა დავით დადიანის კოლექციაში, სადაც იგი უნახავს ფრანგ მოგზაურს ფ. მურიეს და გამოუქვეყნებია 1863 წელს. [10]

ქანდაკება ქუთაისის მუზეუმს შეუძენია დავით დადიანის კუთვნილ ნივთებთან ერთად.

გრიფონის ქანდაკება შეისწავლა გერმანელმა არქეოლოგმა რობერტ ჰაიდენრაინმა და გამოაქვეყნა იგი 1977 და 1981 წლებში ბერლინში [11]. მხატვრულ-სტილისტური ანალიზის საფუძველზე მკვლევარი გრიფონს სოგდიურ-ირანული კულტურის წრეს აკუთვნებს და მას V-VII ს.ს. ათარიღებს. იგი ქანდაკებას საკულტო დანიშნულების ნივთად თვლის, რომელიც შუა საუკუნეებამდე იყო ხმარებაში.

უფრო ადრე, 1941 წელს გრიფონის თარიღი და მნიშვნელობა განსაზღვრა არქეოლოგმა მ. ივამჩენკომ. იგი გრიფონის ქანდაკებას სასანური ხანით ათარიღებდა და მას მსოფლიოს ნებისმიერი პირველხარისხოვანი მუზეუმის დამამშვენებელ ექსპონატად თვლიდა [7:1]

როდინი ბრინჯაოსი, არაბულწარწერიანი, წარმოადგენს მასიურ, საკმაოდ მძიმე ჭურჭელს, რომელსაც ცილინდრული მოყვანილობა აქვს. პირქობა ზემოდან ბრტყელი, ოდნავ გარეთ გაზიდული და დაკუთხულია. ირიბად დაქანებული ძირ-ქუსლი ფართო ბრტყელი ძირით მთავრდება. ტანის ზედაპირი დაყოფილია შვეული რელიეფური ხაზებით 8 ნაწილად. რელიეფური ხაზები პირქობასა და ქუსლზეც გადადის. თითოეულ ნაწილს შუაში მირჩილული აქვს სამკუთხა დეტალი შესრულებული მაღალი რელიეფით. ასეთი დეტალი 6 ცალია, ისინი ჩასმულია რელიეფურ ჩარჩოში. ორ დანარჩენ ერთმანეთის მოპირდაპირე ნაწილზე ყურებია მირჩილული. ყურები ლომის თავს უნდა გამოსახავდეს. ყურებს ორ-ორი დიდ-პატარა გამჭოლი ხვრელი აქვს ერთ სწორ ხაზზე სიმეტრიულად განლაგებული. ხვრელებში ორ-ორი დიდ-პატარა რგოლი უნდა ყოფილიყო გაყრილი, როგორც ეს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულ როდინზეა, მაგრამ რგოლები დაკარგულია. როდინის ყურების ერთი ბოლო მირჩილულია ტანის შუა ნაწილზე, მეორე კი – პირთან ახლოს. ამ ნაწილში, ორივე ყურს ზევით მოთავსებულია მოკლე არაბული წარწერა. წარწერებს შორის არე დაფარულია მცენარეული ორნამენტით. ორნამენტირებულია ქუსლის ზედაპირიც.

როდინის ზომებია: სიმაღლე – 13 სმ; პირის დმ – 18 სმ; ძირის დმ – 18 სმ. ინვ.№310/3 სურ. 2

ჭურჭელი ნაპოვნია ბორში 1925 წელს, თომა მაჭავარიანის ეზოში. აღნიშნულ როდინთან ერთად თ. მაჭავარიანის მუზეუმისათვის შემოუწირავს ბრინჯაოს კოლხური ცული, სწორტანიანი, მახვილყუანი და გორდა, ასიმეტრიულ პირიანი, რომელიც ძვ.წ. XI-X ს.ს. თარიღდება, აგრეთვე სამტურჩა

თიხის დოქი, რომელიც გვიანელინისტური ხანის იმპორტულ ნაწარმს წარმოადგენს. თვით როდინის ანალოგიური ჭურჭელი დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. იგი მიჩნეულია საკულტო-სარიტუალო ჭურჭლად და დათარიღებულია XI-XIV სს.

ზემოთ დასახელებულ ნივთებს შორის იმდენად დიდი ქრონოლოგიური სხვაობაა, რომ შეუძლებელია მათი ერთად აღმოჩენის შესაძლებლობა დავეუშვათ. ქუთაისის მუზეუმის საინვენტარო ნიგნში ნივთების აღმოჩენის პირობების შესახებ ცნობები არ მოიპოვება. საფიქრებელია, რომ აღნიშნული ნივთები აღმოჩენილია სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა არქეოლოგიურ ფენაში, მაგრამ მუზეუმში წარმოდგენილი ყოფილა ერთად და ძველ საინვენტარო ნიგნში გატარებულია ერთი ნომრით. აღმოჩენის პირობების აღნიშვნის გარეშე.

რაც შეეხება ქუთაისის მუზეუმში დაცულ როდინზე მოთავსებულ არაბულ წარწერას, იგი ამოიკითხა არაბისტმა მაია შიშინაშვილმა, რომლის განმარტებით: წარწერა ორივე გვერდზე იდენტურია და იკითხება სიტყვა „ალოლქ“, რაც თარგმანში ნიშნავს „სამეფოს“.

ამჟამად ჩვენი განსაკუთრებული ყურადღების საგანია ბრინჯაოს სანელსაცხებლე (ამ ნივთს არქეოლოგი მ. ივაშჩენკო „ფლაკონს“ უწოდებს, მაგრამ არ აღნიშნავს ნივთის სადაურობას, თარიღს და არც მასზე არსებული სიუჟეტის ახსნას იძლევა) [7:52,66].

ბრინჯაოს სანელსაცხებლე წარმოადგენს ბრტყელტანიან, ბრტყელძირიან და მომრგვალებულ-მხრებიან ჭურჭელს, პირ-ყელი ვიწრო აქვს, მხრებზე აქეთ-იქით საკიდი ყუნწი უნდა ჰქონოდა, მაგრამ დარჩენილია ერთი ყუნწი და მეორის ნაწილი.

ჭურჭლის ზედაპირი მთლიანად დაფარულია ნაჭდევი და რელიეფური ორნამენტით. ჭურჭლის ორივე მხარეს წარმოდგენილია ორფიგურიანი კომპოზიცია, რომელიც ჩასმულია ნერტილოვანი ქდეებისაგან შედგენილ ჩარჩოში. ჩარჩო რელიეფურად გადაუყვება ჭურჭლის მხრებს ძირამდე, ძირთან კი სწორხაზოვან სახეს იღებს.

ჩარჩოს შიგნით გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტის ფონზე, რელიეფურად გამოსახულია ერთმანეთის პირისპირ, საბრძოლო პოზაში მდგომი ლომი და ცხენი. ცხენის პოზა აშკარად შეტევიითაა, ლომისა კი – თავდაცვითი. ყალყზე შემდგარი ცხენის შემართული ტანი, აცქვეტილი ყური, ღონივრად მომშვილდული ყელი, დახრილი თავი და დაღებული ხახა საბრძოლო მდგომარეობაში მყოფი ცხოველის შინაგან დაძაბულობას გამოსატყავს. ცხენის ფაფარი ირიბი ქდეებით არის გადმოცემული. იგი კუდზე წინვისებურ სახეს იღებს და გირჩისებურად ბოლოვდება. ფლოქვები ორ-ორი განივი ნაჭდევით აღინიშნება. ცხენის ფიგურა მოცემულია პროფილში, შესრულებულია მაღალი რელიეფით და უაღრესად დინამიურია.

განსხვავებულად არის დამუშავებული ლომის გამოსახულება. ტანი გამოსახულია პროფილში, სახე კი – en face. ლომის თავს, თათებს და კუდს სიმრგვალე ახასიათებს, ტანი კი შედარებით დაბალი რელიეფით არის გამოსახული.

ლომი უკანა ფეხებზე ზის, მას პატარა მრგვალი სახე აქვს, მრგვალი დიდი თვალები წრეზახით არის გამოსახული, შუბლზე მოკლედ ჩამოშვებული თმა და უღვაშები მოკლე შვეული ხაზებითაა გადმოცემული. გრძელი კუდი ფეხებს შორისაა მოქცეული და წელზე გადადებული. კუდს გირჩისებური დაბოლოება აქვს.*

ლომის მოშვებული ტანი, გაყინული სახე, შიშისაგან გაფართოებული თვალები და სხეულის აფარებული წინა ფეხი, ამ ცხოველის თავდაცვით მდგომარეობაზე მიუთითებს.

ცხოველებს შორის, მათ ფეხებთან ყვავილოვანი ორნამენტია გამოსახული, რომელიც ლოტოსის ყვავილის სტილიზებულ გამოსახულებას უნდა წარმოადგენდეს.

ჭურჭლის ზომებია: სიმაღლე – 5 სმ; ძირი – 5,5X2,5 სმ. აღმოჩენის ადგილი უცნობია. ინვ.№237, სურ..3

ცხოველთა ბრძოლის თემა ფართოდაა გავრცელებული ძველ წინა აზიაში უკვე ძვ.წ. IV ათასწლეულის დასასრულიდან. შემდგომ ხანებში ცხოველთა ბრძოლის სცენები ფართო ადგილს იკა-

* კუდის გირჩისებური დაბოლოება აქვს ერმიტაჟის ვერცხლის თასზე გამოსახულ ლომს. აღნიშნული ნივთი ძვ.წ. VIII-VII სს. თარიღდება.

ვებს ასურულსა და განსაკუთრებით აქემენიდური ირანის ხელოვნებაში. ძვ.წ. VIII-VII სს. ცხოველთა ბრძოლის თემა ფართოდ ვრცელდება, აგრეთვე, ბერძნულ სამყაროში, [3:10,11] გვიანელინისტურ ხანაში, ბერძნულ ტორეტიკაში ლითონის ჭურჭლის რელიეფური გამოსახულებით შემკობის ტრადიცია მკვიდრება, რომელიც საბერძნეთის საზღვრებს გარეთაც გადის [4:112]. ლომის გირჩისებურად დაბოლოებული კუდი, მაყურებლისაკენ მიმართული რამდენადმე გაყინული სახე და პატარა თავი მიჩნეულია ასურული ხელოვნებიდან მომდინარე [3:13,14], ხოლო შუბლზე თმის სწორხაზობრივად განლაგება დამახასიათებელია რომაული ხანის ძეგლებისათვის. [4:112]. წრეებისა და წინვისებური შტრიხების ორნამენტულ მოტივს კი რაღაც მაგიური მნიშვნელობა ენიჭებოდა. [6:46,47] ამ დეტალებით ქუთაისის მუზეუმის სანელსაცხებლე უახლოვდება ზემოთ აღნიშნულ სიუჟეტურ და ორნამენტულ სახეებსა და მოტივებს.

ირანულ ტორეტიკაში გავრცელებული იყო ლოტოსიანი ფიალები. ფიალა მზის ღვთაების სარიტუალო ჭურჭელი იყო და ამდენად მას მზის სიმბოლოს – ლოტოსის გამოსახულებით ამკობდნენ. [6:104,105]. ლოტოსის ყვავილის გამოსახვა ძველი ეგვიპტიდან მომდინარეობს. ლოტოსის გამოსახულების ეგვიპტური ტიპი გავრცელებული იყო ძველ წინა აზიაშიც. შემდგომ ხანებში ეს მოტივი აითვისა აქემენიდურმა ხელოვნებამ [5: 46]. ლოტოსია გამოსახული ელინისტური ხანის ვანის ფიალებზე [2:104,105]. ვანის პექტორალი, რომელზეც აგრეთვე, ლოტოსის ყვავილია გამოსახული, აქემენიდური ხანის ეგვიპტიზირებული ხელოვნების ნიმუშადაა მიჩნეული [5:46].

ქუთაისის მუზეუმის სანელსაცხებლეზე გამოსახულ ლოტოსის ყვავილს დაქვემდებარებული ადგილი უჭირავს, როგორც ეს ბერძნულ ფიალებზეა, სადაც უფრო ხშირია გეომეტრიული ორნამენტი, მითოლოგიური და ფიგურული გამოსახულებები [4:104].

აკად. ო.ლორთქიფანიძე ვანში აღმოჩენილი ლომის გამოსახულებიანი დიადემების შესახებ აღნიშნავდა, რომ ეს გამოსახულებები წარმოადგენენ სიცოცხლისა და სიკვდილის, მზისა და სიბნელის ჭიდილის სიმბოლოს და ისინი საგანგებოდ მზადდებოდა დაკრძალვის რიტუალისთვის [3:13]. ქუთაისის მუზეუმის სანელსაცხებლეზეც იგივე შეიძლება ითქვას. მის სიუჟეტშიც სიკვდილ-სიცოცხლის, სინათლისა და სიბნელის ჭიდილის სიმბოლოური გამოსახულება უნდა ვიგულისხმოთ.

ძველი ირანული ხელოვნებისათვის ტრადიციულია ლომის გამოსახულება. ლომი გაიგივებული იყო მზესთან, სინათლესთან და სიცოცხლესთან. ძველ ირანულ კაპიტელებზე ხარების, გრიფონების და სხვა პერსონაჟების პროტომებთან ერთად გვხვდება ლომის გამოსახულებებიც, რამაც აქემენიდური ირანის შემდეგაც განაგრძო არსებობა [9:191]. ძველი ირანული ხელოვნებისათვის დამახასიათებელია გამძვინვარებული ლომის თემა, სადაც ლომი ამარცხებს სხვა ცხოველებს. ქუთაისის სანელსაცხებლეზე გამოსახული დასუსტებული და დამარცხებული ლომის სახით სიცოცხლეს ამკარად ჯაბნის სიკვდილი, რომლის სიმბოლოა ყალყზე შემდგარი ცხენი.

აკად. შ ამირანაშვილი სამარხი ინვენტარის საგნებზე ცხენის გამოსახვას ძველი სარწმუნოებრივი ჩვევის გადმონაშთად თვლიდა, როდესაც მიცვალებულთან ერთად მარხავდნენ მის ცხენსაც [1: 98]. ცხენი მოიაზრებოდა როგორც სიკვდილის სიმბოლო, იგი სასანელთა მზის ღვთაებას შეენიშნებოდა ხოლმე [1: 98]. თეთრი ცხენის მითრასათვის შეწირვა გავრცელებული იყო არა მარტო ირანში, არამედ მცირე აზიაშიც და იმ ქვეყნებშიც, სადაც მაზდეანობამ ღრმად გაიდგა ფესვები [1: 98]. აკად. ა. აფაქიძის აზრით, გვიანანტიკური ხანის ბორისა და არმაზისხევის თასების ფსკერზე გამოსახული სცენები სამსხვერპლოს წინ ტორანული ცხენით, შესაძლოა მითრას ე.ი. მზის ღვთაებას დაუკავშირდეს [2: 678]

ამგვარად, ქუთაისის მუზეუმის სანელსაცხებლე აერთიანებს ძველ აღმოსავლურ და ანტიკური ხელოვნებისათვის დამახასიათებელ სიუჟეტებსა და კომპოზიციებს, ცალკეულ ნიშნებსა და ორნამენტულ მოტივებს.

ანალოგიური ბრინჯაოს ჭურჭელი დაცულია საქართველოს ხელოვნებისა** და ბელორუსიის სახელმწიფო მუზეუმებში. ისინი დათარიღებულია მე-17 საუკუნით და ირანის ან შუა აზიის ნაწარმად ითვლება. ბელორუსიის სახელმწიფო მუზეუმის კატალოგში იგი სამელნედ იწოდება.

** აღნიშნული ნივთის შესახებ ცნობა მოგვანოდა პროფესორმა ნ.ლომოურმა, რისთვისაც მას მადლობას მოვასხენებთ.

ჩვენის აზრით ეს ნივთი ასლია უფრო ძველი ირანული ნივთისა, რომელიც სანელსაცხებლის და-ნიშნულებით უნდა ყოფილიყო დამზადებული ვინმე წარჩინებული პირის დასაკრძალი რიტუალი-სათვის. მე-17 საუკუნის ოსტატმა, რომელიც კარგად იცნობდა ძველი აღმოსავლური და ბერძნული ხელოვნების ნიმუშებს, გამოიყენა ისინი აღნიშნული ნივთის დასამზადებლად.

ანალოგიური ნივთის რამდენიმე ეგზემპლარის არსებობა მის მასობრივ წარმოებაზე მიუთითებს მე-17 საუკუნეში და არ არის გამორიცხული მისი სამელნედ გამოყენებაც. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ შეუსაბამოდ გვეჩვენება სამელნეზე ცხოველთა ბრძოლის დრამატული სიუჟეტის გამოსახვა. აღნიშნული სიუჟეტი, როგორც აღვნიშნეთ, უფრო შეესაბამება სანელსაცხებლეს, რომელიც დაკრძალვის რიტუალთან დაკავშირებით უნდა ყოფილიყო დამზადებული. რაც შეეხება ამ ნივთის ორიგინალის დამზადების დროს, ვფიქრობთ, იგი სასანური ხანის ირანული ნაწარმია, ქრონოლოგიურად თანადროული ქუშანის სამეფოს არსებობის ხანისა და გარკვეულწილად მის კულტურას უკავშირდება.

ცნობილია, რომ ძვ.წ. II საუკუნეში შუა აზიის უმეტესი ნაწილი ჩრდილოეთიდან მოსულმა მომ-თაბარე ტომებმა დაიპყრეს. ფიქრობენ, რომ შესაძლოა ისინი ეთნიკურად ახლო იყვნენ ძველ შუა-აზიელ ხალხებთან. დამპყრობთა კოალიციას რიცხობრივად ჭარბი ქუშანების ტომი მეთაურობდა, რომლის სახელიც შემდგომ უზარმაზარ იმპერიას დაერქვა. ქუშანების იმპერიაში შედიოდა შუა აზიის მნიშვნელოვანი ნაწილი, ჩრდილოეთ-ინდოეთი, პაკისტანი, ავღანეთი. იმპერიის ცენტრი იყო ქალაქი დუშანბე. ქუშანის იმპერია რომის, პართიის და ჩინეთის დარად მსოფლიოს უდიდეს სახელ-მწიფოდ ითვლებოდა. მან I-დან IV ს-მდე იარსება.

სასანურ ირანს აღმოსავლური პოლიტიკის გატარების დროს შეტაკება მოუხდა მთელ რიგ ხალ-ხებთან, მათ შორის ქუშანებთან. თავდაპირველად ქუშანების სახელმწიფო ვალდებული იყო ხარკი ეხადა ირანისათვის. IV საუკუნეში კი ქუშანის სამეფო განადგურდა სასანური ირანის მიერ. ქუშა-ნის პროვინციებს სასანური ირანის შემადგენლობაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირათ. ქუშანის სამეფოს სასანიდი მმართველებიც ჭრიდნენ ოქროს მონეტებს, თუმცა ეს ირანის შაჰინშაჰის პრე-როგატივა იყო. ამასთანავე ქუშანის მმართველების პრივილეგირებული მდგომარეობა მათ ტიტუ-ლატურაშიც აისახა, კერძოდ ქუშანის სამეფოს სასანიდი მმართველის – ხორმიზდის მონეტაზე იგი იწოდებოდა „ქუშანების დიდ მეფეთა მეფედ“. ხორმიზდს შემოაქვს ქუშანურ-სასანური მეფის გვირგვინში ლოტოსის ყვავილი, როგორც აუცილებელი დეტალი. ხორმიზდის შემდეგ ეს სიმბოლო სავალდებულო ხდება ქუშანურ-სასანური მმართველებისათვის.[8:145,146].

ამგვარად, ბრინჯაოს სანელსაცხებელზე აღბეჭდილი ლოტოსის ყვავილი იმ ეპოქას ასახავს, რო-დესაც ქუშანის სამეფო უკვე ირანის იმპერიის შემადგენლობაშია და მას სასანიდების დინასტიის მეფეები მართავენ, რომლებიც დამოუკიდებელნი იყვნენ ცენტრალური ხელისუფლებისაგან. ამაზე მიანიშნებს ქუშანის მმართველის ხორმიზდის ტიტული „ქუშანების დიდი მეფეთა მეფე“ [8:150]. სანელსაცხებლის სიუჟეტში აღბეჭდილი ლომისა და ცხენის ბრძოლა სიმბოლურად ასახავს ქუშა-ნის სამეფოს საბოლოოდ დაპყრობას სასანიდების მიერ და სასანიდების შაჰინშაჰის გამარჯვებას ქუშანის უკანასკნელ მეფეზე, რაც მოხდა 380-383 წლებს შორის, როდესაც სამეფო ტახტისათვის ბრძოლაში სასანიდების დინასტიის კანონიერმა წარმომადგენელმა შაჰინშაჰ შაბურ II-ის შვილმა შაბურ III-მ გამარჯვა. მან ჩამოაგდო ტახტიდან არდაშირ II, რომელიც სასანიდების დინასტიის გვერდითი შტოს წარმომადგენელი იყო. მისი შვილი ხორმიზდი კი ქუშანის სამეფოს მართავდა. ამის შემდეგ ქუშანის სამეფოს შაბურ II-ის შვილი ვარახრანი მართავს [8:150].

ამგვარად, ბრინჯაოს სანელსაცხებლის დედანი შექმნილია ქუშანების სამეფოს საბოლოო დამ-ხოზის შემდეგ (IVს.) მის სიუჟეტში აისახა ქუშანის სამეფოსა და ირანს შორის არსებული პოლი-ტიკური სიტუაცია. ჩვენი აზრით, ლომის სახეში იგულისხმება ქუშანების სამეფოს დასუსტება და ირანის შაჰინშაჰის გამარჯვება ქუშანის მეფეზე.

ქუშანების ეპოქამ მრავალმხრივი გავლენა იქონია ცენტრალური აზიის ხალხების განვითარება-ზე, რაც სანელსაცხებლის სიუჟეტის მხატვრულ გადარწმუნებაც აისახა. მასში იგრძნობა ირანულ-ქუშანური კულტურების ურთიერთგავლენა.

ამგვარად, ზემოთ განხილული სამივე ბრინჯაოს ნივთი ქუთაისის მუზეუმიდან ირანულ ნაწარმს წარმოადგენს და სხვადასხვა ხანას განეკუთვნება. ძნელი სათქმელია, რა გზით მოხვდა აღნიშნუ-

ლი ნივთები საქართველოს ტერიტორიაზე. ცნობილია კოლხური ცივილიზაციის მჭიდრო კონტაქტები მისი თანადროული აქემენიდური ირანისა და ანტიკური სამყაროს კულტურებთან, ხოლო მოგვიანო ხანაში ეგრისის სამეფოსა და სასანური ირანის, ირანისა და ქართლ-კახეთის სამეფოს ურთიერთობები, რაც საფუძველს ქმნიდა საქართველოს ტერიტორიაზე უცხოური ნაწარმისა და კულტურული გავლენის გავრცელებისათვის. თუ გავითვალისწინებთ საქართველოს ინტენსიურ ურთიერთობას ირანთან, რაც საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა უნდა ვიფიქროთ რომ აღნიშნული ნივთები ფართო და მრავალმხრივი კონტაქტების (პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური, კულტურული) შედეგად არის მოხვედრილი საქართველოს ტერიტორიაზე.

ლიტერატურა:

1. ამირანაშვილი შ., ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 1971
2. აფაქიძე ა., საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბილისი, 1970
3. ლორთქიფანიძე ო., ვანი I, თბილისი, 1972
4. მათიაშვილი ნ., ლითონის ჭურჭელი, ვანი III, თბილისი, 1977
5. ჭყონია ა., ოქროს სამკაულები ვანის ნაქალაქარიდან, ვანი VI, თბილისი, 1981
6. ჯაფარიძე ნ., ბრინჯაოს ხანის ოქრომჭედლობა საქართველოში, თბილისი, 1981
7. Иващенко М.М. Материалы к изучению культуры колхов. МИГК, 2, 1941
8. Луконин В. Г. Культура сасанидского Ирана, Москва, 1969
9. Ставинский Б. Я., Козловский В. А., Львиная капитель из старого Термеза. Сб. Культурное наследие Востока, Ленинград, 1985
10. Mourier J., La Mingrelie Ancienne Colchide. Odessa, 1863; მისივე L'art du Caucase (1907), 190 ff mit abb.
11. Pobert Heidenreich, Bronzegreif in kutaissi, Archäologischer Anzeiger. Berlin. 1977; მისივე Nachtrag zum Bronzegreifen in Kutasi, Archäologischer Anzeiger. Berlin. 1981.

LONDA JIQIA

BRONZE ENGRAVER AXES FROM THE KUTAISI MUSEUM

The Archaeological Fund of the Kutaisi Historical Museum preserves different kinds of Colchian bronze axes, among them axes for ceremonial, cult and ritual bronze axes covered with engraved ornaments and the axes without ornaments, but they are very attractive because they are light and have very exquisite forms. The above mentioned axes date back to the IX-VIII c.c. B.C.

As is known, in the Late Bronze Age the development of bronze metalurgy in Georgia reached its peak. That period saw the production of numerous and various things such as tools and weapons, ornaments, and ritual things for different purposes.

The Colchian bronze axe is one of important components of the Colchian and Culture, especially those axes which are engraved with flower geometrical and animal ornaments.



სურ. 1



სურ. 2



სურ. 3

ბრინჯაოს ყუამილიანი ცულები ქუთაისის მუზეუმში

IV ათასწლეულის მეორე ნახევარში სამხრეთ კავკასიაში ნეოლით-ენეოლითის კულტურა ადგილს უთმობს ადრე ბრინჯაოს ხანას, რომელიც დიდ ტერიტორიაზე ვრცელდება და მტკვარ-არაქსის კულტურის სახელითაა ცნობილი (იგი ძირითადად გავრცელებული იყო ცენტრალურ და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში).

პრეისტორიული და ისტორიული პერიოდების ცივილიზაცია წარმოუდგენელია ლითონის წარმოების გარეშე. სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგია მეურნეობის სხვა წამყვან დაეგებთან – მიწათმოქმედებასა და მესქონლეობასთან ერთად ქმნის მატერიალური კულტურის განვითარების საფუძველს [ინანიშვილი, მაისურაძე, გობეჯიშვილი, 2010: 6.].

სამთო-მეტალურგიული წარმოების ათვისება-განვითარების მხრივ საქართველო ერთ-ერთი საინტერესო ობიექტია ძველი მსოფლიოს ცნობილ ძეგლთა შორის. აქ ლითონთა დამუშავების მრავალი ისეთი ტექნოლოგია გამოუმუშავებიათ, რომლებსაც დღესაც განცვიფრებაში მოჰყავს ამ დარგის სპეციალისტები [ხანთაძე, 2003: 9.].

მტკვარ-არაქსის კულტურაში უკვე კარგადაა წარმოდგენილი ლითონი და მის წარმოებასთან დაკავშირებული ნივთები: თიხის ტიგელები, ნამზადის ფორმები, ყალიბები, ციცხვები და სხვა. ლითონის იარაღის მეურნეობაში და საერთოდ ყოფაში ფართოდ გამოყენებამ უთუოდ აამალა შრომის ნაყოფიერება, ლითონის საბრძოლო იარაღმა კი გაზარდა მოსახლეობის საომარი პოტენციალი.

ენეოლითიდან ბრინჯაოზე გარდამავალ პერიოდში საქართველოში ვრცელდება ცულის ერთ-ერთი არქაული ფორმა საკმაოდ ნატიფი ყუადაქანებული და ყუამილიანი ცული. ორივე ეს ტიპი თითქმის ანლოგიური არიან; ერთგვარია მათი ზოგადი ხასიათი, გარეგნობა, დამზადებისა და შემკობის ხერხები; ძირითადად ერთნაირია მათი განმსაზღვრელი ნაწილები. ასევე პირის მოყვანილობით ახლოს დგანან ერთმანეთთან, რომელიც ჩვეულებრივ ვიწრო და რკალისებური აქვთ, უკან დაქანებული. ეს ცულები ძირითადად სატარეს მოყვანილობით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ყუადაქანებულ ცულს სატევრის წინა პირი შეჭრილი აქვს და უკანა მხრიდან იგი მილისებრ გამოშვებული არ არის. ყუამილიანი ცულების სატარე მილისებრი მოყვანილობისაა, უფრო მოგრძო და შედარებით მოკლე, რომლებსაც ზოგჯერ ყუამოკლე ან ყუაგრძელ ცულს უწოდებენ [ინანიშვილი, მაისურაძე, გობეჯიშვილი, 2010: 6.]. ყუამილიანი ცულებში რამდენიმე ვარიანტის გარჩევა შეიძლება. უფრო ხშირად გვხვდება მოგრძო და ყუამილიანი,

ყუამილიანი და ყუადაქანებული ცულები (თავისი მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ტიპოლოგიური ვარიანტით) წარმოდგენენ ადრე ბრინჯაო ხანის კულტურის ერთ-ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან და განმასხვავებელ ელემენტს.

ყუადაქანებული და ყუამილიანი ცულების სახვადასხვა ფორმები გვხვდება წინა აზიაში, ლუარისტანში ძვ. წ. IV-III ათასწლეულების მიჯნაზე [Куптин, 1949: Материали....284]. მესოპოტამიაში, ურის ადრეული ხანის სამარხებში ლეონარდ ვულიმ რამდენიმე ყუამილიანი ცული აღმოაჩინა [Бонград-Левин,.... 1986: рис. II, 3], რომელიც ფართოდ გავრცელებულია და ასევე დამახასიათებელია საქართველოსთვის.

ყუამილიანი და ყუადაქანებული ცულები არ გვხვდება მცირე აზიაში და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე [Куптин, 1949: Материали....284]. ამიტომაც, მეცნიერთა ნაწილი სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ ძირითადი გზა ამ ცულების გავრცელებისა კავკასიაზე მოდიოდა. ცულის ეს ტიპი კავკასიაში, კერძოდ კი საქართველოში, საკმაოდ ადრეული ხანიდან ჩანს. ყოველ შემთხვევაში ბრინჯაოს კულტურის ადრინდელ საფეხურზე ყუამილიანი და ყუადაქანებული ცულები ფართოდ გავრცელებას პოულობს და შესაძლებელი ხდება მისი რამდენიმე ვარიანტის გამორჩევა. აღსანიშნავია, რომ აქ ეს ცულები, რომლებიც უდავოდ გენეტიკურად წინააზიურ, ძირითადად კი ძველი შუმერული ყუამილიანი ცულების ფორმებს უკავშირდებიან და ხშირ შემთხვევაში, კავკასიაში ყუადაქანებული და ყუამილიანი ცულების ჩამოსხმა წინააზიურ ცივილიზაციასთან ურთიერთობის გამო მათი ნიმუშის მიხედვით ხდებოდა, თუმცა ლოკალურ ფორმებში და თანდათანობით გავრცე-

ლებს გზაზე რამდენადმე იცვალა სახე, ჩამოყალიბდა ცალკეულ ფორმად, მიიღო თავისებური ერთგვარი ელფერი და ქმნის ამ ტიპის ცულების ადგილობრივ კავკასიურ ვარიანტს, რაც მათი შემდგომი განვითარების შედეგი უნდა იყოს [ლორთქიფანიძე, 2002: 78.]. არსებული მასალებიდან ისე ჩანს, რომ ამ ვარიანტის ჩამოყალიბება ძირითადად დასავლეთ საქართველოში მოხდა. აქედან უნდა გავრცელებულიყო მოგვიანებით ყუამილიანი და ყუადაქანებული ცულის კავკასიური ვარიანტი ჩრდილოეთ კავკასიაში, შემდეგ კი აღმოსავლეთ ევროპასა და დუნაის აუზში, სადაც მან გვიანობამდე შემოინახა თავი.

ძვ. წ. III-II ათასწ. დასაწყისში ყუადაქანებული და ყუამილიანი ცულები ვრცელდება შუა აზიაში, პალესტინაში, საბერძნეთში, ბოსნიაში, სამხრეთ რუსეთსა და უკრაინაში. დაფიქსირებულია რუმინეთსა და უნგრეთში [Куфтин, 1944: рис. 8. 7,8].

ადრეული ეტაპის ყუადაქანებული ცულები საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია ცხინვალის მახლობლად სოფ. ოსპირთან, ბორცვ ქულბაქებზე და სოფ. იალბუზში. [ჯაფარიძე, 1961: 21. სურ. 20]. მათ პირი თითქმის თანაბარი სიფართისა აქვთ, ტანი მორკალული, წინა მხრიდან სატარე ხვრელთან მკვეთრად შეჭრილი. იალბუზის ცულს ბ. კუფტინი უკავშირებს იქვე აღმოჩენილ ენეოლითის ხანის კერამიკას. მას დასაშვებად მიაჩნდა ამ ტიპის ცულის არსებობა ენეოლითის ხანაში [Куфтин, 1949: 36]. ამავე ტიპისაა, ოღონდ რამდენადმე მასიური სოფ. ბრადაძორში (მარნეულის რ.) შემთხვევით აღმოჩენილი ცული [Куфтин, 1949: 85, ტაბ. XX), რომლის ანალოგია სომხეთის ტერიტორიაზეა ნაპოვნი და გიუმრის მუზეუმშია დაცული [Кушнарева, Чубинашвили, 1970: 116. ნახ. 41,2]. ძალზე ახლო მსგავსებაა ასევე ამ ცულებსა და შენგავითში აღმოჩენილი ქვის ყალიბში ჩამოსხმულ თაბაშირის ცულს შორის. [საქართველოს არქეოლოგია, 1992: .86] საინტერესოა ზაჰესში შემთხვევით აღმოჩენილი ადრეული ფორმის ცული, რომელიც ფორმით ახლოს დგას მესოპოტამიის უძველეს ცულებთან და ცნობილია თიხის მოდელების სახით ჯემდეთ-ნასრიდან, ურიდან და სხვა [ჯაფარიძე, 1961: 92]. დასავლეთ საქართველოში ზაჰესის მსგავსი ცული ცნობილია მხოლოდ მესტიის მუზეუმიდან, რომელიც ზემოაღნიშნული ცულებისაგან განსხვავებულია იმით, რომ ტანი ოდნავ მორკალულია. ერთი მათგანი ნაპოვნია იფრარის თემის სოფ. წვირიმში, ხოლო მეორე ჭუბერის ხეობაში [Чартолани, 1989: 40. ტაბ. XI. 1, 4]. ბრადაძორში აღმოჩენილი ცული ზაჰესურთან შედარებით უფრო განვითარებული ჩანს, ოღონდ თავისთავად საკმაოდ არქაული ფორმის უნდა იყოს. შუბლი მას რკალისებური აქვს. ყუა შუბლის მხრიდან სწრაფად ვიწროვდება. [ჯაფარიძე, 1955: 104. სურ. 20]. ამ ტიპის ცული ფართოდ არც მესოპოტამიაში გავრცელებულა და სულ მალე დაუთმია ადგილი ყუამილიანი ცულისათვის [Куфтин, 1949: 35]. აღსანიშნავია შიდა ქართლში აღმოჩენილი ორი ცალი სოფ. მეჯვრისხევიდან [საქართველოს არქეოლოგია, 1992: .86. ტაბ. 45. სურ. 13, 18]. ეს ცულები გენეტიკურად უკავშირდებიან ზემოთ განხილულ ცულებს, მაგრამ მაინც ჩანს, რომ მათზე რამდენადმე განვითარებული ფორმისა არიან. მათი თხელი პირი ფხისკენ, კაჩას მხრიდან თანდათან ფართოვდება, განსაკუთრებით უახლოვდებიან ერთმანეთს ეს ცულები სატარე ნაწილით. აქაც სატარე ხვრელი წინა მხრიდან შეჭრილია. [ჯაფარიძე, 1955: 103]. სომხეთის ტერიტორიაზე, არარატის ველზე, ნაპოვნია აგრეთვე მეჯვრისხევის ყუადაქანებული ცულის მსგავსი იარაღი [ქორიძე, 1965: 51]. საინტერესოა აზერბაიჯანში ქიულ-თეფეს II ფენის ქვედა ჰორიზონტში აღმოჩენილი ყუადაქანებული ცულის ჩამოსახმელი თიხის ყალიბი [Кушнарева, Чубинашвили, 1970: 116. ნახ. 41, 19], რომელიც მეჯვრისხევის ცულების ანალოგიურია. როგორც ჩანს, ეს ადრეული ტიპი ყუადაქანებული ცულისა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში მტკვარ-არაქსის კულტურაში ადგილობრივ ჩამოყალიბებული ფორმა იყო.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სვანეთში – ჭუბერში აღმოჩენილი ცული [Чартолани, 1989: 40. ტაბ. XI. 4], რომელიც თითქმის ანალოგიურია ჩრდილოეთ კავკასიაში „დიდი ყობანური ყორღანების“ პერიოდში გავრცელებული ცულებისა, რომელიც უპირატესად ნოვოსვობოდნიას სტანციაზე გვხვდებიან [Куфтин, 1949: Материали....104. ნახ. 65, 3]. ახლოს დგას ამ ტიპთან კოსტრომასკაიას ერთ-ერთ ყორღანში შემთხვევით აღმოჩენილი ცული [ჯაფარიძე, 1961: 92]. გარკვეული მსგავსება ჩანს ყობანის სამაროვანზე აღმოჩენილ ადრეულ ტიპის ცულთან [ჯაფარიძე, 1961: 93]. გვხვდება იგი ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ადგილებშიც; მახოძევსკაიას, ანდრიუკოვსკაიას, პსებოსკაიას [Куфтин, 1949: Материали....226] და სხვა ყორღანებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მაიკოპის

კულტურა. მის ადრეულ საფეხურზე ბევრ საერთოს პოულობს დასავლეთ ამიერკავკასიის ნამოსახლარებზე გამოვლენილ ცულებთან [ჯაფარიძე, 1976: 192],. ძვ. წ. III-II ათასწლეულში იშვიათად, მაგრამ გვხვდება ყუადაქანებული ცულები აღმოსავლეთ იმიერბალტიისპირეთის კულტურაში [Краинов, Лозе, 1987: 55. рис. 19. 4,5] ყუადაქანებული ცულები გავრცელებულია იაროსლავის მახლობლად, ფატიანოვის (ძვ. წ. 1800-II ათასწ. დასასრული) კულტურაში [Краинов, 1987: 59. рис. 25. 22, 24]. ყუადაქანებული ცულები გვხვდება შუადნეპრისპირეთის კულტურაში ძვ. წ. III. ათასწ. შუა ხანებში [Арциховский, 1954: 82. рис. 27]. გავრცელებულია აბაშევის კულტურაში (ძვ. წ. II ათასწ. II ნახ.) [Авдусин, 1989: 132. рис. 44. 6]. ორენბურგში აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთებიდან უმეტესობა თითქმის ასლია კავკასიელი ოსტატების მიერ დამზადებული იარაღებისა და განეკუთვნებიან ძვ. წ. III-II ათასწ. ისინი ითვლებიან აღმოსავლეთ ევროპის კავკასიურ ეტაპად [Черних, 1969: 3] და მათი წარმოება თითქმის მთლიანად დამოკიდებულია სამხრეთ კავკასიაზე.

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არქაული ტიპის მასიური ყუადაქანებული ცული ბეგერი არ არის. ამ ტიპის იარაღებმა ვერ პოვა ჩვენში ხანგრძლივი გავრცელება და დაუთმო ადგილი უფრო განვითარებულ ფორმას ვინროტანიან ყუადაქანებულ და ყუამილიან ცულებს, რომლებიც საჩხერული ტიპის სახელწოდებით არიან ცნობილი.

საჩხერის სამაროვანზე აღმოჩენილ ყუადაქანებულ-ყუამილიან ცულებში რამდენიმე ვარიანტი გამოირჩევა. აქ გვხვდება ძირითადად არქაული ფორმის ცულები ნამგლისებური მოყვანილობის პირით და შედარებით მოგრძო მილით, პრაქტიკული მიზნისთვის ეს ცული ნაკლებად გამოსადეგი ჩანს და იგი ალბათ უფრო სარიტუალო ხასითვის უნდა ყოფილიყო [Куфтин, 1949: 12], ერთი სავსებით ასეთივე ცული დაცულია ქუთაისის მუზეუმში № 5410/A-8/6 (სურ.1) (ქუთაისის მუზეუმის ექსპოზიციაში წარმოდგენილია ორი ყუამილიანი ცული, რომელიც შემოსულია მე-20 საუკუნის 20-იან წლებში მუზეუმის გახსნამდე. მათი აღმოჩენის ზუსტი ადგილი უცნობია. ჩვენ მათ პირობითად ქუთაისის ცულებს ვუწოდებთ), რომელსაც მოტეხილი აქვს გრძელი მილისებრი სატარის ძირითადი ნაწილი, შერჩენილია ტარის ქვედა ნაწილი, რკალურშუბლიანი, ნამგლისებური მოყვანილობის პირით, რომელიც ფხისკენ ოდნავ ფართოვდება. იგი ზოგადად ოთხნახნაგაა, მაგრამ ნახნაგები ძლიერ მომრგვალებული აქვს, ზედაპირი დაფარულია მწვანე პატინით. ცულის სიმაღლე – 10,5 სმ, პირის სიფართოვე – 2,5 სმ. ეს ცულიც სრულიად გამორიცხულია სამეურნეო და საბრძოლო დანიშნულებისათვის. აღნიშნულ ცულს რამდენადმე უახლოვდება კარაღეთის ცული [ქორიძე, 1965: 53. სურ. 46,2]. ანალოგიური ვინროტანიანი, ორი ყუამილიანი ცული ცნობილია ემერის ჯგუფის დოლმენიდან [Куфтин, 1949: Материали...284. XXXII]. ერთი ამგვარი ცული, სავარაუდოდ, დოლმენშია ნაპოვნი სოფ. ოთარაში, საიდანაც ცნობილია მრავალი დანგრეული დოლმენი [ჯაფარიძე, 1961: 145]. აღნიშნული ყუამილიანი ცულები და ქუთაისის ანალოგიური ცული დოლმენური კულტურის ბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის ბოლო პერიოდისაა, წინ უსწრებს კოლხურ კულტურას და მისი ასაკი უნდა განისაზღვროს ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულით და ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრით.

საჩხერის სამარხებიდან ცნობილია აგრეთვე მოგრძო, ვინროტანიანი და ფართოპირიანი უფრო განვითარებული ყუამილიანი ცულები. ერთი ანალოგიური ცული დაცულია ქუთაისის მუზეუმის ექსპოზიციაში № 5410/A-8/7 (სურ.2), რომელსაც აქვს მაღალი ტანი, მნიშვნელოვნად მოხრილია ტარისკენ, თითქმის თანაბარი სისქის ბრტყელი პირი ფხისკენ თანდათან და შესამჩნევად ფართოვდება, სამუშაო პირის ფხა ოდნავ შუაშია შეჭრილი. ზედაპირი დაფარულია მწვანე პატინით. ცულის სიმაღლეა – 31, 5 სმ, პირის მაქსიმალური სიფართოვე – 10 სმ. ამ ტიპის ცულები საქართველოში აღმოჩენილია სვანეთში [ჩართოლანი, 1977: 34. 37. ტაბ. II,1. VI,1], ივანწმინდაში, ჭიათურის მახლობლად და ერთიც ცაგერის მუზეუმშია დაცული [ჯაფარიძე, 1955: 82]. მათი გამოყენება შეიძლება მსუბუქ სამუშაოზე და ბრძოლის პროცესში. როგორც ჩანს, გამოყენების თვალსაზრისით, უპირატესობა მაინც სამეურნეო დანიშნულებას ჰქონდა. ასეთი იარაღი ხელსაყრელია ხეზე კვეთისათვის. საქართველოში ცულის ეს ტიპი გავრცელებული იყო შუა ბრინჯაოს ადრეულ ეტაპზე და ქუთაისის ცული ამ ეპოქით უნდა დათარიღდეს. გ. გობეჯიშვილმა ამ ტიპის ცულები აღმოაჩინა ზემო რაჭაში, ბრილის სამაროვანზე [გობეჯიშვილი, 1952: 58. ტაბ. X. სურ. 7, 9]. საჩხერულ ყუამილიან ცულებთან ძალიან ახლოს დგას ერთი ცული სურმალინის მხრიდან (ყარსის ყოფილი

ოლქი), რომელიც დაცულია ბორჯომის მუზეუმში [ქორიძე, 1965: 53. სურ. 48], ზუგდიდის მუზეუმში დაცულია სოფ. მახარიაში აღმოჩენილი შუაბრინჯაოს ხანის ყუამილიანი ცული [გელაძე, პაპუაშვილი, ტულუში, 1980: 45. ტაბ. 1,1]. აგრეთვე დაფიქსირებულია გალის რაიონ სოფ. ფიჩორის შუა ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარზე [ბარამიძე, ჯიბლაძე, ჩიგოშვილი, 1990: 19]. ერთი ცალი შემთხვევით აღმოჩნდა ზესტაფონის რ. სოფ. კინოთში [ლომთათიძე: 1957: 6. სურ.1]. მართალია მრავალრიცხოვანი არ არის, მაგრამ აღმოჩენილია აღმოსავლეთ საქართველოში, ისტორიული შიდა ქართლის ტერიტორიაზე: სოფ. ქვასათალში, ორი სოფ. გუფთიდან [Куфтин, 1949: таб. XX], სოფ. თლილის სამაროვნიდან [Техов, 1980: 9. таб. 17,1]. ერთი ცალი აღმოჩნდა მარნეულის ველზე სოფ. ქვემო სარალის ძვ. ნ. III-II ათასწლეულით დათარიღებულ ყორღანში [ჯაფარიძე, 1975: 148. ტაბ. 46,1]. სამხრეთ კავკასიაში აღმოჩენილია ორი ცული – ერთი სევანის ტბის სამხრეთ-დასავლეთ ნაპირთან, ჯოჯ-კოლონის ყორღანში [ჯაფარიძე, 1976: 129. სურ. 56] და მეორე კი – გიუმრიდან [Куфтин, 1944: 15. рис. 14,1].

ბედენის ერთ-ერთ გორსამარხში აღმოჩნდა არქაული ფორმის ყუამილიანი ცული განვითარებული და სამეურნეო საქმეში პრაქტიკულად მოსახმარი, საკმაოდ გრძელი და მსხვილი ყუამილით, რომელშიც შემორჩენილი იყო ხის ტარის მოზრდილი ნაშთი. [გობეჯიშვილი, 1981: 85. ტაბ. X, 1].

აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის იარაღმა ძალიან ფართო გავრცელება ჰპოვა ჩრდილოეთ კავკასიაში. როგორც ჩანს, აქ, ცულები ძირითადად გავრცელებული იყო შუა ბრინჯაოს ხანის ფინალურ სტადიაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩრდილოეთ ოსეთში სოფ. გალიათთან „ფასკაუს“ სამაროვანზე მოპოვებული რამდენიმე ვარიანტის ყუამილიანი-ყუადაქანებული ცულები. ზოგი მათგანი ძალიან ახლოს დგას საჩხერულ ცულებთან [Куфтин, 1944: таб II. рис. 1] მათ ვხვდებით დასავლეთ საქართველოს დოღმენებში [Куфтин, 1949: Материали....269. таб. V]. კოლხეთის ყველაზე მაღალმთიან ზოლში, სვანეთის ტერიტორიაზე ყუამილიანი ცულები საკმაოდ რაოდენობითაა ნაპოვნი [ჩართოლანი, 1996: 49-51. ტაბ. XIII, XIV.] ისინი უახლოვდებიან საჩხერის განვითარებული ფორმის და ქუთაისის ყუამილიან ცულებს. იგივე უნდა ითქვას ქიათურის მიდამოებში [ქორიძე. 1965: 53. სურ. 47] აღმოჩენილ ცულზე.

ქუთაისის და საქართველოს ტერიტორიის სახვადასხვა რეგიონში აღმოჩენილ ცულებს დიდი მნიშვნელობა აქვს სპილენძ-ბრინჯაოს ტექნიკის განვითარებისა და მისი გავრცელებისათვის. აღმოჩენილი მატერიალური მასალა ადასტურებს, რომ საქართველო მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის ლითონის წარმოების ერთ-ერთ უძველეს და ძლიერ კერას წარმოადგენდა და სამხრეთ კავკასია იყო ერთ-ერთი მთავარი ცენტრი, რომლიც სატრანზიტო გზის საშუალებით უკავშირდებოდა ჩრდილოეთ კავკასიასა და აღმოსავლეთ ევროპას.

ლიტერატურა:

1. ბარამიძე მ., ჯიბლაძე ლ., ჩიგოშვილი თ., 1990: არქეოლოგიური კვლევა-ძიება აფხაზეთის ასსრ სამხეობლო მოედნებზე – კრებული „ძეგლის მეგობარი“ № 85, 18-24. ოთ. ლორთქიფანიძე (რედ.). თბილისი
2. გელაძე გ., პაპუაშვილი რ., ტულუში ა., 1980: ზუგდიდის მუზეუმში დაცული არქეოლოგიური მასალის შესახებ – კრებული „ძეგლის მეგობარი“ № 53, 44-50. ოთ. ლორთქიფანიძე (რედ.). თბილისი
3. გობეჯიშვილი გ., 1952: არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში. თბილისი
4. გობეჯიშვილი გ., 1981: ბედენის გორსამარხების კულტურა. თბილისი
5. ინანიშვილი გ., მაისურაძე ბ., გობეჯიშვილი გ., 2010: საქართველოს უძველესი სამთამადნო და მეტალურგიული წარმოება (ძვ. ნ. III – I ათასწლეულები). თბილისი
6. ლომთათიძე გ., 1957: კლდეეთის სამაროვანი. თბილისი
7. ლორთქიფანიძე ო., 2002: ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბილისი
8. საქართველოს არქეოლოგია, 1992: II, ენეოლით-ადრე ბრინჯაოს ხანა. თბილისი
9. ქორიძე დ., 1965: კოლხური კულტურის ისტორიისათვის. თბილისი
10. ჩართოლანი შ., 1977: სვანეთის ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი
11. ჩართოლანი შ., 1996: ძველი სვანეთი. თბილისი

12. ხანთაძე ჯ., 2003: ლითონთა სამყაროში ფერდინად თავაძესთან ერთად. თბილისი
13. ჯაფარიძე ო., 1955: ლითონის წარმოების ადრეული საფეხური საქართველოში. თბილისი
14. ჯაფარიძე ო., 1961: ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე. თბილისი
15. ჯაფარიძე ო., 1975: ბრინჯაოს ხანის ყორღანები – ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965-1971 წწ.), 137-166. აღ. ჯავახიშვილი (რედ.), თბილისი
16. ჯაფარიძე ო., 1976: ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის. თბილისი
17. ჯაფარიძე ო., 2003: საქართველოს ისტორიის სათავეებთან. პირველყოფილი ეპოქა. თბილისი
18. Авдусин Д. А., 1989: Основы археологии. Москва
19. Арциховский А. В., 1954: Основы археологии. Москва
20. Бонград-Левин Г. М., Деопик Д. В., Деревянко А. П., Кучера С. Р., Массон В. М., 1986: Археология зарубежной Азии. Москва
19. Краинов Д. А., Лозе И. А., 1987: Культуры шнуровой керамики и ладевидных топоров в восточной Прибалтике, 51-57 – Эпоха бронзы лесной полосы СССР. Рыбаков Б. А., (ред.), Москва
20. Краинов Д. А., 1987: Фатьяновская культура, 58-76, – Эпоха бронзы лесной полосы СССР. Рыбаков Б. А., (ред.), Москва
21. Куфтин Б. А., 1944: К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XII, 16-37. ა. ავაქიძე (რედ.) თბილისი
22. Куфтин Б. А., 1949: Археологическая маршрутная экспедиция 1945 г. Юго-Осетю и Имеретию. Тбилиси
23. Куфтин Б. А., 1949: Материалы к археологии колхиды, т. I. Тбилиси
24. Кушнарева К. Х., Чубинашвили Т. Н., 1970: Древние культуры южного Кавказа. Ленинград
25. Техов Б. В., 1980: Тлийский могилник. Тбилиси
26. Чартолани Ш. Г., 1989: К истории на горья западной Грузии доклассовой эпохи. Тбилиси

DAVIT BERDZENISHVILI

TUBULAR BRONZE AXES FROM KUTAISI MUSEUM

In the later half of the of the 4th millennium, in the South Caucasus the Neolith-Eneolithic culture started to fade and to be substituted by the Early Bronze Age, spreading over a large territory, and having been known as Kura-Arax culture. It was mostly spread and in the central and eastern Trans-Caucasus.

It was a significant period in the history of Georgia and the Caucasus at large. It was characterized of the rise of land-cultivation and cattle-breeding, and in combination with metalurgy, it made a firm basis for the establishment of the process of the consolidation of tribes.

In Georgia, in the transition period from Eneolithic to Bronze, one of the archaic forms of an axe, rather subtle tubular ones started to spread.

Tubular axes of an earlier period have been discovered near Tskhinvali, in the village of Ispiri, above the hills, and in the village of Ialbuzi.

Massive tubular axes of the archaic type do not abound in western Georgia. Here, such axes were not spread for a long period of time and they were substituted by more advanced narrower ones, known as the Sachkhere type.

Among the tubular axes, discovered in Sachkhere, several varieties can be identified. Mostly, there occur archaic axes with a sickle-shaped blade and a comparatively longer tube. The axe does not seem to be useful for practical purposes, and, hence, it should have been of a ritual character. One of such axes has been preserved at Kutaisi Museum, No 5410/A-8/6 (Pict.1) (the exposition of Kutaisi Museum preserves two tubular axes, having entered it in the 1920s before the Museum was opened. The exact time of their discovery is unknown. They have conditionally been referred to as Kutaisi axes), lacking the main part of the long tubular handle, and maintaining a lower part of its handle, with a sickle-shaped blade, widening towards its edge. Generally, it is four-faceted, but facets are rather round, and its surface is covered with green patina. Height of the axe -- 10.5 cm, width of the blade -- 2.5 cm.

The age of the Kutaisi axe may be defined within the beginning of the 3rd millennium and the first half of the 2nd millennium.

Sachkhere sites have revealed longer, narrow and wide-blade more advanced tubular axes. One of such axes have been preserved at the exposition of Kutaisi Museum No 5410/ A-8/7 (Pict. 2), having a high body, considerably bending towards the handle, with a flat blade gradually widening towards the edge; its surface has been covered with green patina. Height of the axe -- 31.5 cm, maximum width of the blade -- 10 cm.

Tubular axes were made in the Caucasus due to its relations with the civilization of the Asia Minor. The Caucasian variety of a tubular axe spread from Georgia to the North Caucasus, and later to Eastern Europe and the Danube basin.

The axes, discovered in various regions of Georgia, have been very significant for the development and spread of copper and bronze techniques. The data in point confirm that, among Middle Eastern countries, Georgia was one of the most powerful and ancient places, and that the South Caucasus was one of the centers, which, by means of the transit route, connected to the North Caucasus and Eastern Europe.

სარკე და სავარცხელი – სილაგაზის საწყისებთან

ალბათ ყველას ძალიან აინტერესებს თუ როდის გაჩნდა სარკე და სავარცხელი და როდის იქცა ეს ორი ნივთი სილაგაზისთვის აუცილებელ ატრიბუტად. პირველად ადამიანმა თავისი ანარეკლი წყალში შეამჩნია და აქედან გაუჩნდა იდეა შეექმნა ნივთი, რომელიც სულ თან ექნებოდა და რომელშიც გარდა თავისი ანარეკლისა ნაკლოვანებებსაც დაინახავდა, ხოლო შემდეგ მათ გამოსწორებას შეეცდებოდა.

პირველი სარკეები ეგვიპტეში ჩნდება, შუა სამეფოს პერიოდში. მათ ელიფსური ფორმა აქვთ და აშკარად მდიდარი ფენისთვის საგანგებოდ შექმნილ ფუფუნების ნივთებს წარმოადგენენ.

საქართველოს ტერიტორიაზე სარკეების გაჩენა, გვიანი ბრინჯაოს ფინალური ეტაპიდან უნდა დაწყებულიყო, მაგრამ მათი ფართო ათვისება ანტიკური ეპოქიდან ხდება. ისინი ოვალური ფორმისანი არიან და წარმოადგენენ მრგვალ დისკოს, რომლებიც ხის ჩარჩოზეა დაკრული. აღნიშნულ ნაშრომში განხილული ყველა სარკე სამახრეული ინვენტარია და ბერძნულ ნაწარმს მიეკუთვნება [ვანი; ფიჭვნარი], გარდა ერთისა. იგი ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ექსპოზიციაშია გამოფენილი და შემთხვევით მონაპოვარს წარმოადგენს.

სარკეების დასამზადებელი მასალა ლითონია და უმეტესად ბრინჯაო გამოიყენებოდა. როგორც წესი, მათ ოვალური ფორმა აქვთ, სარკის ერთი მხარე ძლიერაა გაპრიალებული, ისე რომ პიროვნების ანარეკლი გამოჩნდეს. მეორე მხარეს კი ხის ან ლითონის ჩარჩო აკრავს, რომლის მხატვრულად გაფორმებაც ოსტატის პრეროგატივაა.

სარკე ქუთაისის მუზეუმიდან. (სურ. №1)

საინვენტარო ნომერი ა-229. ქუთაისის მუზეუმისთვის გადაუცია ვინმე – ივანე წასიძეს 1929 წელს. სარკე დაზიანებულია, იგი 12 ნაწილადაა გატეხილი. ბრინჯაოს დისკო დაკრულია ხის ჩარჩოზე. დისკოს წინა მხარე გაპრიალებულია და შემკულია წვრილი ნაკანრი წრეხაზებით რამდენიმე რიგად. დისკოს დიამეტრია 13.5. თარიღდება ძვ.წ. V საუკუნით.

სარკე ვანიდან – დაბლაგომის მდირული სამარხი. (სურ. №2)

1972 წელს დაბლაგომში, ნაციხვარას ბორცვზე აღმოჩნდა ხით ნაგები სამარხი, რომელიც კრამიტებით იყო გადახურული. სამარხში ჩონჩხის ნაშთები სრულად არ აღმოჩენილა. ნივთიერი მასალა საკმაოდ მდიდრული და მრავალფეროვანია. იგი წარმოდგენილია ოქროს სამკაულებით, ბრინჯაოს და ვერცხლის ჭურჭლით, რკინის იარაღით, შემოტანილი და ადგილობრივი თიხის ჭურჭლით, მინის, პასტის, ქვის მძივებით და მძივსაკიდებით. ერთ-ერთი ამფორის ქვეშ აღმოჩნდა ბრინჯაოს სარკე, რომელსაც ხის ჩარჩოს ნაშთები აქვს შერჩენილი. იგი წარმოადგენს ბრინჯაოს დისკოს, რომლის ერთი მხარე გაპრიალებულია და შემკულია წვრილი რელიეფური წრეხაზებით. მეორე მხარეს ემჩნევა ხის ჩარჩოს ნაშთები. სარკე აღმოჩენილია სამარხის სამხრეთ ნაწილში, იქ სადაც ინვენტარის განლაგების მიხედვით დაკრძალულს ფეხები უნდა ჰქონოდა. დისკოს დიამეტრი – 19სმ-ია. თარიღდება ძვ.წ IV-III საუკუნეებით.[ვანი.“მეცნიერება”1976] 1961წ. სარკე აღმოჩნდა მდიდარი კოლხი ქალის სამარხშიც.[ვანი.“მეცნიერება”.1976].

სარკეები ფიჭვნარიდან. (სურ. №3)

ფიჭვნარში, ბრინჯაოს სარკეები აღმოჩნდა 5 სამარხში. ისინი მიეკუთვნებიან ე.წ. სახელურებიანი სარკეების ტიპს. ფიჭვნარის სარკეები ჩამოსხმულია კალიანი ბრინჯაოსგან. როგორც ჩანს, ისინი ათენშია დამზადებული. ყველა მათგანი დისკოსებური მოყვანილობისაა, ნაწილის გარეთა ზედაპირი ოდნავ ამობურცულია, ხოლო კიდეები–ამოღუნული. ჰქონიათ ხის სახელურები. მხოლოდ ერთს, რომელიც 1983 წელს №100 სამარხში აღმოჩნდა სახელურად ბრინჯაოს, ჩამოსხმული, ცილინდრული მოყვანილობის დაბოლოება ჰქონია. რომელიც დისკოსთან ხით ყოფილა დაკავშირებული, სახელურს ეტყობა კიდეც ხის ნაშთები. სარკეები აღმოჩენილია მიცვალებულთა თავის არეში, მარჯვენა ან მარცხენა მხარეს. ყველა მათგანი მოთავსებული ყოფილა ქსოვილის სარჩულიან ხის ფუტლიარში.[ფიჭვნარი.2007].

1.სარკის დიამეტრია–17სმ და 2.სარკის დმ-ია – 16 სმ.

(შენიშვნა: ფიჭვნარის ბერძნულ ნეკროპოლზე აღმოჩენილი სარკეებისგან განსხვავებულია, მაგრამ თანადროული ვანში 1961წ აღმოჩენილი სარკე. – მდიდარი კოლხი ქალის სამარხში, ასევე, ძვ.წ. I ს-ის ბრინჯაოს სარკე დაბლაგომიდან.)

სავარცხლები, როგორც თმის მოვლის საშუალება ნეოლითიდან ჩნდება. პირველი სავარცხლები მზადდებოდა თევზის ფხისგან, ცხოველების ძვლებისგან და კუს ჯავშნისგანაც კი. ლითონის ათვისებასთან ერთად, მათი წარმოება უფრო ფართოვდება და მრავალფეროვანი ხდება. თუმცა ხელმისაწვდომი მხოლოდ სოციალურად მაღლა მდგარი ფენისთვისაა. ყალიბდება ორი ძირითადი ფორმა: ცალპირიანი და ორპირიანი. სავარცხლის დასამზადებლად იყენებდნენ ხეს, ძვალს და ლითონს, როგორც ოქროს, ისე ბრინჯაოს და სპილენძს. სავარცხლები შემკულია მრავალფეროვანი მხატვრული დეკორით. აქტუალურია, ცხოველებიდან: ლომები, შველი ან ირემები, ფრინველებიდან – გედები და ჩიტები. ასევე გეომეტრიული ფიგურები და მეანდრეები.

სავარცხელი – სოლოხა. ოქრო. (სურ. №5)

სოლოხაში სკვითური სავარცხელი 1913 წელს სამაროვანის გათხრებისას აღმოჩნდა. თარიღდება ძვ.წ. VIII-III სს-ებით. სიმაღლე-12.3. სიგანე-10.2. წონა-294. სავარცხელს აქვს 19 ოთხნახნაგა კბილი, რომელთა ზედა ნაწილში მოთავსებული ფრიზი წარმოდგენილია 5 მწოლიარე ლომით. მათ კი თავზე ადგათ ბრძოლის სცენა. ფიგურები მოძრაობაშია წარმოდგენილი. თითოეული ფიგურა ცალ-ცალკეა ჩამოსხმული და მხოლოდ ამის შემდეგაა ერთმანეთთან შეერთებული. გადაბმის ადგილები კარგადაა გაპრიალებული. თითოეული ფიგურა გრაციოზულობითა და პლასტიურობით გამოირჩევა. [Манцевич А.П., „Курган Солоха“ 1987.]

ანტიკურ სამყაროში ფრესკებზე, ჭურჭელზე, ტერაკოტულ ფიგურებზე ხშირად გვხვდება კარგი ვარცხნილობები. ზოგჯერ გამოსახულია თვით სავარცხლები. რაც ამ სამყაროში მისი როლის აქტუალობაზე მეტყველებს. ერთი საინტერესო სიუჟეტი კი გამოსახულია, ბერძნულ ნითელაკიან ვაზაზე, ორნამენტის სახით, სადაც სავარაუდოდ მონა ქალი ვარცხნის თავის ქალბატონს. ჭურჭელი თარიღდება ძვ.წ. V საუკუნით. [Сокольский Н.И. 1971.] (სურ. №6)

სავარცხლებს ხშირად პოულობენ თავის შესანახ ყუთთან ერთად. სავარცხლები მზადდებოდა ხის სხვა ნივთების წარჩენებისგან. ხოლო, თუ სავარცხელი აღმოჩენილია თავისივე ზარდახშით, სავარაუდოა, რომ ორივე ნივთი ერთი და იგივე ხისგან არის დამზადებული და შესაბამისად ოსტატიც ერთი ჰყავთ.

სავარცხლებთან ერთად ხის ზარდახშებში ხშირადაა პატარა ოვალური, ე.წ. სახურავიანი სარკეები.

რომაული სამყაროსთვის დამახასიათებელია სავარცხლები წარწერებით. მათი პოპულარობიდან გამომდინარე, ხელოსანი წინასწარ ამზადებდა სავარცხლებს წარწერებით და საყიდლად მისულ კლიენტსაც აღარ სჭირდებოდა დიდხანს ლოდინი. ზოგჯერ სავარცხლებზე თვით ოსტატის სახელიც იყო ამოჭრილი. [Сокольский Н.И. 1971] (სურ. №7)

სავარცხელი სამთავროს სამაროვანიდან.

2000 წელს მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტმა განაახლა კვლევა-ძიება და არქეოლოგიური გათხრები სამთავროს ველზე. გათხრები განხორციელდა მცხეთის ყოფილი რესტორნისა და მარნის ტერიტორიის მხოლოდ ორ მონაკვეთზე – მარნის ჩრდილოეთითა და სამხრეთით. მარნის ჩრდილოეთით დადასტურდა სამი სტრატეგრაფიული ფენა. პირველი ფენა – წარმოდგენილია ადრეშუასაუკუნეების ქვაყუთებით (16 ქვასამარხი); მეორე ფენა – პირველი საუკუნის ქვევრსამარხები (სულ 4); მესამე ფენა – სადაც 6 სამშენებლო შრე დადასტურდა. იგი შეიცავს ხელასტითა და ალიზით ნაგებ შენობათა ნაშთებს, აღნიშნულ კულტურულ ფენაში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ობსიდიანის ანატკეცები, კერამიკა და ცხოველის ძვლები. მათ შორის აღსანიშნავია ობსიდიანის ქუსლამოდარული ისრისწვერი, ძვლის სავარცხელი და ქვის ორი ჯამი. [საქ. მეცნიერებათა აკადემია, მცხეთის არქ. ინსტიტუტი. თბ. 2001].

კიდევ ერთი სავარცხელი იმირის გორაზე აღმოჩნდა 1968-1971წწ. დამზადებულია სოჭის ხისგან. (სურ. №8). იგი ტყავის ბუდეში იდო, ბუდე კი ნაკერია გვირისტით. სავარცხლის ზედაპირზე შერჩენილია თეთრი საღებავით შესრულებული ფართოზოლოვანი ორნამენტი, რომელიც მცენარეული სახითაა გამოხატული. ტყავი ძალზე გაცვეთილია. სავარცხელი კი დაზიანებული. სავარცხე-

ლი აღმოჩენილია ფეოდალური ხანის ჩამოშლულ სამარხებში. ინვენტარში დადასტურებულია ოქროს საყურეები, ვერცხლის თვალბუდიანი და ოქროს ფარაკიანი ბეჭდები, ვერცხლის სამაჯურები, მარგალიტისა და მარჯნის მძივები, რკინის პინცეტი, რკინის დანა და დისკო.

აღსანიშნავია, რომ შუასაუკუნეების სამარხებში სავარცხლების აღმოჩენა იშვიათობას წარმოადგენს, შუასაუკუნეების რუსეთში კი ძვლისა და ხის სავარცხლები ფართო მოხმარების საგანი უნდა ყოფილიყო. ხის სავარცხლების უმეტესობა შემოტანილი ბზის მერქნისგან მზადდებოდა. ხის ფაქტურის სილამაზის გამო, ბზის სავარცხლები უმეტესად სადაა. [ქვ. ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები. გვ.186-193]

რაც შეეხება მოდურ ტენდენციებს ანტიკურ სამყაროში, როგორც ჩანს, თმებს ერთნაირად უვლიდნენ მამაკაცებიც და ქალებიც. მოდაში თმების ქერად შეღებვა იყო, აგრეთვე ხვეული და ხელოვნურად დალოკონებული თმები. ვარცხნილობის გასაფორმებლად გამოიყენებოდა ფერადი ლენტები, მათ შორის ოქროსა და აბრეშუმის. ასევე სხვადასხვა ფერებისა და ზომის ბურთულეები. ზოგჯერ თვით სავარცხლებიც გამოიყენებოდა ვარცხნილობის დასამაგრებლად. ასეთ სავარცხლებს უფრო მეტ გამძლეობას მეტალის წვრილი ბოლოები მატებდა.

მამაკაცებში მოდურად ითვლებოდა სამკუთხა და წანვეტებული ფორმის წვერი. თმების ღია ფერებში შეღებვა იმდენად მოდური იყო, რომ მამაკაცები გრძელი წვერის ბოლოებსაც კი იღებავდნენ. მიუხედავად ამ ორი ნივთის ფართოდ გავრცელებისა და გამოყენებისა, აღსანიშნავია, რომ ისინი მაინც ფუფუნების საგნებად მოიაზრებოდნენ და მხოლოდ სოციალურად მაღლა მდგარი ფენის საკუთრებას წარმოადგენდნენ. სავარცხლების მოდურობა იმაზეც მიუთითებს, რომ ფართოდ გავრცელება მოიპოვა სავარცხლისებურტანიანმა ბრინჯაოს საკიდებმაც.

და ბოლოს, მკვლევარების აზრით, ქალის სამარხებში აღმოჩენილ სილამაზისთვის შექმნილ ამ ნივთებსაც საკრალური დანიშნულება უნდა ჰქონოდა და მათ ქალები ავი სულეებისაგან უნდა დაცვათ.

ლიტერატურა:

1. ბიბლიის ენციკლოპედია. თბილისი. გვ. 62
2. ვანი. ტომი №2. რედ. ოთ. ლორთქიფანიძე. "მეცნიერება". თბილისი. 1976. გვ.68-78
3. ვანი. ტომი №7. რედ. ოთ. ლორთქიფანიძე. "მეცნიერება. თბილისი. 1983. გვ.129-135
4. ფიჭვნარი. ტომი №2. ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები. (1967-1987). ანტიკური სამყარო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში(ფიჭვნარის ძვ.წ. Vს. ბერძ. ნეკროპოლი). ნაწ.1. (ტექსტი) / ამირან კახიძე: [რედ. ე. კახიძე]. — [ინოვაცია, 2007]. არქეოლოგიური გათხრები აჭარაში.
5. ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები. "მეცნიერება" 1975.
6. V სმეცნიერო სესია; 2000 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები; ანგარიშები. თბილისი 2001. გვ. 25.
7. Сокольский Н.И. 1971 გვ.138-149.
8. Манцевич А.П. Курган Солоха. "искусство"1987. გვ.57-60

KETEVAN UGLAVA

THE MIRROR AND THE COMB _AT THE BEGINNING OF THE BEAUTY

In my opinion, it is very interesting when the first mirrors and combs was created for beauty. Probably, at first human saw his reflection in the water and decided to make a things which could be forever with him/her and would make him beautiful any time.

First mirrors was created in Egypt. At first they had forms like ellipses. And they certainly dedicated to the rich community.

Developing these materials in the territory of Georgia likely connected to the Greek people. The mirrors have a round forms and bronze disco is attached on the wood. All mirrors, discussed in this article are found after archaeological excavation, except one. It was found accidentally and was brought in Kutaisi State Museum.

Main materials, in which mirrors was made was bronze. Usually they have round forms and one side is more polished than the other. The backside is decorated with different kind of ornaments.

Mirror from Kutaisi State Museum. (photo N1)

Inventory number a-229. In museum it brought Ivan Tsasidze, in 1929. It is damaged and is broken in twelve parts. Bronze disco is attached on the wooden form, frontal is polished and decorated with thin round lines. Dated Vc. B.C.

Mirror from Vani. Rich burial from Dablagomi. (photo N2)

In 1972, In Vani, in village Dablagomi, discovered wooden burial, covered with tiles, in which was a lot of golden, silver materials and pottery and bronze vessels. Under the one amphora was found bronze mirror. One side is polished and decorated with thin lines and on the other side is remaining wooden framework's fragments. The mirror is found on the southern part of the burial, in where should be the legs of the deaths. Dated IV-III c.c. B.C.

Mirrors from Pichvnari. (photo N3)

In Pichvnari mirrors was discovered in 5 grave. They belongs to so known handles mirror type. They are made in Greece, with tinny bronze and is a disco faced. They all had wooden handles. They all was found in the area of head, in the right or left side of the death. All of these mirrors was placed in the textile lining wooden box.

And little about ancient combs. Using for combing hair is meeting from Neolith Epoch. They were made with skill of fish, bone and tortoise armor. With development of metal was developed various forms of combs. They were more strength and useful. But belongs only rich community. Combs are decorated with a lot of various ornaments and figures. More actual are lions, dears, humans, birds and flovers.

Comb _ Solokha. (Gold.pic.N5)

In 1913, in Solokha, discovered a wealthy burial, belonged to Scythian steward. With other golden materials there was a golden comb too. Dated VIII-III cc B.C. Height – 12.3, width – 10.2, weight – 294. The comb has 19 tetrahedral teeth. Overhead the teeth frieze is represented with five lying lion. Overhead the frieze is a stage of a fight. Each figure is distinguished with plasticity and gracefully.

In ancient world we may often meet different hairdressing on different pottery figures, even on vessels. One very interesting stage is represented on the red painted vessel like an ornament. Dated in V c. B.C.

Archaeologists often are finding combs with their wooden box or leather bag. Boxes like this we also can see little oval mirrors with their combs. Developing and popularization combs made the production different and wide. People begin to present combs to their friends, masters, parents and etc.

In 2000 year in Samtavro continued archaeological excavations. After these works, with many other materials discovered, bone comb. One more comb discovered on Imiris Hill in 1968-1971. It is made with fir-tree.

Little about modern trends. As seems, in ancient world, I mean ancient cultural empires, men and women equally was taking care of their hair. They used different colored ribbons, sometimes made from gold and silk thread. Also they were coloring their hair. People liked curly and frizzy hair.

And finally I have to mention, in opinion of scientists, finding mirrors and combs in the burials of dead persons, means something amused, dedicated to the ritual, for saving their souls from other bad souls.



სურ. 3. სარკე ფიჭვნარიდან



სურ. 4. სარკე ფიჭვნარიდან



სურ. 5. სოლოხას სკვითური სავარცხელი



სურ. 6. ნითელლაკიანი ჭურჭლის ორნამენტი



სურ. 7. სავარცხელი ოსტატის სახელით



სურ. 8. სავარცხელი იმირის გორიდან

შალვა ბუაძე

ანტიკური ხანის სამარხები ქუთაისიდან

ქუთაისის ტერიტორიაზე აღმოჩენილი სამარხებიდან ყველაზე ადრეული კომპლექსი თარიღდება ძვ. წ. I ათასწლეულის შუახანებით, რომელიც მოპოვებულია პ. ჭაბუკიანის მიერ „ცაცხვების უბანში“. იგი შედგება 5 ცალი რკინის (ერთი მთელი და ოთხი ფრაგმენტული) თოხის (სურ. 1), რკინის ყუაკვერიანი ცულის ფრაგმენტის, სატევრის ტარის ფრაგმენტის, ყუამილიანი დოქის პირგვერდის, ყურისა და მილის ფრაგმენტის (სურ. 2), სალესი ქვების (3 ცალი), ერთი ელექტრუმის და ოთხი ბრინჯაოს საყურეების, ბრინჯაოს ჯაჭვის (3 რგოლი), მინის, პასტის, სარდიონის, ქალცედონის მძივებისა (სურ. 3) და 11 ცალი კოლხური თეთრისაგან (სურ. 4. სურათზე ნაჩვენებია ერთი მონეტა, ხოლო დანარჩენი ანალოგიურია). გარდა ამ ნივთებისა მ. ივაშენკოს გადმოცემით კიდევ იყო ნითლად, ნაცრისფრად და შავად გამომწვარი ადგილობრივი თიხის ნაწარმი, თიხის ქანდაკების ფრაგმენტი, ბრინჯაოს თოხები და „ბრტყელი ცული“ მაგვარი ნივთი.

სამარხეული მასალა აღწერა და შეისწავლა მ. ივაშენკომ [Ивашенко М. 1950] და ლ. ჯიქიამ (ჯიქია ლ., 2006: 58-62). ივაშენკო მასალას V-IV საუკუნის ორმოსამარხის ინვენტარად მიიჩნევს, თუმცა მასალის სინქრონულობას ეჭვქვეშ აყენებს. ლ.ჯიქიაც სამარხეულ მასალას ადრეანტიკური ხანით ათარიღებს (ჯიქია ლ., 2006: 58-62).

სამარხეული მასალის ერთ კომპლექსად გაიგივებას ჩვენც კრიტიკულად ვუყურებთ და ინვენტარის სინქრონულობის დარღვევის გამო მისი დათარიღება ზუსტად ვერ ხერხდება. ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცულ სამარხში შედის ძლიერ დაზიანებული რკინის ყუაკვერიანი ცულის ფრაგმენტი რომლის გავრცელების ქრონოლოგიური დიაპაზონი ძვ. წ. VII-VI სს-ზე მოდის (ბარამიძე მ., 1977: 39-44; მიქელაძე თ., 1985: 33); ბრინჯაოს ჯაჭვი (შედგება სამი ოვალური რგოლისაგან), რომელიც დამახასიათებელია ძვ. წ. I ათასწლეულის სამარხეული კომპლექსებისათვის (ბარამიძე მ., 1977: 59); რკინის თოხები, რომლებიც ძალიან ახლო მსგავსებას იჩენენ პალურის საძვლეში დადასტურებულ თოხებთან და ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრით თარიღდება; სალესი ქვები სამი ცალი (ერთი გრძელი და მრგვალი ფორმისაა, მეორეს ცალი გვერდი ბრტყელი აქვს, ხოლო მესამე ბრტყელია) და ძვ. წ. I ათასწლეულშია გავრცელებული; სატევრის ტარის ფრაგმენტი – რკინის სატევრები ძირითადად დამახასიათებელია მეომრის სამარხისათვის და არის ისეთ კომპლექსებში სადაც დაცულია ზემოთ ნახსენები სალესი ქვები. ყუამილიანი დოქის ფრაგმენტი – მონაცრისფრო შავად გამომწვარი, ყელი რამდენიმე რიგად შემკულია ტალღოვანი ორნამენტით და ძვ. წ. VI-IV სს. თარიღდება; მძივები – სარდიონის, მინის, ქალცედონის, პასტის. მათი ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი ძვ.წ. III საუკუნით შემოიფარგლება; ბრინჯაოსა და ვერცხლის მავთულის საყურე რგოლები, რომლებიც ფართოდ გვხვდება ადრეანტიკურ და ელინისტურ სამარხეულ კომპლექსებში; კოლხური თეთრის მცირე ნომინალები (შუბლზე გამოსახულია ხაზოვან და წერტილოვან რკალში ჩასმული მარჯვნივ მიმართული ადამიანის თავი, ზურგზე კი – ხარის თავი, რომელიც ასევე მარჯვნივაა მიმართული) რომლებიც ძვ. წ. V-IV საუკუნეებით თარიღდება (Лордкипаниძე О., 1989: 269-271; დუნდუა გ., 1970: 13-14).

მომდევნო ეტაპი სამარხეული კომპლექსებისა ელინისტურ ხანაზე მოდის. მათი ქრონოლოგიური დიფერენციაცია უფრო შესაძლებელია, რადგან ისინი არქეოლოგიური გათხრებითაა მოპოვებული. 2005-2010 წლებში მდ. რიონის მარჯვენა სანაპიროზე, რუსთაველის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე ქუთაისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მიაკვლია ელინისტური ხანის სამაროვანს.

სამარხები სავლელ დოკუმენტაციის მიხედვით დანომრილია და დღეისათვის სულ შესწავლილია 11 სამარხი. მათგან №1, 2, 3, 4. ქვევრსამარხია, №6, 7, 11. დერგსამარხი და №5, 9, 10 კი ორმოსამარხი. ყველა სამარხი ინჰუმაციურია. ქვევრსამარხებიდან სამი (№№ 2, 3, 4) დამხრობილია სამხრეთით, ერთი (№1) ჩრდილოეთით; დერგსამარხებიდან (№№ 6, 7) აღმოსავლეთით, ერთი (№11) სამხრეთ-აღმოსავლეთით; ორმოსამარხებიდან ერთი (№ 5) სამხრეთ-დასავლეთით, მეორე (№ 9) სამხრეთ-აღმოსავლეთით; მესამე ორმოსამარხი (№ 10) დანგრეული იყო და ორიენტაციის დადგენა ვერ მოხერხდა. ქვევრები და დერგები ჰორიზონტალურად იყო დაფლული. სამარხების უმრავ-

ლესობა (გარდა № 5 სამარხისა) ინვენტარით ძალზე ღარიბია, ორი სამარხი (№ 4, № 7 და №11) უინვენტაროა. ძვლოვანი ნაშთები შედარებით უკეთ იყო შემორჩენილი ორმოსამარხებში, ქვევრსამარხებში კი მთლიანად გამქრალია. ალაპის ნაშთები სამარხების გარეთ არ დადასტურებულა.

სამარხეული კომპლექსები:

სამარხი № 1. (ქვევრსამარხი). ძლიერ დაზიანებულია და შემორჩენილია მხოლოდ ქვევრის ყელისა და გვერდის ნატეხი. ქვევრის ნატეხი წითელკეციანი, თხელკედლიანი (1 სმ.) და სადა ზედაპირიანია

ინვენტარი: ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი (დმ. 1 მმ. ტაბ. 1, სურ. 4) ბოლოგანვრილებული საყურე რგოლის ფრაგმენტი. მსგავსი საყურე დასტურდება ნოქალაქევის ძვ.წ. II-ს-ის № 4 ქვევრსამარხსა და №№ 2:3 ოსმ-ის კომპლექსში [გვინჩიძე გ., 1988; 72; 80]. პარალელური მასალისა № 1 სამარხი ძვ.წ. II ს-ის II ნახევრით უნდა დათარიღდეს.

სამარხი № 2 (ქვევრსამარხი). ნაწილობრივ დაზიანებული. დაფლულია ჰორიზონტალურად, პირით სამხრეთისაკენ. ქვევრის კედლის ნატეხები, მონითალოკეციანი, კარგად განლექილი თიხის, თხელკედლიანი (1-1,5 სმ.), სადა ზედაპირიანი; ძირი და პირი არ არის შემორჩენილი.

ინვენტარი: ზარაკი, ბრინჯაოსი, ნახევარსფერული (ტაბ. II, სურ. 13). სიმაღლე 1,9 სმ; დმ. 2,5 სმ. ყუნწის ძლიერ დაზიანების გამო მისი ხასიათის დადგენა ვერ ხერხდება. ნახევარსფერული ზარაკების გავრცელების ქრონოლოგია ძვ.წ. III ახ.წ. IV სს-ს შორის ექცევა. [ჭანიშვილი თ., 2005: 26]. მუხიანის ძვ. წ. III ს-ით დათარიღებულ ჟორჯოლიანი მ., 1988: 56-57]. ნახევარსფერული ზარაკები ქრონოლოგიური დიფერენციაციის საშუალებას არ იძლევა. ქვევრის თარიღის გათვალისწინებით № 2 სამარხიც ძვ. წ. II ს-ის II ნახევრით უნდა დათარიღდეს.

სამარხი № 3 (ქვევრსამარხი). მიცვალებულს ზემოდან ეფარა ქვევრისავე ნატეხები. ქვევრის კედლის ფრაგმენტები, მუქკეციანი, მოვარდისფრო სარჩულიანი. შავი, უხეში ზედაპირი დაფარულია არაკონცენტრირებული ხაზებით, მხრების არეში სველ თიხაზე უხეშად ამოკანრული ირიბი ნაჭდევების ორი რიგი შემოუყვება. სამკუთხაგანივკვეთიანი პირის გვირგვინს გარეპირზე ორი დაბალი ღარი გასდევს. ოდნავ გამოყოფილი ბრტყელი ძირი. [ლანჩავა ო., ისაკაძე რ., ბერძენიშვილი დ., ჭუმბურიძე მ., ქარციძე ნ. 2006: ხელნაბეჭდი. ქუთაისი.]

ინვენტარი: მრგვალგანივკვეთიანი ბრინჯაოს მავთულის თავგახსნილი და ბოლოებჩამოჭრილი რგოლი, (დმ. 1 მმ. ტაბ. 1, სურ. 5). ბოლოებჩამოჭრილი რგოლების ქრონოლოგიური გავრცელება ძვ. წ. IV-ს ს. განისაზღვრება [ისაკაძე რ., ელინისტური ხანის სამარხები ქუთაისიდან., ხელნაწერი]. ქვევრის თარიღის გათვალისწინებით № 3 სამარხი დაახლოებით ძვ.წ. II ს-ის შუახანებით უნდა დათარიღდეს.

სამარხი № 4 (ქვევრსამარხი). უინვენტარო. ქვევრი: მუქი ნაცრისფერ კეციანი და ღია მოვარდისფრო სარჩულიანი. შავ ზედაპირზე დატანილია ჰორიზონტალური, არაკონცენტრული ვიწრო ღარები. ქვევრს აქვს სამკუთხაგანივკვეთიანი გვირგვინი (გვირგვინის დმ. 32 სმ). ყელი სწორხაზოვანია (სიმაღლე 20 სმ.) და თანდათანობით გადადის გამობერილ, ძირისკენ თანაბრად დავინროვებულ მუცელში. ძირი ბრტყელია, კიდებდაქანებული (დმ. 15 სმ.). ყელის არეში სველ თიხაზე ირიბი ნაჭდევების ერთი, ხოლო მხრებზე ორი რიგი და ნიშანია ამოკანრული (ტაბ. 1, სურ. 2). ძვ.წ. IV ახ.წ. IV სს-ის კოლხეთისა და იბერიის კერამიკულ ნაწარმზე (ქვევრები, ამფორები, კრამიტები) დატანილი ნიშნები მკვლევართა მიერ სხვადასხვაგვარად არის ინტერპრეტირებული უკანასკნელ ხანს გამოითქვა მოსაზრება, რომ ისინი პროტოქართული დამწერლობის ასო-ნიშნებს წარმოადგენენ [ლიჩელი ვ., 2001: 5-26]. ქვევრის მიწაზე დაწვენილი გვერდი გაჭოლილია შიგნიდან გარეთ მიმართული ნახვრეტით (დმ. 2 სმ). ამგვარი ფაქტები დადასტურებულია დაბლაგომში [Куфтин 1950: 23, 36], ფარცხანაყანევი [Ивашенко 1950: 320], მუხიანში [ჯორჯოლიანი მ., 1988: 52], ნოქალაქევი [გვინჩიძე გ., 1988: 34-40] და მათი დანიშნულება სამეცნიერო ლიტერატურაში ორგვარადაა ახსნილი: 1) ხრწნადი სითხისა და წვიმის წყლის გამოსასვლელად [Ивашенко 1950: 320], 2) სულის გამოსასვლელად [Кигურაძე 1976: 42]. სამარხი უინვენტაროა, ჩონჩხი მთლიანად გამქრალი იყო. ჩვენი ვარაუდით ქვევრის სამარხად გამოყენება ძვ.წ. II ს-ში უნდა მომხდარიყო.

სამარხი № 5 (კრამიტებით გადახურული ორმოსამარხი. სურ. 5. ტაბ. 1. სურ.1). ჩაჭრილია წინანრეანტიკურ ფენაში და შევსებულია იმავე მიწით, რის გამოც ორმოს კონტურების დაზუსტება არ ხერხდება (კრამიტების მიხედვით სიგრძე 1 მ; სიგანე 0,8 მ.). ორმო გადახურულია ერთი მთელი

(გატეხილია სამარხის ჩანგრევისას) და ერთი ნაკლები ბრტყელი კრამიტით. ჩონჩხი ძლიერ დაზიანებულია. შემორჩენილი ზედა კიდურების, კბილებისა და ინვენტარის განლაგების მიხედვით მიცვალებული ინვა მარცხენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ, ძლიერ მოკრუნხულ პოზაში, სახესთან მიტანილი ხელებით. კეფასთან ელაგა ჯამი და დოქი; ყელის არეში მინიატურული ქოთანის; თავის არეში ვერცხლის ორი (ერთი მძივნამოცმული) და ბრინჯაოს ერთი სადა რგოლი; ყელის არეში ჩაბნეული იყო სხვადასხვა ფერის მინისა და პასტის წვრილი მძივები; მკერდის არეში შეჯგუფებული იყო 4 ცალი ბრინჯაოს გვერდშეჭრილი ზარაკი, ხოლო იდაყვთან სხვადასხვა ფორმის მინის მძივები, თვალადი მძივები, ბრინჯაოს გვერდშეჭრილი ზარაკები (4 ცალი) და ბრინჯაოს სქელკედლიანი, თავგახსნილი, ერთმანეთზე ბოლოებმისული მძივები; ხელის მტევანთან იდო ბრინჯაოს ერთნილადი, რკალგახსნილი ბეჭედი.

ინვენტარი: ჯამი. ჩალისფრად გამომწვარი, ცუდად განლექილი თიხა; პირ-ბაკო შიგნითა ჩაკეცილი, დაქანებულ კალთიანი და ღრუქუსლიანი. სიმაღლე 4,5 სმ; პირის დმ. 13,5 სმ; ქუსლის დმ. 7,3 სმ; ქუსლის სიმაღლე 1 სმ. (სურ. 6. ტაბ. 2, სურ. 3).

დოქი, ჩალისფრად გამომწვარი, დამზადებულია ცუდად განლექილი თიხის, ყურზე გადაფენილი მრგვალი, სადა პირი; დაბალი, ვიწრო ყელითა და სფეროსებურ მუცლიანი, ბრტყელ ძირიანი, შეწყვილებული ყური მიძერწილია პირის ქვეშ და მუცელზე; პირზე და ყელზე გადავლებულია შავი ფერის (კუპრის?) სქელი ფენა, რომელიც ფართო ლაქებად ჩაღვენთილია მუცელზე და ფსკერში. სიმაღლე 11 სმ., პირის დ. 4,8 სმ., ყელის დმ 1,8 სმ., ყურის სიგანე 1,6 სმ., მუცლის დმ. 10 სმ., ძირის დმ. 4,5 სმ., კეცის სისქე 4 მმ. (სურ. 6. ტაბ. 2, სურ. 2).

თიხის მინიატურული ცალყურა ქოთანი. მუქი ნაცრისფ კეციანი, პირგადაშლილი, დაბალი ყელი გადადის გამობერილ მუცელში, ბრტყელ ძირიანი, მხრების არეში შემორჩენილია ოვალურ-განივკვეთიანი ყურის ფრაგმენტი. შემორჩენილი სიმაღლე 4,5 სმ; პირის შემორჩენილი დმ. 3 სმ; მუცლის დმ. 5,5 სმ; ძირის დმ. 2 სმ; კედლის სისქე 2 მმ. (სურ.6. ტაბ. 2, სურ. 4). მინიატურული ქოთნები ხშირად გვხვდება ელინისტური ხანის კომპლექსებში და მათი დიფერენცირებული ქრონოლოგია არ ხერხდება.

ბრინჯაოს გვერდშეჭრილი ზარაკები (8 ცალი). აქვთ სამკუთხა მოყვანილობის, მრგვალგანივკვეთიანი (სიმაღლე 8 მმ; ფუძის დმ. 2 მმ.) ყუნწი; სადა, ცილინდრული კორპუსი (დმ. 1,2 სმ; სიმაღლე 1,7 სმ.). (სურ.6. ტაბ. 2, სურ. 14. ნაჩვენებია 7 ცალი. ორი ძლიერ დაზიანებულია). დასავლეთ საქართველოში მსგავსი ზარაკები ძირითადად IV-III სს-ის ძეგლებზე დასტურდება (ვანი, დაფნარი, ფარცხანაყანევი, მუხიანი) და თ. ჭანიშვილის მიხედვით მსგავსი ზარაკები ძვ.წ. III ს-ის შემდეგ აღარ გვხვდება [ჭანიშვილი თ., 2007: 104].

მრგვალგანივკვეთიანი ვერცხლის (დმ. 2 მმ.), თავგახსნილი საყურე რგოლი. ბოლოები შემკულია ხუთ-ხუთი ნაჭდევით (სურ. 6. ტაბ. 2, სურ. 5). ასეთი რგოლების ქრონოლოგიური გავრცელების არეალი ძვ. წ. III-ს სს-ზე მოდის და გვხვდება: ფიჭვნარში [კახიძე., ვაშაკიძე 1977: 44, ტაბ. XIV₂, XVI₂, XVIII₄, XXII₂₋₃; კახიძე., ვიკერსი., თავამაიშვილი 2007: 59, ტაბ. XIII₁₃, XV₄, XVIII₃, XIX₁₅, XX₃, XXI₁, XXII_{4,7}, XXVI₁], ფარცხანაყანევის ძვ.წ. III ს-ის კომპლექსებში [Ивашенко 1950: 326, სურ. 8], ზემო ფარცხმაში ძვ.წ. III-ს სს-ის მიჯნის № 16 ქვევრსამარხში [თოლორდავა ვ., 1980: 30, ტაბ. XXVI₅], დაფნარში ძვ.წ. III ს-ის, ქვედა ციხესულორის (ვანი) ძვ.წ. III ს-ის ქვევრსამარხში, ნოქალაქევის ძვ.წ. III ს-ის II ნახევრის №3(5) ქვევრსამარხში და ძვ.წ. I ს-ის II ნახევრის №2(14) და №10(35) ორმოსამარხებში [გვინჩიძე გ., 1988: 53, სურ. 61, 70].

ვერცხლის ანალოგიური, მძივნამოცმული რგოლის ორი ფრაგმენტი. მრგვალგანივკვეთიანი (დმ. 2 მმ.) ბოლოები შემკულია ხუთი ირგვლივი ნაჭდევით; რგოლზე წამოცმულია მუქი მომწვანო-მოცისფრო მინის მრგვალ-ბრტყელი მოძრავი მძივი (დმ. 5 მმ. სურ. 6. ტაბ. 2, სურ. 6). მძივნამოცმული ბრინჯაოს რგოლები დასტურდება: ნოქალაქევის ძვ.წ. IV ს-ის ბოლო III ს-ის შუახანების ოძმ-ში [გვინჩიძე გ., 1988: 28].

ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი (დმ. 1 მმ.) რგოლის ფრაგმენტი (ტაბ. 2, სურ. 8), ქუთაისის №3 სამარხში (ქვევრსამარხი) აღმოჩენილის ანალოგიურია.

მრგვალგანივკვეთიანი ბრინჯაოს რკალგახსნილი ბეჭედი (დმ. 2 სმ.). შიგნიდან ოდნავ დაბრტყელებული რკალი (ტაბ. 2, სურ. 7). თითქმის ანალოგიური ბეჭედი (ოღონდ გაფართოებულ ნაწილზე

გამოსახულებით) დასტურდება ფიჭვნარის ელინისტურ სამაროვანზე [კახიძე., ვიკერსი., თავამა-იშვილი 2007: 60].

ბრინჯაოს მძივები (3 ცალი). თავგახსნილი (დმ. 9 მმ. წრიული არხის დმ. 5 მმ.); ოდნავ შევიწროებული ბოლოები ერთმანეთზეა მისული. შიგნიდან დაბრტყელებული, ზედაპირი ბიკონუსური (სიგანე 6 მმ. ტაბ. 2, სურ. 10). ორი ასეთი მძივი ცნობილია დაფნარის ძვ.წ. IV ს-ის და ძვ.წ. III ს-ის ქვევრსამარხებიდან [Кигურაძე 1976: 23, ტაბ. XXIV₃].

მინის თვალადი, სფეროსებური მძივები (ორი ლურჯი და ერთი შავი). შავები შემკულია თეთრი და ლურჯი ტონებით, ლურჯი კი თეთრი, ყვითელი და ლურჯი ტონებით, (დმ. 1,3 სმ; ტაბ. 2, სურ. 9). ასეთი მძივები ფართოდაა გავრცელებული ანტიკურ სამყაროში. მათი ქრონოლოგიური დიაპაზონი ძვ.წ. III საუკუნეებზე მოდის.

მინის ოთხნახნაგა, წაგრძელებული მძივი. მოთეთრო-გამჭვირვალე, მცირე ზომის ბუმბუკე-ბიანი მინა (ტაბ. 2, სურ. 11); სიგრძე 1,6 სმ; ნახნაგების სიგანე 6 მმ; მსგავსი მძივები ცნობილია ფიჭვნარის და დიდივანის ძვ.წ. III ს-ის II ნახ. სამაროვნიდან [კახიძე ა., ვაშაკიძე ნ., 1977; ვაშაკიძე ნ., 1996: 91].

სამარხიდან აღსანიშნავია დელფინისებური ფორმის მოთეთრო-გამჭვირვალე, ბუმბუკე-ბიანი მინის მძივსაკიდი (ტაბ. 2, სურ. 12). ცალ მხარეზე შეიმჩნევა თავგაფართოებული არხი (არხის სიგრძე 5 მმ.). ამ ტიპის მძივსაკიდები სირიულ, ფინიკიურ და ეგვიპტურ ნაწარმადაა მიჩნეული და ჩრდ. შავიზღვისპირეთში IV-II სს-ით თარიღდება [Алексеева 1975: ტაბ. 18], კოლხეთში აღმოჩენილია ფიჭვნარის ელინისტურ სამაროვანზე [კახიძე ა., ვაშაკიძე ნ., 1977: ტაბ. XV₇, XXII₈₈, კახიძე ა., ვიკერსი., თავამაიშვილი 2007: 64; კახიძე ა., ვაშაკიძე ნ., 2010: 80, 115], დაბლაგომში [Куртин 1950: 35, თოლორდავა ვ., 1980: 13], ფარცხანაყანევიში [Ивашенко 1950: 329, სურ. 10], ზემო ფარცხმის IV ს-ის ბოლო III ს-ის პირველი ნახევრის ქვევრსამარხში [ვაშაკიძე ნ., 1985: 100], ზენობანის ძვ.წ. III ს-ის II ნახევრის ქვევრსამარხში [ვაშაკიძე ნ., 1996: 90].

მიცვალებულის ყელისა და მკერდის არეში მინისა და პასტის სხვადასხვა ფერის 1026 ცალი წვრილი მძივი აიკრიფა (სურ. 6). აქედან ლურჯი 649 ცალი, მოყვითალო 76, გამჭვირვალე 66, ღია-მოყვითალო 63, ღია ცისფერი 63, მუქი-ცისფერი გამჭვირვალე 33, თეთრი-წყლისფერი 31, მწვანე 26, მომწვანო 16, შავი გაუმჭვირვალე 3. მძივები მრგვალი, ბორბლისებური და წაგრძელებული ფორმისაა. ანალოგიური მძივები ფართოდაა გავრცელებული ელინისტურ ხანაში [ვაშაკიძე ნ., ინა-იშვილი ნ., 2005: 26].

კრამიტი (სამ თანაბარ ნაწილად გატეხილი სოლენი). ჩალისფერ კეციანი; ყალიბის კვალი არ ეტყობა; სიგრძე 63,5 სმ., სიგანე 58,5 და 51 სმ., კეცის სისქე 2,5 სმ; აკეცილი, კიდეებმოგლუვებული ბორტი ფართე ბოლოში შეკეცილია. (ბორტის გარე სიმაღლე 5 სმ., სიგანე 2,5 სმ.); კრამიტის ზედაპირზე, სველ თიხაზე ამოკანრულია ნიშანი (ტაბ. I, სურ. 3). ანალოგიური ადგილობრივი, ნიშ-ნიანი კრამიტები მრავლად გვხვდება ვანის ნაქალაქარის III-II სს-ის ფენებში. კოლხეთში დამლიან კერამიკულ ნაწარმს (მათ შორის კრამიტებს) ნიშნიანი ენაცვლება ძვ.წ. III ს-ის შუახანებიდან [ახ-ვლედანი დ., 2003: 72-75, ახვლედანი დ., 2001: 21-24].

№ 5 სამარხის დამათარილებელია ქუსლიანი ჯამი და შეწყვილებულყურიანი დოქის ცალკეული დეტალები. ადრეელინისტური ლეგა ჭურჭლისაგან განსხვავებით მათი კეცი ღია მოჩალისფროა, ქუსლის არსებობა პირმოყრილ ჯამზე ელინისტური ხანის დეტალია და კოლხეთში ძვ.წ. III ს-იდან ჩნდება, ხოლო II-I სს-ში ფართოდაა გავრცელებული [თოლორდავა ვ., 1980: 31, Кигურაძე 1976: 30].

№5 სამარხის დოქის პირ-ყელის და მუცლის მოყვანილობა ახლოს დგას ვანის ნაქალაქარის III-II სს-ის ფენებში აღმოჩენილ მეორე ტიპის დოქებთან. პირთან მიერთებული, შეწყვილებულყურიანი დოქები დასტურდება დაბლაგომის, დაფნარის, ზემოფარცხმის III-II სს-ის კომპლექსებში და ბერძნული კერამიკის გავლენას უკავშირდება [თოლორდავა ვ., 1980: 27]. ამდენად №5 სამარხი ძვ.წ. III ს-ის მიწურულით უნდა დათარიღდეს. სამარხის თარიღს ამყარებს ზარაკები, რომლებიც უკვე ძვ.წ. III ს-ის შემდეგ აღარ გვხვდება.

სამარხი №6 (დერგასამარხი). ზემოდან ეფარა თავისივე ნატეხები; გვერდებზე შემოდებული ჰქონდა თითო რიყის ქვა; ჩონჩხი მთლიანად გამქრალი იყო; დერგის მხრების არეში აღმოჩნდა ერთადერთი, დაშლილი კბილი, ცენტრალურ ნაწილში კი (ოდნავ ჩრდილოეთით მიწეული) იდო

ბრტყელძირა, პირმოყრილი ჯამი (სურ. 7). დერგის ზედაპირი სადაა კეცი ქარს-მინარევებიანიანი და მუქ აგურისფრად არის გამომწვარი; პირ-ყელი არ შემორჩენილა; ბრტყელძირიანი. მუცელი თანაბრად გაფართოებულია (შემორჩენილი სიმაღლე 50 სმ., ძირის დმ. 21 სმ., კედლის სისქე 8 მმ).

ინვენტარი: ჯამი (ტაბ. 1, სურ. 6). მოჩალისფრო კეციანი; ცეცხლისგან გაშავებული; სადა სწორი, შიგნით ჩახრილი პირის კიდე; ოდნავ გამობერილი კალთიანი, ბრტყელ ძირიანი (სიმაღლე 4 სმ., პირის დმ. 14 სმ., ძირის დმ. 10 სმ., კეცის სისქე 1 სმ). №6 სამარხის ხელით ნაძერწი ჯამი გვიანელინისტური ხანისა უნდა იყოს.

სამარხი №7 (დერგსამარხი). ზემოდან ეფარა თავისივე ნატეხები. ჩონჩხი მთლიანად გამქრალი იყო. სამარხი უინვენტარო იყო. დერგი არის მუქ აგურისფრად გამომწვარი, პირ-ყელი არ შემორჩენილა, ბრტყელ ძირიანი, რომელიც ბლაგვი კუთხით გადადის მუცლისკენ თანაბრად გაფართოებულ გვერდში, სადა ზედაპირიანი (შემორჩენილი სიმაღლე 50სმ., ძირის დმ. 15 სმ., კედლის სისქე 1 სმ.). დერგსამარხი დაკძალვის წესით ქვევრსამარხების წრეს ეკუთვნის და მათი თანადროულია.

სამარხი №9 (ორმოსამარხი. სურ 8). სამარხი ორმო გაჭრილია ადრეანტიკურ ფენაში და შევსებულია იმავე მიწით, რის გამოც ორმოს კონტურების დაზუსტება ვერ ხერხდება. ჩონჩხი ძლიერ დაზიანებული იყო. ინვენტარის განლაგების მიხედვით მიცვალებული ინვა თავით სამხრეთ-აღმოსავლეთით, სუსტად მოკრუნჩხულ პოზაში მარჯვენა გვერდზე; მარჯვენა ბარძაყის ქვეშ (გასწვრივ) ედო რკინის მახვილი, მარჯვენა ხელზე ეკეთა ბრინჯაოს სამაჯური. [ლანჩავა ო., ისაკაძე რ. 2008: ხელნაბეჭდი. ქუთაისი.]

ინვენტარი: ბრინჯაოს ზურგშეზნექილი სამაჯური. სადა მრგვალგანივკვეთიანი რკალი, ერთმანეთთან მიახლოებული ჩამოჭრილი ბოლოები კი შემკულია ქდეული რგოლებითა და წინვისებური ორნამენტით. სამაჯურები გვიანდელ ტიპს განეკუთვნებიან და დადასტურებულია ფარცხანაყანვისა და მუხიანის გვიანელინისტური ხანის კომპლექსებში.

რკინის მახვილი (სურ. 9. ტაბ. 2, სურ. 1). ძლიერ დაჟანგული ცალპირლესული (სიგრძე 44 სმ); შუა ნაწილში გაფართოებულპირიანი (სიგანე 5 სმ.). წვერი წამახვილებული და ზურგისკენ ოდნავ აწეული, ბლაგვი მხარე შესქელებულია; ტარი და ზურგი თანაბრადაა მოხრილი; შემორჩენილია ხის? ქარქამის კვალი; ტარზე (სიგრძე 11 სმ.) კარგად იკითხება 5 მმ-ის დიამეტრის რკინისავე ექვსი მანჭვალი. ანალოგიურ ცალპირლესულ მახვილებს მკვლევართა ნაწილი ბერძნულ მახაირებთან აიგივებს [გაგოშიძე ი., 1964: 51, ტაბ. XII₃₂, Лорткипанидзе 1978: 89;], მკვლევართა მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ საქართველოში აღმოჩენილ ცალპირლესული მახვილების მახაირასთან გაიგივება ძალიან ძნელდება, რადგან არ იკითხება ის დეტალები რაც დამახასიათებელია მახაირასათვის („ნაგრძელებული, შეუკრავი რგოლის ტიპის ტარი; ცალპირა, განიერი, შუა ნაწილში გაფართოებულპირიანი; ბლაგვი მხარე შესქელებული; ყოველთვის არ იყო მოხრილი; ტარი ხშირად ფრინველის თავის ნისკარტმოხრილი სახით იყო წარმოდგენილი და სხვ.“ [გამყრელიძე გ., ფირცხალავა მ., ყიფიანი გ., 2005: 134-135]). გამონაკლისად მიაჩნიათ მხოლოდ ძვ. წ. IV ს-ის მეორე ნახევრით დათარიღებული „ითხვისის ნიმუში“. №9 სამარხის მახვილი ჩვენი აზრით ძლიერ მსგავსებას იჩენს ითხვისის ნიმუშთან. სამაჯურის თარიღის მიხედვით №9 სამარხი ძვ.წ. II ს-ის მიწურულით, უფრო კი ძვ.წ. I ს-ით შეიძლება დათარიღდეს.

რიგით №10 სამარხი დაფიქსირდა დაზიანებულ ფენაში. სამარხის არსებობას გვაფიქრებინებს აღმოჩენილი სამაჯურის ფრაგმენტი. საავარაუდოდ ორმოსამარხი უნდა ყოფილიყო (ქვევრის და დერგის ნატეხები არ ფიქსირდება) იყო.

ინვენტარი: ბრინჯაოს სამაჯურის ფრაგმენტი. ზურგსწორი. ბრტყელგანივკვეთიანი. რკალი სადაა, ოდნავ შემსხვილებული მრგვალგანივკვეთიანი. ბოლოები შემკულია სამ-სამი ირგლივი ნაჭდევით. სამთავროს სამაროვნის მიხედვით მსგავსი სამაჯურები ძვ.წ. I ს-ის შუახანებითა და ახ.წ. I ს-ით ათარიღებს [Гогинеридзе 2003: 68].

№11 სამარხი (დერგსამარხი) დერგსამარხი დაფლულია ჰორიზონტალურად, პირით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ და პირზე თავისივე გვერდის ნატეხი აქვს აფარებული, რომელიც პატარა რიყის ქვით არის შემაგრებული (სურ. 10). (სიგრძე 0,4 მ., ძირის დიამეტრი 0,16 მ., ყელის დიამეტრი 0,2 მ., პირის დიამეტრი 0,24 მ.) [ლანჩავა ო., ისაკაძე რ., 2010; ხელნაბეჭდი, ქუთაისი] სამარხი უინვენტარო იყო და სავარაუდოდ ძვ. წ. II ს-ით უნდა დათარიღდეს.

ელინისტური ხანის კოლხეთში კრამიტებით გადახურული სამარხები ცნობილია ფიჭვნარის ელინისტური სამაროვნიდან (ორი სამარხი) და დაბლაგომიდან [თოლორდავა ვ., 1976: 68-78]. ფიჭვნარში 1980 წელს შემთხვევით აღმოჩენილი ორფერდად დაწყობილი სოლენის ორი კრამიტით გადახურული სამარხი ინვენტარით არ განსხვავდება ამავე უბანზე აღმოჩენილი სხვა სამარხებისაგან [კაკიძე ა., ვიკერსი მ., თავამაიშვილი გ., 2007: 44]. ღარიბულინგენტარიანი ქვევრსამარხების გარემოცვაში განსხვავებული ტიპის და შედარებით მეტი ინვენტარის მქონე სამარხის არსებობას მხოლოდ „სოციალური ვითარებით“ ვერ ავხსნით [ისაკაძე რ., ელინისტური ხანის სამარხები ქუთაისიდან; ხელნაწერი]. ჩვენი აზრით ქვევრსამარხების გვერდით კრამიტით გადახურული ორმოსამარხის არსებობა მაინც ქრონოლოგიური სხვაობით უნდა აიხსნას.

რაც შეეხება ქვევრსამარხებს და ქვევრსამარხების ტიპის დერგსამარხებს. მათი წარმოშობასა და გავრცელებას ახალი ეთნიკური კულტურული ელემენტების შემოსვლით ხსნიან [თოლორდავა ვ., 1980: 63-65], ზოგიერთი მკვლევარი ქვევრსამარხის გაჩენას საქართველოში მევენახეობა-მღვინეობის ინტესიურ განვითარებას უკავშირებს, თუმცა ამ მოსაზრებას აქვს თავისი ნაკლოვანებები. მაგ: ქვევრსამარხები დადასტურებულია ისეთ რაიონებში სადაც (თეთრინყარო) მევენახეობის პირობები არ არსებობს, ასევე ქვევრსამარხი არ დასტურდება უფლისციხესა და ურბნისში სადაც მევენახეობა კარგადაა განვითარებული [თოლორდავა ვ., 1980: 63-65].

და ბოლოს ყოველივე ზემოთ განხილულის გათვალისწინებით ქუთაისის სამაროვანზე იკვეთება სამარხების ოთხი ჯგუფი: 1. ადრეანტიკური ხანის (ძ.წ. V-IV სს). 2. ძ.წ. III ს-ის მიწურულის № 5 ორმოსამარხი ძლიერ მოკრუნჩხული მიცვალებულით; 3. დაახლოებით ძ.წ. II ს-ის შუახანებისა და მეორე ნახევრის ქვევრსამარხები და დერგსამარხები 4. ძ.წ. I ს-ის ორმოსამარხები სუსტად მოკრუნჩხული მიცვალებულებით.

ქუთაისის ადრეანტიკური და ელინისტური ფენების სამომავლო კვლევა ვფიქრობთ საშუალებას მოგვცემს დავაზუსტოდ სამარხეული კომპლექსების თარიღი და უფრო მეტი სიზუსტით გავსაზღვროთ საზოგადოების ქონებრივი დიფერციაცია.

ლიტერატურა:

1. ახვლედიანი დ. 2003: ძ.წ. IV-III სს-ის კოლხეთის ისტორია კერამიკული დამლეების მიხედვით, ძიებანი, №11. თბილისი.
2. ახვლედიანი დ. 2001: ძ.წ. IV-III სს-ის კოლხეთის მდიდრული სამარხების სოციალური დეფინიცია, ძიებანი, დამატებანი IV. თბილისი.
3. გაგოშიძე ი. 1964: ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან. თბილისი.
4. გამყრელიძე გ., ფირცხალავა მ., ყიფიანი გ. 2005: ძველი საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები. თბილისი.
5. გვინჩიძე გ. 1988: ელინისტური ხანის კოლხეთის მოსახლეობის ისტორიისათვის. თბილისი.
6. გიგოლაშვილი ელ., კაჭარავა დ., ფირცხალავა მ., ფუთურიძე რ., ჭყონია ა. 1979, ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე 1970-77 წწ-ში მოპოვებული არქეოლოგიური მასალის კატალოგი, ვანი V. თბილისი.
7. ვაშაკიძე ნ. 1985: ზემო ფარცხმის სამაროვანი, სდს, XIII. თბილისი.
8. ვაშაკიძე ნ., ინაიშვილი ნ. 2005: ელინისტური ხანის მძივსამკაული ციხისძირის სამაროვნიდან, შავიზღვისპირეთი ელინისტური სამყაროს სისტემაში, ძიებანი, დამატებანი XIII. თბილისი.
9. ვაშაკიძე ნ. 1996: სუფსის აუზში შემთხვევით აღმოჩენილი ქვევრსამარხები, კრ. გურია I. თბილისი.
10. თოლორდავა ვ. 1980: დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში. თბილისი.
11. ისაკაძე რ., ელინისტური ხანის სამარხები ქუთაისიდან. ხელნაბეჭდი, ქუთაისი
12. კახიძე ა., ვაშაკიძე ნ. 1977: ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 1974 წელს წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები, სდს VI. თბილისი.
13. კახიძე ა., ვიკერსი მ., თავამაიშვილი გ. 2007: სავლე არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 2003-2004 წლებში-ა. კახიძე (რედ.), ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის „შრომები“, IV, 43-67, ბათუმი.

14. კახიძე ა. 1983: კრამიტსახურავიანი სამარხი ფიჭვნარიდან-დ. სდსძ, XII, თბილისი.
15. კახიძე ა. ვაშაკიძე ნ. ფიჭვნარი 2010. ელინიზმიდა კოლხეთი.
16. ლანჩავა ო. 2007: ქუთაისის არქეოლოგია. ქუთაისი.
17. ლანჩავა ო., ისაკაძე რ., ბერძენიშვილი დ., ჭუმბურიძე მ., ქარციძე ნ. 2006: ქუთაისის არქეოლოგიური ექსპედიციის 2005 წლის ანგარიში, ხელნაბეჭდი. ქუთაისი.
18. ლანჩავა ო., ისაკაძე რ. 2008: ქ. ქუთაისში გრიშაშვილის ქ. მე-4 შესახვევის №9-ში 2007 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში, ხელნაბეჭდი. ქუთაისი.
19. ლანჩავა ო., ისაკაძე რ., 2010: ქუთაისი გრიშაშვილის ქ. № 30. 2010 წელს ჩატარებული საველე არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში. ხელნაბეჭდი. ქუთაისი.
20. ლიჩელი ვ. 2001: კოლხეთისა და იბერიის კულტურის საკითხები, ძიებანი, დამატებანი V. თბილისი.
21. მიქელაძე თ., 1985: კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვანი. „მეცნიერება“
22. ჟორჯოლიანი მ. 1988: ახალაღმოჩენილი ქვევრსამარხები ს. მუხიანიდან, ქუთაისის ისტორიულ—ეთნოგრაფიული მუზეუმის „მასალები,“ კრ. V.
23. ჭანიშვილი თ. 2005: ზარაკების ტიპოლოგია-ქრონოლოგიის საკითხები აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიური მასალის მიხედვით-გ. გამყრელიძე (რედ.), იბერია-კოლხეთი (საქართველოს ანტიკური პერიოდის არქეოლოგიურ გამოკვლევათა კრებული), №2, ძიებანის დამატებანი XIV, 19-29. თბილისი.
24. ჭანიშვილი თ. 2007: ზარაკების ტიპოლოგია-ქრონოლოგიის საკითხები დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური მასალის მიხედვით-გ. გამყრელიძე (რედ.), იბერია-კოლხეთი (საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი), №3, 97-108. თბილისი.
25. ჯიქია ლ. 2006: კოლხური და უცხოური კულტურის ძეგლები „ქუთაისის ქვეყნიდან.“ ქუთაისი.
26. Алексеева Э. 1975: Античные бусы Северного Причерноморья-САИ, вып.
27. Гогиберидзе Н. 2003: Браслеты и гривны Грузии V-I вв. до н. э. Тб.
28. Ивашенко М. 1950: Кувшинный могилник в Западной Грузии, СА,
29. Кигурадзе Н. 1976: Дапнарский могильник. Тв.
30. Куфтин В. 1950: Материалы к археологии Колхиды, т. II. Тб.
31. Лорткипанидзе Г. 1978: Колхида в VI-II вв. до нашей эры. Тб.

SHALVA BUADZE

THE ANTIQUE SEPULCHERS FROM KUTAISI

At Kutaisi Historical Museum are saved sepulchers' complexes of VI-V centuries A.C. as well as of Hellenistic age.

First sepulcher inventory we'll touch upon is a sepulcher material found accidentally in the period of ground works on the territory of Kutaisi (so-called "Tsatskhvebi street"). In 30 years of last century sepulcher inventory was collected and given to Kutaisi Historical Museum by P. Chabukiani. It consists of 5 iron hoes (one is whole and four are fragmented), fragments of iron axe, jug (with the fragments of side, neck and hand), grindstones (3 stones), one electrum and four bronze earrings, bronze chain (3 rings), glass, paste, sardine, chalcedony beads (185 pcs.) and 11 things of Kolkhian Tetri.

The materials of sepulcher was described and studied by M. Ivashenko and L. Jikia. M. Ivashenko admits that materials belongs to the sepulcher of hole- type of V-IV century, however, he casts doubt on synchronism of materials. As well, L. Jikia dates sepulcher materials with early antique age. Due to violation of synchronism, generally, we date the materials with the end of I half of I millennium A.C.

In 2005-2010 years on the right bank of the river Rioni, in the surroundings of Rustaveli Street was discovered sepulchers of Hellenistic age. The sepulchers are placed compactly and it seems that we have relation with the long graves. According to the field documentation the sepulchers are numbered. For today there are studied 11 sepulchers. Among them No. 1, 2, 3, 4, are sepulchers of pitcher-type, No.6, 7, 11 – sepulcher of earthenware jug-type, and No. 5, 9, 10- sepulcher of hole-type. All sepulchers are inhumed. The rest of bones were better saved in the sepulchers of hole-type and in the sepulchers of pitcher-type they were entirely disappeared. The signs of funeral repast banquet weren't confirmed outside of sepulchers.

Sepulchers complexes:

Sepulcher No.1. (Pitcher-type). It has many damages. The piece of pitcher is of red earthenware, it has thin walls (1sm.) and simple surface. The inventory consists of fragment of bronze round -transversal (Dm. 1 mm), tail-thin earring. The sepulcher is dated with the II part of the II century A.C.

Sepulcher No 2. (Pitcher-type). It is partially damaged. The inventory consists of hemispheric bronze bell. Considering the date of pitcher No.2 sepulcher shall be dated with II part of II century A.C. as well.

Sepulcher No.3. (Pitcher-type). The fragment of pitcher's walls is made of dark earthenware. The black and rough surface is covered with non-concentrated lines, in the area of the arms on wet clay is made two rows of rough slanting incision. The inventory consists of round-transversal bronze wire head-opened and tail-cut ring, (dm. 1mm). Chronologic extension of the tail-cut rings is dated with IV-I century A.C. The sepulcher shall be dated with middle years of II century A.C.

Sepulcher No.4 (pitcher-type) has no inventory. The pitcher is made of gray earthenware and light rose lining. On the black surface is made horizontal non-concentrated narrow lines. In the area of the neck on wet earthenware is made one row of slanting incision and on the area of the arms- two rows and signs. The signs graved on Kolkhian and Iberian ceramic product (pitchers, amphora, tiles) of IV century A.C. and IV century A.D. are variously interpreted by researchers. The side of pitcher laid on the ground is drilled with hole. (dm. 2sm). In scientific literature the fact is explained into two ways: 1) for outlet of perishable water and rain water 2) for outlet of soul. The sepulcher is dated with II century A.C.

Sepulcher No.5 (sepulcher of hole-type is roofed with tiles). The sepulcher hole is roofed with one whole and one flat tile. The deceased was laid on the left side, with head to the south-west direction and his hands brought to his face. At the back of his head was placed a basin and pitcher; at the neck - tiny pot; near his head was two silver ring and one bronze simple ring; on the neck was made a glass and paste beads of various colour; in the area of the chest was collected 4 bronze bells and at the elbow was placed glass beads of various shape, bronze angle-cut bells (4 pcs.) and bronze thick-wall, open-head beads, at the hand was placed bronze ring. Sepulcher No.5 is dated with III century A.C.

Sepulcher No.6 (earthenware jug-type) was much damaged and it's dated with later Hellenistic age.

Sepulcher No.7 (earthenware jug-type) is similar as the sepulcher No.6. The sepulcher has no inventory. The sepulcher of earthenware jug-type and pitcher-type are contemporary.


Sepulcher No.9 (hole-type).The skeleton was greatly damaged. The deceased had an iron sword under the right hip. On the right hand he had a bronze bracelet. The bracelet belongs to later Hellenistic Age and the iron sword is rusted; the tip is sharp and little lifted to the back, the blunt side is thickened; the sword-hilt and back are equally bended; On the hilt may be read six iron figures of 5mm diameter. Some researchers identify analogical single- sharp swords to Greek swords (Makhaira), but the other part of researchers consider that identification of single- sharp swords discovered in Georgia to Greek sword (Makhaira) is difficult, as they don't have typical details for Greek sword (Makhaira). The sepulcher may be dated with the end of II century or I century A.C.

Sepulcher No.10 was discovered by builders in the damaged layer. Existence of sepulcher may be confirmed by fragments of bracelet. Supposedly it may be a sepulcher of hole-type. The fragment of bronze bracelet is dated with the middle years of I century A.C. and I century A.D.



Sepulcher No.11 (pitcher-type) is horizontally dug which may be dated with II century A.C. presumably.

Thus, on the territory of Kutaisi is discovered the following chronological interchange of sepulchers; four groups of sepulchers of different type and burial rule are distinguished: 1) Sepulcher of hole-type of V-IV century A.C. 2) No.5 sepulcher of hole-type of the end of III century A.C. 3) Sepulchers of pitcher-type and earthenware jug-type of the middle years of II century and second part A.C. approximately. 4) Sepulchers of hole-type of I century A.C. with crooked deceased.

I suppose that future research of Kutaisi early antique and Hellenistic layer will give possibility to establish property differentiation of the society according to sepulchers complexes.



1



რიონ-ყვირილას ხეობის ნეოლითი

დაახლ. ძვ. წ. VIII ათასწლეულში დას. ამიერკავკასიაში განვითარებას იწყებს ნეოლითური კულტურა. მკვლევართა მოსაზრებით დას. ამიერკავკასიური ნეოლითი ადგილობრივი მეზოლითის მემკვიდრეა და უშუალოდ განაგრძობს მას.[ჯაფარიძე 1991:41] ნეოლითი საქართველოს არქეოლოგიაში ერთ-ერთი ყველაზე სუსტად შესწავლილი პერიოდია. დღეისათვის ცნობილი 50-მდე ახალი ქვის ხანის ძეგლიდან, უმეტეს ნაწილში არ ჩატარებულა არქეოლოგიური გათხრები და მოპოვებული მასალა ძირითადად ზედაპირზე ნანახი, შემთხვევით ნაპოვნი ან არქეოლოგიური დაზვერვის შედეგად მოპოვებულია, ასე რომ დღეისათვის ყველა ფაქტი ძირითადად ამ მასალების გაანალიზებას ემყარება.

დას. ამიერკავკასიის ნეოლითურ წრეში, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რიონ-ყვირილას ხეობას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ადგილობრივი მეზოლითური ტრადიციები აქ ძალზე ძლიერი იყო, განსაკუთრებით გორაკ-ბორცვიან და მთიან ნაწილში. მთის ათვისება რასაც ჰოლოცენის დასაწყისში ჰქონდა ადგილი, იმის შედეგია, რომ მთის კლიმატის გამოშრობა უფრო ადრე უნდა წარმართულიყო, დაბლობში კლიმატი ამ დროს ძალზე ნესტიანი იყო და ადამიანს იმ დროინდელი კულტურითა და იარაღის განვითარების ნაკლები ეფექტურობის გამო, ალბათ არ შეეძლო მოეხდინა ადაპტაცია გარემო პირობებთან. მეზოლითის მიწურულს და ადრენეოლითის გარდამავალ პერიოდში თანდათანობით იწყება ბარისკენ მოძრაობის პროცესი, რაც კარგად არის გამოვლენილი რიონ-ყვირილას ხეობაში.[კალანდაძე 1986:63] ბარისაკენ მოძრაობის ამ პროცესს აქვს ტენდენცია მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლის. მთიდან ბარისაკენ დაძრულთა ტალღა, დაბლობ ადგილებში, მთისწინეთის და გორაკ-ბორცვების ზონაში სათავეს უდებს მწარმოებლური მეურნეობას, იარაღთა ახალი ტიპების შექმნას და თვისებრივად ახალი კულტურის შექმნას, რასაც ახალი ქვის ხანა, ნეოლითი ეწოდება.

ნეოლითი არის მიმთვისებლური მეურნეობიდან მწარმოებლურზე გადასვლის კულტურული ეპოქა. მიმთვისება-მიტაცების საგანი, ნანადრევი ან შეგროვებული პროდუქცია ერთგზის მოიხმარება და მისი გადიდება-გამრავლების ან ხარისხობრივად გაუმჯობესების საშუალებას მაშინდელი ადამიანი ვერ ფლობდა[<http://geo-history+blogspot+com/2007/05/3+html>]. შეგროვებული მცენარეულობის ნაწილის მარაგი დიდხანს ვერ შეინახებოდა, რადგან ფუჭდებოდა და ადამიანს მისი გადამუშავება მაშინ არ შეეძლო. ასევე ხორცეულის რაოდენობა ნადირობის ან თევზაობის შედეგად შეიძლებოდა ბლომად დაგროვებულიყო, მისი შენახვა გარკვეულ პერიოდით მღვიმეებში და ისიც ზამთარში შეიძლებოდა, ამიტომ საკვების მოსაპოვებლად ბრძოლა ადამიანს თითქმის ყოველდღე უხდებოდა, ეს იწვევდა ბუნებრივი რესურსების შემცირება გამოლევას. ამ საქმეს ვერც იარაღის (მშვილდ-ისრის, ჭვილთის, შურდულის) გამოგონებამ უშველა, თუმც სხვადასხვა არქეოლოგიური კულტურებიდან ისიც არის ცნობილი, რომ ბუნებრივი რესურსებით საკმაოდ მდიდარ მხარეებშიც კი გადადის ადამიანი წარმოებით მეურნეობაზე შინაგანი განვითარებით და არა გარეგანი იმპულსებით. მიმთვისებლურ მეურნეობის პირობებში ადამიანი ხშირად არანაკლებ ყუათიანად იკვებებოდა ვიდრე მომდევნო ხანაში [ქეროლ რ. ემბერი, მეღვინ ემბერი, პიტერ ნ. პერეგრინი 2007:173]. ძირითადად, მწარმოებლურ ეკონომიკაზე გადასვლაზე საუბრისას აქცენტი კეთდება არასაკმარისი საკვების შემთხვევაში მის ხელოვნურად მოწვევაზე, რასაც თითქოს ბიძგი მისცა დემოგრაფიულმა მატებამ. ვფიქრობთ, ამგავრი გააზრება შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ, როგორც თავისთავადი შემადგენელი ნაწილი ნეოლითური რევოლუციის წინამძღვრების. არსებითი კი ალბათ ამ პერიოდში, გამყინვარების მიწურულს, ფართოდ განსახლებული და ბუნების ათვისების გზაზე მდგარი მაშინდელი ადამიანის კულტურული მისწრაფება უნდა იყოს. მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლა არის ადამიანის ბუნებრივი მიდრეკილება, მისი გარემოს ფლობის, ბუნების ბრმა ზეგავლენისაგან თავის დაღწევა და თვითგამორკვევა, რომელიც შეიძლება დაწყებულიყო ნებისმიერ შემთხვევაში გეოგრაფიულ-კლიმატური, ისტორიული გარემოს გათვალისწინებით, როცა კი ამის მოთხოვნილება და შესაძლებლობა გაჩნდებოდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გვიან-მეზოლითურ

ხანაში იწყება მთიდან ბარისკენ თანდათანობით ჩამონაცვლება, რასაც საერთო ხასიათი ჰქონდა მთელ დას. ამიერკავკასიაში. შესაბამისად, ადრენეოლითური ძეგლები რიონ-ყვირილას ხეობაში მთიან სარტყელში მდებარეობენ: ბულნარა, ნაკურალეში, ტვიში, ლაილაში, ონჭეში, დარკვეთი და სხვ. რომელთაც, ნათესაური ფესვები ეძებნებათ ამავე რეგიონში მდებარე მეზოლითურ ნამოსახლარებთან. "მთის ნეოლითი" შეიძლება დახასიათდეს როგორც ადრენეოლითის I ეტაპი და არსებითად გვიანმეზოლითიდან ადრენეოლითზე გარდამავალ კულტურას წარმოადგენს. მას მოჰყვება ადრენეოლითის გვიანი საფეხურის ფენა-მელოური, სულ ბოლოს კი გვიანნეოლითური თეთრამინა და საგვარჯილე. ბარისკენ მოძრაობას თან სდევს სამუშაო იარაღთა გამუჯობესება, დამუშავების ტექნიკის სრულყოფა და იარაღების დიფერენცირება ფუნქციონალური დანიშნულებისამებრ. მთისწინა ზოლში მდებარე ძეგლებზე მატულობს გახეხილ იარაღთა რიცხვი (იშვიათად გაპრიანებული ცალებიც). ჭარბობს მინათმოქმედებისათვის საჭირო იარაღები: ხელსაფეკავები, მინის საჩიჩქნები (პიკისებრნი), სატეხ სათლელეები, სასრესები, ცულები, ნამგლისპირები, ჩასართები და ა.შ. როგორც ვხედავთ ბარისკენ მოძრაობა ამ შემთხვევაში, მინათმოქმედებისაკენ მიმავალი გზა არის. როგორც ჩანს, მცენარეთა შემგროვებლობამ რომლითაც ასე მდიდარი იყო დას. ამიერკავკასიის ბუნება, მაშინდელ ადამიანს მისი ფართო გამოყენებისკენ უბიძგა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აქ არის ველური მარცვლეული უფრო მეტად ალბათ ფეტვი, რომელიც აღმოჩენილიც არის ადრენეოლითურ ძეგლებზე. სწორედ ველური მარცვლეულის მოშენება ითვლება მინათმოქმედების ჩანასახის თავდაპირველ სტიმულატორად. მინის საჩიჩქნების, ნამგლისპირების და სხვა იარაღების სიმრავლე სწორედ მის დანიშნულებაზე მიუთითებს. მოსახლეობის ზრდის პარალელურად, რაც სულ უფრო მეტ რესურსს მოითხოვდა, ადამიანის გაზრდილი მოთხოვნებისამებრ, მისი კულტურული დანიშნულების პროპორციულად, სულ უფრო და უფრო მცირდებოდა გარემო პირობებზე დამოკიდებულება. სწორედ "მთის ნეოლითს" უნდა განევითარებინა შემგროვებლობა და "მიჰყვება" ბარისკენ ველური მარცვლეულის შეგროვების პრაქტიკას, ხოლო ადრენეოლითის დასაწყისში, როცა ითვისებს ბარსა და მხოლოდ მთისწინეთს, უკვე იწყებს მინათმოქმედებას.

მეორე და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მეურნეობის დარგი არის მესაქონლეობა. მსგავსად მინათმოქმედებისა, ისიც მეზოლითის ხანაში, მსხვილი ცხოველების მონადირეებიდან წვრილ ცხოველებზე მონადირების პრაქტიკით იწყება. აქაც, ფართო სპექტრის შემგროვებლობის მსგავსად ახალ და უფრო მოსახერხებელ წესზე გადასვლა ხდება. მსხვილ ცხოველებზე ნადირობა ჯგუფის გასვლას და მეტ მობილიზებას მოითხოვდა, ნანადირევი ხშირად ძნელად მოსაპოვებელი იყო და ხშირად ძნელი იყო ხორცის გაუფუჭებლად შენახვა, რასაც შეიძლებოდა ადამიანი უსაკვებოდ დაეტოვებინა გარკვეული ხნით. [http://geo-history+blogspot+com/2007/05/3+html] ამიერიდან წვრილფეხა ცხოველებზე სანადიროდ შეიძლებოდა ერთი ადამიანიც წასულიყო და მისი საკვებად გამოყენება და შენახვაც უფრო მოსახერხებელი ხდებოდა. სწორედ წვრილ ცხოველებზე ნადირობამ (ცხვარი, ღორი, ძროხა) უბიძგა ადამიანს მათი მოშინაურების დაწყებისაკენ. მეურნეობის მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენდა მეთევზეობა, რომელსაც თავდაპირველად სეზონური ხასიათი ჰქონდა.

მასასადამე, ადგილობრივი მეზოლითის ხანაში ჩამოყალიბდა თვისებრივად ახალი კულტურა, რომლის მიწურულიდან იწყება ტენდენცია მწარმოებლური მეურნეობის განვითარებისაკენ.

რიონ-ყვირილას ხეობის ძეგლების განლაგება ნეოლითური კულტურის ზონალური განვითარების ტიპური ვარიანტია. ზღ.დ. 1800მ(ბულნარი), 200 მ-მდე(საგვარჯილე).

"მთის ნეოლითის" ერთ-ერთ ნიმუშს წარმოადგენს ონჭეშიის სადგომი. მდ. ლეხიდარის სანაპიროზე ზღ.დ. 672 მეტრზე. იქვე კლდესთან არის ორი პატარა ეხი, რომელიც უნდა ყოფილიყო სწორედ ადრენეოლითური სადგომი. ონჭეშიის სადგომზე სულ 119 კაჟის იარაღ-ხელსაწყო და წარმოების ნაშთია. ონჭეშიელი ადამიანის საქმიანობა მესაქონლეობა, მეთევზეობა, ნადირობა და პრიმიტიულ-ჩანასახოვანი მინათმოქმედება უნდა ყოფილიყო. [კ.კალანდაძე 1986:57]

ერთ-ერთ შესანიშნავ ძეგლს რიონ-ყვირილას ხეობის ნეოლითურ წრეში წარმოადგენს დარკვეთის მრავალფენიანი ეხი, რომლის მეოთხე ფენა ადრენეოლითურია. [ლ.ნებიერიძე 1978:10] ის უშუალოდ მეზოლითურ ფენას მოჰყვება და ერთ-ერთ დასტურს წარმოადგენს, უცვალბებელი ცხოვრების ჯაჭვისა მეზოლით-ნეოლითში. დარკვეთის ეხი, ქვის ხანის სრულად ახალ საფეხურს წარმოადგენს. აქ საკმაოდ კარგადაა წარმოდგენილი სტრატეგრაფია და თითქმის ყველა კულტურული

ფენა. დარკვეთის ეხის ნეოლითურ ფენას ახასიათებს არაერთი თვისებრივი სიახლე, საერთოდ დას. ამიერკავკასიის ნეოლითის მასშტაბით. ეს არის ნეოლითური კულტურის ერთ-ერთი ნიშანი ქვის გახეხვა-გაპრიალების ტექნიკა. რიყის ქვის გამოყენება საერთოდ და მათგან მანამდე უცნობი ტექნიკით, გახეხვა-გაპრიალებით იარაღის დამზადება ეპოქალური თავისებურებაა საერთოდ ადრეული ნეოლითის. სწორედ ამ სიახლის გავლენით ჩნდება იარაღთა ახალი ფორმები. ჩნდება ქვის სხვადასხვა ქანებისგან დამზადებული გახეხილ-გაპრიალებული ცულები, სატეხები, სათლელები, ჩაქურჩები, საპრალელები, სახეხები ხელსაფქვავეები, შურდულის ქვები, სანაფები და სხვ. ამ ფენის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს განვითარებული მიკროლითური ტექნიკა. აღსანიშნავია, რომ დარკვეთის ეხის გვიანმეზოლით-ადრენეოლითის ფენებიდან მომდინარე მასალამ საშუალება მოგვცა, თვალი გაგვედევნებინა მითვისებითი მეურნეობის ნიაღში, მწარმოებლური მეურნეობის ჩასახვისა და განვითარებისათვის. კერძოდ, მეცხოველეობისთვის. ადრენეოლითის ამ ფენაში აქ უკვე მისდევნენ მეცხოველეობას. ეს განვითარდა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განვითარებული მონადირეობის (წვრილფეხა ცხოველებზე ნადირობის) ნიაღში. დას. ამიერკავკასიის ცხოველთა ენდემური ჯიშების ბაზაზე. დარკვეთის ეხის მეოთხე ფენაში ჩვენ გვაქვს მოშინაურებული ცხოველების ძვლოვანი მასალა.

დარკვეთის ეხში გამართული იყო საცხოვრებელი ქოხი. საერთოდ ნეოლითური საცხოვრებლებზე დადასტურებულია საცხოვრებლის და აგრეთვე სხვა დანიშნულების ნაგებობათა არსებობის ნაშთები. მცირე ზომის მრგვალი ორმოები ხის ბოძების ჩასადგმელად იყო განკუთვნილი. აგრეთვე ხის წნულის ანაბეჭდიანი თიხის შელესილობისა და თიხატკეპნილი იატაკის ფრაგმენტები. იქვე ნაპოვნი სამეურნეო დანიშნულების ორმოები და კერის ნაშთები მოწმობს, რომ აქ ჩვენს წინაშეა ოდესღაც საცხოვრებელი დანიშნულების მქონე ხის შენობები თიხით შელესილი წნული კედლებითა და თიხატკეპნილი იატაკით, რომელზეც კერა ყოფილა გამართული. ხის ბოძების ჩასადგმელი ორმოების მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ რომ ნაგებობები კვადრატული ან სწორკუთხა მოყვანილობის იყო.

ნეოლითური მასალები მოწმობენ, რომ ამ პერიოდის მეურნეობაში დიდი როლი ენიჭებოდა მეტეზეობას. [კალანდაძე 1986: 83] ამ ეპოქის ნამოსახლარების უმრავლესობა მდებარეობს მდინარეთა ტერასებზე და მდინარისპირა მღვიმეებსა თუ ეხებში. აქ მოხინარე გვაროვნულ ჯგუფებს უნდა გამოეყენებინათ მდინარის რესურსები. ამაზე უნდა მეტყველებდეს სხვადასხვა ძეგლებზე დიდი რაოდენობით სხვადასხვა თევზების ძვლების, ჭვილთის და სანაფის პოვნა. მეტეზეობასთან დაკავშირებული ნივთიერი საბუთები მოწმობს მეურნეობის ამ დარგის განვითარებას და დიფერენციაციას.

“მთის ნეოლითის” განვითარებულ ფორმას წარმოადგენს რიონ-ყვირილას ხეობის კიდევ ერთი ძეგლი მელოური. იგი ადრენეოლითის მინურულსა და შუანეოლითის გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს. [კალანდაძე 1986:50] მელოური მთიდან ბარისაკენ ჩამონაცვლების ერთ-ერი ნიმუშია. სხვა ადრენეოლითური ძეგლები ჯერჯერობით რიონ-ყვირილას ხეობაში რაც კი არის გამოვლენილი, უმეტესად მთის ძეგლებს წარმოადგენს. მელოური კი ჯერჯერობით ერთადერთ კარგად გამოვლენილ ძეგლს წარმოადგენს ადრეულიდან შუა ნეოლითზე გარდამავალი პერიოდში.

დას. საქართველოს ნეოლითური ძეგლების ერთობლივი ტიპოლოგიურ-შედარებითი შესწავლით დადგენილია გვიანნეოლითის ეპოქალური ნიშნები. ეს არის განვითარებული მიკროლითური ტექნიკა, გეომეტრიული მიკროლითების სიჭარბე და მასალის მრავალფეროვნება. კერძოდ, მათ ახასიათებთ ორ და სამფერდდამუშავებული ტრაპეციები, რკალათილი და რკალდაბლაგვებული სეგმენტები, “მცოცავი” წნევითი რეტუშით ზურგათილი მალალი ტრაპეციები და ზურგათილი მალალი სწორკუთხედები. გვიანნეოლითური ძეგლები ხასიათდება რიყის ქვის გახეხილ-გაპრიალებული იარაღების სიჭარბითა და ფორმების მრავალფეროვნებით. რიყის ქვის იარაღებზე (ცულები, სატეხ-სათლელები, ჩაქურჩები) გვერდითი ნახნაგები და ნიბოები ერთ-ერთ მთავარ მახასიათებლად იქცა. ქვის დამუშავების ტექნიკის სიახლეთა რიგს ეკუთვნის “მოკოდვის” ტექნიკა. ფართოდ იყენებდნენ იარაღების გაპრიალებისა და გაპრიალება-“მოკოდვის” კომბინირებულ ტექნიკას. ეპოქალურ ნიშნებს მიეკუთვნება მეთუნეობის გაჩენა, [კალანდაძე 1986:85]რომელიც წარმოადგენილია ხელით ნაძერწი უყურო, ბრტყელძირა ნაკეთობით. რიონ-ყვირილას ხეობის გვიანნეოლითურ ძეგლებად

მიიჩნევა თეთრამინის ღია ნამოსახლარი და საგვარჯილე მღვიმე. პირველ ყოვლისა უნდა ითქვას, რომ ორივე მათგანი საქართველოს არქეოლოგიურ ლიტერატურაში დავის საგანია და ბევრი მეცნიერი ეჭვქვეშ აყენებს თავდაპირველ დათარიღებას, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ძეგლები ნეოლითის მინურულის პერიოდისად მიიჩნევა. თეთრამინას ბორცვზე არქეოლოგიური გათხრები არ ჩატარებულა და ძირითადად მასალა ზედაპირზეა შეგროვილი. ამიტომ ძეგლის სტრატოგრაფიაზე ამ ეტაპზე რთულია საუბარი, თუმცა ის აღსანიშნავია, რომ თეთრამინა მრავალფენიანი ძეგლია და პირველად მას ალბათ მუსტიეს ხანაში ითვისებს ადამიანი. თუმცა განმეორებით როდის სახლდება ჯერ ცნობილი არ არის. ზოგიერთი მეცნიერის აზრით თეთრამინა მუსტიეს ხანის შემდეგ, კარგა ხანს დაუსახლებელი რჩებოდა და ამ ნამოსახლარზე ცხოვრება ნეოლითში განახლდა. ზოგი კი თვლის რომ ცხოვრება გაცილებით გვიან ლითონის ხანაში განახლდა. თეთრამინის კოლექცია დიდი რაოდენობით შეიცავს გახეხილ-გაპრიალებულ იარაღებს, მოზრდილ თოხისმაგვარ იარაღს, ცულებს, სატეხებს, ხელსაფქვავეებს, ქვებს, როდინებს და სხვ. ბევრია ისრისა და შუბის პირები. კერამიკა ძალზე ფრაგმენტულია. აშკარაა რომ მასალის დიდი ნაწილი სპილენძის ხანისად უნდა დათარიღდეს, მაგალითად, შუბისპირების სიჭარბე, კვირისთავების არსებობა, სამაჯურები, კერამიკის ნაშთი, რომელსაც ყური აქვს და სხვა დეტალები, რაც ძირითადად ენეოლითური კომპლექსებისთვისაა დამახასიათებელი. [ნებიერიძე 1972: 84] თუმცა ძეგლის მრავალფენიანობას თუ გავითვალისწინებთ, ცულების, სატეხების და სხვადასხვა იარაღთა ტიპი შეიძლება დავათარიღოთ გვიანნეოლით-ადრენეოლითით. როგორც ჩანს აქ ცხოვრება ნეოლითის მინურულში მაინც უკვე უნდა არსებულიყო, რომელიც შემდეგ განსაკუთრებით განვითარდა. ასეთივე სურათი შეინიშნება, გამოქვაბულ საგვარჯილეში. ამ ძეგლის კულტურული ფენების განლაგების შესახებ ერთი გარკვეული აზრი არ არსებობს. ადრე საგვარჯილე მთლიანად ნეოლითად მიიჩნეოდა, თუმცა მოგვიანებით სადავო გახდა ეს აზრი. თეთრამინის მსგავსად საგვარჯილეს მრავალფენიანია და როგორც ჩანს თითქმის ანალოგიურად იმეორებს ნეოლით-ენეოლითის ტოპოგრაფიას. მისი მეხუთე ფენის ქვედა ჰორიზონტი ნეოლითური უნდა იყოს ზედა კი უკვე სპილენძის ხანისა. ასევე თეთრამინის მსგავსად აქაც შეინიშნება რომ ცხოვრება ჯერ კიდევ ქვის ხანაში იწყება. გვიანნეოლითში შედარებით სუსტ ფორმებში და აღმავლობას აღწევს მომდევნო პერიოდში. აქ საკმაოდ კარგადაა წარმოდგენილი ქვის იარაღი--კაჟის საფხეკები, საჭრისები, სახვრეტები, შუბისა და ისრისპირები და სხვ. ბევრია გახეხილ-გაპრიალებული იარაღი-ცულები, სატეხები, ხელსაფქვავეები, საკმაოდ მდიდარია ძვლისა და რქის კოლექცია. [ნებიერიძე 1972:84] კარგად არის წარმოდგენილი თიხის ჭურჭელი, რომლის ორი სახესხვაობა გამოირჩევა. კერამიკის ერთი ჯგუფი მონაცრისფროა, ბრტყელი ძირით, პირგადაშლილი. მეორე შედგება მონითალო თხელკედლიანი, გაპრიალებულზედაპირიანი ჭურჭლებისაგან. ეს უკანასკნელი უკვე ენეოლითის ხანაა, მაგრამ ეს პერიოდი, რასაც საგვარჯილეს მეხუთე ფენის ორივე ჰორიზონტი მოიცავს, უნდა წარმოადგენდეს გარდამავალს გვიანნეოლით-ადრენეოლითის და შეიძლება საგვარჯილე თეთრამინასთან ერთად რიონ-ყვირილას ხეობის ნეოლითის გვიანდელ საფეხურად ჩაითვალოს.

რიონ-ყვირილას ხეობის ნეოლითურ ძეგლებს, საერთოდ დას. ამიერკავკასიური თანადროული ძეგლების მსგავსად კარგად გამოვლენილი მწარმოებლური მეურნეობის ფორმების გვერდით ასევე ძლიერად წარჩუნდება მიმთვისებლური მეურნეობის ფორმები. ეს ითქმის მთელი ნეოლითის პერიოდზე. თითქმის ყველა ნეოლითურ ძეგლზე გამოვლენილია გარეულ ცხოველთა ძვლები და მცენარეთა შემგროვებლობის აქტიურად გამოყენების ფაქტები. მონადირეობისა და შემგროვებლობის დიდი ხვედრითი წილი მთელ ნეოლითის მანძილზე, ზოგიერთ მკვლევარს აფიქრებინებს, რომ ნეოლითის წინამძღვრები, მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლის იმპულსი დას. ამიერკავკასიაში გარედან, უმეტესწილად წინა აზიიდან არის შემოსული და შემდგომშიც გარედან ინსპირირებული ბიძგებით ვითარდებოდა. [ჯაფარიძე 1991:47] ეს არ უნდა იყოს მართებული, რადგან ნეოლითის არანაკლებ სამიათასწლოვანი ისტორია საქართველოში, იმას ადასტურებს, რომ ის ადგილობრივ მეზოლითურ ტრადიციებზე ჩამოყალიბდა და განვითარების ყველა ეტაპი განვლო. მსგავსი მრავალფეროვნება მეურნეობაში კი მხოლოდ კავკასიის რეგიონის თავისებურებით უნდა აიხსნას. მცირე ტერიტორიაზე გამოვლენილი ლანდშაფტური მრავალფეროვნება, ხე-ტყის დიდი მასივები, ძალზე ნაყოფიერი ბუნება, გარეული ცხოველების სიჭარბე. წყლის დიდი რესურსი, რაც თევზით

უზრუნველყოფდა ადამიანს. ბუნებრივია, ასეთ პირობებში დიდი შესაძლებლობა ჰქონდა მიმთვისებლური მეურნეობის წარმართვის და იყენებდა კიდეც მას, მაგრამ მეურნეობის ეს წესი არანაირად არ ნიშნავს რომ მისი არსებობა პირდაპირპროპორციულია წარმოებითი მეურნეობის დაბალი ხარისხის. პირიქით ბარისაკენ მოძრაობის მიზეზი როგორც ვთქვით სწორედ წარმოების იმპულსია. მხოლოდ, იქ სადაც ლანდშაფტი არ იძლეოდა წარმოების სრულად განვითარების საშუალებას, ბუნებრივია დანაკლისი მიმთვისებლობით შეივსებოდა. ასე რომ, ყვირილას ხეობაში ადგილობრივი მეზოლითის ძლიერ ტრადიციებზე ყალბდება ნეოლითი. ზედა თარიღი ძვ.წ. VIII ათასწლეულზე შეიძლება ავიდეს. გაივლის განვითარების არანაკლებ სამიათასწლოვან პერიოდს და ნელ-ნელა გვიანნეოლითში იწყებს დაცემას. ნეოლითის მინურულს, შეინიშნება კულტურული ცხოვრების დაცემას და ღია ნამოსახლარების მნიშვნელოვანი შემცირება. ცხოვრება უმეტესად მღვიმეებსა და ეხებში გადადის. რიონ-ყვირილას ხეობაში ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურია ცხოვრების კვალი. ყვირილას ხეობაში ბუნებრივ მღვიმეებში ხდება ახალი, ენეოლითური კულტურის აღმავლობა და განვითარება. დღეს, ძნელია გადაჭრით რაიმეს თქმა, რამ გამოიწვია ეს ტენდენცია. მაგრამ, ფაქტია, რომ სწორედ ნეოლითის ხანაში, მის მინურულში დევს ის წინამძღვრები, რამაც რიონ-ყვირილას ხეობის მეტად თავისებური განვითარება გამოიწვია შემდგომ ხანებში. ზოგიერთ მეცნიერის მოსაზრებით, ეს გამოწვეულია მესაქონლეობის დარგის განსაკუთრებით აღმავლობით. მღვიმეები უფრო მოსახერხებელი იყო საცხოვრებლად მესაქონლეთა შედარებით მოძრავი ცხოვრებისათვის. ამასთან შეინიშნება მინათმოქმედების დარგის თითქმის ატროფირება და მინათმოქმედების იარაღთა მკვეთრი ხარისხობრივი გაუარესება. ნეოლითთან შედარებით საბრძოლო იარაღთა მატება და რაც განსაკუთრებით დამახასიათებელია, სამოსახლოების თავდაცვითი სისტემები. მღვიმეებს შესასვლელი აქვთ ამოქოლილი, ასეთი თავდაცვისათვის განკუთვნილი კედელი შეინიშნება თეთრამინაზე. ამ ყველაფერს ზოგიერთი მკვლევარი ხსნის იმით, რომ ადგილი უნდა ჰქონოდა შედარებით ომიანობას წინა ეპოქასთან შედარებით. კვლევის დღევანდელ ეტაპზე, როცა საქართველოს ნეოლითი სუსტადაა შესწავლილი, გადაჭრით რაიმეს თქმა ძნელია, მაგრამ ნეოლითის კულტურის ომიანობის მიერ დაცემის სურათი ძნელი გასაზიარებელია. ი.კიკვიძემ მიიჩნია, რომ შედარებით ნაკლები გავრცელება ნეოლითურ პერიოდში საბრძოლო იარაღებისა, გამოწვეული უნდა ყოფილიყო იმით, რომ მას უმეტესად რქის, ძვლისა და ხისაგან ამზადებდნენ, შედარებით ნაკლებად ქვისაგან. მომდევნო ხანაში კი იმატებს ქვის ისრის და შუბისპირები. ასე რომ, იარაღთა სიმრავლის გაჩენა ენეოლითში არ უნდა იყოს სიახლე. თავდაცვითი სისტემით გამაგრებული სამოსახლოები, შეიძლება ქონებრივი დიფერენციაციის ნიშნად მივიჩნიოთ, მაგრამ ძნელი ასახსნელია, კულტურის ისეთი დაცემა, რაც ნეოლითს მოჰყვა დას. ამიერკავკასიაში. ამასთან მინათმოქმედების დაღმავლობა იწყება არა მხოლოდ მთისწინეთში, არამედ კოლხეთის დაბლობის ძეგლებზეც, სადაც მანამდე მინათმოქმედების ძლიერი კერები უნდა ყოფილიყო. მეურნეობის ეს დარგი იმდენად უპირატესია მინათმოქმედებაზე, რომ შეუძლებელია მისი ერთბაშად მიტოვება. მინათმოქმედების განვითარება იწვევს დამკვიდრებულ ცხოვრების წესს. მასზე დაყრდნობით ვითარდება თავდაპირველი კულტურები. მაგალითად, წინა აზიის ძეგლებიდან ვხედავთ, რომ ვაკე-დაბლობებზე და ველებზე არსებულ მძლავრ საქალაქო კერებს, აქვთ საფორტიფიკაციო ნაგებობები (მაგ: იერიქონი და სხვ.) და ისინი დაბლობ ადგილში იცავდნენ თავს. კოლხეთის დაბლობის ნეოლითური კერები, ომიანობის შემთხვევაში, იზრუნებდნენ სიცოცხლის გადარჩენაზე იმგვარად, რომ არ მოეშალათ ცხოვრების დამჯდარი წესი და მინათმოქმედება. მთაში რომც გადაენაცვლებინათ, ისეთ ადგილებს აირჩევდნენ საცხოვრებლად, სადაც მინათმოქმედებისათვის იქნებოდა ხელსაყრელი. რადგან, მრავალათასწლოვანი ტრადიცია და ცხოვრების წესი ასეთი ადვილი გადასაგდები არ იქნებოდა. ვერც იმას ვიტყვით, რომ ნეოლითის შემდეგ მკვეთრი ეთნიკური ცვლილება მოხდა, რადგან წარმოების იარაღთა ტიპოლოგიური მსგავსება გვიჩვენებს, რომ დას. ამიერკავკასიის ენეოლითი, ადგილობრივი ნეოლითის მემკვიდრეა.

თანამედროვე მეცნიერებაში სულ უფრო პოპულარული ხდება ე.წ. "შავი ზღვის" დატბორვის თეორია. ამერიკელი მეცნიერების პიტმანისა და რაიანის მოსაზრებით თავდაპირველად შავი ზღვა წარმოადგენდა ტბას, რომელსაც ეგეოსის ზღვასთან ვინრო კლდოვანი კედელი გამოყოფდა. ჩანადენი წყლის მატების გამო ხმელთაშუა ზღვის წყლის დონემ მომატება დაიწყო, "გაიბერა" და

დაახლ. 7600 წლის წინ, მან გარღვია წყალგამყოფი კედელი. ამას შედეგად მოჰყვა წყლის უზარმაზარი მასის შემოდინება შავ ზღვაში. დღე-ღამეში 42 კუბური კილომეტრი წყალი იღვრებოდა შავ ზღვაში თითქმის 1 წლის განმავლობაში, რამაც დაახლ. 150 000 კვ.კმ ტერიტორია დატბორა შავი ზღვის ირგვლივ. ეს იყო, კოლოსალური მასშტაბის სტიქიური უბედურება, რომელიც ბუნებრივია მყისიერად, დროის უმცირეს მონაკვეთში გაანადგურებდა ზღვისპირეთს. თუკი მასშტაბებს გავითვალისწინებთ, შეუძლებელია გათვალისწინებული არ იქნეს შავი ზღვისპირა კოლხეთის დაბლობის ფაქტორი. ის ფაქტი, რომ ამ პერიოდში თითქოსდა ერთბაშად ქრება მინათმოქმედების კვალი და არის აშკარა დემოგრაფიული სიმცირე, სამოსახლოდ კი ძირითადად გამოყენებულია მღვიმეები, იქნებ ამ სტიქიური კატასტროფის შედეგებად მივიჩნიოთ. რასაკვირველია, სტიქია უშუალოდ არ შეეხებოდა რიონ-ყვირილას ხეობას, მაგრამ შეუძლებელია, მას ფატალური გავლენა არ მოეხდინა მთის მოსახლეობაზეც კი. პირველ ყოვლისა იმიტომ რომ, მთავარ არტერიას ნეოლითის ხანაში კოლხეთის დაბლობის კერები წარმოადგენდნენ (ოდიში, პალური, მამათი, ანასეული, გურიანთა და სხვ.) მოიპალა საერთო სისტემა, რომელიც აერთიანებდა დას. საქართველოს თანადროულ მოსახლეობას. განადგურდა ყველაზე მეტად დაწინაურებული ტერიტორიები და ალბათ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილიც. სტიქია მთლიანად მოიცავდა კოლხეთის დაბლობის ვაკე ადგილებს. ეს აუცილებლად შეცვლიდა მიკროკლიმატს. ჰავა გახდებოდა მეტად ტენიანი, ნესტიანი და მოიმატებდა ნალექების რაოდენობა. სტიქიის ჩადგომის და ზღვის წყლის უკან დახევის მიუხედავად, დატბორილი ტერიტორიები საუკუნეების განმავლობაში შეინარჩუნებდა დატბორილ ვაკეებს. შეუძლებელია, სტიქიის ამ მასშტაბებს რაც მოულოდნელად დაატყდათ ადამიანებს თავს ღრმა კვალი არ დაეტყო მათ ცხოვრების წესზეც. მოვარდნილი წყლის მასა, დროის მცირე მონაკვეთში აღავსებდა კოლხეთის დაბლობს და წყლის დიდი მასების მოძრაობა არ შეწყვეტილა 1 წლის მანძილზე. თუ პიტმანისა და რაიანის თეორიის მიერ წარმოდგენილი მასშტაბები ნამდვილად ისეთი კოლოსალური იყო, როგორც მიიჩნევენ, მაშინ არ არის მოულოდნელი, სწორედ ამ პერიოდში ნეოლით-ენეოლითის მიჯნაზე კულტურის მოულოდნელი დაცემა. ამასთან მეურნეობის წინსვლა მესაქონლეობის კუთხით, ბარიდან მთისაკენ მოსახლეობის მიგრირების შედეგი უნდა იყოს. ზემოაღნიშნული თეორიის საკვანძო საკითხი ის არის, რომ კლასიკური მინათმოქმედების დაწყებას, ამ სტიქიის შედეგად გადაადგილებულ ხალხებს, აღმოსავლეთ ევროპის ადრესამინათმოქმედო კულტურის განვითარებას უკავშირდება, მაგრამ თუკი ეს ზოგადი ტენდენცია იყო შეიძლება მას ადგილი აღმ. შავი ზღვისპირეთშიც ჰქონდა. VI ათასწლეულში დას. ამიერკავკასიური ნეოლითი მესაქონლეობის კუთხით მიდის და ენეოლითის პერიოდს, უპირატესად ამ დარგის განვითარებით წარმართავს. ამ პერიოდში აღმ. საქართველოს ტერიტორიაზე განვითარებას იწყებს კულტურა, რომელსაც პირველად მოჩენის ადგილების მიხედვით შულავერ-შომუთეფეს კულტურა ეწოდება. მკვლევართა მიერ შენიშნულია ამ კულტურის ცალკეული ელემენტების მსგავსება დას. ამიერკავკასიის ნეოლითთან. [კალანდაძე 1986: 95] იქნებ სტიქიას გადარჩენილი მოსახლეობის ნაწილი, რომლის ცხოვრების წესს მინათმოქმედება წარმოადგენდა, გამომუშავებული ჰქონდა მისთვის საჭირო უნარ-ჩვევები და თავიდანვე იქნა დასპეციალიზებული მეურნეობის ამ დარგზე, გადადის აღმ. საქართველოში და იქ უდებს სათავეს ადრესამინათმოქმედო კულტურას. ჩვენ მიგვაჩნია, რომ დას. ამიერკავკასიის ნეოლითის დაღმავლობა დაკავშირებულია ამ ბუნებრივ მოვლენასთან. ადგილზე, მესაქონლეთა ცხოვრება კი უკვე გადადის ახალ ეპოქაზე, საკმაოდ სუსტ ფორმებში, რადგან მას გამოეცალა მნიშვნელოვანი ბაზისი მინათმოქმედების სახით. თუკი ეს ნამდვილად ასეა, მაშინ გამოდის, რიონ-ყვირილას ხეობის ნეოლითის (დას. ამიერკავკასიის ნეოლითის) შვილობილ კულტურებად უნდა მივიჩნიოთ ერთი მხრივ, ადგილობრივი ენეოლითური მღვიმური კულტურა, რომელიც უპირატესად მესაქონლეთა საზოგადოება იყო და მეორე მხრივ აღმ. საქართველოს ადრესამინათმოქმედო კულტურა. კვლევის ამ ეტაპზე მეტის თქმა შეუძლებელია, თუმცა მომავალში ინტერდისციპლინარულმა კვლევამ ახალი შედეგები უნდა დადოს ამ მხრივ.

მაშასადამე, რიონ-ყვირილას ხეობის ნეოლითური კულტურა, რომელიც ჩაისახა ადგილობრივ მეზოლითის ბაზაზე, გაიარა, განვითარების ყველა გზა. საკმაოდ წარმატებით განვითარა წარმოებითი მეურნეობა. ჰქონდა კავშირ-ურთიერთობები სხვა რეგიონებთან და სხვ., ძვ.წ. VI ათასწლე-

ულში იწყებს დაღმასვლას. ნეოლითმა, ადგილზე არანაკლებ სამიათასი წელი იარსება და დატოვა თავისებურად განვითარებული და დიფერენცირებული კულტურული სახე.

გარდა იმისა, რომ ნეოლითი მთლიანად საქართველოში სუსტადაა შესწავლილი, ეს განსაკუთრებით ითქმის რიონ-ყვირილას ხეობაზე. ბოლომდე შესწავლილი არ არის უკვე ცნობილი ნეოლითური ძეგლებიც. მომავალში, ახალი აღმოჩენების შუქზე, კიდევ მეტი რამ გახდება ცნობილი.

ლიტერატურა:

1. კ. კალანდაძე, 1986: დასავლეთ საქართველოს ნეოლითური კულტურა ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების შუქზე, თბილისი, მეცნიერება.
2. ლ. ნებიერიძე, 1972: დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, თბილისი, მეცნიერება.
3. ლ. ნებიერიძე, 1978: დარკვეთის მრავალფენიანი ეხი, თბილისი.
4. ლ. ნებიერიძე, 1986: დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამინათმოქმედო კულტურის განვითარების ადრეული საფეხურები, თბილისი.
5. ო. ჯაფარიძე, 1991: საქართველოს არქეოლოგია, თბილისი.
6. ქეროლ რ. ემბერი, მელვინ ემბერი, პიტერ ნ. პერეგრინი, 2007: ანთროპოლოგია.
7. <http://geo-history.blogspot.com/2007/05/3.html>
8. <http://ka.wikipedia.org/wiki>

DAVID DVALISHVILI

NEOLITH FROM RIV. RION-KVIRILA'S VALLEY

Human history is the longest period of the Stone Age, a gradual, linear motion presents a picture of human technological development. The oldest stage of the Stone Age, paleoliti, almost the entire existence of the less-developed technique and is mainly characterized by monotonous. In this regard, the situation has changed since the Middle Stone Age (mezoliti). Slowly start to develop agricultural production, which has fundamentally changed the history of human development.

Settlements in the West and the South Caucasus in particular are seen mezoliti on its base, about the Old West in the eighth millennium BC in Transcaucasia in the development of a neolithic culture.

Researchers opinion, the Western Transcaucasian Neolithic local mezoliti successor and continues to direct it. Neolithic Archaeology is one of - one of the most poorly studied period.

There are about fifty well-known New Stone Age monuments, most of the archaeological excavations have been conducted and the findings seen on the surface, found in a random or intelligence is the result of archaeological findings.

Thus, at present all the facts, the analysis is based on these materials. Moreover, it is almost impossible for most of the restoration of monuments, a breakdown of the initial order is due to the disaster sites, or the result of the use of different purpose.

Western Caucasus in neolithic circle, an important place in Rion - Kvirila valley. This is particularly important because it has very strong traditions of local mezoliti was particularly in the hill, hill and mountain areas. Exploring the mountain, which took place in early holocenit the fact that the mountain climate to dry out sooner. The climate is very humid in the lowlands, and the man was an era of culture and development of weapons less effective because they could not adapt to the environmental conditions.

Mezoliti the end of the Neolithic transition in the bar gradually begins to flow, which is particularly strong is the Rion - Kvirila Valley.

Since the bar in the development of farming. Thus, it is plain from the mountains to the movement of the lags in the economy, new types of weapons, the New Stone Age- Neolithic called.

First of all, it is necessary to develop the culture that needs introduction. Some stage in such demand may be a lot of people have, but often fail to develop the culture and the emergence of preconditions, the neolithic revolution. For this, we need two main factors: the geography of the landscape and local culture mezolits strong traditions.

Landscape of the Western Caucasus is a very convenient time for people. All four are from the mountain and the sea, protected area. He was protecting him from attack, which in those days was a lot of front in Asia.

Mount in a relatively dry climate conditions of the people who have had the opportunity to develop and viurmul climate change, people are prepared to meet the bar gradually become dry.

Mezolit appears in the technical skills, which, after a significant impact on neolit progressed, small tools for production equipment.

Development of small cutting tools, perforators, dental plates. They started to use a cobble stone.

Use of bone tools, perforators and a horn made of Excavating. At first glance it seems that this is an early Neolithic culture, the chief priest.

As we started, in the late mezolits era begins with a gradual transition from mountain sin the bar. Therefore, the earlier Neolithic monuments Rion - Kvirila located in the valley of the mountain belt: Bughnara, Nakuraleshi, Tvishi, Lailashi, Oncheishi, Darkveti and others. They have family roots in this region.

Neolithic of the mountain can be characterized as the first stage and the late Neolithic is to early mezolits culture. After an early Neolithic layers of late-stage -melouri, at the end of the late neolithic - a white ground and Sagvarjile.

In the bar having the tools to improve processing techniques and tools to improve the differentiation of function. Foot-hill zone, located at the sites of increasing the number of guns shredded.

Farming is a lot of the necessary tools: grinders, excavating, grindstones, axes, sickles, etc.

Bar is in transition to farming development path. Agriculture leaders mezolits era, moving on a wide range of collection. Population growth and a large number of animals for hunting, not efficiency, economy, people are encouraged to develop in various fields. This is the first plant to accumulate, small goods, hunting and fishery.

Trans Western Neolithic (Rion - Kvirila valley sites), a feature characteristic. If the Neolithic farming, manufacturing, new rules mean, the nature of the raw materials extracted from the ready-to cook, making the transition and is usually different from the neolithic monument is known that the more deprived of any early Neolithic monument, the more strongly identified forms of production.

But in Georgia, in the case of Neolithic, even when we have direct confirmation of the earlier neolit livestock development, when the bones are found in domestic animals and farming tools, however, farming is an important part of the old type, size, accumulation, and hunting. This is true throughout the Neolithic period.

Animal bones found at sites of wild plant and actively using the accumulation of facts. That some scientists to suspect that the manufacturing industry to move to the West in the Caucasus from the outside, mostly in Asia damping is developed. This opinion is groundless, since the Neolithic Age 3000 years of history in Georgia.

Rion - Kvirila Valley mezolits strong local traditions into the Neolithic. Preliminary view that it can be ascended to the top on the old eighth millennium. Through the development of nearly 3000-year period and slow - slowly begins to decline in late neolit.

Late Neolithic, the fall observed in the cultural life and a significant reduction in the open population. Life is mostly transferred into the cave. Rion - Kvirila in this regard is particularly active in the traces of life.

A broad valley in a natural cave is a new, eneolitis cultural development and growth. In fact, in the Neolithic era, the end is the leaders that Rion - Kvirila very peculiar development in the valley. Some scientists think this is caused by the livestock sector, especially the rise. It was more convenient to live in caves.

Modern science has become increasingly popular, the Black Sea 'flood theory. American scientists Raina and Pitmani considerations, the beginning of the Black Sea was a lake, the Aegean Sea from the rocky wall of a small highlight.

Raising the water level has increased over the Mediterranean Sea in 7600 and the year before he broke through the wall of the watershed. As a result, a huge mass of water a day - the night of 42 cubic kilometers poured into the Black Sea for almost 1 year, causing approximately 150 000 sq. km. area around the Black Sea flooded.

It was a huge-scale natural disaster, which of course, instantly, in a short period of time destroy Sea region. If we take into account the scale, it is impossible not to be unexpected factor in the Black Sea coast of Colchis Lowland, the fact that during this period that disappears once the role of farming, and an apparent lack of demographic, housing is mainly used in the cave.

Of course, the hazard is not directly concerned Rion - Kvirila valley, but it is impossible to have a fatal effect on their population, even in the mountains. First, because the main arteries in the Neolithic Age, the seats of the Col-

chis Lowland (Odishi, Paluri, Mamati, Anaseuli, Gurianta, etc.), but undermined the overall system, which is united in the Neolithic society.

Destroyed most of the noble and important part of the population. The floods covered the Colchis lowland plain areas. This will change the microclimate. The climate became more humid, damp, and increased the number of precipitations.

Disaster, serve and return of the sea water in the flooded areas, maintaining a centuries flooded Vake. It is not possible, the natural disaster of this scale, which occurs immediately above the people, not liberation reach deep traces of their lifestyle. The scale of the disaster immediately fills the Colchis plain water and a huge mass movement after 1 year.

If indeed such a colossal scale, was represented by pitmanis and Raina, as theywrite, it is interesting for its connection to the west of the archaeological cultures. Here, at this time, the late Neolithic period, which is characterized by impairment of the culture. No need to wonder why suddenly change the culture from the animal tomitsatmokdeba. Course moishleboda residents in the Colchis plain, tillers life and start a massive push to the mountain, where was The advantages of cattle breeding.

In this theory one - the one major issue is that the classic start farming pitmani and Raina were people displaced by natural disaster recently. This is related to Eastern Europe before farming the development of culture, but if the same trend in the eastern sea-side was, then there is the local Neolithic or seemingly livestock development in the path of the early farming culture of the period, more of these fields are, chronologically old record sixth millennium in eastern Georgia, the lower in the region, there is a strong early farming culture, which Shulaveri - shomutepes known.

This is a unique culture, the basics of Iran's northern, eastern and north eastern Trans-Caucasus in the neolith has, however Shulaveri - shomutepe include multi layer construction. The third layer, show similarities in the

South Caucasus. Researchers have discovered the Neolithic and the Western Transcaucasian Shulaveri -shomutepes cultural symbols of individual typological similarities.

Maybe after the disaster, the surviving part of the population, agriculture is a way of life, had earned for him the necessary skills - skills and have been specialized in this field on a farm, in eastern Georgia, and there are moves to develop agriculture.

Therefore, Rion - Kvirila Valley neolithic culture of the Neolithic on the basis of the development all the way through. Successfully developed manufacturing sector, all sign of Neolithic weapons production typology if the union - having relations with other regions, after accounting for the sixth millennium starts downward.

Neolithic Rion - Kvirila valley about 3000 years. He had an own-developed and differentiated culture in the face. In addition to the weak-studied Neolithic in Georgia, this is particularly true Rion - Kvirila Valley. It has not been studied yet in this region, located in the neolithic monuments. The new findings in the light of more things to be known.

მირანდა მარბველაშვილი

(ვოლონტერი)

დავით აღმაშენებელი და გელათი

მრავალი მეფე ჰყოლია საქართველოს, მაგრამ მისი მსგავსი და სადარი არ ჰყოლია, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზღუდეს და ერის მოჭირნახულე ხელისუფალს ერმა ღირსებით უწოდა ზედწოდებად „აღმაშენებელი“. ღვთის მოყვარული და მსასობელი მეფე ქართველ ერს განსაკუთრებით უყვარდა.

დავით აღმაშენებლის, ამ უდიდესი მეფის ნაღვან-ნასაქმიდან შევეხებით გელათს, დავითის მეფობის გვირგვინს. ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი შედევრის, გელათის სამონასტრო კომპლექსის დაარსება დავით აღმაშენებლის სახელს უკავშირდება. უდიდესია ქართველი ერის წინაშე დიდებული მეფის ღვაწლი. „კაცი რომელმაც ისე შექმნა საქართველო ვითარცა ღმერთმა სამყარო“-ასე წერდა დავით აღმაშენებლის შესახებ თანამედროვე მათიანე, მწერალი ლევან სანიკიძე. დავითის მრავალი ქმნილებისაგან გამორჩეული კი გელათია.

დიდებული ტაძრის მშენებლობა მეფემ 1106 წელს დაიწყო. [თ. ჟორდანიას. ქრონიკები II. თბილისი. 1892 წ. გვ. 238-239]. ადგილიც საგანგებოდ შეურჩევია მას. მეფე თავად ყოფილა მთავარი ხუროთმოძღვარიც, მთავარი შემწირველიც. დავით აღმაშენებელი გელათის მონასტრის მატერიალური წარმატებისთვისაც იღწვოდა.

XII საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების უდიდესი ძეგლი ქუთაისის მახლობლად მდებარეობს, ყოვლად მშვენიერ და უნაკლო ადგილზე. სწორედ ასე გადმოგვცემს გელათის ადგილმდებარეობას მემათიანე, დავითის ისტორიკოსი: „რამეთუ მოიგონა აღშენებაი მონასტრისა და დაამტკიცა, რომელიცა გამოირჩია მადლმან საღრთომან, ადგილსა ყოვლად შვენიერისა და ყოვლითურთ უნაკლოსა. [ქართლის ცხოვრება. I ს. ყაუხჩიშვილი. თბილისი 1955 წ. გვ. 330-331.]

სანამ გელათის მშენებლობას დაიწყებდა მეფემ ქვეყნისათვის ბევრი სასიკეთო ცვლილებები განახორციელა. უმძიმესი ვითარება იყო საქართველოში დავითის გამეფებისას, ქვეყანა ფაქტიურად არ არსებობდა. მეფის მთავარი ამოცანა ქვეყნის გაერთიანება იყო. დავითმა დროზე მოიწვია „დიდთა წყლულებათა“ საკურნებელი ეს ცნობილი კრება და დროზე გაასწორა მართლმადიდებლური ეკლესიის გეზი, სწორი ლოცვა დააყენა, ღირსეულ მღვდლებს მისცა საჭე ხომალდისა, რადგან იცოდა, რომ ღირსეულ მოძღვარს მრევლიც ღირსეული ეყოლებოდა. ერის სულიერ გარდაქმნას და სიმხნევს უდიდესი მნიშვნელობა ქონდა.

1103 წ. ჩატარებული რუის-ურბნისის საეკლესიო კრების გადაწყვეტილებები გარკვეულწილად დაედო საფუძვლად XI-XII სს. სოციალურ-პოლიტიკურ ძვრებს. საერო ფეოდალების შემდეგ სასულიერო არისტოკრატის დამორჩილების საკითხი აუცილებელი გახდა. [თ. ჟორდანიას. დასახ. ნაშრ. გვ. 238].

საქართველოს საბოლოოდ გაერთიანებისათვის და ცენტრალური მმართველობის დამყარებისათვის აუცილებელი იყო ეკლესიის სახელმწიფოსადმი დამორჩილება. უმნიშვნელოვანესი იყო ორი თანამდებობის მნიშვნობართუხუცესისა და ჭყონდიდელის თანამდებობების ერთი პირის ხელში გაერთიანება. რამაც უზრუნველყო მეფის უზენაესი ხელისუფლების გადაწყვეტილებები. მაგრამ ეს ყველაფერი იყო უდიდესი საქმისთვის რასაც მეფე აპირებდა, მეფემ გადაწყვიტა აშენებინა ქართული მეცნიერების ცენტრი გელათის აკადემია.

მონასტრის დაარსებასთან ერთად დაიწყო ფუნქციონირება აკადემიამაც. დავით აღმაშენებელს გელათი არ ესახებოდა, როგორც მხოლოდ საეკლესიო ნაგებობა, სადაც მხოლოდ წირვა-ლოცვა შესრულდებოდა. ეს უნდა ყოფილიყო მძლავრი კულტურულ საგანმანათლებლო კერა, რომელიც მაშინდელი მსოფლიო მნიშვნელობისა უნდა ყოფილიყო. [ბ. ლომინაძე, გელათი, თბილისი. 1958 წ. გვ. 8-9].

საქართველოში იმ დროს გელათის მონასტერი იყო ერთადერთი საეკლესიო ორგანიზაცია, რომელიც მხოლოდ მეფის ხელისუფლებას ცნობდა. ქვეყნის განათლებისა და მეცნიერების ცენტრი გელათის აკადემია „ყოვლისა აღმოსავლეთისა და მეორე იუერუსალიმად და სხვა ათინად“

მოისაზრებოდა. გელათი აღმოსავლეთის ქვეყნების ქრისტიანული სასულიერო ცხოვრების ცენტრი-მეორე იერუსალიმი და ფილოსოფიური განათლების მეორე ათენი უნდა ყოფილიყო. გელათი თვალსაჩინო ცენტრად იქცა. გელათის აკადემია თავისი სასწავლო სამეცნიერო საქმიანობით იმდროინდელ კულტურულ სამყაროში არსებულ სახელგანთქმულ სამეცნიერო ცენტრებს უტოლდებოდა.

გელათი დავით აღმაშენებლისავე ხანაში თვალსაჩინო სასწავლო-სამეცნიერო ცენტრად იყო მიჩნეული. მონასტრის დამაარსებელმა დროულად დაიჭირა თადარიგი და იქ განსწავლული პირები მოიწვია. საქართველოსა და უცხოეთში მოღვაწე მწიგნობრებს თავი მოუყარა და შემოქმედებითი საქმიანობისათვის უაღრესად ხელაყრელი პირობები შეუქმნა. დავითის ისტორიკოსის ცნობით: „მუნვეშემოიკრება კაცი პატიოსანი ცხოვრებითა და შემკული ყოვლითა სათნოებითა, არა თვისითა ოდენ სამეფოთა შინა პოვნილნი, არამედ ქვეყნისათა კიდეთად სადაცა ესმა ვიეთმე სინმინდე, სიკეთე, სისრულე სულიერთა და ხორციელთა სათნოებათა აღსავსეობა, იძია და ყოვლად გამოიძია, მოიყვანა დაამკვიდრა მას შინა. [ქ.ც. გვ. 330.] საგულისხმოა რომ დავითის მემატთანე ხაზს უსვამს იმას რომ მინვეული მეცნიერები და მწიგნობრები არა მხოლოდ უაღრესად განათლებული ადამიანები იყვნენ, არამედ პატიოსნებითა და წესიერებით შემკულნი საკმარისად არ მიუჩნევია დიდი მორალის მქონე მეფეს მხოლოდ მათი განათლება, უდიდესი აქცენტი მათ წესიერებაზე და პატიოსნებაზე გააკეთა. მასწავლებელი ზნეობითაც სამაგალითო უნდა ყოფილიყო.

გელათს ამშვენებდა მრავალი ცნობილი ქართველი მეცნიერი. გელათის აკადემიაში XII ს-ის დამდეგს მოღვაწეობდა იოანე პეტრიწი, დიდი ქართველი მეცნიერი და ფილოსოფოსი. დავითი მფარველობდა და ზრუნავდა იოანეზე, ყოველგვარ პირობას უქმნიდა მეცნიერული მოღვაწეობისას. აქ იოანე პეტრიწს რამდენიმე ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო თხზულება უთარგმნია ბერძნულიდან, ის როგორც ნეოპლატონიკოსი საქართველოში ქმნის ფილოსოფიურ მიმართულებას. მან ქართული ლიტერატურა გაამდიდრა არისტოტელეს და ნეოპლატონიკური შრომების თარგმანებით, რომელსაც დაურთო ვრცელი კომენტარები. შექმნა ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგია. [მ. ნიკოლეიშვილი. გელათი. ქუთაისი 1999წ. გვ.10-15]

გელათის სკოლის სასახელოდ უნდა ითქვას რომ სწორედ გელათში შესრულდა მისი ძირითადი ფილოსოფიური თხზულებების თარგმანი და ორიგინალური ნაშრომები.

იოანე პეტრიწს ყველაზე მეტი ღვაწლი მიუძღვის ქართველ ფილოსოფოსთა შორის. მან შექმნა მთელი ფილოსოფიური სკოლა, შექმნა ფილოსოფიური ენა და ტერმინოლოგია. გელათის სკოლაში მან თარგმნა არისტოტელეს შრომები: „ტოპიკა“ და განმარტებისათვის, ნემესო ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“, პროკლე დიადოხოსის „კავშირი ღვთისმეტყველებითნი“. ი. ფლავიოსის „ნიგნი ჰურიისაი“ [K-10]. რომელიც ინახება ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში და ერთადერთი სრული ნუსხაა იოანე პეტრიწის ამ ნაშრომისა.

გელათის აკადემიაში დავით აღმაშენებლის მიერ მოწვეული იქნა ქართული ფილოსოფიის მეორე დიდი წარმომადგენელი არსენ იყალთოელი. არსენს გელათში შეუსრულებია ბერძნულიდან ქართულად „დიდი სჯულის კანონის“ თარგმნა [ქ.ი.მ. №25] ეს დიდი კანონი მანამდე ყოფილა თარგმნილი ანდრია კრეტელის მიერ, მაგრამ ის დავითს არ აკმაყოფილებდა და ხელმეორედ თარგმნა არსენისათვის უთხოვია. „დიდი სჯულის კანონი“ გადაწერილია XIII ს-ში. არსენ იყალთოელს გელათში უთარგმნია და შეუდგენია დოგმატიკური-პოლემიკური კრებული „დოგმატიკონი“, რომელშიც თავმოყრილია ბერძნულიდან გადმოთარგმნილი დოგმატიკურ-ფილოსოფიური და პოლემიკური ძეგლები.

გელათის სკოლამ შემოგვინახა VII საუკუნის ბიზანტიელი მოაზროვნის და ღვთისმეტყველის მაქსიმე აღმსარებლის თხზულებათა თარგმანი ქალაქის თითქმის ყველა გვერდზე გაკეთებულია კომენტარები სინგურით, რაც მეტყველებს იმაზე, რომ გელათის აკადემიაში მოღვაწეობდნენ მეცნიერები, რომელთაც შეეძლოთ კომენტარი გაეკეთებინათ VI-VII საუკუნის იმ უდიდესი მწერლისა და ფილოსოფოსის ნააზრევზე, როგორც იყო მაქსიმე აღმსარებელი [მ. ნიკოლეიშვილი. დასახელებული ნაშრომი. გვ. 11]

გელათის სკოლის სალიტერატურო და ფილოსოფიური ნაშრომების გაცნობის შემდეგ ნათელი ხდება ის კულტურულ მწიგნობრული საქმიანობა რომელიც გაჩაღებული იყო ამ სკოლაში გელათის აკადემიაში XII-XVI სს.

გელათის აკადემია თავის კედლებში აერთიანებდა ქართული კულტურის ყველაზე უფრო გამოჩენილ პროგრესულ წარმომადგენლებს, ის XII საუკუნეში გადაიქცა მძლავრ კერად, ამით აიხსნება ის დიდი ავტორიტეტი, რომლითაც ის სარგებლობდა. ცნობილი ქართველი მეზობტი პოეტი იოანე შავთელი გელათს რომსა და ელადას ადარებდა:

„ახალო რომო, შენთვის თქვეს რომო უფროს იქმნესო მყოფთა ყოველთა;
ვნატრი ელადასა, თვით მას გელათსა, სად რომ დაჰკრძალვენ წმინდათ სხეულთა”

[საქართველოს ისტორიის ნარკვევები. თ. II თბილისი 1979 წ. გვ. 377]

არაერთი მონასტერი იყო იმ დროს საქართველოში და მის გარეთაც, მაგრამ ის რაც დავითმა გელათის აშენებით გადამწყვიტა და დაარსა არსებითად განსხვავდებოდა აქამდე არსებული მონასტრებიდან, დავითი შეეცადა ყოველივე ამის ორგანიზებას ქვეყნის ცენტრალიზების განვითარების საქმეში. დაარსა აკადემია-გონებრივი ცენტრი ქართული მეცნიერებისა. მრავალგან დაქსაქსული კულტურული ცენტრების ნაცვლად ერთი მძლავრი კერა შეიქმნა, საუკეთესო ძალები შემოკრებილ იქნა და პირდაპირ ჩადგა ქვეყნის კულტურის სამსახურში.

გელათის აკადემიის შემოქმედებითი მოღვაწეობის ორგანიზატორი და იდეური წამმართველი იყო მეფე დავითი და მისი გვერდით მყოფი უახლოესი მოღვაწეები, იმდროინდელი მონინავე სწავლულები, ამიტომ ჩვენთვის საინტერესოა მათი ნაშრომები, უწინარეს ყოვლისა კი თვით აღმაშენებლის მიერ დაწერილი „გალობანი სინანულისანი”, რომელიც როგორც სპეციალისტები თვლიან შექმნილია ქრისტიანული მსოფლმხედველობით და საერთო ძველი კულტურის ღრმა ცოდნით და ამის ნიმუში ჭეშმარიტი მართლმადიდებლობის და თავდაბლობის. სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია მეფის ხელით ნაწერ უდიდეს ქმნილებას. მაგრამ ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცულია XIII საუკუნის ხელნაწერი ნიგნი. ეს არის კრებული, რომელშიც სხვა საგალობლებთან ერთად წარმოდგენილია დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი”. ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი ნუსხა, რომლის საფუძველზეც გამოიცა ეს შედევი.[ქ.ი.მ. K-22]

ცალკე აღნიშვნის ღირსია ქართული მეტაფრაზული აგიოგრაფია და გელათის აკადემია. გელათის აკადემიაში იმთავითვე განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევიათ საეკლესიო-საისტორიო ნაშრომების თარგმნისა და სწავლებისათვის. აღსანიშნავი არის რომ იოანე ქსიფილინოსის XI საუკუნის ნაშრომი ბერძნულ ენაზე არ შემონახულა, ქართულად ნათარგმნი კი მთლიანად დაცულია, რომელიც შეიცავს 5 დიდ ტომს. იგი შემოგვინახა გელათის აკადემიის წიგნსაცავმა. [მ. ნიკოლეიშვილი. დასახ. ნაშ. გვ.8-9]

შემთხვევით არ იყოს ის რომ მეფე ამხელა მნიშვნელობას ანიჭებდა განათლების და კულტურის შექმნას, ქვეყანაში მნიგნობრობის დონის ამაღლებას. მეფეს არასდროს გაუგდია ხელიდან ხმალი და ნიგნი.

მკვლევართა აზრით გელათის აკადემიაში ძირითადად სწავლების ისეთი სისტემა უნდა ყოფილიყო შემოღებული როგორც საერთოდ იმ დროს ქრისტიანულ აღმოსავლეთში იყო. გელათის აკადემიაში სწავლობდნენ იმ საგნებს რომლებიც შედიოდნენ ე.წ. ტრივიუმ-კვადრიუმის ციკლში. აკადემიაში შვიდი დისიპლინა ისწავლებოდა: გეომეტრია, ფილოსოფია, არითმეტიკა, მუსიკა, რიტორიკა, გრამატიკა, ფილოსოფია და ასტრონომია. [ს. ყაუხჩიშვილი. ქართული უმაღლესი სკოლები შოთა რუსთაველის ეპოქაში თბილისი 1966წ. გვ.34].

ქართულ წყაროებში შემონახულია ცნობები გელათის აკადემიის უფროსის თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, რექტორის შესახებ. იგი მეცნიერი ბერია, უფლების და ავტორიტეტით მოძღვართ-მოძღვარი მაღლა დგას ადმინისტრაციულ და საეკლესიო ხელისუფლებაზეც. გელათის აკადემიის მოძღვართ-მოძღვარს არა მარტო მონასტერში, არამედ მთელს საქართველოში უდიდესი პატივისცემა ჰქონდა მოპოვებული. ტერმინი მოძღვართ-მოძღვარი, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული ძალზე ენათესავება ბიზანტიური უმაღლესი სკოლის მეთაურის სახელწოდებას. [ე. თაყაიშვილი. ხელმწიფის კარის გარეგება.თბილისი 1920 წ. გვ. 32]

გელათი ფიზიკურად გადარჩა და ამაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ. ის მხოლად ორჯერ გამხდარა თავდასხმის ობიექტი. ამ ფაქტორს უდიდესი

მნიშვნელობა ჰქონდა. უნდა აღინიშნოს რომ დაცულობის გამო გელათი ძვირფასეულობის და ეროვნული სიმნიშვნელობის შესანახ ადგილად იყო მიჩნეული. ამ გზით მოხდა ხახულის, ბიჭვინთის და აწყურის ღვთისმშობლის ხატები.

გელათში შექმნილი ხელნაწერი წიგნები ქართული კულტურის უდიდესი განძია, აღსანიშნავია ისიც, რომ დღეს გელათურ ხელნაწერებად მოხსენიებული წიგნები ყველა როდია გელათში შექმნილი ან თარგმნილი, ისინი სწორედ ჟამთა ვითარების გამო მოხვედრილან აქ. ამიტომაც არის რომ გელათური მასალების-ხელნაწერი წიგნების, ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშების ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი ძეგლების წარმომავლობის გეოგრაფიული არეალი ძალზე ფართოა და ის თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავს.

გელათის ფენომენი მრავალმხრივ საინტერესოა, გელათი დღესაც ყურადღებას იქცევს მისი ფრესკების მოხატულობით. ცალკე შედევრია გელათის მოზაიკა-ღვთისმშობელი ყრმით და ორი ანგელოზით. მოზაიკა ქართული საეკლესიო ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს. აღსანიშნავია ის რომ მოზაიკის მხატვრობაში ბიზანტიურთან ერთად დაცული არის ქართული ტრადიციები.

გელათის აკადემიაში გამორჩეული იყო ქართული ოქრომჭედლობის სკოლა. მეფემ სამონასტრო კომპლექსში ქსენონიც ააშენა. მასაც შესაფერისი ადგილი მოუძებნა, სადაც თავადაც დადიოდა მეფე და სწეულებს პირადად ნახულობდა და ამხნევებდა. აქ მკურნალობას ასწავლიდნენ, ექიმებს ზრდიდნენ. ამგვარად, ეს ხელს უწყობდა ქართული სამედიცინო მეცნიერების შემდგომ განვითარებას. [მ. შენგელია, რუსთაველი და გელათი, ჟურნალი „ცისკარი“ 1968 წ. გვ. 13]

დავით მეფემ მონასტერს კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია მიანიჭა-გელათი საქართველოს მეფეთა საძვალე გახდა.[თ. ჟორდანიას, ქრონიკები II გვ. 52]

გასაოცარ შთაბეჭდილებას ახდენს თავად მონასტრის კომპლექსთა საუცხოო არქიტექტურა. რომლის აგებისას სრულიად გაითვალისწინეს კლიმატური და ესთეტიკური თავისებურებანი. მთავარი ტაძარი ღვთისმშობლის შობის სახელზე არის აშენებული. მონასტერი შემოსაზღვრული არის გალავნით, გალავნის შიგნით კი განლაგებულია: ღვთისმშობლის შობის სახელზე აგებული ტაძარი, წმ. გიორგის ეკლესია, წმ. ნიკოლოზის ეკლესია, აკადემია, სამრეკლო, მონასტრის კარიბჭე, სადაც დავით აღმაშენებლის საფლავია.[საქ-ოს ისტ. ნარკვევები ტ. II გვ. 482-483]

გელათის მონასტერში საუკუნეების მანძილზე ერთნაირი ინტენსივობით არ მიმდინარეობდა ცხოვრება, მაგრამ ინტერესი ყოველთვის იყო ამ დიდებული ტაძრის მიმართ.

ყოველწლიურად ათასობით ადამიანი სტუმრობს, ათვალიერებს გელათის მონასტერს. მისი არქიტექტურა, მხატვრობა, კედლის წარწერები და ეპიტაფიები მნახველს ცოცხლად წარმოუდგენენ იმ გარდასულ ცხოვრებას, რომელიც გელათის ქვის კედლებში იყო გაჩაღებული..

ათასწლეულები გადის და საქართველო მაინც დგას, როგორც ბერძენი, ხანგრძლივი იყო მისი წარსული და ხანგრძლივი იქნება მისი მომავალი. მაგრამ საქართველოსთან ერთად იმთავითვე იარსებებს მისი უკვდავი ქმნილება გელათი. ქართველმა ერმა დავით მეფე ფრესკაზე გელათის გარეშე წარმოუდგენლად მიიჩნია, რადგანაც წარმოუდგენელია ახსენო გელათი და დავით აღმაშენებელი არ გაგახსენდეს.

ლიტერატურა:

1. ქართლის ცხოვრება, I ტ. ს. ყაუხჩიშვილი, 1955წ., თბილისი
2. ნ. ბერძენიშვილი, საქ. ისტორიის საკითხები VII ტ. 1974 წ., თბილისი
3. ბ. ლომინაძე, გელათი, 1955 წ., თბილისი
4. თ. ჟორდანიას, ქრონიკები. თბილისი 1892 წ.
5. საქართველოს ისტორიის ნარკვევები III ტ. თბილისი
6. მ. ნიკოლეიშვილი, გელათი, 1999 წ., ქუთაისი
7. ე. თაყაიშვილი, ხელმწიფის კარის გარეგება. 1920 წ., თბილისი
8. ს. ყაუხჩიშვილი. ქართული უმაღლესი სკოლები შოთა რუსთაველის ეპოქაში, სკოლა და ცხოვრება, 1966 წ., თბილისი
9. მ. შენგელია, რუსთაველი და გელათი, 1968 წ. №11, 1968 წ. №12, ჟურნალი „ცისკარი“

MIRANDA MARGVELASVILI
(VOLUNTEER)

DAVID IV THE BUILDER AND GELATI CATHEDRAL

A friend of the church and a notable promoter of Christian culture, he was canonized by the Georgian Orthodox Church.. Grateful people he described as builder – Aghmashenebeli. David Builder, whom his countrymen called the “builder” for his constructive activities, carried through a number of far-reaching reforms. He reorganized the Georgian church. David IV has built The Monastery of Gelati which is a monastic complex near Kutaisi, Imereti, western Georgia. It contains the Church of the Virgin founded by the King of Georgia David the Builder in 1106, and the 13th-century churches of St George and St Nicholas. Before he starts to build a monastery the king of the country has implemented many positive changes. His reforms of the army and administration enabled him to reunite the country and bring most of the lands of the Caucasus under Georgia’s control. David was raised during one of the darkest chapters of Georgian history. King's main task was to unite the country. He was determined to bring order to the land, bridle the unsubmissive secular and ecclesiastic feudal lords, centralize the state administration; David IV pursued a purposeful policy, taking no unconsidered step. King David the Builder gave close attention to the education of his people. In 1103 David IV decided to build an educational Centre, At the time of David the Builder there were quite a few schools and academies in Georgia, among which Gelati occupies a special place. King David's historian calls Gelati Academy. It was not a place where they held an orthodox church service, it was The Gelati Monastery for a long time was one of the main cultural and intellectual centers in Georgia. It had an Academy which employed some of the most celebrated Georgian scientists, Gelati A patron of the art, sciences; David Bulder founded many cultural centers, the Gelati Academi among them. He invited there the noted philosopher, Among the scientists were such celebrated scholars as Ioane Petritsi and Arsen Ikaltoeli. The Gelati Monastery has preserved a great number of murals and manuscripts dating back to the 12th-17th centuries. The Khakhuli triptych had also been enshrined at Gelati until being stolen in 1859. In Gelati is buried one of the greatest Georgian kings, David the Builder. Near his grave are the gates of Ganja, which were taken as trophies by king Demetrius I in 1139. Researchers believe that at the Academy learning system should have been like in the Christian East. Gelati Monastery, lecturer, not only in monastery, also in Georgia must have great need to gain respect. Gelati survives physically, it played a significant part of its geographical location. it was twice attacked. David IV founded the hospital where he had met with diseases.

Every year, thousands of people attracted by its magnificent architecture

Monastery paintings, murals, icons and inscriptions makes great impression on the visitor. The Gelati Monastery, it is impossible for people without David's fresco.



K-10 წიგნი ჰურიისაი



K-25 დიდი სჯულის კანონი





K-14 მაქსიმე აღმსარებელი, თხზულებანი.



K-22 გალობანი სინანულისანი

ქართული ოქრომჭედლობის კლასიკური ეპოქის ნიმუხები ქუთაისის მუზეუმში

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის კოლექციებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს შუა საუკუნეების ქედური და ფერწერული ხელოვნების ნიმუშებს, რომლებიც ქართული მხატვრული ოქრომჭედლობის განვითარების ყველა ეტაპს მოიცავს და ამასთანავე მდიდარია ეპიგრაფიკული მონაცემებითაც. მათ შეეკრებას, შესწავლასა და სამეცნიერო მიმოქცევაში შეტანას ჯერ კიდევ XIX-ის შუა ხანებში ჩაეყარა საფუძველი, როცა ქართული ხელოვნების ისტორიის მკვლევარებმა: აკად. მ. ბროსემ, დ. ბაქრაძემ, ნ. კონდაკოვმა, თ. ჟორდანიამ, ა. ცაგარელმა და სხვ. ეკლესია-მონასტრებში აღრიცხეს საქართველოს სიძველეები და მათი მდგომარეობა, აღწერილობა და ფოტომასალა გამოაქვეყნეს. ამ მიმართულებით ძიებისა და შესწავლის პროცესი მომდევნო ასწლეულშიც გაგრძელდა, წინამორბედ მკვლევართა რიგებს შეემატნენ ს. კაკაბაძე, ე. თაყაიშვილი, გ. ბოჭორიძე. სწორედ გ. ბოჭორიძე აღმოჩნდა ის უკანასკნელი მკვლევარი, ვინც რაჭა-ლეჩხუმსა და იმერეთის ეკლესიებში კიდევ ერთხელ აღწერს მხატვრული ოქრომჭედლობის ნიმუშები, სხვა სიძველეები და მათი დიდი ნაწილი ქუთაისის მუზეუმს გადასცა.

გ. ბოჭორიძის მიერ შეკრებილი მასალებიდან რიცხოვნებითა და ისტორიულ-მხატვრული ღირებულებით გამოირჩევა რაჭის ეკლესია-მონასტრებიდან შემოტანილი ოქრომჭედლობის ნიმუშები.

დასავლეთ საქართველოს მთიანეთში-სვანეთსა და რაჭაში ძველთაგანვე არსებული ტრადიციით, ცალკეული მორწმუნენი თუ მთელი სოფელი შეწირულობებით ამდიდრებდნენ ეკლესიებს და ამ სინამდვილეს ყოველთვის განსაკუთრებული მონივნებით ეპყრობოდნენ, როგორც თავიანთ მფარველებს. შუა საუკუნეების მანძილზე ხსენებულ ისტორიულ მხარეებში ქედური ძეგლების სიუხვე, უპირველეს ყოვლისა, მაჩვენებელია ადგილობრივი საოქრომჭედლო სკოლების მდიდარი ტრადიციების (ქედური ძეგლების უმეტესობა სტილისტურად ქართულია. დ.ს.) ასევე საქართველოს მთიანი მხარეების განცალკევებული, მყუდრო მდებარეობით (საგარეო მტრისაგან შედარებით დაცულობით დ. ს.) ისინი საიმედო ადგილს წარმოადგენდნენ, სადაც შესაძლებელი იყო განსაკუთრებით სათაყვანებელი და ძვირფასი ძეგლების დაცვა. **[საყვარელიძე, ალიბეგაშვილი, 1980: 11]**

რაჭაში (იგულისხმება მდ. რიონის სათავეების ტერიტორია, რომელიც სვანეთს ესაზღვრება. დ.ს.) საეკლესიო სინამდვილის სიმრავლეს ადასტურებს და კონკრეტულად აღრიცხავს XV-ის დოკუმენტი „წიგნი სასისხლო საქმისა ბელას ზემო სვანეთსა და თავად ჯაფარიძეთა შორის“: „ხერხას ერთი მომცრო მონასტერი წმიდის გიორგისა თექუსმეტით ჯუარხატითა.. ხიდურას ორი მონასტერი ორით დიდი ოქროს ხატითა, ოცდათვრამეტითა სხვა დიდით ხატითა, თორმეტი ოქროისა და ვერცხლის კანდლითა, მისით სამონასტრო წიგნებითა... საჯანის დიდი სიონის მონასტერი ოცდათორმეტით ჯვარ-ხატითა... სოფელ ბრილს ერთი ეკლესია თხუთმეტი პატიოსნით ხატით, ბუბას ეკლესია კარგის ჯუარ-ხატითა“. **[ინგოროყვა, 1941: 32-33]**. სწორედ ამ დოკუმენტში იხსენიება პირველად სოფ. ლები: „ლებს ორი აზნაუშვილი გიგაშვილები ციხით და 72 კვამლი კაცი“. იქვე: „სხუა ლების შესავალი სოფლები ჯუმლათ 400 კვამლი კაცი“. **[იქვე: 33]**. აქ სოფლების, მათ ციხე-ეკლესიებისა და კომლთა რაოდენობის იმდენად ზედმიწევნითი ნუსხაა (დოკუმენტი მეფის სიგელია და მას იურიდიული ძალა ჰქონდა. დ.ს.), რომ იგი ლებში ამ დროისთვის ეკლესიის არსებობის ფაქტსაც უნდა ადასტურებდეს, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ასე არ არის. ლების მაცხოვრის ეკლესია, საიდანაც გ. ბოჭორიძე არა ერთი პირველხარისხოვანი ხატწერის ნიმუში წარმოადგინა, XIX-ის 50-იან წლებში ააგეს. ძველი მაცხოვრის დაზიანებული ეკლესია კი 1840-იან წლებში დაანგრიეს. ის 1833წ. უნახავს დიუბუა დე მონპერეს, რომელმაც ძეგლის მოკლე აღწერილობაც დაგვიტოვა. მისი გადმოცემით, „ეკლესია ლების ძველი და ძალზე სადაა. მას აქვს ოთხკუთხა გუმბათი. აკლდამები ზედაპირზე ეკლესიის გარშემო არის განლაგებული, რომელიც სოფლის ყველაზე მაღალ ადგილზეა“. **[დიუბუა, 1843: XVIII]**

ამ ეკლესიის აგების სავარაუდო დროდ (ქვედა ზღვარად. დ.ს.) XVI საუკუნეა მიჩნეული, რადგან, როგორც ზემოთ მოხმობილი დოკუმენტიდან ჩანს, წინა ასწლეულში მისი არსებობის ფაქტი არ დასტურდება.

ღების ეკლესიის სიძველეები XIX-ში აღწერეს და გამოაქვეყნეს აკად. მ. ბროსემ და პ. უვაროვამ, 1919-1920 წწ-ში იგივე მიზნით იმოგზაურა რაჭაში ე. თაყაიშვილმა.

გ. ბოჭორიძე რაჭაში 1925-1927წწ-ში სამჯერ იმყოფებოდა: ჯერ აღწერა საეკლესიო სიძველეები, შემდეგ-არქიტექტურული ძეგლები და ეპიგრაფიკული მასალა. ღების ეკლესია 1920-იან წლებში კლუბად გადაუკეთებიათ, რასაც საეკლესიო ნივთების ნაწილის დატაცება მოჰყოლია. გ. ბოჭორიძეს ეს ფაქტი წინამორბედ მკვლევართა გამოცემებთან თავისი აღწერილობის შედარებისას დაუფიქსირებია: „სიძველეები და წარწერები, აღწერილი ბროსეს მიერ f, I, s მუხლებს ქვეშ არსადა სჩანსო“. [ბოჭორიძე, 1994: 268] ღების მაცხოვრის ეკლესიაში დაცული ნივთები მკვლევარმა ქუთაისის მუზეუმს გადასცა [E-192: საბ. №2482]. ეს სიძველეები სხვადასხვა დროისაა: XI ს-დან მოკიდებული გვიანი შუა საუკუნეების ჩათვლით.

ჩვენს ინტერესს სწორედ ადრეული ხანის ძეგლები იწვევს და წინამდებარე სტატიაც მათ მხატვრულ-ისტორიულ ანალიზს უნდა დაეუფლოს.

ჭედური და ფერწერული ნამუშევრების ამ თუ იმ ეპოქისათვის მიკუთვნება ან მისი ზუსტი დათარიღება რიგ შემთხვევებში შესაძლებელია მათზე შემორჩენილი წარწერების მიხედვით, მაგრამ, სამწუხაროდ, ეპიგრაფიკული მონაცემები ბევრ ნაწარმოებზე განადგურებულია, (ზოგჯერ თავიდანვე მის გარეშეა. დ.ს.) და მათი შექმნის დროზე მითითება ფიგურათა პლასტიკური მოდელირების, ორნამენტული დეტალების სახეების, შესრულების ხასიათის და ტექნიკის მიღწევებზე დაყრდნობითაა შესაძლებელი. [ჩუბინაშვილი, 1948:4] მართალია, ძველი დროის ხელოვნების მონაპოვრები გვიანდელ პერიოდშიც განაგრძობენ არსებობას, მაგრამ ქართულ ოქრომჭედლობას გააჩნია ზრდა-განვითარების ცალკეული ეტაპები სახასიათო შემოქმედებითი ტენდენციებით, რაც საშუალებას გვაძლევს მხატვრულ ქმნილებებს თავისი ადგილი მივუჩინოთ. წინამდებარე გამოკვლევაში ჩვენც ხატწერის ევოლუციის ეტაპებისეული ტენდენციების გათვალისწინებით მოგვიწევს ოქრომჭედლობის რამდენიმე ნიმუშის შეფასება.

ხატები, ღების ეკლესიისა, ძირითადად, ორი ტიპისაა: (სულ საქართველოში სამი ტიპის ხატები გვხვდება: მთლიანად ფერწერული, ჭედური და შერეული. დ. ს.) ნაწილი მთლიანად ჭედურია, ე.ი. ხატი დამზადებულია ვერცხლის ერთიანი ფირფიტისაგან ჭედვით და არშიებიც ვერცხლისავე ჭედური ფირფიტებით აქვს შემოსილი; ნაწილი ხატებისა კომბინირებულია: სახე, ხელები წმინდანთა გამოსახულებებისა ფერწერულია, ანუ ხის დაფაზეა ნახატი საღებავებით, დანარჩენი ნაწილები ფიგურისა ჭედურია. როგორც წესი, ჭედურია ასეთი ხატების ჩარჩო-არშიებიც.

იკონოგრაფიული მოტივებიდან აქ წამყვანი ადგილი წმ. გიორგისა და მთავარანგელოზთა გამოსახულებებს უჭირავთ. გვაქვს ქვეითი და მხედარი წმინდა მეომრის, აგრეთვე მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზების როგორც წყვილი, ისე ცალკეული ხატწერის ნიმუშები. (შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში ცნობილია მთავარანგელოზთა თითქმის ყველა კანონიკური ტიპი: ღვთის მსახურის, მაცნესი, მეომრის, უფლის ტახტის მცველის. დ. ს.)

მთავარანგელოზთა ხატებიდან სამი მთლიანად ჭედურია, ორიც კომბინირებული. ჭედური ხატებიდან, პირველ რიგში, აღსანიშნავია წყვილ მთავარანგელოზთა ხატი (საინვ. №3153/574). მისი აღწერილობა, ფოტო და ჩანახატი დაცულია პ. უვაროვას, ე.თაყაიშვილსა და გ. ბოჭორიძესთან. მიუხედავად იმისა, რომ რუს მკვლევარს ეს ხატი არ დაუთარიღებია, ღების ეკლესიის სიძველეებიდან მხატვრული დონით იგი ყველაზე ღირებულად მიაჩნდა [Мак, 1894: 112].

ე.თაყაიშვილი მოკლედ ახასიათებს ხატის სიუჟეტს, ფიზიკურ მდგომარეობას და მას XII-XIII სს-ის ოქრომჭედლობის ნიმუშებს შორის მოიაზრებს. კიდევ უფრო ზოგადია გ. ბოჭორიძისეული აღწერილობა. ის გადმოგვცემს ხატის მდგომარეობას, წარწერებს დათარიღებისა და მხატვრული ანალიზის გარეშე. [ბოჭორიძე, 1994:267]

ეს ხატი ქუთაისის მუზეუმში 1930 წ-დან ინახება. XIX-ის მიწურულს, პ. უვაროვას რაჭაში მოგზაურობისას, როგორც ეს იმდროინდელ ფოტოზე ჩანს, ხატი შედარებით სრულყოფილი იყო, შემდეგ უფრო დაზიანებულა. კერძოდ, ახლა ბევრად ნაკლოვანია მარჯვენა და მარცხენა არშიები,

მთლიანად მოშლილია გაბრიელ მთავარანგელოზის სახე, დაკარგულია მარცხენა არშიის წმ. მხედრის მცირე გამოსახულება, და საერთოდ განადგურებულია ხატის ფიცარი.

ფიგურები, ტრადიციისამებრ, ფრონტალურად არიან წარმოდგენილი, გრძელი სამოსით, ერთ ხელში სკიპტრით, მეორეში-ლაბარუმით. ანგელოზთა ასკეტური სახეები აქცენტირებულია გლუვი შარავანდედით. თავს ზემოთ ქარაგმის გახსნით იკითხება: „მიქაელ მთავარი, გაბრიელ მთავარი“. ხატის თავისუფალი ფონი შემკულია გრავირებით შესრულებული ორმაგ წრეში ჩასმული ორნამენტული ვარდულით. ხატის ცენტრალური გამოსახულების ჟღერადობისათვის გამოყენებულია ოქროთი დაფერვა.

ხატის არშიების ნაშთებით აღქმადი ხდება მისი დამუშავების ტექნიკაც და სტილიც: ჭედვით გამოყვანილია წრეში ჩასმული ნყვილი მრავალყურა ყვავილოვანი ორნამენტი. გვერდით არშიების შუაში ორნამენტის რიგი წმ. მხედართა ფიგურებითაა გამიჯნული. არშიების ანალოგიური ორნამენტული რიგით გაფორმება, ძირითადად, XI ს-ის ჭედურ ძეგლებზე გვხვდება (ჩაჟაშის ღმრთის-მშობლის ჩვილადი ორი ხატი, სეტისა და ნაკიფარის წმ. გიორგისა და მურყმელის მთავარანგელოზის ხატები. დ.ს.), მაგრამ, ხატის დათარიღებისათვის მთავარი მაინც მისი კომპოზიციური აგებისა და ფიგურათა სკულპტურული დამუშავების ხერხებია. ამ ამოცანების გადაწყვეტით კი, ვფიქრობთ, მთავარანგელოზთა ხატის შემქმნელი დროში წინ უსწრებს „გარაყანიძეთა“ ხატის ავტორს. ონის საჯანის კარის ეკლესიის ეს ცნობილი ხატიც ქუთაისის მუზეუმშია დაცული და კარგად ასახავს XIII ს-ის ქართული ოქრომჭედლობის ტენდენციებს. მისგან განსხვავებით, ღების მთავარანგელოზთა ხატს ეტყობა ავტორის შემოქმედებითი თავისუფლების მანერა: მართალია, აქაც სახეები ასკეტური გამომეტყველებისაა, მაგრამ შესაშური ოსტატობითაა წარმოჩენილი ფიგურათა სივრცესთან მიმართება. ისინი გადმოცემულია მთლიანობაში, დაუნაწევრებლად, ანუ სხეულის ცალკეული დეტალების განზრახ გადიდების გარეშე. ანგელოზთა სამოსის ქვეშ იგრძნობა მინიერი ადამიანის სხეული, რასაც მოკლებულია საჯანის კარის მთავარანგელოზთა ხატის ფიგურები. ამიტომ მიგვაჩნია, რომ კომპოზიციური აგებით, მთლიანი დეკორაციითა და სკულპტურული გადანყვეტით ეს ძეგლი ღების ეკლესიის ხატებიდან ყველაზე ადრეულია და XI-XII სს-ის მიჯნით უნდა დათარიღდეს.

წმ. გიორგის კულტის განსაკუთრებული თაყვანისცემით აიხსნება საქართველოში მისი იკონოგრაფიული გამოსახულების მრავალფეროვნება და რიცხობრივი სიდიდეც. უმეტეს შემთხვევაში ოსტატები წმ. მხედარს ქვეითი ან ცხენოსანი მეომრის სახით წარმოადგენდნენ. ქვეითი მხედრის იკონოგრაფიული ტიპი ფართოდ იყო გავრცელებული ქრისტიანულ ხელოვნებაში, თუმცა, XII ს-მდე ის იშვიათად გვხვდება. ქართული ჭედურობა კი, პირიქით, უხვ მასალას იძლევა X-XI სს-ისა და მომდევნო ხანის ქვეითი წმ. მეომრის ტიპებისათვის. **[ჩუბინაშვილი, 1959: 245]**. ქვ. წმ. გიორგის ადრეული პერიოდის თვალსაჩინო ნიმუშებს მიეკუთვნება ჩუკულისა და ჩიხარემის ტრიპტიხები (X ს.), ქართული ოქრომჭედლობის კლასიკური პერიოდის მაღალმხატვრულ ქმნილებებს კი ჯუმათის, ხიდისთავისა და გლენჯერის ხატები (XI ს.), რომელთა ავტორების შემოქმედება ხასიათდება ეპოქალური მიღწევებით. სწორედ ამ პერიოდში ავიდა ქართული ოქრომჭედლობა განვითარების უმაღლეს საფეხურზე, აქ გამოვლინდა ქართული თვითმყოფადობა, ხელოვანის მიერ უცხოური ტრაფარეტული სტილის რღვევისა და ხატწერაში შემოქმედებითი თავისუფლების მანერა. ოქრომქანდაკეობის ზეობის დროის ტრადიციები მომდევნო ხანაშიც აგრძელებდნენ არსებობას, რის ნიმუშადაც ქუთაისის მუზეუმში დაცული წმ. გიორგის რამდენიმე ხატი გამოდგება. ეს ხატები შოდის ეკლესიისათვის შეიქმნა, მისი დაზიანების შემდეგ ისინი ღების ეკლესიაში დაუსვენებიათ და აქედანვე გადმოიტანა გ. ბოჭორიძემ ქუთაისის მუზეუმში 1930წ.

წმ. გიორგის ხატი (საინვ. №3161/451) შესრულებულია ვერცხლის ფირფიტაზე ჭედვით და გადაკრულია ხის დაფაზე. მისი ზომაა 43×67 სმ. ამ ხატმა ჩვენამდე ძლიერ დაზიანებული სახით მოაღწია-ხელები, ტანი და სახე აღარ აქვს, მიუხედავად ამისა, ძნელი არ არის იკონოგრაფიული მოტივის გარჩევა: წმინდანი ქვეითი მხედრის სახითაა წარმოდგენილი, მთელი ტანით. ხატის ცენტრალურ ნაწილზე შერჩენილი ჭედურობის მიხედვით, რაზედაც ფარის, შუბის წვერისა და ტარის დაბოლოება სჩანს, წმ. გიორგი ოსტატმა გამოსახა მარცხენა ხელით ფარზე დაყრდნობილი, მარჯვენათი შუბით, ტანზე აბჯრითა და გრძელი, კოჭებამდე მწვდომი მოსასხამით. წმინდანის ტანი

მოკლე, ფირფიტებით შედგენილი ჯავშნით ყოფილა შემოსილი. მისი ფრაგმენტი მარცხენა მხარეზეა შერჩენილი, გამოსახულების შუა ნაწილზე დაფიქსირებული ქედურობის დეტალზე კი იკითხება მხედრის სამოსი-კაბა.

ნმ. გიორგის ფიგურის პროპორციულია მაღალი, სწორ, ბუნებრივ პოზაში დაყენებული და ნწული ორნამენტით შემკული ქვედა კიდურები. ნიშბო ხატისა გლუვია, უორნამენტო. მის შესამკობად გამოუყენებიათ სამი თვალი, რომელთაგან ერთი, თავს ზემოთ, უშუალოდ ნიშბოზე ყოფილა დამაგრებული, ორი კი ნიშბოს გარეთ, ფიგურის კისრის გასწვრივ. ახლა თვალსამკაულების მხოლოდ ბუდეებია დარჩენილი. განმარტებითი წარწერა წმინდანის თავის გასწვრივ, ორ ჯვარმედალიონშია ჩასმული (ქარაგმის გახსნით იკითხება: „წმიდაი გიორგი შოდის“. აქ ასო „ს“ უადგილოდაა დასმული ქარაგმის მეორე ნაწილის დასაწყისში, უნდა იყოს ბოლოში. დ.ს.). იმ ნაწილს, სადაც ფარი იყო გამოსახული, ახლა ფარავს სრულიად უადგილოდ და უსისტემოდ დამაგრებული სამი ოთხკუთხა ფირფიტა, თითოეულზე ხატის იკონოგრაფიული სტილის იდენტური გამოსახულებებით. ყოველივე ეს ძველი ხატისადმი მონივნების გამომხატველია მხოლოდ და მხატვრული თვალსაზრისით მას არაფერს ჰმატებს. არშიები ქედვითაა დამუშავებული. მასზე ამოყვანილია „ლურსმული“ ორნამენტი, რომლის თითოეული რიგი გაყოფილია რელიეფური გლუვი მედალიონებით. ხატის ირგვლივ არე საგულდაგულოდ იყო დამუშავებული. ოქრომჭედელმა წმინდანი მდიდრული დეკორაციის ფონზე წარმოადგინა. რთული, „ბრონეულის ყვავილის“ სტილიზებული გამოსახულება გრავირების ტექნიკითაა შესრულებული. ხატის ცენტრალური არის ჟღერადობისათვის ოსტატმა გამოიყენა კოლორისტული ეფექტი- სკულპტურა და დეკორი ოქროთი დაფერა. სახე წმინდანისა ტიპიურია, ქართული იკონოგრაფიისათვის დამახასიათებელი- ოვალური, სავსე, დიდი, ნუშისებრი თვალებით, ხშირი, ხუჭუჭი თმებით, რაც მთლიანობაში ფიგურას ძლევამოსილების იერს ანიჭებს. გამოსახულების ექსპრესიულობას მხედრის სხეულის მოცულობითობაც აძლიერებს.

გ. ბოჭორიძე და პ. უვაროვა ხატს არ თარიღებენ, ე. თაყაიშვილის დაკვირვებით, მისი ყველა დეტალი ერთდროული არ არის, კერძოდ, არშიები გვიანდელი ნამუშევარია, გამოსახულება და მისი დეკორაციული ფონი- ადრეული. **[თაყაიშვილი, 1963:13]**

X-XI სს-თა მიჯნაზე დასავლეთ საქართველოში შექმნილი ქვეითი ნმ. გიორგის ხატები ქედური ხელოვნების სხვადასხვა ეტაპს წარმოადგენენ. პირველი ეტაპის ძეგლები: ლახუშტის, ლაგურკასა და ქაშუეთის ნმ. გიორგისათვის დამახასიათებელია მკაცრ კანონიკურ ჩარჩოში მოქცეული სკულპტურული პრივიტივიზმი, სხეულისა თუ სამოსის დამუშავება დეტალიზაციის გარეშე, წმინდანის ფიგურის მცირე ზომა, მისი გამოსახვა უორნამენტო ფონზე და არშიების მკვეთრად გაზრდილი მოცულობა.

მომდევნო ეტაპის ოქრომჭედლობის მიღწევები, როგორც აღვნიშნეთ, ასახულია ჯუმათის, ხიდისთავისა და ლენჯერის ნმ. გიორგის ხატების (XI ს-ის 30წ.) მქანდაკებელთა შემოქმედებაში **[ჩუბინაშვილი, 1959: 257-262]**.

მართალია, შოდის ნმ. გიორგის ხატი ყოველმხრივ მათ თანატოლ ნაწარმოებად ვერ ჩაითვლება, მაგრამ იგი ცხადად ამჟღავნებს მისი ავტორის პროფესიონალიზმს, რომლის შემოქმედება საზრდოობს ქართული ოქრომჭედლობის კლასიკური ეპოქის მიღწევებით. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ შოდის ნმ. გიორგის ეს ხატი XI ს-ის მიწურულს, ან XII ს-შია შექმნილი, ყოველ შემთხვევაში, იგი XII ს-ზე გვიანდელი არ არის.

შოდის მეორე ხატი (საინვ. №3214/498) განასახიერებს ცხენოსანი ნმ. გიორგის მიერ იმპერატორ დიოკლეტიანეს განგმირვის სცენას. ესეც გ. ბოჭორიძის მიერ არის წარმოდგენილი ქუთაისის მუზეუმში ლების ეკლესიიდან. ხატის შესახებ მონაცემები დაცულია მ. ბროსეს, პ. უვაროვას, (ფოტომასალა) ე.თაყაიშვილის, გ. ბოჭორიძის გამოცემებში. მ. ბროსეს აღწერილობა გვიჩვენებს, რომ ხატს ორი წარწერა ჰქონია. ერთი მათგანი ნმ. მხედრის თავის გასწვრივაა ორმხრივად ჯვარმედალიონებში. (ქარაგმის გახსნით იკითხება: „წმიდაი გიორგი შოდის“. დ.ს.). მეორე კი მოთავსებული იყო დიოკლეტიანეს თავს ქვემოთ, გლუვ მედალიონზე: „წმიდაო გიორგი შეინყალე შოდელი (კვირიკე?) ბერი წინაშე ქრისტიის“, რაც პ. უვაროვასეულ ფოტოზე სჩანს და ამჟამად დაკარგულია. ასეთივე ბედი ეწია დიოკლეტიანეს ფიგურის შესატყვის წარწერას-„დიოკლეტიანე მეფე“. გარდა

ამისა, როგორც ძველ ფოტო გვაჩვენებს, XX ს-ში დაზიანებული ხატის ფიცარი, დაკარგულა მარჯვენა არშიის შეჭვიდილობის დაბოლოება და ზედა არშიის შუა მედალიონი.

ცხენოსანი წმ. გიორგის ხატებმა ჩვენამდე საკმაო რაოდენობით მოაღწიეს, X-დან XIX ს-ის ჩათვლით. განსაკუთრებით ბევრია შექმნილი ისინი დას. საქართველოს მთიანეთში- რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთში. სამაგალითოდ შეიძლება დავასახელოთ: წრომი-ჩობენის, იფარის, ლაბეჭინის, სეტის და ნაკიფარის ხატები. ყველა ეს ხატი დაახლოებით 1 საუკუნის (XI ს.) მანძილზეა შექმნილი, მიუხედავად ამისა, ისინი სკულპტურული დამუშავებით და კომპოზიციური აგებით ორ ჯგუფად უნდა გავყოთ: პირველში უნდა მოვაქციოთ წრომი-ჩობენისა და იფარის წმ. გიორგის ხატები შემდეგი საერთო ნიშნების მიხედვით: 1. უმეტეს შემთხვევაში იკონოგრაფიული სიუჟეტი მოცულობის მხრივ ძლიერ „შეკუმშულია“, იმდენად, რომ არშიებზე განლაგებული ნახევარფიგურების ზომამდეა დაყვანილი; 2. სიუჟეტი მოკლებულია დინამიურობას, ოსტატის ამოცანას მხოლოდ იკონოგრაფიული სცენის შინაარსის გადმოცემა წარმოადგენს; 3. ხატის გულის ფონი მოკლებულია ყოველგვარ მხატვრულ დამუშავებას. 4. ხატი ისეა აგებული, არშიები მკვეთრადაა ამალღებული სკულპტურული გამოსახულების რელიეფთან შედარებით და იკონოგრაფიულ სიუჟეტს მასშტაბურობითაც სჯაბნის.

მეორე ჯგუფში სეტის, ნაკიფარისა და ლაბეჭინის წმ. გიორგის ხატები ერთიანდება. ყველა ხატზე წმ. გიორგი უორნამენტო, გლუვ ფონზეა გამოსახული, სამაგიეროდ უხვადაა შემკული მათი არშიები ჭედვით გამოყვანილი წყვილი ან ერთრიგა ყვავილოვანი ორნამენტითა და წმინდანთა ნახევარფიგურებით. პირველი ჯგუფის ხატებისაგან განსხვავებით აქ გამოსახულების მოცულობაა ნამყვანი და არა არშიები. ეს უკანასკნელი უკვე დამატებითი ელემენტია, იკონოგრაფიულ სცენას დაქვემდებარებული. ამ ნაწარმოებების ავტორთა ჩანაფიქრი არაა სიუჟეტების ტრაფარეტული ასახვა, ისინი მიისწრაფვიან ახლებური, სტილისტურად განსხვავებული ძეგლების შექმნისაკენ, როცა აღქმადი ხდება ხელოვანის ინდივიდუალიზმი, თავისუფალი შემოქმედებითი მანერა როგორც ცალკეულ სკულპტურათა და დეტალთა გადმოცემაში, ისე ხატის კომპოზიციური მთლიანობის მიღწევაში. სწორედ ასეთი მაღალი ოსტატობის ნაყოფია შოდის წმ. გიორგის ხატიც. მასზე ყველაფერი საგულდაგულოდაა დამუშავებული: ფიგურები, მათი სამოსის დეტალები, ფონი და არშიები. ავტორისათვის აქ თითქოს მეორეხარისხოვანი არაფერია, თვით არშიებსაც კი, რაც ამ შემთხვევაშიც მთავარი სცენის დამატებითი ელემენტია, იგი ნაკლებ ყურადღებას როდი უთმობს. ჭედვით ჯერ გამოსახულია მცირე „ლურსმული“ ორნამენტი, რაც უფრო დიდი ზომის ანალოგიურ დეკორაციაშია ჩასმული, ეს უკანასკნელი კი წრეებითა აქცენტირებული. სიუჟეტი გადმოცემულია დინამიკაში. ცოცხალი, რეალურთან ზედმიწევნით მიახლოებულია წმ. მხედრისა და დიოკლეტიანეს შერკინება. წმინდანი საბრძოლო პოზაშია წარმოდგენილი: თავით ოდნავ წინ დახრილი, მარჯვენა ხელით აღმართულ შუბს ძირს დანარცხებულ მეფეს აძგერებს. ეს უკანასკნელიც, შესაბამისად, სასიკვდილოდ დაჭრილის პოზაშია გამოსახული. მხედრის მოძრაობის შესაბამისია ცხენის ფიგურაც-ყალყზე შემდგარი, დაჭიმული სხეულით, ძირს დახრილი თავით, ნახტომით მხედრითურთ თავს გადაეღება განგმირულ დიოკლეტიანეს. მთლიანობაში კომპოზიცია წმ. გიორგის გამარჯვებულ, „მეფეთა უძლეველ წინამებრძოლად“, ძლევა მოსილ და ტრიუმფატორ მხედრად წარმოადგენს, რაც მხატვრული თვალსაზრისით წარმატებით, დიდი ოსტატობითაა მიღწეული.

რაც შეეხება ხატის დათარიღებას. პ. უვაროვა მის თარიღს არ აზუსტებს, და, ხატს მხატვრული ღირებულების მხრივაც მდარე ნაწარმოებად თვლის. [Мак, 1894:112]. ე. თაყაიშვილის შეფასებით „ხატი კარგი ხელობისაა, არა უგვიანეს XIV საუკუნისა“ [თაყაიშვილი, 1963:14]. გ. ბოჭორიძე შოდის წმ. გიორგის ხატს XVII ს-ით ათარიღებდა. [ბოჭორიძე, 1994:261].

ჩვენს მიერ განხილული შოდის წმ. გიორგის ორივე ხატი მხატვრული დამუშავების სტილით ძალზე ახლოს დგას ერთმანეთთან: ხატის ფონისა და არშიების ორნამენტაციით, ფიგურების დეტალურად დამუშავებისა და რეალურ სცენებთან, ბუნებრივ სახეებთან მაქსიმალურად მიახლოებულად გამოსახვით, კოლორისტული ეფექტების გამოყენებით, კომპოზიციათა დინამიურობითა და ექსპრესიულობით. ამდენად, ეს ორი ხატი არა მარტო თანადროულია, არამედ ერთ საოქრომჭედლო სახელოსნოში უნდა იყოს შექმნილი და, შესაძლოა, სულაც ერთი ოსტატის მიერ.

სტატიაში განხილული ხატების გარდა ქუთაისის მუზეუმში ოქრომჭედლობის კლასიკური თუ შემდგომი ეპოქების მრავალი ნიმუშია დაცული, რომელთა შესწავლას მომავალშიც განვაგრძობთ.

ლიტერატურა:

1. გ. ბოჭორიძე, 1994, რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები
2. დიუბუა დე მონპერე, 1840: XVIII.
3. ე. თაყაიშვილი, 1963, მოგზაურობა რაჭასა და ლეჩხუმში
4. პ. ინგოროყვა, 1941, სვანეთის საისტორიო ძეგლები
5. თ. საყვარელიძე, გ. ალიბეგაშვილი, 1980, ქართული ქედური და ფერწერული ხატები
6. ქუთაისის მუზეუმის არქივი, EE-192: №2482.
7. გ. ჩუბინაშვილი, 1948, X და XI საუკუნის ქართული ქედური ხელოვნების ხასიათის საკითხისათვის
8. Материалы по археологии Кавказа, IV, 1894.
9. Г. Чубинашвили, 1959, Грузинское чеканное искусство

DATO SULABERIDZE

GEORGIAN GOLDSMITH MODELS OF CLASSICAL EPOCH FROM KUTAISI MUSEUM

Middle centuries dated engraved and pictorial models are taking an important place in the collections of Kutaisi State Historical Museum. They are contained all stages of development Georgian pictorial goldsmith and is rich with epigraphic data's. From the middle of XIX century, begin to collecting and studding this materials, when Georgian Art History's researchers Acad. M. Brose, D. Baqradze, N. Kondakov, T. Jordania, A. Tsagareli and others described Georgian antiquities in the churches and monasteries and published their situation and imagery. Researches on this side continued in next decade too and in this list added S. Kakabadze, E. Takhaishvili and G.Bochoridze. G. Bochoridze traveled in Racha-Lechkhumi and Imereti and once again collected sanctuaries from churches and gave them to the Kutaisi State Historical Museum.

In the highland of west Georgia _ in Svaneti and Racha, there was a tradition of donating saint icons to churches and protecting them. During middle centuries, bounty engraved materials are meaning of a rich traditions in a local smiths schools. Also, highlands ware a quiet and hopefully place to save and protect these materials from the enemy. XV century's one document contains information about sanctuaries of churches in Racha. There is an information about village Gebi. The old church in Gebi must be built in XVIc, but in XIX it was rebuilt again. Exactly from this church brought Gorge Bochoridze St. icons in Kutaisi Museum.

Now we have to discuss about three of them.

The first from them is engraved icon of St. Archangels which is damaged, but using remaining details and old photos we can rate it as an art creature. At first we have to mention technology of treatment figures and distribution in space. The faces of the figures, in comparison with older models, is less ascetic, body is shown completely, the pose of standing is natural, clothes and wings are processing in details, under the clothes is feeling not supernatural, but live, earthly body of human. The central part of the icon is made with gold and is decorated with multi-eared flowered ornament. On the border there is engraved rosed ornament. Depending to this signs this icon belongs neither XI c earlier period, nor XII c late period.

After it, in the topic we are discussing St. George's icon, dedicated for Shoda's church. At the boundary of X-XI cc. a lot of infantry St. George's icons was created in Georgia. With their pictorial standpoint we can divide them in two parts. First group contains icons which are represented with small body figures, without treatment of body and clothes.

Second group contains St. icons from the villages Jumati and Khidistavi. Here is violating main style and strong canonical frames. In the treatment of icon is felling real soul of the creator. These icons are not only St. picture for praying, but also monument of art. St. icon from Shoda's church belongs to the style like this, and is dating from II half of XI c. till the beginning XII c.

The second icon is from Shoda. On the icon is expressed St. George killing Diocletian. St. George's icons which were created during XI century are divided in two groups. The first contains icons from villages Tsromi, Chobani and

Ifrari. These icons have typical form_ they are squeezed, without dynamic iconography reports, ornament background and the borders are too large. The second group contains St. George's icons from villages Seti, Labechini and Nakifari. These icons have completely different forms against the first. These icons are distinguished by their sculptural volume, dynamic and expressivity, iconographic reports are more reality and some of details are carefully manufacturing. Exactly like this high quality works product is St. George's icon from Shoda. Every detail is made with a great carefully on this icon_ figures, details of clothes, background and borders. The subject is represented with dynamic. Scene is like alive, very close to the truth. Saint has is in a fighting trim_ head is forward inclined and with hoisted hand, lance in it, he is killing Diocletian. Accordingly, Diocletian has a pose of fatally wounded person, who is dies. Finally the icon shows us St. George as an invincible person and triumphal rider. Both icons of S. George's are too close together with their style_ with their backgrounds and borders ornaments, detailed processing of figures and reality scenes, maximally close natural faces, with dynamic composition and expressivity. That's why these two icons are dated to the same centuries and might be manufacturing in the same goldsmith factory and even have the same master.

Besides these icons there are a lot of classical epoch smithing materials in Kutaisi State Historical Museum and we'll be continue study them in future.



იფრარის წმ. გიორგი



ლაგურკას წმ. გიორგი



ნაკიფარის წმ. გიორგი



ჯუმათის წმ. გიორგი

ფერწერული ტრიპტიქი ჭელიშის უდაბნოს ეკლესიიდან

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის სახვითი ხელოვნების ფონდში (ფერწერული ხატების კოლექცია), დაცულია ფერწერული ტრიპტიქი (სურ. 2) საუფლო დღესასწაულთა სცენებითა და ცალკეულ წმინდანთა გამოსახულებებით. კარედი ხატი (DB – 50, 51, № 1867), ძველი შემოსულობათა წიგნის მიხედვით, მუზეუმში შემოსულია 1926 წელს რაჭიდან, ჭელიშის უდაბნოს ეკლესიიდან. ის მოხსენიებულია ამავე ეკლესიიდან გადმოტანილ სხვა ნივთებთან ერთად, რომლებიცაა: ოქროდაფერილი მაცხოვრის, ღვთისმშობლის ხატები (ლაშხიშვილთა მოხსენიებით, XVI - XVIII სს.), დაფარნები, ოდიკი (1818წ.), ხელნაწერი წიგნები — ზადიკი (1743წ.), მეტაფრასული კრებული (1808წ.) და სხვა.

ჭელიშის მონასტრის ღვთისმშობლის ეკლესია დღეს სანახევროდ დანგრეულია (სურ.1). ის დიდი კულტურის ცენტრი უნდა ყოფილიყო. XI საუკუნეში აქ უკვე განვითარებულია სამწერლობო საქმიანობა და საეკლესიო ხელოვნება, რასაც მოწმობს ამ პერიოდში ჭელიშის უდაბნოში შექმნილი ოთხთავის ანდერძი, რომელიც მოგვიანებით ხონჭიორში გადაუტანიათ. 1902 წელს არქიმანდრიტმა ამბროსი ხელაიამ ეკლესიის ეზოში აღმოაჩინა აკლდამა, სადაც ინახებოდა „მოქცევაი ქართლისა“-ის მანამდე უცნობი ხელნაწერის ვარიანტი, შატბერდულზე უფრო ვრცელი. სამონასტრო ცხოვრება აქ XX ს.-ის 30-იან წლებამდე გრძელდებოდა.

კარედის მოხატულობის აღწერა:

საინტერესო და მეტად მნიშვნელოვანია XX ს.-ის 20-30-იან წლებში გაუქმებული ეკლესიებიდან მუზეუმებში გადატანილი საეკლესიო ნივთებისა და ხატების შესწავლა, რომელთა უმრავლესობას არ გააჩნია არც დამატარებელი წარწერები, არც დამკვეთთა ვინაობა და არც შემქმნელის სახელი. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვან წყაროს თავად ხატი წარმოადგენს: მოხატულობის სცენათა და ფიგურათა აღწერა და ამოცნობა, მხატვრულ-სტილისტური ანალიზი, პარალელების მოძიება გარკვეულ ინფორმაციას გვანვდის მის შესახებ. სწორედ ამ მიმართულებით შევეცადეთ ფერწერული ტრიპტიქის შესწავლა. კვლევის ამ ეტაპზე ნაშრომი მიმოხილვით ხასიათს ატარებს.

კარედი ხატის მოსახატად გამოყენებულია ხის მკვრივი და გამძლე ჯიში — კაკალი. მისი ცენტრალური ნაწილი გამოთლილია მასიური ხის დაფისაგან, რომელზეც მიმაგრებულია თხელი ფიცრის კარებები. ხის ტრიპტიქს ფიგურული ფორმა აქვს და ბოლოვდება სამკუთხა ფორმის დეტალით. ზედა ნაწილში, რომელსაც თაღოვანი, დაკბილული მოხაზულობები გააჩნია, დაფის სისქეშივე ამოჭრილია სპეციალური უბეები ცალკეულ ფიგურათა მოსათავსებლად. მოხატულია ცენტრალური ნაწილი და კარებები ორივე მხრიდან. ფრთების დახურვისას ჩანს კარედის მოხატული გარეთა მხარეც და ცენტრალური დაფის ზედა ფერწერული ნაწილიც, სადაც ცენტრში, მედალიონში ჩახატულია უფლის ნახევარფიგურული გამოსახულება. ერთი შეხედვით, ეს არის ქრისტე „ძუელი დღითაი“ - მოხუცებული მაცხოვრის იკონოგრაფიული სახე, რომელიც მიუთითებს მამასთან თანაარსობასა და უწინარეს საუკუნეთა ყოფნაზე. ეს ტიპი ასევე აერთიანებს ქრისტე ყოვლისმპყრობელის იკონოგრაფიასაც — ის მარჯვენათი აკურთხებს, ხოლო მარცხენა ხელში ჯვრიანი სფერო — სამყაროს მოდელი უჭირავს. მიუხედავად ამისა, წარწერაში ვკითხულობთ „მამა“, რაც მითითებაა მამა ღმერთზე.

მედალიონის ქვედა მარცხენა და მარჯვენა მხარეს სერაფიმების გამოსახულებებია წარწერით „წმიდა არს“. მათ გასწვრივ კარედის ორივე კუთხეში წმ. ივლიტასა და კვირიკეს ნახევარფიგურულია. მათ ქვემოთ, სპეციალურად ამოჭრილ, ირიბად დაქანებულ უბეებში სამ — სამი წინასწარმეტყველი თავსდება: მარჯვნივ — წმ. დანიელი წარწერით „დანიელ“, ხოლო გრაგნილზე - „შენ ხარ მთა“; წმ. არონი პირველმღვდელმთავარი, გრაგნილზე წარწერით „შენ ხარ კვერთხ არონისა“; წმ. მეფე დავითი, წარწერით - „დაივინყე სახლი მა (მისა)“ (ფს. 44, 10);

მარცხნივ — წმ. მეფე სოლომონი, წმ. მოსე შემორჩენილი წარწერებით „შენ ხარ..“, და ბოლოს წმ. ამბაკუმი, რომლის გრაგნილზეც ასომთავრული წარწერა აღარ იკითხება.

კარედის ძირითადი ნაწილი ეთმობა ქრისტოლოგიურ ციკლს. 12 საუფლო დღესასწაულიდან

წარმოდგენილია 8 სცენა — ხარება, შობა, მირქმა, ნათლისღება, ფერისცვალება, ბზობა, ამაღლება, სულთმოფენობა; ქრისტეს ვნებათა ციკლიდან ორი — საიდუმლო სერობა, ჯვარცმა, ასევე სასწაული ლაზარეს აღდგინებისა და დღესასწაულთა დღესასწაული — აღდგომა („ჯოჯოხეთის წარმოცყვევა“). თხრობა იწყება კარედის ცენტრალური ნაწილიდან — ხარების კომპოზიციით და სრულდება ფრთების გარეთა მხარეს — სულთმოფენობის სცენით.

კარედის მოხატულობის იდეური შინაარსი

ცხადია, რომ ხატმწერი თავიდანვე შემუშავებულ გარკვეულ პროგრამას მისდევს, რომლის მიხედვითაც ირჩევს სცენებსა და ცალკეულ ფიგურებს. მოხატულობის კომპოზიციურ და იდეურ ცენტრს უფლის გამოსახულება წარმოადგენს, რომლისკენაც ვედრებით არიან მიმართულნი წმ. მონაწენი ივლიტა და კვირიკე და ექვსი წინასწარმეტყველი ხელში წარწერებიანი გრაგნილებით. გრაგნილებზე არსებული ტექსტები წარმოადგენენ თითოეული მათგანის ხილვის, წინასწარმეტყველების ან ცხოვრების ინტერპრეტაცია — გაშინაარსებას. აქ შერჩეული ფრაგმენტები მიუთითებს სამების დაუსაბამო, მარადიულ სუფევაზე, ღვთის სიტყვის მამასთან თანაარსობასა და ყოვლისმპყრობელ ძლიერებაზე. მაგ. აარონის წარწერა „შენ ხარ კვერთხ არონისა“, მინიშნებაა მისი პირველ მღვდელმთავრად არჩევის ეპიზოდისა, როცა ღვთის განგებითა და ძალით მოხდა მხოლოდ არონის კვერთხის განედლება. ყოვლადწმინდა სამების განდიდების იდეის გამომხატველია ასევე უსხეულო ზეციურ ძალთა - სერაფიმთა და ქერუბიმთა გამოსახვა შესაბამისი წარწერებით „წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს..“, რაც წინასწარმეტყველთა ხილვებთან არის დაკავშირებული (ესაია 6, 1-3; იეზეკიელი 1, 5-10). გარდა ამისა, კარედის მოხატულობის შინაარსი გადმოგვცემს სამების მეორე ჰიპოსტასის — იესო ქრისტეს განკაცების, მსხვერპლად შეწირვისა და „სიკვდილითა სიკვდილის“ დათრგუნვის იდეას. მაგ. დანიელის წარწერა და ამბაკუმის ჩართვა წინასწარმეტყველთა შორის, რომელმაც ღვთის ძის განკაცება წინასწარმეტყველა: „ღმერთი თემანით მოვიდეს და წმინდა მთისაგან, ჩრდილოსა მალნარისასა“ (ამბ. 3,3)

ტრიპტიქის დანარჩენი სცენები წარმოგვიდგენენ უკვე განსხეულებული მაცხოვრის მიწიერ ცხოვრებას, ვნებებს და ბრწყინვალე აღდგომას. მსხვერპლის თემას ხაზს უსვამს წმ. მონამეთა ჩართვა და კარედის ზურგის მხარეს გოლგოთის ჯვრის გამოსახვა წამების იარაღებთან ერთად.

ამდენად, კარედის მოხატულობისათვის არჩეულია საკმაოდ რთული და ამავე დროს ლაკონური საღვთისმეტყველო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს მლოცველის თვალწინ გააცოცხლოს მთელი საღვთო ისტორია, გადმოგვცეს ძველი აღთქმის საღვთო დაპირებათა აღსრულება იესო ქრისტეს განკაცებით. ქრისტე „ძველი დღითაის“ და „მამის“ ერთ ხატად გაერთიანება მაცხოვრის მიერ სამების არსის განმარტებას გვახსენებს: „მე და მამაი ჩემი ერთ ვართ“ (იოანე 10, 30), რითაც ძისა და მამის თანაარსობა, მარადიულად თანასუფევა მულავნდება.

სავარაუდო თარიღი

ჭელიშის უდაბნოს ეკლესიის კარედი ხატი თავისი ფიგურული მოყვანილობით განსხვავდება ქართული კარედებისაგან (მაგ. სეტის კარედი XIII ს., უბისის ორი კარედი XIV ს., ადიშის ტრიპტიქი XVI — XVIII ს.). ის ახლოს დგას პოსტბიზანტიური ხელოვნების ნიმუშებთან, რომლებიც იქმნებოდა კ. კრეტაზე, ათონზე და ა. შ., მაგ. ოსტატ ნიკოლას რიცოსის მიერ შესრულებული ტრიპტიქი XVII ს. — ისა (სურ. 3), ან ათონზე შექმნილი XVIII ს. — ის სამკარედი.

თავად მხატვრობა შესრულებულია ადგილობრივი ხატმწერის მიერ, რომელიც, როგორც ჩანს, კარგად იცნობდა ბიზანტიურ ნიმუშებს. განსაკუთრებულ სიახლოვეს თავისი მხატვრული სტილით და იკონოგრაფიული სქემებით, ფერწერა ამულავნებს XVIII ს. — ის მინიატურებთან. მაგ. XVIII ს. — ის ლოცვანის [ქიმ. K - 358] აღდგომის მინიატურაში (სურ. 6) გამოსახული უფლის ნახევარფიგურა უახლოვდება ჭელიშის კარედის „მამის ხატს“, ამავე კომპოზიციაში ქრისტეს მანდორლის კვერცხისებური ფორმა სამი წითელი სხივით, ანალოგიურია კარედის ფერისცვალების სცენაში გამოსახული მაცხოვრის მანდორლისა. ფიგურათა პროპორციები, სახეთა წერის მანერა, მთების (პეიზაჟის) დამუშავება (სურ. 4, 5, 7,) ასევე დიდად ემსგავსება ამავე ლოცვანისა და XVIII ს. — ის საგალობლის [ქიმ. K - 368, სურ. 7] მინიატურებს. კარედის სცენათა და ფიგურათა შესრულების მანერაში იგრძნობა მინიატურისტიკის ხელი, შესაძლოა ხატმწერი ხელნაწერთა დასურათებაზეც მუშაობდა. ის უდაოდ დიდი გამოცდილების მქონე ოსტატია, რომლის წერის მანერაშიც თანაარსებობს ხალხური

(მაგ. ქართული ტიპის სახეები), ბიზანტიური და ქართული გვიანი შუასაუკუნეების მხატვრობისათვის დამახასიათებელი სტილი.

მოხატულობის კოლორიტი მჟღერი, სადღესასწაულოა. შერჩეულია თბილი ფერები — ოქროს ფონები და შარავანდები, განსაკუთრებით თვალშისაცემია ნითელი ფერი სხვადასხვა ტონალობებით, მწვანე, მოციისფრო – ნაცრისფერი. მხატვრობა შესრულებულია საშუალო სისქის გრუნტის ფენაზე ბუნებრივი საღებავებით და გადასმულია ლაქის დამცავი ფენა. გამოყენებულია ოქროს ფირფიტა, ოქროს მელანი, სინგური. ტრიპტიქს ზურგის მხარეზეც გააჩნია გრუნტი, რომელზეც მონითალო – აგურისფერი საღებავია გადასმული.

ჭელიშის ფერწერული ტრიპტიქი შესრულებული უნდა იყოს XVII ს-ში, ადგილობრივი ოსტატის, შესაძლოა ამავე მონასტერში მოღვაწე ხატმწერის მიერ, უხვი შემწირველის დაკვეთით.

სარესტავრაციო გეგმა

ფერწერულ კარედზე აღინიშნება დაზიანებები, ეს არის საფუძვლის დამწვრობა (სურ. 8), გრუნტის და ფერწერის დანაკარგები, ცენტრალური დაფის ბზარი ქვედა ნაწილში. გააჩნია ზედაპირული გაჭუჭყიანებაც — მტვერი და სანთლის ნვეთები; ფრთების გარე მოხატულობაზე მექანიკური დაზიანებებია ნაკანრების სახით. იმისათვის, რომ არ მოხდეს ხატის დაზიანებათა მატება, აუცილებელია ჩატარდეს სარესტავრაციო - საკონსერვაციო სამუშაო — საფუძვლის დამუშავება, გრუნტის ჩასმა და განმწევა.

ლიტერატურა:

1. ახალი აღთქუმაი, 2003 წ. თბ.
2. ბიბლია, 1989 წ. თბ.
3. ბოჭორიძე გ. 1994 წ. რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები, თბ.
4. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, სახელმძღვანელო ძველი და ახალი აღთქმის წიგნთა შესასწავლად, 1992 წ. თბ.
5. ფსალმუნნი, 1995წ. თბ.
6. ქართული ქრისტიანული ხელოვნება, 2010 წ. თბ.
7. ქსე, ტ. 11, 1987 წ. თბ.
8. ძველი აღთქმის საღვთო ისტორია, 1990 წ. თბ.
9. ხელნაწერთა აღწერილობა, თბ. 1964წ. ხელნაწერები K – 358, K – 368.
10. Евсева Л. 2000 г. История Иконописи, М.
11. Языкова И. 1995г. Богословие Иконы, М.
12. New Testament and Psalms, USA. 1990y.

ფოტოების ავტორები: თამარ ჯიხვაშვილი, თორნიკე ტურაბელიძე, ნატალია ჩიტიშვილი

NINO SARAVA, TAMAR JIKHVASHVILI

PAINTED TRIPTYCH FROM CHELISHI UDABNO CHURCH

The painted triptych (ph. 2) with the scenes of Twelve Great Feasts and single figures of saints is preserved at Fine Art Fund (painted icons' collection – N. S.) of Kutaisi State Historical Museum. The triptych (DB – 50,51, № 1867) was brought to museum in 1926y. from Chelishi monastery, situated in Racha region.

The Holy Virgin's church of Chelishi Udabno is destroyed nowadays (ph. 1). It should be the great cultural centre of Racha region. Here the writing activities and the ecclesiastical art was already developed in XIc. The Chelishi Gospel's testament proves this fact. In 1902y. in the monastery yard was discovered the unknown vari-

ant of “Moktsevai kartlisai” (The history of georgia) manuscript. Here the monastic life continued up to 30 – ies of XXc.

The discription of triptych painting

Its very important to study the icons and the other church items brought to museums from various churches in 20-30- ies of XXc. Most of them have no date, nor masters or donators names preserved. In this case the important source are icons themselves: their painting, iconography and ornamentation style bear certain information for researches. We aim to study the painted triptych this way.

The walnut is used for wooden support of the triptych. The central part is made of the massive wooden panel and for wings are used two thin boards. The triptych has the figurative form ended with triangle – shaped detail. The special cells are cut out in the upper arched part of the icon, in which the half – length figures of saints are painted in. The painting is shown on the either sides of wings and the central part of the triptych. The half – drown figure of our Lord is painted in the medallion – like cell of the upper portion of the icon. At a first glance, it is the portrait of Christ - “the old by days”, which is the iconographic type of the old Saviour concerning the idea that the Son is consubstantial with the Father and already existed before ages together with Him . This type also includes the image of Christ all – powerfull or “pantokrator” - with the right hand He makes the sign of blessing and in the left He holds the sphere with the cross on its top, that is the symbolic model of the unniverse. Despite the fact that this image have much more in common with the Christ’s iconographical type the explaining inscription reads “Father” indicating on the image of Father God.

Bellow the medallion seraphims` and cherubims` images are depicted with inscriptions “Holy is...” Beside them the half – figures of saint martyrs Ivliita and Kvirike are painted. Below this row the six prophets are represented. To the left – st. Daniel with the inscriptions on the opened scroll claiming - “You are the Mount”; st. Aron the first chiefpriest with inscriptions – “you are the wand of Aron”; st. king David and his inscription reads - “Forget your Father’s House” (Ps. 44, 10). To the right - st. king Solomon, st. Moses and st. Ambaccum. Their inscriptions are now damaged and its impossible to read.

The depiction of Christological cycle takes the main portion of triptych painting. Only eight scenes are selected from the Twelve Great Feasts – Annunciation, Nativity, Presentation at the temple, Baptism, Transfiguration, Palm Sunday, Ascention, Pentecost. The two of the scenes indicate on the passions of Christ – The Last Supper and the Crucifixion; and the feast of the feasts - The Resarruction of Christ.

The Theological idea of the painting

The icon master selects the scenes and the single saints figures according to the certain theological and iconographical programme. the compositional and ideal centre of the painting is the image of the Lord, towards who the half – figures of saints are half – inclined in the gesture of prayer. The prophets and their scroll inscriptions, the adding of heavenly forces to the composition reveals the idea of glorify and worship of The All – Holy Trinity. Also the plot of the triptych painting initiate to the incarnation, passions and the resarructin of Jesus Christ - the second person of the Holy Trinity.

Approximate Date

The Chelishi Udabno triptych differ from the Georgian ones by its shape, such as: Seti triptych (XIIIc.), two triptychs from Ubisi monastery (XIVc.), Adishi triptych (XVI – XVIIcc.). Its more like to the patterns of post-byzantine art, as for example the triptych made by master Nikolas Ritsos, XVIc. (ph. 3), triptych of XVIIc. from mount Athos and others.

The painting itself largely carries on the painting traditions of late medieval art. It has similarity indicating to the book miniature painting manner and iconography, for example the miniatures of prayer – book representing the resarruction of christ, VIIc. and miniature of the chant – book (ph. 4, 5, 6, 7).

All this facts leads us to the conclusion that the triptych was painted in XVIIc. by a skilfull local icon master.

Restoration plan

The painted triptych from Chelishi Monastery has some damaged areas: wooden support is cracked at its lower portion and inside the right wing there is a burning made by a candle. It also has mechanical damages. According to this the icon needs to be consarvated and restored.

ჯრუჭის მონასტრის არქიტექტურულ ნაგებობათა ისტორიისათვის

1991 წელს საქართველოში მომხდარმა მიწისძვრამ შეინიშნა მრავალი ადამიანის სიცოცხლე, დააზიანა ბევრი შენობა, ზოგი კი ერთიანად დაანგრია. სამწუხაროდ, სწორედ ეს ბედი ეწია ზემო იმერეთისა და რაჭის საზღვარზე მდებარე ჯრუჭის მონასტერს. უდიდესი წარსულის მქონე ძეგლის მძიმე ხვედრმა კიდევ უფრო აუცილებელი გახადა მისი ისტორიის გამოკვლევა.

ჯრუჭის მონასტერი ეპიგრაფიკული წყაროების მონაცემებით XI საუკუნეშია აგებული [7, გვ. 139, 156-157]. მის პირვანდელ არქიტექტურულ სახეზე მონაცემებს, სამწუხაროდ, ვერსად მივაკვლიეთ. რა ცვლილებები განიცადა ძეგლმა XIX საუკუნეში, ვინ იყო ხუროთმოძღვრად მოწვეული, როგორი გადაწყვეტა დაედო საფუძვლად რეკონსტრუქცია-რესტავრაციის პრინციპებს, – ჩვენთვის უცნობია. მიუხედავად ამისა, იმ ისტორიული საბუთების მიკვლევა და შესწავლა, რომლებიც ჯრუჭის მონასტრის არქიტექტურულ ნაგებობათა ბედზე მოგვითხრობს, ვფიქრობთ, ძალიან მნიშვნელოვანია. ამ ერთი ძეგლის ხვედრი ზუსტად ასახავს იმ ქვეყნისა და ხალხის ისტორიას, რომელიც, საუბედუროდ, რუსულმა ჩექმამ გადათელა და დიდი ხნით დაიპყრო.

მდინარე ჯრუჭულას ხეობაში, თამაზასერის კალთაზე, სამი მდინარის: ჯრუჭულას, წყალფენილასა და ფასკნარას შორის მოქცეულ გორაკზე იდგა ჯრუჭის მონასტერი. XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში სარესტავრაციო-სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტის არქივის №86-ე საქალაქში ჩვენ მივაკვლიეთ ჯრუჭის მონასტრის იმდროისათვის გამოუქვეყნებელ აღწერას გ. ბოჭორიძის ავტორობით. არც ისე დიდი ხნის შემდეგ წიგნად გამოიცა გ. ბოჭორიძის მემკვიდრეობა და მათ შორის „იმერეთის ისტორიული ძეგლები“, რომელშიც შესულია №86-ე საქალაქის მასალები. ჩვენ მოგვაქვს ამონარიდი ამ შესანიშნავი წიგნიდან: „ჯრუჭის მონასტრის ეკლესია გუმბათიანი ბაზილიკაა (თავდაპირველად ეკლესია უგუმბათო შენობა უნდა ყოფილიყო და შემდეგ ხანში გადააკეთებდნენ გუმბათიანად, ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ გუმბათის 3/4 ნაწილი საკურთხევლის ფარგალშია მოქცეული, რაც ძლიერ იშვიათია გუმბათიან შენობათა ხუროთმოძღვრებაში) 16×13 არშინი (დაახლ.), ნაშენი თლილი ქვისა და კირისაგან, ხურავს სპილენძის ფურცელი. შიგნით გალესილია კირით. სამხრეთის და ჩრდილოეთის სამხრეები ეკლესიას ორ-სართულიანი აქვს, აქ გამართულია სამი სამწირველო: სამხრეთისაში 2 – ძირს და მალლა; ჩრდილოეთისაში 1 – ძირს; მალლა სამალავი არის. ეკლესიის თალი და გუმბათი დაბჯენილია ოთხ სვეტზე (ნაპირებით); იგი შიგნით მრგვალია, გარეთ – წახნაგოვანი. კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით. აღმოსავლეთის ნაწილი, შიგნით, საკურთხეველს მომრგვალებული აქვს, ხოლო გვერდის ნაწილები კი – ოთხკუთხი; პირველს კედელთან აქვს სამღვდელმთავრო და სხვა საჯდომები. ტრაპეზი საკურთხევლის შუაში დგას; მას დასავლეთის მხარეს აქვს შესანიშნავი ჩუქურთმიანი ქვა, რომლის გულშიაც გამოქანდაკებულია წმ. ბასილი და წმ. ნიკოლოზი წარწერით.

სამკვეთლო თახჩაშია გამართული.

გარეთ ეკლესია საკმარისად არის შემკული:

აღმოსავლეთის მხარეს აქვს ქვაზე გამოქანდაკებული სახეები წმინდანთა, სულ რვა ასეთი ქვა; სარკმლებსა (სამს) გარშემო ჩუქურთმა აქვს შემოვლებული.

სამხრეთის მხარეს (ორ სარკმელს შუა) გამოსახულია ჯვარი და ორი პირი (ჯვართამაღლება?).

დასავლეთის მხარეს – კარის მარჯვნივ წმ.გიორგი და წმ. დემეტრე ცხენზე, პირველის ქვეშ დეოკლეთიანე, მეორის ქვეშ – ვეშაპი; მათ მარცხნივ ვინმე პირია საცეცხლურით ხელში; კარის მარცხნივ – ჯვარი (1 ქვაზე) და ორი პირი (2 ქვაზე), ერთი მათგანი შუბით და ფარით; შემდეგ (მარცხნივ) ისევ წმ. გიორგი და წმ. დემეტრე და მათ მარჯვნივ ვინმე პირი ხელაბპყრობილი (1 ქვაზე).

დასავლეთის მხარის გამოსახულობანი წმ. გიორგისა და წმ. დემეტრესი (კარის მარჯვნივ და მარცხნივ) ტლანქი ნამუშევარია და ისინი ეკლესიის გადაკეთების დროს უნდა ეკუთვნოდნენ, ხოლო დანარჩენი (დასავლეთი, სამხრეთი და აღმოსავლეთი) – ეკლესიის აშენების ხანას."

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცულია 1923 წელს შედგენილი საანკეტო ფურცელი, რომელიც ჯრუჭის წმინდა გიორგის მონასტრის შესახებ ასეთ მონაცემებს გვანდის: „შე-

ნობა – ქვის, სართული – ერთი, სხვენი – ორი, კამარა – ორი, სვეტები – ოთხი; სარკმელთა რაოდენობა – შვიდი; სარკმელს რკინის საფარი აქვს; რკინის კარი – ერთი, იატაკი ქვის; გუმბათი დახურულია სპილენძით, ტაძრის გარეკედლები – ქვის. სამრეკლო: მასალა – ქვის, სართული – სამი, ზარი – ოთხი; სამრეკლოს ქვემოთ საცხოვრებელი ბინა არის, სანიგნებელი – ხის... ტაძრის შენობა საყურადღებოა ჩუქურთმებითა და წარწერებით. [11]

ვახტანგ ბერიძის წიგნს – „XVI-XVII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება“ – ბოლოში ერთვის სამგვერდიანი დამატება, სადაც ავტორი ჯრუჭის მონასტრის წმინდა გიორგის ეკლესიას გარკვეული მიზეზების გამო მხოლოდ გაკვრით ეხება და აღნიშნავს: „საგანგებო შესწავლას მოითხოვს ჯრუჭის ეკლესია (იმერეთი, საჩხერის რაიონი, მდ. ჯრუჭის ხეობა). ძალიან რთული შენობაა, დიდად გადაკეთებული გუმბათიც კი შემდეგ დამატებულს ჰგავს, ბევრი რამ გადაკეთებათა წყალობით, შეუთანხმებელი და შეუსაბამოა. აშკარაა XIX-ის შეკეთებათა კვალიც. ჯრუჭში დარჩენილია ძველი ფრაგმენტებიც, არის უეჭველად გვიანდელი ორნამენტაცია (კარ-სარკმელთა საპირეებისა), რომელშიც უცხოური (ევროპული) სახეების შემოყონვაც შეინიშნება, არის რელიეფები, წარწერები... მონასტერს რთული და საინტერესო თავგადასავალი ჰქონდა. მისი ფენების დადგენა და დათარიღება ხანგრძლივსა და დაწვრილებით კვლევას მოითხოვს, საჭიროა შურფები, საარქივო მასალის გამოძიება. ამ წიგნის ისედაც გაზრდილი მოცულობა საშუალებას არ მძლევს, რომ ამ ძეგლს საგანგებო ადგილი დავუთმოთ“ [1, გვ.208]

ჯრუჭის მონასტერი XVIII საუკუნის II ნახევრისათვის თითქმის გავერანებული იყო [1, გვ.156]; „ტაძრის გუმბათი დახურული ყოფილა ყავრით, საიდანაც თავისუფლად ჩადიოდა წყალი. იატაკი უბრალო ფიცრებისა, ეზო – შემოუკავებელი. ბერები ცხოვრობდნენ ქოხებში. მხოლოდ ღვინის სარდაფი იყო ხელუხლებლად დაცული. მონასტერს გარს ერტყა დაბურული ტყე“ [23 გვ.4; 24, გვ.499]

ჯრუჭის მონასტრის აღმშენებლობა დაკავშირებულია ზურაბ სახლთუხუცესის შვილთან – დავით (წერეთელი) მიტროპოლიტთან (დავით მიტროპოლიტის მოღვაწეობის ასპექტებს, ჯრუჭის მონასტრის აღდგენის თარიღსა თუ სხვა საკითხებს ჩვენ შევეხეთ გამოკვლევაში „ჯრუჭის მონასტრის წინამძღვრები“ [10, გვ.:52]) იგი 32 წლის განმავლობაში მოღვაწეობდა ჯრუჭში და მონასტრის არე-მარე „პატარა ქალაქს“ დაამსგავსა [4; 8, გვ.144]. ქუთაისის სახელმწიფო ცენტრალურ არქივში დაცულია საბუთი [13], სადაც აღწუსებულია „რაოდენი აღმიშენებია და გამიკეთებია მე დავით მიტროპოლიტს შემდეგ მიღებისა ჯრუჭის მონასტრის გამგებლობისა ჩყდ-ს წლიდგან ჩყმვს წლამდე:

შთამოვავლე ამა მონასტერსა ირგვლივ ქვთკირის გალავანი;

აღვაშენე სამრეკლო ქვითკირისა;

აღვაშენე სანინამძვრო სახლი ერთი ატაჟა ქვითკირისა; შიგნით არის სამი ოთახი ჩინებულათ მორთული, ძირს არს დაფენილი ფიცრითა და არს მალლა ლამფა მიკრული, ფანჯრებითა და ბუხრებით განყოფილი, ზედ ადგას ორი ოთახი ხისა, გარს ავლია აივანი ხისა. ძირს არს დაფენილი ფიცრითა, ლამფა მიკრული. ოთახები არიან მორთულნი კარგის მებელით და არს გადაჭედილი ყავრითა.

სანინამძვრო სახლის წინ აღვაშენე სალარო ხისა, ყავრით გადაჭედილი არის.

აღვაშენე მარანი ქვითკირისა, შიგნით მარანში არის ოცამდე დიდი და პატარა ქვევერები. ზედ არს დაშენებული დიდი აივანი ხისა სტუმართა და ძმებთათვის შესაკრებლად და დგას სენაკები ბერებისა, მალლა არს დახურვილი კრამიტითა.

დავარღვიეთ ხისა და მასვე ადგილზედ აღვაშენე ოდა ქვითკირისა, ქვედა ატაჟასი არს ორი ოთახი განყოფილი ფანჯრებითა და ბუხრებითა და არს ლამფა მიკრული, ეგრეთვე ზედა ატაჟასი არს ორი ჩინებული ოთახი იმგვერდივ აივნისანი ხისა, ძირს არს დაფენილი ფიცრითა და მალლა არს ლამფა მიკრული, ოთახები არიან განყოფილი ფანჯრებითა და ბუხრითა და არს კრამიტით გადახურვილი.

აღვაშენე ერთი ოთახი ქვითკირისა ერთი ატაჟა, ძირს არს დაფენილი ანგურითა და მალლა ლამფა აქვს მიკრული. მალლა ადგია სალარო ხისა და არს დახურვილი კრამიტითა, ოთხი არს განყოფილი ფანჯრებითა და ბუხრითა.

გალავანს გარეთ აღვაშენე პალატი ქვითკირისა შესაკრებელთა ძმათა, რომელიც არს განყო-
ბილი ფანჯრებითა და ბუხრებითა, ლამფა მიკრული. წინ აქვს აივანი ხისა და არს გადახურვილი
კრამიტით, ქვეშ აქვს ერთი ოთახი კარგად განყოფილი.

აღვაშენე თავლა ქვითკირისა ერთი ატაყა სიმაღლითა, მაღლა ლამფა აქვს მიკრული და არს აღ-
ლნახევარი სიგრძითა და შვიდი ადგილი სიგანითა. ზედ არს დაშენებული ორი ოთახი ხისა. იმგვერ-
დევ აქვს აივანი ხისა, ძირს არს დაფენილი ფიცრითა და არს ლამფა მიკრული და არს კრამიტით
გადახურვილი.

აღვაშენე აბანო ქვითკირისა და ზედ დავდგი სასიმიდე, არის გადაჭედილი ყავრითა.

აღვაშენე დიდი ბეღელი ხისა, ქვითკირისა საფუძველზედ არს დაშენებული და აქვს წინ აივანი
თვისის სალაროთი.

აღვაშენე ორი ახალი სენაკი ხისა თავისის აივანითა და სალაროებითა, ქვითკირის საფუძველზედ
არის დაშენებული და არს გადაჭედილი ყავრითა.

მოვიყვანე დიდის შრომით სამის ვერსტიდგან წყალი მიღებითა და გამოდის მახლობელად აბა-
ნოსა. აღვაშენე მახლობლად მონასტრისა დიდი ზვარი და მასვე ზვარში მარანი ხისა. მარანში არის
ორი დიდი საწნახელი ხისა;

გალმით ნახევარს ვერსტზედ მოსალოცავზედ დავდგი ერთი ბეღელი ხისა, ორი ბოსელი ხისა და
ერთი საბძელი ხისა.

დავდგი მოსალოცავზედ ზვარში მარანი ხისა და არს მარანში ორი საწნახელი ხისა დიდროვანნი.

მეორე მხარეზედ ცხომარეთს აღვაშენე სახლი ორი ოთახიანი, ყავრით გადაჭედილი არის.

მუნვე აღვაშენე ერთი ახალი ხის ბოსელი, ერთი ახალი ხის საბძელი, ერთი ბეღელი, ერთი სა-
ხაბაზო. აღვაშენე ვენახი და მას შინა ახალი მარანი და არს მარანში ორი საწნახელი უნცროს უმ-
ფროსი ხისა.

ერთი ხის ეკლესია ყდნ-ის ღვთისმშობლისა."

ამავე პერიოდში გაუკეთებიათ „მონასტრის ზღუდის მახლობლად დიდი აუზი, რომელშიაც ჩადი-
ოდა მშვენიერი ცივი წყალი." [23, გვ. 4].

1861 წლის საბუთი [14] ჯრუჭის მონასტრის ნაგებობების შესახებ შემდეგ მონაცემებს გვანდის:

„საარქიმანდრიტო სახლი ორ ეტაჟიანი, ძირს ქვითკირისა, ერთი ზალად, ორი ოთახი ხისა პო-
ლით დაგებული თავისის დიდის სალაროთი, რომელიც არის სალარო ხისა და მეორე ატაყა სამი
ფიცრისა, რომელსაც სალარო აქვს მორჩილი ხისა და კრამიტით დახურული.

რომელსაც უნოდებთ ოდას ქვიტკირისა, არის ორ ატაჟიანი, ძირს ერთი ზალა და ერთი ოთახი
და მეორე ატაყა ერთი ზალა და ერთი ოთახი, ორნივე პოლი დაგებული ანგურისა, კრამიტით და-
ხურული თავისის აივანით.

რომელსაც ენოდების ახალი სახლი ქვითკირისა ორ ატაჟიანი, არის უხმარი და მეორე ატაყა
ორი ოთახი ქვიტკირით შეკრული ზეითვე, პოლი დაგებული ანგურისა კრამიტით დახურული.

მარანი ქვიტკირისა და ზეიდან ადგია ორი საბერო სენაკი, ხისა თვისის მორჩილის სალაროები-
თა და კრამიტით დახურული.

თავლა ქვიტკირისა და მეორე ატაყა ორი სრული ოთახი ფიცრისა, კრამიტით დახურული, პოლი
აქვს ანგურისა.

საკრებულო ქვითკირისა ორ ატაჟიანი თითო თვალი კრამიტით დახურული; სამზარეულო და
სახაბაზო ქვიტკირისა, რომელიც არის ერთად შეერთებული, საბერო სენაკი კრამიტით დახურუ-
ლი, პალატი აქვს უხმარი.

კიბეს ქვეშ ოთახი ქვიტკირისა, ზევით აქვს ხის კრამიტით დახურული და პოლი ანგურისა.

საბერო სენაკი ქვიტკირისა, ერთი ოთახი აქვს ხისა და პალატი აქვს ორ ოთახად, რომელიც ყო-
ფილა აბანოთ და დღეს არის სენაკი, პოლი აქვს ანგურისა, კრამიტით დახურული.

ერთი თვალი მცირე სენაკი ხის თვისის სალაროთი, პოლი აქვს ანგურისა და დახურული საშვალ
კრამიტით და საშვალ ფიცრითა.

ორი ხის სენაკები, ერთი კრამიტით დახურული და მეორე ფიცრით, პოლი არა აქვს და არაცა
სალარო.

ორი ბელელი, ერთი დიდი და მეორე საშუალო კრამიტით დახურული და პალატი აქვს ქვიტკი-რისა.

ერთი სასიმიდე ორთვალისანი, კრამიტით დახურული.

ერთი ძელული სახლი, პირუტყვის საზამთრო სადგომი, ფიცრით დახურული; ერთი ძელული ხის, თხების სამწყვრები და მეორე სადგომი”

1860 წლის მონაცემებით ჯრუჭის წმინდა გიორგის მონასტერი „გულბათიანია, სპილენძით და-ხურული, სამის ეკვდრით: იოანე ნათლისმცემლისა, იოანე მახარებელისა და გრიგოლ ღვთისმეტყველისა“ [15]

ჯრუჭის მონასტერი, რომელიც თავის დროზე ასე ააყვავა დავით მიტროპოლიტმა, არც ისე დიდი ხნის შემდეგ დაცემის გზას დაადგა. ეს მოსალოდნელიც იყო. თავისუფლებადაკარგულ ქვეყანაში ყველაფერი წმინდა და ეროვნული განწირულის ბედითაა დალდასმული. 1875 წლის 18 დეკემბრისათვის ჯრუჭის მონასტერი ასეთ დღეშია: „შენობათა ზედა თავისუფლად ჩამოდის წვიმა და არიან დიდ დაცემულს მდგომარეობაში... სასწრაფო შეკეთებას მოითხოვენ მონასტერი და მონასტრის საკუთვნილი შენობანი“ [16]. 1881 წელს ჯრუჭიდან იმერეთის ეპარქიაში ამგვარი შინაარსის მიმართვა [17] გაიგზავნა: „მონასტრის ეკლესიის გვერდზედ ჩრდილოეთის მხრით მიდგმულია ერთი ატაჟა ქვის შენობა მარანი. სიმაღლე ამ შენობისა ეთანასწორების ეკლესიის გალავანს და სიგრძე აქვს თანასწორ ეკლესიის კედლის შენობისა. ამ შენობაზედ ზევით გარდადგმულია ერთი ატაჟა ხის შენობა დასავლეთის მხრით, ოთხი მცირე ოთახები და აღმოსავლეთით საზაფხულო და კრებულთა საჭამის დასაჯდომელი ჩაღდახი, მთელი შენობის ბურულის შენობის სივრცე შეიცავს სიგრძით ოცდაოთხი არშინახევარს და სიმაღლე თორმეტ არშინს. ეს შენობა არის დავით მიტროპოლიტის დროში კრამიტით დახურული და სიძველის გამო დამტვრეული, რომელშიც ყოველგან ჩამოდის წვიმა. ქვეშ ხის შენობების საძირკვლები საშიშრო მდგომარეობაშია, თუ როდის ჩაიქცევა. ამის სახურავი საწინამძღვრო სახლზედ უფრო ხარჯს მდომობს და როგორც ვხედავ საუნჯობესოთ ვრაცხ ეს შენობა-მარანი მიწით აიშოს თანასწორ გალავნისა, რომელიც იქნება მონასტრისათვის დიდი სარგებლობა, რადგან ძველი დრო და მამულის შემოსავლის წყარო არა გვაქვს და რაც საჭიროა ჭურ-მარანი საკმაოდ გვაქვს და მეტიც და აგრეთვე სახვა შენობანიც, რომლის მოვლა საძნელოა აწმყოს დროისათვის, როგორც ზემორე მოგახსენეთ, ანუ სრულად მოიშალოს, ანუ ისევ გარდაიხუროს“.

გაქურდვის მიზნით, 1913წლის 21 სექტემბერს ჯრუჭის მონასტერში ყაჩაღებმა ხანძარი გააჩაღეს და დაინვა მუხის საბძელი [18]

1917წლის 18 აპრილისათვის ჯრუჭის მონასტრის შენობები „ძალზე უყურადღებოდაა მიტოვებული. ზოგში წვიმა ჩამოდის, ზოგი ნაქცევას ლამობს, ზოგი ინგრევა. რამდენიმე შენობა საღორეთა და თავლად არის გადაქცეული. ეს შენობები ნაკელითა და ნაგვით არის სავსე... კაცი არ არის, რომ ეს უკვდავება: შენობანი და საერთოდ, ირგვლივ ყველაფერი თავისი ყურადღების ღირსად გახადოს. რაც ბუნებასა და წარსულ საუკუნეთ შეუქმნიათ, დღეს უპატრონობითა და უაღმარებლოდ ინგრევა და ვერანდება. დანგრეულ-დატოვებულია თვით უმთავრესი ტაძრის მარჯვენა ფასადი (აღმოსავლეთის), სახურავიც და წვიმა-ქარის მსხვერპლი ხდება [19].

1917წლის 1 ივლისს მონასტრის წინამძღვარმა პავლემ იმერეთის ეპარქიის დროებით სასულიერო აღმასრულებელ კომიტეტს ასეთი შინაარსის მიმართვა გაუგზავნა: „საწინამძღვრო სახლი, ძმათა კელიები, ძვირფასი სამონასტრო ბელლები, სასიმიდე, თავლები, საბძელი და სხვა წვრილი შენობანი არიან დახურული ყველა კრამიტით, რომელთაც შემდეგ მიტროპოლიტისა არავითარი შეკეთება არ ჰქონია. ხავსს გადაუვლია სახურავებზე, დამპალა გადასაკიდები და ლარტყები, ჩამტვრეულია ალაგ-ალაგ სახურავები, ყველაში ჩადის წყალი ყოველი გაავდრებისას და ხთებიან იმისთანა ძვირფასი შენობანი“ [20].

1918 წლის 20 აგვისტოს იმერეთის მიტროპოლიტს – ანტონ ქუთათელს მოხსენებითი ბარათით მიმართა იმერეთის ეპარქიის სამიტროპოლიტო საბჭოს წევრმა – სიმონ ამირეჯიბმა. ეს საბუთი [21] ნათელყოფს, თუ როგორ აისახება სულიერ ფასეულობებზე ქვეყნის პოლიტიკური არეულობა: „ჯრუჭის მონასტრის მოხსენების შესახებ, იმ მონასტრის გაჭირვებულ ნივთიერ მდგომარეობაზე მოგახსენებ თქვენ მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობას, რომ ამჟამად აღძვრა რაიმე შუამ-

დგომლობის მთავრობის წინაშე არქიმანდრიტ პავლეს მოხსენების შინაარსის მიხედვით, სამწუხაროდ, ყოვლად უხერხული და შეუძლებელია, ვინაიდან ეხლანდელი გამწვავებული მდგომარეობა საჩხერის რაიონში მომხდარ არევ-დარევის გამო, რომლის ფარგლებშიდაც იმყოფება ხსენებული მონასტერი, ყველამ კარგათ უწყის და ამნაირ დროს, როდესაც მთავრობის მთელი ყურადღება და ღონისძიება უპირველეს ყოვლისა მიმართულია ამ არეულობის ჩაქრობისა და ადგილობრივ ცხოვრების ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადებისაკენ, ლაპარაკი მასთან მონასტრის ინტერესების დაცვისათვის ზედმეტია. ამისათვის არქიმანდრიტ პავლეს მიერ აღძრული საკითხი დროებით შეჩერებული უნდა იქმნას და დარჩეს ღიათ მანამდე, სანამ მისთვის არ დადგება შესაფერისი დრო". ეს „შესაფერისი დრო“ ჯრუჭის მონასტერს აღარ დაუდგა. 1920წელს არქიმანდრიტი პავლე მიტროპოლიტ ნაზარს წერდა: „პატივი მაქვს მოვახსენო თქვენს მაღალ უსამღვდელოესობას, რომ ამ ერთი თვის წინათ ამოვარდა დიდი ქარი და გადახადა ჩემდამო რწმუნებულ ჯრუჭის მონასტრის ეკლესიის ორი გვერდის სახურავი, რომელიც მოითხივს საჩქაროდ შეკეთებას და ამა შეკეთებისათვის მონასტერს ფულის სახით არა აქვს საშუალება არავითარი. ამისათვის სიმდაბლით მოგახსენებთ, მონასტერში არის განსვენებულ მონაზონ იასონისაგან დანარჩი სალორე, რომელზედაც არის მიდგმული პატარა ბოსელი ძროხის დასაბმელი, კრამიტით შეხურვილი. თქვენი ნებართვით იქმნეს გასყიდული და ამით შეკეთდება ზემოხსენებული ეკლესიის სახურავი“. [22]

1925 წელს საქართველოს საისტორიო – საეთნოგრაფიო საზოგადოების ქუთაისის განყოფილება დაადგინა: „გაეგზავნოს სიძველეთა დაცვის სამაზრო კომისიას ქ. ჭიათურაში (ინსპექტორ სამუელ მარგველაშვილს) ჯრუჭის მონასტრის ეკლესიის სახურავის შესაკეთებლად 50 მანეთი“. [12] ამ დროისათვის ათეისტური საბჭოთა ხელისუფლების „ზრუნვის“ შედეგად ჯრუჭის მონასტერი, როგორც სულიერების ტაძარი, აღარ ფუნქციონირებდა.

1991 წლის 29 მაისით დათარიღებული გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ იუწყება, რომ XX საუკუნის ორმოცდაათიან წლებში „მოხსნეს მონასტრის გალავანში შესასვლელი დიდი ურთხელის წითელი კარები, ამ კარებების ორი ოთკუთხა მუხის ურდული, სადარაჯო ჯიხურს გადახადეს სახურავი, დაანგრეს გარეთ მუხის ბელლები, მოხსნეს გარეთა ნაგებობებს ჭერი და იატაკი. ყველა ეს მასალა გამოიყენეს კოლექტივის კანტორების ასაგებად. მონასტრის გალავანში ამოთხარეს „ჩასავალი ჭურები“ და გაუყენეს გზას. ეკლესიასა და მის ეზოში არაერთხელ გადათხარეს საფლავები გაძარცვის მიზნით... 1968 წლის ზაფხულში დაიწყეს „ძეგლის შეკეთება“... მაგრამ არათუ შეაკეთეს, პირიქით, იავარქმნეს: ჩამოხსნეს 450 მ² მარადიული სპილენძი და საარყე ქვაბებად დაყიდეს(არსებობს მჭედელთან მაგნიტოფონზე ჩანაწერებიც), მის მაგივრად კი უდღეური თუნუქი დაახურეს, რომელიც მერე აღარ შეღებეს, სულ მალე ჟანგმა დახვრიტა, და იწყო წყალმა დენა. [6]. ძეგლის გულშემატკივარი ადამიანები ლეგალურად თუ არა ლეგალურად იღწვოდნენ ჯრუჭის მონასტრის გადასარჩენად. ბეჟან, ნოდარ და შოთა სივსივაძეების მიერ გავრცელდა წიგნაკები „ძეგლები ჩივიან“. მათ მიმართეს დიდ მამულიშვილებს: კ. გამსახურდიას, ლ. გოთუას, ნ. კეცხოველსა და სხვებს, რომლებმაც მწვავედ დააყენეს საკითხი კულტურის სამინისტროს პრეზიდენტის სხდომაზე. გამოიყო კულტურის სამინისტროს კომისია, მაგრამ... [5] 1990წლის გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის“ პუბლიკაციის მიხედვით, „ტაძარში უსუფთაობა და სიბინძურეა. წვიმის წვეთებს გაუფონავთ კედლებში და ირგვლივ სველი ბათქამის სუნი ტრიალებს, ტაძარში უწყესრიგოდაა მიყრილი სამშენებლო მასალა, კაცს ეგონება ათსწლოვანი გუმბათოვანი ტაძარი საწყობად გამოუყენებიათო. კომპლექსის გალავანიც საფუძვლიანადაა ჩამორღვეული და მნახველზე მეტად სავალალო შთაბეჭდილებას ტოვებს. [9]

მიწისძვრით დანგრეული მონასტრის აღსადგენად 1991 წელს ივერთ ბანკში გაიხსნა ანგარიში, მაგრამ, საუბედუროდ, საქართველო რუსეთის მიერ ინსპირირებულ სამოქალაქო ომში გაეხვა; დაკარგეთ ძირძველი ტერიტორიები აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. 2008 წლის აგვისტოში კი ოკუპანტი უკვე იმ კუთხესაც მიაღწა, რომელსაც ჯრუჭის წმინდა გიორგის მონასტერი მიეკუთვნება. საქართველოს მფარველი ამ მეზობლი წმინდანის წყალობით, მიწისძვრის შედეგებისა და მტრის იარაღის ჟღარუნის მიუხედავად, სასულიერო ცხოვრება ჯრუჭში კვლავ გრძელდება, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ აუცილებლად დაინრიტება სისხლის მდინარეები და ჯრუჭის მონასტერიც აუცილებლად აღორძინდება.

ლიტერატურა:

1. ბერიძე ვ., 1994 წ.: „XVI-XVII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება“, თბილისი
2. ბოჭორიძე გ., 1995 წ.: „იმერეთის ისტორიული ძეგლები“, თბილისი
3. ვახუშტი, 1941 წ.: „აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია)“, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი
4. საქართველოს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი H, №1516, გვ. 3 v
5. სივსივაძე ნ., 1984 წ.: „რამაც ააშენა, მანვე დაამშვენოს“, გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“, 20 მარტი
6. ბეჟან, ნოდარ და შოთა სივსივაძეები, 1991წ.: „კიდევ ერთხელ ჯრუჭის მონასტრის შესახებ“, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 29 მაისი.
7. სილოგავა, ვ., 1980 წ.: „ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი, II, დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I (IX-XIII საუკუნეები), თბილისი.
8. სოსელია ო., 1981 წ.: „წარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან“, II, თბილისი.
9. ქიქავა თ., 1990 წ.: „ჯრუჭის მონასტერი“, გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“, 19 ივნისი.
10. ქებულაძე მ., 2006წ.: „ჯრუჭის მონასტრის წინამძღვრები“, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის შრომები, კრებული XV
11. ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ისტორიულ დოკუმენტთა კოლექცია E 192 (ქვემოთ მითითებული იქნება ამგვარად: ქიმ E192), საბუთი NN 186
12. ქ ი მ E 192, საბუთი 667
13. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული არქივი, იმერეთის ეპარქიალური კანცელარიის ფონდი №21 (ქვემოთ მითითებული იქნება ამგვარად: ქცსა, ფონდი21), საქმე 5264, ფურცელი 25
14. ქცსა, ფონდი 21, საქმე 7397, ფურცელი 9
15. ქცსა, ფონდი 21, საქმე 7888
16. ქცსა, ფონდი 21, საქმე 12781, ფურცელი 21
17. ქცსა, ფონდი 21, საქმე 16307, ფურცელი 1
18. ქცსა, ფონდი 21, საქმე 25705, ფურცელი 2
19. ქცსა, ფონდი 21, საქმე 26598, ფურცელი 7
20. ქცსა, ფონდი 21, საქმე 26725, ფურცელი 1
21. ქცსა, ფონდი 21, საქმე 26197, ფურცელი 2
22. ქცსა, ფონდი 21, საქმე 28441, ფურცელი 11
23. ლამბაშიძე დ., 1892წ.: „მიტროპოლიტი დავითი (დავითის ჩამომავლობა), ჟურნალი „მწყემსი“, № 2
24. Гнилосаров П, 1853 г.: Очерки из жизни Митрополита Давида, Кавказский календарь на 1854 г., Тифлис

MAIA KEBULADZE**FOR THE HISTORY OF JRUTCHI CLOISTER ARCHITECTURE BUILDING**

In 1991 earthquake took a lot of life, damaged many buildings and some of them ruined at all. Unfortunately this was done to Jrutchi cloister, which is situated on the border of Imereti and Racha, in the valley of the river Jrutchula, on the Tamazaseri mountainside, on the hill located between three rivers Jrutchula, Tskalpenila and Pasknara. A severe fate of this great historical monument made impossible to investigate its history.

According to the epigraphic data Jrutchi cloister was built in the XI century. The fate of this monument is exactly reflects the history of Georgian people and the country, which unfortunately trampled Russian boot and conquered for a long time.

There are valuable documents keeping in the Kutaisi State Historical Museum and Kutaisi city archive about Jrutchi cloister architecture buildings. According to these materials for the II part of the VII century, the cloister was nearly neglected. The dome of the church was covered with thin wooden plates (Kavari) and rain penetrated into the building quite easily. The floor was wooden, and the yard without fence. Monks were lived in huts. Only the wine cellar was intacted. The cloister was surrounded by the thick forest.

The construction of the cloister is connected with Zurab Sakhltukhutsesi's son – David (Tsereteli) Metropolitan. He had worked here for 32 years and created the surroundings of the cloister as a “Small Town”. He built a lot of wooden and stone houses: chapels, priests', cells for monks, dining halls, barns, wine cellars, and wooden church named the Virgin, corn storage buildings, cattle shed for the winter, from the far territory he brought water with tubes, built a bath, made a big swimming pool near the church.

Jrutchi cloister, which was risen by David Metropolitan, after not so long time it was fallen again. And this process was expected. In the country were freedom was lost, everything was doomed. From the II part of XIX century water was penetrated in the building of the church, walls and floor were damaged; means for renewing of the things were not existed.

In the 30-ies of XX century the entrance gate was removed, from the guard booth was taken the roof, the ceiling and the floor of outside building was also removed. All these materials were used on building of collective offices. For this purpose in church and the yard graves were digging for several times...

As a newspaper “Sakartvelos Respublika” published on 29 May 1991, they began “to repair the monument” in summer of 1968, but instead of it they devastated: they remove 450 M² eternal copper and sold it as a vodka boilers (there are records of talking with blacksmith) and instead of copper they roofed it by the tin, which was not painted and because of it rust shot the roof and the water begin to flow. Fans of the monument worked legally or illegally to save the cloister of Jrutchi. By Bezhan, Nodar and Shota Sivsivadze was spread booklets “monuments are complaining”. They applied for the help to the great patriots: K. Gamsakhurdia, L. Gotua, N. Ketskhoveli, and others who put the question very plainly on the summit of Ministry of Culture. After this a commission was allocated, but...

According to the publication of “Akhlagazrda Ivereli” in 1990: “There is a dirty here. Also the smell is awfully here because of wet walls. Building materials are disordered and man may think this thousand year's dome is used as a warehouse. The fence of the complex is also ruined and makes a very bad impression on viewers”.

The account was opened in Ivertbanki in 1991 for restoration of the ruined cloister, but unfortunately Georgia was embroiling into the civil war, inspirited by Russia. We lost our old territories in Abkhazia and Samachablo. In August of 2008 occupant reached the region where Jrutchi cloister is situated. Thanks to the patron of Georgia and fighter saint, in spite of earthquake and the rattle, spiritual life is continuing here, which indicates that there will not be blood rivers and Jrutchi cloister will also rise.

მზია ზარნაძე

ქუთაისის ძველი ხიდები დიმიტრი ერმაკოვის ფოტოარქივიდან

1955 წელს ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში შემოსულია ფოტოკოლექცია (7 ერთეული), რომლებზეც მე-19 საუკუნის ხედებია წარმოდგენილი. კოლექცია გატარებულია ძირითად შემოსულობათა ნიგნში ქიმ.7033(G62/1-7). ამ ფოტოკოლექციიდან ჩვენს ინტერესს იწვევს ქუთაისის ძველი ხიდების სურათები (ქიმ.7033 G62/1, 2, 4). რომელთაგანაც ორმა, მთელი სიზუსტით შემოგვინახა ამჟამად უკვე ძეგლად ქცეული ჯაჭვის ხიდის რეალური სახე მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, ხოლო მესამე ფოტოზე აღბეჭდილია ქუთათურთათვის საყვარელი თეთრი ხიდი ჩანგრეულ მდგომარეობაში.

ზემოთ აღნიშნულ ფოტოსურათებზე ჩვენი ქალაქისათვის მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტები ასახული.

ცნობილია, რომ მდინარე რიონზე აგებულ ხიდებს შორის უძველესია ჯაჭვის ხიდი. ხიდის მდგომარეობასა და გარეგნული სახეცვლილების შესახებ მკვლევართა მრავალი ვერსია არსებობს. გამომდინარე სხვადასხვა ბუნებრივი მოვლენების, განსაკუთრებით წყალდიდობების, ამასთან ხშირი ექსპლოატაციის გამო, ხიდი პერიოდულად მწყობრიდან გამოდიოდა და აშკარა სახეცვლილებას განიცდიდა. ირკვევა, რომ ერთი ასეთი სახეცვლილება ხიდს განუცდია 1851 წელს, როდესაც ქალაქის ხელმძღვანელობამ ჯაჭვის ხიდის კიდევ ერთი აღდგენა განახორციელა. ხიდის აღდგენა შემდეგი პრინციპით მომხდარა. ძველ ბურჯებზე დაუშენებიათ ოთხკუთხა ფორმის ფერმები და მათზე გაუჭიმავთ ჯაჭვზე დაკიდებული ხის ხიდი. ეს გახლდათ საბაგრო-დაკიდებული ხიდის პრინციპზე აგებული ხიდი. პერიოდულ პრესაში 1851 წელს აღდგენილი ჯაჭვის ხიდი შემდეგნაირად არის დახასიათებული: „მის ძველთაგან არსებული ქვის საყრდენების ორივე მხარეზე მდინარისაკენ მიშვებულ შვერილებზე ამოყვანილი იქნა ორ-ორი ოთხკუთხა ფორმის საყრდენი ბოძები, რომელიც ხიდის სავალ ნაწილზე აცილებული იყო ზევით 5 მეტრამდე, ზედა თავები მორთული იყო ქვაზე ამოჭრილი ძველებური ციხის დაკბილული კედლების მსგავსი ფორმის გვირგვინით, მათში დატოვებული მცირე ზომის ოთხკუთხა ხვრელებით, რომლებშიც გადატარებული იყო ხიდის მალის კონსტრუქციის დამჭერი ორფა ბაგირები, ერთმანეთთან შეკრული ჯაჭვების მსგავსად, რომლებიც ხიდის საყრდენების ბოლო ნაწილებში იყო ჩამაგრებული.“

თვით ხიდის კონსტრუქცია წარმოადგენდა ხის გისოსებიან ორ ფერმას, სიმაღლით 1.20 მეტრამდე, რომელთაც ქვემოდან ამოფენილი ჰქონდა ხიდის სიგანის ტოლი, ხის 20 ცალი კოჭი, თითოეული მათგანი ბოლოებით აკიდებული იყო ლითონის ღეროებით ბოძებზე გადაჭიმულ ჯაჭვზე, ხოლო აღნიშნული ხის ორი ფერმა ხიდის მოაჯირის მოვალეობასაც ასრულებდა“. [გაზ. „ქუთაისი“. 1964. №135]

ირკვევა, რომ ამ პერიოდის ჯაჭვის ხიდის სილამაზით მოხიბლულა არა მარტო ქართველი, არამედ უცხოელი მოგზაური-მკვლევარები. ერთ-ერთი ასეთი -ე. მარკოვი შემდეგ მოგონებას გვიტოვებს: „ფაზისის ტალღებზე ჩამოკიდებულია რკინის ჯაჭვები. ეს ისტორიული ალეგორია, ან ემბლემა ხომ არაა იმ ჯაჭვებისა, რომლითაც რუსულმა ცივილიზაციამ შებოჭა კავკასიის ბუნების ველური სტიქია?“ [გაზ. „ქუთაისი“. 1964. №135.] და აქვე გვაცნობს თავისი თანამგზავრების აზრსაც: „არა ეს ქალბატონი №-ის ყელსაკიდი მძივებიაო“. [გაზ. „ქუთაისი“. 1964. №135.] ხიდის გარეგნული სილამაზითა და თავისებური კონსტრუქციით მოხიბლულ ქუთათურებს სწრაფადვე „მოუნათლავთ“ იგი და მისთვის „ჯაჭვის ხიდი“ უწოდებიათ, სწორედ ამ პერიოდიდან ეყრება საფუძველი ტოპონიმ „ჯაჭვის ხიდს.“

ამ პერიოდის ჯაჭვის ხიდის შესახებ საინტერესო ფოტომასალები შემოგვინახა ცნობილმა ფოტოხელოვანმა დიმიტრი ერმაკოვმა (დიმიტრი ერმაკოვმა დასავლეთ საქართველოში, კერძოდ ქუთაისში მოგზაურობის დროს გადაიღო არა ერთი ფოტო, რომლებზეც დააფიქსირა როგორც ისტორიული ძეგლები, ასევე სხვადასხვა ხედები. მან შექმნა მნიშვნელოვანი კოლექცია ჩვენი ქალაქის შესახებ), რომელთაგან რამდენიმე ფოტოსურათი მუზეუმის ფოტოფონდშია დაცული, მათგან ორზე (იხ. ფოტო №1,2) როგორც აღვნიშნეთ, ზემოთ აღწერილი პერიოდის ჯაჭვის ხიდი

გამოსახული ხის სავალი ნაწილითა და ოთხკუთხა ფორმის საყრდენი ბოძებით, დამჭერი ბაგი-რებით, ძველი თაღოვანი ქვის საყრდენი ბურჯებით და საყრდენებზე გადაჭიმული ჯაჭვებით. ეს ფოტოსურათები საშუალებას გვაძლევენ სრული სიზუსტით წარმოვიდგინოთ ჯაჭვის ხიდის სახე მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში.

ფოტოებზე დაკვირვებით ნათელი წარმოდგენა გვექმნება, რომ ხიდი სხვა დანარჩენი ხიდებისა-გან განსხვავებით სრულიად გამორჩეულ და ორიგინალურ ნაგებობას წარმოადგენდა, აქვე ჩანს, რომ ის საკმაოდ მსუბუქი იქნებოდა, რაც მალე რეალურადაც დადასტურდა.

საარქივო მასალები გვანვდის ინფორმაციას, რომ აღნიშნული სახით ხიდს დიდხანს არ უარსე-ბია. 1859 წლის დასასრულს ქუთაისში მომხდარი წყალდიდობის შედეგად ხიდი ჩანყვეტილა, რასაც მსხვერპლიც მოჰყოლია.

მუზეუმის მდიდარ ფონდში სავალი ნაწილის გარეშე დარჩენილი ჩანყვეტილი ჯაჭვის ხიდის ფოტოცაა დაცული. დოკუმენტური ფოტომასალა გვანვდის უტყუარ ინფორმაციას, რომ ხიდის სამაგრი ბაგირების საყრდენი ოთხკუთხა ფორმის ბოძები ჩანს, რომ კვლავ მყარად დგანან ძველი ქვის ბურჯებზე. (იხ. ფოტო №3).

მუზეუმში 1955 წელს შემოსულ კოლექციაში უნიკალურ დოკუმენტურ მასალას წარმოადგენს ჩანგრეული თეთრი ხიდის ფოტოც. აღნიშნული ფოტო გვაცნობს საუკუნენახევრის წინ აგებულ ძეგლს - თეთრ ხიდს ავარიულ მდგომარეობაში. აღსანიშნავია, რომ ხიდის პროექტი შეუდგენი-ათ ჯერ კიდევ 1837 წელს, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო მშენებლობა წლების მანძილზე არ დაწყებულა. 1850 წელს „ოქროს ჩარდახის“ გვერდით ხიდი აუშენებიათ მდინარეში ამოყვანილ საკმაოდ დიდი ზომის ქვის ბურჯებზე, რომლებზედაც გაუდგიათ ხის სამმალიანი თაღოვანი კონსტრუქცია, მოაჯირიც ხისავე გაუკეთებიათ. ხიდი ექსპლოატაციაში გასულა 1852 წელს, რომ-ლის შესახებ ასეთი ინფორმაცია ვრცელდება: „ეს ხიდი სიგრძით 38 საყენია, აქვს ხის სამი თალი, რაც თლილი ქვის ფუნდამენტს ეყრდნობა და არაჩვეულებრივად ლამაზი და მტკიცეა“ [„ძველი და ახალი ქუთაისი“, 1973. 248] ხიდისთვის რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ პირველის პატივსა-ცემად „ნიკოლაევსკის ხიდი“ უწოდებიათ. [გაზ. „ქუთაისი“, 1964. №223] ქუთათურები ამ მნიშ-ვნელოვან და ამასთან სასიხარულო ფაქტს „საუკუნის ძეგლის დადგმას“ და „ხალხის სანუკვარი ოცნების“ ასრულებას უწოდებდნენ. [გაზ. „ქუთაისი“, 1964. №223] მაგრამ სამწუხაროდ „საუკუნის ხიდს“ პირვანდელი სახით მხოლოდ რამდენიმე წელი უარსებია, ქუთაისში 1859-60 წლებში მომ-ხდარი წყალდიდობის გამო ჯაჭვის ხიდის შემდეგ (1859 წელი), ჩანგრეულა ასევე „ნიკოლაევსკის ხიდიც“ (თეთრი ხიდი) 1860 წლის დასაწყისში. თეთრი ხიდის ჩანგრევის შემზარავი ფაქტის შესახებ ასეთი ინფორმაცია არის დაფიქსირებული პერიოდულ პრესაში: „ავარიის შედეგად უპირველესად ჩამოინგრა მარჯვენა სანაპიროს თალი, ხოლო დანარჩენი ორიც სრულიად დეფორმირებული გახ-და, მაგრამ ერთბაშად არ ჩანყვეტილა. ხიდის კონსტრუქციის დაშლის საზარელმა ხმამ გარკვეულ დროს გასტანა და ამ დრომ უშველა ხიდზე მიმავალ ბედილბლიან ზოგიერთ ქუთათურს, რომ ხიდი-დან გადაესწროთ და მდინარეს არ წაელო ხიდის ნარჩენებთან ერთად, როგორც ეს ჯაჭვის ხიდზე მიმავალ ქუთათურებს ხვდათ წილად მისი ჩანყვეტის მომენტში.“ [გაზ. „ქუთაისი“. 1964. №223.]

სწორედ ეს მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტია დაფიქსირებული ფოტოზე. (იხ. ფოტო №4) ჩანგრეული სახით „ნიკოლაევსკის ხიდს“ 1872 წლამდე უარსებია.

1872 წელს აღუდგენიათ ხიდი, ოღონდ ამჟამად საფრანგეთიდან ჩამოტანილი ლითონის კონსტრუქციებით, ლითონისვე მოაჯირით. „ხიდის ლითონის კონსტრუქციები დამზადებულ იქ-ნა საფრანგეთში ეიფელის პროექტით. აღნიშნული საკითხის მოგვარებას აწარმოებდა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე.“ [გაზ. „ახალი გაზეთი“, 2006] (დასახელებული რკინის კონსტრუქციები დღესაც ფუნქციონირებს) ამასთან ხიდი შეუღლებათ თეთრ ფერად, რის შემდეგაც „ნიკოლაევსკის ხიდი“ „თეთრ ხიდად“ მოიხსენიება.

აქედან გამომდინარე ფოტოზე დაფიქსირებული კადრი გადაღებული უნდა იყოს დაახლოებით 1860-1872 წლებში.

ზემოთ აღნიშნული ფოტოსურათების მნიშვნელობა დიდია რამდენიმე გარემოების გამო:

1. პირველ რიგში ისინი წარმოადგენენ ცნობილი ფოტოხელოვანის დიმიტრი ერმაკოვის მდი-დარი ფოტოკოლექციის ნაწილს, რომლებიც გამოირჩევა თავისებური ხელწერითა და ორიგინა-ლობით.

2. ფოტოებმა შემოგვინახა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ჯაჭვისა და თეთრი ხიდების, ამასთან მიმდებარე დასახლებების რეალური სახე, რაც ძველი ქუთაისის იერსახის შეცნობის საუკეთესო საშუალებაა.

3. რომ არა მუზეუმის ფოტოფონდში არსებული დიმიტრი ერმაკოვის ზემოთ დასახელებული ფოტოები, დღევანდელი ჯაჭვის ხიდი პირვანდელ სახეს ვერ დაიბრუნებდა, რადგან მათი წყალობით იქნა შედგენილი ხიდის პროექტი, რომლითაც ამჟამინდელი ჯაჭვის ხიდის რეკონსტრუქცია მოხდა 1995 წელს. ახლადაგებული ჯაჭვის ხიდი მიედღვნა ქუთაისის სატახტო ქალაქად გამოცხადების 1 000 წლისთავს.

დიდი ტრადიციების მქონე ქუთაისის ძველმა ხიდებმა დღესდღეობით უფრო მყარი ადგილი დაიმკვიდრა ისტორიულ ძეგლთა შორის, ვფიქრობთ, როგორც რელიქვია ისინი საუკუნეების შემდეგაც დაამშვენებენ ჩვენს ქალაქს.

ლიტერატურა:

1. გაზ. „ქუთაისი“, 1964წ. №135, 10 ივლისი. ლომთაძე შ., „ჯაჭვის ხიდი“
2. გაზ. „ქუთაისი“, 1964წ. №135, 10 ივლისი. ლომთაძე შ., „ჯაჭვის ხიდი“
3. გაზ. „ქუთაისი“, 1964წ. №135, 10 ივლისი. ლომთაძე შ., „ჯაჭვის ხიდი“
4. გაზ. „ქუთაისი“, 1964წ. №223, 14 ნოემბერი. ლომთაძე შ., „თეთრი ხიდი“
5. გაზ. „ქუთაისი“, 1964წ. №223, 14 ნოემბერი. ლომთაძე შ., „თეთრი ხიდი“
6. გაზ. „ქუთაისი“, 1964წ. №223, 14 ნოემბერი. ლომთაძე შ., „თეთრი ხიდი“
7. გაზ. „ახალი გაზეთი“, 2006წ. 20-26 მარტი. ზიბზიბაძე თ., „ჩვენი იმედის ხიდი.“
8. „ძველი და ახალი ქუთაისი“, 1973 წ., თ.ვარდანაშვილი(რედ).თბ.

MZIA ZARNADZE

THE OLD BRIDGES OF KUTAISI FROM THE PHOTO-ARCHIVE OF DMITRI ERMAKOV

The photo-collection with the views of Kutaisi of 19th century were represented in Historical museum of Kutaisi in 1955. These materials are registered by N7033 (GI-7). From this collection the photos of the „Chain Bridge“ and the „White Bridge“ rouse our interest as they have perfectly survived the views of the old Kutaisi (K.H.M 7033/1,2,4). The third photo represents the favourite White Bridge“ for the citizens of Kutaisi in a broken down condition.

It's well-know that the ‘Chain Bridge‘ is the oldest among the bridges on the river Rioni. As a result of different natural phenomena, periodical-floods and frequent exploitation the bridge was modified in 1851.

The city administration of that time had rebuilt the „Chain Bridge“ just in 1851. On the old piers there were laid square piers with chains stretched on supports. This bridge was called the „Chain Bridge“. Newspapers of those times give us the description of the bridge: „On its old stone piers, which belong to ancient times there were rebuilt two metal trusses on both sides of the bridge with a form of a crown above it and with the construction of chains which was stretched on supports.“

The very construction contained wooden trusses with 20 wooden beams substituted by long chains and the wooden trusses were used as railings.

One of the remarkable professional photographer of the 19th century Dimitri Ermakov who traveled a lot of different regions of our country photographed city sights and landscapes of Kutaisi.

Some of Ermakov`s photos are saved in the photo-fund of the museum. These photos are very important as they give us possibility to imagine exactly one of the oldest bridge of the 19th century-the „Chain Bridge“ with wooden carriageway and with old arched stone posts and chains stretched on supports.

Impressed by the beauty of the bridge citizens of Kutaisi called it the „Chain Bridge“.

Observing the photos we can imagine that the bridge was exclusively original building. And it seemed to be enough light too.

The State Archive gives information that the old construction of the „Chain Bridge“ had not existed long .

From the above discussed collection, the photo of the „White Bridge“ in a broken down condition is a unique document and give us possibility to imagine exactly the real face of the „White Bridge“ and the views of old Kutaisi 150 years ago.

Next to „Okros Chasrdakhi“ there was built a bridge in 1850 which was initially a wooden three-span construction, resetting on stone piers with wooden railing and a carriageway. It was opened in 1852 and was named „Nickolaevski Bridge“ in honor of the Russian emperor: This bridge had not existed long.

After the 1859-1860 years different natural phenomena periodical-floods both the „Chain Bridge“ (1859) and „Nickolaevski Bridge“(White Bridge) as well were destroyed early in the 1860.

One of the Eremakov's photo shows the „White Bridge“ just in a broken-down condition. It was rebuilt in 1872. It's metal parts and railings were made in France which were painted with and the bridge was named the „White Bridge“.

According to these facts we can say that the photos were taken approximately in 1860-1872 years.

These photos are very important as

1) They are the photos of the remarkable professional photographer Dimitri ermakov, and are distinguished with their originality.

2) The photos have survived the real face of the „Chain“ and „White“ bridges of the second part of the 19th century.

3) If not Ermakov's photos which are saved in the photo-fund of the museum we couldn't have possibility to reconstruct and return old faces of the bridges as with the help of these photos were made the projects (plans) after which the reconstruction was begun in 1955 and completely has been rehabilitated this year.



სურ. №1. ჯაჭვის ხიდი მე-19 ს. მე-2 ნახ. ფოტო დ. ერმაკოვის



სურ. №2. ჯაჭვის ხიდი, მე-19 ს. მე-2 ნახ. ფოტო დ. ერმაკოვის



სურ. №3. ჩანყვეტილი ჯაჭვის ხიდი. მე-19 ს. მე-2 ნახ.



სურ. №4. ჩანგრეული თეთრი ხიდი. ფოტო დ. ერმაკოვის, მე-19 ს. მე-2 ნახ.

ნელი უბრახელიძე

ილდეგეზიდური მონეტაჰი ქუთაისის მუზეუმში

ქუთაისის მუზეუმში დაცულ მრავალრიცხოვან ნუმიზმატიკურ კოლექციებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს XII საუკუნეში მოჭრილ ქართულ და უცხო ქვეყნების მონეტებს, რომლებიც ნაპოვნია ქუთაისსა და მის მიდამოებში ქუთაისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ სხვადასხვა წლებში. სხვა მონეტებთან ერთად აქ დაცულია ილდეგეზიდური მონეტებიც.

ილდეგეზიდების ფეოდალური დინასტია დაარსდა აზერბაიჯანსა და ჩრდილოეთ ირანში XII საუკუნეში, მაშინ, როდესაც სელჯუკთა სასულთნო, ე. ი. დასავლეთი ირანი დაიყო რიგ, ფაქტობრივად დამოუკიდებელ სამფლობელოებად, რომელთა მემკვიდრეობითი მბრძანებლები ხშირად ინოვებოდნენ ათაბეგებად. ამ სიტყვის წარმოშობა დაკავშირებულია სელჯუკთა სახელმწიფოში გაბატონებულ პრაქტიკასთან: როდესაც სულთანი უფლისწულს საგანმგებლოდ გადასცემდა ამა თუ იმ ოლქს, მას აღმზრდელად მიუჩინდა ცნობილ სარდალს-ამირას (ლალედ), რომელიც უფლისწულის სახელით, ფაქტიურად თვითონ მართავდა ამ ოლქს [კაციაძე 2009: 211]. ამგვარი ამირა ინოვებოდა “ათაბეგად”. სელჯუკთა სახელმწიფოს დაშლის პროცესში მსხვილი საათაბაგოები წარმოიშვა ირანის აზერბაიჯანში, ფარსში და ლურისტანში. სწორედ აზერბაიჯანსა და ჩრდილოეთ ირანში დაფუძნდა ილდეგეზიდების ფეოდალური დინასტია. მისი დამაარსებელი იყო შამს ედ დინ ილდეგეზი. მან თავის ძალაუფლების ქვეშ გააერთიანა სამხრეთი და ჩრდილოეთი აზერბაიჯანი და ჩრდილოეთი და დასავლეთი ირანი. მას საომარი ურთიერთობა ჰქონდა დემეტრე I-თან და განძა-რანისათვის ეს ბრძოლა გრძელდებოდა გიორგი III-ისა და თამარის დროსაც [ნარკვევები III 1979: 272].

XII საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ილდეგეზიდები საქართველოს წინააღმდეგ კავშირს კრავენ სელჯუკებთან შირვანისათვის ბრძოლაში, მაგრამ მათ შირვანი ვერ დაიმორჩილეს და შირვანის შაჰები საქართველოს მეფის მორჩილი არიან როგორც გიორგი III-ის დროს, ასევე თამარის მეფობაშიც. ილდეგეზიდების დინასტიის წარმომადგენლის ყიზილ არსლანის დროს ათაბეგთა სახელმწიფო ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა. და ერასის სელჯუკთა სახელმწიფოში მძლავრ პოლიტიკურ ერთეულს წარადგენდა, მაგრამ მალე თვითონ მათ შიგნით დაიწყო შიგა დინასტიური ბრძოლები. 1191 წელს ყიზილ არსლანი მოკლეს და მისი სამფლობელოები მისმა ძმისწულებმა გაიყვეს. ძმებს შორის ჩამოვარდნილი მტრობით ისარგებლა ყიზილ არსლანის ნაშვილებმა აბუ ბაქრმა. მან დაამარცხა ძმები და მათ ტერიტორიებს დაეპატრონა. ერთ-ერთი ძმა ამირ მირანი შირვანის შაჰს შეეხიზნა და ბოლოს მისი ქალიც შეირთო ცოლად, ხოლო შირვან შაჰი საქართველოს ყმადნაფიცი იყო და, ამ მხრივ, ამირ მირანი გარკვეულ ურთიერთობას ამყარებდა საქართველოსთან. ეს კი საქართველოს სამეფო ხელისუფლებას უფლებას აძლევდა აქტიურად ჩარეულიყო სამხრეთ აზერბაიჯანის საქმეებში და იქ თავისი ძალაუფლება გაეფრცვლებინა. აბუ ბაქრს მხედველობიდან არ გამორჩენია ქართველთა მზადება მის წინააღმდეგ და მთელ მუსლიმანურ სამყაროს მოუწოდა საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. ბრძოლა გაიმართა ქალაქ შამქორთან 1195 წელს და ქართველთა სრული გამარჯვებით დამთავრდა, ხოლო ქალაქი გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით ამირ მირანს გადასცეს. ამის შემდეგ ქართველებმა ქალაქი განძაც აიღეს და მოხარკეობის საფუძველზე ისიც ამირ მირანს გადასცეს. ამიერიდან განძის გამგებელი ამირ მირანი საქართველოს მოხარკედ იქცა.

ქართველებისათვის კარგად იყო ცნობილი ის პოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიკური მნიშვნელობა, რაც მაჰმადიანთა მფლობელობისაგან ქალაქების — განძის, ანისის, დვინის და სხვა ქალაქების განთავისუფლებას ჰქონდა. არანაკლები პოლიტიკურ-ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა შირვანის ვაჭრობით სახელგანთქმულ ქალაქებს-შემახას, დარუბანდს და სხვას, რომელთა დაუფლებით დაინტერესებული იყო საქართველოს ხელისუფლება. XII საუკუნის შუა ხანებში წინა აზიაში კვლავ განახლდა ეკონომიკური ცხოვრება, რომელიც შეფერხებული იყო თურქ-სელჯუკთა შემოსევებისა და ბატონობის შედეგად. ამ დროიდან იწყება აღმოსავლური ქალაქების ხელახალი დაწინაურება და აყვავება. მაგრამ ამ დროს წინა აზია პოლიტიკურად იყო დაშლილი და დაქუცმაცებული. ამან, სხვა ფაქტორებთან ერთად, განაპირობა ის, რომ საქართველო წინა აზიის უძ-

ლიერეს სახელმწიფოდ იქცა. გაძლიერებული საქართველო ყველა საშუალებას მიმართავდა, რათა გაბატონებულიყო კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის მთავარ სავაჭრო მაგისტრალზე. ეს განხორციელდა XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე. პოლიტიკურად გაერთიანებულმა და ეკონომიკურად გაძლიერებულმა საქართველოს სამეფო ხელისუფლებამ თავის კონტროლს დაუქვემდებარა აღმოსავლეთ და დასავლეთ ამიერკავკასიის სავაჭრო გზები, კერძოდ, დვინ-არზრუმისა და დარუბანდ-შემახიის გზები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქვეყნის საერთო ეკონომიკური განვითარების საქმეში. მაგრამ საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება მიზნად ისახავდა ირანის ტერიტორიაზე გამავალი მთავარი სავაჭრო მაგისტრალის დაუფლებასაც. ეს გზა როგორც ცნობილია, განსაკუთრებულ როლს ასრულებდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის სავაჭრო ურთიერთობაში [გაბაშვილი 1981: 40]. მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ ამიერკავკასიის ქალაქების განვითარება მჭიდროდ იყო დაკავშირებული მახლობელი აღმოსავლეთის საერთო ეკონომიკურ აღმავლობასა და განვითარებასთან. წინა აზია თავისი ქალაქებით აქტიურად მონაწილეობდა იმდროინდელ მსოფლიო ვაჭრობაში. ირანის ზეგანზე გადიოდა განსაკუთრებული მნიშვნელობის სავაჭრო მაგისტრალები, რომელთა გასწვრივ ვაჭრობით განთქმული ქალაქები იყვნენ განლაგებული. შემთხვევით არ აიხსნება ის, რომ XII-XIII საუკუნეებში პოლიტიკურად და ეკონომიკურად გაძლიერებული საქართველო მიისწრაფოდა კავკასიისა და წინა აზიის მნიშვნელოვანი სავაჭრო მაგისტრალების დაუფლებისაკენ [გაბაშვილი 1981: 41]. საერთოდ, ფეოდალური ხანის აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებში მთავარი და წამყვანი იყო საგარეო ვაჭრობა. ამ მხრივ, გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენდა. ქართულ ქალაქებს მჭიდროდ სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა სხვადასხვა ქვეყნებთან. საგარეო ვაჭრობის განვითარებას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ საქართველოზე გადიოდა ანტიკური პერიოდიდანვე ცნობილი დასავლეთისა და აღმოსავლეთის შემაერთებული დიდი სავაჭრო გზა, რომელიც აადვილებდა უცხო ქვეყნებთან კომერციული კავშირის გაფართოებას. XI-XII საუკუნეებში საქართველოს ფართო სავაჭრო ურთიერთობები ნათლად ჩანს როგორც ისტორიულ ლიტერატურაში, ისე ნუმისმატიკურ და არქეოლოგიურ მასალაშიც. ვაჭრობის განვითარებას ხელს უწყობდა სამეფო ხელისუფლებაც. კეთილმოწყობილი სავაჭრო გზები უცხო სამყაროსთან დაკავშირების საშუალებას აძლევდა ქვეყანას. ფართოდ იყო გაშლილი საქარავნო ვაჭრობაც. საქართველოში აღმოსავლეთის ქვეყნებიდან შემოჰქონდათ სხვადასხვა სახის ქსოვილი, ნელსაცხებელი, ცხენის აკაზმულობა, შაქარი, ძვირფასი თვალ-მარგალიტი და სხვა, ამავე ქვეყნებიდან ზოგჯერ ზოდებით ოქრო და ფოლადიც კი შემოჰქონდათ, რომელთა დამუშავება ადგილობრივ ხდებოდა [ნარკვევები III, 1979: 108]. საქართველოს ქალაქებს უცხოეთიდან არა მარტო შემოჰქონდათ სხვადასხვა სახის საქონელი, არამედ სხვადასხვა ქვეყანაში, გაჰქონდათ კიდევ ადგილობრივი ნაწარმი. საქართველოდან გაჰქონდათ ბამბის, მატყლის, აბრეშუმის ნაწარმი, ქსოვილები, ხალიჩები, კერამიკული ნაწარმი და სხვა. ყველაფერი ეს იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში მძლავრად იგრძნობოდა მსოფლიო ბაზრის მაჯისცემა, რაც გამოწვეული იყო საქართველოს მაშინდელი საერთაშორისო მდგომარეობით და მისი სავაჭრო გზების განსაკუთრებული მიმართულებით. ამგვარი ვითარება იყო დასავლეთ საქართველოს ქალაქებშიც, კერძოდ, ქუთაისში. ქუთაისი თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრად ითვლებოდა და მასზე გამავალი საერთაშორისო სავაჭრო გზები მისი ეკონომიკური და კულტურული დანინაურების ერთ-ერთი ფაქტორი იყო. ქუთაისში გადიოდა აგრეთვე, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ქალაქების დამაკავშირებელი გზები და გადასასვლელი. აქ გადიოდა დიდი სავაჭრო-სატრანზიტო გზა, რომელიც საქართველოს ჩრდილო კავკასიასა და მცირე აზიასთან აკავშირებდა. მათი საშუალებით ქუთაისი დაკავშირებული იყო თბილისთან, რუსთავთან, დმანისთან, ხოლო ეს ქალაქები მას აკავშირებდა ირანის მთავარ სავაჭრო ეკონომიკურ ცენტრებთან არდებელ-ზენჯანისა და დვინ-თავრიზის მაგისტრალებით. ამიტომ დიდი იყო ქუთაისის სავაჭრო-ეკონომიკური მნიშვნელობა და XI საუკუნიდან მოყოლებული XIII საუკუნის 10-იან წლებამდე საკმაოდ გაიზარდა მისი სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა ახლო და შორეულ ქალაქებთან და ქვეყნებთან. ეს პერიოდი არის ქუთაისის სამეურნეო, ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური ძლიერების პერიოდი [ჩაკვეტაძე 1960: 100]. ქუთაისის სამეურნეო-ეკონომიკური დანინაურება განპირობებული იყო ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ვითარებით, ქვეყნის

საწარმოო ძალების განვითარებით, იმით, რომ ქუთაისი იყო დასავლეთ საქართველოს, ხოლო 1122 წლამდე გაერთიანებული საქართველოს დედაქალაქი. ამ პერიოდში ქუთაისი ცხოველ მონაწილეობას იღებდა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთ წარმოებულ სავაჭრო საქმიანობაში. ქუთაისში საქონელი შემოჰქონდათ საბერძნეთიდან, ეგვიპტიდან, ირანიდან და სხვა ქვეყნებიდან. ძირითადად, შემოჰქონდათ ძვირფასი თვლები, ძვირფასი ლითონის ნაწარმი, მატყლი, მარილი, ხმელი თევზი და სხვა, ხოლო ქუთაისიდან გაჰქონდათ აბრეშუმი, ბენვეული, თაფლი, ხე-ტყე, სანთელი, გაჰყავდათ ცხენები და სხვა [ჩაკვეტაძე 1960: 323]. ქუთაისში ეკონომიკური ცხოვრების, კერძოდ, ვაჭრობა-აღებ-მიცემის განვითარებასთან ერთად განვითარებული იყო საფასის მეურნეობაც. საფასის არსებობას ქუთაისში, ისე როგორც საერთოდ, საქართველოში, მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. აქ აღმოჩენილი XII-XIII საუკუნეების მონეტები იმის მაჩვენებელია, რომ ქუთაისს აღნიშნულ პერიოდში სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა მეზობელ ქვეყნებთან. აქ აღმოჩენილია სელჯუკების, ჯალალ ედ დინის, ილდეგეზიდების, ორთუკიდების, ეიუბიდების, ჰულაგუიდების და სხვათა სპილენძისა და ვერცხლის მონეტები. ქუთაისში აღმოჩენილი ილდეგეზიდების მონეტები ათაბეგ აბუ ბაქრ ილდეგეზიდს ეკუთვნის. მონეტები არასწორი ფორმის და სხვადასხვა წონის სპილენძისგანაა მოჭრილი. მონეტის შუბლზე მოთავსებულია ერაცის სულთნის და ბაღდადის ხალიფას სახელები, ხოლო ზურგზე თვითონ აბუ ბაქრის სახელი იკითხება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მტერ-მოყვრული დამოკიდებულება ჰქონდა აბუ ბაქრ ათაბეგთან, მისი სახელით მოჭრილი ნუმისმატიკური მასალის არსებობა ქუთაისში იმაზე მიუთითებს, რომ ქუთაისსა და ილდეგეზიდების სახელმწიფოს შორის მაინც არსებობდა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა.

ბოლოს, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქუთაისსა და მის მიდამოებში აღმოჩენილი XII საუკუნის უცხო ქვეყნის ნუმისმატიკური ძეგლები, მიუხედავად მათი მცირე რაოდენობისა, ნათლად გვიჩვენებს ამ პერიოდში ქუთაისში ვაჭრობის განვითარებას, იმას, რომ ქუთაისი სავაჭრო ურთიერთობაში იყო არა მარტო საქართველოს სხვადასხვა ქალაქებთან, არამედ სხვა ქვეყნის ქალაქებთანაც.

ლიტერატურა:

1. გაბაშვილი მ. 1981: საქართველოს ქალაქები XI-XII საუკუნეებში. თბილისი.
2. კაციტაძე დ. 2009: ირანის ისტორია III-XVIII ს.ს. თბილისი.
3. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III. 1979: ზ. ანჩაბაძე, ვ. გუჩუა (რედ) თბილისი.
4. ჩაკვეტაძე ვლ. 1960: ქუთაისის ისტორიიდან. თბილისი.

NELI UGREKHELIDZE

ILDEGEZIDE COINS IN KUTAISI MUSEUM

Among numerous numismatic collections, preserved in Kutaisi Museum, a significant place is occupied by the 12th century Georgian and foreign coins, discovered in Kutaisi and its surroundings in various years. Together with other coins, the Museum houses Ildegezide ones.

The dynasty of Ildegezides was founded in Azerbaijan and northern Iran in the 12th century when Seljuk Sultanate, that is, western Iran, was in fact divided into independent principalities, whose successive rulers have frequently been referred to as Atabegs. The origin of this word has been associated with the practice, dominant in the Seljuk state: whenever a sultan gave a prince a region to rule it, he assigned a prominent commander (*laled*) as a tutor, who in fact governed the region himself on behalf of the prince [Katsitadze 2009" 2011]. Such a commander was referred to as 'Atabeg.' In the process of the discrimination of the Seljuk state, large principalities (led by Atabegs) emerged in Iran's Azerbaijan, Fars and Luristan. It was Azerbaijan and northern Iran where the feudal dynasty of Ildegezides was established. It was founded by Shams ed-din Ildegez. Under his rule, he united southern and northern Azerbaijan and northern and western Iran.

In the early 1160s, Ildegezides united with Seljuks against Georgia in the battle for Shirvan, but they failed to subdue

Shirvan, and the Shahs of Shirvan were subordinate to Georgian kings both under Giorgi III and Queen Tamar.

Under Qizil Arslan, the state of Atabegs spread over a vast territory. However, domestic dynastic fights started among them. In 1191, Qizil Arslan was killed and his possessions were divided among his nephews. Abu Bakr, adoptive son of Qizil Arslan, took advantage of the hostilities among brothers. He defeated the brothers and took over their territories. One of the brothers, Amir Miran appealed to the Shah of Shirvan for help, and the latter appealed to Georgian authorities. Abu Bakr noticed that Georgia was getting ready against him and appealed to the whole Muslim world to fight against Georgia. The battle took place near the town of Shamkor in 1195 and it ended in the total victory of Georgians, and they gave the town to Amir Miran for certain political reasons. Later, Georgians took the town of Ganja and gave it to Amir Miran based on contributions.

Georgians were well aware of the trade and economic importance that was associated with the liberation from the Muslim rule of the towns of Ganja, Anisi, Dvini and others. Nonetheless importance was associated with other towns like Shemakha, Daruband and others, and Georgian authorities were interested in taking hold of them. Generally, foreign trade was a principal and leading phenomenon in eastern and western countries of the feudal epoch. Georgia was no exception with this respect. Georgian towns had close relationships with various countries. Georgia imported various fabrics, skin balm, horse accessories, precious stones, etc. Meanwhile, they exported local products. The situation was the same in towns of western Georgia. Owing to its geographical location, was considered a significant trade center, and the international trade routes, passing through it, were one of the factors of its economic and cultural advancement. In that period, Kutaisi took an active part both in domestic and international trade. The 12th-13th century coins, discovered here, indicate that, in that period, Kutaisi had economic relationships with oriental countries. Copper and silver coins of Seljuks, Jalal ed-Din, Ildegezides, Ortukides, Eiubides, Hulaguides, and others have been discovered here. The Ildegezide coins, discovered in Kutaisi, belong to Abu Bakr. Irrespective of the fact that Georgia did not have friendly relations with Abu Bakr Atabeg, the occurrence of his numismatic data in Kutaisi indicates that there however have been certain economic relations between Georgia and the Kingdom of Ildegezides.

ხატიბა კაცაძე

(ვოლონტერი)

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული პართული მონეტები

საქართველოში შემოსულ და გავრცელებულ უცხო საფასეთა შორის გარკვეული ადგილი უჭირავს პართულ მონეტებს ანუ არშაკიანთა ვერცხლს.

პართიის მონათმფლობელური სამეფო სელევკიანთა სახელმწიფოს გამოეყო ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე საუკუნის მეორე ნახევარში, არშაკ პირველის (250-247) დროს.

სამეფო წარმოიშვა კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, თავისი ძლიერების პერიოდში იგი მოიცავდა ირანის, თანამედროვე თურქმენეთის, ერაყის, (მათ შორის ძველი ბაბილონის) ავღანეთის, ძველი პაკისტანის ნაწილს. იგი წარმოიშვა ჩრდილოეთ ხორასნის ნახევარუდაბნო და მთიან რეგიონებში.

სახელმწიფოს დედაქალაქი ძველი წელთაღრიცხვით პირველ საუკუნემდე იყო ქალაქი ნესა (თანამედროვე აშხაბადის მახლობლად) მეფე ოროდის დროს კი (56-37 წელი ჩვენი წელთაღრიცხვით) მდინარე ტიგროსის ნაპირას დაარსდა სახელმწიფოს ახალი პოლიტიკური ცენტრი კტეზიფონი (არაბული მადაინი)

პართიის სამეფოს გვაროვნული არისტოკრატია აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო ვაჭრობაში, დასავლეთის ქვეყნებთან, ჩინეთთან, ინდოეთთან.

აბრეშუმით ვაჭრობის საქმეში პართია უპირველეს როლს ასრულებდა. ამავე დროს პართიის სახელმწიფო სასტიკად იცავდა “აბრეშუმის გზის” მარშრუტის საიდუმლოს რომის ხელყოფისაგან. იგი ყოველთვის ხელს უშლიდა რომის იმპერიის უშუალო კონტაქტს ჩინეთის სახელმწიფოსთან ერთ-ერთი მთავარი მიზეზი (რა თქმა უნდა სხვა მიზეზებთან ერთად) პართიის სახელმწიფოსა და რომს შორის გაუთავებელი ომებისა ესეც იყო.

პართიის სახელმწიფოს სიძლიერესთან ერთად საომარ მოქმედებებსაც აფართოებდა, ისე რომ მის აგრესიას რომთან კავკასიელი ხალხიც ვერ გადაურჩა. მონინალმდეგედ მას წინა აზიაში რომის უძლიერესი სახელმწიფო გამოუჩნდა. მათ შორის ბრძოლა სტრატეგიული ობიექტების დაკავებისათვის დიდხანს გრძელდებოდა. მათ ინტერესებში საქართველოც აღმოჩნდა. ჩვენი ქვეყნის გამო ბრძოლები ძირითადად სომხეთის ტერიტორიაზე ხორციელდებოდა, თუმცა საქართველო მაინც რჩებოდა ბრძოლის ასპარეზად.

რომისა და პართიის ქიშპობას ღრმა ეკონომიკური და პოლოტიკური მიზეზები ქონდა. ისინი ერთნაირად იყვნენ დაინტერესებული ამიერკავკასიით და იქ მომხდარ ყოველ პოლიტიკურ ვითარებას თითოეული მათგანი თავის სასარგებლოდ იყენებდა.

რომის იმპერიასა და პართიის სახელმწიფოს შორის პირველი შეიარაღებული ბრძოლა ძველი წელთაღრიცხვით 65 წელს მოხდა. ეს იყო დასაწყისი ამ სახელმწიფოთა შორის ხანგრძლივი ომებისა.

ინდოეთიდან წამოსულ მსოფლიო მნიშვნელობის დიდ სავაჭრო სტრანზიტო გზას მცხეთაზე უნდა გაევიღო, გარდა ამისა მცხეთა სტრატეგიული მნიშვნელობითაც გამოირჩეოდა.” აქ თავს იყრიდა მეზობელი მხარეებიდან მომავალი გზები” ასევე ამ გზებს ჰკვეთდა მეორე დიდი მნიშვნელობის გზა, რომელიც ჩრდილოეთიდან მდინარე არაგვის ხეობით სამხრეთისაკენ მიემართებოდა.

ასევე ამ გზით ხორციელდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთსა და ჩრდილო კავკასიის ტომებთან სავაჭრო ურთიერთობა.

არაგვის გზისა და დარიალის ხეობის კონტროლი კი მთლიანად ქართველების ხელში იმყოფებოდა. ეს იყო მთავარი მიზეზი რომისა და პართიის ბრძოლაში ქართველების ჩაბმულობისა.

ამ სტრატეგიული პლაცდარმის და დიდმნიშვნელოვანი სავაჭრო გზის შესახებ ცნობებს ჯერ კიდევ სტრაბონი გვაძლევდა. ისტორიკოსი იუწყებოდა რომ ჩინეთისა და ინდოეთის საქონელი ჯერ ოქსუსით (ახლანდელი მდინარე ამუდარია) იგზავნებოდა გირკანოს ზღვაზე, აქედან მდინარე კირით (მტკვარი) და მის მომდევნო ოლქებით ევქსინის (შავ) ზღვაზე.

ამ სავაჭრო გზის მნიშვნელობის შესახებ უფრო სრულ წარმოდგენას მივიღებთ, თუ გავითვალისწინებთ, რომ იმ შორეულ დროს მდინარე ამუდარია ერთვოდა კასპიისა და არა არალის ზღვას, ხოლო მდინარეები საერთოდ, და კერძოდ, მტკვარი უფრო დიდი და წყალსავსე იყო, რაც მნიშვნელოვნად აადვილებდა ინდოეთიდან დასავლეთ ქვეყნებში მოგზაურობას.

აღნიშნული სავაჭრო-ეკონომიკურ-პოლიტიკური ვითარება და ის მთავარი სატრანზიტო მაგისტრალი, რომელიც საქართველოზე გადიოდა ქმნიდა პირობებს და ხელს უწყობდა საქართველოში სხვადასხვა ქვეყნის მონეტების შემოსვლას.

არშაკიანთა მონეტების შემოსვლა მტკვრის დინებით უნდა ვივარაუდოთ, რადგან ის მნიშვნელოვანი გზა სწორედ ამ ხეობას მიჰყვება. ამ გზაზე მდებარეობს აღმოსავლეთით: თბილისი, ავჭალა, მცხეთა, კასპი, უფლისციხე და ა. შ. ხოლო შემდეგ სურამის უღელტეხილის გადასვლის მერე ყვირილა-რიონის მაგისტრალით ბორი, კლდეეთი, ქუთაისი, ვანი და ა.შ.

შემოსული ფული მონაწილეობდა სავაჭრო მიმოქცევაში და შესაფერის პირობებში განძადაც ინახებოდა.

არშაკიანთა მონეტები პირველ ხანებში იჭრებოდა როგორც ვერცხლის ასევე სპილენძისა. მონეტები ბერძნული ზედწერილობით გამოდიოდა. ეს განპირობებული იყო იმით რომ პართიის სამეფოში ძლიერი იყო ელინისტური კულტურის გავლენა, იქამდეც კი რომ პართელი მეფეები თავიანთ თავს “ელინოფილებს” (ბერძენთა მეგობრებს) უწოდებდნენ. ასევე არშაკიდები პართული ენისა და დამწერლობის პარალელურად იყენებდნენ ბერძნულ ენასა და დამწერლობას. ამ ყველაფერმა თავი იჩინა მონეტებზე, თუმცა მოგვიანებით კერძოდ ვოლოგეზ პირველის დროიდან (51-77) პართული მონეტების ბერძნულ ლეგენდებში ფალაური ასოები გაჩნდა.

ამის მაგალითია **ვოლოგეზ პირველის** დრაქმის შუბლზე, ბიუსტის უკან ორი ფალაური ასოთი (**ვოლოგეზ მეფე**) ზედწერილობით ბერძნულ-ფალაური ანბანია შერეული.

ასევე **ვოლოგეზ მეორე (77-78-146-77)** რამდენიმე ფალაური ასოთია აღბეჭდილი ვოლოგეზ მეფე-**მითრიდატე მეოთხე (130-147)** დრაქმის ზურგზე ორი სიტყვა “მითრიდატე მეფე” ფალაურია.

ვოლოგეზ მესამე სპილენძის მონეტის ზურგზე მხოლოდ ფალაური ზედწერილია მოცემული “**ვოლოგეზ არშაკი მეფეთა მეფე**”.

საქართველოში აღმოჩენილი პართული ნუმიზმატიკური ძეგლები შემდეგ პართელ მეფეებს განეკუთვნებიან: ოროდ I, გოტარზე, ვოლოგეზ I, მითრიდატე I, მითრიდატე II, არტაბან II, სინათრუქი და მითრიდატე III.

რა თქმა უნდა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი პართული მონეტების რაოდენობა მეტია, დასავლეთ საქართველოში ნაპოვნ მონეტათა რიცხვზე, თუმცა მათი გარკვეული ნაწილი მაინც დასტურდება დასავლეთში.

ჩვენ განვიხილავთ ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცულ პართულ მონეტებს

1. მითრიდატე II (ძ.ვ. წ. 123-88 წწ.)

შუბლი: გამოსახულია მეფის წვერულვაშიანი ბიუსტი დიადემით.

ზურგი: არშაკი ზის ტახტზე, ხელში მშვილდი უჭირავს, ირგვლივ ბერძნული ზედწერილობით. მასალა ვერცხლი.

2. ფრაატ IV (37-02)

შუბლი: გამოსახულია მეფის წვერულვაშიანი ბიუსტი დიადემით.

ზურგი: არშაკი ზის ტახტზე, ხელში მშვილდი უჭირავს, ირგვლივ ბერძნული ზედწერილით. ვერცხლი

ქუთაისის მუზეუმში ინახება აგრეთვე ფრაატ IV-ის ტეტრადრაქმა, მაგრამ დაზიანებულია (ტეტრადრაქმა იმდროისათვის ყველაზე მაღალი ნომინალი იყო, როგორც ფულის ერთეული)

3. ოროდ I (57-37 წწ)

შუბლი: მეფის ბიუსტი მოკლე წვერით.

ზურგი: ცხენის თავი მარჯვნივ, ირგვლივ ბერძნული ზედწერილობით.

მონეტას ეწოდება **ფელსი** რადგან იგი არის სპილენძის.

4. გოტარზეს დრაქმა (40/41-51 წწ)

შუბლი: გამოსახულია მეფის წვერულვაშიანი ბიუსტი დიადემით, ირგვლივ ბერძნული ზედწერილობით

ზურგი: დინაასტიის დამაარსებელი არშაკ დიდი.

მასალა ვერცხლი.

მონეტების მოჭრის ადგილი იყო ქალაქი ნესა და კტეზიფონი.

მიუხედავად იმისა რომ პარტიის სახელმწიფოს პოლიტიკური თვალსაზრისით, აღმოსავლეთ საქართველოსთან კერძოდ ქართლთან შედარებით მჭიდრო ურთიერთობა ქონდა ვიდრე დასავლეთთან, ქუთაისის მუზეუმში დაცული ეს მონეტები გვიდასტურებენ რომ არანეკლებ მნიშვნელოვანია დასავლეთ საქართველოსა და პარტიას შორის ისტორიულ-პოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შესწავლა და ანალიზი.

ლიტერატურა:

1. აბრამიშვილი თ. პართული მონეტები. თბილისი
2. ანთაძე მ. გაგოშიძე ი. 2003 წ : ფული საქართველოში. თბილისი.
3. კაპანაძე დ. 1969. ქართული ნუმისმატიკა თბილისი.
4. კაციტაძე დ. 2009 ირანის სიტორია III-XVIII სს. თბილისი.
5. ჯავახიშვილი ივ. ტ 1. 1951წ. "ქართველი ერის ისტორია"
6. Пахомов Е. 1970: монеты грузии. Тбилиси.

KACADZE KHATIA
(VOLUNTEER)

THE PARTIAN ICONS COVERED AT KUTAISI NATIONAL-HISTORIC MUSEUM

Among foreign material valnes, outspread in Georgia, the Pathion icons play very important role as a specimen of culture.

Pathian kingdom had always actively participated in an International trade with Eastern nations/countries-with China and India. "The Silk Road" had strategic significance. This road had been the matter of disagreement for Roman Empire and Eastern Nations; Above-mentioned backbone road went through Mtskheta.

Accordins to scientists assumption,the Parthian icons appeared in Georgia due to river Mtkvari's geographical location. Those icons had been covered as an endowment. So called "Money" had been in trading currency on a regional scole. From the beginning Arszakian Dinasty's icons in an Old Greek language;As Parthian Kingdom had influenced the dominance of the Hellenic culture.

The Arshakian Dinasty using the Parthian Language and script at the same time they had been using the Greek language and script.

There is a number of Numismatic specimen discovered found in Georgia,connected with the names of Parthian Kings. Those icons are named after: Oriod I,Gothar, Volgez I, Mithridate I, Mithridate II, Artagan II, Sinathruk and Mithridate III.

As for Western Georgia, there is anumber of Parthian icons, covered at Kutaisi-National-Historic museum; those icons are named after Mithridate II, Orod I, Phraet III and Gothars.

On the first side of the icon is denominated the governor, in whose reignance the very icon was cut, on the other side of the icon is denominated the King Arshak excepting the King Oriod I's icon-the head of the horse is denominated on the other side of that icon.

Those icons had been cut in Nessa and Ktezifone.

The icons covered at Kutaisi –National-Historic-Museum throw the light upon the close historic-political and trade-aconomic contact among West Georgian and Parthian Kingdoms.



თამარ კვანციანი

(ვოლონტერი)

წმიდათა მამა მარტინი-ირანული ურთიერთობის შესახებ VI-VII საუკუნეებში

ბრძოლა საქართველოს ტერიტორიის ხელში ჩასაგდებად საუკუნეებს ითვლის, საქართველოს საზღვრები განუწყვეტლივ ირღვეოდა და VI საუკუნისთვის ბიზანტიამ და ირანმა თავიანთი გავლენის სფეროებად გაიყვეს: პირველ-დასავლეთი, ხოლო მეორეს-აღმოსავლეთ ნაწილი.

სასანიანთა სახელმწიფო თავის წარმოშობისთანავე (რომელიც 226 წ. მოხდა, როცა არტაბან V-მ მეფეთა მეფის ტიტული მიიღო) ატარებდა აქტიურ საგარეო პოლიტიკას. ირანის წინააღმდეგობას რომთან და შემდეგ მის მემკვიდრე ბიზანტიასთან ღრმა ეკონომიკური მიზეზები ქონდა. ორივე მეომარ მხარეს სურდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელ უმთავრეს სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალზე გაბატონება ე.წ. “აბრეშუმის გზა”. ასე აღმოჩნდა ამიერკავკასია ჩართული ზემოთხსენებული დიდი იმპერიების ქიშპში. სომხეთის, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დაპყრობა ირანს შავი ზღვის სანაპიროებზე გასვლის საშუალებას მისცემდა.

თავდაპირველად აღმოსავლეთ საქართველო ირანის ვასალი იყო, ხოლო შემდეგ, მე-VI საუკუნეიდან დამოუკიდებლობა სავსებით დაკარგა და ძალაუფლებურად მონაწილეობდა დაუსრულებელ ომებში, რომელსაც ირანი აწარმოებდა.

სასანიანთა გვარის შაჰები სულ იმის საგონებელსა და ცდაში იყვნენ რომ დასავლეთი ნაწილი მათ რგებოდათ და მთელ საქართველოსა და კავკასიის მბრძანებლებად გამხდარიყვნენ.

ხანგრძლივი ბრძოლის შემდგომ ლაზიკა მაინც ბიზანტიელებმა შეინარჩუნეს. ამგვარად, დასავლეთ საქართველო განსაკუთრებით ბიზანტიის გავლენის ქვეშ იყო, აღმოსავლეთ საქართველო კი-დეე სპარსეთის გავლენას ექვემდებარებოდა, მაგრამ ამასთანავე როგორც იბერიაში ბიზანტიელების კულტურა იყო ძლიერი, ისევე ლაზიკაში სპარსულ კულტურასაც გზა გაკვალული ქონდა.

როდესაც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებზე ვსაუბრობთ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანია ნუმისმატიკური მასალა. ამ ტერიტორიაზე აღმოჩენილი მონეტები საფუძველს გვაძლევს ვისაუბროთ ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებზე.

თვით ქართველების ნატვირისა და მისწრაფების ერთადერთ საგნად პოლიტიკური დამოუკიდებლობა და თავისუფლება რჩებოდა, არც ბიზანტიისა და არც სპარსეთის ბატონობის მოტრფიალე ლაზიკა და იბერია არასოდეს არა ყოფილა: როდესაც ქვეყანა ბიზანტიის ხელში გახლდათ და მისი მოხელეების ბოროტებისაგან სამეფო ილაჯგანყვეტილი იყო ხალხი სასანელთა შაჰებს ემხრობოდნენ მხოლოდ იმიტომ რომ ბერძნები განედევნათ და თავისუფლება მოეპოვებინათ, ამგვარადვე ბიზანტიელებს სთხოვდნენ ხოლმე შველას, როცა ქვეყანას სპარსეთი ანუხებდა. ორ წყალს შუა მყოფი ქართველობა ცდილობდა მოცილედ სახელმწიფოების მეტოქეობით ესარგებლა და თავისი მდგომარეობა გაეუმჯობესებინა.

სასანიდი მეფე ხოსრო I აქტიურ საგარეო პოლიტიკას ატარებდა. ტახტზე ასვლისთანავე იგი იძულებული გახდა დაედო :საუკუნო ზავი” ბიზანტიასთან, რომლის თანახმადაც აღმოსავლეთ საქართველო ირანს ერგო, ხოლო სკანდა და შორაპანი ირანმა ბიზანტიას დაუბრუნა, ზავს “საუკუნო” იმიტომ ეწოდა რომ ვითომდა იგი არასოდეს არ უნდა დარღვეულიყო, სინამდვილეში კი მათი მტრობა და ომიანობა დაუსრულებელი გამოდგა.

ხოსრო I შესანიშნავად ხვდებოდა თუ რაოდენ დიდ სარგებელს ნახავდა დასავლეთ საქართველოში გაბატონებით. ერთ მხრივ ის ზურგს მოუშლიდა ქართლს და მეორე მხრივ მოიპოვებდა გასასვლელს შავ ზღვაზე.

დაწყებული 20-იანი წლებიდან დღემდე გრძელდება ქუთაისსა და მის შემოგარენში სასანური მონეტების აღმოჩენა. მაგალითად ჩვენ გვაქვს ხოსრო I ანუშირვანის მონეტა, წარმოვადგენთ ამ მონეტის აღწერილობას:

შუბლზე- გამოსახულია სასანელი მეფე ხოსრო I (531-579), გარშემო ფალაური ზედწერილი, გამოსახულება ჩასმულია ნერტილოვან რკალში.

ზურგზე- გამოსახულია ცეცხლთაყვანისმცემლობის სიმბოლო კვარცხლბეგზე ანთებული მარადიული ცეცხლი, გვერდებზე ორი მცველი, ფალაური ზედწერილი ჩასმულია ნერტილოვან რკალში, ხოსრო I ანუშირვანის მონეტები იჭრებოდა შემდეგ ქალაქებში: ისპაჰანი, ქტეზიფონი, ნიშაბური, ხუზისტანი.

როდესაც 579 წელს ხოსრო I გარდაიცვალა ტახტზე მისი ვაჟი ჰორმიზდ IV ავიდა, (იგი ცნობილია ქრისტიანობის შემწყნარებლობით) სწორედ ამ დროს გამწვავდა ირანის საგარეო მდგომარეობა, რასაც გადაეჯაჭვა შიდა ეკონომიკური კრიზისი. ბიზანტიასთან ომი სულ ახალ-ახალ ხარჯებს მოითხოვდა. სასანიანთა ირანს განსაკუთრებული საფრთხე დაემუქრა მას შემდეგ რაც ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოუტიეს ხაზარებმა, აღმოსავლეთით თურქებმა, სამხრეთიდან არაბებმა. ირანმა მოახერხა შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლა.

ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში ინახება ჰორმიზდ IV მონეტა, რომელიც აღმოჩენილია ბაგრატიის ტაძარზე, აბანოს მიდამოებში.

შუბლზე- გამოსახულია სასანელი მეფე ჰორმიზდ IV (579-590) გარშემო ფალაური ზედწერილი, გამოსახულება ჩასმულია ნერტილოვან რკალში.

ზურგზე- გამოსახულია ცეცხლთაყვანისმცემლობის სიმბოლო კვარცხლბეგზე ანთებული მარადიული ცეცხლი, გვერდებზე ორი მცველი, ფალაური ზედწერილი, ჩასმულია ნერტილოვან წრეში. დიამეტრი- 2,9 მმ. წონა-3,70 გრ. ვერცხლი.

გვაქვს აგრეთვე ჰორმიზდ IV ის მონეტა რომელიც არის სპილენძი, აღწერილობით მსგავსი ზემოთმოყვანილი ვერცხლის მონეტისა.

(აღსანიშნავია ისიც რომ სასანური ირანისათვის სპილენძის მონეტის მოჭრა საკმაოდ იშვიათი მოვლენაა)-მონეტას ეწოდება **ფელსი**.

ჰორმიზდ IV იძულებულია შეურიგდეს შექმნილ ვითარებას და ქართლში გუარამ-გურგენის “ხელმწიფობა” ცნოს. თავის მხრივ ეს ხელისუფალიც არანაკლებ დაინტერესებული ჩანს შაჰთან ურთიერთობის მოწესრიგებით.

შაჰინშაჰსა და ერისმთავარს შორის მიღწეული კომპრომისული შეთანხმებისა და ამის საფუძველზე მათ შორის აღმოცენებული ურთიერთ დამოკიდებულების მატერიალური გამოხატულებაა გურგენის სახელით ქართლში მოჭრილი მონეტები, რომელთაგან რამდენიმე ცალმა ჩვენამდეც მოაღწია. მონეტები მოჭრილია 80-იან წლებში გურგენის მონოგრამით (გურგენ) მონეტის

შუბლზე- ჰორმიზდ IVის უხეშად შესრულებული გამოსახულებაა. ფალაური ლეგენდით იგი ჰორმიზდ უავგუსტოესია.

ზურგზე- კი მაზდეანური ემბლემაა, ღვთაებრივი ცეცხლით, რომელსაც სპეციალურედ დაყენებული მცველები გუშაგობენ.

ჰორმიზდ IVის მონეტები იჭრებოდა შემდეგ ზარაფხანებში: ბარდაშირი, ნიშაბური, ისპაჰანი, ქტეზიფონი, იეზდი, რეი.

ამავე მონეტის შუბლზე მეფის მხრის ზემოთ ერთი შეხედვით შეუმჩნეველი ჯვრის ნიშანიც ჩნდება. ამასთან დაკავშირებით ნუმიზმატი დ.კაპანაძე სამართლიანად შენიშნავს რომ ეს რელიგიური სიმბოლო ჩვენი წინაპრებისთვის ეროვნულ ემბლემასაც წარმოადგენდა, ხოლო ქართულ მონეტაზე მისი გაჩენა პოლიტიკური მნიშვნელობის ნაბიჯიც იყო.

ამ მხრივ ჩანს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა მოიჭრა ფული იმ ადგილზე სადაც სასანელების ცეცხლი გიზგიზებდა ჩვენმა წინაპრებმა საკუთარი რელიგიური ემბლემა ჯვარი აღმართეს, მაგრამ არც ეს იკმარეს, მალე ახალმა ერისმთავარმა სტეფანოზ პირველმა ქართული ასომთავრული ნიშნებით მონეტის კედელზე დააქარაგმა თავისი სახელი (სტეფანოზ). მონეტის მთავარი ადგილი კვლავ ჰორმიზდის გამოსახულებას უჭირავს, იქვე ფალაური ლეგენდაა. ჩვენამდე

მოღწეული ეს მონეტა მოჭრილი უნდა იყოს არა უგვიანეს 589 წლისა (ამ წელს ჰორმიზდ IV ტახტიდან ჩამოაგდეს) და მოწმობს რომ სტეფანოზი ჯერ კიდევ ირანის მორჩილი ქვეყნის მმართველია.

ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში ინახება ხოსრო II ფარვიზის (591-628) მონეტა, რომელიც ნაპოვნია ქუთაისის მიდამოებში.

შუბლზე- გამოსახულია სასანელი მეფე ხოსრო II, გარშემო ფალაური ზედწერილი, გამოსახულება ჩასმულია ნერტილოვან რკალში.

ზურგზე- გამოსახულია ცეცხლთაყვანისმცემლობის სიმბოლო კვარცხლბეგზე ანთებული მარადიული ცეცხლი, გვერდებზე ორი მცველი, ფალაური ზედწერილი, ჩასმული ნერტილოვან რკალში. დიამეტრიც-3მმ, წონა-3,97გრ, სუფთა ვერცხლი.

ხოსრო II ფარვიზის მონეტები იჭრებოდა: ნიშაბური, დარაცკერტი, რამ-ჰორმიზდი, ბარდაშირი, ისპაჰანი, ქტეზიფონი, ბალხი.

591წლიდან როცა ირანის შაჰის ტახტზე ხოსრო II ფარვიზი ავიდა, ქართლის საგარეო პოლიტიკურ ცხოვრებაში გარდატეხა მოხდა, რაც როგორც მოსალოდნელი იყო ქართულ მონეტებზედაც აისახა. მეფის გამოსახულების გარშემო უკვე სტეფანოზის სრული სახელია ქართულად წარწერილი, რაც მოწმობს რომ ამ მონეტის მომჭრელი დამოუკიდებელი ხელმწიფეა, ამრიგად საისტორიო წყაროების სიმცირის გამო ქართული ნუმიზმატიკის მონეტები დაუფასებელ სამსახურს გვინვენი VI ს-ის 80-90 იანი წლების ქართლის პოლიტიკური ვითარების გარკვევაში.

საერთოდ, VI საუკუნე ხოსრო ანუშირვანის, ჰორმიზდ IV და ხოსრო ფარვიზის მონეტათა მდიდარი კოლექციით არის წარმოდგენილი, ნუმიზმატიკური ძეგლების წყალობით ჩვენ თვალწინ იშლება ფრიად მჭერმეტყველი და ამაღლელებელი სურათი, რომელიც ერთ მხრივ საქართველოს ძლიერი და ულმობელი მტრის თანდათანობით შესუსტებას, ხოლო მეორე მხრივ, ქართველთა ეროვნული შეგნებისა და პატრიოტიზმის გაღვივებას მოწმობს. ყველაფერი ეს ისე აშკარად მჟღავნდება, რომ იმდროინდელ მონეტებს ე.პახომოვი პირველ ეროვნულ-ქართულ მონეტებად თვლის. (Пахомов "монеты грузии").

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ამ ორ დიდ იმპერიას გავლენის სფეროებად ქონდათ გაყოფილი, აღმოსავლეთ საქართველოში-ირანი ბატონობდა, დასავლეთში-ბიზანტია, ქუთაისსა და მის შემოგარენში მაინც მრავლად მოიპოვება სპარსული მონეტები, (რომლებიც განძების სახითაც არის ნაპოვნი) რაც იმაზე მეტყველებს, რომ დასავლეთ საქართველოს და კერძოდ, ქუთაისს საკმაოდ მჭიდრო ისტორიულ-პოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ქონდა სასანურ ირანთან.

სასანური მონეტების აღმოჩენას, დასავლეთ საქართველოში დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ქუთაისის ისტორიისა და მისი კულტურულ-სავაჭრო ურთიერთობების შესწავლისათვის.

ლიტერატურა:

1. კაპანაძე დ. 1969: ქართული ნუმიზმატიკა. თბილისი
2. კაციტაძე დ. 2009წ: ირანის ისტორია III- XVIII სს. თბილისი
3. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ II, 1973წ. თბილისი
4. ჯავახიშვილი ივ. ტ 1. 1951წ. "ქართველი ერის ისტორია"
5. Джалагония И. 1980: Монетные клады грузии. Тбилиси.
6. Пахомов Е. 1970: монеты грузии. Тбилиси.

**KVANTIDZE TAMUNA
(VOLUNTEER)**

NUMISMATIC MATERIAL ABOUT GEORGIAN-IRANIAN RELATIONSHIP IN VI-VII CENTURIES

The struggle for invasion of Georgian territories lasted for centuries. Apart from this Georgian boundaries were constantly destroyed. As a result by the sixth century Byzantium and Iran spread their rule over them. In order to get a possibility of governing the coasts of the Black Sea Iran had to invade Armenia, and eastern and western parts of Georgia.


Persian culture was quite in Georgia. In this respect Numismatic material carries importance. The coins found in this territory give clear evidence about commercial-economic and cultural interaction between these two countries.

Since 1920 s the process of discovering sasanian coins continues. Kutaisi State Historical museum still keeps the coins of the following sasanian kings: Khosro Anushirvani I, silver and copper coins of Hormizd IV, Khosro Parvizi II.

The coins feature that Shah, who governed the country when the coins were cut. The other side of the coin depicts the eternal fire lit on the pedestal that symbolizes worshipping of the fire. The important changes that took place in the foreign policy were clearly reflected on the coins. Georgian money was cut and the symbol of fire depicted on the coins was replaced with a religious emblem by our ancestors. Further changes were made by the new governor Stephanos I who embroidered his name with capital letters on the edge of the coin. As for Stephanos II he wrote his name on the whole side of the coin that proved that he was an independent sovereign.

Due to the lack of the historical sources Georgian Numismatic materials provide us with the valuable information about the political situation of Kartli in VI-VII centuries.

The above mentioned coins are regarded as the first Georgian National coins by E. Pakhomov.



ლია ბაბუნია, ბურამ ბაბუნია

საღვთო სჯულის სწავლასთან დაკავშირებული პრობლემები ქუთაისის სასწავლებლებში (1918–1921 წლები)

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან საქართველოში იწყება ბრძოლა საქალაქო თვითმმართველობის შემოღებისათვის. ამ მოთხოვნას ახალაღმავალი ბურჟუაზია აყენებდა, რადგან ამით მას უნდოდა თავისი ეკონომიკური მდგომარეობა პოლიტიკურადაც განემტკიცებინა. ბურჟუაზიის ასეთი მოთხოვნა მონინავე საზოგადოების ინტერესებს ემთხვეოდა. როგორც მოსალოდნელი იყო, დასავლეთ საქართველოს ქალაქებიდან პირველად ამ უფლების მოსაპოვებლად ბრძოლა საგუბერნიო ქალაქმა ქუთაისმა წამოიწყო. 1875 წლის 4 დეკემბერს დაინიშნა საქალაქო საბჭოს მეორე სხდომა, რომელზეც მიიღეს გადაწყვეტილება: 1876 წლის პირველი იანვრიდან ქალაქის საბჭოს მუშაობის დაწყების შესახებ. ამ სხდომაზე აირჩიეს თვითმმართველობის გამგეობა [ნიკოლეიშვილი, 1994: 124, 127, 128].

საქალაქო თვითმმართველობის შემოღება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას მოასწავებდა [ქცსა, ფ. 108, ს. I, ფურც. 1]. ხოლო ქვეყნის ეკონომიკური განვითარება უშუალო კავშირში იყო განათლების წინსვლასთან. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სწავლა-განათლების საქმეში მომხდარ გარდატეხას. ცარიზმისდროინდელი ქუთაისი თავისი საშუალო სასწავლებლებით თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოს ემსახურებოდა, რადგან იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმში ამ ტიპის სასწავლებლები სხვაგან არ არსებობდა. ამიტომ ქუთაისის გიმნაზიების მოსწავლეთა უმრავლესობას დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან მოსულები შეადგენდნენ [ჯაოშვილი, 1989: 206]. მხოლოდ მოგვიანებით, 1881 წელს, ხონში გაიხსნა სამასწავლებლო სემინარია. მაგრამ ამ საოსტატო სემინარიაშიც ძალიან მოუწესრიგებელი მდგომარეობა იყო, არ ჰყავდათ მაღალკვალიფიციური კადრები, რაც საზოგადოების უკმაყოფილებას იწვევდა. 1918 წლის გაზეთი „ერთობა“ წერდა: „ძველი რეჟიმის დროს სამოსწავლო მთავრობა განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა „პრივილეგირებულ სკოლებს“, ვაჟთა და ქალთა გიმნაზიებს, იმ სკოლებსაც კი, რომელთაც „სახალხო“ სახელი ჰქონდათ და მეორეხარისხოვანი ადგილი ეკავათ. სახალხო სკოლა და სახალხო მასწავლებელი აუტანელ პირობებში იყო ჩაყენებული. ძველი რეჟიმის დანგრევის შემდეგ ფიქრობდნენ, რომ სახალხო სკოლების მიმართ დამოკიდებულება შეიცვლებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ გამართლდა. სახალხო სკოლაში საქმე კარგად რომ იყოს დაყენებული, ამისთვის მარტო კარგი შენობა, საუკეთესო სისტემის მაგიდები, სკამები, თვალსაჩინო ნივთების შეძენა არ კმარა. ყველაზე მთავარი მაინც სახალხო მასწავლებლის მომზადებაა. ფიქრობდნენ, რომ ძველი რეჟიმის შემდეგ ეს ყველაფერი შეიცვლებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს აზრი არ გამართლდა. თუ გვინდა, სახალხო სკოლა და სახალხო მასწავლებელი სათანადოდ მზადდებოდეს, აუცილებელია, სერიოზული ყურადღება მიექცეს საოსტატო სემინარიას და მასში სწავლა-აღზრდის საქმის კარგად დაყენებას, რათა სემინარიამ შეძლოს სათანადოდ მომზადებული სახალხო მასწავლებლის გამოშვება.

„მიუხედავად იმისა, რომ სემინარიაში აგერ ერთი თვეა დაიწყო მეცადინეობა, მათ ერთი საღამომო გაკვეთილიც კი ვერ ჩაატარეს, რადგან კვალიფიციურ მასწავლებელთა კადრი საკმარისი არაა. აკლიათ ფილოლოგი, ისტორიის, მათემატიკის და სხვა მასწავლებლები, ამის შესახებ სემინარიის დირექტორს პირადად მოუხსენებია მინისტრისათვის და დეპუტითაც უთხოვია, რომელსაც არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. და თუ ასე გაგრძელდა, მოსწავლეები, რომლებსაც ხონში ცხოვრება ძალიან ძვირი უჯდებათ, სახლებში წავლენ. მაშინ სემინარიაში მეცადინეობა სრულიად შეწყდება და წელს სემინარია სახალხო მასწავლებელს საერთოდ ვერ გამოუშვებს“ (Nota-bene) [გაზ. „კავკაზი“, 1913]. ასეთი იყო მკაცრი შეფასება საზოგადოებისა. აქედან გამომდინარე, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ სახალხო მასწავლებელთა მომზადების დონე ბევრად ჩამოუვარდებოდა იმ აუცილებელ კრიტერიუმებს, რომლებიც იმ დროისათვის იყო გაბატონებული.

XIX საუკუნის რუსეთში საეკლესიო დაწყებითა სკოლამ განვითარების ორი ეტაპი განვლო. ამ პერიოდის საქართველოში, მათ შორის, ქუთაისშიც, ასეთი სკოლების გავრცელების შესახებ საინ-

ტერესო ცნობებს გვანვდის პროფ. გ. თავზიშვილი. ეს სკოლები ორმოციანი წლებისათვის ელემენტარული ტიპის ყოფილა, სწავლა კი მათში ქართულ ენაზე წარმოებდა და ორი-სამი წელი გრძელდებოდა. ისწავლებოდა საღვთო სჯულიც თითქმის ყველა დაწყებით სასწავლებელში. ამ მეთოდით მიმდინარეობდა სწავლა-განათლება საქართველოში.

საეკლესიო-სამრევლო სკოლების აღორძინება 1884 წლიდან ხდება. ეს იყო მეორე ეტაპი. საეკლესიო დაწყებითი სკოლები ორი ტიპისა იყო: საეკლესიო-სამრევლო სკოლები და წერა-კითხვის სკოლები. ბოლო ხანებში საეკლესიო-სამრევლო სკოლები, თავის მხრივ, ორსაფეხურიანი გახდა, ხოლო ერთკლასიანი სკოლები ოთხწლიანი სწავლების ვადით, ორკლასიანი სკოლები კი ექვსწლიანი სწავლების ვადით არსებობდნენ. ამ სკოლების წინაშე, პირველ ყოვლისა, რელიგიურ-ზნეობრივი ხასიათის ამოცანებს აყენებდნენ. საეკლესიო-სამრევლო სკოლები, – მითითებული იყო მათს პირველ წესდებაში, რომელიც 1884 წლის 13 ივნისს იყო დამტკიცებული, ეწოდებოდა დაწყებით სასწავლებლებს, რომლებსაც ხსნიდა მართლმადიდებლური სამღვდლოება. ამ სკოლების მიზანი იყო, განემტკიცებინა ხალხში მართლმადიდებლური მოძღვრება. ამასვე იმეორებდა 1902 წლის 1 აპრილს მიღებული წესდებაც. ასეთი მემკვიდრეობა ხვდებოდა ქართველ სოციალ-დემოკრატებს განათლების სფეროში.

საეკლესიო სკოლების მეორე ტიპის შესახებ წესდება 1891 წლის 4 მაისს იქნა დამტკიცებული. წერა-კითხვის საეკლესიო სკოლას ხალხი უპირატესობას ანიჭებდა და ხელს უწყობდა მათი ქსელის ზრდას. 1893 წლისათვის საეკლესიო უწყების სკოლების რიცხვი გაუტოლდა კიდეც განათლების სამინისტროს დაწყებით სასწავლებელთა რიცხვს.

დაწყებითი განათლების სკოლათა ქსელის გაფართოებას მრავალი დაბრკოლება ეღობებოდა წინ. მათ შორის, ერთ-ერთი მატერიალური ხასიათისა იყო. 1885-1915 წლებში დაწყებითი სკოლების ქსელი საქართველოში და, შესაბამისად ქუთაისშიც, თითქმის შვიდჯერ გაიზარდა. მაგრამ ზოგ ქალაქში ასეთ სკოლებში მცირე რაოდენობის ბავშვები სწავლობდნენ. საუკეთესო მდგომარეობა იყო, ამ მხრივ, ქუთაისში [ობოლაძე, 1961: I, 59].

1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში, დაწყებითი სკოლის სასწავლო გეგმების გაუმჯობესების მიზნით, მრავალი პროექტი შემუშავდა. მათ შორის, აღსანიშნავია ცნობილ ქართველ პედაგოგ ალექსი ჭიჭინაძის ხელმძღვანელობით შედგენილი ოთხწლიანი დაწყებითი სკოლის სასწავლო გეგმა, რომელიც დედაენაზე სწავლას ითვალისწინებდა და ზოგადსაგანმანათლებლო საგნებს მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა. ასე რომ, დიდი გარდაქმნების გარეშეც შეიძლებოდა დავკმაყოფილებულიყავით სასწავლო პროცესის იმ ცვლილებით, რომელიც გაქართულებისაკენ იყო მიმართული. ხოლო, რაც შეეხება საღვთო სჯულის სწავლების შეწყვეტას სკოლებში, ან მის გადაქცევას არასავალდებულო საგნად, დემოკრატიული მთავრობის დიდ შეცდომად უნდა ჩაითვალოს.

ზოგადსაგანმანათლებლო საგნებისათვის განკუთვნილი საათები, როგორც საეკლესიო-სამრევლო, ასევე სამინისტროს დაწყებით სასწავლებლებში ძალზე შეზღუდული იყო. მიუხედავად ამისა, ეს სკოლები მაინც მნიშვნელოვან გონებრივსა და სულიერ საზრდოს აწვდიდა ახალგაზრდებს. ამის გამო იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქართველი ხალხის კულტურული განვითარების საქმეში. ამ საკითხს დადებითად ეხმიანებოდნენ აკაკი წერეთელი და იაკობ გოგებაშვილი. ისინი იწონებდნენ რუსული ენის სწავლების საქმესაც, არ უარყოფდნენ მის როლს ქართველი ხალხის ევროპულ განათლებასთან ზიარების საქმეში. ამრიგად, სახალხო სკოლა რევოლუციამდელ პერიოდში პროგრესულ როლს ასრულებდა. ასეთივე როლს ასრულებდა საღვთო სჯულის სწავლებაც.

1879 წელს კავკასიის სასწავლო ოლქში მშობლიურ ენაზე მიმდინარეობდა სწავლება (ისწავლებოდა რუსული ენაც) სკოლების 33%-ში, 1888 წლისათვის ასეთმა სკოლებმა სასწავლებელთა საერთო რაოდენობის 28% შეადგინა, 1893 წლისათვის – 20%, 1898 წელს – 9%. სკოლები, რომლებშიც ყველა საგანი რუსულ ენაზე ისწავლებოდა, ოლქში 1879 წელს 49,8% იყო, 1888 წელს 71%-მდე გაიზარდა, ხოლო 1898 წლისათვის 91%-ს მიაღწია [ყურნ. „რუსსკაია სკოლა“, 1901: №2, 81].

სკოლებიდან მშობლიური ენის განდევნის მოთავედ და აქტიურ განმახორციელებლად მოგვევლინა საქართველო-კავკასიის სკოლათა „მზრუნველი“ კირილე იანოვსკი. ქართველი მამულიშვილები ალაშფოთა სწავლების კოლონიურმა სისტემამ. ნამდვილად საჭირო იყო მათი შეჩერება.

1900 წლიდან შეიცვალა სკოლების განლაგების სურათიც. XIX საუკუნის მთელ მანძილზე საშუალო სკოლები საქართველოს მხოლოდ ორ ქალაქში, თბილისსა და ქუთაისში, არსებობდა. ცხადია, იგი თვითმპყრობელობის დამხობამდე ძირითადად მოსახლეობის პრივილიგიურულ ფენებს ემსახურებოდა.

ასეთი მდგომარეობა იყო XIX საუკუნის ბოლომდე. კიდევ უფრო აირია საქმე XX საუკუნის დასაწყისში. რევოლუციური ქარიშხლის მოახლოება იგრძნობოდა ქვეყანაში. ხელისუფლება ცდილობდა ძველი მდგომარეობის შენარჩუნებას. რევოლუციური მოძრაობა მალე გადაწვდა საშუალო სკოლებსაც.

მოსწავლეთა რევოლუციური მოძრაობა იმდენად გამძაფრდა, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მეორე ყრილობაზე იგი დანვრილებითი განხილვის საგანი გახდა. არალეგალური რევოლუციური მუშაობა ფართოდ იკიდებს ფეხს ქუთაისშიც.

1905 წლის ოქტომბრის ბოლოს საშუალო სკოლების მოსწავლეთა საკითხი საგანგებოდ განიხილა რუსეთის სახელმწიფოს მინისტრთა საბჭომ, მიიღეს დადგენილება დემონსტრანტი მოსწავლეთა მკაცრად დასჯის შესახებ და დაამტკიცეს მოქალაქეთა და მშობელთადმი მიმართვის ტექსტი, მოსწავლეთა შორის „უმსგავსობის“ აღკვეთის შესახებ [გაზ. „კუთაისკიე ვედომოსტ“, 1905: №45].

მეფის მთავრობა იძულებული გახდა ხალხს დაჰპირებოდა, რომ საშუალო სკოლებში რეფორმას გაატარებდა. შემუშავდა სათანადო პროექტები, მაგრამ ეს მხოლოდ პოლიტიკური თვალთმაქცობა იყო.

მონინავე მასწავლებლები საშუალო სკოლის გარდაქმნის შესახებ ბევრ პროგრესულ წინადადებას აყენებდნენ. მათ უნდოდათ სკოლის გაეროვნულება. ხელისუფლება იძულებული გახდა, კლასიკური გიმნაზიის სასწავლო პროგრამაში ნაცვლად ორი ძველი ენისა (ლათინური და ბერძნული) დაეტოვებინა ერთი – ლათინური ენა. გაადიდეს რუსული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის საათები, გაუმჯობესდა პროგრამები. ეს მცირე დათმობა იყო, მაგრამ მაინც მოჰყვა დადებითი შედეგები.

მეფის ხელისუფლებამ აღიარა, რომ მოსწავლეების ზნეობრივი და ინტელექტუალური განვითარება აღმავალი გზით მიდიოდა. ამ საკითხთან დაკავშირებით მეფისნაცვალმა ვორონცოვ-დაშკოვი 1912 წლის 25 დეკემბერს სასწავლო ოლქის მზრუნველს რუდოლფს წერდა, რომ სკოლამ ჭეშმარიტი სახე დაკარგა. მან კარი გაუღო დაბალი ფენებიდან გამოსულ საზოგადოებას; პლებეურ ელემენტთან ერთად სკოლაში შეიჭრა დაძაბული მისწრაფება და უტილიტარიზმი [გაზ. „კავკაზ“, 7. II. 1913].

ვორონცოვ-დაშკოვი ითხოვდა გადასახადის გადიდებას, რათა შემცირებულიყო დაბალი ფენის მოსწავლეთა მიღება სკოლებში. აგრეთვე უნდა გაეძევებინათ სკოლებიდან „შეუფერებელი“ მასწავლებლები, მოსახლეობაში პოპულარული სახელის მქონენი. ეს იყო ორი მთავარი ღონისძიება და ორივე მშრომელი ხალხის დასასჯელად იყო გამიზნული.

ამგვარად, საშუალო სკოლა, განსაკუთრებით, 1905-1907 წლების რევოლუციის შემდეგ, ერთ ადგილზე არ იყო გაყინული. მეფის ხელისუფლება და ეკლესია ვერ ახერხებდნენ ცხოვრებისა და ქვეყნის განვითარების წიაღში წარმოშობილი მონინავე იდეებისათვის გზა დაეხშოთ, სკოლის კედლები მთლიანად შეუვალი გაეხადათ, ახალი პროგრესული ნაკადის წინსვლა შეეჩერებინათ [ოხოლაძე, 1961: I, 59].

ცარიზმის რუსიფიკატორული საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში XX საუკუნის დასაწყისიდან არ შესუსტებულა. საშუალო სასწავლებლებში სწავლება კვლავაც რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, ქართული ენა თითქმის საბოლოოდ განდევნეს სკოლებიდან. სკოლებში რუსული ენის სწავლების ე. წ. ნატურალური (მუხჯური) მეთოდის ფართოდ დანერგვა დაიწყო, რითაც ცარიზმი ორი კურდღლის დაჭერას ლამობდა: ქართველი მასწავლებლების შეცვლას დიდმპყრობელი რუსი შოვინისტებით და სწავლა-აღზრდის სრული რუსიფიკაციის განხორციელებას [საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1972: ტ. VI, 710].

1912 წლის 10 მაისს მიიღეს ახალი კანონი ვაჟთა გიმნაზიებისა და რეალური სასწავლებლების შტატების შესახებ. საშუალო სკოლის გახსნა ადგილობრივ ხარჯზე აიკრძალა. 1922 წელს ქუთაისში უნდა გახსნილიყო მეორე რეალური სასწავლებელი.

ქართველი სოციალ-დემოკრატების მმართველობის პერიოდში ქვეყანა ეკონომიკურ სიძნელეებს განიცდიდა. დაიძაბა პოლიტიკური ვითარებაც. ყოველივე ამან თავისი გავლენა იქონია განათლებაზეც. ამ მიმე ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების მიუხედავად, 1918-1920 წლებში განათლების დარგში ბევრი სასარგებლო ღონისძიება გატარდა. ამ წლებში სწავლება დედაენაზე დაიწყო. ეს დიდი ეროვნული გამარჯვება იყო. მაგრამ შეცდომა, რომელიც მათ დაუშვეს საღვთო სჯულის სწავლებასთან დაკავშირებით, გამოუსწორებელი იყო.

1918 წელს მთავრობამ შექმნა სასკოლო რეფორმის კომისია. ინტელიგენციის მონივნად ფენების ზეგავლენით კომისიას დაევალა, შეემუშაებინა სასწავლო სისტემა საზოგადოების ყველა ფენისათვის: 1. დაწყებითი სახალხო სკოლები, სწავლების ოთხნობიანი ვადით; 2. უმაღლეს-დაწყებითი სასწავლებლები, ოთხნობიანი სწავლების ვადით; 3. საშუალო სკოლა (რომლებსაც გიმნაზიებს ეძახდნენ) – ოთხნობიანი ვადის მქონე უფროსი კლასებით. უფასო სწავლება მხოლოდ დაწყებით სკოლებში იყო. ფინანსური სიღინძროვის გამო საშუალო სასწავლებელი კვლავ პრივილიგიებული ფენის მონოპოლიურ კუთვნილებას წარმოადგენდა და ამ ფაქტს არ უარყოფდა განათლების სამინისტროც. საღვთო სჯულის სწავლება, რომელიც კანონით აიკრძალა, სურვილისამებრ მაინც ისწავლებოდა თავისუფალი მოთხოვნის საფუძველზე. თუმცა ეს მოთხოვნები საზოგადოებამ დიდი ბრძოლის შედეგად მოიპოვა.

უკიდურეს ფინანსურ-ეკონომიკურ გაჭირვებას განიცდიდნენ პედაგოგები. ასეთ პირობებში აღარავინ ზრუნავდა მათი მომზადებისთვის. დაირღვა ის უმნიშვნელო ინფრასტრუქტურაც, რომელიც მეფისდროინდელ საქართველოში არსებობდა 1914 წლისათვის.

ნივთიერი უსახსრობა ეკონომიკურად აჩანაგებდა სკოლებს: ინგრეოდა შენობები, ნადგურდებოდა სასკოლო ავეჯი.

1919 წელს მიიღეს პირველდაწყებითი სახალხო სკოლის დროებითი სასწავლო გეგმები და პროგრამები. ამ დროს სახალხო განათლების მინისტრს პარლამენტის სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ შემდეგი წერილით მიმართა: „პარლამენტის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ბიურო მიაქცევს თქვენს ყურადღებას იმ გარემოებას, რომ მატერიალური მდგომარეობა უმაღლეს პირველდაწყებითი და საშუალო სკოლების მასწავლებელთა მეტად აუტანელია.

უმაღლეს პირველდაწყებითი მასწავლებლები იღებენ საშუალო რიცხვით 3250 თვეში და საშუალო სკოლის მასწავლებლები 400-550 მან. თვეში, რაც ნათლად მოწმობს მათ უმწეო მდგომარეობას. მასწავლებლები დიდი ხანია მოთმინებით ელიან კანონპროექტს მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ, მაგრამ, როგორც ვიცით, იგი დღემდის არ გატარებულა პარლამენტში.

აღნიშნავს რა ამას, რ. დ. ფრაქციის ბიურო გთხოვთ დაუყოვნებლივ, ერთი კვირის განმავლობაში, წარმოადგინოთ სათანადო კანონპროექტი; რომ ამ თვეშივე იქნეს ეს კანონპროექტი პარლამენტში გატარებული“ [გაზ. „ერთობა“, 1919: №16, 3]. ეს დოკუმენტად ქცეული წერილი კომენტარსაც არ საჭიროებს და კიდევ ერთი კუთხით ნათელს ჰფენს მასწავლებელთა დუხჭირ და გაუსაძლის ცხოვრებას.

1920 წელს დამტკიცდა უმაღლეს-დაწყებითი სასწავლებლების სასწავლო გეგმები და პროგრამები. ამ პროგრამების შედგენას ხელმძღვანელობდა ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ლუარსაბ ბოცვაძე. მის გარშემო შემოკრებილი იყო მონივნად პედაგოგიური ძალები; მათი უმრავლესობა აქტიურ მონაწილეობას იღებდა თვითმპყრობელობის საგანმანათლებლო პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში [ობოლაძე, 1961: I, 98]. მაგრამ იმის გამო, რომ ამ პროგრამებში გამოყენებული იყო ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპაში გავრცელებული „თავისუფალი აღზრდის“ მეთოდი, ის სრულად ვერ პასუხობდა საჭირო მოთხოვნებს. პროგრამის ავტორებს ძირითადად გამოყენებული ჰქონდათ დებულება – ხელგარჯილობის განსაკუთრებული როლის შესახებ სკოლაში [პირველდაწყებითი სკოლების დროებითი პროგრამები, 9-10].

მიუხედავად ხარვეზებისა, დაწყებითი და უმაღლეს-დაწყებითი სკოლების ამ პროგრამებმა დასავლეთ საქართველოს სკოლის განვითარების ისტორიაში დადებითი როლი შეასრულა. ისინი, მეფისდროინდელი ამავე ტიპის სკოლების პროგრამებთან შედარებით, ბევრად უკეთ პასუხობდნენ პედაგოგიურ პრინციპებსაც და ხალხის მოთხოვნილებებსაც განათლებაზე, ეროვნული სულის დამ-

კვიდრებაზე სკოლებში. ამ სკოლების გახსნით თითქოს „აზიურ სიზანტეს“ ზურგს აქცევდა ქართველი კაცი, რომელშიც თანდათან იკიდებდა ფეხს განათლებულ ხალხთა ცხოვრებაში დამკვიდრებული ახალი გამოცდილება, რომლითაც იგი გვერდს უვლიდა წარსულ შეცდომებს. განათლების გზაზე დადგომა კი ეკონომიკის აღორძინების გზაზე სიარულს ნიშნავდა. თუმცა, ცხადია, ყველაფერი ეს ერთბაშად ვერ მოხდებოდა.

არაფერს ვიტყვი ახალს, თუ აღვნიშნავთ, რომ 1918 წლის 26 მაისი ქართველი ერის ცხოვრებაში უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის თარიღია. ამ დღეს გახდა შესაძლებელი 117 წლის ნაოცნებარი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ცარისტული რუსეთის მთავარ სამიზნეს სწორედ ეროვნული განათლების სისტემა წარმოადგენდა, რადგანაც მიზანმიმართულად ატარებდა საქართველოს გარუსების პოლიტიკას. ცარისტული რუსეთის მიზანი ნათელი იყო ქართველ ხალხში უნდა ჩაეკლა ეროვნული სული. ეს კი მხოლოდ მაშინ განხორციელდებოდა, თუ განათლების სისტემას მთლიანად დაეპატრონებოდა. ეს იქნებოდა პირდაპირი შეტევით, უხეშად, ფამილარული გზებით, თუ ვითომ ქველმოქმედებითა და გულშემატკივრობით შესრულებული უზარმაზარი სამუშაო. ყველა შემთხვევაში ცარისტული რუსეთი მიზანს მაქსიმალურად მიაღწევდა. ყოველივე ამის ფონზე დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პოლიტიკა განათლების სფეროში მართლაც წინგადადგმული ნაბიჯი იყო. მათ მთავარ ამოცანად სკოლებისა და საერთოდ მთელი განათლების სისტემის გაეროვნულება დაისახეს. რეორგანიზაცია უნდა წარმართულიყო განათლების სამინისტროს უშუალო ხელმძღვანელობით.

განათლების პირველმა მინისტრმა გ. ლასხიშვილმა (თავის ამხანაგთან ნ. ცინცაძესთან ერთად) განათლების რუსული სისტემის მსხვრევა დაიწყო №18 ბრძანებულებით, რომლითაც გააუქმა კავკასიის სასწავლო ოლქი და შესაბამისად გაათავისუფლა ოლქის კომისრები: ლ. იშკოვი, ლ. ნათაძე, ს. ტიგრანიანი და გ. შახტატინსკი. სასწავლო ოლქის ლიკვიდაციის პროცესის ხელმძღვანელობა კი ლ. იშკოვს დაევალა [გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918: №10].

მრავალი მოსამზადებელი სამუშაოს შემდეგ მთელი ერთუზიანობით შეუდგნენ გაეროვნულების პოლიტიკის გატარებას, რაც ყველაზე მეტად პედაგოგთა გადამზადებაში გამოიხატა, რადგანაც ეროვნული პედაგოგიური კადრები ძალიან ჭირდა. ამის მტკიცე გამოხატულებაა გაზეთ „ერთობის“ მიმართვა მასწავლებლებისადმი – „საქართველოს მასწავლებელთა დელეგატების პირველი ყრილობა გაიხსნება 8 იანვარს, დღის 12 საათზე, რეალური სასწავლებლის დარბაზში. პროვინციებიდან ჩამოსულ მასწავლებელთ ბინა ექნებათ მეექვსე ვაჟთა გიმნაზიის შენობაში (ერმოლოვის ქუჩა, №6), მიმართავენ დავით კაკაბაძეს“ [გაზ. „ერთობა“, 1829: №5, 2]. აქ უნდა გადანყვეტილიყო მასწავლებელთა გადამზადების საკითხები, რაზეც სიხარულით ზრუნავდა მაშინდელი მთავრობა. ასევე რთული იყო მშობლიურ ენაზე სახელმძღვანელოების სწრაფი გამოცემა. ამიტომ სამინისტრომ სასწრაფოდ გაუკეთა ორგანიზაცია და 1-ლი აგვისტოდან რესპუბლიკის ხუთ ქალაქში: თბილისში, ქუთაისში, გორში, თელავსა და ზუგდიდში გახსნა მასწავლებელთა მოსამზადებელი და გადასამზადებელი მოკლევადიანი, საზაფხულო, სამთვიანი კურსები. მიუხედავად რესპუბლიკის უმძიმესი ფინანსური მდგომარეობისა, სახელმწიფომ ამ საქმისათვის საკმაოდ სოლიდური თანხა გამოჰყო. ამას მოჰყვა კიდევ ერთი საინტერესო ნაბიჯი. მთავრობამ გამოიტანა დადგენილება, რითაც განათლების სამინისტროს ავალებდა დაუყოვნებლივ შეემუშავებინა თბილისში ქართული გიმნაზიის დაარსების სქემა. საქართველოში განათლების ახლებურად მოწყობის პროცესი და მისი ეროვნულ ნიადაგზე დაყენება ურთულესი საქმე იყო. განათლების დარგში სწორი, ეროვნული პოლიტიკის შემუშავებაში დიდი როლი შეასრულა იმდროინდელმა ქართულმა პრესამ. გაზეთებმა: „საქართველომ“ და „საქართველოს რესპუბლიკამ“, ჟურნალმა „განათლებამ“. განსაკუთრებული როლი წიგნების გამოცემის საქმეში შეასრულა ქუთაისმა და მისმა ნიჭიერმა, მაღალზნეობრივმა ინტელიგენციამ. მათ გამოცემას საფუძველი ჩაუყარეს ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიის დირექტორმა ი. ოცხელმა და სხვა მასწავლებლებმა. მათ შექმნეს წიგნის გამომცემლობა „განათლება“, რომლის გამგედაც გ. სვანიძე დანიშნეს და რომელმაც ეს ფუნქცია ზედმინევიტ კეთილსინდისიერად შეასრულა. ქუთაისის სამრეწველო ბანკმა დიდი კრედიტი მისცა მას, როცა შესაძლებელი გახდა მზა წიგნების გამოცემა [გაზ. „საქართველო“, 1918: №149]. ამასთანავე მოსადაცემი და გამოცემული წიგნების რეცენზიისათვის ტარდებოდა მნიშვნელოვანი სამუშაოები.

ქუთაისის ქართული გიმნაზიის პედაგოგებს დიდი ღვაწლი მიუძღვით როგორც სახელმძღვანელოების, ასევე დამხმარე სახელმძღვანელოების შექმნაშიც. ქართულ გიმნაზიაში არ არსებობდა პედაგოგი, თუნდაც ერთი სახელმძღვანელოს ავტორი რომ არ ყოფილიყო.

სილოვან ხუნდაძის ქართული ენის სახელმძღვანელოები: „ზმნა“, „სალიტერატურო ქართული“, „გრამატიკა“ მრავალჯერ გამოიცა. 1880 წლის შემდეგ გამოცემულია, აგრეთვე, მისივე ქართველი მწერლების ცხოვრებისა და მოღვაწეობის მიმოხილვა (სერიებად). ს. დათეშიძეს ეკუთვნის „ქართული წერის დედანი და ხატვის ნიმუშები“, გამოდიოდა 1890 წლიდან. ვ. ყიფიანმა შეადგინა ქართულ ენაზე „დანყებითი ალგებრა“, გამოდიოდა 1893 წლიდან.

ართიმეტიკის, გეომეტრიის, ალგებრისა და ტრიგონომეტრიის სახელმძღვანელოებზე მუშაობდნენ ს. დათეშიძე, ა. ნიჟარაძე, ა. შუბლაძე, ლ. ჩიმაკაძე, ა. მგალობლიშვილი, ს. ოცხელი, ს. შარაშენიძე, ნ. სვანიძე.

1908 წლიდან გამოდიოდა ი. ოცხელის, თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფიანის ოჯახსა და სკოლაში საკითხავი წიგნი „გუთანი“, „ქართული ანბანი“, გამოდიოდა 1915-1917-1920 წლებში.

1918 წელს გამოვიდა ი. ოცხელის, ი. ნიკოლაიშვილის და ბ. მამფორიას „ქართული ლიტერატურის ქრესტომათია“.

1912 წლიდან იბეჭდებოდა ი. ნიკოლაიშვილის „ქართული მოკლე გრამატიკა“.

1919 წელს გამოქვეყნდა ა. ჯანელიძის „დანყებითი ფიზიკა“. ნიკოლოზ შარაბიძემ 1918 წელს გამოსცა „ქართულ ეროვნულ სამხმარებელ სიმღერათა კრებული, ნოტების მოკლე განმარტებითურთ“ [ხუნდაძე, 1976: 79-80]. ამ სახელმძღვანელოების გამოცემას უდიდესი ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ყველა სკოლისათვის.

„ერთი სიტყვით, სამინისტრომ, განათლების კომისიასთან ერთად, მაინც გაართვა პირველ სიძნელეებს თავი და შეძლო 1918 სასწავლო წლის მეტნაკლები ორგანიზებულობით დანყება. ჯერ კიდევ აგვისტოში მიიღეს მთავრობის დადგენილება, რომლის ძალითაც ყველა სასკოლო შენობიდან უნდა გაეტანათ ყოველგვარი დანესებულება თუ ორგანიზაცია, გაეთავისუფლებინათ ისინი გერმანელი ჯარისკაცებისა და ლტოლვილებისაგან და შენობები მხოლოდ და მხოლოდ სწავლების მიზნით გამოეყენებინათ“ [ნიკოლეიშვილი, 2000: 35].

მაღე სკოლებმა სამინისტროდან მიიღეს ცირკულარი ისტორიის სწავლების შესახებ. ასევე საინტერესო იყო ქართული ლიტერატურის პროგრამის გაზრდა. მაღე განათლების სამინისტრომ წარადგინა კიდევ მთავრობაში და მოითხოვა, ყველა ტიპის სკოლაში შემოეღოთ ტანვარჯიშის სწავლება. ამასთან დაკავშირებით, სამინისტრომ დააყენა საკითხი, რომ „შევარდენის“ განყოფილება ქუთაისშიც გახსნილიყო. ასევე საჭირო იყო სპეციალისტ-მასწავლებელთა ჯგუფის მიერ მოწაფეების მომზადება, „სიმწიფის მოწმობის“ მისაღებად. ასეთი ჯგუფი შედგა და ადგილი დაიმკვიდრა ვაჟთა მეორე გიმნაზიაში – მ. კორძაბიასთან და ვაჟთა მეექვსე გიმნაზიაში – სამსონიასთან, ყოველდღე, დილის 9-დან 1-ლ საათამდე, საღამოობით თვით კურსებზე 5-დან 8 საათამდე [გაზ. „ერთობა“, 1920: 20. II]. პედაგოგთა ამ ჯგუფის მუშაობა ფრიად საჭირო და აუცილებელი იყო იმ პერიოდისათვის.

„დემოკრატიულ საქართველოში დაარსდა პირველი საბავშვო ბაღებიც. განსაკუთრებული ყურადღება სასკოლო განათლებას მას შემდეგ დაეთმო, რაც 1919 წელს საქართველოში ერობები ჩამოყალიბდა და პირველდანყებითი და სატექნიკო-საპროფესიო სკოლები მათ გადაეცათ. ყოველ მათგანს ერობა განაგებდა“ [გაზ. „ერთობა“, 1920: 47].

ყველაფერი ეს იყო ნამდვილად ეროვნული და ქართველი კაცის გულზე დადებული მალამო. თითოეული წარმატება ეროვნული მთავრობისა დიდ აღფრთოვანებას იწვევდა ხალხში. ისინი ყველანაირად ცდილობდნენ მხარი დაეჭირათ ახალი წამოწყებისათვის. „სამწუხაროდ, არაერთგვაროვანი აღმოჩნდა დემოკრატიული მთავრობის დამოკიდებულება ქართული ეკლესიისადმი, რამაც განსაზღვრა სასულიერო სკოლის ბედიც: დაიწყო ამ ტიპის რეორგანიზაცია, მათი გადაკეთება საერო და პროფესიულ სკოლებად. 1918 წლის 25-26 ივლისს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა კანონპროექტი სახალხო განათლების შესახებ. სასულიერო სკოლების რეორგანიზაცია, საეკლესიო ქონების სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადება და საღვთო სჯულის სავალდებულო სწავლების გაუქმებაც ამ კანონპროექტით განისაზღვრა. კანონი საღვთო სჯულის სწავლების გა-

უქმების შესახებ კი იმავე წლის შემოდგომაზე გამოქვეყნდა. იგი ოთხი მუხლისგან შედგებოდა და ასე იყო ფორმულირებული:

1. ყოველი ტიპისა და საფეხურის სახაზინო და კერძო უფლებიან სკოლაში უნდა გაუქმებულიყო საღვთო სჯულის სწავლება და საღვთო სჯულის მასწავლებლის თანამდებობა.

2. დაიხურებოდა კრედიტი, რომელიც გახსნილი იყო საღვთო სჯულის მასწავლებელთა ჯამაგირისათვის ხსენებულ სკოლებში.

3. შტატს გარეშე დატოვებულ საღვთო სჯულის მასწავლებლებს მიეცემოდათ 1918 წლის 5 ივლისის კანონით დაწესებული ჯილდო.

4. ეს კანონი ძალაში შედიოდა დღიდან მისი გამოქვეყნებისა მთავრობის ორგანოში „საქართველოს რესპუბლიკა“. კანონი გამოქვეყნდა 1918 წლის 26 ნოემბერს [გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918: 26.XI].

სამინისტროს გადაწყვეტილებით, სამოქალაქო სასწავლებლები ჯერ კიდევ 1918 წელს გადაკეთდა უმაღლეს პირველდანიებით სასწავლებლებად და დაიწყო მათი სახელების შეცვლა [გაზ. „საქართველო“, 1918: №36], ხოლო 1919 წლიდან ოთხ კლასამდე სასწავლებლები მთლიანად ადგილობრივ თვითმმართველობებს გადაეცათ. მაგალითად, ქუთაისის ქალაქის საბჭომ ეს დადგენილება 7 აგვისტოს მიიღო და სასკოლო კომისიის, სკოლებისა და სასწავლებლების სარეორგანიზაციო კომისიამ მასწავლებლებთან ერთად გადაწყვიტა, რომ ყველა საშუალო სასწავლებელს გამოჰყოფოდა მოსამზადებელი განყოფილება, I-IV კლასები და ისინი მაზრაში ერობებს, ქალაქში კი თვითმმართველობებს გადასცემდა [გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919: №182]. ყველაფერი ის, რაც განათლების საკითხებთან დაკავშირებით ხდებოდა, წინგადადგმული ნაბიჯი იყო სასწავლებლის ცხოვრებაში. კლასიკურ გიმნაზიას, ქართულ გიმნაზიას, რეალურ სასწავლებელს, ეპარქიულსა თუ სხვა კერძო სასწავლებლებს ქუთაისში უჭირდათ ეროვნულობის თვალსაზრისით. ქართული ენა ბევრჯერ აღმოჩნდა რუსული ჩექმის ქვეშ. ეროვნული მთავრობის დროს ეს ბარიერი მოიხსნა, მთლიანად გაეროვნულდა ქუთაისში არსებული ყველა სასწავლებელი. ქართულმა ენამ, ქართულმა ლიტერატურამ, საქართველოს ისტორიამ აღმავალი გზით დაიწყო სვლა, მათ ნამყვანი როლი მიენიჭათ, მაგრამ საღვთო სჯულის სასწავლო პროგრამიდან ამოღებამ უკმაყოფილება გამოიწვია სკოლის ხელმძღვანელობაში, მოსწავლეთა მშობლებსა თუ მოსწავლეებში. ეს იყო დიდი შეცდომა ეროვნული მთავრობისა და, ალბათ, მისი დამარცხების ერთ-ერთი მიზეზიც. ყველა მართლმადიდებელი მორწმუნე პიროვნების სახით მათ დაჰკარგეს ერთგული ქვეშევრდომი.

სისხლითა და თავდადებული ღვანლით მოპოვებული ქართველ მოღვაწეთა თაობების ნაოცნებარი საქართველოს დამოუკიდებლობა ბევრ წინააღმდეგობას წააწყდა არა მარტო საგარეო პოლიტიკურ არენაზე, არამედ ქვეყნის საშინაო ცხოვრებაშიც. ერთი იყო საღვთო სჯულის სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემებიც. სამწუხაროდ, არაეროვნული აღმოჩნდა მათი ქართული ეკლესიისადმი დამოკიდებულება, რამაც განსაზღვრა სასულიერო სკოლის ბედიც. საღვთო სჯული, რომელიც უარყო დემოკრატიულმა მთავრობამ, სრულიად ზედმეტი გახდა და პირვანდელი ფუნქცია დაკარგა. მრავალი სასულიერო სასწავლებელი არსებობდა, სადაც საღვთო სჯულს მაღალკვალიფიციური მასწავლებლები ასწავლიდნენ. ისინი იყვნენ ეკლესიის მსახურებიც. მოხდა ის, რომ ფუნქცია დაკარგა ასეთმა სასწავლებლებმაც და ეკლესიებმაც.

კანონის მიღებამდე ცნობა საღვთო სჯულის სასკოლო პროგრამებიდან ამოღების შესახებ დაეგზავნა ზუგდიდის, სოხუმის, დასავლეთ საქართველოს ოთხი რაიონის სახალხო ინსპექციებს, მათ შორის, ქუთაისის ცნობილ სასწავლებლებსაც.

მომხდარმა აქტმა საზოგადოებრივი აზრის არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ძირითადად ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, მოწინავე ქართველი ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლები გამოდნენ მთავრობის ამგვარ გადაწყვეტილებას, ღრმა ქრისტიანული კულტურის მქონე ქვეყნისათვის მას მიუღებლად მიიჩნევდნენ. თვლიდნენ, რომ ამგვარი ღონისძიება ხელს შეუშლიდა სულიერად ამაღლებული ღირსეული თაობების აღზრდას, ურომლისოდაც დამოუკიდებელი საქართველო ვერ შეძლებდა მტკიცე სახელმწიფოდ გადაქცევას. მოწინავე ინტელიგენციასთან ერთად ეს კარგად იგრძნო უბრალო ხალხმაც. საქართველოს ყველა კუთხიდან მთავრობასა და სახალხო განათლების სამინისტროში მოდიოდა საჩივრები, წერილები, მოთხოვნები – საღვთო სჯულის სავალდებულო

საგნად დატოვების შესახებ. სოფლებში იმართებოდა ხალხმრავალი მიტინგები, საიდანაც ზემდგომ ორგანოებში იგზავნებოდა მიღებული დადგენილებები [ჭუმბურიძე, 2003: 355].

მიუხედავად ამგვარი საერთო-სახალხო დამოკიდებულებისა, პარლამენტმა იმსჯელა სკოლაში საღვთო სჯულის სწავლების შესახებ. მათი აზრით, სახელმწიფო არ უნდა ჩარეულიყო რელიგიის საკითხებში. საღვთო სჯულის სავალდებულო სწავლება კი ამ გადანყვეტილების განხორციელებას ხელს შეუშლიდა. რელიგიური მრწამსი თავისუფალი ადამიანის პირადი საქმე უნდა ყოფილიყო. თუ მთავრობა ერთი რელიგიის მსახურთ დააფინანსებს, სხვამ რა დააშავა, ეს იქნება სხვა რელიგიის წარმომადგენელთა დაჩაგვრა სახელმწიფოსაგანო, – განაცხადეს პარლამენტის სოციალ-დემოკრატიკა დეპუტატებმა და გადაჭრით მოითხოვეს სახელმწიფოსა და ეკლესიის განცალკევება. მათ წინააღმდეგ გამოვიდნენ ეროვნულ-დემოკრატები: გიორგი გვაზავა, სპირიდონ კეცია, შალვა ქარუმიძე, გრიგოლ ვეშაპელი, გერონტი ქიქოძე, რევაზ გაბაშვილი და სხვ. სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა რევაზ გაბაშვილმა [გაზ. „ერთობა“, 1918: №255].

საზოგადოება უკმაყოფილებას ვერ ფარავდა მთავრობის ამგვარი გადანყვეტილების გამო და პროტესტის გამოხატვას არ ერიდებოდა.

1918 წლის 26 მაისს გამოცხადებულ „საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობას“, არც კი უცდია ეხსნა საქართველოს მეურნეობა, კულტურა და სახალხო განათლება ნგრევისა და დეგრადაციისაგან. პირიქით, მშრომელთა მდგომარეობა მთავრობას რეაქციულ-ბურჟუაზიული პოლიტიკის შედეგად ყოველდღიურად უარესდებოდა, მუშების სამუშაო დრო კვლავ 16-18 საათს შეადგენდა, ხოლო ხელფასი მოთხოვნილების მინიმუმსაც ვერ აკმაყოფილებდა. მშრომელთათვის დასვენება, დაზღვევა, განათლება და სხვა არ არსებობდა.

განსაკუთრებით მწვავე რეაქცია გამოხატეს დასავლეთ საქართველოს სკოლებმა, სასოფლო და საქალაქო საზოგადოებებმა.

1918 წლის 24 სექტემბერს, ქუთათელი მიტროპოლიტ ანტონის დასაფლავების დღეს, ქალაქ ქუთაისში, საარქიელო სახლში, საღამოს 8 საათზე შეიკრიბნენ საქართველოს საკათალიკოსო და გურია-სამეგრელოს საეპარქიო საბჭოს წარმომადგენლები და მთელი შემადგენლობა ქალაქის სამღვდელთაგან. კრებას დაესწრო მიტროპოლიტი ლეონიდი. დაისვა საკითხი, თუ როგორ უნდა შეხვედროდა საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელთა გაერთიანებული კრება ეროვნული საბჭოს გადანყვეტილებას საღმრთო სჯულის სწავლების გაუქმების შესახებ რესპუბლიკის სასწავლებლებში. ამ საკითხთან დაკავშირებით წამოიჭრა მეორე მნიშვნელოვანი საკითხიც. კრებამ გამოიტანა შემდეგი დადგენილება:

1. ვინაიდან ქართველი ერი ისტორიულად შეთვისებულია თავის სჯულთან და მისი დიდი უმრავლესობა კვლავაც ღრმად მორწმუნეა, სარწმუნოების ცოდნა აუცილებელია მისი შემდგომი განვითარებისათვის. ეთხოვოს საქართველოს ეროვნულ საბჭოს, რომ საღმრთო სჯული დარჩეს საქართველოს ყოველგვარ სასწავლებელში სავალდებულო სასწავლო საგნად.

2. მოეთხოვოს საოლქო საბჭოებს, საშუალო სასწავლებლების მშობელთა წრეებს და, სადაც ასეთი არ არის, მშობელთა კრებებს, გამოიტანონ თავიანთი აზრი სასწავლებლებში საღმრთო სჯულის სწავლების აუცილებლობაზე და დადგენილება ამის შესახებ წარმოადგინონ პირდაპირ ეროვნულ საბჭოში.

3. საკათალიკოსო საბჭოს შუამდგომლობით ეროვნულმა საბჭომ უნდა მისცეს დამატებით ჯამაგირები სამღვდელთაგან, რომელიც უკიდურეს გაჭირვებას განიცდის და უამისოდ იძულებული იქნება შეწყვიტოს თავისი სამსახური.

4. რადგანაც საქართველოს ავტოკეფალური ეკლესია და მისი მსახური სამღვდელთაგან წარმოადგენს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დანესებულებას და ეწევა უპირატესად სახელმწიფო სამსახურს, იგი ხაზინამ უნდა შეინახოს, მაგრამ თუ ასე არ მოხდება, ხალხმა უნდა იტვირთოს მისი შენახვა, ხალხს კი ამჟამად ეს არ შეუძლია. ამიტომ საქართველოს მორწმუნე ერი ყოველ სასოფლო საზოგადოებაში უნდა შეიკრიბოს, მოინვიოს ყრილობა და მიმართოს ეროვნულ საბჭოს ეკლესიის ხაზინიდან დაკმაყოფილების შესახებ [ქცსსა, ფონდი 15, საქმე 3828, ფ. 111].

პირველი სამი მუხლი საქართველოს ეროვნულ საბჭოს გადაეგზავნა, ბოლო ორი კი – საეპარქიო საბჭოებს, რათა მათ მოეწვიათ საოლქო და სასოფლო ყრილობები აღნიშნული საკითხების გადასაწყვეტად და ეროვნულ საბჭოში წარსადგინად.

ამონანერი ამ დადგენილებიდან დაეგზავნა რესპუბლიკის სკოლებსაც, სადაც მშობელთა კრებებზე იღებდნენ გადაწყვეტილებას საღმრთო სჯულის სასკოლო პროგრამებში კვლავ ძირითადად სასწავლო საგნად შეტანის შესახებ.

1918 წლის 6 მარტს ქუთაისის კლასიკური ვაჟთა გიმნაზიის მშობელთა კრებამ ასეთი დადგენილება გამოიტანა და დაუგზავნა სახალხო განათლების სამინისტროს:

1. საღმრთო შჯული ისწავლებოდეს სურვილისამებრ, მასწავლებელს ექნება ჯამაგირი იმ ფულებიდან, რომლებსაც მშობლები ვიხდით.

2. ჩაეთვალოს შტატში სამსახური ისე, როგორც საზოგადოდ მუშებს ერიცხებათ შრომა და პენსიით და ჯამაგირით უზრუნველყოფა კანონდება მათთვის შრომის სამინისტროსაგან.

3. ისწავლებოდეს განსაზღვრულ დროს, როცა ბავშვები მიდიან სწავლისათვის გიმნაზიაში, ამას მოითხოვს ძირითადი პედაგოგიური პრინციპი და თვალთა საზრისი.

4. როცა მთავრობა გამოსცემს რაიმეს სახელმძღვანელოდ მაღალმორალური სწავლისას, ეთიკის დარგიდან, მაშინ ექნება ადგილი ამ საგანზე მსჯელობას დღეს ჩვენი პროგრამები დღიდან ამ საგნის გაძევებისა, არავითარ მორალურ გარიგებას ბავშვებს არ აწვდიან. დაბეჯითებით მოვითხოვთ მშობლები, რომ ჩვენმა შვილებმა სასწავლებელში ისწავლონ საღმრთო შჯული, თუნდ არასავალდებულო.

კრებამ ეს საკითხი განმეორებითაც მწვავედ დააყენა. აღნიშნა, რომ საჭირო იყო არა საყვედურების გამოთქმა სარწმუნოების დაკარგვაზე, არამედ მთავრობის წინაშე სამი საკითხის დასმა:

1. რა მიზეზით და რა პირობებით გამოაცხადეს საქართველოში სინდისის თავისუფლება და როგორ მოხდა ეს ევროპაში.

2. იყო თუ არა რაიმე კავშირი ეკლესიასა და საღვთო სჯულს შორის.

3. ჰქონდა თუ არა ხალხს მსჯელობის უფლება ამ საკითხზე, რომელმაც უკვე მიიღო სანქცია პარლამენტში.

მღვდელმა ნესტორ აბესაძემ საზოგადოებას განუმარტა, რომ სახელმწიფოს გამოყოფა ეკლესიისაგან მოხდა ევროპაში, ეს იყო კათოლიკური ეკლესიის რეაქციული პოლიტიკის შედეგი, რაც ხელს უშლიდა ევროპული ქვეყნების განვითარებას, საქართველოში კი სახელმწიფოებრივი წინსვლა და სიმტკიცე ეკლესიას უკავშირდებოდა. ხელისუფლება და ეკლესია იყო ერთიანი. თავი რომ დავანებოთ უძველეს დროს, ახალ პერიოდშიც იგი დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწეოდა: ასწავლიდა ხალხს სჯულისა და სამშობლოს დაცვას, აძლევდა განათლებას, ამასთანავე, არ ერეოდა პოლიტიკაში და ხელს არ უშლიდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ წინსვლას.

გამომსვლელის აზრით, ეკლესია ვერ შეასრულებდა სკოლის ფუნქციას. იგი ღვთის სამლოცველო სახლია, სადაც სწავლება არ ხდებაო. ის აკრიტიკებდა სახელმწიფო კანონს და ამბობდა: სჯული არ ასწავლო ბავშვებს და ეკლესიაში ატარო, ეს იგივეა, გეოგრაფია რომ არ ასწავლო სკოლაში და მინდორში ატარო მონაფეხითო. ეკლესიაში სიარული და სჯულის უსწავლელობა ხელის შეწყობა იქნება უვიცობისა და ურწმუნოებისათვისო.

ამ საკითხზე მსჯელობას ეკლესიის მამა აუცილებლობად თვლიდა, რადგან პარლამენტში ქვეყნის პატრიოტ შვილებთან ერთად, მისი აზრით, უვიცებიც იყვნენ და მათი გადაწყვეტილება არ შეიძლებოდა შეუმცდარი ყოფილიყო. ეს რთული საკითხი უნდა გადაეჭრა დამფუძნებელ კრებას და არა მხოლოდ სოციალისტურ, დროებით პარლამენტს, რადგან სოციალისტები, მისი განცხადებით, არაკომპეტენტურნი იყვნენ რწმენის საკითხში [სცსსა, ფონდი 1935, აღნ. 1, საქმე 3, ფ. 25-26].

სამღვდელოების კრებაზე მიღებული დადგენილება საღვთო სჯულის სწავლების შესახებ ქუთაისის ეპარქიაშიც მტკიცე და შეუვალი იყო. კრება მოითხოვდა საღვთო სჯულის სწავლების აღდგენას საქართველოს ყველა ტიპის სკოლაში. მიუხედავად ასეთი საერთო სახალხო განწყობისა, პარლამენტმა ამ საკითხზე იმსჯელა და დაადგინა საღვთო სჯულის სავალდებულო საგნებიდან ამოღება. მისი სწავლება ნებაყოფლობით უნდა ყოფილიყო. ჯამაგირს ამ საგნის მასწავლებლებსათვის გადაიხდიდნენ მშობლები. დანარჩენ პრივილეგიებზე საღვთო სჯულის მასწავლებელთა მიმართ კანონში ლაპარაკი არ ყოფილა [სცსსა, ფონდი 1935, აღნ. 1, საქმე 3, ფ. 27].

ყოფილი სასულიერო სასწავლებლებიდან ზოგიერთი გაუქმდა, ზოგიც საერო სასწავლებლად გადაკეთდა. მაგალითად, ხონისა და ზაქათალის გადაკეთებულა უმაღლეს დანყებით სკოლებად. ასევე მომხდარა ორკლასიან ბანძის ვაჟთა და ზუგდიდის ქალთა საეკლესიო სკოლებში. ბანძის სკოლა ხაზინის ხარჯზე გადასულა, ზუგდიდის კი ქალაქის თვითმმართველობას უნდა დაეფინანსებინა. ამ დროს ქუთაისის სასულიერო სემინარიას არსებობა შეწყვეტილი ჰქონდა. ის რევოლუციურ გამოსვლებში აქტიური მონაწილეობისათვის დაისაჯა და 1904 წლის 15 ივნისის ბრძანებულებით სემინარია ოფიციალურად დაიხურა. სემინარიის მთელი ქონება კი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელს გადაეცა. დაახლოებით 12 წლის შემდეგ, სემინარიამ ქუთაისში კვლავ განაახლა თავისი მოღვაწეობა. მან 1916-1917 წლებში იარსება და შემდეგ კვლავ გაუქმდა. ამის მიზეზად მოგონებებში კვლავ რევოლუციის მძაფრ შემოტევებს ასახელებენ. დოკუმენტური მასალები კი, რომლითაც უნდა დადასტურებულიყო ეს ფაქტი, არქივში გაჩენილი ხანძრის დროს დაიწვა. ამიტომ ამ საკითხთან დაკავშირებით სალი ანალიზის გაკეთება ძალიან ძნელია და კონკრეტული მაგალითების მოყვანაც ვერ ხერხდება. ეს ფაქტი ნამდვილად დასაბუთებია, რადგან სასულიერო განათლებისა და სწავლა-აღზრდის ისტორია მეტად ორგანულადაა დაკავშირებული საღვთო სჯულის სწავლების ხანგრძლივ ისტორიასთან. ის ქართული ეროვნული სკოლის ისტორიის ფენომენია, მისი განუყოფელი ნაწილია.

რაც შეეხება სასულიერო სასწავლებელს, ქუთაისში მან არსებობა 1821 წლის 6 თებერვლიდან დაიწყო. ხოლო 1822 წლისათვის პირველ კლასში უკვე 82 მოსწავლე სწავლობდა. მიუხედავად ამისა, ის მაინც ვერ შექმნიდა ამინდს საღვთო სჯულის სწავლებასთან დაკავშირებით, რადგან შეზღუდულ ფორმებში მისმა ფუნქციონირებამ ქუთაისში ვერ მოგვცა ის ეფექტი, რაც ეროვნული მთავრობის უზარმაზარ შეცდომას გამოასწორებდა

1897 წელს მოსწავლეთა კონტინგენტი 634-ს შეადგენდა. ქუთაისის სასულიერო სასწავლებელმა დიდი წვლილი შეიტანა საღვთო სჯულის მაღალ დონეზე სწავლების საკითხში. აქ, მოსწავლეთა აკადემიური წარმატების გაძლიერების მიზნით, პირველად ჩაითვალა სავალდებულოდ ქართული ენის ცოდნა. ქუთაისის სასულიერო სასწავლებელმა მრავალრიცხოვანი კადრი გაუზარდა დასავლეთ საქართველოს.

გაბრიელ ეპისკოპოსის ინიციატივით 1892-1893 წლებში გაიხსნა ქალთა ეპარქიული სასწავლებელი, რომელიც მიზნად ისახავდა „საშინაო მასწავლებლის“ („домашняя учительница“) მომზადებას. მოგვიანებით აქ სამრევლო სკოლის მასწავლებელთა მომზადებაც დაიწყო. სასწავლებლის აღზრდილებს „მართლმორწმუნებით უნდა ემსახურათ ეკლესიისა და ოჯახისათვის“.

1890 წელს სამკლასიანი სასწავლებელი ექვსკლასიანად გადაკეთდა. 1903 წელს ექვსივე კლასი დაკომპლექტებული იყო. მთელი თავისი არსებობის მანძილზე (1892-1921) ეპარქიული სასწავლებელი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მოსახლეობაში. ამას ხელი შეუწყო საგნების ქართულ ენაზე სწავლების დამკვიდრებამაც. დემოკრატიული მთავრობის შეტევამ საღვთო სჯულის სწავლებაზე გარკვეული დარტყმა ეპარქიულ სასწავლებელსაც მიაყენა, თუმცა მან მაინც მოახერხა, შეძლებისდაგვარად, გამკლავებოდა ამ უცნაურ შემოტევას. მაგრამ ბოლშევიკები, მეორე სოციალ-დემოკრატიული ფრთის წარმომადგენლები, უფრო მკაცრები აღმოჩნდნენ. 1921 წელს ეპარქიული სასწავლებელი სხვა სასწავლებლად გადაკეთდა. მან დაკარგა პირვანდელი ფორმა. მისი მთელი ავლადიდებაც საბჭოთა სკოლას გადაეცა. საღვთო სჯულის სწავლება საბოლოოდ შეწყდა.

ეს იყო დემოკრატიული მთავრობის უდიდესი შეცდომა, რომელიც შემდეგ უფრო უხეში ფორმებით საბჭოთა მთავრობამ განახორციელა.

მაშინ, როდესაც ეროვნულ-დემოკრატიული პრესა ამ კანონის წინააღმდეგ იბრძოდა, სამთავრობო გაზეთები აკრიტიკებდნენ სასულიერო სასწავლებლებს, იწუნებდნენ იქ არსებულ სწავლების დონეს. გაზეთი „ერთობა“ წერდა, რომ „საერო სასწავლებლების დონე ისე ამაღლდა, როგორც ეს დემოკრატიულ რესპუბლიკას შეშვენის, სასულიერო სემინარიაში კი ყველაფერი ძველებურად მიდისო. პირველ გაკვეთილებს ეგზეტიკას უთმობენ, მათემატიკას კი მხოლოდ ბოლო გაკვეთილებზე ასწავლიან, რის გამოც უკმაყოფილებას გამოთქვამენ მონაფეები და სანამ უთანხმოება მოხდებოდეს, ყურადღების მიქცევა საჭირო, ვისგანაც ჯერ-არსო“ [გაზ. „ერთობა“, 1918: №257].

კანონპროექტის გამოქვეყნებიდან (1918 წლის ივლისი) მის მიღებამდე (1918 წლის ნოემბერი) საღვთო სჯულის სწავლება სკოლებში მიმდინარეობდა, მაგრამ მასწავლებლების შერჩევაში ეკლესია არ ერეოდა. ამ საკითხს საერო პირები წყვეტდნენ, რის გამოც უკმაყოფილო თბილელმა მიტროპოლიტმა ლეონიძემ მიმართა მინისტრ გიორგი ლასხიშვილს [სცსსა, ფონდი 1935, აღნ. 1, საქმე 138, ფ. 2].

26 ნოემბერს კანონმა უმწეო მდგომარეობაში ჩააყენა საღვთო სჯულის უმუშევრად დარჩენილი პედაგოგები. ეს კარგად ჩანს საკათალიკოსო საბჭოსა და განათლების სამინისტროს კანცელარიის მიმონერიდანაც, სადაც ბევრი, მატერიალურად მწირ მდგომარეობაში აღმოჩენილი მასწავლებლების თხოვნაა დაცული.

საინტერესოა წერილები დაბეჭდილი გაზეთ „საქართველოში“. მათი ავტორია დეკანოზი კელენჯერიძე, რომელიც ითხოვდა, არ ამოეღოთ სასწავლო პროგრამიდან საღვთო სჯულის სწავლება, განათლების მინისტრმა არ დააკმაყოფილა. მან საკათალიკოსო საბჭოს თხოვა, გაეთვალისწინებინათ კელენჯერიძის თხოვნა და დახმარებოდნენ მას. თავის წერილებში კ. კელენჯერიძე საუბრობს რელიგიისადმი მთავრობის ზერელე დამოკიდებულების შესახებ.

„ბიბლია უპირველესი წიგნია, – წერდა იგი, – ის აჩვენებს ადამიანს ღმერთთან ურთიერთობას, წყაროა ეთიკისა, ზნეობისა, ადამიანთა ცხოვრების ყველა კარგი მხარისა. ამერიკაში იგი უპირველეს წიგნად დაუსახელებიათ, ჩვენს მთავრობას კი ისეთი კულტურა დაუმყარებია უცებ, რომ იგი სიცრუედ და ბოროტებად ჩაუთვლია.

მოსპეთ, ბატონებო, საღვთო სჯული, რელიგია – როგორც ბოროტება, როგორც შემფერხებელი ცხოვრებისა და სოციალიზმის დამყარებისა, მაგრამ უკეთესი მიეცით ხალხს მანამდე, რადგან ეგ თქვენი სოციალიზმი ასი ან ათასი წლის შემდეგ თუ დამყარდება“ [გაზ. „საქართველო“, 1918: №208]. დეკანოზი კელენჯერიძე დასასრულს ასკვნის: „ბიბლიაზე აღიზარდა ოქროს საუკუნის ქართველობა, მან დაბადა საუკეთესო თვისებანი ერისა, ხასიათის სიმტკიცე, ფაქიზი ზნეობა, ზრდილობა და თავის განირვა მამულისათვის, ბიბლია, რომელიც ასე გამოსჭვივის შოთას „ვეფხისტყაოსანში“, კვლავ დარჩეს საყვარელ წიგნად მოზარდი თაობისა, თუ არ გვინდა გადაგვარება ქართველი ერისა“ [გაზ. „საქართველო“, 1918: №208].

საღვთო სჯულის მასწავლებლები ითხოვდნენ სალიკვიდაციოდ გამოყოფილ ხელფასს, ჩიოდნენ სასამართლოში. ამ საჩივრებიდან ჩანს, რომ ყველაზე ცუდ დღეში აღმოჩენილან საოსტატო სემინარიების მასწავლებლები, სადაც საღვთო სჯული უფრო ადრე, სკოლების გაეროვნულებისთანავე გაუუქმებიათ, მაშინვე, როდესაც ამ სასწავლებელთა ნაციონალიზაცია გამოცხადდა. 1918 წლის 1 დეკემბრიდან კანონი გავრცელდა ყველა დანარჩენი ტიპის სკოლაზე [სცსა, ფონ. 1935, აღნ. 1, საქ. 138, ფ. 17].

ეს ფაქტი ძირითადად ეხებოდა თბილისს, ქუთაისი კი, რადგან საოსტატო სემინარია ამ დროს არ ფუნქციონირებდა, ამ ფაქტისაგან შორს იდგა.

1919 წლის 10 სექტემბერს კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას მიმართავდა და დანვრილებით აღწერდა ზოგიერთი სასულიერო სასწავლებლის შენობის ისტორიას.

„თვით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ და მისმა განათლების სამინისტრომ უსაბუთოდაც სრული დადასტურებით იციან, რომ საქართველოს ეკლესიის სამღვდელოებას თბილისში, ქუთაისში, ახალსენაკში, გორში, თელავსა და ოზურგეთში ცალკე ჰქონდა საკუთარი სამუშაო და ოთხკლასიანი სასულიერო სასწავლებელი მათი შვილების, ვაჟთა და ქალთა აღსაზრდელად, და, რომ ამ სასწავლებელთა შენობები ეზოებითურთ, მთელი მისი საჭირო ავეჯეულობა ქონებით შეადგენდა და შეადგენს იმავე სამღვდელოების კერძო პირადულ საკუთრებას, როგორც მისგანვე შეძენილი სახელმწიფო ხაზინისა და ერის დაუხმარებლად“, – წერდა კათალიკოს-პატრიარქი.

ის მწუხარებას გამოთქვამდა ამ სასწავლებლების გიმნაზიებად გადაკეთებისა და იმის გამო, რომ მთელი ქონება სასწავლებლებთან ერთად გადავიდა განათლების სამინისტროს უწყებაში. კათალიკოსი მიუთითებდა, რომ ამან სამღვდელოების პროტესტი, მთავრობისა და განათლების სამინისტროში შუამდგომლობის აღძვრა გამოიწვია. შეიკრიბა საბუთები ამ ქონების საკუთრების შესახებ.

საეკლესიო პირებს იმედები გაუცრუვდათ. ისინი იმედოვნებდნენ, რომ, თუ ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებლობას მიაღწევდა, მხოლოდ მაშინ ელირსებოდა ქართველი ხალხი წყნარ ნავსაყუდელს. თუმცა მათი ეს მოლოდინი არ გამართლდა.

1920 წლის ოქტომბერ-ნოემბერში კანონების გადამსინჯავმა კომისიამ განიხილა კანონპროექტი ეკლესიის სახელმწიფოდან ჩამოშორების შესახებ. მთავრობამ მიიღო ეს კანონი, რითაც კიდევ უფრო გააღრმავა დაპირისპირება ქართულ მოწინავე საზოგადოებრივ აზრთან, ეროვნული პოზიცია სამართლიანად აკრიტიკებდა ხელისუფლებას, მის დამოკიდებულებას სასულიერო ცხოვრების მიმართ, ეროვნული ტრადიციების რღვევას, რასაც სამერმისოდ ცუდი შედეგები მოჰყვებოდა. რელიგიური რწმენის გარეშე ბიბლიისა და სხვა წმინდა წიგნების გააზრების გარეშე გაზრდილი მომავალი თაობები ვერ ააშენებდნენ დამოუკიდებელ ქვეყანას, ვერ შექმნიდნენ ზნეობრივად სრულყოფილ საზოგადოებას, მაგრამ მთავრობა საკუთარ პოლიტიკას ეკლესიისადმი ამართლებდა, რადგან მას ევროპული სახელმწიფო მოდელი ჰქონდა აღებული.

ეროვნული მთავრობის შეცდომებთან დაკავშირებით თავისი წიგნის დასკვნით ნაწილში ქალბატონი დოდო ჭუმბურიძე წერს: „ის შეცდომები, რომლებიც 1918-1921 წლებში ჰქონდა საქართველოს ხელისუფლებას, ბევრი სუბიექტური, ანუ მართლაც ხელისუფლების შეცდომა იყო, ზოგს კი ობიექტური მდგომარეობა განაპირობებდა. იმ ხანმოკლე და რთულ დროში, რომელშიც მას მოუხდა მოღვაწეობა, ვერც ერთი პოლიტიკური ძალა ვერ იმოღვაწებდა უშეცდომოდ, მაგრამ არც ერთი მისი შეცდომა ერის წინაშე ჩადენილი დანაშაული არ ყოფილა“ [ჭუმბურიძე, 2003: 380].

მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონი დოდო ჭუმბურიძის აღნიშნული წიგნი მეტად ღრმად არსიანი, საარქივო მასალებით აღჭურვილი, დოკუმენტური ფაქტებით განმტკიცებულია, მკითხველს მაინც ავტორის მცდელობად მოეჩვენება, მათ აარიდოს დამნაშავეს მანტია, არადა იმ საერთო გადასახედიდან, მაშინ, როცა რევოლუცია ახალი მომხდარი იყო, მაშინ, როცა ყველაზე მეტად სჭირდებოდა თანადგომა ახალ მთავრობას, როცა მას უამრავი გარეშე მტერიც უტევდა, საჭირო აღარ იყო შინაური მოწინააღმდეგეების გამოძენა, შავი კატის დაჭერა ბნელ ოთახში, სადაც ის საერთოდ არ იმყოფება. საკითხს, ალბათ, სასულიერო უწყების რეორგანიზაციაც მოაგვარებდა. ხოლო რადიკალურმა ქმედებებმა კი ქვეყნისათვის დამანგრეველი ხასიათი და ფორმა მიიღო. ეს უდაოდ დანაშაული იყო საკუთარი ერისა და ხალხის წინაშე. სხვა შეცდომებს დაემატა საღვთო სჯულის სწავლების გაუქმებაც და მართლმადიდებლური ეკლესიის დევნა-შევიწროებაც. მაშინ, როდესაც ებრაელთა, რუსთა, მუსლიმანთა, მწვალებელთა, სომეხ-გრიგორიანთა და სხვათა საეკლესიო ქონება ხელშეუხებელი იყო, მხოლოდ მართლმადიდებლური ეკლესიას ჩამოართვეს კაპიკობით, ხშირად ეს იყო ცრემლით ჩამოთხოვილი და ოფლით ნაშოვნი ქონება. საარქივო დოკუმენტები თითქოს ახლაც „იცრემლებიან“: „ბოლო მოელება ჩვენი ეკლესიის ქონების ძალით მითვისებას?“ ყოველივე ამას კი განათლების სამინისტრო ჩადიოდა ეროვნული მთავრობის ხელმძღვანელობით. სწორედ ის სამინისტრო, რომლის საკეთებელ საქმეს წლების განმავლობაში ეკლესია აკეთებდა, ზრდიდა და აყალიბებდა ახალგაზრდებს პედაგოგებად, განათლებულ პიროვნებებად, ცხოვრებისათვის მომზადებულ კვალიფიციურ პროფესიონალებად.

შეცდომები? შეცდომები საეკლესიო პირებსაც მრავლად ჰქონდათ, მაგრამ ეს არ უნდა „გადათამაშებულიყო“ მთლიანად მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე, ეს უკვე კატასტროფა იყო და თუ ამ კატასტროფას დანაშაულს დავარქმევთ, ჩვენი ღრმა რწმენით, ეს იქნება სამართლიანი ბრალდება, მენშევიკურ-ეროვნული მთავრობისა.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით შეიძლება კატეგორიულად ითქვას, ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ – „მენშევიკებმა“ უდიდესი შეცდომა დაუშვეს, როცა დევნა დაუწყეს საღვთო სჯულის სწავლებას, მართლმადიდებლურ ეკლესიასა და სამღვდელოებას. ეს შეცდომა დანაშაულის ტოლფასია და ასეც აღიქვა ის დღევანდელი გადმოსახედიდან ქართველმა ხალხმა. მათი ქმედება სხვაგვარი უნდა ყოფილიყო. სარწმუნოება ერის დიდების პირველი ნიშანია, ამიტომ შეზღუდვა კი არა, მათ დიდი თანადგომა უნდა ეგრძნოთ ეროვნული მთავრობის მოსვლისთანავე. უნდა დაწყებულიყო ბოლშევიკების მიერ დანგრეული და შეურაცხყოფილი ეკლესიების აღდგენა, პატივი უნდა მიჰგებოდათ პატიოსან და პატრიოტ სასულიერო პირებს, ოღონდ მკაცრად უნდა დასმულიყო იმ პიროვნებათა დასჯის საკითხი, რომლებიც სახელს უტეხდნენ ეკლესიასა

და მართლმადიდებლობას. ეს პროცესები კი მართლმადიდებლური ეკლესიის საჭეთმპყრობელი პირების შეთანხმების საფუძველზე უნდა წარმართულიყო. ჩემი აზრით, ეს იქნებოდა ეროვნული მთავრობის სწორი და სალი ნაბიჯი. შეცდომების თავიდან აცილების ერთ-ერთი, თუ ერთადერთი, გზა. აქედან გამომდინარე, ქალბატონი დოდო ჭუმბურიძის მცდელობას, სავსებით გაამართლოს მენშევიკური მთავრობა, მხოლოდ გარკვეულ ნიუანსებში ვიზიარებთ, ბოლომდე ეს თვალსაზრისი ჩვენთვის მიუღებელია.

ასე ხელაღებით ეკლესიისა და მართლმადიდებლობის შევინროვება არც ერთ მთავრობას არ ეპატიება, რადგან თავისი ეროვნულობის ერთ ძირითად ნიშნად ქართველ ხალხს სწორედ მართლმადიდებლური სარწმუნოება მიაჩნია. გავისხენოთ სიტყვები: „ენა, მამული, სარწმუნოება“. აი, ის სამი აუცილებელი ფაქტორი, რომელიც უნდა ახლდეს ყველა ეროვნული მთავრობის საქმიანობას.

ლიტერატურა:

1. გაზ. „კავკაზ“, 1913: 7. II (ახალ ამბებში, რედაქტორი – Ю. Милютин).
2. გაზ. „კუთასიკი ვედომოსტ“, 1905, №45.
3. გაზ. „ერთობა“, 1829: №5, 2; 1918: №255; №257 (რედაქტორი – ლევან ნათაძე); 1919: №16, 3 (დილის ბიულეტენი, რედაქტორი – ვ. მ. ბობოხიძე; 1920, 20. I (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის გაზეთი).
4. გაზ. „საქართველო“, 1918: №36, №149, №208 (რედაქტორი – გრიგოლ ვეშაპელი).
5. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918: №10; 1919, №182 (რედაქტორი – გ. რ. მაჭავარიანი, შემდეგში – პ. დ. საყვარელიძე).
6. ჟურნალი „რუსსკაია შკოლა“, 1901: №2, გვ. 81 (რედაქტორი – Я. Г. Гуревич).
7. პირველდანიყებითი სკოლების დროებითი პროგრამები, გვ. 9-10.
8. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1972: ტ. VI, 710, თბილისი.
9. სცსსა, ფონდი 1935, აღწ. 1, საქმე 3, ფ. 25-26-27; საქმე 138, ფ. 2, ფ. 17.
10. ქცსსა, ფონდი 15, საქმე 3828, ფ. 111.
11. ქცსა, ფონდი 108, საქმე I, ფურც. 1.
12. ნიკოლეიშვილი ა., 2000: 35, განათლება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918 წლის მაისი – 1921 წლის თებერვალი), თბილისი.
13. ნიკოლეიშვილი მ., 1994: დასავლეთ საქართველოს ქალაქების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სარკინიგზო მშენებლობის ისტორიიდან, ქუთაისი.
14. ობოლაძე უ., 1961: ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა საბჭოთა საქართველოში (1921-1930 წლები), ტ. I, თბილისი.
15. ჭუმბურიძე დ., 2003: ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა XX ს-ის დასაწყისში (1918-1921 წლები), მემატინე, თბილისი.
16. ხუნდაძე ტ., 1976: 79-80, ქუთაისის ქართული გიმნაზიის ისტორიიდან, თბილისი.
17. ჯაოშვილი ვ., 1989: 206, ქუთაისი, თბილისი.

P.S.

ზოგიერთი საარქივო მასალის გამოყენების მიზნით ვისარგებლე დ. ჭუმბურიძის წიგნით – „ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა XX ს-ის დასაწყისში (1918-1921 წლები), 2003, 352-380.

LIA GABUNIA, GURAM GABUNIA

PROBLEMS CONNECTED WITH TEACHING ORTHODOXY OF KUTAISSI SCHOOLS REZUME

In XIX century of 70s the struggle started for establishment of self-government. This was demanded by the bourgeoisie, with the purpose to improve their political and economical position. This demand of bourgeoisie was approved by prevailing society. Kutaisi was the first city from western part of Georgia which started the struggle for gaining this right. In 1875 December the 4-th was opened the second city council's meeting and following decisions were taken: regulations of city council's work and governors of self-government were elected [Nikoleishvili: 1994: 124, 127, 128].

An establishment of city self-government was a sign of country development and it was directly connected with improving education and it was directly connected with improving education and knowledge. Some changes that were made in teaching was of great importance. In spite being still under the regime of tsarism Kutaisi managed to serve regions of Western Georgia with the help of its schools, because there were no schools in Imereti or Racha-Lechkumi regions. The vast majority of these schools consisted of people who had arrived from different part of Western Georgia [Jaoshvili: 1989, 206].

Teaching Seminary was opened later, but it was only in Kutaisi.

The most important was done for publishing and printing books by the intelligence of Kutaisi. The supervisor of Kutaisi Gimnasy I. Otskheli and some teachers established publishing house "Gamomtsebloba" and elected G. Svanidze as a director who did everything with great responsibility and honestly. The bank of Kutaisi gave a credit for publishing books.

Kutaisi Georgian Gimnasy teachers played an important role in creating text-books. There didn't exist a teacher who wasn't an author of even a book. Text-books of Silovan Khundadze "verb", "Literatural Georgia" and "Grammar" was published for several times. After 1880y. was published the book about famous Georgian writer's life. "Original Georgian writing and masterpiece of painting" belongs to S. Dateshidze, that had been publishing since 1880y. E. Kipiani created "Primary Algebra" into Georgian language in 1993y.

The text-books of Mathematics, Geometry, Algebra and Trigonometry were made up by S. Dateshidze, A. Nijaradze, A. Shubladze, L. Chimakadze, A. Mgaloblishvili, S. Otskheli, S. Sharashenidze. N. Svanidze.

Since 1908y. has been publishing the book for reading at school and at home "gutani", "Georgian Alphabet" by T. Mtavrishvili and S. Kipiani.

In 1918 was published "The book Georgian Literature" by I. Otskeli, I. Nikolaishvili and B. Mamporia.

Since 1912 has been publishing "Georgian short Grammar".

In 1919 "Primary Physics" was published by A. Janelidze. Nikoloz Shalamberidze made up the book of "Polyphonic songs" with explanation of music. Publishing this kind of books had a great importance for Georgian schools.

An patriotic activity was a relief for Georgian people's heart and soul. In this way National government made a great impression on people and they supported every successful act.

Unfortunately it turned out that attitude of Democratic government to Georgian Church was not national and this influenced on the future of ecclesiastic schools. The Process of reorganization began and ecclesiastic schools established as temporal and professional schools.

In 1978 July the 25-26 was published a bill about general education a bill about general education in the newspaper "Georgian Republic". According that bill was defined the re-organization of ecclesiastic schools and the property of Churches was confiscated. Compulsory education of Christianity was abolished. It was hard time for schools from the point of view nationality in Kutaisi. Georgian language often appeared oppressed from the side of Russia. During the governing of National Government this difficulty was get rid off, because all schools in Kutaisi were wholly nationalized and Georgian language-Literature also took the suitable place. But the reason of dissatisfaction of school leaders, parents and students was the rejection of teaching Christianity from school programme. It was the main mistake of National Government and even the reason of Government's failure. That's why they lost trust of every faithful and christian person.

The Independence of Georgia gained With blood and tears of many patriot had found many difficulties on the way of foreign and even home policy. The main reason of these problems were connected to the teaching of Christianity. There were so many ecclesiastic schools where christianity (orthodoxy) was taught by experienced teachers and Church servants. As if happened Church lost this function for schools. The fact caused inadequate reaction of society and it was felt and understood not only by intelligence but by ordinary people. The letters, appeals and demands were sent from all part of

Georgia for restoration of compulsory education of Christianity. A lot of meetings were held in various villages for that reason and decisions were sent to the Government.

In spite of such reaction the Parliament discussed the ease about teaching Christianity at schools and made the decision that Government shouldn't interfere in this case because the belief is a person's choice.

Social-democratic deputies of Parliament demand to separate Church from Government. Against them were National-democrats G. Gvazava, G. Kikodze and others, the society was dissatisfied of this decision and protested.

Accordingly we may say that National-democratic party – “Mensheviks” made a great mistake by chasing after the persons who thought Orthodoxy and the Orthodox Church and priesthood. They made not only a mistake but it was like a crime that was committed by Government and it is seen and understood so from Georgians. Their act could be different from this one, because the belief in God is a sign of Nationality. That's why people shouldn't feel sympathy instead of this. Destroyed Churches by Bolsheviks would be restored, and they should respect honest and patriotic ecclesiastic persons. The question should be put about punishment such person who insulted Church and Orthodoxy. These processes must be begun by the persons who hold the position in the Orthodox Church. To my mind it would be the right choice from National Government. We can only partially agree with Dodo Chumburidze who is trying to justify Government of Mensheviks.

The limitation of Church isn't forgiven from any kind of Government, because the main sign of Nationality for Georgians is Orthodox belief. Remember these words: Language, native land and religion. These three main factors must follow National Government's activities.

კახაბერ ქაბულაძე

ქუთაისში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ისტორიიდან

პირველი მსოფლიო ომის შემდგომ შექმნილი საერთაშორისო განლაგება, მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისათვის, გამარჯვებულ სახელმწიფოთა გეგმები გარკვეულ პერსპექტივებს ქმნიდა სამხრეთ კავკასიაში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა არსებობისათვის. თუმცა, მსოფლიო პოლიტიკის წარმართველ დიდ სახელმწიფოთა დამოკიდებულება ამ რეგიონის მიმართ სხვადასხვაგვარი იყო. ანტანტის ნევრი ევროპის ქვეყნების შეთავაზებებმა ოკეანისგალმელი პარტნიორის აშშ-ისადმი ამ უკანასკნელში გააღვივა ინტერესი მთელი ახლო აღმოსავლეთ და სამხრეთ კავკასია თავის გავლენის სფეროდ ექცია. საკითხისადმი განსხვავებული მიდგომა ქონდათ ევროპელ პოლიტიკოსებს. ისინი სამხრეთ კავკასიას რუსული სივრცის ნაწილად მოიაზრებდნენ და წითელი რეჟიმის დამხობას ელოდნენ. ევროპულ და ამერიკულ დიპლომატიას შორის ინტერესთა კონფლიქტის შედეგი იყო ინგლისის გარიგება საბჭოთა რუსეთთან, მისგან ნედლეულის მიღების სანაცვლოდ დაეთმო სამხრეთ კავკასია. ეს ფაქტორი გადამწყვეტი აღმოჩნდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ ორბიტაში მოსაქცევად. იმავდროულად, რუსეთმა იზრუნა თურქეთის ნეიტრალიზებაზე, რომელსაც ანტანტის წინააღმდეგ მოკავშირეობის სანაცვლოდ სამხრეთ კავკასიის დათმობა მოსთხოვა.

ყოველმხრივ პოლიტიკურ იზოლაციაში მოქცეული საქართველოს დაპყრობა რუსეთისათვის უკვე ტექნიკის საქმე იყო. საქართველოს დაპყრობისათვის მზადების მომენტში იგი ეკონომიკურ და სამხედრო მზადყოფნასაც ამოწმებდა, რათა საბოლოო დარტყმის მომენტში წარმატება გარანტირებული ჰქონდა. ამის ნათელი ილუსტრაციაა, მე-11 არმიის სარდლის ა. ჰეკერის მიერ 1920 წლის 18 დეკემბერს კავკასიის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოსადმი წარდგენილი გეგმა, რაშიც ყოველი სამხედრო პუნქტი დეტალურად იყო განერილი [ვაშაყმაძე 2009: 64].

საქართველოზე სამხედრო აგრესიის განხორციელების მომენტში, თებერვლის შუა რიცხვებში მე-11 წითელი არმია თავის შეიარაღებაში ითვლიდა: 17.937 ხიშტს, 4.326 ხმალს, 1.075 ტყვიამფრქვევს, 181 მსუბუქ და 15 მძიმე არტილერიას, 7 ჯავშნოსან მატარებელს, 3 ჯავშნიან, 1 სატანკო რაზმს და 50 თვითმფრინავს [გაზ. „ჩვენი მწერლობა“ 2003 :№7(137)].

11 თებერვალს მოენყო ინსცენირებული აჯანყება ლორეს რაიონში, რასაც მხარი დაუჭირეს სომხეთში განლაგებულმა წითელი არმიის ნაწილებმა. საქართველოს ტერიტორიაზე ხუთი მხრიდან შემოიჭრენ წითელი არმიის დივიზიები: სამხრეთიდან, აზერბაიჯანიდან, დარიალის ხეობიდან, მამისონის უღელტეხილიდან და შავი ზღვის სანაპიროთი — სოჭიდან.

16 თებერვალს შეიქმნა საქართველოს დროებითი მთავრობა - „რევოლუციური მთავრობა“ ფ. მახარაძის (რევკომის თავმჯდომარე), მ. ორახელაშვილის, შ. ელიავას, ა. გეგეჭკორის, ა. ნაზარეტიანის და სხვათა შემადგენლობით, რომელიც დამფუძნებელმა კრებამ ხალხის მოლაღატედ და კანონგარეშე გამოაცხადა.

17-24 თებერვალს მიმდინარეობდა გააფთრებული ბრძოლები თბილისის მისადგომებთან, სადაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი თბილისის სამხედრო იუნკრებმა.

24 თებერვალს ღამით საქართველოს მხედრობამ დატოვა თბილისი, რათა მტრის ალყაში არ მოქცეულიყო და მცხეთისაკენ დაიხია. 25 თებერვალს წითელი არმიის ნაწილები თბილისში უბრძოლველად შემოვიდნენ. ს. ორჯონიკიძემ სანატრელი დეპეშა აფრინა კრემლში: „ლენინს, სტალინს, თბილისზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა — გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“

დედაქალაქის დატოვების შემდეგ ქართული ჯარისა და სახალხო გვარდიის წინააღმდეგობა წელში იყო გატეხილი, ხოლო სამხედრო დისციპლინა და სულისკვეთება — მოშლილი და დაცემული. ამიტომ იყო, რომ წითელი არმიის ნაწილებმა საქართველოს დაპყრობა წინასწარ დაგეგმილ ვადაზე უფრო ადრე განახორციელეს [გრძელიძე 1998 : 221].

თბილისის დატოვების შემდეგ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ევაკუირებული იქნა ქუთაისში, სადაც წინასწარ იყო გადატანილი სამინისტროები და სხვა ცალკეული

სამთავროებო დაწესებულებები. ეროვნული მთავრობა, ქუთაისიდან ახორციელებდა მართვა-გამგეობას ქვეყნის იმ ტერიტორიაზე, რაც წითელ არმიას ჯერ კიდევ არ ჰქონდა ოკუპირებული.

ქუთაისის სასწავლებლებში სამინისტროები და დაწესებულებები განთავსდნენ. მთავრობის ცენტრალურმა აპარატმა, ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით, კლასიკური გიმნაზიის შენობა, ხოლო ფინანსთა სამინისტრომ წმ. ნინოს სასწავლებლები დაიკავა. იმავე დღეს, როცა ხელისუფლება ქუთაისში გადავიდა, სამინისტროებმა და უწყებებმა დეპეშები დააგზავნეს მაზრებში, მათ დაქვემდებარებულ დაწესებულებებს აცნობეს თავიანთი ახალი მისამართები.

ქუთაისში სწავლა დროებით შეწყდა. ადგილობრივმა მართველობის ორგანოებმა მუშაობა შეწყვიტეს. ქალაქი მთავრობის მოხელეებითა და ევაკუირებული ქონებით გაივსო. ადგილობრივი ბოლშევიკები მოსახლეობაში ავრცელებდნენ პანიკას, რომელიც წითელი არმიის მოახლოებასთან ერთად კიდევ უფრო იზრდებოდა.

საქართველოს ხელისუფლება ქუთაისში დიდხანს აპირებდა დარჩენას. იგი იმედოვნებდა, რომ შეინარჩუნებდა ძალაუფლებას მანამდე, ვიდრე დასავლეთის სახელმწიფოები არ დაეხმარებოდნენ საბჭოთა რუსეთთან ომში [„ჩემი ქუთაისი“ 2004 : №5(55)].

საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს გენერალ გ. კვინიტაძეს ქუთაისამდე ძალიან მცირერიცხოვანი ჯარი ჩამოყვა, რადგან ერთი ნაწილი ტყვედ ჩავარდა, ნაწილი დაიღუპა და დაიჭრა, უმრავლესობა კი სახლებში წავიდა იარაღითურთ. მთავრობა, ამის გამო, ეძებდა ახალ გზებსა და საშუალებებს არმიის შევსებისა და სამხედრო ნაწილების აღდგენისათვის. ქუთაისის გარნიზონის მეთაურად, ცნობილი სამხედრო მოღვაწე, იუნკერთა სკოლის უფროსი, გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი დაინიშნა. ქუთაისის, შორაპნისა და რაჭის მაზრებში დაიწყეს ყველა ჯანმრთელი მამაკაცის მობილიზაცია.

შეიძლება ითქვას, რომ იმ მძიმე დღეებში ქუთაისი ფრონტისპირა ქალაქს წარმოადგენდა და საგანგებო რეჟიმში ცხოვრობდა. ქუთაისი გახდა სამობილიზაციო მუშაობის ცენტრიც. ამ საქმეს ხელმძღვანელობდა გენერალი ვარდენ ნულუკიძე*. მიმდინარეობდა ცხენების აღკაზმულობის რეკვიზიცია. ქუთაისისა და სამტრედიის ამ საქმეს უძღვებოდა პოლკოვნიკი დ. ჭუმბაძე. სამწუხაროდ, არცერთ ამ ღონისძიების შესაბამისი შედეგი არ მოჰყოლია. თბილისის დატოვებამ არმია მორალურად გატეხა და მონინალმდევის შეჩერება ახალ ტაქტიკურ პოლიციაზე შეუძლებელი გახდა.

ქუთაისში გადასული მთავრობა მაშინვე შეუდგა ეკონომიკური რესურსების მობილიზაციას. ამასთან, მთელი ძალისხმევა მიმართული იყო სურამისა და გოდერძის უღელტეხილებზე მონყობილი თავდაცვითი ზღუდეების გაძლიერებაზე. ბრძოლებში მონაწილეობას იღებდნენ ქუთაისელი გიმნაზიელებისა და სტუდენტი-ახალგაზრდობის ერთი ნაწილი, რომლებიც მოხალისედ მიდიოდნენ ოკუპანტების წინააღმდეგ საბრძოლველად. მათ შორის იყვნენ კოტე ბაქრაძე და მესხი. თვითმხილველთა გადმოცემით ისინი ბრძოლის ველზე დაიღუპნენ [გაზ. „ქუთაისი“ 1991 : №100-101].

ხელისუფლებამ საგრძობლად გააქტიურა ბრძოლა ადგილობრივი ბოლშევიკური ორგანიზაციების წინააღმდეგ. შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულმა რაზმმა, რომელსაც მელქისედეკ კედია მეთაურობდა, ქუთაისის მაზრაში ჩატარებულ სპეცოპერაციის შედეგად ათეულობით ბოლშევიკი დააპატიმრა [მჭედლიძე 1993 : 392].

სამწუხაროდ, მთავრობა ნაკლებად ზრუნავდა ზურგის თავდაცვაზე. კერძოდ, მამისონის უღელტეხილის გამაგრებაზე. ხელისუფლების ნევრები და მხედართმთავრები დაიმედებულნი იყვნენ, რომ კავკასიონის ქედის გადმოლახვას ზამთრის პირობებში წითელი არმია ვერ შეძლებდა. განვითარებულმა მოვლენებმა კი ცხადყო, რომ ქართული მხარე მწარედ ცდებოდა, რადგან ყველაზე დიდი საფრთხე მას სწორედ მამისონის უღელტეხილიდან მოელოდა.

უღელტეხილის გადმოლახვისას გადატანილ სირთულეებსა და ქუთაისში შესვლის შესახებ წერს თავის მოგონებებში წითელარმიელი ვ. ჩგრიდნევი. მისი თქმით, როდესაც მენშევიკების მთავრობამ გაიგო წითელ არმიის გადმოსვლა მამისონზე შეეცადა ხელი შეეშალა მათთვის. მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, აღნიშნავდა ვ. ჩგრიდნევი, მან და წითელარმიელთა რაზმმა დახეული ჩექმებით, თითქმის ფეხშიშველებმა მოახერხეს ქართული ბრიგადის დამარცხება და ქუთაისში უბრძოლველად შესვლა [გაზ. „ქუთაისი“ 1972 : №49(11593)]. მამისონის უღელტეხილიდან წითელი არმიის ნაწილების შემოსვლის შესახებ მოგვითხრობს თავის მოგონებებში კომკავშირელ ა. იოსელიანი, რომელიც

ნითელ არმიის მე-9 მსროლელი დივიზიის 78-ე პოლკის მზვერავთა ოცეულში ირიცხებოდა. ნითელი არმიის ნაწილებმა, - იგონებს ა. იოსელიანი, - ონისა და ამბროლაურის განთავისუფლების შემდეგ, ხარისთვალა — ტყიბულის გავლით სამი მიმართულებით აიღო გეზი. პირველ რაზმს ქუთაისის, მეორეს — ცაგერისა და ცხენისწყლს მიმართულებით დაევალა საბრძოლო ოპერაციების წარმოება, ხოლო მესამე ნაწილი, რომელშიც ა.იოსელიანიც ირიცხებოდა, ალპანიდან რიონის ხეობის მიმართულებით გამოემართა. შოპერაციის მიზანი სამივე მხრიდან ქუთაისში შეჭრა და მენშევიკებზე თავდასხმა იყო [გაზ. „ქუთაისი“ 1971 : №49(11333)].

11 მარტის ოპერატიული ცნობით ირკვევა, რომ მამისონის უღელტეხილიდან მომავალმა ნითელარმიელებმა სოფელ მექვენასთან მოახერხეს გენერალ მიქაძისა და მისი ქვეითი რაზმის დატყვევება. ამასთანავე, ორივე ზარბაზნის, ორი ჯავშნიანი ავტომობილისა და ოთხი ტყვიამფრქვევის ხელში ჩაგდება [გაზ. „კომუნისტი“ 1921 : №11].

ქუთაისს, როგორც უკვე აღინიშნა, ნითელი არმიის ნაწილები ემუქრებოდნენ სამი მიმართულებიდან. ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო XI არმია, რომელიც მოინევედა ზესტაფონის რკინიგზის ხაზსა და თბილისის შარაგზის გამოვლით. მოწინააღმდეგე ქალაქს უახლოვდებოდა რაჭიდან რიონის გაყოლებით, ანუ, როგორც მაშინ უწოდებდნენ ოსეთის სამხედრო გზით. ამათ გარდა XI არმიის ნაწილებს უკვე დაკავებული ჰქონდათ სამურზაყანო და სამეგრელო, სადაც შეავინროვეს გენერალ ართმელაძის ჯარები და უახლოვდებოდნენ სამტრედიას [მჭედლიძე 1993 : 393].

საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ ემიგრაციაში წასვლა გადაწყვიტა. თვითმხილველთა თქმით, მთავრობა აგროვებდა ეკლესია-მონასტრებიდან გასატან ნივთებს და აჰქონდა ბაგრატიის ტაძარზე, რასაც სამრეკლოში ინახავდნენ. იქვე ყოფილა შენახული თბილისიდან წამოღებული განძეულობაც. ამასთანავე, სიფრთხილის მიზნით, დაპატიმრებულ ბოლშევიკთა ერთი ნაწილი 7 მარტს ბათუმის ციხეში გადაიყვანეს, ნაწილი კი — წერა-კითხვის უცოდინარნი, გაზეთ „პრავდა გრუზიის“ ცნობით, გაუთავსუფლებიათ [გაზ. „კომუნისტი“ 1921 : №18; გაზ. „ქუთაისი“, 1967 : №96(10355)].

წასვლის წინ ხელისუფლებას მიტინგი ჩაუტარებია ქალაქის ცენტრალურ ბულვარში, რასაც უამრავი ადამიანი დასწრებია. მათ შორის ქუთაისში არაღელგალურად მყოფი ბოლშევიკებიც — მიშა მეძმარიაშვილი, შალვა ოკუჯავა, იოსებ ხარაბაძე, ვერა ხალვაში და სხვები, რომლებიც მიტინგის ორგანიზატორებს აქციის გამართვაში ხელს უშლიდნენ. შეკრებაზე სიტყვით გამოსულა დემოკრატიული მთავრობის წევრი ილია ლორთქიფანიძე. ორატორი, მოსახლეობას აფრთხილებდა მოსალოდნელი აფრთხის შესახებ, რაც საბჭოთა ოკუპანტებისაგან მიმდინარეობდა. მისი თქმით, საქართველოს დასაპყრობად მოდიოდნენ „ველური ურდოები“, რომლებიც საშიშროებას შეუქმნიდნენ მათ სიმშვიდეს და მშვიდობიან ცხოვრებას [გაზ. „ქუთაისი“ 1991 : №100-101].

1921 წლის 10 მარტს მე-11 არმიის 98-ე ბრიგადის ნაწილები, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ კალინოვსკი და კომისარი ზლატინი ჩრდილოეთ ოსეთიდან მამისონის უღელტეხილის გამოვლით ქუთაისში შემოვიდნენ და 17 საათისათვის ქალაქი სრულიად დაიკავეს. იმავე საღამოს ნითელარზმელები 4 ვერსის მანძილზე მიუახლოვდნენ სამტრედიას და შეძლეს მთავრობის ნაწილების განდენა ყვირილადან, სვირიდან და ფარცხანაყანევიდან.

11 მარტს, თბილისში მყოფი ს. ორჯონიკიძე მოსკოვში ი. ბ. სტალინს აცნობებდა: „უორდანისა მთავრობა განდევნილია ქუთაისიდან. გუშინ დილიდან ქუთაისზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების ნითელი დროშა“ [გაზ. „სტალინელი“ 1967 : №52].

საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა ფ. მახარაძის ხელმძღვანელობით ჯერ კიდევ 1921 წლის 8 მარტს განიხილა საკითხი ქუთაისის საგუბერნიო რევოლუციური კომიტეტის შექმნის შესახებ. 11 მარტს ჩატარდა პირველი სხდომა, რომელსაც ხელმძღვანელობდა საქართველოს რევოლუციური კომიტეტის (რევკომის) საგანგებო რწმუნებული ქუთაისის გუბერნიაში ა. გეგეჭკორი. სხდომაზე დაამტკიცეს ქუთაისის რევოლუციური კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე დ. ლორთქიფანიძე, თავმჯდომარის მოადგილე ვ. ბახტაძე, წევრები: შ. ლეჟავა, ს. ადამსკი, ი. მაჭავარიანი, ავაკოვი და ბენედიქივი“ [ქცსა, ფ.305, აღწერა 1, საქმე 62, ფ. 1].

ქუთაისიდან ბათუმში წასულმა დემოკრატიულმა მთავრობამ 11 მარტს ქუთაისის მიმართულებით, პოლკოვნიკ გოგუაძის მეთაურობით, ჯავშნიანი მატარებელი გამოუშვა, რაც ბოლშევიკებმა

მოიგერიეს [გაზ. „კავკასკაია კომუნა“ 1921 : № 24]. 15-16 მარტს ქუთაისში გაიმართა საზავო მოლაპარაკება [ძველი და ახალი ქუთაისი 1973 : 14]. მოლაპარაკებაში საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას წარმოადგენდა სამხედრო მინისტრი გრიგოლ ლორთქიფანიძე. სამხედრო მრჩეველი ივანე გედევანიშვილი, პოლიტიკური მრჩეველი ალექსანდრე დგებუაძე, დელეგაციის მდივანი დავით შარაშენიძე, ხოლო საქართველოს რევკომს — მამია ორახელაშვილი, საბჭოთა რუსეთს კი აბელ ენუქიძე და ალექსანდრე სვანიძე [ზარქუა 1996 : 38-40]. დადო დროებით ზავი საომარი მოქმედებს შეწყვეტის შესახებ. იგი გადაეგზავნა გენერალ მაზნიაშვილს, რომელიც მაშინ ლანჩხუთის სადგურში იდგა [მაზნიაშვილი, 1990 : 203-210].

საომარი მოქმედებები შეწყდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა 17 მარტს ბათუმიდან ემიგრაციაში წავიდა. მას თავი დამარცხებულად არ გამოუცხადებია და თავისი უფლებების აყრაზე არ დათანხმებულა. ამიტომ 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებულ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას არსებობა არ შეუწყვეტია [გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 : № 70].

წითელი საოკუპაციო არმიის შემოსვლას ქუთაისში თან დაერთო ოკუპანტთა მხრიდან მარადიურობა და ზოგადად კრიმინალური მდგომარეობის გაუარესება. ქალაქიდან გადიოდა ქონებით დატვირთული ურმები, ჩამოხსნეს და დაიტაცეს ელექტროქსელის მავთულებიც კი [გაზ. „ქუთაისი“, 1967 : №96(10355)].

ამას ზედ დაერთო მასობრივ ტერორიც. ქუთაისის რევოლუციონური კომიტეტის მიერ 1921 წლის 16 აპრილის გამოცემული ბრძანება №26, რასაც რევკომის სახელით ხელს აწერდნენ დ. ლორთქიფანიძე, ვ. ბახტაძე, შ. ლეჟავა, ს. ადამსკი, თ. მაჭავარიანი, ავაკოვი და ბენდიქტოვი, „ქუთაისის მუშებს და პატიოსან მოქალაქეებს“ აფრთილებდა, რომ სასტიკი ზომები გატარდებოდა არსებული მთავრობისა და „სახელოვანი წითელი არმიის“ წინააღმდეგ აუგის მთქმელთა დასჯის მიზნით და მოუწოდებდა ქალაქის მოსახლეობას, რათა დაეკავებინათ და ქუთაისის მილიციის სამმართველოში, ან საგანგებო კომისიაში წარედგინათ „ასეთი ხმების გაავრცელებლნი“. მილიციის უფროსს და საგანგებო კომისიას ევალებოდა პროვოკატორების აღმოჩენა და რევოლუციური ტრიბუნალისადმი გადაცემა. „რევოლუციონური კომიტეტი აცხადებს, რომ პროვოკატორები იქნებიან დასჯილნი უმაღლესი სასჯელით — დახვრეტით“ [ქცსა, ფ. 305, აღწ. 1, საქ. 119, ფ. 158].

ქალაქის ქუჩებში შიშმა დაისადგურა. ბევრი გაიხიზნა და სოფელს და მთებს შეაფარა თავი. ვაჭრები იძულებული გახდნენ გადაემაღათ სურსათ-სანოვაგე, რამაც სასურსათო კრიზისი გამოიწვია. სამ კატეგორად დაყოფილი ქალაქის მოსახლეობა სურსათის დანეგებულ ნორმას საბართო სისტემის მეშვეობით იღებდა [გაზ. „სტალინელი“ 1967 : №52].

ზემოთ აღნიშნულს ნათლად ადასტურებს, აგრეთვე ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცული ცნობა. დოკუმენტის მიხედვით, რასაც აქვს წარწერა „საიდუმლო ოპერატიული“ არმიის პოლიკური შტაბის უფროსი კუზნეცოვი ლეგიონის ჯგუფის მეთაურს კუბიბიშვილს აცნობებდა: „მოქმედი ჯარის გენერალურმა აპარატმა ბრძანა თქვენი პირადი პასუხისმგებლობით მიიღოთ სასწრაფო და გადამწყვეტი ზომები სამხედრო ნაწილების მიერ უხამსობისა და ძარცვა-გლეჯვის შეწყვეტისათვის. სასწრაფოდ გაანთავისუფლოთ სამხედრო ნაწილების მიერ დაკავებული ქუთაისის სკოლები და უხამსობაში, ძარცვა-გლეჯვაში და საბჭოთა საქართველოს ტერიტორიაზე ქვევის მთავარსარდლის დირექტივების შეუსრულებლობაში დამნაშავეებს მიუსაჯოთ ყველაზე მკაცრი პასუხისმგებლობა საომარი დროის კანონების მიხედვით“ [ქცსა, ფ. 305, აღწ. 1, საქმე 62, ფ. 21].

ქუთაისში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე რევკომმა იერიში მიიტანა კერძო საკუთრებაზე და „მსხვილ საწარმოთა ნაციონალიზაციის“ ლოზუნგით სახალხო მეურნეობის საბჭოს გადასცა თამბაქოსა და გრეხილი ავეჯის ფაბრიკები, აგურისა და ყინვის დამამზადებელი ქარხნები, ლალიძისა და ბეგოვის ელექტროსადგურები, ტყავის ქარხანა, საქსოვი სახელოსნო და კერძო სტამბები. 14 მარტის დადგენილების საფუძველზე ქალაქში არსებული ბანკები ერთ სახალხო ბანკად გაერთიანდა. საბანკო ოპერაციებზე მეთვალყურეობას რევკომი ახორციელებდა, ბანკში დანიშნული სპეციალური კომისრის მეშვეობით [გაზ. „სტალინელი“ 1967 : №52].

ამასთანავე, რევკომის მეთვალყურეობის ქვეშ გადავიდა სახალხო სასამართლოების ფუნქციონირების საქმე, რასაც იუსტიციის განყოფილების საშუალებით ახორციელებდა. არსებულ მთავრო-

ბას იდეოლოგიურად ზურგს უმაგრებდა ქუთაისის საგუბერნიო რევეკომისა და პარტიის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო — გაზეთი „მუშა და გლეხი“, რაც 1921 წლის 3 აპრილიდან გამოდიოდა, პარტიული და საბჭოთა მოღვაწის, ქუთაისის რევეკომის თავ-რის მოადგილის — ვალერიან (ვალია) სამსონის ძე ბახტაძის რედაქტორობით [გაზ. „სტალინელი“ 1967 : №52].

აღნიშნულის გათვალისწინებით ინტერესის საგანი გახდა საოკუპაციო ჯარების შემოსვლის მომენტისათვის ქუთაისის საწყობებში არსებული მდგომარეობა. მე-11 არმიის წარმომადგენელთა მიერ მოხდა ყველა მაღაზიის თუ საწყობის დახურვა, მაგრამ საგუბერნიო რევეკომის განკარგულებით მალევე გაიღო ყოველგვარი აღრიცხვის გარეშე. 23 მარტს შეიქმნა საგუბერნიო რევეკომთან აღრიცხვის კომისია სახალხო მეურნეობის საბჭოს წარმომადგენლის ხომალჯიროვის თავმჯდომარეობით. ბრძანებულებაში აღნიშნული იყო: 1) ყველა დღემდე არსებული აღრიცხვის კომისიები უქმდება; 2) გაუქმებული კომისიის წევრები და თანამშრომლები უერთდებიან ქუთაისის გუბრევეკომთან არსებულ კომისიას. ყველა სამხედრო და საზოგადო დაწესებულებები, რომლის განკარგულებაშიც ირიცხება საწყობები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ წარუდგინონ კომისიას ამ საწყობების ცნობები. მილიცია ვალდებულია მიაწოდოს კომისიას ყველა აღმოჩენილი საწყობის შესახებ ცნობები“ [ქცსა, ფ. 305, აღნ. 1, საქმე 4, ფ. 21]. აღნიშნული კომისიის აღრიცხვას დაექვემდებარა საინდენტანტოს, საარტილერიოს, სადგურის, საბაჟოს, რუსეთის სატრანსპორტო საზოგადოების და სატყეო საწყობები. ქუთაისის რევეკომი საქართველოს რევეკომს უდებუებდა: „მენშევიკების მიერ დატოვებული ყოველგვარი ქონება სახალხო მეურნეობის საბჭოს მიერ აღრიცხული და დაჯგუფებულია ტექნოლოგიური ნიშნით“-ო [ქცსა, ფ. 305, აღნ. 1, საქმე 61, ფ. 21].

მაგრამ ამ პერიოდის სახელმწიფო მოხელეები ყურადღებას ამახვილებენ იმ ფაქტზე, რომ საწყობებში ზუსტი აღრიცხვის წარმოება შეუძლებელი იყო, რადგან სამხედრო ნაწილების მოთხოვნით უკონტროლოდ ხდებოდა სხვადასხვაგვარი მასალების და პროდუქტის გატანა: „არ მქონდა ხელთ გაფორმებული წესით საწყობები, მოხდებოდა გამეცა ჩეკები აგენტების ან აღმრიცხავი კომისიის მეშვეობით, რაც ქმნიდა აღრიცხვისთვის მიუღებელ მდგომარეობას. მიუხედავად ამისა, მოთხოვნილებანი სამხედრო ნაწილებისა, სხვადასხვა დაწესებულებებისა და პირებისა შემოდიოდა შეუჩერებლად“, - წერდა სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგების განყოფილების უფროსი პურადოვი [ქცსა, ფ. 305, აღნ. 1, საქმე 34, ფ. 61]. მსგავსი სურათი იყო საბაჟოზეც, რის შესახებაც პოლიტკომისარი ვ. სტეპანოვი რევეკომის თავმჯდომარეს აცნობებდა: „საბაჟოზე მოვიდა ამხანაგი გაბაევი შეიარაღებულ წითელ არმიელთა თანხლებით და კატეგორიულობით მოითხოვა ჩემგან და საბაჟოს უფროსისაგან შემოსული ჯარის შტაბისათვის ყველაფერი.

ჩემი წინააღმდეგობა გაბაევის მიერ უარყოფილ იქნა და იძულებული გავხდი საწყობიდან გამეცა საქონელი. შემდეგ მოიყვანეს სატვირთო მანქანა და ცხენებშებმული ურემი, წაიღეს ყველაფერი რაც სურდათ და განუსაზღვრელი რაოდენობით. მსგავსი ვითარება გრძელდებოდა შემდეგი დღეების განმავლობაშიც“ [ქცსა, ფ. 305, აღნ. 1, საქმე 43, ფ. 77].

ხშირი დატაცებებისა და უკონტროლო გაცემის შემდეგ საწყობებში დარჩენილი ქონების შესახებ ქუთაისის რევეკომის ფონდის საარქივო დოკუმენტებში საკმაოდ მწირი ინფორმაცია მოგვეპოვება. არ არსებობს არავითარი დამადასტურებელი სამხედრო საჭურველის არსებობის შესახებ, დაფანტულია ცნობები სურსათის მარაგისა და სხვა სახის მასალებზე. ასე მაგალითად, სამაზრო სასურსათო კომისარიატი თავის მოხსენებაში აღნიშნავს მუშაობის სირთულეებზე იმის გათვალისწინებით, რომ - მენშევიკური მთავრობიდან საწყობებში ცოტა რამ დარჩა და მოაქვს ციფრობრივი მაჩვენებელი არსებული პროდუქტებისა [ქცსა, ფ. 305, აღნ. 1, საქმე 69, ფ. 44-45]. მომარაგების განყოფილების მიერ სახალხო მეურნეობის საბჭოსადმი წარდგენილ ანგარიშში საუბარია ყოფილი მთავრობის მიერ დატოვებულ სატრანსპორტო საშუალებებზე, რაშიც შედიოდა მსუბუქი და სატვირთო ავტომობილები, ასევე ჭაპანტრანსპორტი. ეს უკანასკნელი წარმოდგენილი იყო თითქმის გამოუსადეგარი 15 ცხენით და 3 კამეჩით. საწყობებში აღმოჩნდა, ასევე მენშევიკების მიერ შესაკერად გადაცემული ასეულობით წყილი შარვალ- ხალათი და თეთრეული [ქცსა, ფ. 305, აღნ. 1, საქმე 34(ა), ფ. 61]. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ ქუთაისში დატოვებული ქონების შესახებ არასაკმარისი ინფორმაცია არ გვაძლევს იმის მტკიცების შესაძლებლობას, რომ საწყობები თითქმის ცარიელი იყო. გარკვეული მარაგის არსებობას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ქალაქში

შემოსული საოკუპაციო ჯარები თუ ახლად შექმნილი სახელისუფლებო ორგანოები ამ სანყობე-
ბიდან საზრდოობდნენ. თუმცა საქართველოს სხვადასხვა მხრიდან შემოსული წითელი ჯარების
წინააღმდეგ წარმატებული საომარი ოპერაციების წარმოება სერიოზულ შეიარაღებასა და დიდძალ
რესურსებს მოითხოვდა ხელსაყრელ საგარეო პოლიტიკურ კლიმატთან ერთად [ვაშაყმაძე 2009: 64].

ქუთაისში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან რამდენიმე თვეში, გაზეთ „მუშა და გლეხის“
(1921 №10) ცნობით, 29 აპრილს ღამით ქუთაისის რევოლუციური კომიტეტის წევრებზე - (ა. გე-
გეჭკორი, დ. ლორთქიფანიძე, ვ. ბახტაძე, ტ. ლორთქიფანიძე და აკ. დალაქიშვილი) შეიარაღებული
თავდასხმა მომხდარა. ბოროტმოქმედებმა ავტომობილს, რაშიც ისინი ისხდნენ ხელყუმბარიდან
და იარაღიდან ესროლეს. სროლის შედეგად არავინ დაშავებულა, ყველანი უვნებლად გადარჩნენ.

აღნიშნულ ამბავს სხვაგვარად გადმოგვცემს ცნობილი სოციალ-დემოკრატი ვლასა მგელაძე.
მისი მოგონებების მიხედვით, ჩვენამ ქუთაისში პროვოკაცია მოაწყო. ბომბი ისროლა და ბრალი ქარ-
თველ რევოლუციონერებს დასდო. ამის გამო რამდენიმე პიროვნება დააკავეს. მათ შორის პოლ-
კოვნიკი ლექვიანაძე და რამდენიმე უდანაშაულო ადამიანი დახვრიტეს [მგელაძე 1936 : 30].

ისტორიკოს ნ. კირთაძის ცნობით, 1921 წლის 18 მაისს ქუთაისის საზოგადოებას ქალაქის ცენ-
ტრალურ ბულვარში საჯარო გასამართლება მოუწყვია. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს ასა-
მართლებდნენ ვ. ლენინსა და ნ. ჟორდანიას. თეზისებიც წინასწარ ყოფილა ადგილობრივ რევკომ-
თან დარიგებული და შეთანხმებული. სასამართლოს უამრავი ხალხი დასწრებია. განხილვის შემდეგ
სასამართლოს და ხალხს ერთი განაჩენი დაუდგენია: ლენინს სიკვდილი და ჟორდანიას ცაში აფრე-
ნა!... გაცოფებულ ა. გეგეჭკორს ამ პროცესის ინიციატორები იქვე შეუპყრია და ციხეში შეუყრია
[კირთაძე 1996 : 31].

ამრიგად, საბჭოთა რუსეთი ვერაგულად, ომის გამოუცხადებლად დაესხა თავს საქართველოს
1921 წლის თებერვალში და ძალდატანებით მოახვია თავს საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმი. საბჭოთა
რეჟიმმა, პოლიტიკური ბრძოლის სხვადასხვა ხერხების თუ მეთოდების გამოყენებით შეძლო თავი-
სი მდგომარეობის განმტკიცება. მრავალპარტიული დემოკრატიული სისტემა შეცვალა ერთპარტი-
ულმა დიქტატორულმა ტოტალურმა სისტემამ. დაიწყო კომუნისტური პარტიისა და სოციალისტუ-
რი სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ბატონობის 70 წლიანი პერიოდი, რაც ბუნებრივია ქუთა-
ისსაც შეეხო. ეს ძალმომრეობა საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიერ დიდი ხნის მანძილზე შუქდებოდა
არაობიექტურად და ტენდენციურად. სინამდვილეში კი ეს იყო საქართველოს ამკარა ოკუპაცია,
მისი ძალდატანებითი გასაბჭოება და ფაქტობრივი ანექსია. საქართველომ დაკარგა დამოუკიდებ-
ლობა და ეროვნული სუვერენიტეტი, ხოლო ქართველი ხალხი კვლავ, ამჯერად, საბჭოთა იმპერიის
კოლონიური უღლის ქვეშ მოექცა.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციას და ანექსიას
შედეგად მოჰყვა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა, რაც 1924 წლის აჯანყე-
ბით დაგვირგვინდა. ამ ბრძოლის ავანგარდში კი ქუთაისის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭი-
რავს.

ლიტერატურა:

1. გაზ. „ქუთაისი“, 1967, №96(10355).
2. გაზ. „ჩემი ქუთაისი“, 2004, №5(22).
3. გაზ. „ქუთაისი“, 1991, №100-101.
4. გაზ. „ქუთაისი“, 1972, № 49(11593).
5. გრძელიძე რ, საქართველოს პოლიტიკური პარტიების ისტორია, თბილისი.
6. ვაშაყმაძე ნ, რამდენიმე დოკუმენტი საქართველო-რუსეთის 1921 წლის თებერვალ-მარტის
ომის შესახებ, ქუთაისი.
7. გაზ. „სტალინელი“, 1967, №52.
8. ჟურნ. „პოლიტიკა“, 1996, №9-10.
9. გაზ. „ქუთაისი“, 1971, №49.
10. გაზ. „კავკაზსკაია კომუნა“, 1921, №14.
11. კირთაძე ნ, 1924 წლის აჯანყება საქართველოში, ქუთაისი.

12. მაზნიაშვილი გ, მოგონებანი, ბათუმი.
 13. მგელაძე ვ, რუსეთის მობრუნება საქართველოში, პარიზი.
 14. მჭედლიძე გ, ქუთაისის ახალი ისტორიის ნარკვევები, ქუთაისი.
 15. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991, №70.
 16. გაზ. „ჩვენი მწერლობა“ (გაზ. „ახალი ეპოქის“ დამატება), 2003, №7(137).
 17. ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივის (შემოკლებით ქცსა), ფ. 305, აღწერა 1, საბუთი 4, 34, 43, 61, 62.
 18. ძველი და ახალი ქუთაისი, თბილისი.
- * გენერალი ვ. ნულუკიძე სხვა ქართველ მამულიშვილებთან ერთად დახვრიტეს 1923 წელს.

KAKHABER KEBULADZE

FROM THE HISTORY OF ESTABLISHING SOVIET POWER IN KUTAISI

The Post World War I International disposition for a new re-division of the world, the plans of the victorious countries created some perspectives for the existence of the independent states in South Caucasia, though the attitude of the great powers to the region was various. The European countries the members of the Entente tried to evoke an interest in their overseas partner - the USA with the offer to make South Caucasia a sphere of its influence. On the other hand other European politicians envisaged Caucasia as a part of Russian space and awaited the ruin of the Red Regime.

The conflict between the European and American Diplomacy was resulted in England's deal with Soviet Russia to yield South Caucasia for the raw materials from Russia. This factor happened to be decisive for Georgia to appear on the Russian orbit. Meanwhile Russia settled neutralizing Turkey and demanded yielding South Caucasia instead of being its ally against the Entente.

Invading Georgia was just a matter of techniques Russia was checking its own military and economical readiness to be guaranteed for the success. This is illustrated in the plan presented on December 18, 1920 by a commander of the XI th army military point in details.

At the moment of its military aggression over Georgia The XI th Army had 17 937 bayonets, 40326 swords, 1075 machine guns, 181 light and 15 heavy artillery, 7 armor – clad trains, 3 armour clad _ 1 tank detachment and 50 places at its disposal.

On February 11 there started a reformed rebellion in hore region supported by the Red Army in Armenia. The Red Army intruded into the Georgian territory from five directions _ the South, Azerbaijan, Dariali Gorge, Mamisoni Pass and the Black sea coast –Sochi.

On February 16 a temporary government was formed “the Revolutionary Government” including P. Makharadze (chairperson), M. Orakhelashvili, Sh. Eliava, A. Gegechkori, A. Nazaretyan and the Founding Meeting.

During February 17-24 devastating battles took place at Tbilisi outskirts where especially distinguished were Tbilisi military junkers. On February 24 the Georgian Government left for Mtskheta. On The next day the Red Army divisions marched into Tbilisi with no resistance from the Georgian part. Sergi Orjonikidze telegraphed the kremlin “To Lenin, to Satlin. A Red Flag of the Soviet Power is waving over Tbilisi Long live Soviet Georgia!”.

The Georgian Army and the National Guards were so broken and discouraged that Red Army could invade Georgia earlier than planned.

The Georgia government was evacuated to Kutaisi where different ministries and official establishments had been moved beforehand. The Georgian government ruled the unoccupied parts of the country. The seat of the government was the classical gymnasium, the Ministry of Finances functioned in the St. Nino School. Academic process was stopped. The town was filled with government officers and evacuated possessions. The local Bolsheviks spread panic in population, growing with the approaching of the Red Army.

Georgian Government didn't intend to stay in Kutaisi long. They hoped to maintain the power until the western states helped us.

General Kvinitadze _ the commander – in- chief of the Georgian Armed Forces was accompanied by a small army _ as a part of it had been captured, dead or wounded, the majority went to their homes taking arms with them. The

Government was seeking for new ways of filling the army. General A. Andronikashvili was appointed the Head of Kutaisi Garrison. The mobilization of appropriate men started in Kutaisi, Shorapani and Racha.

Kutaisi appeared a frontier living in emergency. The Government tried to use all the economical resources to strengthen the boarders at Surami and Goderdzi Passes. Students of different schools of Kutaisi fought as volunteers and died at the buttefield _ Kote Bakradze and Meskhi among them.

The Georgian Government and a special detachment of the Internal Affairs Ministry headed by M. Kedia imprisoned tens of Bolsheviks. But unfortunately the Government took less care of strengthening the back – they were sure that the Red Army couldn't have been able to come through the Caucasian Mountains for the severe winter. But the developments proved that it was a great mistake. As V. Gridnev notes the Red Army could do it almost barefooted and they invaded the city. In his memories a Komsomol member A. Loseliani who was enrolled in the Red Army, IX th division, _ writes how the Red Army marched into three directions _ Kutaisi, Tsageri and Tskhenistskali, Alpan along the Rioni George. The goal of the operation was to assail Kutaisi from all the three sides.

On march 11 the Red Army soldiers could defeat General Mikadze and his foot detachment and captured their ammunition _ cannons, armour –clud automobiles and machine guns.

The most memorous was the XI th army approachry Kutaisi as from Racha and it had already invaded Samurzakano, Samegrelo and advancing to Samtredia. The Georgian Government decided to leave for emigration. Eye – witness mention how the Government collected different valuables from churches, monasteries at the Bagrati Temple. There was a treasure too brought from the capital. For move caution the Bolshevik prisoners were moved to Batumi.

On march 10, 1921 by 5 o'clock p.m. the 98 brigade of the XI th army under the leadership of Kalinovski and Zlatin had invaded Kutaisi and advanced toward Samtredya and occupied the villages of kvirila, Sviril and Partskanakanevi.

On march 11 S. Orjonikidze informed Stalin: „The Zhordania Government is exiled from Kutaisi. The Red Flag of the Soviet Power has been waving since yesterday morning over Kutaisi.” On march 8, 1921 the Revolutionary Committee headed by P. Makharadze discussed the question of forming the Kutaisi Revolutionary Committee. The meeting confirmed the Committee with the following members: D. Lortkipanidze a chairperson, V. Bakhtadze – a vice chairmen members: Sh. Lezhava, S. Damsky, L. Machavariani, Avakov and Benedikiv”.

The battles were stopped. The Georgian Democratic Republic Government left Batumi on march 17. But the Government has not declared itself defeated, thus The Democratic Republic of Georgia has not closed its existence.

The Advance of the Red Army was accompanied by the worsening of the criminal situation. Even the electrical wires were stolen.

To compound the situation the mass terror was raging. The Kutaisi Committee Deenee '26 of April 16, 1923 signed by D. Lortkipanidze, V. Bakhtadze, Sh. Lezhava, warned all the “honest citizens” that the most severe measures would be taken against all who would dare a wrong word about the „Glorious Red Army”. They appealed the citizens to find such “provokators” and present to the Revolutionary judgement. They would have been sentenced to death by shooting”.

In The city streets there was dread. Some went to villages. Merchants hid products that caused crisis. The citizens were categorized in three and got products by cards.

The secret documents depict how the Head of the Army Politikal headquarter Kuznetsov informed the legion group leader Kuibishev to take a responsibility of ending up with the inappropriate behaviour _ burglary and theft from the soldiers' part. The guilty would be punished in the most severe way.

In some months establishing of the Soviet Power in Kutaisi on April 29 there happened of the assault on the Kutaisi Revolutionary Committee, their car was bombed though they all survived. For the incident some high _ rank military persons were captured and shot, among them Colonel Lekvindze and other innocent people.

On May 18, 1921 the Kutaisi population had a public trial of V. Lenin and N. Zhordania. All the presentations and speeches were checked by the Rivcom. But the verdict was _ Death to Lenin and Glory to N. Zhordania. A. Gegechkori has sent to prison all who imitated the social.

In conclusion we would say that Soviet Russia intruded in Georgia without announcing the war, occupied its territory, established Soviet regime. The occupants changed the multiparty democratic system to the single party dictatorship. A 70 year _ long period of communist dominancy started. It was a typical occupation considered differently through years. It was an annex of the country after which Georgia lost its sovereignly Independence and the Georgians appeared under the colonial yoke.

The annexation was followed by a strong wave of national –liberation movement and ended up by the 1924 rebellion. Kutaisi was the in the advance – guard of this struggle.

ბიორბი მჭედლიძე

ლუკა ასათიანი — ქუთაისის ქალაქის თავი

რუსეთის იმპერიაში XIX საუკუნის 60-70-იან წლებში გატარებული ბურჟუაზიული რეფორმების შესაბამისად, ქუთაისში საქალაქო თვითმმართველობა (ქალაქის სათათბირო) დაწესდა 1875 წლიდან. სათათბიროს (საბჭოს) ხელმძღვანელობდა გამგეობა და ქალაქის თავი. თავდაპირველად, ეს უკანასკნელი ინიშნებოდა. 1875 წლის ივლისში ამ პოზიციაზე დაინიშნა თავადი ნიკოლოზ აბაშიძე. როცა მას გაუვიდა თანამდებობაზე ყოფნის ვადა, იმ დროს ქუთაისში საზოგადოებრივ საქმეთა გადაწყვეტაში გავლენიანმა ჯგუფმა, მისი ლიდერის, გიორგი ლოლობერიძის მეთაურობით, მორიგ კანდიდატად წარმოადგინა ლუკა ასათიანი (გაზ. „ივერია“, 1901, № 247). მოწინააღმდეგეები მას უარყოფდნენ სათანადო დონის განათლების უქონლობის გამო. თავად ლუკაც თავს იკავებდა*, რაც მაშინ ჩვეულებრივ ქცევას არ წარმოადგენდა, პირიქით, თანამდებობაზე არჩევა-დანიშვნისათვის ამბიციური (ხშირად უხეშ ძალადობამდე) ბრძოლა იმართებოდა. ბოლოს და ბოლოს ურჩი კანდიდატიც დაითანხმეს და ქუთაისის ქალაქის თავად 1878 წლის 5 თებერვალს დაამტკიცეს აქამდე ხმოსანი, კოლეგიის ასესორი ლუკა ასათიანი (1836-1901). იგი წარმოშობით სოფ. ქვიტირიდან იყო. მამას ერქვა ნიკოლოზი. ო.სოსელია ვარაუდობდა, რომ ეს ნიკოლოზი უნდა ყოფილიყო რამაზის ძე, რომელიც მოხსენებულია დოკუმენტებში (ქიმ-ის შამშე ასათიანის არქივის № 304 საბუთში) 1806, 1818 და 1827 წლებში, როგორც ოდიშის მთავრის, დადიანის კარის მღვდელი (6, გვ. 147-148). ლუკა ასათიანმა დაამთავრა ქუთაისის ვაჟთა სამაზრო სასწავლებელი. არსებული წესის მიხედვით შევიდა სახელმწიფო სამსახურში — ბაქოს საოლქო სასამართლოში მწერლად. აქ გაიარა ყველა სამსახურებრივი საფეხური და მიაღწია იმავე სასამართლოს წევრობას. აქედან იგი გადაიყვანეს მშობლიური ქალაქის, ქუთაისის, საოლქო სასამართლოს უფროს ნოტარიუსად. იგი იმავდროულად საოლქო სასამართლოს წევრიც ყოფილა და ამ თანამდებობიდან გაუნთავისუფლებიათ, წლიურ ხელფასად დაუნიშნავთ 4 ათასი მანეთი (ქცსა, ფ. 108, ს. 194, ფ. 4 და 6.). ქალაქის ხელმძღვანელად მუშაობის მთელ პერიოდში იგი ითავსებდა ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის ზედამხედველი კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობასაც.

ქალაქის თავის თანამდებობას ლუკა ასათიანი 13 წლის მანძილზე (1879-1892) იჭერდა. ივ.პურადაშვილის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ახალმა მერმა ქალაქი ისეთსავე მძიმე მდგომარეობაში ჩაიბარა, როგორც მისმა წინამორბედმა, კერძოდ, ქალაქის სალარო ცარიელი იყო, შემოსავლების რაიმე დიდი წყარო მას არ ჰქონდა, ყოველგვარი ხარჯები (ქალაქის გამგეობის, მისი აპარატის, პოლიციის მოხელეთა ჯამაგირები, ჯარების ოფიცერთა ბინის ქირა და მისთ.) თვითმმართველობას უნდა დაეკმაყოფილებია მცირე შემოსავლით და შემდეგ ეზრუნა ქალაქის ქუჩებზე, მათ განათებაზე, საერთოდ კეთილმოწყობაზე, განათლებაზე, ჯანმრთელობის დაცვაზე და სხვა უამრავ პრობლემაზე (5, 81-82), ქალაქის ახალმა მერმა მისი მმართველობის განმავლობაში მაინც „ბევრი ნაბიჯი“ გადადგა წინ, როგორც განათლების სფეროსა და ჯანმრთელობის დაცვის გასაუმჯობესებლად, ასევე ქალაქის ეკონომიკურ და სამეურნეო სფეროებში. პატარა ქალაქი, ქუთაისი, თანდათან იზრდებოდა. მცხოვრებთა რიცხვი თუ არ გაორკეცდა, 50-60%-ით მაინც მოიმატა (იქვე, გვ. 83).

დაახლოებით ასეთივე აზრისა იყო ლ. ასათიანის მოღვაწეობაზე ხმოსანი დ.ნაზარიშვილი (1854-1927). იგი აღნიშნავდა, რომ ქალაქის ახალმა თავმა სოფლის მსგავსი ქალაქი ჩაიბარა, მაგრამ თავის საქმიანობით შეძლო მისთვის ასე თუ ისე სასურველი სახე მიეცა (4, გვ. 44).

* დავით კლდიაშვილის გადმოცემით, იგივე გამეორებულა 1894 წელს ლუკა ასათიანის ბათუმის ქალაქის თავად არჩევის დროს. ქუთაისის ქალაქის თავის თანამდებობის დატოვების შემდეგ ლ.ასათიანი გუბერნატორის მითითებით, გუბერნიის სამმართველოს მრჩეველად მუშაობდა. ბათუმელებმა, როგორც გამოცდილ კაცს მიმართეს ეკისრა ქალაქის მერობა. შედგა 21 კაცის მიერ ხელმოწერილი მიმართვა. მისი ქუთაისში ჩატანა დაევა ლ. კლდიაშვილს. „როცა მე გადავეცი ბათუმელების თხოვნა ასათიანს, - წერს იგი, - მისი პირველი შეკითხვა იყო: - რად უნდათ ჩემისთანა დალაღული, მიქანცული მუშა... საჭიროა ახალგაზრდა ძალა, რომელმაც უნდა შეძლოს დაძლევა იმ დიდი საქმისა, რომლისთვისაც ხელი მოუკიდნიათ თქვენებსო“. ასათიანი თანამდებობის დაკავებაზე მხოლოდ მას შემდეგ დათანხმდა რაც დ.კლდიაშვილს განუმარტავს: ბათუმელებს „ანონილ-დანონილი აქეთ ყველაფერი და დაბეჯითებით, სრული დანდობით გთხოვენ“ მოემველოთო (დ.კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათ., 1984, გვ. 34).

ლუკა ასათიანის დახასიათებისას თანამედროვენი ხაზს უსვამენ მის რამდენიმე თვისებას. ამასთან უპირველესად უნდა აღინიშნოს მისი *სიღინჯე*. იგი მნიშვნელოვან და რთულ საკითხებს ერთბაშად კი არ წყვეტდა, არამედ გულისხმიერებით განიხილავდა, ღრმად და დეტალურად შეისწავლიდა, კოლეგებს დაეთათბირებოდა და ქალაქის სათათბიროს სხდომაზე შემდეგ გაიტანდა. ბევრი სხვა ქართველივით, ლუკა ასათიანს ამკობდა *ტოლერანტობა*. ქუთაისსა და ბათუმში ქალაქის თავობისას, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებისა და რელიგიის მოქალაქენი მისი სახით თავიანთ იმედს, დასაყრდენს, შემწყალეს და დამცველს ხედავდნენ, „რაც განპირობებული იყო თავად ლუკას სამართლიანი და გულთბილი დამოკიდებულებით მათდამი“ (*3, გვ. 192*). დასახელებულ თანამდებობაზე ლუკა ასათიანის მუშაობის დროს არ ყოფილა შემთხვევები მცხოვრებთ რელიგიური თუ ეროვნული ნიშნით რაიმე გართულების შესახებ საჩივრები შეეტანოთ. უმწეონი 5 ან 10 მანეთს ითხოვდნენ და ლ.ასათიანის წინადადებით ქალაქის გამგეობა მათ აკმაყოფილებდა. ასეთი განცხადება უამრავია შემონახული.

ლ.ასათიანის *უანგარობას* ადასტურებს ასეთი ფაქტი — ბათუმის მოურავად არჩევისას ქალაქს არ გააჩნდა მისი ბინით უზრუნველყოფის შესაძლებლობა. ქუთაისში კუთვნილი სახლი ლუკას დაუგირავებია და გირაოდ აღებული თანხით ბათუმში შეუძენია ბინა (*იქვე, 199*), სხვა მის ადგილზე ქალაქს აიძულებდა სერიოზული თანხა გაეღო ამ მაღალი თანამდებობის პირისათვის ბინის დასაქირავებლად.

შთაბეჭდილებები ლ. ასათიანის მოღვაწეობის წარმატებებზე, გარდა მისი პიროვნული თვისებებისა, კიდევ რამდენიმე სხვა მიზეზითაც იყო გამომწვეული. ჯერ ერთი, იგი ხანგრძლივი დროით იყო ქალაქის თავი, მეორეც, ეს პერიოდი სოციალური და ეკონომიკური განვითარებით საერთოდ მნიშვნელოვანი ეტაპი იყო იმდროინდელი საზოგადოების ცხოვრებაში. არამარტო ქუთაისში, არამედ მთელ ქვეყანაში მიმდინარეობდა ბურჟუაზიული ცხოვრების წესის დამკვიდრების პროგრესული პროცესი. მისი ტემპები მაინც და მაინც დაჩქარებული არ იყო და ხანგრძლივ დროსაც გულისხმობდა, მაგრამ სოციალური, ეკონომიკური და კულტურული წინსვლა თვალნათლივ შეიმჩნეოდა.

ქუთაისში მსხვილ მფლობელთა ფენა (ბურჟუაზია) იმდენად მცირერიცხოვანი იყო, რომ თავისი ინვესტიციებით მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებისათვის დიდად ხელის შეწყობა არ ხელეწიფებოდა. ლუკა ასათიანი ამ ფენის ინტერესებს გამოხატავდა ქალაქის ხელმძღვანელის თანამდებობაზე და მათივე მხარდაჭერით სარგებლობდა. მისი საქმიანობის სარგებლიანობას ესეც განაპირობებდა.

ახალი ღონისძიებები უპირველეს ყოვლისა აისახა საბიუჯეტო მონაცემების გაუმჯობესებაზე. შესაძარებლად ავიღებთ ორი წლის შემოსავალ-გასავლებს. თუ 1876 წელს ქალაქის შემოსავლებმა 53338 მანეთი შეადგინა, გასავლებმა კი - 59282 მანეთი, ხოლო არგადახდები უდრიდა 6359 მანეთს (*ქცსა, ფ. 108, ს. 13, ფ. 40-41.*). 1893 წლისათვის შესაბამისად ასეთი მონაცემები გვქონდა - 118031; 117076 და 955 მანეთი (*იქვე, ფ. 130, ს. 178, ფ. 21 და 51.*). როგორც ვხედავთ შემოსავლისა და გასავლების მონაცემები თითქმის გაორმაგებულია, დეფიციტი კი - შემცირებული.

წინა პერიოდში აღძრული საზოგადოებრივი ბანკის დაარსების საქმე ჩავარდა, მაგრამ 1876 წელს ქუთაისში დაარსდა საადგილმამულო (სათავადაზნაურო) ბანკი. დანიშნულებით იგი თითქოს წოდებრივი დაწესებულება იყო, მაგრამ ფაქტობრივად გარდა საფინანსო-საკრედიტო ოპერაციებისა, ისეთ მნიშვნელოვან საქველმოქმედო საქმიანობასაც ეწეოდა, რომ ამ ბანკს თავისუფლად შეიძლება ეწოდოს ეროვნული, ქართული ტრადიციებისა და კულტურის აღორძინების კერა.

წოდებრივი ბანკის შექმნამ ვაჭარ-ხელოსანთა ფენა ვერ დააკმაყოფილა. მათი მცდელობით საჭირო სამზადისი ჩატარდა და 1879 წელს დაარსდა საურთიერთო ნდობის საზოგადოება, რომელიც ძირითადად საფინანსო-საკრედიტო ოპერაციებს აწარმოებდა. თავიდან წევრთა მცირერიცხოვნობის გამო იგი ფინანსურად სუსტი საზოგადოება იყო. წევრთა რიცხვის ზრდასთან ერთად ძალას იკრებდა და მოზრდილ ფინანსურ ორგანიზაციად გადაიქცა. საურთიერთო საზოგადოების ბანკს საკორესპოდენტო ანგარიშები საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის ქალაქებთან ჰქონდა. ასე უკავშირდებოდა იგი რუსეთის ბანკებს და მათ ფილიალებს. განსაკუთრებით ხშირი იყო მისი ოპერაციები აზოვ-დონისა და ვოლგა-კამის კომერციულ ბანკებთან. ცხადია, ასეთი დამოკიდებულება უფრო რეგულარულად

რუსეთის საურთიერთო ნდობის საზოგადოებებთან წარმოებდა. იყო შემთხვევები ევროპის ზოგიერთი ქვეყნის ქალაქების ბანკებთან დაკავშირებისა.

ფინანსური სახსრების გაზრდა ზოგჯერ ხდებოდა ადრე ხელისუფლებისა და გუბერნატორის მიერ უკანონოდ შეწერილი ხარჯების, ბიუჯეტიდან ამოღების გზით. ბიუჯეტისათვის ასეთი ტვირთის მოცილებას ბევრჯერ ცდილობდნენ, მაგრამ ცდები უფრო ხშირად უშედეგოდ მთავრდებოდა. ცენტრალურ ხელისუფლებას არ სურდა განვითარებადი კლასის - ბურჟუაზიის ინტერესების მხარდაჭერა, რაც ადგილობრივი ეკონომიკის გაძლიერებას გამოიწვევდა და კაპიტალისტ მესაკუთრეებს გააძლიერებდა. ამიტომაც ხშირად აშკარა უკანონობების აღკვეთაზედაც კი უარით პასუხობდა. ამდენად, ქალაქების თვითმმართველობების მიმართვებზე უარყოფითი პასუხის მიღება ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ქუთაისის მესვეურებსაც არა ერთხელ უწვნივით ასეთი მწარე გაკვეთილი. მაგრამ თუ საკითხის აღმძვრელი პიროვნება ნებისყოფასა და გამბედაობას გამოიჩინდა, იშვიათ შემთხვევაში გამონაკლისებიც კეთდებოდა. რამდენიმე ასეთი გამონაკლისი ლუკა ასათიანის ხელმძღვანელობის დროსაც მომხდარა.

XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან ბიუჯეტის გასავალ ნაწილში გათვალისწინებული იყო ქუთაისის პოლიციის ზეკომპლექტურ მუშაკთა შესანახი ხარჯები 6400 მანეთის ოდენობით. 1877 წელს ქუთაისის გუბერნატორს შუამდგომლობით მიუმართავს ქალაქის თავისთვის პოლიციის შესანახი სახსრები კიდევ გაეზარდათ. შუამდგომლობა განუხილავთ 22 თებერვლის სხდომაზე და მისი დაკმაყოფილება შეუძლებლად უცვნიათ (*იქვე*, ფ. 108, საქ. 97, ფ. 3). ეს იყო პრეცედენტი, როცა გუბერნატორის მოთხოვნას ანგარიში არ გაენია.

ლუკა ასათიანი კი უფრო შორს წავიდა. მან 1880 წლის ბიუჯეტიდან საერთოდ ამოიღო პოლიციის ზეკომპლექტურ მუშაკთა შესანახი თანხა. გუბერნატორთან არსებულმა საქალაქო საკრებულომ, რომელიც ზედამხედველობდა თვითმმართველობის მუშაობას, ქალაქის გამგეობა აიძულა დასახელებული ხარჯები შეეტანა ხარჯთაღრიცხვაში. ეს ძალადობა ქალაქის თავმა სახელმწიფო სენატში გაასაჩივრა. სენატმა სცნო, რომ ნახსენები ხარჯები ქალაქისათვის სავალდებულოთა შორის არ ჩაითვლებოდა. მაგრამ გადაწყვეტილება ამ თანხების ქალაქის ხარჯთაღრიცხვიდან ამოღებისათვის საკმარისი არ იყო. ლ. ასათიანმა მთავრობაში ითხოვა ასეთი ნებართვა და უფრო მეტიც, მოითხოვა ქალაქის მიერ უკვე გადახდილი თანხის უკან დაბრუნება. ეს თხოვნები დაკმაყოფილდა. ქალაქმა ამ გზით 24 ათასი მანეთი დაიბრუნა.

საგუბერნიო ხელისუფლებასთან დაპირისპირებაში ლ. ასათიანის მიერ მიღწეულ მეორე წარმატებას წარმოადგენდა ქალაქისათვის სხვადასხვა დროს იძულებით გადახდილი თანხების დაბრუნება. მაგალითად, 1881 წელს ლ. ასათიანმა აღძრა საკითხი, რომ სახაზინო პალატა არაკანონიერად ახდევინებდა ქალაქს მემჩანთა საზოგადოების საგადასახადო წარჩენებს. ამ გზით ქალაქს მან შესძინა 9000 მანეთი.

დ. ნაზარიშვილის მოგონებებში მოტანილია კიდევ ერთი ფაქტი. ლ. ასათიანის მცდელობით ქუთაისის საგუბერნატორო იძულებული გახდა ქალაქისათვის გადაეცა „სამეფო ადგილი“, რომლის ღირებულება 10 ათას მანეთს შეადგენდა. მაგრამ ამ შენაძენის ღირსება მხოლოდ ფულად ერთეულებში კი არ გამოიხატებოდა, არამედ მისი მნიშვნელობა გაცილებით უკეთ გამოჩნდა მას შემდეგ, რაც ამ ადგილზე საოლქო სასამართლოს შესანიშნავი შენობა (ახლა სააპელაციო სასამართლოსი) ააგეს.

მ. ნიკოლეიშვილი ქალაქის ბიუჯეტის შენაძენთა შორის ასახელებს ჯარის შესანახად კავკასიის მეფისნაცვლისაგან ერთდროულად მიღებულ 6 ათას მანეთს და დაასკვნის: ბიუჯეტისათვის უკანონოდ შეწერილი ხარჯების დაბრუნებისათვის ლ. ასათიანის მიერ განეულ საქმიანობას გარკვეული შედეგები მოჰყვა. „ეს შედეგი ფულად ღირებულებაში რომ გადავიყვანოთ, ის 50 ათასი მანეთი იქნება, რომელსაც ქალაქის ეკონომიკური მდგომარეობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა“ (4, 48). იგი მაშინდელი ქალაქის ბიუჯეტის ორ მესამედზე მეტი იყო.

მიუხედავად ლუკა ასათიანის ზემდგომი ორგანოებისადმი ასეთი მკრეხელური დამოკიდებულებისა როგორც ირკვევა, იგი მაინც არ უცვნიათ შერისხვის ღირს პიროვნებად. ქუთაისის ქალაქის თავი 1889 წელს ერთ-ერთი მაღალი ჯილდოთი, წმ. ვლადიმირის IV ხარისხის ორდენით დაუჯილდოებიათ (*ქცსა*, ფ. 108, ს. 731, ფ. 1).

თვითმმართველობის ხელმძღვანელობა (ლ. ასათიანთან ერთად გამგეობაში შედიოდნენ ნევრები - ივანე მესხი, ალექსანდრე გაბაშვილი, სტ.აკოფაშვილი, მდივანი გ. ბულაძე) (*იქვე*, საქ. 194, ფურ. 4), თანხების მოძიების გარდა სხვა ღონისძიებებსაც ატარებდა.

ჯერ კიდევ პირველი მოწვევის სათათბიროს საანგარიშო პერიოდში (1878 წ.) დაიწყო მსჯელობა ქალაქის ბალის შემოღობვის აუცილებლობის შესახებ. გადაწყვეტილით გაეკეთებიათ ლამაზი და მარტივი ხის ღობე, რომელიც ორ წელს მაინც გაძლებდა. ამ საქმის ხელმძღვანელობა მიუწვევიათ გამგეობის წევრ ბესარიონ ხელთუფლიშვილისათვის. მას უნდა შეედგინა პროექტი და ხარჯების ანგარიში (*ქცსა*, ფ. 108, ს. 101, ფ. 4). მართლაც შეუსრულებია ეს დავალება. შემოღობვასა და ბალში შიდა შეკეთების სამუშაოებზე სულ დახარჯულა 1500 მან. (*იქვე*, ფურ. 25).

ზევით აღნიშნული ხის ღობე მალე დაძველებულა. ე.წ. „რემოტკა“ ალაგ-ალაგ ჩამტვრეულა (თუ ჩაუმტვრევიათ). მას დრო და დრო შეაკეთებდნენ ხოლმე, მაგრამ ამაოდ. ქალაქის ახალმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ბალისათვის რკინის მოაჯირი გაეკეთებინა, რომელიც ეკლარის ქვის ბოძებში იქნებოდა ჩამაგრებული.

საჭირო თანხა შემთხვევით აღმოჩნდა ქალაქის სალაროში. იმ დროს ქუთაისში გადმოასახლეს ოლდენბურგელი პრინცი კონსტანტინე. იგი ნოდებით მენაღმეთა პოლკის პოლკოვნიკი იყო. საქართველოში პეტერბურგიდან მემთვრალეობისა და შფოთიანი ცხოვრების გამო იმპერატორის ბრძანებით მოხვდა. აქ ჩამოსულიც არ აკლებდა ხელს ქეიფსა და ლოთობას, მაგრამ მალე ქართველ ქალზე აგრაფინა ჯაფარიძეზე დაქორწინდა და წესიერ ცხოვრებას მიჰყო ხელი. მან ბალახენის ქუჩაზე შეიძინა მოზრდილი მიწის ფართობი. პრინცმა აქ ააგო კონიაკის და შამპანურის ქარხანა. ჩამოიყვანა ფრანგი მეღვინეები. კარგად ააწყო ბიზნესი. მოზრდილი ოდენობის კონიაკს და შამპანურს ამზადებდა ექსპორტისათვის (*5, გვ. 90*). ბალახენის მამულის შექმნის ნოტარიალური დამტკიცების დროს, ოლდენბურგელმა ბაჟის სახით საკმაოდ დიდი თანხა გადაიხადა. ქალაქის ხელმძღვანელობამ იგი ბალის („ბულვარის“) ირგვლივ მესერის შემოსარტყმელად გამოიყენა. შემოღობვა ერთხანს გაგრძელდა და 1891 წელს დამთავრდა.

იგივე ი. პურადაშვილი ლ. ასათიანის წარმატებული საქმიანობის ჩვენების მიზნით ჩამოთვლის შემდეგ მიღწევებს: ვაჭრობისა და ხელოსნობის დანინაურებას, ქალაქის ქუჩების მოკირწყვლას და ნავთის ფარნებით განათებას, კარგა ხნის წინათ ჩანგრეული ჯაჭვის ხიდის რესტავრაციას, პროგინაზიის (რომელიც შემდეგ რეალურ სასწავლებლად გადაკეთდა) გახსნას, სასოფლო-სამეურნეო სკოლის დაარსებას, პირველდანიებითი სკოლის დაფუძნებას. ქალაქში ვერ გაიხსნა საკუთარი საავადმყოფო, მაგრამ მუშაობა დაიწყო გადამდებ სნეულებათა ქსენონმა, შეიქმნა გრძელი და მოკლევადიანი საკრედიტო ბანკები, აგრეთვე კერძო გამასესხებელთა სალარო (რომელიც გირაოდ ღებულობდა საშინაო ნივთებს), აშენდა თეატრის შენობა (*იქვე*, გვ. 83-84). ეს ჩამონათვალი რა თქმა უნდა სრული არ არის, ავტორი თვითონ წერს, რომ მხოლოდ ის დაასახელა, რაც ზეპირად გაახსენდა, მაგრამ იმ პირობებში, რომელშიც ქალაქის მაშინდელი ხელმძღვანელობა იყო, გაკეთებულიც ძნელ (თითქმის შეუძლებელ) და მნიშვნელოვან საქმედ უნდა ჩაითვალოს.

ყველაფერი ეს კი აჩვენებდა, რომ ქუთაისი ნელი ტემპით და თანდათანობით ვითარდებოდა ბურჟუაზიულ (საბაზრო ეკონომიკის) ქალაქად. იგი თანმიმდევრობით იძენდა თანამედროვე ქალაქებისათვის დამახასიათებელ სამრეწველო, სავაჭრო და კომუნალურ ატრიბუტებს. ინფორმაციისა და კომუნიკაციების ახალი საშუალებებით უკავშირდებოდა რუსეთსა და დასავლეთ ევროპას, რაც მას კოსმოპოლიტიზმისა და გლობალიზაციის მორევში ჩათრევით ემუქრებოდა, მაგრამ მესამე დასის საქართველოდ გადაქცევამდე, ჩვენს ქვეყანაში გაშლილმა ეროვნულ-გამანთავისუფლებელმა ბრძოლამ ქუთაისისათვის ის შედეგი მოიტანა, რომ იგი განუმეორებელი სახის ეროვნულ ქალაქად ჩამოაყალიბა, რამაც დადებითად იმოქმედა არა მარტო მის ირგვლივ მდებარე რეგიონის ეროვნულ-კულტურულ განვითარებაზე, არამედ როცა ეს საჭირო გახდა დედაქალაქ თბილისსაც გადაუსხა ეროვნული, ქართული სისხლი.

1892 წლის იანვარში ჩატარდა საქალაქო თვითმმართველობის მომდევნო, ლუკა ასათიანისათვის მეოთხე არჩევნები. ქალაქის თავის თანამდებობაზე ორი კანდიდატურა დაუსახელებიათ — მოქმედი ლუკა ასათიანისა და საადგილმამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტის წევრის, ადვოკატ ლუარსაბ ლოლუასი. ლ.ასათიანს ჰყავდა ძლიერი ოპოზიცია ცნობილი ადვოკატისა და საზოგადო

მოღვაწის კალისტრატე ჩიკვაძის სახით. ისინი ლ. ასათიანს ბრალად სდებდნენ სიზანტესა და არადემოკრატიულობას. ამ დაპირისპირებაში გაიმარჯვა ლუარსაბ ლოლუას კანდიდატურამ.

რაც შეეხება ლ.ასათიანის შემდეგ ბედს, ზემოთ უკვე ვთქვით, რომ იგი 1895 წლიდან ქალაქ ბათუმის ქალაქის თავი იყო. იქვე გარდაიცვალა 1901 წლის 9 ნოემბერს.

ლიტერატურა:

1. ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (ტექსტში - ქცსა).
2. დ. კლდიაშვილი, 1987, ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათ.
3. თ. კომახიძე, 2003, ლუკა ასათიანი, ბათ.
4. მ. ნიკოლეიშვილი, ქუთაისი XIX საუკუნის 70-იან 80-იანი წლების მიჯნაზე, „მაცნე“ ისტორიის... სერია, 1888, № 3.
5. ისაკ და ივანე პურადაშვილები, 2009, მოგონებები, ქუთ.
6. ო. სოსელია, 1990, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალური ისტორიიდან (სათავადოები), III, თბ.

GIORGI MCHEDLIDZE

LUKA ASATIANI THE HEAD OF THE CITY OF KUTAISI

Luka Asatiani (1835 -1901) was given the post of a city head in 1879-1892. This is the beginning of capitalism in Russian Empire and in Kutaisi. Heavy industry could not develop in our town due to local peculiarities. It stayed as a town of small industries. That of course could not make the city rich and consequently there was small finance for the development of city industry. All taxes were usually spent on army, police and bureaucracy. Finances were very much limited for education, healthcare, infrastructure and culture.

In spite of the facts Luka Asatiani and city council (Ivane Meskhi, Aleksandre Gabashvili, Stepane Akopashvili, G. Bughadze) managed to make Kutaisi (a village like town) into a „regulated settlement.,(D. Nazarishvili). It helped to increase the population of the city for 50-60 %. Priorities were given to private and public construction work, paving of streets, lightening of streets, commercial stores and sanitary infrastructure.

It is worthy to notice that L. Asatiani managed to avoid the illegal expenses the local government and Governor wanted the city to pay. Even more, he won the court against the senate and gave the city 50 thousand maneti (currency) which was more than two-third of the city budget.

We described many other facts from the life of Luka Asatiani in our work. All the facts are proved by archives. According to the archive we can say that this period is beginning of bourgeois society. In 1892 L. Asatiani de-elected from the post being the Mayor but in 1895 he was chosen to be the head of the city of Batumi. He died in November 10, 1901 as the Mayor of Batumi. He was buried in his homeland of Kvitiri.

მესხის ქალები ქუთაისში

იმ დღიდან მოყოლებული, როდესაც დედამინაზე მამაკაცთა დომინანტობა დამკვიდრდა, ქალი ყოველგვარი უბედურების მიზეზი გახდა.

უძველესმა საისტორიო ერებმა ებრაელებმა, ბერძნებმა, ეგვიპტელებმა და სხვებმაც თავისი დამხობის მიზეზთა სათავედ დედაკაცი მიიჩნიეს.

ერთ დროს ზვიადი ებრაელები თავის ეროვნული ძლიერების დასუსტებასა და დამარცხებას დალილას აბრალებდნენ.

ტროას ლაშქრობის, დიდებული ილიონისა და ატრიდთა ოჯახის უბედურების მიზეზად ბერძნებმა ელენეს მშვენიერება მიიჩნიეს.

ხოლო ბჭე-მაღალ ფარაონთა დამხობასა და ეგვიპტის განადგურებას კლეოპატრას მხურვალე-ბას მიაწერდნენ...

მთელმა კაცობრიობამაც ხომ სამოთხის დაკარგვის მიზეზად ერთხმად – პირველი დედა – ევა დაასახელა.

...მაგრამ, ძველ ხალხებშიც ერია ერთი ტომის ხალხი, ივერიელები, ანუ ქართველები, რომლებიც სულ სხვა თვალთა უყურებდნენ ქალებს.

ამაზე მოგვითხრობენ თქმულება-გადმოცემები, მეცნიერული გამოკვლევები, სხვადასხვა წერილობითი ცნობები ქართველი მწერლებისა თუ უცხოელი მოგზაურების, რომლებშიც ასახულია ქალის დიდი და საპატიო როლი პატრიარქატის ეპოქაში.

ქართველი ქალები ყოველთვის ბრწყინავდნენ გარეგნობით, სულიერებით, სიბრძნით, შორსმჭვრეტელობით, ღირსებით, თავისუფლებისა და ჭეშმარიტების სიყვარულით. მიუხედავად ამისა ისინი მაინც არ იყვნენ მამაკაცთა თანასწორნი.

„დამტკიცებულია, რომ ქალი მარტო შვილოსნობისთვის, ტკბილი გრძნობისთვის და ქვეყნიერების დასამშვენებლათ არ არის გაჩენილი, დამტკიცებულია ათასი მაგალითებით, რომ ქალის ტვინსა და ხშირად ხელსაც ისეთნაირათვე შეუძლიათ კაცობრიობის სასიკეთოთ მოქმედება და მუშაობა, როგორც კაცებისას. ერთი სიტყვით დამტკიცებულია, რომ ცხოვრებაში ქალს თითქმის ყველა იმ მოვალეობის და საქმის ასრულება შეუძლია, რასაც ამჟამად მხოლოდ კაცები ასრულებენ.

მაშ, თუ ეს ასეა, რატომ ყოველგვარი უფლება, ყოველი საქმე მარტო კაცებს აქვთ მინდობილი? რატომ არიან იმათ მოკლებული ქალები? ნუთუ ჩვენ ცხოვრებაში ქალებისათვის საქმე აღარ არის?“...

ჯერ კიდევ საუკუნე ნახევრის წინ მწვავედ დააყენა ეს საკითხი გაზეთ „დროების“ რედაქტორ-გამომცემელმა და მკვეთრად გამოსატყული ევროპულ-ამერიკული ორიენტაციის მამულიშვილმა სერგეი მესხმა. იგი თავის წერილებში ლოგიკურად სვამდა საკითხს, რომ უფლებრივად ქალსა და მამაკაცს შორის სრული თანასწორობა დამყარებულიყო და ქალებსაც მისცემოდათ საზოგადოებრივ ასპარეზზე თავისუფალი მოქმედების შეუზღუდველი უფლება.

„...მართალია, ქალთა უფლებების ამგვარ დახასიათებაში დღეს ახალი და მოულოდნელი არაფერია, მაგრამ იმ დროისათვის, როცა ს. მესხი თავის ამ მოსაზრებებს გამოთქვამდა, საზოგადოების უდიდესი ნაწილი სულ სხვაგვარად ფიქრობდა და უფლებრივად ქალისა და მამაკაცის ერთმანეთთან გათანაბრების მოთხოვნა უაღრესად მწვავე პრობლემას წარმოადგენდა, რომელსაც უამრავი მონინალმდევე ჰყავდა“, – აღნიშნავს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ოთარ ნიკოლეიშვილი.

ს. მესხის პუბლიცისტური წერილების ერთ-ერთი უმთავრესი თემა იყო აგრეთვე იმდროინდელი ჩვენი განათლების სისუსტე და უბადრუკობა. მას საგანმანათლებლო სისტემის მიღწევების მთავარ შემოქმედ ძალად ქალი მასწავლებელი მიაჩნდა. მაშინ, როცა ჩვენს საზოგადოებაში, ქალს საზოგადოებრივ ასპარეზზე სათანადო ადგილი ჯერ კიდევ არ ჰქონდა დამკვიდრებული და მის უმთავრეს დანიშნულებად მხოლოდ საოჯახო საქმეების მოგვარება იყო მიჩნეული...

„...ევროპულ და პროამერიკულ პოზიციაზე მდგარი სერგეი მესხის უმთავრესი მიზანი კი იყო

საქართველოში საგანმანათლებლო დარგის აღმავლობა-გარდაქმნა, ქალთა უფლებებისა და თავისუფლებების მიღწევა, მათი ფართო საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლა-მოღვაწეობის პროცესების ქართულ სინამდვილეში დაწყება.

ამ მიზნით ს. მესხი იმ პერიოდის სხვა დიდ ქართველ მამულიშვილებთან ერთად ყველაფერს აკეთებდა არსებული ვითარების რამდენადმე მაინც შესაცვლელად...**[მესხისაშვილი გ. 1970:15].**

სერგეი მესხმა და მისმა სახელგანთქმულმა ოჯახმა ხუთივე ქალიშვილს პელაგიას, ანას, ეფემიას, მარიამს, ნინოს და მათ შვილებსაც საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსასვლელად ყველა პირობა შეუქმნეს, რათა თავისი მოღვაწეობით ეჩვენებიათ, რომ ქალებიც ღვთისაგან მამაკაცთა დარად თავისუფლებით, თანასწორობითა და თანაბარუფლებიანობით იყვნენ მოვლენილნი.

„...თუ მიზნისაკენ გაგინევიათ და ხშირ-ხშირად ჩერდები, რომ ქვა ესროლო ყოველ ძაღლს, რომელიც შემოგიყვებს, მაშინ მიზნამდე ვერასოდეს მიაღწევთ“, – ბრძენი კაცის სიტყვებს ხშირად ახსენებდა სერგეი მესხი დებს.

სამშობლოს უანგარო სამსახური და თავისუფლებისაკენ სწრაფვა იყო მესხის ქალების მარად ჩაუქრობელი განცდა...

„ადამიანის ჭეშმარიტი ღირსება მისი წარმოშობის წარჩინებულობა და საქმეთა კეთილშობილება“, –უთქვამს ბრძენკაცს.

სიმონ მესხისა და მაგდალინა მარჯანიშვილის უფროსი ქალიშვილი პელაგია მესხი ერთსაც ფლობდა და მეორესაც.

იგი იყო დიდგვაროვანი, ჭკვიანი და განათლებული ქალი. დარბაისელი, ქართული კაბითა და ჩიხტი-კოპით მორთული, ლამაზი, წარმოსადეგი. „...კარგი ქართულ-რუსული მოლაპარაკე. მის დროს იშვიათად შეხვდებოდით ასეთს ტკბილ მობაასეს იმერეთში“... **[მესხი დ.1940:17].**

მაშინდელ საქართველოში სწავლა-განათლების საქმეში ქალები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ. ამის შედეგი იყო ქართული თქმულება: „ნიგნი დედაკაცის საქმეა და არა მამაკაცისა, წერა-კითხვას ქალები უნდა ასწავლიდნენ და არა კაცებო“. პელაგიას დედამ ღრმად და საფუძვლიანად შეასწავლა წერა-კითხვა, მშობლიური მწერლობა. დედის ჩარევითა და მზრუნველობით განსწავლულმა გოგონამ წარმატებით დაამთავრა ქუთაისის წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებელი.

რაც უფრო შესტკივა კაცს გული საზოგადოებრივ ჭირ-ვარამზე, მით უფრო ჭეშმარიტი ადამიანია. ასეთი გახლდათ პელაგია მესხი, რომელიც თავის სულში, თავის გულში, თავის სისხლში ატარებდა თავდაუზოგველ ლტოლვას საზოგადოებრივი მოღვაწეობისადმი. „პელაგია თავის ირგვლივ იკრებდა ახალგაზრდებს, ხნიერ ქალებსაც და გონიერ საუბრებს მართავდა მათთან“..**[მესხი დ.,1940:7].**

ქართველ „სამოციანელთა“ დიდი თაობის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენლების მისი ძმების გიორგის, სერგეისა და ივანე მესხების ეროვნულ დამოუკიდებლობის იდეებს პელაგია გულწრფელად იზიარებდა.

სიმონ მესხს განსაკუთრებით უყვარდა მისი პირმშვენიერი და გონიერი ასული. ამაყობდა და ხარობდა მისით.პელაგიამ თავის თავზე აიღო უმცროსი დის ანას განათლების საქმე. „მამა ანას სასწავლებელში უპირებდა მიცემას, პელაგიამ წინადადება მისცა: – მამა, კმარა რაც ხარჯი გაქვს, ამ ერთ დას მე მივცემ ცოდნას, ჩემს სახელზე ვასწავლიო.

და მისცა კიდევ ცოდნა. ასწავლიდა უფრო ბეჯითად. ანა მესხი იმ დროს ნასწავლ ქალებს ქართულისა და რუსულის ცოდნაში არ ჩამორჩებოდა“... **[მესხი დ.,1940:9].**

„...მამულის ყოველ ნამდვილ შვილს ყველაზე პირველად თავის სასიამოვნო და სასარგებლო შრომათ მხოლოდ ის უნდა მიაჩნდეს, რაც ამ მამულისათვის სასარგებლო და გამოსადეგია. კერძობით მიდრეკილება, საკუთარი, პიროვნული სიამოვნება ხშირათ უნდა დაივიწყოს, თუ ეს საზოგადო, სამშობლოს სარგებლობას არ ეთანხმება“. ეს იყო ვალმოხდილი მანდილოსნის სამოქმედო კრედიო...

„პელაგია ცოლად გაჰყვა მომრიგებელ შუამავალს ლუკა ავალიანს. უშვილოდ ამოვარდა. გიორგობისთვეში წყალმანკმა იმსხვერპლა – ჯერ კიდევ თითქმის ახალგაზრდა. ქმარმა, პეტერბურგსაც წაიყვანა. პირველი ოპერაცია სამეფო კარის დიდმა ექიმმა დოსტაქარმა სკლიფასოვსკიმ გაუკეთა.

ჩამოვიდა მცირე ხნით მომჯობინებული, მაგრამ წყალი კვლავ ჩაუდგა და გადაიტანა ამ სენმა“... [მესხი,დ.1940:16].

სიცოცხლეში ყოველი ადამიანი არაერთი არჩევანის წინაშე დგება. პელაგია იყო მესხების ოჯახიდან პირველი საზოგადო მოღვაწე ქალი, რომელმაც ქუთაისის კულტურულ და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას ღრმა კვალი დაატყო.

„ერთი დაუფასებელი ღირსება აქვს ქალს, აურაცხელსა სარგებლობასა მისცემს იგი მთელ საზოგადოებრიობას, როდესაც იგი სცხოვრობს ცხოვრებითა გონიერებითა“, – აცხადებდა გაბრიელ ქიქოძე.

„ანა, მესხების მრავალშვილიანი ოჯახიდან, მეხუთე შვილი იყო. სისტემატიური სწავლა არ მიუღია. უფროსი და პელაგია ასწავლიდა და იმ დროინდელ „ზავედენია“ დამთავრებულ ქალებს არაფრით არ ჩამოუვარდებოდა. ქართულის სწავლაში დედაც შევლოდა და ანამ, დედაჩემისა არ იყოს ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი“. იმ დროს და უფრო ადრე ქართულის მცოდნის სასწორად შოთას ნაწარმოები ითვლებოდა. დედამ „ანბანზე“ იცოდა „ვეფხისტყაოსანი“.... ასე განაფული იყო ანაც. მახსოვს, ანა მონაწილეობას იღებდა იმ კომისიის მუშაობაში, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს აშალაშინებდა“... [მესხი დ,1940:35].

1880 წელს გაზეთ „დროებაში“ (№241) გამოქვეყნდა მონოღება „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის გადასინჯვისა და დადგენის შესახებ, სადაც აღნიშნული იყო: „ისეთ დიდ პასუხისგებას როგორც არის „ვეფხისტყაოსნის“ ხელის ხლება, ჩვენ მარტო ვერ ვიღებთ ჩვენს თავზე. გვინდა, რომ საქმეში ყველამ მიიღოს მონაწილეობა, ვისთვისაც რუსთაველი შეადგენს ძვირფასს ნაციონალურ სიმდიდრეს.

ჩვენი მოვალეობა იქნება მხოლოდ სხვადასხვა ვარიანტებიდან უკეთესის არჩევა და აქა-იქ მართლწერის ნიშნების შესწორება.“

ამ მიზნით მათ გამოიყენეს გრიგოლ ორბელიანის დიდი ავტორიტეტი და საქართველოს სხვადასხვა კუთხის ცნობილ ოჯახებსა და მოღვაწეებს გაუგზავნეს სპეციალური მიმართვები:

„თქვენო....“

ქართულის გაზეთით მოხსენებული გეჟნებათ, რომ არის სურვილი შეთანხმდეს დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსანი“ სხვადასხვა ხელთნაწერ „ვეფხისტყაოსნებთან“. ამისათვის მონვეული არიან ქართულის მცოდნენი პირნი და აგრეთვე ყოველნივე ვისაც ექნება ხელთნაწერი „ვეფხისტყაოსანი“, ათხოვონ წიგნი ამ კეთილის საქმის მოსურნეთა.

მე თვითონ მივიღე მონაწილეობა ამ სასარგებლო საქმეში და უმორჩილესად გთხოვთ, თუ გქონდესთ ანუ თუ შოვნა შეგეძლოსთ, დროებით გამოგვიგზავნით ქვემოთ მოყვანილი ადრესით ხელთნაწერი „ვეფხისტყაოსნისა“.

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ შემდეგ შესწორებისა, თქვენი წიგნი უნაკლოდ მოგერთმევათ.“

თქვენის ..გულითად პატივის – მცემელი

თავადი გრიგოლ ორბელიანი 30 ნოემბერი, 1880 წელი..”

ამგვარი ღონისძიებათა ჩატარების შემდეგ შეგროვილა 22–მდე ხელნაწერი რუსთაველის უკვდავი ქმნილებისა. 1881 წლის 6 თებერვალს შემდგარა გრიგოლ ორბელიანის თავმჯდომარეობით სხდომა, სადაც „მიღებულ იქნა სიტყვა „ვეფხი“ ნაცვლად „ვეფხვისა“. რედაქციის მუშაობა გრძელდებოდა მთელი წლის მანძილზე. მისი მონვევა და სხდომათა შედეგები, ოქმების სახით შეჯამებული თვით ი.მეუნარგიას მიერ სისტემატურად თავსდებოდა გაზეთ „დროებაში“. [ცაიშვილი ს.1962:9–11].

...და ბუნებრივია, ასეთ უნიკალურ და გენიალურ ქმნილებაზე მუშაობა, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ხელოვნების დიდ ტაძარში, ღრმა, ფუნდამენტალურ ცოდნას, დიდ ერუდიციას, სერიოზულ, გააზრებულ და ფაქიზ მიდგომას მოითხოვდა. ანა მესხმა ამ კომისიაში მუშაობას მონაწილე ქართველი საზოგადოების ფიქრი და გრძნობა ჩააქსოვა.

„...ქართველშვილმა განიზრახა სურათებიანი „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა და ივანე მაჩაბლის თაოსნობით შესდგა მაშინ ეს კომისია მოქართულე პირებისაგან. ანამ რამდენიმე დამაჯერებელი მახვილი შენიშვნა მისცა კომისიას“... –წერდა თავის „მოგონებაში“ დავით მესხი.

სწორედ XIX საუკუნის 80-იანი წლების დამდეგს, საქართველოში ჩამოვიდა ცნობილი უნგრელი მხატვარი მიხაი ზიჩი, ლერმონტოვის პოემის „დემონის“ ილუსტრაციების დასახატად. ამ დროს გ. ქართველიშვილის ხარჯით მზადდებოდა პოემის ახალი გამოცემა. ქართველიშვილმა მოწინავე საზოგადოებასთან ერთად ისარგებლა ზიჩის ჩამოსვლით და მას დაუკვეთა „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები. მიხაი ზიჩმა შეისწავლა „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც მისთვის ფრანგულ ენაზე საგანგებოდ თარგმნა იონა მეუნარგიამ. იგი ასევე გაეცნო საქართველოს ისტორიას, ყოფა-ცხოვრებას. პოემის გმირების დახატვის მიზნით თბილისში უჩვენა პოემის ცალკეული ცოცხალი სურათები.

1884 წელს ზიჩმა ქუთაისშიც „სამეფო სახლის“ ეზოში ორჯერ დადგა ცოცხალი სურათები, სადაც რუსთაველის სახე განასახიერა პოეტმა მამია გურიელმა, ტარიელის – გიორგი შერვაშიძემ. სურათების ჩვენებას წინ უძღვოდა აკაკი წერეთლის ლექცია „ვეფხისტყაოსანზე“.

„...რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ დღემდე ერთგვარ ბიბლიას წარმოადგენს ქართველთათვის, როგორც პოლიტიკური და მორალური წყარო...“

თუ ვინმე მათ (ქართველებს) სამსახურს გაუწევს ყოველთვის მზად არიან სიკეთით გადაუხადონ სამაგიერო, რითაც კი ძალა შესწევთ, თანაც ამას აკეთებენ უფაქიზესი მეგობრული გრძობით“, – წერდა მიხაი ზიჩი.

„გ. ქართველიშვილი შეძლებული კაცი იყო. დიდი განათლებისა არ იყო, მაგრამ შოთას თაყვანისმცემელი დიდი იყო. მან გამოსცა დიდი, სურათებიანი „ვეფხისტყაოსანი“ და ყურს მოკრავდა, თუ არა რომ შოთას ეს განძი ვინმემ გადათარგმნა უცხო ენაზე, ამ მთარგმნელის დიდ პატივისცემას კისრულობდა. უცხო სტუმრებს, ინგლისელ მწერლებს და-ძმა უორდროპებს, „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელებს დიდი ბანკეტი გაუმართა“... [მესხი დ, 1940:17]

„ვეფხისტყაოსნის“ გამოცემის საშვილიშვილო საქმიანობასთან ერთად ანა მესხი მწერლობაშიც სინჯავდა თავის კალამს. იგი იყო ყოველთვიური სალიტერატურო ჟურნალის „ქართული ბიბლიოთეკის“ რედკოლეგიის წევრი.

„...ანა დარბაისელი, გონიერი მოუბარი იყო. ქართულ მწერლობაშიც მონაწილეობდა. ქუთაისიდან სერგეის „დროებას“ აწვდიდა მასალებს. ქუთათურ ქალთა მიერ გამოცემულ ჟურნალში მონაწილეობას იღებდა. ამ ჟურნალში დაიბეჭდა მის მიერ რუსულიდან თარგმნილი „არა, დამნაშავე, არაა“....“

მისი თარგმანები დაიბეჭდა წიგნში „მოთხრობანი ქართველის ქალებისაგან ნათარგმნი“ [მესხი დ, 1940:39].

ანა მესხი პირველი ქალი იყო, რომელიც 1870 წლიდან ქუთაისის სცენისმოყვარეთა წრეში ირიცხებოდა. იმ დროს თითქმის არც ერთი ქალი არ თანხმდებოდა სცენაზე გამოსვლას. პატრიარქალურ საზოგადოებაში სცენაზე თამაში ჯერ კიდევ ჯამბაზობად ითვლებოდა და ყველა ერიდებოდა ამ ასპარეზს. მესხების ოჯახს თეატრის დაარსება დიდ ეროვნულ საქმედ მიაჩნდა. მაგდალინა მარჯანიშვილი და მისი უფროსი „თერგდალეული“ ვაჟები მოუწოდებდნენ ანასა და ქართველ ქალებს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისაკენ. ანა მესხი ტიპიური წარმომადგენელი იყო იმ ქართველი ქალებისა, რომლებიც ცხოვრობდნენ სუფთა და ამაღლებული მორალური ცხოვრებით და მოწინავე პროგრესული იდეების დამკვიდრებისათვის ხშირად თავსაც კი სწირავდნენ.

ქუთაისში აკაკი წერეთლის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა სცენისმოყვარეთა პატარა დასი, რომელშიც მონაწილეობდა ანა მესხი, ელენე ლორთქიფანიძე, ეფროსინე კლდიაშვილი, მარიამ ხელთუფლისშვილისა.

„ესენი სინჯავდნენ აქ თავის ნიჭსა და ძალას. სდგამდნენ პიესებს: „ყვარყვარე ათაბაგი“, „მზის დაბნელება“, „ფიგაროს ქორწინება“, „სკაპენის ოინები“, „დავა“, „ქოროლი“, „ქმარი ხუთი ცოლისა“ და სხვა. კირილე ლორთქიფანიძე იყო მათი მოკარნახე.– წერდა ეფემია მესხი.

ანა მესხი სცენისმოყვარეებთან ერთად კირილე ლორთქიფანიძეს თეატრალური კომიტეტის ჩამოყალიბებასაც სთხოვდა:

„...კირილე ბეჟანის ძე!

ქუთაისის ქართულმა ტრუპებმა გადანყვიტა კომიტეტის დაარსება, რომლის წევრებათ აგირჩიათ თქვენ, ივანე მესხი, მოსე ქიქოძე, ნიკოლოზ ყიფიანი და დიმიტრი ნაზაროვი და უმორჩილესად გთხოვთ მიიღოთ შრომა თქვენ თავზე შემდეგი: პიესების ამორჩევა, ქართული რეპერტუარის

გაუმჯობესება –და მათი რეჟისორებისადმი გადაცემა და ყოველ-გვარი ტრუპის უთანხმოების გარჩევა“...

„...ანა ცოლად გაჰყვა ვასილ პეტრიაშვილს, პედაგოგს. ამ „პეტრიაშვილის კლასის“ სახელი ბევრს ახსოვს ქუთაისში. ბევრმა სახელოვანმა ქართველმა მოღვაწემ სწორედ სკოლაში შეიცნო „დედა-ენის“ განუმეორებელი სიტყბო. ანას ქალიშვილი ელენე პეტრიაშვილი მამასავით ცნობილი პედაგოგი იყო“... [ჭეიშვილი ს. 2009: 56].

ანა მესხი კარგი მეოჯახე ქალი დადგა, მაგრამ საზოგადოებრივ მოღვაწეობისათვის თავი არც გათხოვების შემდეგ დაუნებებია. 1885 წელს გაზეთი „დროება“ წერდა: „ქუთათურები რამდენიმე ხანია ზეციურ მანანასავით მოველით ერთ ხეირიან ქართულ წარმოდგენას. კ. მესხმა 30 აგვისტოს წარმოადგინა დ. ერისთავის მიერ გადმოკეთებული კომედია „დროებით სიყვარული“. წარმოდგენაში მონაწილეობდნენ თეატრალური მესხების ოჯახის მრავალი წევრი: კოტე მესხი, მისი მეუღლე ნატო მესხი, ეფემია მესხი, დავით მესხი და ანა მესხი-პეტრიაშვილისა“...

ანა მესხი თანამემამულეებს საუკეთესო მაგალითს აძლევდა, როგორც ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა შემგროვებელიც. მან ჩაწერა და გამოაქვეყნა მრავალი ხალხური ლექსი, თქმულება, ანდაზა და სხვა.

„...მესხის ოჯახი ქართული კულტურის მთელი ხომლია, რომლის ყოველი სანთელი მეტ-ნაკლების სიძლიერით, მაგრამ ერთგვარის ურყევობით იწვოდა მრავალი წელი.

მე არ ვეხები მათ ნიჭსა და მიმართულებას-ეს დღეს, საფლავის წინ, ადგილს უთმობს კაცურ-კაცობას, სინწრფელს და მისწრაფებით გატაცებას.

აი სერგეი მესხი-რაინდი ქართული პუბლიცისტიკისა და ქართული კულტურისადმი უმნიშვნელო, თავდადებული სიყვარულით არჩილ ჯორჯაძის წინამორბედი.

კოტე მესხი-თეატრის ზოგჯერ ფიანდაზი, ზოგჯერ ბურჯი და მტვირთველი, სცენის თაყვანისცემით რომ თარგმნიდა, როლებს ასრულებდა, რეჟისორობდა და გარემოს ხელოვნებისადმი მიჯნურობით რომ აცოცხლებდა.

დათიკო მესხი-რედაქციის ჩუმი მუშაკი, მსახიობი, იუმორისტი, მარად გამზადებული წრფელი თავდადება და სამსახური მიუძღვნა საქმეს.

ეფემია მესხი უეცრათ რომ დაიპყრო თეატრი, თავისი ზოლი გაავლო ქართულ სახიობოებაში, კურთხევა თავიდანვე აკაკისაგან მიიღო...

ივანე მესხი-ბათომის და მთელი აჭარის სულიერათ შემოერთების საქმეში – თანამებრძოლი პოეტი გრ. ვოლსკისა და ლ. ასათიანისა, შავ-რაზმელ რუსეთის პრესით გამაგრებულს რუსეთის ბიუროკრატიათ კრიჭაში რომ უდგნენ და მუსლიმან ქართველთა გამარუსებელ ტალღებს რომ ებრძოდნენ...

უცნაური ოჯახია! ყოველ წევრს შინაგანი დემონი მიიზიდავდა კულტურული საქმიანობისაკენ.

და ვინც თვით ვერ შეიტანა წვლილი ოჯახის ვალის გადასახადათ, იგი სამაგიეროთ ზრდიდა შვილებს: ჩვენი დღევანდელი თეატრის დამამშვენებელი მსახიობი-ანჯაფარიძე და გამრეკელის ასულნი-ორივე დედით ამ საკვირველი ოჯახის შვილები არიან!

დღეს მინას მიბარებული ანა მესხის ასული მხარში უდგა თავის და-ძმას, როგორც მწერლობაში ისე სცენაზე. ის პირველი ქალთაგანი იყო ქუთაისის მუდმივ დასში, რომ შევიდა 1870 წელს და, როცა სცენას ჩამოშორდა, მის თანაგრძნობას, დახმარებას და ნაქეზებას ხშირათ შეუმსუბუქებია ქართველი მსახიობისათვის ნაღვლიან გზაზე სვლა. ჟურნალ გაზეთებში გაბნეულ და ცალკე წიგნებათ გამოცემულ მრავალ თარგმანთა გარდა, იგი აგროვებდა ხალხურ სიტყვიერების ნაწარმოებს, –აღნიშნავდა მწერალი ნიკო ლორთქიფანიძე.სამშობლოს ჭრილობას გულის სიღრმეში განიცდიდა ანა მესხი. იგი ღირსეულ ქართველ ქალთა იმ პლეადას ეკუთვნოდა, რომელთა მოღვაწეობაში აღბეჭდილი იყო სულის დიადი სწრაფვა, დიადი სილამაზისა და ძალის გონება...

მისი ანდერძი იყო ოცნება თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოზე.

ოცნებანი კი თავისთავად აძლევენ ქვეყნიერებას ინტერესსა და აზრს. მითუმეტეს თუ ისინი თანმიმდევრული და გონივრულია.

მესხების ქალებიდან ანას მომდევნო და იყო ეფემიკო მესხი, რომელიც იყო ქართული თეატრის ბურჯთაგანი და მესხების ოჯახიდან პირველი პროფესიონალი ქალი მსახიობი.

მას, როგორც თავისუფლებისათვის მებრძოლ მესხების ოჯახის შვილსა და ეროვნულ-დემოკრატიული იდეების გარემოცვაში აღზრდილს იმთავითვე შეგნებული ჰქონდა ხელოვნების, როგორც გონებრივი მოძრაობისა და ბრძოლის ორგანოს დიდი მისია: არ ეცრუა, ქვეყნის საჭიროებას თან გაჰყოლოდა, ჩასულიყო ცხოვრების მდინარის ძირში და იქ მოენახა, როგორც დიდი ილია ამბობდა „შიგ–მდებარე აზრი თავის ცხოველ სურათებისათვის“...

1893 წელს ქუთაისის სცენაზე კოტე მესხის რეჟისორობით ეფემიამ „მარგარიტა გოტიეს“ როლი ითამაშა.

„...მარგარიტას თამაშობდა ფეფიკო, არმანს კოტე, ნანინს –მე. ისე მომხიბლა და გამიტაცა ფეფიკოს გაპიროვნებულმა მარგარიტას ბედმა, რომ მეგონა ჩემს წინ ნამდვილი მარგარიტა იწვა და იტანჯებოდა. ვტიროდი გულით, ისე, როგორც ნამდვილი ჭირისუფალი. როდესაც ფარდა დაეშვა, ერთხანს დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა, თითქოს თეატრში არავინ არისო, მაგრამ უცბად საშინელი ტაშის გრიალი შეიქმნა. აიხადა ფარდა. თეატრი გაჭედლია. ერთსაც არ უფიქრია წასვლა. დავინახე მთელი საზოგადოება – ქალები თუ კაცები ცხვირსახოცებით ხელში, ტიროდნენ და თან ტაშს უკრავდნენ“, – აღნიშნავდა ნატო მესხი.

ასეთი იყო ეფ. მესხის არტისტული შემოქმედების ზეგავლენა მაყურებელზე... მარგარიტას ასეთი შესრულების შესახებ ხმები თბილისამდეც მივიდა და დრამატულმა საზოგადოებამ ეფემია გასტროლებზე გაიწვია. აქ შთაბეჭდილება გაცილებით უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ქუთაისში, რადგან ეფ. მესხს ეს როლი უკვე რამდენჯერმე ჰქონდა შესრულებული და უფრო განაფულად თამაშობდა.

„...დიდი ხანი იყო გასული, თითქმის ცხრა წელიწადი, რაც ქუთაისს არ მოვშორებივარ... თბილისში ჩვენი ჩასვლის მეორე დღეს რეპეტიცია იყო დანიშნული. კოტე და მე ნამოვედით თეატრში. ქალები ისე გამოკოხტავებულყვნენ ხავერდ -ბრეშუმში, რომ ჩემი უბრალო, პროვინციული მორთულობა, შედარებით არად სჩანდა. გაბუნიას ქალის გვერდით იჯდა ახალგაზრდა, ლამაზი და მეტად მდიდრულად მორთული ქალი. მან სხვის შეუმჩნევლად ხელი ნაჰკრა ნატო გაბუნიას და უჩურჩულა: „ამ კიკიმორამ უნდა ითამაშოს მარგარიტას როლი? იმდენი ჩემი თავი მოგიკვდა“. ეს იყო არლანის ქალი.

...ამ პიესამ დიდი ინტერესი გამოიწვია თბილისში. საღამოს თეატრი გაჭედლი იყო ხალხით და ბევრი ფეხზე იდგა. სპექტაკლი მწყობრად, კარგად მიდიოდა. მე თანდათან შევიდიოდი როლში. არ დამავინყდება წამი, როდესაც მეორე მოქმედების დროს შემანყვეტინეს დიდი მონოლოგი ტაშის ცემით. ამოდენა ხალხმა, თითქოს პირობა შეეკრათ, ერთბაშად ატეხა ტაშისცემა და მე კარგა ხანს ვიდექი სცენაზე უძრავად, სანამ ხალხი არ დანყნარდა. მოქმედების გათავებისას გამოძახილს დასასრული არა ჰქონდა. იგივე არლანის ქალი შემოვიდა საპირფარეოში თვალცრემლიანი, როდესაც მე მეჩქარებოდა ჩაცმა მესამე აქტისათვის: „რა დიდი მსახიობი ყოფილხართ... აი სადა გცოდნიათ თქვენ ჩაცმა... მე აღტაცებული ვარ“. უნდოდა გადამხვეოდა, მაგრამ მე ის საჩქაროდ გავისტუმრე და კარები გადავრახე.

ყოველი მოქმედების შემდეგ ხალხის ინტერესი ღვივდებოდა, წარმოდგენა დიდი წარმატებით გათავდა. როდესაც ვხედავდი ხალხის ასეთ აღტაცებას, არ მჯეროდა, რომ ეს აღტაცება გამოიწვია ჩემმა თამაშმა. ამ დროს მე უსაზღვროდ ბედნიერი ვიყავი“, –იგონებდა ეფემია მესხი.

1895 წელს, როცა ქუთაისის თეატრი ცეცხლმა იმსხვერპლა ეფემია მესხი ძმასთან ერთად თბილისში გადავიდა. კოტეს რეჟისორობით თბილისში დაიდგა ისეთი პიესები, რომლებიც მაყურებელს არ ენახათ: „სურამის ციხე“, „სამშობლო“, „ბორკილი“, „ვაი ჭკუისაგან“, „მასკარადი“, „ერნანი“, „სკაპენი“, „ძალათ ექიმი“, „ტრილბი“, „დენიზა“, „მადამ სან-ჟენ“, „დალილა“ და მრავალი სხვა, რომლებშიც მთავარ როლებს ეფემია მესხი თამაშობდა.

ამ დაუვინყარი სახეების შექმნით ნათლად გამოიკვეთა, რომ ეფემია მესხს დავინყების ფარდის მიღმა მოხვედრა არასოდეს არ ეწერა. იგი იყო წმინდა წყლის ტრაგიკული არტისტი, რომელმაც ქართულ სასცენო ხელოვნების განვითარებაში დიდი როლი შეასრულა.

1898 წელს ეფემია გათხოვდა ივანე გეპუნერზე და მას ბაქოში მოუხდა საცხოვრებლად გადასვლა. მან ბაქოშიც განაგრძო თეატრში მუშაობა.

„...ეფ. მესხს თავის ხანგრძლივ სასცენო მოღვაწეობის განმავლობაში მრავალ სხვადასხვა ფანტის პიესაში მიუღია მონაწილეობა და მრავალი სხვადასხვა როლი შეუსრულებია. მის მიერ განსახიერებულ როლთა რაოდენობა ორასამდე აღწევდა.

„...ეფემია მესხის შესრულებული როლები ზოგიერთ შემთხვევაში თავისი ხასიათის მიხედვით ერთი მეორეს დიამეტრიულად ეწინააღმდეგებიან და ამათგან მკვეთრი და მონუმენტალური არტიკულური ნიღბების შექმნა მხოლოდ დიდბუნებოვან აქტიორს შეუძლიან. ეფ. მესხის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგიც ამ დიდბუნებოვან არტიკულურ სახელოვანი წრის ერთი საპატიო წევრი იყო“. **[ბუნნიკაშვილი გ,1976:147]**

„დროების“ რედაქცია მესხებისათვის განათლების შესანიშნავი სკოლა იყო. ამ საზოგადოების გავლენით, რომელიც აქ იყრიდნენ თავს, ეფემიამ თავისი ნიჭი ლიტერატურაშიც სცადა. მან რუსული გაზეთიდან გადმოაქართულა ფრანგული ფელეტონი „პეპისტრელო“, რომელიც „დროებაში“ დაიბეჭდა.

მაშინ აკაკიმ ურჩია: „ეცადე ბევრი წერო, თარგმნო და შეიძლება შენგან კარგი მწერალი ქალი გამოვიდესო“...

ეფემია მესხი იყო არა მარტო მაღალნიჭიერი მსახიობი, არამედ საფუძვლიანი განათლების მქონე აქტიური საზოგადო მოღვაწე, რომელიც ღრმა სიბერემდე დაუზარებლად იღწვოდა ქართული კულტურის, კერძოდ – თეატრის განვითარებისა და წინსვლისათვის.

ეფემიას მომდევნო ქალიშვილი მესხების ოჯახში მარიამი გახლდათ...

ეროვნული კულტურისა და თეატრისადმი სიყვარული მასაც გენეტიკურად გამოჰყვა. 1875 წლიდან მარიამი უკვე სცენისმოყვარეთა მუდმივ წრეში მონაწილეობდა, რომელსაც ეფროსინე კლდიაშვილი ხელმძღვანელობდა.

სცენისმოყვარეთა მონაწილეთა წრემ ქუთაისში 12 წარმოდგენა გამართა. ეფრო კლდიაშვილის დრამატული წრის გარდა, 1879 წლისათვის, ქუთაისში ალექსანდრე გამრეკელის თაოსნობით მეორე წრეც დაარსდა.

მარიამ მესხი ცოლად გაჰყვა სწორედ მასავით თეატრზე გადაგებულ სცენისმოყვარეს ალექსანდრე გამრეკელს.

„...მარიამ გამრეკელი დედა იყო მსახიობ ქალებისა ნინო გამრეკელ-თორელის და ბაბუცა გამრეკელისა. მათ თეატრისადმი მარჯანიშვილებისა და მესხების ნიჭი და სიყვარული გამოჰყვათ. ნინო გამრეკელ-თორელი პირველი და ერთადერთი რეჟისორი ქალი იყო სცენაზე, ნიჭიერი და ჭკვიანი“...**[მესხი ნ,1947:145]**.

მარიამმა ორი ვაჟი და ორი ქალიშვილი აჩუქა ალექსანდრე გამრეკელს. მან მთელი თავისი ენერჯია შვილების აღზრდას შეაღწია, რისგამოც მისმა აქტიურობამ სცენაზე თანდათან მოიკლო.

ოჯახსა და შვილებზე ზრუნვამ მარიამი მართალია საყვარელ საქმეს ჩამოაშორა, მაგრამ თეატრისადმი სიყვარული გენეტიკურად მის შვილებზე გადავიდა, რადგან თაობიდან თაობაში საერთო ღვანლის გამრავლება ყველასათვის ისევე სავალდებულოა, როგორც სამშობლოს სადარაჯოზე ყოფნა.

მაგდალინა მარჯანიშვილის მე-13 შვილს დედის მაღალი სულიერი თვისებები და ნათელი გონება გამოჰყვა.

„უკანასკნელი შვილი ჩვენი ოჯახისა, ნაბოლარას ვეძახდით, იყო ნინო. ქუთაისის ქალთა გიმნაზია ნინომ წარჩინებით დაამთავრა და ხელი მიჰყო მასწავლებლობას. დიდი წარმატებებითა და სიბეჯითით ენეოდა მონაწილეთა აღზრდას. მალე გონიერი პედაგოგის სახელი დაიმსახურა. ასწავლიდა ქუთაისის ქალთა უფასო სასწავლებელში. მის დროს, გამოცდილი რუბანის ქალის ხელმძღვანელობით. ეს სასწავლებელი საუკეთესო კერა იყო ქუთაისელი ღარიბი "გოგონებისათვის... **[მესხი დ,1940: 66]**.

ქალთა უფასო სასწავლებელი მოთავსებული იყო ორსართულიან შენობაში. იგი პეტერბურგის ფილიალი იყო, რომლის ხანდაზმული დირექტორი მარიამ ივანეს ასული ტიმჩენკო-რუბანი სასწავლებელში იღებდა ყველა სოციალური წრის წარმომადგენლებს, მათ შორის გაღარიბებულ თავად-აზნაურთა შვილებსაც.

ქალთა უფასო სასწავლებელი ამზადებდა დიასახლისებსა და კანცელარიის მუშაკებს. იგი ექვსკლასიანი იყო. გოგონებს 8 წლის ასაკიდან იღებდნენ. ისწავლებოდა რუსული ენა, არითმეტიკა, საღვთო სჯული, ქსოვა, კერვა, გალობა, ბეჭდვა, დიასახლისობა, ბალ-ბოსტანში მუშაობა. ყოველი მეხუთე გაკვეთილი მხატვრულ კითხვას ეთმობოდა, რომელსაც რუსულ ენაზე ასწავლიდა დირექ-

ტორი ტიმოშენკო-რუბანი. აქვე ქართულ ენაზე იკითხებოდა „ვეფხისტყაოსანი“... [კვანცელაძე-ჯიქია ვ., 1995:29].

„ქართველთა ხელისხელთსაგომანებელი წიგნის „ვეფხისტყაოსნის“ სიყვარული მაგდალინა მარჯანიშვილმა თავის ნაბოლარა შვილსაც მტკიცედ ჩაუნერგა, რომელიც მის სიბრძნეს თავის მოსწავლეებს სიყვარულითა და სიამაყით გადასცემდა.

მესხების ოჯახის ნორჩი ყვავილისათვის ხანდახან მტანჯველიც იყო ქვეყნის წინაშე მოვალეობის აღსრულება, მაგრამ კიდევ უფრო მტანჯველი იყო მისი შეუსრულებლობა.

„...ნინო სილამაზითა და მოხდენილობით გამორჩეული იყო. ოჯახი თავს ევლებოდა მას.

უზომოდ მიყვარდა ეს ტურფა ყვავილი ჩვენი ოჯახისა, მისმა უდროო სიკვდილმა მთელი ოჯახი გააუბედურა“... [მესხი დ., 1940: 67].

სიცოცხლითა და ჯან-ღონით სავსე ნიჭიერ ქალიშვილს უმაღლეს სასწავლებელში შესვლის დიდი სურვილი ჰქონდა, მაგრამ მატერიალური ხელმოკლეობის გამო მან ეს ნადილი ველარ განახორციელა. ქალთა განათლების საკითხზე ნინო მესხი ფიქრობდა, რომ ის მამაკაცზე მეტად თუ არა, ნაკლებ არ სჭირდებოდა ქალს, რადგან მომავალი თაობის აღმზრდელი ქალი იყო. აღსაზრდელი რომ კარგი ყოფილიყო, თავად აღმზრდელი უნდა ყოფილიყო კარგად აღზრდილი. მხოლოდ დიდად განათლებულ და მაღალი მორალური თვისებებით აღჭურვილ ქალს შეეძლო ასეთივე თაობის აღზრდა.

ნათელი იყო, რომ ის ერები, რომლებიც ქალთა თავისუფლებას ზღუდავდნენ, გაცილებით დაბალ დონეზე იდგნენ, იმ ერებთან შედარებით, სადაც ქალი მეტი თავისუფლებით სარგებლობდა და საზოგადოებაზე დადებითი გავლენის მეტი საშუალება ჰქონდა...

ნინო მესხი იყო დახვეწილი, ნატიფი ინტელიგენტი, სრულქმნილი მასწავლებელი, რომელიც აერთიანებდა საქმისა და მონაფეების სიყვარულს. მისი შეგონებები და დარიგებანი მონაფეებზე ნამდვილ კეთილისმყოფელ გავლენას ახდენდნენ.

„შემზარავი იყო მისი მონაფეების გულსაკლავი ტირილი და გოდება ნინოს ცხედარზე. ნინო ჩემს მკლავზე გარდაიცვალა. ბევრი ჭირი დაადგა ჩვენს ოჯახს, ბევრი კარგები დავკარგეთ, მაგრამ ნინოს სიკვდილმა ყველაზე მეტად დამტანჯა. იქნება ამის მიზეზი ის იყო, რომ მოულოდნელად ორ დღეში გამოგვეცალა ხელიდან ეს ჩვენი ოჯახის თვალი, ჯანიანი, მაგარი აგებულების ახალგაზრდა“, – გულისტკივილით იხსენებდა დ. მესხი.

ნინო მესხი გენეტიკურად მიღებული აქტიორული ხელოვნების „ვალს“ პირნათლად იხდიდა. იგი დებთან ერთად ხშირად თამაშობდა საქველმოქმედო სპექტაკლებში, რათა თავის ღარიბ მოსწავლე გოგონებს დახმარებოდა და მათთვის შემწეობა გაენია.

სიმამაცე ბედისწერის დარტყმებს არარაობად აქცევს. ნინო მესხმა სუფთა და ამაღლებული მორალური ცხოვრებით, ერის წინსვლისათვის ფასდაუდებელი მოღვაწეობით წარუშლელი ნაბიჯები დატოვა.

ასეა, ჩვენ ყველას ერთი ღუზა გვაქვს. მას ვერასოდეს მოსწყდები, თუ თვითონ არ ისურვე: იგი მოვალეობის გრძნობაა. მოვალეობის შესრულება კი თავისთავად ღირსებაა.

ისე როგორც შეუძლებელია ნიაღვრის, ვულკანის, ქარიშხლის ან ბავშვის დაბადების შეჩერება, ასე ვერ შეჩერდნენ თეატრალური მესხების ოჯახის ქალები ვიდრე გულის სათქმელი არ აღმოთქვას, და იგი დღის სინათლესა და ქვეყნის სამსჯავროზე არ გამოიტანეს.

მესხის ქალებმა მშობლიური ქუთაისის კულტურულ-საგანმანათლებლო იერსახის შესაქმნელად, მართლაც ფასდაუდებელი ღვაწლი გასწიეს.

ლიტერატურა:

1. ბუხნიკაშვილი გ. 1976წ „თეატრალური ქუთაისი“. თბილისი.
2. მესხი კ. 1987წ „მოგონებები“ . თბილისი.
3. მესხი ს. 1959წ. „წერილები თეატრის შესახებ“.თბილისი.
4. მესხი დ. 1940წ „მოგონებები“ თბილისი.
5. მესხი ნ. 1947წ „მემუარები“. თბილისი.

6. მესხი ეფ. 1932წ. „მოგონებები და წერილები“. თბილისი .
7. მეფისაშვილი გ. 1970წ. „მესხების ოჯახი“. ბათუმი.
8. ნიკოლეიშვილი ო. 2005წ. „სერგეი მესხის ეროვნული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი“. ქუთაისი.
9. ფირცხალავა ს. 1903წ „ნაწერები სერგეი მესხისა“. ტ. I. თბილისი.
10. ყურულაშვილი ლ. 1974წ „ქართული თეატრი ბაქოში“ თბილისი .
11. ჭეიშვილი ს. 2009წ „თეატრალურ მტუდიებში“ ქუთაისი.

MARIAM MARJANISHVILI

THE MESKHI WOMEN IN KUTAISI

In the XIX century Kutaisi an important role in the founding of Georgian theatre was played by the famous Meskhi family. All the 13 children of Simon Meskhi and Magdalina Marjanishvili made their contribution in the establishment of permanent theatre in Kutaisi.

The well-known brothers were supported by their five sisters: Pelagia, Ana, Ephemias, Mariam and Nino. At that time no woman agreed to appear on stage. In the patriarchal society acting was still considered an occupation for clowns and everyone avoided this sphere. The Meskhi family believed the establishment of the theatre to be the great national deed.

Magdalina Marjanishvili and her elder sons appealed to their sisters and Georgian women for independence and freedom. The Meskhi women were the typical representatives of the Georgian women who lived a pure and subtle life and even sacrificed themselves for establishing progressive ideas.

Among the Meskhi women Ana Meskhi was the first woman who was the member of Kutaisi amateur theatre since 1870. Under the leadership of Akaki Tsereteli a small amateur cast was founded in Kutaisi. Its members were Ana Meskhi, Elene Lortkipanidze, Ephrosine Kldiashvili and Mariam Kheltufliashvili.

Here they tried their talent and skills. They staged plays: “Kvarkvare Atabag”, “The Eclipse”, “The Marriage of Figaro” and others. Kirile Lortkipanidze was their prompter, - wrote Ephemias Meskhi.

The circle of the amateur group grew. It was joined by the next sister Ephemias Meskhi. Kote Meskhi gave his sister, Ephemias the role of Margarita Gothie. She became a famous tragic actress.

“Pepiko Meskhi played Margarita so charmingly that I thought real Margarita was lying and suffering in front of me. I was crying with all my heart like a real mourner. When the curtain dropped, there was silence in the audience, as if there was no one in the theatre, but then, suddenly there was a storm of applause. The curtain went up. The theatre was crowded, no one had thought of leaving. I saw the whole society, men and women, with handkerchiefs in their hands – they were crying and applauding at the same time” – wrote Nato Meskhi.

Ephemias Meskhi played for nine years on Kutaisi stage with her brother, Kote Meskhi as a director.

In 1895, when Kutaisi theatre was destroyed by fire, Ephemias moved to Tbilisi. For 10 years she acted in Georgian Theatre of Baku. Ephemias Meskhi played 200 roles during her long acting career. She acted in Tbilisi Rustaveli Theatre until her death.

Ephemias Meskhi was not only a very talented actress, but a highly educated and active public woman, who struggled for development and prosperity of Georgian culture, namely the theatre, until her old age.

Like their elder sisters, younger ones Mariam and Nino were also active members of the Kutaisi amateur theatre. They did their duty of acting art which they got genetically. Together with their sisters they often played in charitable performances to raise money for poor students.

The Meskhi women made an invaluable contribution in the process of their nation’s advance and left an unforgettable footstep in cultural and public life of Kutaisi.




პელაგია მესხი



ეკატერინე მელიქიშვილი და ანა მესხი



ეფემია მესხი



ქიბ. 2173/1113

სამკურნალო მიზნებით ქვევის გამოყენების ისტორიისათვის

სამკურნალოდ ქვებს საქართველოში უძველესი დროიდან ინტენსიურად იყენებდნენ. ეს დასტურდება, როგორც ძველი წერილობითი წყაროების ცნობებით, ისე ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური კვლევებით მოპოვებული მასალებით. ვინაიდან ყველა მათგანის განხილვა ერთი სტატიის ფარგლებში შეუძლებელია, ჩვენ შემოვიფარგლეთ ამ სამი დარგიდან აღებული თითო-თითო მაგალითით, რომლებიც ამავე დროს გამოიჩინებენ მკურნალობის სრულიად განსხვავებული მექანიზმით.

წერილობითი წყაროებიდან, ჩვენ შევარჩიეთ ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის (XV ს.), „სამკურნალო წიგნი-კარაბადინი“-ს ერთ-ერთი რეცეპტი, რომელშიც სამკურნალო ქვა ამკარად უჩვეულო დანიშნულებით გამოიყენება. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს მაგნიტური რკინა-ქვა ანუ მაგნეტიტი. (ტექსტის ტერმინოლოგიით „ქვა მალნიტისა“), რომელიც იმ პირთა სამკურნალოდ არის გათვალისწინებული, „რომელთა რკინის წიდა ეჭამოს და მუცელსა შიგა დარჩობოდეს“. ასეთი შემთხვევისთვის რეცეპტის რეკომენდაციით მაგნეტიტი უნდა დაინაყოს და ფხვნილი წყალში აიწიოს. მიღებული ნარევი კი პაციენტმა უნდა დალიოს, რათა მაგნიტურმა ფხვნილმა კუჭში „შეკრიბოს წიდა იგი ერთგან“. [ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი 1988. გვ. 668].

განხილული რეცეპტი ეფუძნება რკინის მიზიდვის უნარს, რომელიც მაგნიტს ახასიათებს. ის როგორც ეტყობა არაერთხელ იყო წარმატებით გამოყენებული, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი მას არ შეიტანდა თავის ტრაქტატში. რეცეპტი უდაოდ იმ მხრივაც იმსახურებს ყურადღებას, რომ მისი მსგავსი ორიგინალური მეთოდები იშვიათად გვხვდება არა მარტო ქართულ, არამედ სხვა ქვეყნების სამედიცინო-ფარმაცევტულ ტრაქტატებში.

მეორე მაგალითად, შევარჩიეთ ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც მოიპოვა ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ექსპედიციამ ბაღდადის რაიონში.

(1980წ. ექსპედიციის ხელმძღვანელი რ. ჯავახაძე) ექსპედიციის მასალების მიხედვით სოფ. როხის მკვიდრი, 80 წლის გაიანე მახარეიშვილი, ხალხს კურნავდა სხვადასხვა დაავადებისაგან ე.წ. „სიზმრის კენჭის“ საშუალებით. ამ ქვას ქონდა გულის ფორმა, მოშავო მუქი ყავისფერი, რელიეფური ზედაპირი. ქვა 1980 წელს 300გ.-ს იწონდა. როგორც სოფლის მკურნალი გადმოგვცემს ქვასთან ერთად ის სამკურნალოდ იყენებს სხვადასხვა მცენარეებს. მცენარეთა წყალხსნერებში ის რამოდენიმე საათით დებს სამკურნალო ქვას (ამიტომ ქვა წონაში თანდათან იკლებს) და მიღებული ხსნარით კურნავს ავადმყოფებს. როგორც მთხრობელი აღნიშნავს განსაკუთრებით კურნავს „ფსიქიურ აშლილობებს“ [ქ.ი.მ. ს.მ. № 131].

გ. მახარეიშვილის რეცეპტი უდაოდ განსხვავებულია სხვა რეცეპტებისაგან, რომლებიც სამკურნალოდ ქვებს იყენებენ. ეს განსხვავება იმაში მდგომარეობს, თუ ამ რეცეპტებში სამკურნალ-წამლო საშუალებად მხოლოდ ქვა გამოიყენება, განხილული რეცეპტი ქვის წყალხსნარის გამოყენებას ითვალისწინებს, თანაც ეს წყალხსნარი მცენარეების გამონაწილსაც შეიცავს.

ზაზასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ მუზეუმის ექსპედიციის მიერ მოპოვებულ მასალას „სამკურნალო ქვის“ შესახებ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმერეთის რეგიონში ხალხური მედიცინის ისტორიის შესწავლის საქმეში. ამ ინტერესს კიდევ უფრო აძლიერებს ის ფაქტი, რომ დღემდე იმერეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში ქვით მკურნალობის ფაქტი დამოწმებული არ არის.

მესამე მაგალითი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არქეოლოგიური მონაპოვრიდან გვაქვს შერჩეული, მაგრამ ვიდრე მას განვიხილავდეთ მიზანშეწონილია წინასწარ მასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხს შევეხოთ. ამასთან დაკავშირებით უნდა განვიხილოთ ერთი საინტერესო ცნობა, რომელიც გამოჩენილ შუაზიელ მეცნიერსა და ენციკლოპედისტს ალ-ბირუნის (973-1048წწ.) მოჰყავს თავის „მინერალოგიაში“. ის სუსტი მხედველობის პირებს ნანერის ნასაკითხად ურჩევს მთის ბროლისაგან დამზადებული ნახევრადსფერული ლინზის გამოყენებას. ეს ლინზა უშუალოდ ნანერზე

უნდა დაიდოს ბრტყელი ზედაპირით და მაშინ მისი საშუალებით, როგორც ალ-ბირუნი აღნიშნავს, „თვალისათვის ნაწერი დიდდება, ხოლო სტრიქონები ფართოვდება“. რაც შეეხება მიზეზს, თუ რა განაპირობებს ასეთ გადიდებას, იქვე მითითებულია, რომ ამის ახსნას იძლევა ოპტიკა, ანუ ტექსტის სიტყვებით „მეცნიერება სარკეების შესახებ“ [Ал–Бируни. 1963 გვ. 59-60] .

ალ-ბირუნის თანამედროვის ალ-ჰაისამის (962-1038წწ) წლების თხზულებაში ოპტიკის შესახებ, მართლაც არის განხილული ნახევრად სფერული ლინზა შესაბამისი ნახაზით, რომელშიც გამოსახულია სხივთა სვლა ამ ლინზაში.

ავტორის მტკიცებით, ასეთი ლინზა ორჯერ ადიდება გამოსახულებას [Ал–Бируни. 1963 გვ. 393].

ალ-ჰაისამის მონაცემების მიუხედავად ფიზიკის ისტორიის თანამედროვე მკვლევარებმა მცდარად ჩათვალეს ალ-ბირუნის ცნობა იმის შესახებ, რომ ნახევრადსფერულ ლინზას გამოსახულებაზე უშუალოდ დადებისას მისი გადიდება შეუძლია, ასე მაგალითად, ფ. როზენბერგერი, თავის ცნობილ „ფიზიკის ისტორიაში“ უცნაურად მიიჩნევდა იმ ფაქტს, რომ გამოყენებისას ლინზის ბრტყელი ზედაპირი გასადიდებელი საგნის მხარეს, ხოლო სფერული ზედაპირი თვალის მხარეს უნდა ყოფილიყო მიმართული.

ფიზიკის ისტორიკოსების მოსაზრებას არ დაეთანხმა მინერალოგი გ. ლემენინი, რომელიც 1940-იანი წლების პირველ ნახევარში თბილისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. ბირუნის “მინერალოგიის“ კომენტარებში ის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ნახევრად სფერული ლინზა, ანუ სეგმენტის ფორმის ლინზა, რომლის სიმაღლე რადმენადმე ნაკლებია სფეროს რადიუსზე, სწორედ განსახილველ საგანზე დადებისას იძლევა მის გადიდებაზე გამოსახულებას. ამ დებულებას ის ექსპერიმენტულადაც ადასტურებს და ამისათვის იყენებს რეალურად არსებულ მთის ბროლის ორმაგამოზნეკილ ლინზას, რომელიც საქართველოში IX-X სს. სამარხში აღმოაჩინეს არქეოლოგებმა.

ორმაგამოზნეკილი ეს ლინზა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (Na -319). მისი დიამეტრი 46მმ-ია, სიმაღლე -24მმ, ხოლო ზედა და ქვედა ზედაპირები შესაბამისად 17მმ და 7მმ-იან სიმაღლის სეგმენტებს წარმოადგენენ. მიუხედავად იმისა, რომ ლინზის ქვედა მხარე არა ბრტყელი, არამედ მცირედ ამოზნეკილი ზედაპირით არის შემოსაზღვრული ის მაინც შეიძლება ნახევრადსფერულ ლინზად ჩაითვალოს (როგორც ეტყობა იმის გამო, რომ მცირედ ამოზნეკილი ზედაპირის გაპირილება ბრტყელ ზედაპირთან შედარებით შეიძლება გაცილებით ადვილად განხორციელდეს). რაც შეეხება ლინზის გამადიდებელ უნარს ამაზე ერთმნიშვნელოვნად პასუხს გ. ლემლინის ფოტო-სურათი იძლევა, რომელზედაც არაბული ხელნაწერი და ლინზით გადიდება მისი ნაწილი ჩანს. (იხ. სურ. №1) ეს ფოტო ვიზუალურად ადასტურებს, რომ ნაწერზე დადებული ლინზა ამ ნაწერის ზომას მართლაც 2-ჯერ ადიდება. [Ал–Бируни. 1963 გვ. 390] .

შუაზიელი მკვლევარების დებულების აპრობირების ეს შედეგები, რომელიც გ. ლემლინმა საქართველოში არქეოლოგიურად მოპოვებული ნახევრადსფეროს საშუალებით განახორციელა მრავალმხრივ არის ძალზე მნიშვნელოვანი. ჯერ ერთი, რომ ფიზიკის ისტორიკოსების მოსაზრების საწინააღმდეგოდ ის ექსპერიმენტულად ადასტურებს აღნიშნული დებულების სისწორეს. მეორეც, ცხადყოფს, რომ IX-X საუკუნეების საქართველოში უკვე იცნობდნენ მას წარწერების ნასაკითხად. აქვე არ შეიძლება ისიც არ აღინიშნოს, რომ იმ პერიოდში მთის ბროლის ასეთი ნაკეთობა უდაოდ იშვიათობას წარმოადგენდა, ვინაიდან 1967 წლის მონაცემებით მსგავსი ლინზა მხოლოდ ერთხელ აღმოჩნდა ვიკინგების დროის სამარხში (V-VIII სს.) და ის ეხლა ინახება სტოკჰოლმის მუზეუმში [Ал–Бируни. 1963 გვ. 390] .

განხილული მასალების საფუძველზე შეიძლება მოკლე სახით შემდეგი დასკვნა გამოვიტანოთ: წერილობითი, ეთნოგრაფიული და ნაწილობრივ მინერალოგიური წყაროებიდან აღებული ცალკეული მაგალითებიდანაც კი ნათლად ჩანს, რომ ძველი ქართული სამედიცინო ტექნიკა ქვებით მკურნალობისას ტრადიციულ რეცეპტურასთან ერთად იმ დროისათვის უჩვეულო მეთოდებსაც იყენებდა. ის ფაქტი, რომ ეს ტექნიკა დაინტერესებული იყო მაგნეტიზმის, ოპტიკისა და გარკვეულწილად მინერალოგიის სპეციფიური საკითხებით და წარმატებით იყენებდა მათ მეთოდებს თავის პრაქტიკაში, უდაოდ მის მაღალ პროფესიულ დონეზე მეტყველებს.



სურ.№ 1 მთის ბროლისაგან დამზადებული ლუპა, რომელიც საქართველოს ეროვნულ მუზეუმშია დაცული.

ლიტერატურა:

1. ზაზა ფანასკერტელი- ციციშვილი, 1988, სამკურნალო წიგნი კარაბადინი. ტი ტექსტი მოამზადა, გამოკვლევა დაურთო მ. შენგელიამ. "მეცნიერება", თბილისი.
2. ქ.ი.მ. ს.მ. № 131.
3. Абу-р-Райхан Мухаммед ибн Ахмед ал- Бируни. 1963, Собрания сведения для признания драгоценностей (минералогия), Изд. АН СССР, Москва.

MAYA SACHKOVI, RAUL CHAGUNAVA

CONCERNING THE HISTORY OF USING STONES FOR MEDICAL PURPOSES

In Georgia stones have been intensively used for medical purposes since ancient times. This can be proved by the scripts found in written sources as well as by the data obtained during the ethnographical and archeological expeditions. Since it is impossible to cover the whole material in one article the issues have been narrowed down to three examples each taken from the abovementioned fields. It should be noted that the stones differ in the mechanism of treatment.

From the written sources we have selected one of the medical prescriptions from Zaza Panaskerteli-Tsitsishvili's (XVc.) 'Karadini' (Book of Medical Treatment) where the stone is used for unordinary prescript. Namely, we mean magnetic iron-stone i.e. magnet (according to the terminology of the original text 'qva maghnitisa' _ the stone of magnet). This stone is considered to be used as a treating tool for those who 'have eaten iron slag and it is still remained in the stomach'. In such cases according to the recommendation given in the medical recipe the magnetite should be pounded and mixed with water. The obtained mixture should be given to the patient to drink so that 'magnetic powder could collect the slag as a whole'. [Zaza Panaskerteli-Tsitsishvili 1988. pg. 668].

The presented medical recipe is based on the magnet property to attract iron. As it can be observed, this method had been used quite frequently otherwise Zaza Panaskerteli-Tsitsishvili would not have included it into his treatise. The medical recipe is worth of attention since such unique methods are quite rare not only in Georgian but in foreign medical-pharmaceutical treatises as well.

Ethnographic material, that was obtained by the expedition of Kutaisi State Historical Museum in Baghdadi region (in 1980, the expedition was lead by R. Javakhadze), was chosen as the second example. According to the expedition materials 80-year-old Gaiane Makhareishvili – the inhabitant of the village Rokhi treated people from different diseases using so-called ‘dream pebble’. The stone had a heart shape with blackish, dark brown relief surface. In 1980 the stone weighed 300 grams. As the village healer narrates along with the stone he uses different medical herbs. In the water solution of herbs he puts the stone for several hours (therefore, the stone gradually loses its weight) and with the help of the solution obtained treats people. As the narrator remarks, this method is particularly good for treating mental disorders. [K.H.M a. m. #131].

G. Makharashvili’s recipe is undoubtedly different from those recipes in which stones are used for medical purposes. This difference is the use of not only the medical stone but the solution obtained from medical herbs as well.

It should be highlighted that a significant importance is attached to the material obtained by the museum expedition concerning ‘the medical stone’ when studying the history of folk medicine in Imereti region. The interest is intensified by the fact that in Imereti ethnographical life treatment by means of stones has not been confirmed yet.

The third example, as it has been mentioned above, is taken from the materials obtained during the archeological expedition. Before starting the discussion it is expedient to review some related issues beforehand. In this regard, very interesting information can be found in ‘the Mineralogy’ written by a famous Middle Asian scientist and encyclopaedist Al-Biruni (973-1048). He suggests to a person with a weak eye-sight to use the hemisphere lens made of mountain crystal for reading. The lens should be placed directly on the piece of writing with the flat surface and as Al-Biruni remarks ‘the writing is magnified and the lines are widened’. As for the reason providing magnifying effect, it is indicated that it can be explained by the rules of optics i.e. ‘the science about mirrors’ – according to the definition in the original text [Ал –Бируни. 1963 pg. 59-60].

Al-Biruni’s contemporary Al-Haisam (962-1038) discusses the hemisphere lens providing with the corresponding drawing in his work about optics. It shows the movement of the light rays through the lens. The author claims that such lens can magnify the image two times [Ал –Бируни. 1963 pg. 393].

Despite Al-Haisam’s data contemporary researchers of the history of physics considered Al-Biruni’s concept of using the hemisphere lens with magnifying effect to be wrong. For example, F. Rosenberger in his famous book – ‘The History of Physics’ expressed his views. He thought it was strange to place the lens on the object with its flat side and to direct convex side towards the eyes.

Mineralogist G. Lemlein disagreed with the historians of physics. He lived and worked in Tbilisi in early 1940s. In the comment made in the publication of Biruni’s ‘Mineralogy’ he highlights that hemisphere lens i.e. the lens with the shape of segment, the height of which is much smaller than the sphere radius gives the magnified image of the object when placed correctly. He experimentally proved his assumption. He used double-convex lens from mountain crystal for this purpose that was discovered in IX-X c.c. grave by archeologists.

The double-convex lens is stored in National Museum of Georgia (Na -319). Its diameter comprises 46 mm, height – 24 mm and upper and lower surfaces correspondingly represent 17 mm and 7 mm segments. Despite the fact that the down part of the lens is not flat, it still can be considered as the flat one (the polishing of the slightly convex surface can be achieved more easily). As for the magnifying properties of the lens, the obvious answer can be obtained from the photo taken by G Lemlein. One can see the Arabian manuscript and its magnified part (see the picture #1). This photo visually confirms the fact, that the lens placed on the manuscript magnifies the writing two times [Ал-Бируни. 1963 pg.390].

Approbation results of the assumption of Middle Asian researchers produced by G. Lemlein using the magnifying glass found during the archeological expedition is very important in many respects. Firstly, it experimentally proves the assumption to be right against the views of historians of physics. Secondly, it demonstrates that in IX-X century Georgians knew about the lens and used it for reading manuscripts. It should be noted, that the piece of work like a magnifying glass made of mountain crystal is truly a rarity. Based on the 1967 data the similar lens was found only once in the grave of Viking’s time (V-VIII c.c.) and is now stored in Stockholm Museum [Ал –Бируни. 1963 pg. 390].

On the basis of the presented material a short conclusion can be drawn: according to the examples taken from the written, ethnographic and partially mineralogical sources it is obvious, that old Georgian medical technique when treating with stones combined the traditional medical recipes and unusual methods as well. The fact, that the technique involved magnetism, optics and to a certain extent the specific issues of the mineralogy and successfully applied them in practice point out the high level of the professionalism.

კაჟის თოფი

(მუზეუმში დაცული მასალების მიხედვით)

„ქართველები ჩვეულებრივ არიან ომსა, იმდენად ჩვეულებრივ, რომ მშობლებს სულ პატარები დაჰყავთ ლაშქარში და არ არიდებენ ამ გაჭირვებას, რომელიც იქ უნდა გადახდეთ“, – ასე აღწერს ქართველი კაცის ცხოვრების სტილს და სულისკვეთებას საქართველოში მოგზაურობისა და მოღვაწეობის შემდეგ XVII ს-ის იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი (3, 87). ქართველს მარად ბრძოლა უწევდა „ერის, მამულისა და სარწმუნოების“ შესანარჩუნებლად, მუდამ შეიარაღებულს ნახავდით ჩვენს ერს. ხალხური პოეზიიდან ერთ-ერთი ამონარიდიც კი საკმარისია ამის ნიმუშად:

„შეხედეთ ამ ჯარს, მშვენიერს, იმათ მხარ-მკლავსა, ბეჭებსა,
 წითელ გულის-პირს, ყანძიმებს, შარვალში ჩამჯდარს ბიჭებსა,
 ხმალი, ხანჯალი, დამბაჩა, ლეკებს არ გააკრიჭებსა,
 თოფი, სიათა, ხირიმი, ოსმალის გულზედ იჭექესა!“

შესაბამისად, იარაღის განვითარების თითქმის ყველა ეტაპმა გაიარა ჩვენს ქვეყანაში, ხელკეტებით და კომბლებით დავინწყეთ და ცეცხლსასროლი იარაღის საუკეთესო ნიმუშებიც შევქმენით. ამის მაგალითად კი ჩვენი მუზეუმის ეთნოგრაფიის ფონდში დაცული ცეცხლსასროლი იარაღები შეიძლება განვიხილოთ.

ცეცხლსასროლი იარაღის გამოგონებამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა და საფუძველი ჩაუყარა ახალ ეტაპს არა მარტო საბრძოლო ხელოვნებაში, არამედ გეოპოლიტიკურ და გეოსტრატეგიულ განვითარებაში. ომმაც დიდი მასშტაბი მიიღო. ადამიანის ხელში აღმოჩნდა იარაღი, რომლითაც გაცილებით ადვილი იყო ბრძოლა და რომელსაც გაცილებით დიდი დამანგრეველი ძალა ჰქონდა.

ცეცხლსასროლი იარაღის განვითარება დაკავშირებულია კვამლიანი, ანუ შავი დენთის გამოგონებასთან. ეს ქიმიური ნაერთი გოგირდის, ნახშირისა და გვარჯილის მექანიკური ნარევიან. ცეცხლსასროლი იარაღის ერთ-ერთი ყველაზე პირველი ნიმუში – მოდფა, ჯერ კიდევ XII საუკუნეში შეიქმნა და არაბთა არმიის დიდი პოპულარობით სარგებლობდა. თავის მხრივ, არაბებმა ეს ტექნოლოგია ჩინელებისაგან მოიპოვეს, რომლებიც დენთს ფეიერვერკად იყენებდნენ.

როგორც კი დენთის თვისებები გაარკვეეს, მისი გამოყენების საშუალებების ძიებაც დაიწყო. სწორედ აქედან იწყება ცეცხლსასროლი იარაღის ისტორიაც, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ტყვიის განვითარებასთან. XIII საუკუნის II ნახევრიდან ევროპისათვის ცნობილი გახდა კვამლიანი დენთი, ხოლო XIV საუკუნის დასაწყისიდან პირველი ცეცხლსასროლი იარაღიც გამოჩნდა. პირველი ორასი წელი კონსტრუქციის ცვლილება მხოლოდ მუხტის აფეთქების გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად. ცეცხლსასროლი იარაღის პირველი ნიმუშები მზადდებოდა პრიმიტიულად – რკინის ან ბრინჯაოს მილს ამარგებდნენ ხის ნაჭერზე. ასეთი თოფების დატენა ხდებოდა ლულის ღია მხრიდან (მეორე მხარე იყო დახურული) და აფეთქებდნენ ლულის თავში (დასაწყისში) არსებულ ნახვრეტთან ანთებული პატრუქის მიტანით (ჯერ პატრუქს მოუკიდებდნენ ცეცხლს, ხოლო შემდეგ ხელით მიიტანდნენ ლულაში არსებულ ნახვრეტთან). პირველი ცეცხლსასროლი იარაღის ეფექტურობა ისეთი დაბალი იყო, რომ მეტად ჩამოუვარდებოდა მშვილდ-ისრებს. თუმცა კი, მიუხედავად იმისა, რომ ხელის ბომბარდების დატენა დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, მათი გამოყენება და გაუმჯობესება მაინც ინტენსიურად მიმდინარეობდა.

XV საუკუნის დასასრულისათვის ხელის ცეცხლსასროლი იარაღის ლულისა და მღვივი პატრუქის სრულყოფის ყველა შესაძლებლობა ამოიწურა. XV საუკუნის ბოლოს გამოჩნდა ჩახმახის მსგავსი (მრგვალი) მონყობილობა, რომლის მეშვეობით ანთებული პატრუქით ლულაში არსებულ ნახვრეტთან ცეცხლის ნაპერწკალი მიჰქონდათ მექანიკურად და ასეთ მონყობილობას „პატრუქიან საკეტს“ უწოდებდნენ, XVI საუკუნის დასაწყისში კი გამოგონებულ იქნა თოფის ლულაში დენთის აალების სრულიად ახალი მონყობილობა – კაჟიანი და რგოლური მექანიზმები. კაჟის თოფის

მოქმედების პრინციპი ასეთია: ჩახმახში მოთავსებული კაჟი სასხლეტის დაშვებისას ფირფიტიანი ზამბარის ზემოქმედებით არტყამს ფოლადის კვესს და გამოკვეთავს ნაპერწკალს, რომელიც აალებს თოფის ლულაში მოთავსებულ დენთის მუხტს. ჩვენ სწორედ ამ ტიპის ქართულ თოფზე შევამჩნიებთ ყურადღებას და განვიხილავთ კაჟის თოფებს მუზეუმში დაცული იარაღების მაგალითზე.

მუზეუმის კოლექციებში ყველაზე ადრეულ ცეცხლსასროლ იარაღთა რიცხვს სწორედ კაჟის თოფები განეკუთვნება, რომლებიც მე-18 საუკუნით თარიღდება. დამახასიათებელი ნიშნების მიხედვით ქართული კაჟის თოფი, მექანიზმის თავისებურების გათვალისწინებით, დალესტნური წარმოშობის თოფებს შეიძლება დავუკავშიროთ. კავკასიური თოფები საერთოდაც ერთი სტილისა და აგებულებისა იყო, იქნებოდა ეს დალესტნური, ჩერქეზული თუ ქართული. უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევაში ვხვდებით სწორედ დალესტანში დამზადებულ მზა იარაღს, რომლის ორნამენტებით მორთვა და გაფორმება ხდებოდა შემდეგ მხოლოდ საქართველოში. მაგრამ სანაცვლოდ, სწორედ ქართული ორნამენტი იყო ის განსაკუთრებული და განსხვავებული შტრიხი, რითაც ყოველთვის გამოირჩეოდა ქართული თოფი სხვა თოფებისაგან. თუმცა კი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოში იარაღის მორთვა ხდებოდა მხოლოდ. მრავალ დოკუმენტურ წყაროზე დაყრდნობით ჩანს, რომ 1835 წელს თბილისში მუშაობდა 21 ხელოსანი, ე.წ. „მელულე“, „მეკონდახე“, „მეჩახმახე“ თუ „ოქროს ზარნიშის მკეთებელი“. 1855 წლიდან მათი რიცხვი 30-ს აღემატებოდა. უკვე XIX საუკუნეში თბილისში კავკასიის სხვა ქალაქებთან შედარებით უფრო მეტი რაოდენობით ცხოვრობდნენ იარაღის ოსტატები და ეს არც იყო გასაკვირი, რადგან თბილისი წარმოადგენდა მთელი ამიერკავკასიის დედაქალაქს, სადაც თავს იყრიდნენ როგორც იარაღის დამკვეთები, ასევე შემსრულებლები. თბილისში უკვე მზადდებოდა როგორც ყუბაჩური და ჩერქეზული, ასევე ევროპული და თავად ქართული თოფები. 1867 წელს თბილისში ადგილობრივი მმართველობის გადანყვეტილებით, უკვე მეიარაღეთა ცალკეული ამქრები ჩამოყალიბდა. ხოლო დ. წერეთლის ცნობით, 1878 წელს აჭარის რეგიონის მაჭახელას ხეობაში იარაღის მკეთებელი 30 ოსტატი ყოფილა. ქართული ცეცხლსასროლი იარაღების განსაკუთრებულობაზე საუბრისას სწორედ ე.წ. მაჭახელას ხსენებაც კი საკმარისია.

მაჭახელის სახელწოდება აჭარის რეგიონის მაჭახელის ხეობიდან მომდინარეობს, სადაც ისტორიულად მაღალ დონეზე იდგა მაღალხარისხოვანი კაჟჩახმახიანი თოფების წარმოება. რუსი სამხედრო კორესპონდენტი ვ. ლისოვსკი მაჭახელად წოდებულ ქართულ თოფებს „მაღალი ღირსების იარაღად“ იხსენიებდა (10, 117).

მაჭახელის ხეობაში კაჟჩახმახიანი თოფების წარმოებას მასობრივი ხასიათი ჰქონდა. დ. წერეთლის ცნობით, თოფი მაჭახელა ცნობილი ყოფილა მთელ კავკასიაში და ყირიმული წარმოების თოფებზე ნინ მდგარა. ე. თაყაიშვილის ცნობითაც, ადრე გურიაში სულ მაჭახელას თოფები ჰქონდათ და მერეღა გაჩნდა ევროპიდან შემოტანილი. ზ. ჭიჭინაძის დახასიათებით, საომარი იარაღების კეთებით მაჭახელი მთელ დასავლეთ საქართველოში ყოფილა ქებული: „მაჭახელის იარაღი ქებული იყო ჯერეთ მეფეების დრომდენ და შემდგომ ოსმალთა მფლობელობისა. მაჭახელის იარაღს ქებით მოიხსენიებენ მეზღაპრენი თავიანთ ზღაპრებში, მეშაირენი, მელექსენი. შაირებში იტყვიან ასე: „მაჭახელი, ან სტამბოლი“, ე.ი. იარაღი უნდა იქმნეს მაჭახელის ან სტამბოლისაო. ერთობ კაი ფასი ჰქონია აქაურს იარაღს“ (7, 12).

მაჭახელის ხეობისა და აჭარის სხვა სახელოსნო ცენტრებში ორი სახის თოფი მზადდებოდა: თოფხანე და ნალფარა. ნაკეთობის ხარისხით თოფხანეს გამოარჩევდა ხრახნილი ლულა, რომელიც მასიური რკინისგან მზადდებოდა. ნალფარა თოფის ლულა კი რკინის ნაჭრებისგან შეერთება-შედულებით მიიღებოდა და ხარისხით თოფხანეს ჩამოუვარდებოდა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ იარაღისათვის საჭირო რკინა, ტყვია, ფოლადი, თითბერი, სპილენძი და თუჯი აქვე, მაჭახელაში გამოჰყავდათ, აქ იყო ყველას მადნები.

გარდა მაღალტექნიკური მოწყობილობისა და ხარისხისა, მაჭახელური თოფის ასეთი მოწონება და იმდროინდელი აღიარება მის მაღალმხატვრულ დამუშავებაში, კერძოდ ოქრო-ვერცხლითა და ძვლით შემკობაში გამოიხატებოდა. როგორც ზ. ჭიჭინაძე აღწერს, „იარაღების სევადები, ყვავილები და ასოები ხელოვნურად ამოჭრილი განცვიფრებაში მოიყვანენ მნახველს, სანაქებოა მათი ნახვა და მზერა, ნამეტურ საინტერესო და მეტად იშვიათი სანახავია ისეთი იარაღები, რომლებიც

ქართველთა მეფობის დროს არის გაკეთებული და რომლებზედაც ოსტატურად ქართული ასოებიც არის ამოჭრილი“ (7, 13).

ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული მაჭახელა თოფი (ქიმ 2813/8) (სურ. 1) მუზეუმში შემოსულია პატრიკეთის თემის საბჭოდან 1924 წელს კონსტანტინე გუბელაძის მიერ. წარმოდგენილი თოფი კაჟიანია, ცალკულიანი. შედგება კონდახის, ლულის და ჩახმახისაგან. ლულა რკინისაა, გვერდებნახნაგოვანი, ჩასმულია ხის ღარში და მასზე დამაგრებულია თუნუქის ოთხი სალტით. ლულა შემკულია ოქროს ზარნიშით. ჩახმახი რკინისაა, ჩახმახთან მარჯვანია თვალბუდით. კონდახი ხისაა, განყოფილია ლითონის დაფანჯრული ფირფიტებით. 2894 B-95 ნომრით აღნიშნულ მაჭახელას (სურ. 2) კი კონდახის ბოლოს აქვს კიდევ ერთი სამსჭვალავით დამაგრებული 4,5 სმ სიფართის ძვალი, რითაც ის განსხვავდება სხვა თოფებისაგან.

საინტერესოა 7808 B-1234 ნომრის ქვეშ დაცული თოფი (სურ. 3). თოფი კაჟიანი, გრძელკულიანია. ლულა დაკუთხვილია, რვანახნაგოვანი. ლულა ხის ღარში ჩამაგრებულია თუნუქის ექვსი სალტის საშუალებით. თოფს მოკლე სახელური აქვს. მასზე სამსჭვალავებითაა დამაგრებული ლულა. სახელურის ბოლო შემკულია ძვლით. თოფის ლულა და საკეტი დამცემითურთ შემკულია ყვავილოვან-ფოთლოვანი ორნამენტებით. ორნამენტირება შესრულებულია ოქროს ზარნიშით. ლულის სიგრძე 108სმ-ია, სახელურისა – 31სმ. აღსანიშნავია, რომ თოფს ხის ღარში, ლულის ქვედა მხარეს აქვს გრძელი ღერო, რომლის ერთი ბოლო გახვრეტილია. ღერო მოძრავია. სავარაუდოდ მას იყენებდნენ ლულის გასაწმენდად.

ცეცხლსასროლი იარაღის განვითარებამ გავლენა იქონია, რასაკვირველია, სხვადასხვა ფაქტორებზეც. იარაღის განვითარების ეს ეტაპი განსაკუთრებით აისახა ჩაცმულობაზე (ჩოხაზე გაჩნდა სამასრეები) და არქიტექტურაზე (კოშკებს გაუჩნდა ვიწრო სათოფურები); იმოქმედა ტრადიციებზეც: არჩილ მეფე ზნეთა აღწერისას ამბობს – ახლა დაუცავი მსროლელობაც ზნედ ითვლებოდა. ხალხურ საგმირო პოეზიაშიც ნათლად ჩანს, რომ თუ ადრე ხმლით ტყეება ითვლებოდა ვაჟკაცობად, თოფის დამკვიდრებასთან ერთად ჩასაფრება და მარჯვედ სროლა იქცა ხოტბის საგნად. თავისებური გავლენა იქონია ცეცხლსასროლი იარაღის გავრცელებამ სოციალურ დიფერენციაციაზეც. შუა საუკუნეებში სამხედრო საქმეში ძირითადად წარჩინებული ფენის წარმომადგენლები იყვნენ ჩართული. სწორედ მათ შესწევდათ ძალა შეეძინათ მეომრისათვის საჭირო მძიმე აღჭურვილობა, ხოლო ომებს შორის შუალედში შეენარჩუნებინათ საბრძოლო სული ნადირობასა თუ რაინდულ ტურნირებში მონაწილეობით. ასეთი ცხოვრების წესი კი მხოლოდ საზოგადოების პრივილეგიურულ ფენას ჰქონდა. მიწათმოქმედსა და ქალაქში დასაქმებულ ადამიანს ნაკლებად შეეძლო საზოგადოების ამ ფენაში შეღწევა. ცეცხლსასროლმა იარაღმა განსაზღვრული პერიოდის შემდეგ ამ დიფერენციაციაში მართლაც ბზარი შეიტანა. ომი აღარ წარმოადგენდა მხოლოდ მდიდრების საქმეს. რაინდის საჭურვლის ფუნქციის დაკარგვამ თვით ეს ინსტიტუტიც ისტორიის კუთვნილებად აქცია. ომმა მასობრივი სახე მიიღო. სამხედრო სამსახურში ინვედნენ საზოგადოების ყველა ფენას. ამდენად, ფეოდალურმა არისტოკრატამ დაკარგა ყველაზე საკრალური ნიშა – ქვეყნის დამცველის ფუნქცია. ამასთან, იარაღი საზოგადოების ყველა ფენისათვის ხელმისაწვდომი გახდა.

ქართული თოფი რომ მეტად ღირებული და გამორჩეული იყო ხარისხითა თუ ნაკეთობის განსაკუთრებულობით, ამას თვით XIX საუკუნის მინურულს მოღვაწე რუსი იარაღთმცოდნე გ. ნ. პროზორიტელევიც მოწმობს, რომელიც აღნიშნავს, რომ რუსეთ-კავკასიის ომში რუსულ შეიარაღებაში არსებული თოფები საბრძოლო თვისებებით აშკარად ჩამოუვარდებოდნენ კავკასიურს და ეს ომის შედეგსაც ეტყობოდაო.

ლიტერატურა:

1. თაყაიშვილი, ე., 1968: რჩეული ნაწერები. ტ. I, თბილისი.
2. კახიძე, ნ., 2009: სამხრეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, ტ. II, ბათუმი.

3. ლამბერტი, ა., 1938: სამეგრელოს აღწერა, თბილისი.
4. სამუშია, ჯ., 2008: ცეცხლსასროლი იარაღისა და არტილერიის განვითარება ევროპასა და საქართველოში, სამხედრო-პოლიტიკური ჟურნალი „არსენალი“, №20, ოქტომბერი.
5. ფალიანი, ა., 2009: „დენტისა და ტყვიის ისტორია, სამხედრო-პოლიტიკური ჟურნალი „არსენალი“, №3 (72), თებერვალი.
6. წერეთელი, დ., 1878: მაჭახელა, გაზ. „დროება“, №238, თბილისი.
7. ჭიჭინაძე, ზ., 1905: სამცხე-საათაბაგო, ისტორიული და ეთნოგრაფიული ცნობები ხალხზედ, ვაჭრობაზედ, კათოლიკობასა და მათ სამღვდელოებაზედ და სხვანი, ტფილისი.
8. ხუციშვილი, გ., 2005: ცეცხლსასროლი იარაღი, თბილისი.
9. Аствацатурьян, Э., 2004 г., Оружие народов кавказа, издательство “Атлант”.
10. Лисовский В. Я., 1887: Чохорский край. Тифл.

TINATIN LETODIANI

FLINTLOCK

(according to the materials preserved at the museum)

The development of firearms is connected to the invention of the black gunpowder. This chemical concoction represents a mixture of sulfur, coal and sulfate. The very first example of firearms-“modpa”- was created in XII century and probably was very popular in the army of that period. The Arabs took this technology from the Chinese. The latter used gunpowder for fireworks. Since that period the history of firearms began and it is closely connected to the development of the bullet. In the second half of XIII century Europe got information about gunpowder. At the beginning of XIV century the first gun appeared. During the first two centuries only the improvement of the blast in the whole construction was determined to be developed. The first samples of the firearms were formed in a very primitive way – iron or bronze tubes were attached to small pieces of wood.

Charging of such weaponry proceeded from the open side of a muzzle and a shot took place after the ignition of the fuse at the base of the muzzle. By the end of XV century all the resources of such firearms had been dried up. At the end of XV century new round equipment like a safety catch appeared. By means of this technical element a spark was produced in the hole of a muzzle. Everything happened mechanically and the equipment was called the wick rivet. In XVII century a new method of gunpowder ignition was discovered. So called flintlock mechanisms appeared. The main working principle for this mechanism is the following: flint mounted in the safety catch by means of a special spring shoots the steel firestone and produces a spark, which, in its turn, fuels the powder in the muzzle. Precisely this type of the Georgian gun we are going to discuss in this work.

The firearms kept at the museum can be dated back to 18 century. According to the characteristic features and technical elements the Georgian flintlocks can be connected to the Dagestan ones. Generally speaking all the Caucasian (Dagestan, Chechen, and Georgian) old guns used to have the same style and technical elements. Very often we come across the firearms produced in Dagestan which have Georgian ornaments. These ornaments actually represent the main distinctive feature of the traditional Georgian firearms. Speaking about specific characteristic features of the Georgian firearms in general, it is quite enough to mention the so called “machakhela”.

This name comes from the Adjarian gorge Machakhela where a great tradition of flintlock production existed many centuries ago. All the materials necessary for production: iron, lead, steel, copper could be obtained on that territory of Machakhela. Beside the fact that the Machakhela guns were technologically very well done, their special value was determined by their highly artistic processing as well. For this purpose gold, silver and ivory were often used.

The “Machakhela” firearm (2813/8) preserved at N. Muskhelishvili State Museum was received in 1924 from Konstantine Gubeladze – the Patriketi native. The represented gun has a flint and one muzzle. Its constituent parts are: a butt, a muzzle and a hammer. The muzzle is made of iron, faceted, put into a wooden aperture and bounded to it by four copper throngs. A hammer is made of iron as well. The butt is made of wood covered with metal slabs. “Machakhela” 2894 B-95 has a 4,5 mm bone on the wooden butt which makes this gun quite different and distinguished from other ones.

It'd be interesting to pay attention to the “Machakhela” numbered 7808 B-1234. The gun has a flint and a long muzzle,

which is angular, is put into a wooden aperture and bounded to it by six copper thongs. The gun has a short handle with ivory ornaments on it. The muzzle, in its turn, is decorated by flower-leaf ornaments. The ornaments are made of gold. The length of the muzzle is 1.08 sm, the length of the handle is 31 sm. It is very interesting that under the muzzle there is a narrow stem which has a hole on its end. The stem is mobile and supposedly was used for cleaning the muzzle.

The development of firearms had a special impact on other factors as well. It caused changes in the clothes and their style, in the architecture, as far as fortresses had narrow gaps. From the poetry of that period we see, that not only using of a sword is considered as heroic, but the ability to use guns and sharpshooting are also necessary for a real hero.

მარბალიტა მსხილაძე

„ღებვის ხალხური წესები იმერეთში“

დასავლეთ საქართველოში უკანასკნელ ხანამდე შინამრეწველური წესით მზადდებოდა სხვადასხვა ქსოვილები.

ისტორიულ-ლიტერატურული წყაროებისა და მზითვის ნიგნებში დასახელებულ ქსოვილთა სახელწოდებაში ასახულია, როგორც დამზადების ტექნიკა, ისე ფერთა მრავალფეროვნება. მრავალფეროვანი ქსოვილის არსებობა კი ღებვის განვითარების მაღალ დონეზე მეტყველებს, ამის მაგალითი ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში დაცული საოჯახო წესით დამზადებული სხვადასხვა დანიშნულების ქსოვილების კოლექციებია, რომლებიც ხელოსან-ოსტატ ქალების ნამუშევართა მაღალ დონეს წარმოადგენს მე-19 საუკუნეში.

დასავლეთ საქართველოში კერძოდ კი იმერეთში გავრცელებული იყო ოჯახში ხელით ნაქსოვი და ნაქარგი მასალები: „დარაია“ „ხამშალა“ „ბამბაშალა“, ფერადი ძაფები, ნაქსოვი წინდები, ხელთათმანები, ქისები, ხურჯინები, ფარდაგები, სანოლისა და მაგიდის გადასაფარებლები, „ყაეთანი“ და სხვა ბევრი.

ჩვენს მიერ ჩამოთვლილი ნიმუშები, საინტერესოა თავისი მდიდარი ორნამენტული მოტივებით, შესრულების მრავალფეროვანი ტექნიკური ხერხებით, სადაც ფაქიზად არის დაცული ფერთა შეხამება. ამავე დროს ვლინდება შემოქმედის დიდი ნიჭი, უნარი და გემოვნება. თითოეულ ნახელავში, საოცარია უხუნარი ფერთა შერწყმა, მათი შესრულების ტექნიკა, უზადო ხელოვანის ალღო, რომელიც არასოდეს იმეორებს ერთსა და იმავე ორნამენტს, ერთსა და იმავე კომპოზიციას. ჭეშმარიტად ამომწურავია ხელოვანი ქალების ფანტაზია. ყოველი ახალი ორნამენტის შექმნა თითქოს შთააგონებს მათ შექმნან სილამაზითა და მოხდენილობით კიდევ უფრო გამორჩეული ნამუშევრები, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებიან ფერადოვანი გამის სინატიფით და ჰარმონიულობით. ეს ყველაფერი ხალხური ღებვის წესებთან არის დაკავშირებული.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან სინთეტიკური ხელოვნური საღებავების სწრაფმა გავრცელებამ საფუძველი გამოაცალა ბუნებრივ საღებავების გამოყენებას. ხელოვნურ საღებავებთან შედარებით, ბუნებრივი მცენარეული საღებავები უფრო გამძლე, უხუნებელ და მრავალ გარდამავალ ტონს იძლეოდა.

ამიტომ უფრო საინტერესო და აუცილებელია ძველთაგანვე მომდინარე ღებვის ხალხური წესების შესწავლა.

მცენარეთა საშუალებით ღებულობდნენ: შავ, წითელ, ყავისფერ, მწვანე, ყვითელ და სხვა ფერთა უამრავ გარდამავალ ტონს.

სამღებრო საქმიანობის განვითარება ფერთა ჰარმონიის კანონთა ცოდნას მოითხოვს. ქართველმა ქალებმა იცოდნენ: ერთმანეთს არ უხდებოდა ლურჯი და შავი, წითელი და ვარდისფერი, ვარდისფერი, თეთრი და ყვითელი, ხოლო ერთმანეთთან შეხამებულ ფერებად აღიარებდნენ: მწვანეს და ყვითელს, მწვანეს და წითელს, შავს და წითელს. ზოგჯერ დასტურდება ფერთა შეხამების ზემოთ დასახელებული წესის სანინააღმდეგო მოვლენაც.

სპეციალურ ლიტერატურაში შესწავლილია, რომ: „არ არსებობს დროსა და ადგილისაგან მოწყვეტით საერთო უცვლელი ლამაზი ფერთა შეხამების კანონი. ხალხურ ხელოვნებაში განვითარების სხვადასხვა პერიოდში სჭარბობს ხან ინტენსიურ ფერთა კონტრასტული შეხამება, ხან კი კონტრასტულობას მოკლებული მკრთალი ფერები.“

ქართველი ქალის მიერ, მის ნახელავში ფერთა შეხამების სხვადასხვა წესების გამოყენებაც ფერთა ჰარმონიის კანონის გარკვეულ პრაქტიკულ ცოდნას გულისხმობს, რაც გარემო პირობებითაა განსაზღვრული.

მთხრობელთა გადმოცემით: „ღებვა წლის ყველა დროში შეიძლებოდა, ზამთრისათვის საღებავ მცენარეებს ახმობდნენ, ხარისხიანი შეღებვისათვის მზიანი ამინდი ჯობდა.“

დიდი რაოდენობით შავი ფერის მასალა გამოიყენებოდა, ამ ფერის მისაღებად ბევრი მცენარე ყოფილა ცნობილი: „თავშავა“, მურყანის ქერქი, თრთმილის ფოთოლი, კაკლის ქერქი და წენგო.

სვანიძე პაშას ცნობით (78 წლის, ტყიბულის რაიონი სოფ. კურსები) „ყველა ოჯახში იცოდნენ რთვა-ჩეჩვა. ბამბა მოგვყავდა, ნახევარი მეტრის სიმაღლეზე იზრდებოდა, მისი ყვავილი ვარდისფრად გამოიყურებოდა. ძაფებს ვლებავდით ბუნებრივ მცენარეულ საღებავებში. მაგ: შავად შეღებვა- ნიგვზის კანით, რომელსაც წერს ვუძახით, უნდა დავჩეჩქვით ან კაკლის ღენჭი უნდა ნამოვადულოთ. ორი ან სამი დღე-ღამე ჩავტოვებთ როფში, რკინის ტურტლში, შემდეგ ისევ ნამოვადულებთ ერთს, ამის შემდეგ კიდევ ჩავტოვებთ ერთ ღამეს და მეტი არ უნდა შესაღები მზად იქნება.

ყვითლად ვლებავდით- თხმელის კანით, მიხაკისფრად იღებება წყავის, ტხმელის და ვაშლის კანით. უნდა გავმწეროთ ერთად სამჯერ და იღებება. ნითლად იღებება- ენდროს ხმელ ძირებში (მცენარე), ლურჯად იღებება- ანწლის მნიფე კაკლით, მოვჭყლიტავთ, შევურევთ ცოტა წყალს და ავადულებთ. ენდროში და ჭიაფერაში გატარებული მუქი ნითელი გამოდიოდა. ყვითლად კონახურის ძირებში იღებებოდა. მწვანედ- კენკრაში იღებება. კენკრა ყურძენივით ასხია ხეს. კენკრას მოვხარშავთ, გადავწურავთ, ვუზამთ ძაღას და შესაღებიც შეიღებება.

ვლებავდით ნანაქოთი და წერით, წერს ნიგვზის კანისაგან ვხარშავდით, ნანაქოს (შავი მინა) დავნაყავდით ჩავყრიდით წერში. ვლებავდით საახალუხეებს, საბნისპირებს, პერანგებს, კაბებს, მოსახვევ შალებს.

„ღებვის უძველესი დაფარვითი ტექნიკის გადმონაშთს ჭვარტლით ღებვა განეკუთვნება. ჭვარტლი როგორც დამოუკიდებელ საღებავად, ისე ფერის გასამაგრებლად იხმარებოდა.

შეიძლება ღებვის ბევრი ხალხური ნესების განხილვა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ღებვა ცალკეული ინდივიდუალური გამოცდილებით მიმდინარეობდა, რაც ღებვის მრავალფეროვან კომბინაციურ ხერხთა არსებობის წყარო იყო. ეს უკანასკნელი სხვადასხვა საღებავი მცენარეების გამოყენებით მტკიცე და უხუნებელ ფერთა უამრავ გარდამავალ ტონთა მიღებას უზრუნველყოფდა.”

მუზეუმის ქსოვილების დიდი ნაწილი გამოირჩევა ქართული ხალხური ნაქარგობის ნიმუშებით, სადაც გამოყენებულია ოქრომკედთან ერთად ფერადი აბრეშუმის ძაფები შეღებილი უხუნარი ბუნებრივი საღებავებით, მისი ფერადოვნება განსაკუთრებული მიმზიდველობა დაკავშირებულია მღებრობასთან.

ქართული ქარგულობის ტექნიკა, რომელიც ათეულობით სხვადასხვა ხერხით არის ცნობილი: ამობურცული, სადა, მოყინული სვითი, კლერტული, კლაკნური, ყაისნალური და რთული მრავალფეროვანი ორნამენტები. უხუნარი ბუნებრივი ფერთა სინაზით და ნატიფი ხელობით არის შესრულებული.

ორნამენტებით შემკული ქსოვილები გამოირჩევა ნახატის კარგი შესრულებით, მათ კომპოზიციამ ჩანს პროპორციულობა და კანონზომიერება. დეტალები გადმოცემულია დიდი სიფაქიზითა და მონდომებით, ასეთივე ხასიათშია გადმოცემული ფერთა გამაც. ბაც ვარდისფერ ფონზე ვერცხლისფერი მეტად სასიამოვნოდ აღიქმება. იგივე ითქმის ცისფერი, თეთრი და ყვითელი ფერების შეხამებაზე. ოქროსფერ ფონს კარგად ეხამება შავი კლაკნილი ღეროები, ცისფერი და ნითელი მიუხედავად იმისა, რომ ქსოვილებზე არის ფერთა კონტრასტული დაპირისპირება (მწვანე შავთან). ნახატი იმდენად ფაქიზია ის მსუბუქად აღიქმება და არ ამძიმებს მას. მუქ იისფერ ფონზე ორნამენტის ოქროსფერით გადმოცემა მეტისმეტად ანაზებს და არბილებს მის საერთო შთაბეჭდილებას. ჭარბად იგრძნობა ოქროსფერის გამოყენება, რაც საზეიმო შერეადობას მატებს ქსოვილზე ნაქარგ გამოსახულებებს.

გამომდინარე ჩვენს მიერ შესწავლილი მასალებიდან, ყველა ნაქსოვი თუ ნაქარგი დეტალი ახლოსაა რეალობასთან და მჭიდროდ არის ჩამჯდარი კომპოზიციამ. მაგ: ხალიჩა- ფარდაგის რთული კოლორიტის დამახასიათებელი ფერებია: თეთრი, შავი, შინდისფერი, აგურისფერი, ყავისფერი, მწვანე, ბალახისფერი, ყვითელი, ლურჯი და ცისფერი ნაკლებად. მათი ოსტატური და გემოვნებით შეხამება ერთმანეთთან არაჩვეულებრივ მიმზიდველობას ანიჭებს მასალებს, ხოლო მათზე ნახატი კი გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს მათი ღირსების, მოხმარების და დანიშნულების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ძველი ქართული ფარდაგები დღესაც ფერთა ისეთივე ფერადოვნებით გამოირჩევა როგორც ასიოდე წლების უკან.

მაშასადამე, ყოველივე ზემოთ თქმული ნათლად წარმოაჩენს იმ მდიდარი ხალხური ღებვის უძველეს ქართულ ტრადიციებს, რომელიც საფუძვლად უდევს უხუნებელ და გამძლე ჰარმონიულ ფერებით შესრულებულ მრავალ ჭრელ ფერადოვან მასალებს.

ლიტერატურა:

1. აბესაძე ნ., 1986, ხელოსნური წარმოება და ხელოსანთა ყოფა საქართველოს ქალაქებში, თბ.
2. ბერძენიშვილი ნ., 1967, – სამღებროს შესახებ, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ.
3. მოლოდინი ლ., 1971, ღებვის ხალხური წესები, თბ.
4. ნოზაძე ვ., 1954, ფერთამეტყველება, ბუენოს-აირესი, თბ.
5. შენგელია ზ., 1954, საქართველოს საღებავი მცენარეები, თბ.
6. ჯავახიშვილი ი., 1982, მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის. ტომი II, ნაწილი II, ქსოვა, ღებვა, ქარგვა, თბ.

MSKHILADZE MARGALITA

TRADITIONAL RULES OF DYEING IN IMERETI

The give work describes the collections of various samples created according to old early industrial techniques and preserved in the textile Fund of Kutaisi Historical Museum. The samples demonstrate a really high level of master creators/ mistresses of 19th century.

In Western Georgia, especially in families of Imereti, knitting and embroidery were very popular: "daraia", "kham-sala", "bambashala", knitted wool socks and gloves, "paichi", "kisa" (a swag), "khurdgini" (a kind of bag), "pardagi", "sacholisa" and tablecloths etc.

The above mentioned samples are really very interesting in terms of ornaments, of special techniques they were created where the color combination is maintained. All that can be used as a demonstration of talent and taste of the masters.

The beautiful, attractive colors and their combinations are connected with a dyeing process, which, in its turn, is connected to the knowledge of plants and their characteristic features as well as to the special dyeing techniques.

On one hand, Georgian women were aware of the fact that black and blue as well as that red and pink, white and yellow - didn't suit each other. On the other hand, the perfect color combinations are green and yellow, black and yellow, yellow and brown etc.

All the materials, all knitted or embroidered details are closely connected to reality and are strongly embed in the composition. E.g. characteristic colors of traditional Georgian rugs ("khalicha") are: white, black, brown, yellow, blue and a little light blue etc.

Their perfect color combination makes the items especially attractive and interesting. Pictures and ornaments on them show and specify their purpose and value.

One interesting fact is that colors of old Georgian pardagi (carpet) are as sharp as they used to be centuries ago.

One of the oldest dyeing techniques is considered to be dyeing with soot. Soot was used in old times both- as a dyeing material and as a color sharpener.

Consequently, all these facts demonstrate the existence of rich dyeing traditions in Georgia which formed the basis of unfaded and vivid colors of the existing samples.

ქსოვილავის ფონდში დაცული ქართული ქალის თავსაბურავების ნიმუშები

ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის შესწავლისას ყურადღებას იქცევს მათი ჩაცმულობა.

ქართული ხალხური ტანსაცმელი, ისევე როგორც კულტურის სხვა ელემენტები საუკუნეთა მანძილზე ყალიბდებოდა. კოსტუმის ძირითადი ტიპები იქმნებოდა სამეურნეო-ყოფითი, კლიმატურ-გეოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიური, სქესობრივ-ასაკობრივი პირობებით. ძველ ქართულ წყაროებში ტანსაცმლის აღმნიშვნელი ტერმინი იყო **სამოსელი**. ფეოდალური ეპოქის ქართველის ტანსაცმლის შესახებ თვალსაჩინო წყაროებს წარმოადგენს ტაძრებში შემორჩენილი ფრესკები და ბარელიეფები, ხელნაწერებში ჩართული მინიატურები, საფლავის ქვები და სხვა(4, 92).

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში არსებულ ქსოვილების ფონდში დაცულია კაცისა და ქალის ჩაცმულობის სხვადასხვა ნიმუშები, რომლებიც გარკვეულ წარმოდგენას ქმნიან ჩვენს წინაპართა ჩაცმულობაზე.

ქართველი კაცის ჩაცმულობიდან ქსოვილების კოლექციებში ინახება: შარვლები, ზედაჩასაცმელები, ახალუხები, ჩოხები, ნაბდები, ფაფანაკები, ყაბალახები და „ბუხრის“ ქუდები.

ქალის სამოსელიდან: გულისპირები, სარტყელები, კაბის შიდა ჩასაცმელები — ფარჩის „იუბკები“, ზედაჩასაცმელები, თავსაბურავები — შუბლსაკრავები, ჩიხტიკოპები, ლეჩაქები, ბალდადები, შარფები, თავშლები.

თავსაბურავი განსაკუთრებით ამშვენებდა ქართველი ქალის ჩაცმულობას და მომხიბვლელობას ანიჭებდა მას. შეიძლება ითქვას, რომ ის ერთიან რთულ კომპლექსს ქმნიდა, რომელიც შედგებოდა სხვადასხვა ელემენტებისაგან. ესენია: შუსტაკი (ე.წ. ქუდი), შუბლსაკრავი, ჩიხტი, თავსაკრავი, შუბლის ქინძისთავი, კოპი, ლეჩაქი, ბალდადი, თავშალი.

ქართველი ქალები ჩიხტიკოპის დახურვამდე იყენებდნენ შუსტაკს. შუსტაკი იყო რამდენიმე ფენა ქსოვილის ზოლი, რომელსაც ლეჩაქგადაფარებულ თავზე შემოიკრავდნენ, ან პირიქით თავს იბურავდნენ ლეჩაქგადაფარებული შუსტაკით (3, 21).

ქართველი ქალის თავსაბურავთა შორის განსაკუთრებული ადგილი ეჭირა შუბლსაკრავს. ვიდრე ჩიხტაზე განყოფილი თავსაკრავი შემოვიდოდა ხმარებაში, ქართველი ქალები შუბლსაკრავს ხმარობდნენ. შემდეგაც, როცა ჩიხტაზე განყოფილი თავსაკრავი დამკვიდრდა ქართველი ქალის თავსაბურავის მორთულობაში, ზოგი კიდევ ხმარობდა შუბლსაკრავს.

შუბლსაკრავი თავსაკრავისგან განსხვავდებოდა როგორც ზომით, ისე ფორმით. ის ზომით თითქმის ორჯერ მეტია მასზე. შუბლსაკრავის შუა ნაწილის ფორმა ოდნავ მომრგვალებულია, ბოლოები კი თანდათან ვიწროვდება და შესაკრავი ხრიკებით მთავრდება.

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ქსოვილების კოლექციებში ინახება შუბლსაკრავების წინა დეტალები (შესაკრავი ბოლოები არა აქვს).

პირველი შუბლსაკრავი (სურ. 1.) თეთრი აბრეშუმის ხავერდისაა, რომელზედაც ოქრომკედით, ზეზით და ვერცხლიმკედის ძაფით მოქარგულია მცენარეული ორნამენტი. შუბლსაკრავის შუა ნაწილზე სტილიზებული გვირგვინია გამოსახული, გარშემო წვრილ-ფოთლიანი ღეროებით, რომელთა ბოლოებზე დამაგრებულია კილიტებით პატარა კოკრები. ფაქტიურად შუბლსაკრავის ცენტრალურ ნაწილს აღნიშნული გვირგვინი წარმოადგენს, რომელსაც ორივე მხარეს გასდევს ოქრომკედით ნაქარგი ყვავილის ღეროები. ისინი ნაქარგობას ცალკეულ მონაკვეთებად ანაწევრებენ, რომელთა შორის მოქარგულია სტილიზებული ყვავილების სახეები. მცენარეული ორნამენტები ერთმანეთის შენაცვლებით მეორდებიან და ქმნიან მეტად ლამაზ და სასიამოვნო სურათს.

მეორე შუბლსაკრავი (სურ. 2.) შესრულებულია მუქი შინდისფერი აბრეშუმის ხავერდზე. მისი მორთულობა სახეების განლაგების პრინციპით ანალოგიურია ჩვენს მიერ აღწერილი პირველი შუბ-

ლსაკრავისა, მაგრამ განსხვავდება მცენარეული ორნამენტაციის მოტივი, საქარგავი მასალა და შესრულების ტექნიკა. შუბლსაკრავი მოსევადებულია ვერცხლის ფრინველთა და მცენარეთა ორნამენტებით. ცენტრალურ ნაწილში თეთრი აბრეშუმის ძაფით დამაგრებულია ვერცხლის სტილიზებული ყვავილი. ასევე თეთრი აბრეშუმის ძაფითაა ყვავილის აქეთ-იქეთ მხარეს დამაგრებული, ვერცხლის ფრინველთა და მცენარეთა გამოსახულებები.

შუბლსაკრავები შესრულებულია ხელსაქმის კარგი ცოდნით. სახეების შერჩევაში ჩანს ზომიერების გრძობა, რაც ასე დამახასიათებელია მქარგველი ოსტატებისათვის. ორივე შუბლსაკრავი თარიღდება XIX საუკუნით.

XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან მკვიდრდება მაღალი ჩიხტი. პირველ ხანებში ჩიხტი მაღალი ყოფილა, დაახლოებით შუსტაკის სიმაღლის, მოგვიანებით კი ხმარებაში შემოდის დაბალი ჩიხტი (3, 23).

ქსოვილების ფონდში ინახება 7 ჩიხტიკოპი, რომლებიც დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდანაა შემოსული. (სურ. 3.) ჩიხტიკოპი დამზადებულია მუქი შინდისფერი ხავერდის ქსოვილზე, რომელიც გადაკრულია რკალისებური ფორმის მუყაოზე. მუყაო დასარჩულებულია გახამებული ქსოვილით. ჩიხტის ქვედა კიდენაპირს შემოსდევს შავი ხავერდის ქსოვილი ანუ სადები კანტი. ჩიხტის წინა საჩვენებელი პირი მორთულია ყვავილოვან-ფოთლოვანი ფორმის თეთრი ხავერდულათი. თითოეულ გამოსახულებაში ჩასმულია ვერცხლისფერ კილიტაში პატარა მიძივები. თეთრი ხავერდის ყვავილოვან-ფოთლოვანი მორთულობა შინდისფერ ხავერდზე დამაგრებულია ოქრომკედის ძაფით. ჩიხტში, ზედა ნაწილში შიგნით, მოთავსებულია ნეკა თითის სიმსხო წითელი ფერის აბრეშუმის სატინაში გამოხვეული ბამბა, რომელიც შუაში მომსხო ფორმისაა, ბოლოები კი თანდათან ვიწროვდება. ეს არის კოპი.

თავსაბურავის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია ლეჩაქი. სალჩაქე მასალად ძირითადად იყენებდნენ ბლონდს. ქსოვილების ფონდში ინახება 12-მდე ლეჩაქი, რომელთაგან უმრავლესობა ბლონდისაა. ასევე არის ერთი აბრეშუმის ლეჩაქიც.

სურათზე გამოსახული ლეჩაქი (სურ. 4.) სამკუთხა ფორმისაა, დამზადებულია სპეციალურ სალჩაქე ბლონდზე, კიდენაპირებზე დაუყვება აბრეშუმის არშია. ფონდში დაცული ლეჩაქების უმრავლესობა რესტავირებულია, მათ შორის ჩვენს მიერ აღწერილიც.

საყურადღებოა ის რომ, ლეჩაქს ჰქონდა სხვა მნიშვნელოვანი დატვირთვა. ლეჩაქით ყელის ახვევა-დაფარებით შეიძლებოდა გათხოვილი და გაუთხოვარი ქალის განსხვავება. გათხოვილი ქალი ლეჩაქის ერთი წვერით ყელს იხვევდა, იფარავდა, გაუთხოვარი კი არა.

თავსაბურავის პროცესი ბალდადის მოხვევით მთავრდებოდა. ბალდადი აბრეშუმის ქსოვილისაგან იყო დამზადებული, უმთავრესად შავი, მუქი ლურჯი, ან იასამნის ფერად შეღებილი, ოთხკუთხადა აჭრილი, რომელსაც მოხვევის დროს უბურად გადაკეცდნენ. ლეჩაქით თავდასხურულ ქალს ბალდადი ისე უნდა მოეხვია, რომ სამკაულად გადაქცეული ჩიხტი და მასზე დაფენილი ლეჩაქის არშია არ დაფარულიყო. ბალდადის ორი ბოლო ნიკაპქვეშ იკვრებოდა (6, 53).

ბალდადს ძირითადად ასაკოვანი ქალები ატარებდნენ, ახალგაზერები კი მხოლოდ გარეთ გასვლის დროს მოიხვევდნენ ხოლმე.

ქსოვილების ფონდში დაცული ბალდადი შავი აბრეშუმის ტულის ქსოვილისაა, რომელიც თავისივე სახის ყვავილოვან-ფოთლოვანი ორნამენტებითაა დაჩითული. ბალდადი მუზეუმში შემოსულია 1969 წელს ქუთაისში მცხოვრები ლიდა თეოდორეს ასული ფხაკაძის მიერ, რომლის ნაამბობის მიხედვით, ბალდადს „ცხრა ჯვრის შარფს“ ეძახდნენ (სურ. 5.).

ქართველი მქარგველი ქალების ტრადიციების მიხედვით, ჩვენს მიერ აღწერილი მასალების ოსტატები, ქმნიან ნაზ და სასიამოვნო ნაქარგობას. ისეთივეს, როგორიც შეეფერებოდა მაშინდელ ადათ-წესებას და ტრადიციებს.

დღესდღეობით ქართველი მანდილოსნები თავსაბურავის გარეშე დადიან, მხოლოდ ტაძარში შესვლის დროს იბურავენ თავს ე. წ. შარფით. მხოლოდ დედაოები, ღრმად მორწმუნეები ან ფოფოლიები დადიან მუდმივად თავდასხურული.

ლიტერატურა:

1. ბესელია ლ., 1976 წ., „ქალის სილამაზის ხალხური იდეალი“, ჟურნალი ძეგლის მეგობარი, თბ.
2. ბოჭორიშვილი ლ., 1947წ., „კახური ჩაცმა-დახურვა“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I ნაწილი, თბ.
3. გვათუა ნ., 1967წ., „ჩაცმულობის ისტორიიდან“, თბ.
4. თოფჩიშვილი რ., 2006წ., „საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია“, თბ.
5. ციციშვილი ი., 1954წ., „მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიისთვის“, თბ.
6. ძეგლის მეგობარი 1984წ., 66, თბ.

DOGONADZE ANA

SAMPLES OF WOMEN'S HEADWEAR PRESERVED IN THE TEXTILE FUND OF THE MUSEUM

Studying the Material Culture of Georgian people, we pay special attention to their clothing.

There are several samples of old clothes (both for men and women), preserved in Kutaisi Historical Museum, which give us a clear picture of what our ancestors used to wear.

The collection contains the following items of clothing: trousers, blouses, 'akhalukhi', 'chokha', 'papanaki', 'kabalakhi', and so called "fireplace" hats.

From the women's clothes the collection includes: aprons, belts, old-style underskirts- so called brocade skirts, blouses, headwear-'shublsakravi', 'chikhtikopi', 'lechaki', 'bagdadi', scarfs and shawls.

The headwear were especially significant for women and made women look more attractive. Generally women's headwear consisted of several elements. They are: 'shustaki'(a hat), 'shublsakravi'(covered forehead), 'chikhti', 'tavsakravi'(covered head), forehead pin, 'kopi', 'lechaKI', 'bagdadi, a shawl.

Georgian women wore 'shustaki 'before' chikhtikopi'. 'Shustaki' was a few strips of cloth weaved into one which was wrapped around the head covered with 'lechaki'. Sometimes happened the opposite when 'lechaki' was put on the head wrapped by 'shustaki'.

Special position among old women's headwear is occupied by 'shublsakravi' which differs from 'tavsakravi' in color and size. Actually, it is twice as big as 'tavsakravi'. Also the middle part of 'shublsakravi' is round and nibs gradually become narrower and end with a clinch.

The collections of Kutaisi state Museum keep old samples of 'shublsakravi'. (pictures a,b)

In 30-years of XIX century a so called high 'chikhti' became popular. From the very beginning the 'chikhti' used to be very high, about the same size as 'shustaki'. Later this element became much lower. (3,23)

There are 7 'chikhtikopi' preserved in the Textile fund of the museum. They got here from all parts of the country.

'Lechaki' is also a very important element of the Georgian headdress. They usually were made of blonde. The 12 samples of 'lechaki' represented in the Textile fund are made of this material. There is also one silk 'lechaki' in the collection. This is an interesting fact that this element of headwear had a special purpose as well. By wearing/not wearing 'lechaki' you could distinguish married/ single women. A married women wrapped a part of her neck with 'lechaki', but a single woman didn't.

The final element of a traditional headdress was a 'bagdadi'. It was made of silk, mostly of black, blue, or purple color. The shape of the element was rectangular. 'Bagdadi' was mostly worn by aged women. The young ones put it while going out only.

'Bagdadi' preserved in the Textile fund is made of black silk and has various ornaments on it. It first got into the museum in 1969 from a lady named LidaPkhakadze who lived in Kutaisi. According to her words ' bagdadi' was called ' a scarf of nine crosses'.

Traditionally, Georgian women were very good at needlework. The fancyworks they made were really very neat and beautiful. Everything was done according their traditions and customs.

Modern Georgian women don't wear headwear. Only entering a church they put on a scarf. Nowadays only very religious women or women occupying a certain ecclesiastical position wear headwear permanently.

ელისო ჩუბინიძე

ნაქარბოვა — უძველესი ტრადიცია ქართულ ხელოვნებაში

საქართველო თავისი კულტურული მრავალფეროვნებითა და უნიკალობით მსოფლიოში გამორჩეული ქვეყანაა. მდებარეობდა რა ძველი სამყაროს ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე, აქტიურად იყო ჩართული წინა აზიისა და ხმელთაშუა ზღვისპირეთის ინტენსიურ კულტურულ ცხოვრებაში.

ამ მხრივ მის განვითარებას ორი ფაქტორი განაპირობებდა—ერთი მხრივ, იგი წარმოადგენდა უძველეს ეროვნულ ტრადიციებზე დაფუძნებული ორიგინალური კულტურის კერას, მეორე მხრივ კი იგი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის გადებული თავისებური ხიდი იყო. სხვადასხვა დროს საქართველოზე ნაირგვარ მხატვრულ მიმდინარეობათა გზები გადიოდა. ჩვენს მიწა-წყალზე ყოველი მათგანი თავისებურ კვალს ტოვებდა, რაც ერთგვარ სტიმულს აძლევდა ხელოვნების ტრადიციული დარგების ინტენსიურ განვითარებას. ამიტომაცაა, რომ უცხოელ მოგზაურებს, მწერლებს, მკვლევარებს ქართული კულტურა ანდამატივით იზიდავდა. საქართველოში ისინი ეგზოტიკას ხედავდნენ — კულტურას, რომელიც არც აზიური იყო, არც ევროპული. ეს იყო თვითმყოფადი ერის მიერ საკუთარ შინაგან „მე“-ზე დამყარებული კულტურა.

ქართული ხელოვნების სხვადასხვა დარგის ძეგლებმა—ფრესკულმა მხატვრობამ, ლითონის პლასტიკამ, ოქრომჭედლობამ წიგნის შემკულობისა თუ ტიხრული მინანქრის ხელოვნებამ ჩვენამდე მოიტანა ძველ ქართველ ოსტატთა დახვეწილი გემოვნების არაერთი შესანიშნავი ნიმუშები.

რაც შეეხება ხელსაქმეს, მას საქართველოში უძველესი ტრადიცია ჰქონია. როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს ქსოვა-მქარგველობა ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში ყოფილა გავრცელებული. ხალხური ხელსაქმე ტრადიციულ ქართულ ოჯახებს წესად მოსდევდათ. (სურ. 1) რთვა-ჩეჩვა, ქსოვა, ქარგვა, ქართულ ოჯახში ყველა ქალს უნდა სცოდნოდა. პატარძალს თავისი ნაქსოვი, ხურჯინ-ჯეჯიშები და წინდები ქმრის ოჯახისათვის მიჰქონდა. [ჯავახიშვილი ი. 1982 მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის. თბილისი ტ. II, 5,6] ქართული ფეიქრობისა და ქარგულობის ნიმუშები მარტო იმის დამადასტურებელი როდია, რომ საქართველოს ყველა კუთხეში გასული საუკუნის 30-იან წლებამდე ხელსაქმე ფართოდ გავრცელებული ყოფილა, არამედ იმისაც, რომ ეს ნიმუშები დახვეწილი მხატვრული გემოვნების, უზადო შესრულების დონის და საოცარი მრავალფეროვნების სინთეზს წარმოადგენენ. ადრეული საუკუნეებიდან ამ დარგის განვითარებისათვის ხელი შეუწყვია ადგილზე წარმოებული ნედლეულის არსებობას სელის, ბამბის, აბრეშუმის, ოქროს და ვერცხლის სახით. ამის უტყუარ მონუმობას არქეოლოგიურ სამარხებში აღმოჩენილი ქვის, თიხის თუ სელის კვირისთავები და ქსოვილთა ნაშთები წარმოადგენენ. ამასვე მონუმობენ უცხოელ ისტორიკოსებისა თუ მოგზაურთა ჩანაწერებიც. სტრაბონის გადმოცემით, კოლხური სელის ქსოვილები განთქმული ყოფილა ანტიკურ ქვეყნებში და მეტოქეობას უწევდა ეგვიპტურს. [ამირანაშვილი შ. 1971: ქართული ხელოვნების ისტორია. თბილისი.73] მისი წარმოება და დამზადება საქართველოში უძველესი დროიდან ხდებოდა. იგი იმგვარი ოსტატობით კეთდებოდა, რომ საქართველოს გარეთაც იყო ცნობილი ე.წ. „კოლხური სელი“.

ხანგრძლივი ისტორია აქვს ბამბის ქსოვილის წარმოებასაც. [მესხია შ. 1962. ხელოსნობა ძველ საქართველოში. თბილისი. 167] ისტორიის მამად წოდებული ჰეროდოტე (485-422 ჩვ.წ.ა) გვაუწყებს, რომ, იმდროინდელი კავკასიის მთიელნი ბრწყინვალედ ქსოვდნენ, ქარგავდნენ „ხეების ფოთლებს, რომლითაც იკვებებიან კიდევ, ნაყავენ ურევენ წყალს და ამით ხატავენ ტანსაცმელს, ის ნახატი არ ხუნდება, არამედ ცვდება“. [ჰეროდოტე. 1975 ისტორია. თბილისი. 28] საქართველოში აბრეშუმის კულტურის შემოტანას ვახტანგ გორგასლის სახელს უკავშირებენ, თუმცა ამ ქსოვილის წარმოების საიდუმლოება ქართველებს უფრო ადრე სცოდნიათ. უძველესი აბრეშუმის ქსოვილი არმაზის ხევშია ნაპოვნი და ჩვ.წ. II საუკუნეს მიეკუთვნება. ქსოვილის ხლართის აღნაგობის მიხედვით კი მისი ქართული წარმომავლობა დასტურდება. [ლურსმანაშვილი ლ. 2009: ძველ საქართველოში გავრცელებული აბრეშუმის ქსოვილთა სახეები. კრებული. საისტორიო ვერტიკალები №19. თბილისი. 101]

საქართველოში ძვირფასი ლითონების ძაფის ქარგვის უძველესი ტრადიციებზე მეტყველებს ელია სპარტიანის ცნობა იმის შესახებ, რომ იბერიის მეფე ფარსმანმა (1176) რომის კეისარს — ადრიანეს საჩუქრად გაუგზავნა სამასი ხელი ძვირფასი ოქროთი შემკული წამოსასხამი (ოქროქსოვილი). [დავითაშვილი ქ. 1973: ძველი ქართული ნაქარგობა ხელოვნება. თბილისი. 3.] არმაზის ვერცხლის თასზე, სადაც არდაშარ I პიტიახშია (226-241) გამოსახული, სამოსელის აბრეშუმის ქსოვილის სახე შესრულებულია გასაოცარი ოსტატობით. [ამირანაშვილი შ. 1971: ქართული ხელოვნების ისტორია. თბილისი. 95-96] ყველა აქ მოყვანილი მასალა იმის დასტურია, რომ ჩვენს წინაპრებს კარგად სცოდნიათ და ძალიან ჰყვარებიათ ხელსაქმარი. V საუკუნეში დიდებულთა მანდილოსნები აბრეშუმის ქსოვით და ქარგვით ყოფილან დაკავებულნი. „შუშანიკ ნაცვლად ჭიჭნაუხტის საქმისა დიდითა გულმოდგინებითა ხელთა აღიხვნა დავითნი! და იგი ფსალმუნი დაისწავლა“ [ცურტაველი. ი. შუშანიკის წამება 475-483წწ.] როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს IX საუკუნიდან აბრეშუმი უკვე ექსპორტის საგნად ქცეულა: „საქართველოდან გაჰქონდათ ბამბა, მატყლი, აბრეშუმი, ტანისამოსი, ხალიჩები... საქართველოს საექსპორტო ვაჭრობის ერთ-ერთ საგანს საუცხოო ოქროქსოვილებიც: ფარჩა-აბრეშუმიც წარმოადგენდა“. [ჯავახიშვილი ივ., 1962 წ. „მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის“ — თბილისი. საქ.მეც. აკადემიის გამომც. 390] ქართველი ქალის მიერ ნაქარგს აღტაცებაში მოჰყავს, როგორც ქართველი ისე უცხოელი ისტორიკოსები. მოგზაური მარკო-პოლო XIII საუკუნეში წერდა: „საქართველოში დიდძალი აბრეშუმი, აბრეშუმის ძაფიდან ამზადებენ აბრეშუმისა და ოქრონარეც ქსოვილებს, რომელთაც უფრო ლამაზს ვერსად იპოვნი“. [დავითაშვილი ქ. 1973: ძვ. ქართული ნაქარგობა] ძველ საქართველოში აბრეშუმის ქსოვილთა აღმნიშვნელ სხვადასხვა ტერმინებს შევხვდებით. მაგალითად:

„ჭიჭნაური, „ჭიჭნაუხტი“ — სულხან საბას განმარტერბით აბრეშუმის ქსოვილს ნიშნავს და ქართულ წერილობით წყაროებში მე-V საუკუნიდან იხსენიება. X საუკუნეში „ჭიჭნაუხტის“ აღსანიშნავად იხმარება. ჰარირი, (არაბული), ხარა (სპარსული — მაგარს ნიშნავს, საბას ლექსიკონში ხარა უცხო ოქროქსოვილადაა განმარტებული) და აბრეშუმი (სპარსული).

სტავრა — სპარსული ტერმინია და ქართული წერილობით წყაროებში VIIIს-დან გვხვდება. სულხან-საბას განმარტებით „სტავრა- სირმის ნაქსოვია“.

დიბა- სპარსული სახელწოდებაა. XIV საუკუნიდან გვხვდება, სულხან -საბას განმარტებით „ დიბა ქართული არ არის, დაბეგი ჰქვიან“ რაც იგივე სტავრაა.

ფარჩა - „თურქთა ენაა ნაჭერს ჰქვიან“. [ორბელიანი ს.ს. 1991. 1993: ლექსიკონი ქართული ტ.1. ტ.ი. 185. 210] იგი რთულსახიანი მხატვრულ-დეკორატიული ქსოვილია, რომელსაც აბრეშუმის ქსელი ჰქონდა, ხოლო მისაქსელი შედგებოდა ოქროს ან ვარცხლის არშირებული ძაფისაგან. ფარჩას მაღალი კლასის წარმომადგენელთა და საეკლესიო მსახურთა სამოსის შესაკერად იყენებდნენ.

ოქსინო — ხავერდისმაგვარი ოქროს ქსოვილია, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული როგორც საქართველოში, ისე სხვაგან. ხავერდის, ატლასისა თუ ფარჩის მსგავსი. მას ბიზანტიაში XVს-მდე აწარმოებენ, საქართველოში XVIIIს-მდეა ცნობილი. მოხსენებულია საისტორიო თხზულებებში. საბას განმარტებით ოქსინო „ოქროქსოვილი ხავერდი, გინა მისი ფარდაგი მოსაფარდაგავი იყო“.

აბრეშუმის ქსოვილის სახელწოდებაა — ლარი- (თუმცა იგი სხვადასხვა ქსოვილის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინიც ყოფილა.) ლარი ვახუშტი ბატონიშვილსაც აქვს მოხსენიებული. „აბრეშუმს აკეთებდნენ და ქსონ ლარს არა დიდფასსა, უოქრომკედოსა“. „ქსოვილი ოქრომკედითა“ — ოქროქსოვილად იწოდებოდა. ზოქროქსოვილი ტანისამოსი არაერთგანაა მოხსენიებული „ამირან დარეჯანიანში“, „ვისრამიანში“, „ვეფხისტყაოსანში“. [შ. მესხია 1971: საისტორიო ძიებანი. ტ1. 89-91]

თუ ჩვენი ქვეყნის წარსულს გავიხსენებთ და მასალების ნაკლებ გამძლეობას გავითვალისწინებთ, გასაგები იქნება ის ფაქტი, რომ უძველესი ძეგლები ქართული ხელსაქმისა დღემდე არ არის შემონახული. ნაქარგობისა და ქსოვილის მხატვრული დამუშავების ადრეულ ეტაპებზე მსჯელობა კედლის მხატვრობის, ხატუნის, ჭედური ხელოვნებისა და მინიატურის ნიმუშების მიხედვითაა შესაძლებელი.

სომეხი მემკვიდრე მოსე კალანკატოელი ბიზანტიის იმპერატორს ჰერაკლეს აუწყებს, ხაზართა

მიერ ტფილისის აღებისა და გაძარცვის აღწერას. ცოცხლად და ხატოვნად ჩამოთვლის საქართველოს დედაქალაქის აურაცხელ მხატვრულ სიმდიდრეს, რომელიც მტრის დავლა გამხდარიყო..., ხელი მიჰყევს საგანძურებს. მთელი სიმრავლე მეომრებისა მძიმედ დატვირთული მიდიოდა თავის ბატონთან და მიჰქონდა ნადავლის ზვინები და ხვავები. იმდენი მოჰყარეს, რომ თვალს წყალი ელეოდა ოქროსა და ვერცხლის ნაქნარების უთვალავ რაოდენობის ცქერაში. ერთ უთქმელია თვალ-მარგალიტით მოოჭვილ, საეკლესიო სამკაულ-სამსახურებლის ამბავი, რომელიც წაიღეს". [ს. ჯანაშია 1949: ფეოდალური რევოლუცია საქართველოში. შრომები. 94.95 თბილისი]. ეს ცნობები უმდიდრესი მხატვრული საგანძურის შესახებ VI-VII საუკუნეთა მიჯნას ეხება. ეს ის პერიოდია, როდესაც ახალმა ქრისტიანულმა რელიგიამ, ახალმა მსოფლმხედველობამ ქართველ ხელოვანთა წინაშე ახალი განსხვავებული ამოცანები დასახა. მათ სახიერ, ხილულ ფორმებში მართლმადიდებელი ეკლესიის არსი უნდა აემეტყველებიათ, რომელიც სარწმუნოებრივი აღმსარებლობის გამომხატველ მხატვრულ სახეებსა და ფორმებს მოითხოვდა. ხელოვნების სხვადასხვა დარგი ცალ-ცალკე ერთმანეთისაგან მოწყვეტილად არ გაიზარებოდა და არც არსებობდა, არამედ შეადგენდა ერთიან, დიდ სულიერ მთლიანობას, რომელიც ქრისტიანულ ტაძარში იყო განხორციელებული. ამ პერიოდიდან სასულიერო პირთა სამოსისა და საღვთისმსახურო დანიშნულების ნივთთა შემკობისა და მორთვის ხელოვნებას ქარგული ელემენტებით ახალ ეტაპზე აჰყავს ხელსაქმე.

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ქსოვილების ფონდში დაცული ნაქარგობის მდიდარი კოლექცია ადასტურებს, რომ ქართველებს გამოკვეთილი ესთეტიური აზროვნება ჰქონდათ. თვალსაჩინოა ნაქარგობათა ერთგვარად განსხვავებულ კომპოზიციათა მატარებელი ნიმუშები, რომლებიც ადგილობრივი, ერთმანეთისაგან განსწავლული ოსტატების ხელიდანაა გამოსული. ქართველ ქალთა უმეტესობას ქარგვის ხელოვნებისადმი დიდი ინტერესი ჰქონდათ. ოქრომკვეთა და ფერადი ძაფებით ნაქარგი გულისპირი და სარტყელი მათ მაღალ მხატვრულ გემოვნებაზე მეტყველებს, რომელიც დიდ ოსტატობასთან ერთად დიდ გულმოდგინებასაც მოითხოვდა. ვინ მოთვლის რამდენი მხატვრის და პოეტის შთაგონების წყარო გამხდარა ქართულ ტანსაცმელში გამონყობილი ქართველი ქალი. (სურ. 2) რამდენი მოგზაური და უცხო სტუმარი მოხიბლულა მისი ეშხითა და კდემამოსილებით, ქართული პოეტური ფოლკლორის რამდენ ნიმუშში ამღერებულა ჩვენი ქალების შინ და ლაზათი. სადღეისოდ ქართული ეროვნული ნაქარგობის, როგორც კაბის გასაწყობი საშუალებების ნიმუში მხოლოდ სამუზეუმო ექსპონატებად შემოგვრჩა. (სურ. 3) იქარგებოდა ტანსაცმლის დეტალები, ქალისა და კაცის თავსაბურავები- ჩიხტები, ლეჩაქები, მოსახვევები, ყაბალახები, ფაფანაკები, ბოლჩები, ქისები, მურთაქის პირები.... შინაარსით მრავალფეროვანი, მცენარულ-გეომეტრიული ორნამენტებით გამოხატული, ზოგჯერ სტილიზირებული ცხოველთა და ფრინველთა გამოსახულებებით. მათი ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ დეკორი არასოდეს მეორდება. ყოველი ოსტატი ცდილობდა გამოეველინა საკუთარი ფანტაზია და შეეცანა სიახლე ქსოვილთა დეკორატიულ მორთვაში.

ძველად საქართველოში ხელსაქმის ძირითადი კერები ეკლესია-მონასტრები, მეფისა და დიდგვაროვანთა სასახლეებში შექმნილი სკოლები უნდა ყოფილიყო. მართალია ამის შესახებ დოკუმენტური მასალა არ მოიპოვება, მაგრამ თვით ნაქარგ ნივთებზე მოთავსებული საქტიტორო წარწერები უტყუარი დასტურია ამისა. ისტორიკოსის ცნობით წმ. მეფე თამარი მოწყალეობას მხოლოდ საკუთარი ხელით ნაქსოვ-ნაქარგიდან გასცემდა. „ხელთ-საქმარი მისი განყიდის და ეგეოდენ ფასი გლახაკთა ახელსაქმარის და მისცის არა სამეფო შემოსავალთაგან" (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი). ფეოდალის კარზე ქარგვაში სპეციალურად დახელოვნებული ოსტატი ან ოსტატთა მთელი გუნდი მონაწილეობდა. ეს ოსტატობა თაობიდან—თაობაზე გადადიოდა თუნდაც ერთსა და იმავე გვარში. ფეოდალის ოჯახისათვის საჭირო სამოსელის, ავეჯის გადასაფარებლად, ბალიშების და სხვა ნივთთა შესრულება ცხადია საკმარისი იქნებოდა ამ ოსტატთა სამუშაო დღის შესავსებად. [ბერიძე ვ. 1983. ქართული ნაქარგობის ისტორიიდან გარდამოხსენები].

წმინდა მამები ქარგვას წმინდა საქმედ თვლიდნენ. მონასტრებში მქარგველები და ხატმწერები სამუშაოს შესასრულებლად ისევე ემზადებოდნენ, როგორც ღვთისმსახურების აღსავლენად. სამუშაოს დილის საათებში იწყებდნენ — საზრდოს მიღებამდე. სამუშაოს დაწყების წინ ლოცვა აღევლინებოდა იმ წმინდანის მიმართ, რომელიც უნდა მოექარგათ. ქარგვისას იკითხებოდა ფსალმუნე-

ბი, მაშასადამე ნაქარგობა იქმნებოდა სულიერ ატმოსფეროში. ლოცვითი გარემოს შექმნა ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი იქნებოდა ნაქარგობის შესაქმნელად. ქარგვის პროცესს სჭირდება სიმშვიდე, სიმყუდროვე, დაკვირვება. დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა თვითონ მქარგველის სულიერ მდგომარეობას, რაც მის მიერ შექმნილ ნამუშევარზეც გადადიოდა, შეიძენდა მაღლს, კურთხევას. სწორედ ამიტომ გვეუფლება საეკლესიო ნაქარგობათა ხილვისას უდიდესი მონინების გრძნობა. (სურ. 4) ასომთავრულით შესრულებული საქტიტორო ლიტურგიული წარწერები გვაუწყებენ, რომ „დაფარნა-ჰერეჟელების“, „გარდამოხსნის“, „ენქერების“, „ოლარ-ომოფორების“, „სარტყელების“, „საბუხარეების“ თუ „კრეტსამბელების“ შეწირვა თავისი „ცოდვილი სულის საოხად“ ან „ორთავ ცხოვრებასა წარმართებისათვის“ ან „ძეთა და ასულთა აღსაზრდელად“, მეფე-დედოფალთ და წარჩინებულებს ჩვეულებად ჰქონიათ. ზოგჯერ ნაკლებმემძლენიც სცდილობდნენ ეკლესიისათვის საკუთარი ხელით შეკერილ-მოქარგულის მიძღვნას. ქრისტიანულ ხელოვნებაში ხშირად შევხვდებით ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის გამოსახულებას, რომელსაც წინ მატყლი უდევს, ხელში თითისტარი უჭირავს და ქსოვს. როგორც ჩანს ქართველ კეთილგონიერ ქალთ წესად ჰქონიათ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ცხოვრების მიბაძვა.

საეკლესიო მსახურებისათვის განკუთვნილი ნივთები, გარდა ფუნქციური დანიშნულებისა, მხატვრული შემოქმედების ნიმუშსაც წარმოადგენენ. იმ დროისათვის უკვე ჰქონიათ დეკორის მკაფიოდ შემუშავებული სისტემა, მისი განთავსება ქსოვილზე კი ღრმად გააზრებული იდეური პრინციპით ხდებოდა. ჩვენს დრომდე ნამუშევართა მცირე ნაწილმა მოაღწია. ზოგიერთი მათგანი წმინდა სიმბოლურ გამოსახულებებთან ერთად კონკრეტული ისტორიის თხრობას გადმოგვცემს, მაგ: უფლის ჯვრიდან გარდამოხსნას, სადაც ზეციურ არსთან ერთად მინიერი ადამიანები — წმინდანები არიან გამოსახული. ზოგ მათგანზე აღდგომის სცენაა წარმოდგენილი, ამალლების სცენა, მენელსაცხებლე დედები უფლის საფლავთან და სხვა კომპოზიციები. საეკლესიო ნაქარგობა ხატწერასთან ერთად ვითარდებოდა და იკონოგრაფიაში მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი შეჰქონდა. ხატწერისაგან განსხვავებით მასში ჩნდება ღრმა დეკორატიულობა ორნამენტების სახით. ფერადოვან გამას ამდიდრებდა ოქროს, ვერცხლის, აბრეშუმის ძაფის, ზეზისა და ძვირფასი ქვების ხმარება, რომელნიც ძვირფას ქსოვილებთან ერთად (აბრეშუმი, ხავერდი, ატლასი, ფარჩა) ნაქარგობას მდიდრულ და მარტო მისთვის დამახასიათებელ გამომსახველობას აძლევდა. იმ დროს, როცა საქართველოს ეკონომიკა საფუძვლიანად იყო შერყეული, ძვირფას ქსოვილთა და ნაქარგობათა რაოდენობა საოცრად მრავალი ყოფილა, ძირითადად ეკლესია-მონასტრებში იყრიდა თავს და დგებოდა წიგნები, რომლებშიც ეს ნივთები აღიწერებოდა.

გვიანი ხანის (XIV-XVIII) მხატვრული ქარგულობა გაცილებით უკეთ არის ცნობილი მზითვის წიგნებისა და სიგელ-გუჯრების მიხედვით. პირველი წერილობითი წყარო ეკლესიისათვის შეწირული ნივთების შესახებ არის ბაგრატ კურაპალატის 1040 წლის გუჯრის ნაწყვეტი, სადაც მოიხსენიება „ოქროვანი შესამოსელი“, ე.ი. ოქროს ძაფებით ნაქარგი საეკლესიო შესამოსელი.

ექვთიმე თაყაიშვილის მიერ 1894-1900 წწ. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არქეოლოგიური მოგზაურობის დროს შეკრებილი მასალიდან მრავლადაა მოხსენიებული ქარგული ნიმუშებიც: „სარტყელი აბრეშუმის ძაფით ნაკერი, რომელზედაც ხუცურად აწერია: ...ბეჟან დადიანის ასულმა თამარ შევაკერინე ეს სარტყელი სულისა ჩემისა საოხად, ვინც იხმაროთ თითო შენდობას ბრძანებდეთ. ამინ“.

„ენქერი მღვდელ-მთავრისა ოქროს კედით ნაკერი და მარგალიტებით შექერნილი“. [თაყაიშვილი ე. 1907: არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი. წიგნი I. თფილისი 51]

ხატები და ნივთები რუისის ეკლესიისა:

„სამღვდელმთავრო ომოფორი, სირმით ნაკერი;

შენიშნული მარიამ დედოფლის მიერ“....

წყვილი სამღვდელ-მთავრო ენქერი. ერთ მათგანს ლამაზი

ასომთავრულით აწერია;

„ქ: შები: მახვილი: შნი წელთა: შნთა: ძლიერო:

შენიერებითა: შენითა: მოიხსენე:

დედოფალი: რუსუდან: ან:”

საამღვდელმთავრო სარტყელი, რომლის აბზინდებზე მხედრულით აწერია:

„ქ... მოიხსენე: უფალო ბატონიშვი: ლევან: და: თანა:

მეცხედრე: ჩუენი: სულ: კურთხეული: გურიელის: ასული ბატონიშვილი

თუთა: რომელმან: შემოგწირეთ: სამარხსა: ჩუენსა: სვეტს ცხოველს: ვინც

გამოსწიროს: ისიმც: რისხავს.

(აქ მოხსენიებული ლევან არის ვახტანგ V შვილი და მისი მეუღლე, ქაიხოსრო გურიელის ასული თუთა.)

[თაყაიშვილი ე. 1907: არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი. წიგნი I. ტფილისი.109]

სარგის კაკაბაძე აღწერს 1776წლის საკათალიკოსო ტახტის საგანძურის

ნუსხას, დაცულს ბიჭვინთის საბუთებში:

... „ქ. დიბის ტიხარი, ორ რიგად არტყია არშია თვალმარგალიტისა.

ქ. ენქერი თვალ-მარგალიტიშეკერილი.

ქ. ერთი წყვილი მარგალიტის საბუხარები.

ქ. მარგალიტის ომოფორი სამი ოქროს ღილით.

ქ. თვალთა და მარგალიტით შეკერილი სარტყელი.

ქ. საკათალიკოსო ბარტყულა თვალ-მარგალიტით და ჯვრით განწყობილი.

ქ. დიდი ომოფორი მარგალიტისა.

ქ. ბისონი მწვანე ხავერდის სირმით ნაკერი თორმეტის ოქროს ღილით და

ორი ვერცხლის ღილით განწყობილი.

ოლარი თვალ-მარგალიტით ნაკერი.

პერექელები და დაფარნა სირმით ნაკერი”...

[კაკაბაძე ს. 1921: დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. თბილისის უნივერსიტეტის გამოცემანი „სიგელ-გურჯები” წიგნი II ტფილისი. 55-57]

„ ქ ერთი ბარძიმი მურასა თვალთა და მარგალიტთა მისის ფეშხუმ კამართა და ოქროს კოვზითა. სამი ბისონი მურასას ღილითა და მარგალიტითა, ერთი ომოფორი მარგალიტისა, ერთი ბისონი ხალასად შეკერული მისის მურასას ღილითა, ერთი სარტყელი თორმეტის ძაფითა, საბეჭური ხალასად შეკერული, ერთი ენქერი მომარგალიტებული მურასა, ერთი ბისონი ხავერდისა ათის ვერცხლის ღილითა, ოთხი დაფარნა გარეშემო შეკერული სირმითა. სამკლავე მარგალიტთა შეკერული, სამკლავე ოქროსი თვალთა და მარგალიტთა. (1700-1750წწ.) [კაკაბაძე ს.1921 დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. თბილისის უნივერსიტეტის გამოცემანი „სიგელ-გურჯები” წიგნი I ტფილისი. 161] ასეთი მდიდრული შესანიშნავი ჰქონიათ ქართველებს XIX საუკუნის ოციან წლებამდე. ასახავდა რა, თანადროული საზოგადოების გემოვნებასა და ინტერესებს, ქართული ნაქარგობის საშუალებით შესაძლებელია წარმოვიდგინოთ გარდასული ეპოქის კულტურისა და ხელოვნების ხასიათი.

ქართული ხელოვნების ერთ-ერთი ტრადიციული დარგი — ნაქარგობა, რომელიც წარსულის კუთვნილებადაა ქცეული, საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის ნაწილია, მსოფლიო მასშტაბით იშვიათ დარგს მიეკუთვნება და ქართველ ხელოვანთა თუ ხელოვნების ისტორიკოსთა მხრიდან ყურადღებას მოითხოვს. რამე თუ მათი მეცადინეობითაა შესაძლებელი წინანდელ დროთა ქმნილებების ღირსებისა და მნიშვნელობის ისევ და ისევ გაცნობიერება და წარმოჩენა.

ლიტერატურა:

1. ამირანაშვილი შ. 1971: ქართული ხელოვნების ისტორია. თბილისი.
2. ბერიძე ვ. 1983: ქართული ნაქარგობის ისტორიისათვის, გარდამოხსნები. „მეცნიერება”. თბილისი.
3. დავითაშვილი ქ. 1973: ძველი ქართული ნაქარგობა. ხელოვნება. თბილისი.
4. თაყაიშვილი ე. 1907: არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი. წიგნი I-II.
5. ლურსმანაშვილი ლ. 2009: ძველ საქართველოში გავრცელებული ქსოვილთა სახეები. საისტორიო ვერტიკალები. კრებული 19. თბილისი.

6. მესხია შ. 1962: საისტორიო ძიებანი. ხელოსნობა ძველ საქართველოში. თბილისი.
7. კაკაბაძე ს. 1921: დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები სიგელ-გუჯრები. №1,2. ტბილისი.
8. ორბელიანი ს.ს. 1949: სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი. თბილისი.
9. ჯავახიშვილი ივ. 1982: მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის. საქ. მეცნ. აკადემიის გამომცემლობა.
10. ჯავახიშვილი ივ. 1962: მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურისა ისტორიისათვის. საქ. მეცნ. აკადემიის გამომცემლობა.
11. ჯანაშია ს. 1949: ფეოდალური რევოლუცია საქართველოში. შრომები I. თბილისი.
12. ჭეროდოტე. 1975: ისტორია. თბილისი.

ELISO CHUBINIDZE

EMBROIDERY- AN ANCIENT TRADITION IN GEORGIAN ART

Georgia is famous for its cultural variety and uniqueness in the world. Its location on the crossroad of old civilization helped it to be involved in Asian and the Mediterranean cultural life. Two factors determined its development in this way: 1) it was a country with original culture founded on ancient national traditions; 2) it served as a bridge between Asia and Europe. Several cultures entered our country and influenced on our culture in its way, which prompted traditional art branches to develop intensively. That is why foreign travellers, writers, researchers got interested in culture of Georgia. They saw exoticism in Georgia-culture which was neither Asian nor European but original based on the nation's inner world.

Different works of art of different periods: fresco, plastic art, metal carving show the good taste of our ancient Georgian creators. As for handicraft it has long history in Georgia, as Ivane Javakhishvili remarks embroidery and knitting were popular even in the Bronze Age. It was the tradition of Georgian families. All women in a family should know knitting, scutching, and embroidery. A bride should bring her knitted socks and saddlebags to her husband's family. The samplers of Georgian weaving and embroidery prove not only that handicraft was popular in all regions of Georgia until 30s years of the past century, but refined taste of art, the best handwork and the synthesis of variety. The existence of raw materials: flax, cotton, silk, gold, silver supported the developments in the handicraft sphere. This is proved by archaeological evidence and foreign historians and travellers' records. According to Strabo Colchian flax textiles were well-known in antic countries and competed with Egyptian ones. The cotton textile fabrication also has a long history. As a father of history Herodotus informs us Caucasians were good at knitting, embroidery. The import of silk is connected with the name of Vakhtang Gorgasal, though Georgians knew silk fabrication earlier. The ancient silk textile was discovered in Armaz ravine A.D.2scd century.

Elia Spartiani informs us about the ancient traditions of precious metal thread embroidery, that king Farsman, the king of Iberia sent 300 cloaks decorated with golden thread to Rome Caesar Adriane as a gift. In the 5th century nobles' wives were busy knitting and embroidering.

As Ivane Javakhishvili remarks Georgia exported silk from the 9th century, also cotton, wool, clothes, carpets, golden textile –brocades. Foreign historians were excited about embroidered by Georgian women. Traveller Marco Polo once wrote about Georgia: "There are lots of silk in Georgia, Georgians make textiles from silk and gold thread which you will find nowhere"

There were different terms denoting silk in old Georgia: "chichnaukhti" according to Sulkhan-Saba dictionary it meant silk textile used from the 5th century. In the 10th century it was replaced by the following term "Hariri" it was of Arabian origin meant gold textile.

Stavra - Persian term occurred in Georgian written sources from the 8th century, according to Sulkhan-Saba dictionary it meant braid.

Diba- Persian name was used for braid from the 14th century.

Farcha- Brocade, a rich fabric woven with a raised pattern, typically with gold or silver thread. It was mainly used for clergyman and nobles' clothes.

Oqsino - gold textile, something like velvet. It was fabricated in Byzantine in the 15th century and in Georgia since 18th century.

Lari- is the name of silk textile (though it was used to denote textile in general). Vakhushti Batonishvili mentioned "Lari": they got silk and then wove it to get lari". It was textile called gold textile. Gold textile clothes are mentioned in many works of literature: "Amirandarejhaniani", "Visramiani", "The knight in the panther's skin".

If we look through the history of our country and take textiles' less durability into account we will be able to explain the fact of hardly having works of ancient Georgian handicraft. The talk about ancient embroidery and textiles' decoration is conditioned by the examples of wall painting, iconography, forging.

In his letter about Tbilisi conquer and pillage Armenian historian Mose kalankatoeli informed Byzantine emperor Heraclitus how the city was rich with priceless works of art. This information about the richest artistic treasure dates from 5th-7th centuries; it is a period when new Christian religion and new worldview brought lots of nuances. They had to express religious essences with the help of art. Different branches of art developed together, they presented the integrity of soul which carried out, developed in Christian churches. Since this period the embroidery and decoration of clothes of ecclesiastics became more important and needlework stepped on new stage of its development.

The rich embroidery collection kept in Kutaisi state historical museum proves that Georgians had distinct aesthetic thinking. Most of Georgian women had special interest and attitude towards embroidery art. They embroidered clothes, man and woman's headwear, cloaks, purses, cushions etc. They embroidered different things on them: herbal geometric ornaments, images of animals and plants. Their value lies in the fact that the decor had never recurred. They tried to reveal their own imagination and to bring innovations into textile decoration.

In the past in Georgia the main seats of needlework should be in churches and monasteries, schools founded in king and nobleman's palaces. Though we don't have documentary materials but the embroidered writings on the things can prove it. According to the historian Queen Tamar gave alms only from her own woven -embroideries. In feudal family a team of handicraftsmen participated in decorating furniture, covers, clothes, cushions and other things.

Holy fathers considered embroidery as a holy job. They got ready for embroidering so as they did for mass. Before they started embroidering they prayed for the saint they were going to embroider. During embroidering process psalms were being read. It was important to be quiet and calm atmosphere and the embroiderer to have calm mental state, as it was reflected in her work. Kings, queens and nobilities usually endowed church with their embroideries of saints for redemption. Even poor people did it. In Christian art we will often meet Saint Mary's image who is knitting, it means that for Georgian women it was a rule to imitate Saint Mary's life.

The things of ecclesiastics beside their function had artistic value. By that time they had already worked out decor system and it was placed on cloth according to deliberate principle. A few of them have reached to us. Some of them present a concrete historical scene e.g. Easter, Ascension scenes and others. Iconography and ecclesiastical embroidery developed together. But unlike the iconography embroidery was characterized by deep decorative ornaments. Colourful scale was enriched by the usage of gold, silver, silk thread and precious stones. At that time when the economy of Georgia was in crisis there were lots of precious textiles and embroideries in churches and monasteries. There were special books in which these things were recorded.

There is more information about artificial embroidery of the 14th-18th century's. The 1st written record about donations is 1040 Gujri's extract of David Kurapalati where gold clothes are mentioned.

Lots of examples of embroidery are mentioned in the gathered materials by Eqvtime Takhaishvili during his archaeological trip in Georgia's different regions 1894-1900: "waistband made of silk thread, on which there is a writing :I, a daughter of Bejan Dadiani have this waistband sewed for the sorrow of my soul, who wears it ask for forgiveness .Amen"

Icons and things of Ruisi church: "Bishop Cassock with galloon, donated by queen Mariam."

Sargis Kakabadze describes the Catholicons throne treasure list of 1776 year kept in Bichvinta documents: "Cassock with pearl and three golden buttons, waistband with pearls and precious eyes, byssos sewed with green velvet galloon with twelve golden and two silver buttons etc."

The wealthy donations of the 19th century present the taste and interest of Georgian society. With the help of embroidery we can learn about the character of the past epochs.

One of the traditional branches of Georgia culture-embroidery which now has become the past belonging is a part of Georgia history and culture. Worldwide, it belongs to rare branch and it needs attention from art historians, as only they can understand and present the values of the past epochs' works.

სურ.1 ესკიზი ნაქარგობისთვის.
ე. ჩუბინიძე 2010
ასახულია ხელსაქმის პროცესი.
დატვირთულია ორნამენტული
სიმბოლიკით.



სურ. 2 ქართველი ქალბატონი. გიორგი გა-
გარინი 1838-1855. ასახულია ქართველი ქალ-
ბატონი შემოსილი ნაქარგობებით შემკული
ოქროქსოვილით.



სურ. 3 იმერელი ბატონი. გიორგი გაგარინი
1839-1855. სამოსი შემკულია ქარგული დეტა-
ლებით.

ნოდარ აბაშიანი

ქორეთის ეკლესიის კარი

საქართველოში ოდითგანვე სხვა დეკორატიულ გამოყენებითი ხელოვნების სახეობათა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდა ხის მხატვრულად დამუშავება - ხეზე კვეთილობა.

ამის თვალსაჩინო მაგალითია უამრავი წერილობითი წყარო, დაცული როგორც ქართველ, ისე უცხოელ ავტორთა ნაშრომებში. ასევე საქართველოს მუზეუმებში დაცული ხეზე კვეთილობის უნიკალური ნიმუშები.

ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიული მუზეუმის ხის ფონდი ამ მხრივ საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანია. აქ დაცულია რამდენიმე ასეული ხის უნიკალური ნივთი. ფონდში დაცულია როგორც საეკლესიო, ასევე სამეურნეო თუ საოჯახო ყოფისათვის დამახასიათებელი იარაღ-ინვენტარი. მუზეუმში დაცული უძველესი ხის ნივთები XI საუკუნით თარიღდება.

სწორედ XI საუკუნითაა დათარიღებული* ს. ქორეთის უდერძის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის** კარი (საინვენტარო № - 6393). „ეკლესიის ძველი კარი ვაზისა, 158 x 75 სმ, შემკულია ლომებისა და სხვა საქებით, დაზიანებული (გამსკდარია ორად — ზევიდან ქვევით)“***. სწორედ ასე აღწერს კარს გ. ბოჭორიძე, რომელმაც 1926 წ. წარმოადგინა კარი მუზეუმში.

კარი ერთფართიანია, ჩატარებულმა მიკროსკოპულმა ანალიზმა აჩვენა რომ კარი კაკლის მერქნისაა და არა ვაზის****. როგორც ითქვა კარი შუაზეა გამსკდარი. ოსტატს ფიცრების შესაერთებლად გამოუყენებია ორი ხის და ერთი რკინის ლურსმანი. ძველი არა მარტო შუაზეა გახეთქილი არამედ სხვა ბზარებიც აქვს გაჩენილი. რამოდენიმე ადგილას აქვს გამჭოლი ხვრელი. ფიცარი გათლილია ნაჯახით. გამოსახულება ნაკვეთია დანით. რაც შეეხება კვეთილობას ფონი ჩალრმავებულია, ჩუქურთმის სახე მალაღი.

კარის მთელი არე დაწნული ლენტით გაყოფილია ოთხ ნაწილად, რითაც არატოლმკლავიანი ჯვრის ფორმას ვიღებთ. ასეთივე წნული ლენტი კარებს დაჰყვება მარცხენა ნაპირზედაც (მარჯვნივ ჩამოჭრილია). ჯვრის ცენტრში ექვსკუთხედიანი მცირე ზომის ბორჯღალია ამოკვეთილი. როგორც ითქვა წნული ლენტი კარის მთელ არეს ოთხ სწორკუთხედად ყოფს, ზემო სწორკუთხედებში სიმეტრიულად მოცემულია ოთხი წრე — მედალიონი, რომელთა შორის გამოსახულია ერთმანეთის პირისპირ მდგარი ფასკუნჯების გამოსახულება.

სწორკუთხედის ზემოთა მედალიონები ერთნაირი არ არის. მარცხენა მედალიონში ჩასმული ჯვრის ცენტრში რომბია გამოსახული. მსგავსი გამოსახულებები შედარებით რთული თუ მარტივი ვარიაციებით ქორეთის კარის თანადროულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა დეკორში საკმაოდ ხშირად გვხვდება (მაგ. ბაგრატის ტაძარი, აგარა და სხვა****).

მეორე მედალიონში ტოლმკლავიანი დაწნული ჯვარია მოცემული. წრეში თუ წრის გარეშე ტოლმკლავიანი წნული ჯვრის გამოსახულება სხვადასხვა ვარიაციებით ასევე ხშირია ქართული ხელოვნების ძეგლებზე. უფრო გართულებული მოტივით მას ვხვდებით სვიფის მეორე წყვილის

* Н. Чубинашвили. Грузинская средневековая художественная резьба по дереву. (перелома X-XI вв). Тб. 1958. ст. 85.

** ს. ქორეთში ორი ეკლესიაა, ერთი 1000 წლით დათარიღებული ღვთაების ეკლესიაა, მეორე კი გვიანი შუასაუკუნეების ე.წ. უდერძის წმ. გიორგის სახელობის ტაძარი. ძველი სათქმელია XI ს. კარი როგორ მოხვდა გვიანშუასაუკუნეების ტაძარში. შესაძლოა გ. ბოჭორიძეს მექანიკური შეცდომა მოუვიდა, შეეშალა ტაძრის დასახელება.

*** გ. ბოჭორიძე, იმერეთის ისტორიული ძეგლები. თბ. 1995 წ. გვ. 137.

**** ი. უზნაძე, XI საუკუნის დეკორატიული ძეგლი ლაშქვანი. თბ. 1962 წ. გვ. 53.

***** ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტი. ტექსტი, მასალის შერჩევა და ორნამენტი რ. შმერლინგისა. ტაბულეზი შეადგინა ა. კრავჩენკომ. თბ. 1954 წ. გვ. 42, 49.

პირველ მედალიონში, ნულრულაშენის სარკმლის საპირეზე, ასევე ნიკორწმინდის, იკვის, ახტალის თუ სხვა ტაძართა დეკორში*.

ამ მედალიონებს ქვემოთ სიმეტრულად მოცემულია ორი ფასკუნჯის გამოსახულება. გრიფონები ერთმანეთს უყურებენ და ერთმანეთისკენ არიან მიმართულნი. ცხოველებს სხეულის ნახევარი — თავი და წინა ფეხები ლომისა აქვთ (და არა ცხენის როგორც ი. უზნაძეს მიაჩნია). ფრთები ორმაგია, ერთი წყვილი ზემოთაა აშლილი, მეორე — ქვემოთ. ორივე ცხოველის პოზა მსგავსია: ერთი ფეხი მკერდის წინა აქვთ აწეული. დაღებული ხახიდან ენაა გადმოგდებული. ორივე ცხოველის კისერზე ჭდეებით გამოყვანილია ფაფარი. თათებზე ამკარად შეიმჩნევა ბრჭყალები. ზემოთ აცქვეტილი ყურები ლამაზად არის გამოყვანილი. მარცხენა ფიგურაზე ჩანს თვალის ჭრილი. მარცხენა გამოსახულება უფრო დახვეწილადაა დამუშავებული. ფორმები უფრო რეალისტურია. რასაც ვერ ვიტყვით მარჯვენა ფიგურაზე, ის უფრო უხეშად და ნაჩქარევი დამუშავების შთაბეჭდილებას ტოვებს, ფეხების განლაგებაც არარეალისტურია. გამოსახულების გარშემო თავისუფალი არე შევსებულია სტილიზებული ორნამენტით. ფასკუნჯების გამოსახულება საკმაოდ ხშირია X — XI ს. ძეგლებზე მაგ. ბაგრატის ტაძარი, ნიკორწმინდა, სამთავისი. თუმცა განსაკუთრებულ მსგავსებას ამჟღავნებს ნიკორწმინდის ტაძრის სამხრეთი კარიბჭის ჩრდილო მონაკვეთზე გამოსახულ ფანტასტიკურ ცხოველებთან**.

ფასკუნჯების გამოსახულების ქვემოთ ორივე მხარეს ისევ ორი მედალიონია შიგ ჩასმული ექვსკიმიანი ვარსკვლავის სახით. ე. წ. დავითის ვარსკვლავი ასევე დასტურდება ქართულ ძეგლებზე (მაგ. ზემო სკრა).

ქვემო სწორკუთხედების არე დაფარულია პატარ-პატარა ნრეებით, რომლებისგანაც ვლებულობთ ე. წ. „ხუთეულებს“, რომლის ანალოგიას ვპოულობთ ნულრულაშენის სარკმლის საპირეზე.

ქორეთის ეკლესიის კარი ქართული ხეზე კვეთილობის უნიკალური ძეგლია და კარგად აჩვენებს ხის მხატვრულად დამუშავების იმ მაღალ დონეს რომელიც არსებობდა XI ს. საქართველოში.

ლიტერატურა:

1. ი. უზნაძე. 1962 წ. XI საუკუნის დეკორატიული ძეგლი ლაშქედან. თბ.
2. გ. ბოჭორიძე. 1995 წ. იმერეთის ისტორიული ძეგლები. თბ.
3. ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტი. 1954 წ. ტექსტი, მასალის შერჩევა და ორნამენტი რ. შმერლინგისა. ტაბულები შეადგინა ა. კრავჩენკომ. თბ.
4. ნ. ალადაშვილი. 1957 წ. ნიკორწმინდის რელიეფები. თბ.
5. Н. Чубинашвили. 1958, Грузинская средновековая художественная резьба по дереву. (переломы X-XI вв). Тб.

NODAR ABZHANDADZE

KORETI CHURCH DOOR

Since olden times the artistic processing of wood - wood engraving was very popular in Georgia among other kinds decorative applied art.

The eminent example of this is many written resources saved in the works of Georgian as well foreign authors. Also there are saved the unique models of wood engraving in Georgian museums.

From this view the wood stock of Kutaisi N. Berdenishvili Historical Museum is very rich and various. There is saved

* ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტი. თბ. 1954 წ. გვ. 65,76.

** ნ. ალადაშვილი. ნიკორწმინდის რელიეფები. თბ. 1957 წ. ტაბულა 31.

several hundreds of unique wooden thing. In the stock is saved the instruments and inventory of church, economic or domestic characteristic. The ancient wooden things saved in the museum are dated with XI century.

Just with XI century is dated the door of Koreti Uderdzi St. George Church (stock number B-6393). “The ancient door of the church is made of vine, 158X75sm. The door is decorated with lions and other faces. The door is damaged (it’s split into two parts from the top to the bottom)”. Just with these words is described the door by G. Bochoidze who presented it in the museum in 1926.

It’s a single-leafed door. The microscope analysis displayed that the door is made of nut-tree wood and not vine As its’ mentioned above the door is split in two. For joining the boards the master used two wooden and one iron nail. The monument isn’t only split in two but it has other cracks as well.

On some places it has through hole. The board is hewed with axe. The background is engraved with knife. It’s deep and the ornament is high. The whole door is divided into four parts with twisted ribbon which makes the unequal-arm cross.

The upper medallions of the rectangles aren’t equal. In the center of the cross, placed in the left medallion, is shaped a rhomb. Such kind of figures with difficult or easy variations are often found in the decor of the modern architectural monuments of Koreti Door (for example: Bagrati temple, Agara and others).

Such kind of twisted ribbon is made on the left of the door. (In the center of the cross is shaped hexagonal star. As it is mentioned above, the twisted ribbon divides the door into four rectangles. In the upper rectangles is shaped the figure of the fire-birds facing one another.

In other medallion there is given equal-arm twisted cross. In or out of the circle the image of the equal-arm cross is often displayed with different variations on Georgian monuments. We meet it with more difficult motive in the first medallion of other pair of Svipi, on the edge of the window of Tsugrugasheni, also in the decor of Nikortsminda, Ikvi, Akhtala or other temples.

Below these medallions there are symmetrically placed the figures of two fire-birds. The griffins face one another. The half body of animals – head and front legs are of lion (but not of horse as its’ considered by I. Uzmadze). The wings are double. One pair is spread up and other-down. The pose of both animals is same: one leg is raised in front of the chest and the tongue hanging out of the throat. On the neck of both animals is engraved the mane. On the paws of animal are observed claws. The pricked up ears are shaped skillfully. On the left figure there is engraved the eye section. The left figure is more refined. The forms are realistic. But we cannot say the same for the right figure. It’s made more roughly and it makes impression of prompt processing, and the legs aren’t realistic as well. The free place round the figure is filled with stylized ornaments. The figures of the fire-birds are very frequent on the monuments of the X-XI centuries as are: Bagrati temple, Nikortsminda, Samtavisi. Though it’s significantly resembled to fantastic animals engraved on the north side of the south gate of Nikortsminda.

Below the figures of the fire-birds on both sides is placed two medallions as hexagonal star. So-called David’s star is also confirmed on Georgian monuments (for example: upper Skra).

The area of the below rectangles is covered with small circles which make so-called “Five” which analogue is found on Tsugrugasheni window edge.

Koreti church door is the unique monument of Georgian wood engraving and displays high level of wood artistic processing in Georgia in the XI century.



ნანა ევაძე

საზიარებელი ჭურჭლის ფეშხუმი-ბარძიმის განმარტებისათვის

შვიდ უდიდეს საიდუმლოთაგან: ნათლობა, მირონცხება, ზიარება, ხელადასხმა (მღვდელობა), ქორწინება, სინანული და ზეთის კურთხევა, რომელიც ყველა მართლმადიდებელ ეკლესიაში სრულდება ერთ-ერთია ზიარება. ეს არის საიდუმლო, რომლითაც მორწმუნე პურისა და ღვინის სახით მიიღებს იესო ქრისტეს ჭეშმარიტ ხორცს და სისხლს საუკუნო ცხოვრებისათვის, რომელიც სამოთხიდან გამოძევების შემდეგ დაკარგა კაცობრიობამ. წმინდა ზიარების საიდუმლო იესო ქრისტემ დაანესა თავისი ვნების და სიკვდილის წინ საიდუმლო სერობაზე (ძველი აღთქმისეული პასექის დასრულების შემდეგ) როცა აღიღო პური, აკურთხა, განტეხა, მისცა მოციქულებს და უთხრა: „ესე არს ხორცი ჩემი თქვენთვის მოცემული, ამას ყოფდეთ მოსახსენებლად ჩემდა (ლუკ.-22,19) შემდეგ აღიღო სასმისი, მისცა მათ და უთხრა: „სუთ ამისაგან ყოველთა: ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქმისა, მრავალთათვის დათხეული მისატევებლად ცოდვათა“ (მათ. 26. 27. 28.) ამრიგად დაწესდა ერთ-ერთი უდიდესი ახალი აღთქმის საიდუმლოთაგანი – ზიარება, სადაც, როგორც უდიდესმა მღვდელმთავარმა შესწირა მამა ღმერთს პურისა და ღვინის სახით თავისი ხორცი და სისხლი და მისცა მის მოწაფეებს საჭმელად, ხოლო მათი სახით ყოველ მორწმუნეს. იესოს მცნების თანახმად მოციქულები მუდამ ასრულებდნენ ამ საიდუმლოს მაცხოვრის მოსახსენებლად, რამაც საფუძველი დაუდო ევქარისტიას ანუ წირვას, რომელიც სრულდება ლიტურგიაზე. ლიტურგიაზე თავდაპირველად მზადდება მასალა და საკრალური ნივთები საიდუმლოსათვის, მის შესასრულებლად საჭირო საეკლესიო ჭურჭელია: ბარძიმი, ფეშხუმი, ტაკუკი, ვარსკვლავი, ლახვარი, თეფში. ამათგან რამოდენიმე სახეობა დაცულია ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ მუზეუმში.

ფეშხუმი ბერძნული სიტყვაა, ის არის მრგვალი ფეხიანი საცხედრე ანუ სინი, რომელზეც მღვდლისა და დიაკონის მიერ პური იკურთხება ქრისტეს ხორცად, მას ლიტურგიის დროს სხვადასხვა დატვირთვა აქვს. პირველ რიგში განასახიერებს იმ სინს, რომლითაც იესო ქრისტემ პასექის დღესასწაულზე თავის მოწაფეებს შესთავაზა პური, ამავე დროს მისი სიმრგვალე განასახიერებს მარადისობას, რომელსაც არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული, როგორც ქრისტეს ეკლესიას. იგი აგრეთვე განასახიერებს ცას. ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცული ფეშხუმები ვერცხლის მასალისაგანაა დამზადებული. ვერცხლი ადამიანისთვის ცნობილია ჯერ კიდევ უძველესი დროიდან, რადგან ის ისევე როგორც ოქრო ხშირად თვითნაბადი სახით მოიპოვებოდა და არ იყო საჭირო მისი გამოდნობა შენადნობიდან. ჯერ კიდევ ბაბილონში ვერცხლი წმინდა ლითონად ითვლებოდა, შუა საუკუნეებში მისი შენადნობები ფართოდ გამოიყენებოდა ალქიმიაში. XIII საუკუნიდან იგი არის ტრადიციული მასალა სხვადასხვა ჭურჭლის დასამზადებლად რამაც განსაზღვრა მისი საკმაოდ დიდი მნიშვნელობა სხვადასხვა ხალხის კულტურულ ტრადიციებში.

ერთ-ერთი ფეშხუმი შემოსულია 1926 წელს ნიკორწმინდის ეკლესიიდან, იგი შემკულია მხედრული წარწერით, რომელშიც მოხსენიებულია გულქან დედოფალი – იმერეთის მეფის სოლომონ I მეუღლე, ნულუკიდის ასული. ასევე 1926წელს გელათის მონასტრიდან შემოსულია ფეშხუმი, მასაც აქვს მხედრული წარწერა, ის იმ დროს ეკუთვნის, როცა სოლომონ I ძმა იოსები გენათელ მიტროპოლიტი იყო. გენათელობა კი მან 1745 წელს მიიღო. 1769 წლიდან კი ის ამასთან ერთად, საკათალიკოზო კათედრასაც იჭერს. ისიც ვერცხლის მასალისაგანაა. მათი განმენდა-დაკონსერვება მოხდა მუზეუმის სარესტავრაციო ლაბორატორიაში მათთვის შესაბამისი თანამედროვე მაღალხარისხიანი მასალით.

ბარძიმი, როგორც „ჭურჭელი სინმინდისაი“ და „სასუმელი ვერცხლისაი“ ფიალის ბერძნული სახელწოდებაა, რომლითაც მართლმადიდებელი ქრისტიანები ეზიარებიან და ლეულობენ ქრისტეს სისხლსა და ხორცს, რომელიც გამოიყენება ევქარისტიაში და აღნიშნავს ქრისტეს და მოციქულებს, ხოლო ეკლესიას ღმერთის სახელად ამტკიცებს. ბარძიმს „ღმერთის ფიალასაც“ უწოდებენ, რომელშიც უდიდესი საიდუმლოა ჩადებული, ხშირად ის სანაცვლოა იმ ჭურჭლისა, რომელშიც

შეგროვდა ქრისტეს უხრწნელი გვერდიდან გადმოდენილი სისხლი, აგრეთვე მის ხელთა და ფეხთაგან გადმოდენილი მირონი. ისტორიულ მუზეუმში დაცულია ბარძიმი, რომელიც დამზადებულია ვერცხლისაგან, მაღალ სადგამზე და მრგვალ საფუძველზე, ფეხი, რომელიც აკავშირებს ფიალას სადგამის ძირზე შესქელებულია, ფიალის საძირკველ-ძირი უფრო ფართო დიამეტრისაა, ვიდრე ყელისა, ის როგორც ფეშხუმი (დისკო) შეიცავს ორ წრეს (ზემოთ და ქვემოთ) როგორც ზეციური და ქვეყნიური ანალოგი. მუზეუმში ბარძიმი შემოსულია ღების მაცხოვრის ეკლესიიდან. ყველაზე დიდი მნიშვნელობით ბარძიმი გამოხატავს იმ საიდუმლოს სასმისს, რომლითაც ქრისტემ გააზავა ღვინო წყლით და შესთავაზა მის ტრაპეზზე 12 მოწაფეს, მორწმუნეები, რომლებიც ზიარების დროს იღებენ ქრისტეს სისხლს და ხორცს ხდებიან ძე ღმერთის ნაწილები, მისი წამების, სიკვდილის და აღდგომის მონაწილენი, ამიტომ სასმისი ცვლის როგორც ღვთაებრივ, ისე მიწიერ ტაძარს. როგორც აღვნიშნეთ, მუზეუმში დაცული ბარძიმ-ფეშხუმები ვერცხლისაგანაა დამზადებული. მართლაც ყველაზე კარგი მასალა მათ დასამზადებლად ოქრო და ვერცხლია, თუმცაღა ძველად იყენებდნენ ხეს, მინას, კალას, სპილენძს და სხვ. ამ სახით შემოვიდა ბარძიმ-ფეშხუმები ხმარებაში, განსაკუთრებით იმ პერიოდში, როდესაც მიმდინარეობდა ახალი სარწმუნოების გავრცელება, რომლის მიმდევართა უმეტესობა გაჭირვებულები და ღარიბები იყვნენ, რომელთაც არ შეეძლოთ ძვირფასი ლითონებისაგან დაემზადებინათ საჭირო სალიტურგიო ჭურჭელი. თავდაპირველად ბარძიმს აკეთებდნენ ხისაგან, მაგრამ ხე იწოვდა ღვინოს ანუ ქრისტეს სისხლს, ამით იკარგებოდა ღვინის ნაწილი, რაც დაუშვებელია მართლმადიდებლური კანონიკით, ასევე მზადდებოდა მინის ბარძიმ ფეშხუმებიც, მაგრამ მყიფე და მსხვრევადი ხასიათის გამო გამოყენება ვერ ჰპოვა. IV საუკუნიდან ცნობილია ოქროს და ვერცხლის ბარძიმ-ფეშხუმები. ამ პერიოდში ღარიბი ეკლესია მონასრები ამზადებდნენ კალის და რკინის საეკლესიო ჭურჭელს, მაგრამ ეს ლითონები გამოუსადეგარი იყო მათი ადვილად ჟანგვადი თვისებებიდან გამომდინარე, ამიტომ წირვისათვის იყენებდნენ ისეთ ჭურჭელს, რომელიც მზადდებოდა უფრო ნაკლებაქტიური და ძლიერი მასალისაგან: მაგ. ვერცხლი და ოქრო. მუზეუმში დაცული ვერცხლისაგან დამზადებული საეკლესიო ნივთები ნაკლებაქტიურია, ჰაერზე არ იჟანგება, ხოლო მისი იონები საუკეთესო ანტისეპტიკური თვისებების მატარებელია, ამიტომ ვერცხლის ჭურჭელში ნამყოფ წყალს „ნაკურთხ“ წყალს უწოდებენ. ამასთან ვერცხლი ბევრად უფრო ადვილი მოსაპოვებელი და იაფია ვიდრე ოქრო, ამიტომ უმეტესი საეკლესიო ნივთები, ბარძიმ-ფეშხუმები ვერცხლის მასალისაგან მზადდება, ხოლო მუზეუმში მოხვედრილი ამათუ იმ მასალის ნივთები შესაბამისად მუშავდება ამავე მუზეუმში არსებულ სარესტავრაციო-საკონსერვაციო ლაბორატორიაში.

ზიარების საიდუმლო ზუსტი სურათია მაცხოვრის მიწიერი ცხოვრების ბეთლემიდან გეთსიმანის ბალამდე, გეთსიმანიიდან გოლგოთამდე, გოლგოთიდან აღდგომამდე. იგი ქრისტეს ცხოვრების ხილულ დაუშრეტელ ლამპარს განასახიერებს, რომლის მეშვეობითაც ერი მიეახლება ქრისტეს საუკუნო ცხოვრებისაკენ.

ლიტერატურა:

1. ე. ჭელიძე წმინდა საიდუმლოთა შესახებ. წმ. იოანე თესალონიკელი სამეცნიერო-საღვთისმეტყველო შრომები.
2. ზიარების საიდუმლო. ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის ვებ. გვერდი.
3. ბიბლია, 1989, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი
4. სამეცნიერო-საღვთისმეტყველო შრომები II, 2004 წ., თბ.
5. www.orthodoxy.ge\gvtismetyveleba\simeon_saidumloebani.

EFADZE NANA

TO DESCRIBE PESHKHUM-BARDZIMI – THE COMMUNION UTENSILS.

There are seven sacraments in the Christian Religion: Baptism (Christening), Confirmation (Chrismation), Penance (Confession), Anointing of the Sick, Holy Eucharist, Holy Orders and Matrimony(Marriage). All the sacraments are represented in all Orthodox churches and monasteries. The Holy Eucharist considers getting true flesh and blood of Jesus Christ by getting holy bread and wine which symbolizes getting eternity of the soul. This sacrament was established by Jesus Christ himself during the Lord's Supper before his death. Thus a new sacrament was established where the Son of God gave bread and wine to his apprentices as a symbol of his own flesh and blood. That everything, in its turn, symbolizes the great sacrifice of Jesus Christ for the benefit and rescue of the humankind. After that night all the apostles performed this sacrament to remember Christ. That gave the base ton Eucharist - church service which is a part of a liturgy. At first, special materials and sacred items, special utensils are being prepared for the liturgy. They are :”bardzimi”(a goblet), “peshkhumi”,”varskvlavi”,”lakhvari”, “tepshi”(plate). Some of these items are preserved in Kutaisi Historical Museum.

“Peshkhumi “ is a Greek word. It is a round kind of a tray with a leg. On it bread is sacrificed and consecrated as flesh of Jesus Christ. It is also used for other purposes during the liturgy. The “peshkhumi” preserved in Kutaisi Museum are made of silver.

One of them was transferred to Kutaisi Historical Museum in 1926 from Nikorcminda church. It has an inscription made in old Mkhedruli style. Gulkhan Dedopali, a wife of Solomon I- king of Imereti , is mentioned in this inscription. In 1926 our museum got another “peshkhumi” from the Gelaty monastery, which has the identical inscription. It was created in the period when brother of Solomon I was the Metropolitan of Gaenata. This item is made of silver like other ones. Their cleaning-conservation process took place in restoration laboratory of our museum and was held on a high level.

“Bardzimi”(a goblet) known as a “holy utensil” or “silver goblet” is also a Greek word which means a goblet, bowl used for church communion. There is a silver “bardzimi” preserved in Kutaisi museum. It has a high thick leg. Bottom of the bowl is much thicker than the merge. It, like “peshkhumi” contains two circles (upper and lower) as an analogue of spiritual and earthly life. This goblet got to the museum from the Church of Gebi. As it has been mentioned before, the item preserved in our museum is made of silver. Though, in old times, other material were also used e.g. wood, glass, copper etc. From the very early period the goblets were made of wood, but this material absorbed wine- the symbol of holy blood. That was unacceptable for the Orthodox ecclesiastical canons. Later “peshkhumi” were made from glass, but as far as they were very fragile, this material was not widely used. In IV century silver/ golden “Bardzimi” and “peshkhumi” were created. Silver was very popular for this purpose because it is less active as metal, stainless and its ions have strong antithetical characteristic features. That's why the water from silver utensil is called the ‘holy water’ or ‘consecrated water’. In addition to this fact, silver is easily obtainable metal and is much cheaper than gold. Consequently, the ecclesiastical utensils are mostly made of this metal. All such samples are examined in a restoration laboratory of our museum.



აჭარული დიალექტური ლექსიკით გამოსატული საერთოქართველური მასასიათაბლები

ნაშრომში წარმოდგენილი სალექსიკონო მასალის ნაწილი უკვე შესწავლილია ენობრივი თვალსაზრისით. ჩვენ შევეცადეთ გაგვეკეთებინა ლექსიკური ერთეულების ეთნოგრაფიული კლასიფიკაცია. რაც უთუოდ შეუწყობს ხელს ქართველთა ეთნოგრაფიული სინამდვილის შესახებ ცოდნის გაზრდას.

აშურალამე/აშურა იმამ ჰუსეინის დაბადების დღისადმი მიძღვნილი მეშვიდე დღის, “შეძულების ღამის” შემდეგ ახალი ცხოვრების დასაწყისთან დაკავშირებული, მუსულმანური დღესასწაულია.

ეთნოგრაფიული მასალა: “აჭარაში აშურალამეს ვეძახოდით ღმერთის მიერ მოვლენილი წარღვნის ღამეს, როცა მთელი ქვეყანა წყალმა დაფარა. წყლის დანევის შემდეგ კიდობანი გაირიყა უდის (არარატის) მთაზე და ახალი ცხოვრება დაიწყო. აშურალამეს შეძულების ღამეს ვეძახით. ძირითადად ახალი მთვარის მეშვიდე დღეს აღვნიშნავთ ამ ღამის გათენების შემდეგ დაწყებულ დოვლათიან სიცოცხლის დასაწყისს. აშურას დღესასწაულზე ყველანაირი მარცვლეულიდან ვამზადებთ “აშურას” (კერძია). ვამზადებთ შვიდ კერძს და დოვლათის ნიშნად ვდებთ ფულს. შვიდი* კერძი იმიტომ, რომ გადმოცემის მიხედვით ხალხმაც შვიდი კერძი გააკეთა ამ ღამეს”.

ტერმინი – აშურება მარტო აჭარაში არ დასტურდება. მსგავსი შინაარსით იხსნება ტერმინი თუშურსა და ფშაურში. იგი აქაც შეძულებას შეჯავრებას ნიშნავს (ქეთსკ, გვ. 47); აშურა ხევსურულში ხალის შეჭამანდია (ქეთსკ, შეადგინა ალ. ლლონტმა გვ. 47); საბა ტერმინს ხსნის, როგორც შურის აღებას (სულხან-საბა ორბელიანი, 1991, გვ. 83).

ვფიქრობთ ეთნოგრაფიული მასალა “აშურალამესთან” დაკავშირებით ადასტურებს იმას, რომ XVI საუკუნიდან მაჰადიანობასთან ძალით ზიარებული ქართველების მოდიფიცირებული რწმენა-წარმოდგენები ქართველური ეთნიკურ-სულიერი სპეციფიკის მატარებელია.

ახალ წელს ზემო აჭარაშიც განსაკუთრებული სიხარულით, “ხვავით და ბარაქით ხვდებოდნენ. აუცილებლად ვამზადებთ **კორკოტს** ხის ჯამში, **ჰუზაში** (იმერული ეთნოგრაფიული მასალებითაც კორკოტის დასამზადებელი და მაგიდაზე მოსატანი თევზი ხისა იყო – ხაზი ჩვენია) რძით, კარაქით და ხახვით. აკეთებენ სიმდიდრის მოტანის მიზნით. **მეკვლეს**** მოსვლის შემდეგ, რადგანაც ჩვენში რელიგიური აკრძალვის გამო ღვინო არ იცოდნენ, ტკბილი წლის დადგომის რწმენით, ვიცოცხლებით **შარბათით***** და კამპოტით”.

* რიცხვ შვიდთან დაკავშირებით უამრავი მასალა მოიპოვება შუამდინარულ მითოლოგიაში, შუმერულ-აქადურ ტექსტებში, პლატონისა და პითაგორას, შუასაუკუნეების მეცნიერებაში. დიდ პატივში იყო წმინდა რიცხვი შვიდი, რადგან კვირაში შვიდი დღე იყო, ცაზე შვიდი პლანეტა მოძრაობდა, ხოლო დედამიწაზე შვიდი საკვირველება არსებობდა. ცნობილია, რომ “ქართლის ცხოვრებაში” შვილების, ძმების, გმირების, მოლაშქრეების, წარჩინებულების, ტყვეების და სხვა პირების “შვიდ” კომპონენტის რიცხვითი სახელებით მოხსენიების 99 შემთხვევაა. ეთნოგრაფიულ სინამდვილეში გვხვდება ქრისტიანულ რელიგიაშიც გავრცელებული, რიცხვ შვიდთან დაკავშირებული რწმენები. რიცხვი შვიდი არაერთხელაა დადასტურებული საქართველოს ყველა კუთხის ეთნოგრაფიულ მასალაში. აღმოსავლეთ საქართველოს მთაში მიცვალებულთან დაკავშირებულ ხარჯები შვიდთან იყო და არის დაკავშირებული; ერწო-თიანეთის მასალებით ქრისტიკული დღის შემდეგ აღსდგა; დიდმარხვის შვიდ კვირას ქრისტეს საფლავში შვიდ დღეს ყოფნას უკავშირებენ: “ეს შვიდი დღე ამ შვიდ კვირას ერთხელ ხომ მაინც შესვდების”; პირდაპირი თანხვედრაა ეთნოგრაფიულ მასალასა და ქრისტიანული დოგმატიკის სინამდვილეს შორის. არსებობს ეკლესიის შვიდი (ნათლისღება, მირონცხება, სინანული, ანუ აღსარება, ზიარება, მღვდლობა, ქორწინება, ზეთისცხება) საიდუმლო, სულიწმინდის შვიდი ნიჭი, შვიდი სათნოება, შვიდჯერ საკურნებელი ზეთისცხება. მაცხოვარმა 4000 ადამიანი შვიდი პურით “განძლო”; რიცხვთა მისტიკა შეინიშნება ძველ ალთქაში. უფალმა სამყარო, ექვს დღეში შექმნა და მეშვიდე დღეს დაისვენა. ქრისტიანულ რელიგიაში შვიდი სულიწმინდის და მისი შვიდი ნიჭის (სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელობა, სიტკბოება, სახიერება, სარწმუნოება) აღმნიშვნელია. (მსჯელობისათვის იხილეთ: რ. ხაჭაპურიძე, 2006, გვ. 38-41).

** პირი, რომელიც ახალი წლის დღით პირველი შედის ვისიმე ოჯახში დაულოცავს ახალი წლის დადგომას; ვინც წინ მიუძღვის, გზას უკვლევს (ქეგლ, 1986, გვ. 288)

*** (არაბ) შაქრითა და ხილის წვენით დამზადებული ტკბილი სასმელი (ქეგლ, 1986, გვ. 471)

კორკოტი ქართლურსა და ქიზიყურშიც პურის მსხვილი მარცვლისაგან შემზადებული კერძია; რაჭულში დანაყილი პურის მარცვალი (ქქოსკ, 1974, გვ. 303-304). შობის უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული მზის პატივსაცემად იმართებოდა, როცა მნათობნი, სუსხიან ზამთარზე გამარჯვებულნი, გაზაფხულისაკენ გადმოიხრებოდნენ. ვერა ბარდაველიძე აღნიშნავდა, რომ ხორბლით, თუ ხორბლისაგან სხვადასხვაგვარი ნამზადის სახით სანესო ქმედებებში მონაწილეობა ნიშნავს ბუნებრივი ძალებისადმი ძღვენის მირთმევას და მიმართულია ბარაქიანი მოსავლის დაბეგვისათვის, ადამიანის ჯანმრთელობისა და დღეგრძელობისათვის, მათი მფარველობის მოპოვებისათვის (ვ. ბარდაველიძე, თბ. 1953). ღვთის სადიდებლად გამართული შობის დღესასწაულის თანმდევი რიტუალური სიმღერა “ალილოც” (იგი ებრაული წარმოშობისაა) ნიშნავს “აქებდეთ ღმერთსა” (დ. შავიანიძე, 2005, გვ. 53).

ვფიქრობთ, რიტუალური კორკოტის დამზადება* აჭარის თემის ქართველთა მიერ შემონახული წეს-ადათია. კორკოტი ძალით გამაჰმადიანებულ აჭარელ ქართველთათვის შობის შემდეგ დამდგარი ყველაზე დიდი და სასურველი დღესასწაულის ახალი წლის** სანესო, არასამარხვო კერძია. ღვინოც ჩანაცვლდა ტკბილი სასმელით, წვენი, მაგრამ დალოცვით სიტკბოს მოტანის რწმენა დარჩა.

აჭარული საახალწლო რიტუალური **ჰუსათა** გოზინაყის მსგავსი საქმელია: “საახალწლო სუფრაზე მომავალ წელში სიტკბოს, დოვლათის, ტკბილი ცხოვრების რწმენით ვამზადებთ ჰუსათას. როგორც ყველგან საქართველოში გოზინაყია, ისეა ჩვენთან ჰუსათა. ჰუსუთა მზადდება კარაქით, შაქრით და მჭადის ფქვილით...”

თურქობის დროიდან აჭარაში მაჰმადიანობა გახდა ცხოვრების წესის განმსაზღვრელი. აქაური ქართველები ახალ ყოფას ეგუებოდნენ, თუმცა ცნობიერად ძველ წესს ინარჩუნებდნენ. **ბოიაში** კვერცხის შეღებვა აჭარელთა გამაჰმადიანების შემდეგ “დიდხანს შემორჩენილი”, ქრისტიანთათვის ყველაზე მნიშვნელოვანი აღდგომის დღესასწაულის რიტუალური გამოვლინება იყო: “ტრადიციები დიდხანს შემორჩა. აღდგომის დროს აჰქონდათ ნენებს ნაეკლესიარზე ბოიაში შეღებილი კვერცხები. იცოდნენ, რომ ქრისტიანული ცხოვრების წესს, ტრადიციას ასრულებდნენ”.

საქართველო მდიდარია ბიოგეოგრაფიული პირობების შესაბამისი საცხოვრებელი ნაგებობების ნაირსახეობით. ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველოს ბარისთვის XIX საუკუნიდან დამახასიათებელი ხდება რამოდენიმე ოთახისაგან შემდგარი ოდა სახლი. შემდგომი, უფრო გვიანი პერიოდიდან ცხოვრების წესის შეცვლის და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის შესაბამისად ირღვევა სამშენებლო ტრადიციები (საქართველოს ეთნოლოგია, 2010, გვ.582). ვფიქრობთ აჭარული სახლის ცალკე, იზოლირებული სასტუმრო ოთახი **მეიდანოდა** [მეიდანო იგივეა რაც მოედანი. მოედანი კი შენობით შემოფარგლული ფართო და სწორი ადგილია; ნიშნავს აგრეთვე სააპარეზოს სათამაშოს, სავარჯიშოს (ქეგლ, ტ. V 1958, გვ. 641); მოედანი შენობით შემოფარგლული დიდი სწორი ადგილია ქალაქსა და სოფელში; ოდა არის ხის, ქვის ბოძებზე დადგმული ფიცრული სახლი (ქეგლ, 1986, 314, 361)] ქართველთა დიდი, მოხერხებული საცხოვრისის – ოდას მნიშვნელობისაა.

ჯალაბი სპარსულია და ოჯახს, ოჯახის წევრებს, სახლეულს, ცოლს, სახლობას აღნიშნავს (ქეგლ. 1986, გვ. 584).

ეთნოგრაფიული მასალა: “**ჯალაბი** არის მაგალითად 10 ოჯახი რომ ცხოვრობს ერთად. ყველას განაწილებული ქონდა საქმე ოჯახის უფროსისაგან. ჯალაბის ძირითად სამყოფს **მუთუალი** ქვიოდა”. ჯალაბის იმერული სინონიმია “**ოჯახობა**”. სოციალურ-ეკონომიკური პირობების ცვალებ-

* სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ კორკოტი მთელ საქართველოში მიცვალებულთა მოსახსენებელ კერძად იყო მიჩნეული და აუცილებლად უნდა მომზადებულიყო შობის წინა დღეს. ვინაიდან მაჰმადიანურმა რელიგიამ კორკოტს დაუკარგა ადრინდელი დანიშნულება და იგი დღეს საქორწინო სუფრის აუცილებელი კერძია (ნ. ნოლაიდელი, VI, 1987, გვ. 36).

** შევნიშნავთ, რომ საქართველოს ყველა თემში, მათ შორის აჭარაშიც ახალ წელს “ძველით, ხსნილში” 14 იანვარს აღნიშნავდნენ. დღესაც ძირითადად ამ დღეს მოდის “მეკვლე”. მეკვლე, “გარანტი და წინამძღოლია” მთელი წლის მანძილზე შენი ოჯახის ბედნიერებისა, მიულოცავს რა ოჯახს, სიმდიდრის ნიშნად მოაბნევს ძირითადად ხორბლის (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხორბალს ვერ იშოვნის, მაშინ სხვა სახის) მარცვლებს.

ბადობის შესაბამისად ტერმინის მნიშვნელობა მთელ საქართველოში დავინროვდა. იქედან გამომდინარე, რომ დღეს აღარ არსებობენ გაუყოფელი დიდი ოჯახები ჯალაბი/ოჯახობა მხოლოდ ერთი პიროვნების ოჯახობას აღნიშნავს. იმერეთში მოისმენ როგორ ეკითხება ერთი პიროვნება მეორეს მისი ჯალაბის/ოჯახობის ჯანმრთელობაზე, მოისმენ როგორ დაულოცავენ ურთიერთს ჯალაბს/ოჯახობას; სამეგრელოშიც ტერმინით ოჯახობა მოიხსენიება მეუღლე, მეორე ნასხევარი. როდესაც უცნობს აცნობს მეუღლეს მეგრელი ასე იტყვის: “ათენა ჩქიმი ოჯახობა რე” (ეს ჩემი ოჯახობა, ანუ ცოლია).

ვფიქრობთ აჭარაში გამოყენებული ტერმინი **სახლი** იგივეა რაც იმერეთსა და დანარჩენ საქართველოში კერა: “საცხოვრისში, სადაც, ღია, ცეცხლის დასანთები, გამორჩეული ადგილი იყო ვეძახოდით სახლს”.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია: “ადამიანის უამინდობისაგან თავდასაცავ ბუნებრივ და ხელოვნურ თავშესაფარს, რომელიც კლიმატური პირობების გამო სხვადასხვაგვარადაა მონიშნული, საცხოვრებელი ეწოდება. საცხოვრებელს გააჩნია აგრეთვე ადამიანთა საერთო მოთხოვნილების დაკმაყოფილების ფუნქცია (ძირითადად საჭმლის დასამზადებელი, დასაძინებელი, დასასვენებელი). სოციალური დიფერენციაციის შემდგომ კი საცხოვრებელმა პრესტიჟული ფუნქცია შეიძინა... ტრადიციული საცხოვრებლის ცენტრი იყო კერა, რომელმაც ღია კერიდან თანდათან მნიშვნელოვანი ევოლუცია განიცადა და ბოლოს საჭმლის დამამზადებელი ქურის, ან ღუმელის სახე მიიღო. ზოგან ბუხრის და გამათბობელი ღუმელის სახვადასხვა სახეები მივიღეთ” (რ. თოფჩიშვილი, ქ. ხუციშვილი, რ. გუჯეჯიანი, 2010, გვ. 344).

მიცვალებულის კულტთან დაკავშირებით არსებული საერთოქართველური მსგავსი და კუთხურ-ეთნოგრაფიული თავისებურებებით გამორჩეული წეს-ჩვეულებების შესახებ არსებული მასალების შეგროვებით ძველ, სახელმეცვლილ, ან ტრანსფორმაციაგანცდილ რწმენათა, ჩვეულებათა, აღდგენა შეიძლება.

“**მურდალაო** თვითმკვლელზე ამბობენ. თავის მოკვლა დიდი ცოდვაა. თვითმკვლელი **ჯენენში/ჯოჯოხეთში** ხთება”. აღნიშნული ტერმინიც გვაგონებს დანარჩენ საქართველოში გავრცელებული მსგავსი ჩვეულების არსს. ყველგან საქართველოში თვითმკვლელობა უდიდეს “უნებისყოფო, სუსტი ადამიანის” მიერ ჩადენილ ცოდვად ითვლება. თვითმკვლელი **ჯოჯოხეთში** მოხვდება. სამეგრელოში თვითმკვლელი ცოდვის მქნელია (“ცოდამ მაქი მინალი”); იმერეთში, კერძოდ ოკრიბაში “მურდალი” გამოიყენება იმ ადამიანის მისამართით, ვინც სიცოცხლეში უკეთურია და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა.

საქართველოს ყველა თემს აქვს ლოკალური თვისებებით გამორჩეული, თუმცა შინაარსით საერთოქართველური წეს-ჩვეულებები. ჩვენი მასალებით სამძიმარზე ხალხის მოსვლას აჭარულ დი-ალექტზე “**ნახვა**” ჰქვია. შდრ.: ნახავს ზმნა აღნიშნავს მისვლას, შეხედვას, დათვალიერებას, ნახულობას, (ქეგლ, 1986, გვ. 356); “ჩვენთან ქელესს “**ყაზმი ალვას**” უწოდებენ. იგი დამსაფლავებლის, სამარის გამთხრელის, ანუ ყაზმის (ყაზმა თურქულია **kazma** აჭარულ დიალექტში თოხს, წერაქვს აღნიშნავს. (ქქოსკ, 1974, გვ. 600) დამკვრელის და ახლო ნათესავების სუფრაა”.

დავსძენთ მხოლოდ, რომ დამსაფლავებელი/მესაფლავე საქართველოში პატივდებული პიროვნებაა. იგი მიცვალებულის სულის მოსახსენებელი ყველა რიტუალური სუფრის აუცილებელი წევრია.

საქართველოს ყველა კუთხეში ქორწინების წინ ამონმებდნენ ქალ-ვაჟის მორალურ, სოციალურ და ფიზიკურ მდგომარეობას. ამ უკანასკნელში ყოველთვის დასაქორწინებელი ქალის ქალწულობაც მოიაზრებოდა. ჩვენი აზრით, **ბურდაბალიში/მუყდე-ბალიში** სიძისადმი ჩაბარების წესი მთიან აჭარაში აღნიშნულის ბოლო დრომდე არსებობის დასტურია.

ეთნოგრაფიული მასალა: “ბიჭის ხალხს გოგოს მხარიდან უნდა წამოედოთ ქალწულობის დამდასტურებელი ნივთი ბურდაბალიში/მუყდე-ბალიში, რომელშიც ჩამაგრებული იყო სარკე. ვისაც ეს ბალიში ებარა, მეორე დღით ვალდებული იყო ენახა იგი, რათა გაეგო იყო თუ არა ქალი ქალწული”.

სხვა შინაარსის მასალა დაუდასტურებია, ნ. ნოლაიდელს: “უნინ დედოფალს თან მიჰქონდა პირბალიში – მუყდე ბალიში (სამახარობლო ბალიში), რომელიც დაქარგული იყო და შუაში სარ-

კე ჰქონდა ჩადგმული*. დედოფალს ახლდა ამ ბალიშის ნამლები, რომელსაც მუჟდეჯის ეძახდნენ. ნეფე რომ მიუახლოვდებოდა მუჟდეჯი მას ბალიშს გაუქნევდა ან აწვალვდა. თუ “ძაბუნი ნეფე” იყო დ ვერ დაიჭერდა ბალიშს, დასცინებდნენ. მუჟდეჯის შერბეთს დააღვეინებდნენ და დაასაჩუქრებდნენ” (ნ. ნოლაიდელი, II, 1979, გვ. 17); მსგავსი მასალა დაუდასტურებია გიორგი გოცირიძეს (გ. გოცირიძე, 2010, გვ. 308).

შდრ.: XV საუკუნის მოგზაურის ჰანს შილტენბერგერის თანახმად მშობლები თავის შვილისთვის ცოლის მოყვანის დროს ქალის დედას ათქმევინებდნენ იყო თუ არა მისი ასული ნამდვილად ქალწული (მსჯელობისათვის იხილე, ივ. ჯავახიშვილი, ნ. I, 1928, გვ. 158-159).

ფეხნაქცევი – “ადრე პატარძალი მშობლებთან რომ მიდიოდა, სიძეს დაახლოებით სამ დღეში მიჰქონდა ძღვენი: ქათამი, ტკბილეული და ა.შ. ამას ეძახდნენ “ფეხნაქცევს”; შდრ.: “ქორწილიდან რამდენიმე დღის შემდეგ სიძე ესტუმრებოდა სიმამრის ოჯახს. ამას ფეხნაქცევად მისვლა ეწოდებოდა, სადაც ნიშანლობა იყო გავრცელებული, ფეხნაქცევად მისვლას ქალის ოჯახში ვაჟის მეორედ მისვლას ეტყოდნენ” (ნ. ნოლაიდელი, II, 1979, გვ. 22)

ვერ დავადასტურებთ ფეხნაქცევის წარმოშობის დროს, მაგრამ ვიტყვით, რომ იგი ყველგან სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას დაემორჩილებოდა და შეიცვლებოდა მისი გადახდის სახე. იგივე წესი დასტურდება დანარჩენქართველურ ეთნოგრაფიულ ყოფაში. სიძეს, რომელიც პირველად მივიდოდა “თავისახში, სასამშობლოოდ წასული” საკუთარი მეუღლის სანახავად, აუცილებლად უნდა მიეტანა საჩუქარი ზოგადად ოჯახისათვის და ოჯახის თითოეული წევრისათვის.

ელჩი დიდაჭარის მასალებით “შუამავალი, გვიანდელი პერიოდის უკვე მაჭანკალია”. აღნიშნული ტერმინი ისტორიულ ზემო ქართლში, სამცხესა და ჯავახეთში მოციქულს, შუამავალს აღნიშვნავდა. ვფიქრობთ საქმე გვაქვს აჭარული ყოფის მიერ ტრადიციულ ქართულ საქორწინო ურთიერთობაში არსებული ტერმინის შემონახვის ფაქტთან. ჩვენი აზრით მაჭანკალი XIX საუკუნის მეორე მეოთხედიდან სოციალურ-ეკონომიკური პირობების ცვლებადობის შემდეგ დამკვიდრებული ტერმინია და იგი არ შეესაბამება ელჩს/შუამავალს/მოციქულს. მაჭანკალი მათგან განსხვავებით პირადით იყო დაინტერესებული და დასაქორწინებელთა საქმის “განესრიგებისას საკუთარ გამორჩენაზე ფიქრობდა”.

აჭარული ბაშლული ზოგადქართველურის “პირისსანახავის” (ქმრისაგან და მისი ახლობლებისაგან გაღებული საბოძვარი იყო) იდენტურია: “თუ რძალი კაი გოგოა შეხედულებით აწესებენ **“ბაშლულს”**. იგი საცოლის დანიშვნის დროს გაღებული საჩუქარია, ქრთამია ქალის მშობლებისათვის”.

სპეციალურ ლიტერატურაში ტერმინის ორი მნიშვნელობაზეა საუბარი: 1. ყაბალახი, ბაშლაყი; 2. საცოლის დანიშვნის დროს გაღებული საჩუქარი, ქრთამი ქალის მშობლებისთვის. აღნიშნულია, რომ ბაშლული თავსაბურავი, თავსამკაულია, მას ქუდის მნიშვნელობა აქვს (შ. ნიჟარაძე, 1961, გვ. 42); ნ. ნოლაიდელს მიაჩნია და ვფიქრობთ სამართლიანადაც, რომ აღნიშნული ქართველ მთიელთა ყოფაში ძველთაგანვე არსებული “თავნი”-ს, “სათაოს” იდენტურია და მოხდა მისი გაიგივება თურქულ baslik – თან (ნ. ნოლაიდელი, II, 1979, გვ. 6).

“ხაშარი არის ჭიგო, რომელსაც ლობიოს უსვამენ”. აჭარულის ხაშარი, იმერული ხესარის, ხარდნის იდენტურია.

“აბლს, ანუ ნაცრად ქცეულ ნაკვერჩხალს, გავლესავთ რძეში. ეს არის მუცლის ტკივილის აუცილებელი წამალი”. აჭარული აბლი [იგი გურულშიც იგივე მნიშვნელობისაა (ქკოსკ, 1974, გვ. 20)] გამოყენების თვალსაზრისით ოკრიბული ავლის იდენტურია. “ფერფლი/ავლი უნდა გახსნა რძეში და დააღვეინო მუცელმტკივან ბავშვს”.

საანალიზო, მეურნეობის სხვადასხვა დარგთან, ახალ წელთან, აღდგომასთან, ქორწინებასთან, მკურნალობასთან, კვებასთან... დაკავშირებული წარმოდგენილი საღვექსიკონო მასალა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ აჭარული დიალექტი, რომელშიც არაქართული სიტყვებთან ერთად უხვად მოიპოვება ქართული სალიტერატურო ენიდან გამქრალი ლექსიკური ერთეულები, საერთოქართველური ენის ერთ-ერთი საფუძველია; იგი მკაფიოდ და სხარტად ასახავს აჭარის მკვიდრ

* შდრ.: კახ. – ქალიანი, ქალსა სარკეს ჩაუდგამდნენ გულში, რომ ნეფინათ ოჯახის წევრებს კარგი თვალთ შეეხედათ!”

ქართველთა გონებრივ, სულიერ, მატერიალურ, ყოფითი კულტურის გამოცდილებას. ამდენად, აჭარული დიალექტის ლექსიკასთან დაკავშირებული ისტორიული, ეთნოგრაფიული ექსკურსები ვფიქრობთ უფრო სასარგებლოს გახდის მას სათანადო დარგების სპეციალისტებისათვის.

მთხრობელები: როსტომ მეხდის ძე ნულუკიძე; აკაკი ახმედის ძე შავაძე; ზურაბ გობაძე; აიშე ხოზრევანიძე; ასლან ხოზრევანიძე; მიხეილ შირინის ძე ბოლქვაძე.

მასალა ჩანერილია სოფელ დიდაჭარასა და ხულოს რაიონის სხვადასხვა სოფლებში 2009 წლის ივლისში

ლიტერატურა:

1. ვ. ბარდაველიძე, 1953: ქართული (სვანური) სანესო-გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ.
2. გ. გოცირიძე, 2010: ქორწინება და საქორწინო წეს-ჩვეულებები, საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია, რ. თოფჩიშვილის საერთო რედაქციით
3. რ. თოფჩიშვილი, 2010: ქეთევან ხუციშვილი, როზეტა გუჯეჯიანი, თეორიული ეთნოლოგია
4. ნ. ნოლაიძე, 1987: ხალხური კულინარული ტრადიცია და ლექსიკა, "აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა" VI
5. ნ. ნოლაიძე, 1979: ქორწინების ლექსიკა, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, II
6. შ. ნიჟარაძე, 1961: ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი
7. საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია, რ. თოფჩიშვილის საერთო რედაქციით, 2010
8. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, 1991
9. ნ. სურმავა, 1979: მერისის ხეობის დარგობრივი ლექსიკა, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, II
10. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, II, შემდგენელი ალ. ლლონტი, 1975
11. ქეგლ, ტ. VIII, 1964; ტ. V 1958
12. დ. შავიანიძე, 2005: ოკრიბა
13. რ. ხაჭაპურიძე, 2006: მაგიურ-რელიგიური მკურნალობის ისტორიიდან
14. ივ. ჯავახიშვილი, 1928: ქართული სამართლის ისტორია, წ. I

SHAVIANIDZE DAVIT

COMMON GEORGIAN TRAITS EXPRESSED THROUGH ACHARAN DIALECT WORDS

A part of the dictionary materials has been studied in linguistic aspects. I have made attempts to carry out ethnographic classification of the lexical units with the aim of augmenting the knowledge of the ethnographic realities of the Georgians.

In spite of the Moslem religious influences Georgians of the Achara Community have maintained traditions and customs characteristic to the Georgian people.

After the Turkish dominance in Achara Muslim faith established here determined the way of life of the local population. Acharan Georgians had to conform to the new realities; however, they stuck to the old ways consciously, knowing that they were performing the traditions of the Christian life.

It is quite possible to reconstruct the old beliefs, rites and traditions of our ancestors by collecting and analyzing the common Kartvelian materials, characteristic to each and every ethnographic area customs and traditions related to the cult of dead.

In general in different parts of Georgia before marriage the families examined the moral social and physical conditions of groom and bride. The institution of a girl's maidenhood (virginity) has always been considered. Particularly in the mountainous Achara this tradition can still be traced.

The analyzed lexical materials related to the various fields of human activities as farming, celebrations of New Year, Easter, wedding, health care, food and more attest that Acharan dialects, mixed with non-Georgian vocabulary, some survived, others obsolete, have lexical units that abound in the common Georgian literary language as one of its foundations. The words of Acharan dialect origin in the common Georgian literary language reflect cultural experience of the mode of thinking, wit and spiritual and cultural experience of its inhabitants.

The vocabulary materials of the Achara dialects suggest the ideas for the historical and ethnographic tours that is promising and beneficial for the specialists of the related fields.

პირველი ქართველი კინომატოგრაფისტი - ვასილ ამაშუკელის საცხოვრებელი სახლი და მისი მნიშვნელობა იმერეთის საზინაო ხუროთმოძღვრებაში

ტერმინი „ხალხური ხუროთმოძღვრება“ პირველად გამოიყენა უელსელმა სამღვდელო პირმა, პეტრეტიმ, ასზე მეტი წლის წინ, როდესაც იგი განიხილავდა უელსის პატარა ქალაქებსა და სოფლებს. ეს არის ალბათ პირველი, ან უკვე საყოველთაოდ მიღებული განსაზღვრება კვლევისა იმ ობიექტისა, რომლის შესწავლა ერთდროულად საინტერესო და მნიშვნელოვანია როგორც ხუროთმოძღვართათვის, ხელოვნებათმცოდნეთათვის, ისტორიკოსებისა თუ ეთნოგრაფოსთათვის.

მკვლევარნი არა მხოლოდ ცალკეული ქვეყნის „ხალხურ ხუროთმოძღვრებას“ სწავლობდნენ, არამედ ცდილობდნენ მის დანახვას როგორც კონკრეტულად ერთი ქვეყნის, ასევე საერთო რეგიონალურ თუ ცივილიზაციის განვითარების ზოგად პროცესში.

ხალხური საცხოვრებლის შესწავლას საქართველოში, როგორც ცნობილია გიორგი ჩუბინიშვილმა ჩაუყარა საფუძველი. მის მიერ გამოქვეყნებული „ქართული დარბაზი“ კვლევის დასაბამი გახდა. ეს ნაშრომი ისევე როგორც სხვა მრავალი, ფუძემდებელი იყო არა მხოლოდ ხალხური საცხოვრებლის კვლევის საქმეში, არამედ ქართულ ხელოვნებათმცოდნეობაში. ერთი ის, რომ ეს იყო პირველი ნაშრომი, რომელიც ეხებოდა ქართულ საცხოვრებელს, როგორც საკვლევ ობიექტს (მსგავსი ყურადღების ღირსი იგი მანამდე არ ყოფილა);

მეორე-საცხოვრებელი განხილული იყო არა მხოლოდ როგორც სოციალური ობიექტი, არამედ როგორც ხელოვნების ნიმუში, ამგვარ განხილვას თან ახლდა შესაბამისი ანალიზი და შეფასება.

გიორგი ჩუბინაშვილის შემდეგ ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების შესწავლის საქმეში დიდი წილი შეიტანა ლონგინოზ სუმბაძემ. მისი კვლევის შედეგი ეფუძნება ხალხური ხუროთმოძღვრების ასზე მეტ შესწავლილ და გამოკვლეულ ნიმუშს. ფაქტობრივი მასალის დაგროვების გარდა მეცნიერმა მეტად საგულისხმო თერიული ნააზრევიც დაგვიტოვა ერთ-ერთი არის „იმერეთის საზინაო ხუროთმოძღვრება“ რომელიც წარმოდგენილ საკონფერენციო თემას უდევს საფუძვლად.

იმერეთის ტერიტორიაზე გავრცელებული საცხოვრებელი სახლები, გეგმის არსის მიხედვით, ოთხ ძირითად ტიპებად არის დაჯგუფებული პირველი ტიპი გლეხის საცხოვრებელი სახლისა ღრმა, ერთსათავსიანი შენობაა ორქანობიანი სახურავით. მეორე გავრცელებული ტიპი გრძელი სახლია ფართო აივნის გასწვრივ განლაგებული ორი (იშვითად სამი) ოთახით: ასეთი სახლები უმეტესად ორსართულიანია, მესამე ტიპი კვადრატული (ან მეტად ახლო) გეგმის სახლია ოთხქანობიანი სახურავით. ამ ტიპებში ფართო აივნის უკან სათავსები შენობის სირღმეში ორ რიგადაა განლაგებული. ასეთ სახლს მთელს იმერეთში ოდა-სახლს უწოდებენ.

ამ გლეხური საცხოვრებელი სახლების სამი ძირითადი ტიპის გარდა, გვაქვს მეტად მკვეთრად ჩამოყალიბებული იმერეთის ფეოდალთა სახლის ან სასახლის ტიპი შუა დიდი დარბაზით, რომლის ორივე მხარესაც ორ-ორი ოთახია მოთავსებული. სწორედ ასეთ საცხოვრებელი სახლის ტიპს მიეკუთვნება ბაგრატის ტაძართან მიმდებარე ძველებური ოდა-სახლი, სადაც 63 წელიწადს ცხოვრობდა პირველი ქართველი კინომოღვაწე, ქართული დოკუმენტური კინემატოგრაფიის მამამთავარი ვასილ ამაშუკელი. ფეოდალური კარ-მიდამო ნაკრძალის ზონაშია, სადაც მნიშვნელოვანი ნაშთები აღმოჩნდა. ქუთაისში არქეოლოგიურმა ძიებამ ცხადყო ბერძნული წყაროებით ცნობილი „ციხე უქიმერიონი“, აქ არ მდებარეობდა, არამედ დამტკიცდა, რომ აქ არსებულა მინაში ჩაფლული ციხე ქალაქი. გამოირკვა, რომ თვით გაერთიანებული საქართველოს მეფე ბაგრატ მესამემ მონუმენტური ტაძარი დააშენა 1003 წელს უძველეს კედლებზე. ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ ნაქალაქარის ნაგებობანი ბალავერებად გამოეყენებინათ და აეგოთ: ოდა-სახლი (ვასილ ამაშუკელის სიმამრს) ანდრია მარჯანიშვილს 1814 წელს.

ვასილ ამაშუკელის საცხოვრებელი სახლის აღწერილობა ასეთია: ზედა სართული შედგება დარბაზისა და ოთხი ოთახისაგან სამხრეთ და ჩრდილოეთით აივნებითურთ, ქვედა სართული რომელსაც

მთელს იმერეთში პალატას უწოდებენ ქვითკირის ნაგებობაა და დატიხრულია ოთახებად. სახლის დასავლეთით მიშენებული აქვს სათავსოებიც.

განსაკუთრებით საინტერესო საცხოვრებელი სახლის ამ ტიპში ფართო აივანია, რომელიც იმერეთის საცხოვრებელ სახლებს მთელ სიგრძეზე გასდევს. საცხოვრებელი სახლის ფასადი მისი აივნის ფასადია.

ვასილ ამაშუკელის საცხოვრებლის სახლის ხუროთმოძღვრულ- მხატვრულ სახეში დომინანტად მისი აივანი გვევლინება.

ვნახოთ რას წარმოადგენს ეს აივანი, საცხოვრებელი სახლის ზოგად სახეში ხშირია ისეთი სახლები, სადაც აივნის ფართი საცხოვრებელი ოთახების ფართს უდრის. ოდა- სახლის იდეალურ გეგმამის 30 % შეადგენს.

არქიტექტურული სახის მიხედვით, ხის აივნები ორ მთავარ ჯგუფად შეიძლება დავყოთ 1 აივანი არქიტრავით გადახურული სვეტებით და 2 აივნები თალებით შეკრული სვეტებით.

პირველი სახე აივნებისა გავრცელებულია უმთავრესად იმერეთის საცხოვრებელი სახლის პირველ და მეორე ტიპში. სვეტები ასეთი აივნებისა, უპირატესად, სწორკუთხოვნი კვეთისაა (ზედა და ქვედა ნაწილში მანც).

მეორე სახე კი თალოვანი გადახურვით, უმეტესად მესამე ტიპის ოდა-სახლებში გვხვდება.

ვ.ამაშუკელის საცხოვრებელი სახლის სვეტები განსაკუთრებით საინტერესოა და ორიგინალურია ის ვასო ამაშუკელს სიცოცხლეში გაუყიდა და ნ. ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის ისტორიული მუზეუმშია დაცული. სვეტების არქიტექტონიკის რთული მოცულობით სივრცითი დამუშავება, ოსტატურად შესრულებული ჩუქურთმაზე რომ არაფერი ვთქვათ.

სვეტების ქვედა ნაწილის ოთკუთხედი, მოაჯირის ცოტა ზევით კუთხეების დახრილად ათლის საშუალებით, ჯერ რვაკუთხედზე გადადის, შემდეგ კი 16 კუთხედზე. ამის ზევით სვეტი ისე რვაკუთხედი ხდება, სადაც კუთხეები მთლიანად კი არ ერთდება, არამედ რჩება ლამაზად პროფილირებული რიკების ნაშვერების რამდენიმე წყება. წინ გამოშვერილი რიკები სვეტებს სკულპტურულ სახეს აძლევს, და მზის განათებისას მეტად ეფექტურ ჩრდილ-ნათლებს წარმოშობს.

არამარტო ესთეტიური არამედ ამ ნაშვერებს ფუნქციონალური დანიშნულება აქვთ ისინი მეტად აადვილებენ თოკის გაბმას სვეტებზე განსაკუთრებით აივნის კუთხეში.

ამაშუკელის საცხოვრებლის აივნის მთავარი დეტალები როგორც უკვე ავღნიშნეთ დაცულია ქუთაისის მუზეუმში ასევე ალექსანდრე მამულაშვილის მიერ 1971 წელს გადაღებული დოკუმენტური კინოქრონიკა: ოდა-სახლის აივანზე, ვასილ ამაშუკელი ფიცრულ დარბაზში სტუმრად მისულ სტუდენტებს მოუთხრობს ქართული კინოს ისტორიასა და საკუთარი ცხოვრების შესახებ.

დასასრულს მინდა გითხრათ, რომ ვფიქრობ აუცილებელია იმერული ოდა სახლი აღდგენილი იქნას პირვანდელი ფორმით. აქ, განახლებულ კერაზე, უნდა დაარსდეს როგორც მიხეილ ალავიძე წერდა 80-იანი წლების ჟურნალ-გაზეთებში, მემორიალური სახლ-მუზეუმი ვასილ ამაშუკელის სახელის უკვდავსაყოფად”!

ლიტერატურა:

1. Г.Н.Чубинашвили. 1970: Грузинские дарбази. В книге Вопросы истории искусства т 1. Тб
2. Л.Сумбадзе. 1984: Архитектура грузинского народного жилища дарбазию «Мецниереба»

Тбилиси

3. ქართული ხელოვნების ნარკვევები 2001
4. ი.კიკვიძე, 1976: მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, „მეცნიერება“ თბილისი
5. A. Rapoport. 1969: House Form and culture. Englewood cliffs, N.j. prentice -Hall

THE HOUSE OF THE FIRST GEORGIAN CINEMATOGRAPHER VASIL AMASHUKELI AND ITS ROLE IN IMERETI DWELLING ARCHITECTURE

The term “vernacular architecture” was first used by a Welsh ecclesiastic Petite, more than 100 years ago, when he studied and described Welsh towns and villages. It is probably the first, now commonly used definition of the research the study of which is both interesting and important for architects as well as people of art, historians and ethnographers.

Researchers studied not only the “vernacular architecture” of a separate country, but tried to see it in the process of the development of civilization.

As it is known, people’s dwelling in Georgia was first studied by Giorgi Chubinashvili. His publication “Georgian Hall” became the pioneer of the research. This work, like many others, was the basis not only in the research of people’s dwelling, but in the study of Georgian art. Firstly, it was the first work which concerned Georgian dwelling houses as a research problem (it had not been in this focus before); secondly, dwelling was discussed not as a social object, but as a work of art. The discussion was followed by relevant analysis and estimation.

Longinoz Sumbadze was the second after Giorgi Chubinashvili who made a great contribution in the study of Georgian vernacular architecture. His research results were based on more than 100 studied and researched examples of vernacular architecture. Besides collecting factual material the scientist left us significant theoretical works. One of them is “Dwelling architecture of Imereti” which is the basis of the given conference paper.

Houses which are found in Imereti region are divided into four main types according to the style. The first type is the peasant’s house, a deep one-room building with a two gable roof. The second widely-spread type is a long house with two (rarely three) rooms along a wide balcony; these are usually two-storied. The third type is a square house with a four gable roof. In these types the pantries are located in two rows deep inside the house. This type of house is called “oda” in Imereti.

Besides these three main types of peasant dwelling houses, there are clearly distinguished types of feudal houses or palaces with a large middle hall, which has two rooms on both sides. This is the type of the house we find near Bagrati Cathedral, where the first Georgian cinematographer, the father of Georgian documentary, Vasil Amashukeli lived for 63 years. The feudal house is located in Ukimerioni reserve, where important remains have been discovered. Archaeological excavations in Kutaisi revealed the “Castle Ukimerioni” mentioned in the Greek sources. Moreover, they proved that there used to be a subterranean town there. It was found out that the king of united Georgia Bagrat III built the monumental cathedral on these ancient walls in 1003. So, it is not surprising that in 1814 the remains of the town were used as basements for oda-houses by Andria Marjanishvili, Vasil Amashukeli’s father-in-law.

The description of Vasil Amashukeli’s house is as follows: the upstairs consist of a hall and four rooms with balconies from south and north sides, the downstairs, which is known as “palata” in Imereti, is divided into rooms. There are some pantries added to the house from the west side.

The wide balcony of this type of house is of special interest. It is attached along the whole house. The façade of the house is the façade of the balcony.

The dominant architectural and artistic value of Vasil Amashukeli’s house is its balcony.

Let’s see what this balcony is like. Generally, it is quite frequent in dwelling houses that the size of the balcony equals the size of the rooms. In the oda-house it is 30% of its total size.

According to architectural style, wooden balconies can be divided into two main groups: 1) the balcony with architrave columns and 2) the balcony with arched columns.

The first type of balcony is common for the first and second types of Imereti houses. The columns of these balconies are mainly rectangular (at least their upper and lower parts).

The second arched type is characteristic for the third type of oda-houses.


The columns of Vasil Amashukeli’s house are especially interesting and unique. They were sold by Vasil Amashukeli and are preserved in N. Berdzenishvili Historical and Ethnographical Museum of Kutaisi. The columns are made with complicated architectonics, not to say anything about the mastery of carving.



The square shape of the lower part of the column just above the railings is made into a shape with 8 angles by slanting carving, then into a figure with 16 angles. Above this, the column again has 8 angles, where they are not joined together, but form several rows of beautiful balustrades. The protruding balustrades give the columns sculptural image and produce

effective shades in sunlight. These protruding spikes have not only esthetic but also functional purpose: they make it much easier to tie ropes to columns, especially in the corners.

As it has been mentioned above, the principal part of Vasil Amashukeli's balcony is preserved in Kutaisi Ethnographic museum, as well as a documentary made in 1971 by Alexander Mamulashvili, which takes place in Ukimerioni, on the balcony of the oda-house. Vasil Amashukeli is in the hall with some guest students telling them about the history of Georgian cinema and about his own life.

In conclusion I would like to say that it is necessary to restore the original oda-house. As Mikheil Alavidze wrote in newspapers in 1980s, here, in the restored and renewed house we should establish "the museum of Georgian art to immortalize the name of Vasil Amashukeli"!





სურ. 15. ჯამთის მონასტრის სარჩივის სარჩივის და მონასტრის სარჩივის

ცისნია ბრიგოლავა

ილია ჭავჭავაძის „ივერია“

(I პერიოდი)

*„მარად და ყველგან
საქართველოვ, მე ვარ შენთან“*

კაცობრიობის ისტორია იცნობს შემთხვევებს, როცა ჟამთა სიავით დათრგუნვილი ესა თუ ის ერი, უაღრესად ძნელბედობისას, თითქოს საგანგებოდ, ზეგარდმო მადლით ცხებულ პიროვნებას წარმოშობს, ვინც მხსნელად მოეველინება მშობელ ხალხს, მის წინამძღვრობას იტვირთავს, გამარჯვების რწმენას შთაბერავს და თან გაიყოლებს უკეთესი მერმისისათვის ბრძოლაში. პიროვნებას, ვინც მშობელი ხალხის ნაციონალურ და სოციალურ იდეალებს კაცობრიობის პროგრესულ მისწრაფებათა თანაზიარად აქცევს, „კაცობრიული წყურვილის მოსაკლავ წყაროს“ თავის თანამემამულეებსაც დაანაფებს და ეროვნულ კულტურას, მხატვრულ თუ მეცნიერულ აზროვნებას ახალ სიმაღლეზე აზიდავს. ეს რჩეული პიროვნებანი თავიანთი ხალხის ცხოვრებაში ახალი ეპოქის მაუწყებლად გვევლინებიან და მადლიერი შთამომავლობა უკვდავების შარავანდედით მოსავს მათ სსოვნას.

ილია ჭავჭავაძე სწორედ ასეთი პიროვნებაა ქართველი ერის ისტორიაში მას უნდა ვუმადლოდეთ ქართული სულის, ქართველთა ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებას და აღზევებას;

თავისი ცხოვრების ერთადერთ მიზნად მშობელი ქვეყნისა და ერის სამსახური, მისი აწმყოს გაუმჯობესებისა და ბედნიერი მყოფადის მოპოვებისათვის ბრძოლა მიაჩნდა: „ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილიაო“, - ამბობდა ილია და მთელი თავისი მდიდარი და მრავალფეროვანი შემოქმედებით ამ დიადი მიზნის განხორციელებას, მისი თვითშეგნების გაღვივებას და განმტკიცებას, ეროვნული და სოციალური თავისუფლების მოახლოებას ემსახურებოდა. უპირველესი ამოცანა ქართული ეროვნული სულის, ქართველთა ეროვნული მეობის აღორძინება იყო. (ი. ჭავჭავაძე, 1987:8).

მისი მოღვაწეობის პერიოდში ქართველი ხალხი განიცდიდა ეროვნულსა და სოციალურ ჩაგვრას, მეფის რუსეთი ფეხქვეშ თელავდა და აბუჩად იგდებდა ჩვენს ერს, ათასგვარი გადასახადებით და ბეგარით ჩაგრადა გლეხობას, ეწეოდა გარუსების დამლუპველ პოლიტიკას. ილია, რომელიც აღიზარდა მონინავე დემოკრატების იდეებზე გააჩაღა დაუნდობელი ბრძოლა, როგორც ბიუროკრატიული აპარატის, ასევე სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ. მან კარგად იცოდა, რომ ბეჭდვითი ორგანოს გარეშე შეუძლებელი იყო ბრძოლის დაწყება. საკუთარი ორგანოს უქონლობა დიდად უშლიდა ხელს თავის იდეურ მონინააღმდეგეებთან ეწარმოებინა ბრძოლა.

1876 წლის 19 ივნისს კავკასიის საცენზურო კომიტეტი შუამდგომლობს მეფისნაცვალის მთავარმმართველობის უფროსთან, რათა 1877 წლის 1 იანვრიდან ნება დაერთოს ი. ჭავჭავაძეს ქართულ ენაზე გამოსცეს მეცნიერულ - ლიტერატურული გაზეთი „ივერიის“ სახელწოდებით. (ა. იოვიძე, 1947:195).

გაზეთს ძველი საქართველოს სახელი უწოდა და ამით მიგვანიშნა „ივერია“ მშობლიურ ნიადაგში, ფესვგადგმული, წარსულზე დაყრდნობილი, ეროვნული ხასიათის ორგანო იქნებო. ყოველკვირეული გაზეთ „ივერიის“ I ნომერი დაიბეჭდა 3 მარტს და გაზეთის სახით გამოდიოდა 1878 წლის 30 ნოემბრამდე. სულ დაიბეჭდა 91 ნომერი. 1879 წლიდან „ივერია“ გადაკეთდა ყოველთვიურ ჟურნალად. 1879 წლის 27 ნოემბერს შეიქმნა „დროება - ივერიის“ გაერთიანებული რედაქცია (ი. ჭავჭავაძე, ს. მესხი). 1882 წლიდან თანარედაქტორად ი. მაჩაბელი მოიწვია. 1883 წლიდან 1885 წლამდე ჟურნალს ი. ჭავჭავაძე უძღვებოდა. (ნ. ტაბიძე, 1977:20).

გაზეთი გამოდიოდა ხუთშაბათობით, იბეჭდებოდა ე. ხელაძის, შემდეგ კი 1878 წ. ენფანჯიანცის სტამბაში. (თითქმის ყველა ნომერი სამეცნიერო ბიბლიოთეკაშია დაცული).

გაზეთის რედაქცია მდებარეობდა სხვადასხვა ადგილზე, 1885 წელს კი ჟურნალის ნომრები გამოიცა სოლოლაკში ბებეთოვის ქუჩაზე, სადაც ილიას უცხოვრია. გაზეთში ვკითხულობთ: „რე-

დაქცია იმყოფება სოლოლაკში, ახალ ბებეთოვის ქუჩაზედ, თვით რედაქტორის სადგომში, სახლი ი. ი. ზუბლოვისა".

ი. ჭავჭავაძე კარგად გრძნობდა, რომ გაზეთის წინვლისათვის მარტო ვერაფერს გახდებოდა. იგი შედგომია რედაქციაში მალალი მეცნიერული რეპუტაციის მქონე ავტორთა მოზიდვას, როგორც საქართველოში მის ფარგლებს გარეთაც. ამ მხრივ საინტერესოა 1877 წლის 10 მარტს პეტერბურგში გაგზავნილი წერილი ვასილ მაჩაბელისადმი: „მოგართვი შენგან დაბარებული „ივერია“ აბა შენ იცი, როგორ დაგვეხმარები, ინერები ვანოს უნდა გაუგზავნოთ, თუ გიყვარდე იმისი ადრესი მომწერე და მე თვითონ გაუგზავნი პირდაპირ რედაქციის მხრით. მოგვეშველოს ჭკვიანი ბიჭია, ჩვენთვის ვანო დიდი ნუგეში იქნება“. აქედან ჩანს საუბარია ვანო მაჩაბელზე, რომელიც სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ილიას მარჯვენა ხელი იყო.

„ივერიის“ I პერიოდში (1877 - 1885) ილიას სარედაქციო საქმეებში ესმარებოდნენ: ნ. დავითაშვილი (ქანანოვი), გ. ყიფშიძე („გოდორია“), ი. ბახტაძე („ხონელი“). „ივერიაში“ თანამშრომლობდნენ გრ. ორბელიანი, დ. ბაქრაძე, დ. ყიფიანი, ა. წერეთელი, რ. ერისთავი, ი. გოგებაშვილი, ი. მეუნარგია, ალ. ყიფშიძე, ც. გაბაშვილი, ი. როსტომაშვილი და სხვა. ილიას „ივერიაში“ აიდგა ფეხი ალ. ყაზბეგმა და ვაჟა - ფშაველამ. ილიასთან თანამშრომლობდა სომეხი მწერალი გ. სენდუკიანცი, რომლის ცნობილი კომედია „პეპო“, ავტორისგანვე ქართული ნათარგმნი დაიბეჭდა „ივერიაში“. (ყურ. „ივერია“ 1880:3)

გაზეთის საქმეს ყველა თანამშრომელი ერთგულად და პასუხისმგებლობით ეკიდებოდა, მაგრამ სულის ჩამდგმელი, გზის მაჩვენებელი ილია გახლდათ. მას სწამდა რომ მის ერს უკეთესი მომავალი ექნებოდა:

**„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია!
ანმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია“**

„ივერიის“ I პერიოდი ღირშესანიშნავი ეტაპია ი. ჭავჭავაძის მხატვრულ შემოქმედებაში. 1878 წელს დაამთავრა თავისი ისტორიული პოემა „მეფე დემეტრე თავდადებული“, რომელიც სიყრმის მეგობარს პ. ნაკაშიძეს მიუძღვნა, პოემის თორმეტი თავი დაიბეჭდა ყოველკვირეულ გაზეთ „ივერიის“ 1878 წლის №1-ში. მოთხრობა „სარჩობელაზედ“ გამოქვეყნდა „ივერიაში“ 1879 წლის №2-ში. ამავე პერიოდის ილიას მხატვრული შემოქმედების გვირგვინია პოემა „განდეგილი“, რომელიც შექმნილია 1882 - 83 წლებში და „ივერიაში“ დაიბეჭდა 1883 წლის №2-ში.

1877 - 1885 წლებში ილია უმთავრესად პუბლიცისტურ - საჟურნალო მოღვაწეობას ეწევა. ილიას პუბლიცისტური ნაწარმოებიდან დასახელებულ პერიოდში მთავარია „საზოგადოებრივი ცხოვრების მატრიანე“, „შინაური თვიური მიმოხილვები“, რომლებიც იბეჭდებოდა „ივერიაში“ 1879 წლის იანვრიდან 1885 წლამდე. სულ ამ ხნის მანძილზე 30 შინაური მიმოხილვა. ეს მიმოხილვები არის საპროგრამო წერილები, რომლებიც ემსახურება: „ჩვენის დაცემული ვინაობის აღდგენა, ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელი ფათერაკებისაგან“ - ნერდა პუბლიცისტი.

მას შემდეგ, რაც საქართველოსთან შემოერთებულ იქნა საქართველოს ძველი ისტორიული მიწების ერთი ნაწილი, მათ შორის აჭარა - ქობულეთი, დაიწყო ეგრეთ წოდებული „მუხაჯირობა“. იგი მამხილებელი წერილით გამოვიდა ხელისუფლების, თვითმპყრობელობის რეჟიმის წინააღმდეგ. (ყურ. „ივერია“ 1879:2)

1882 წელს თვითმპყრობელობის რეაქციული პრესის ცნობილმა მეთაურმა „მოსკოვსკი ვედ-მოსტის“ რედაქტორმა კატკოვმა დაბეჭდა საზიზრარი ცინიზმით აღბეჭდილი კორესპონდენცია ქართველების წინააღმდეგ. ილიამ საპასუხო წერილი გამოაქვეყნა პრესაში (ყურ. „ივერია“ 1882:2)

80-იან წლებში ილიას უხდებოდა დიდი ბრძოლის წარმოება ქართული ენის უფლებების დასაცავად სკოლებში. ოლქის უფროსად დაინიშნა კ. იანოვსკი. მან განიზრახა ქართული ენის გაძევება სკოლებიდან. ილია 1881 წლის მარტის „შინაურ მიმოხილვაში“ შეებრძოლა იანოვსკის და გაზეთის ფურცლებზე ნიღაბი ახადა რუსიფიკაციური პოლიტიკის მთელ სიმახინჯეს.

„ივერიაში“ გამოაქვეყნა სატირული წერილი „ვიცინოთ თუ ვიტროთ?“. იგი ეხებოდა გორში სა-ოსტატო სემინარიის გახსნას, სადაც ქართული ენა ამოიღეს ხმარებიდან. (გაზ. „ივერია“ 1877:10)

1878 წელს დაარსდა ქართველთა შორის წერა - კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, 1879

წლის აპრილის „შინაურ მიმოხილვაში“ ილია მიესალმა ამ საზოგადოებას და განსაზღვრა მისი მიზანდასახულობა.

„ივერიაში“ იბეჭდებოდა საინტერესო კორესპონდენციები საქართველოს სხადასხვა კუთხიდან. წერილები ასახავენ იმდროინდელი ქვეყნის რეალურ სურათს: საქართველოში უსამართლობა და თვითნებობა სუფევდა, ბიუროკრატიზმი მეფობდა, პატიოსანი მშრომელი აუტანელ პირობებში იმყოფებოდა, საზოგადოების პრივილეგირებული ნაწილი კი დროსტარებაში იყო დ. საქართველოს მოსახლეობაზე საინტერესო მასალებს აქვეყნებდნენ ს. ბავარელი (ასლანიშვილი), ბედკრულიძე, ი. თაყაიშვილი, ა. ი - ი - ძე (ი. ყყონია), ა. მეგრელიშვილი, კ. სანანელი და სხვები.

საინტერესოა, ს. ბავარელის წერილი იმერეთიდან, იგი აღწერს გლეხის გაჭირვებულ ყოფას: „რანაირ საცოდავ სანახაობას წარმოადგენს იმისი ექვსი წლის ვაჟის მუხლებისამდინ ტიტველა ფეხები სიცივისგან გასიებული. თავი ღია, პირი გამურული, ზის და წუნწუნით დედას ანუხებს: დედა პური მინდა.“ ავტორი აკეთებს დასკვნას: „ჩემთვის რო ეკითხნათ, გლეხი რა არის? მე ჩემს ცნობის მოყვარესვე ვუპასუხებდი: გლეხი არის უენო ცხვარი, რომლით სარგებლობენ ორფეხა მგელნი ქვეითნი და ზევითნი. ქვეითნი რძეს სწვევენ და მით მყრალს მუცელს ასიამოვნებენ; ზევითნი - მატყლს პარსავენ და ითბობენ შესაფურთხავ - უღირს ტანს.“ (გაზ. „ივერია“ 1878:8)

აღსანიშნავია, ბედკრულიძის კორესპონდენციები ქუთაისიდან. იგი წერდა საშუალო ფენების სოციალურ მდგომარეობაზე, ვაჭრების თავგასულობაზე: „ვაჭრები „მამის სისხლად“ ჰყიდნიან გასაყიდელ ნივთს. აქვთ დიდძალი მოგება. ჩვენ ქუთაისელ დაბალ მომსახურეთ სულ ბოლო მოგველო! რა ვქნათ, არ ვიცით! გვეძლევა ოცი - ოცდაათი მანეთი თვიური ჯამაგირი და საზრდოსთვის კი სამოცი მანეთი გვჭირდება.“ (გაზ. „ივერია“ 1877:13)

ბედკრულიძე არ ინდობდა ქუთაისის პოლიციას, სადაც ქურდები და ავაზაკები თავისუფლად დაპარპაშობდნენ: „ნუთუ არ არის რიგი და მართებული, რომ ყოველმა კაცმა და მით მეტად პოლიციამ, რომლის მოვალეობა ქურდობა - ავაზაკობას განარინოს ყოველი კაცი, იმეცადინოს ყოველის ღონისძიებით შეიტყოს დამნაშევე პირი და მომავლისთვის მოსპოს ქურდობა - ავაზაკობა. ეს კაცის ღირსების შემარცხვენი და განმაქრობელი საქციელი.“ (გაზ. „ივერია“ 1878:36)

კორესპონდენტები შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს ვერ პოულობდნენ. ბედკრულიძე დარდობდა: „რა გვეშველება? ან უნდა გვყვანდეს შემწე ვინმე, ან უნდა გქონდეს „პატენტი“ და „ჩვენს“ საზღვარგარეთ უნდა დაგეყოს რამოდენიმე წელი, საცა უნდა იყოს, თუნდ ცივ ჰაერ ქვეშაც, თუნდ იქაურს ყავახანებშიაც სხვებრ ისეთ „ადგილს“ ვინ გაღირსებს, რომ შრომის ფასი საჭმლად გეყოს?!“ (გაზ. „ივერია“ 1878:13)

საინტერესოა, ბედკრულიძის კორესპონდენციები ქუთაისის ქუჩის მდგომარეობაზე მოგვითხროს ქუჩის მოუვლელობაზე, მოსახლეობის გასაჭირზე წვიმიან ამინდში. ეს ყოველივე შემანუხებელი იყო ღარიბებისათვის, შეძლებულები კი ფაეტონით დადიოდნენ. იგი წერდა: „ეჰ, ღმერთო, ყველაფერი ღარიბების შესანუხებლად გაგიჩენია... მაგრამ რა გაენყოფა?! რაც უნდა სთქვა... ვინ არის წამკითხველი, ვინ არის გამკითხველი?!“ (გაზ. „ივერია“ 1878:8)

სვანეთის მოსახლეობის შესახებ საინტერესო მასალები გამოაქვეყნა კ. სანანელმა. მივლინებით-აყოფნისას წერილების სერია მიუძღვნა ამ მხარეს და ამხილა ხელისუფლების თავგასულობა. იგი მოგვითხრობდა სვანეთის მიუვალ გზებზე: „გამოყოფილი ფულით ეს გზები უფრო ათასად კარგად უნდა გაკეთებულიყო, მაგრამ ჰხედავ, წელიწადი რომ შესრულდება ლუბერნსკი ინჟინერი დიდ მამულს ჰყიდულობს, რომლის შემოსავალი მის ჯამაგირზედ ერთი ორად მეტია. გლეხი კი მუშაობის შემდეგ ვისაც სისხლი და ოფლია დაღვრილი თავის ნაშრომ ორი აბაზის მაგივრად ყოველ დღეში, ორი კვირის განმავლობისა, მოსდის კისერში ჩაქოლვა.“ (გაზ. „ივერია“ 1877:24).

კორესპონდენტები აქვეყნებდნენ მასალებს განათლების საკითხებზე პრესაში. ილია ყყონია წერდა ქუთაისის სკოლებში ქართულ ენაზე სწავლების შესახებ: „ტფილისის ოლქის სასოფლო სასწავლებელთა დირექციამ გადაწყვიტა დღეის შემდეგ სასოფლო სასასწავლებლებში ყველა საგნების სწავლა ქართულ ენაზე და სახელმწიფო რუსული ენა კი როგორც ენა ისწავლებოდეს.“ (ივერია“ 1878:41)

მასალები ცალკე შუქდებოდა თეატრის შესახებ. ქუთაისში იმართებოდა წარმოდგენები, შემოსული თანხით ხშირად სტუდენტებს ეხმარებოდნენ ი. ყყონიას ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ

: "ნელს წარმოადგინეს მოლიერის კომედია "ჟორჟ-დანდენი" და და ალ. ჭიჭინაძისაგან გადმოკეთებული ვოდვილი "აყალ - მაყალი ცოლ - ქმარებს შუა". ამ წარმოდგენით შემოსული ფული ღარიბ სტუდენტ ნანეიშვილს მოახმარეს. (გაზ. "ივერია" 1878:18)

არსებული მასალებით "ივერიას" სურდა ხალხისათვის მემამბოხე სული გაეღვიძებინა საბრძოლო განწყობილება შეეტანა.

ი. ჭავჭავაძის როგორც საქართველოს ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის ფართო ლიტერატურულ-საზოგადოებრივი და ეროვნულ-პატრიოტული მოღვაწეობა ცხადია შემჩნეველი არ დარჩებოდა მეფის რუსეთის პოლიციას და ჟანდარმერიას.

1885 წელს დაიხურა ჟურნალი "ივერია" და იძულებული გახდა ჟურნალი ყოველდღიურ გაზეთად გადაეკეთებინა. აქ მთავრდება პერიოდული ორგანოს "ივერიის" მოღვაწეობის პირველი პერიოდი.

ნაშრომში შევეცადე მეჩვენებინა ი. ჭავჭავაძის პუბლიცისტური მოღვაწეობა მისი უშუალო ხელმძღვანელობით "ივერიის" დაარსება.

XIX საუკუნის უკანასკნელ პერიოდში სწორედ ი. ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით გამოშვებულ "ივერიას" ხვდა წილად უდიდესი ისტორიული მისია მაღლა სჭეროდა ქართველი ხალხის ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობისა და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის დროშა, სათავეში ჩადგომოდა ეროვნული და ტერიტორიული მთლიანობისათვის, ქართული დედაენის შენარჩუნება-დაცვისა და ქართველი ერის კონსოლიდაციისათვის დღენიადაგ დაუცხრომელ ზრუნვა-სამსახურს. (გ. შარაძე 1881:258)

"ივერიის" ისტორია იმის ნათელი დადასტურებაა, თუ რაოდენ ძნელი იყო მაშინ პროგრესული გაზეთის დაარსება და შენარჩუნება.

ლიტერატურა:

1. პ. ინგოროყვა, 1962: ი. ჭავჭავაძე, თბილისი
2. ა. იოვიძე, - დოკუმენტური მასალები, "საისტორიო მოამბე" 1947: III ტ. თბილისი.
3. გაზ. "ივერია"-1876-1885 წ.
4. ნ., ტაბიძე, 1977: "ი. ჭავჭავაძის ივერია" თბილისი.
5. გ. შარაძე, 1981: "ი. ჭავჭავაძე", თბილისი.
6. ი. ჭავჭავაძე, 1987: თბზულებანი, სრული კრებული, ტ. I თბილისი.
7. გ. ჯიბლაძე, 1966: "ი. ჭავჭავაძე" თბილისი.

GRIGOLAVA CISIA

ILIA CHAVCHAVADZE "IVERIA"

(The first period)

The history of mankind knows the events when the depressed nation creates the people who are merciful from the heaven, who are the survivor for the native people, inspired them with the belief of won and take them with him for the better future.

Ilia Chavchavadze was the very person in the Georgian nation's history. We must be grateful for him to inflame the self-consciousness in Georgian souls.

One of the aim of his life was to think about his native country, to improve its present situation and to gain the further happiness. 'Our job is to live for Georgian people. Their improvement is our first and last wish' - said Ilia and with all his rich and multifarious work he devoted himself to carry out this sublime aim, to arouse and improve the self-consciousness, and he worked for national and social freedom, which was near it.

The most important task was to renaissance the Georgian national confidence.

During his activity Georgian people felt the national and social oppression. The king's Russia was violate the rights and jeeroutrage our country with different kinds of taxes, and taxation the peasants. Ilia, who was brought up on the ideas of advanced democrats began the unmerciful fight as bureaucratic party as well against the social falsity. He knew well that if was impossible to begin the war without the written media. Not having own establishment disturb him to maintain the fight against his enemies.

In 1876, 19th of June the Caucasus censorial committee petitioned for the vicegerent to the chef of self-government to let Ilia Chavchavadze to publish in Georgian language his scientific literary newspaper named the 'Iveria' from 1877, 1st of June. The first issue of the weekly newspaper 'Iveria' was typed on the 3rd of March and it was published as a newspaper till the 30th of November. There were published only thirty one issues. From 1879 the 'Iveria' was replaced as a daily magazine. In 1879, the 27th of November the cooperated editorial office was created, called 'Droeba –Iveria'. (I. Chavchavadze, S. Meskhi) and he invited I. Machabeli as a co-editor in 1882. And from 1883, Ilia Chavchavadze was charge of the magazine.

The editorial office of the newspaper was situated at different places. In 1885 some issues of the magazine was published in Sololaki, in Bemutovi street.

During the first period of the 'Iveria' (1877 - 1885) N. Davitashvili (Kananovi), G. Kipshidze ('Goderia'), I. Bakhtadze ('Khoneli'), help to Ilia in editorial business. Gigol Orbeliani, D. Bakradze, D. Kipiani, A. Tsereteli, R. Eristavi, I. Gogebashvili, I. Meunargia, Al. Kipshidze, Ts. Gabashvili, Rostomashvili and others were cooperators in the 'Iveria'. AL. Kazbegi and Vazha Pshavela were also in the 'Iveria'.

The first period of the 'Iveria' is also the magnificent stage in I. Chavchavadze's amateur art activities. In 1878 he finished his historical poem 'The King Demetre Tavdadebuli', which he dedicated to his adolescent friend P. Nakashidze.

The twelve chapters of the poem was typed in the weekly newspaper 'Iveria' in the first issue of 1878. The story 'Sakhrchobelazed' was published in the 'Iveria' in the second issue of 1879. The poem 'Gandegili' is belonged to the same period. It was created in 1882 - 1883 and published in 1883 in the second issue of the 'Iveria'. In 1877 – 1885 Ilia mainly worked on publicistic works. The most important works of this period is 'The Annals of social life', 'Domestic monthly reviews', where were published in the 'Iveria' from 1879 till 1885. Overall the thirty domestic reviews.

When it begin so called 'Mukhajiropa', he was against the government with his accusatory letters. Ilia had to maintain the great fights to protect the Georgian language at school. Ianovski was signed as a chef of the district and he intended to expel the Georgian language from schools. He fought against Ianovski in his 'Domestic Reviews' in March, 1881 and he uncovered the mask of ugliness to it on the paper of the newspaper. Ilia published the satirical letters 'Laugh or Cry' in the 'Iveria'. It was about the seminary which was opened in Gori, where the Georgian language was out of use.

There are a plenty of interesting correspondences from different parts of Georgia. The letters reflect the real pictures of these times in our country. There were injustice and license in Georgia. There was mainly bureucratism, the honest workers were in unbearable conditions and S. Bavareli (Aslanishvili), Bedkrulidze, I. Takaishvili, I. Chkonia, A. Megrelishvili, K. Sananeli and others published the interesting thing about Georgia.




The letter of S. Bavareli from Imereti is very interesting which describes the existence of poor peasants. It's noticeable that the correspondences of the average layer about the getting puffed up of traders Bedkrulidze did not mercy the police of Kutaisi, where thieves and thugs were acting freely. The correspondents about the streets of Kutaisi are very interesting. To tell about murdering in the streets, the hardship of the population in rainy weather is horrible for poor people, but rich people were riding he carriages. He wrote: 'Oh, God, everything what you created is for poor people but what can we do?! Anything you say.... Who is a reader.'

K. Sananeli published the interesting materials about population of Svaneti. This material were published separately about education. I Chkonia wrote about teaching of Georgian language at schools.

The activity of I. Chavchavadze as a leader of the national-liberation movement was not left unnoticeable for the Russian police.

In 1885, the magazine 'Iveria' was closed and Ilia was forced to change this magazine into a daily newspaper. Here is finished the first period of the 'Iveria's' existence.

I tried in my work to show the public activity of I. Chavchavadze and his establishment of the magazine 'Iveria'. It is clear how difficult was to establish the progressive newspaper at that time and vindicate it.



1. ილიასეული ქალაქის ასაკინძი “ივერიის” რედაქციაში
2. “ივერიის” რედაქციის ბეჭედი

თეა ბოლქვაძე

(ვოლონტერი)

კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეთა ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთები

1865 წლის თებერვალში ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეებმა არალეგალური ხელნაწერი ჟურნალი „მსაჯული“ გამოსცეს. ეს იყო პირველი ქართული ორგანო ქუთაისში. აქედან მოყოლებული ქუთაისელ ახალგაზრდობას ყოველთვის ჰქონდა ხელნაწერი თუ ნაბეჭდი ჟურნალი ან გაზეთი, რომელიც წარმოადგენდა ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ ფორმას. ეს არის პერიოდი ერის გონებრივი მოძრაობის ახლებურად წარმართვისა, რომელმაც იქონია სასურველი გავლენა მოზარდ თაობაზე ანუ მოსწავლე ახალგაზრდობაზე. მოსწავლე ახალგაზრდობა დიდის სიამოვნებით მიეგება ამ შდემთხვევას და მწყურვალედ დაენაფა მშობლიურ სწავლა-მოძღვრებას. ამ ყოველივეს უკვალოდ არ ჩაუვლია, ალაპარაკა მოზარდი თაობა თავის ნაციონალურ ჩღირსებაზე და გაუღვიძა მას ენის საფუძვლიანად შესწავლის და სამშობლოს კეთილდღეობისათვის შრომისა და მეცადინეობის სურვილი. მათ შეიგნეს, რომ დიდი ხნით ისინი სრულიად მოკლებულნი, დაშორებული იყვნენ მშობლიურ ნიადაგზე აღზრდა – განვითარებას და დაებადათ ენის საფუძვლიანად შესწავლის სურვილი. სწორედ ამ მოზარდმა თაობამ განიზრახა ქართულ ენაზე ხელნაწერი ჟურნალის დაარსება, რომელთა ფურცლებზე ერისათვის საჭირობო საკითხები იყო წარმოდგენილი. ასე შეიქმნა ახალგაზრდული პრესა ქუთაისში და მას საინტერესო ისტორია აქვს, რაც ჯერჯერობით სათანადოდ არაა შესწავლილი.

ირკვევა, რომ ჟურნალ-გაზეთების გამოცემის საქმეში განსაკუთრებით აქტიურობდნენ კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეები. ხშირად გიმნაზიაში ერთდროულად რამდენიმე გაზეთი ან ჟურნალი გამოდიოდა. ახალგაზრდებს შორის გამართული იყო საქმიანი და სერიოზული პოლემიკა, რაც ხელს უწყობდა მათ ინტელექტუალურ განვითარებას [პ.ვაჭრიძე 1995: რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, ქუთაისი, გვ. 7.]

ჟურნალ-გაზეთების იმ ნაწილს, რომელიც არალეგალურად გამოდიოდა ცენზორის კალამი არ შეხებია, ამიტომ ის განსაკუთრებით საინტერესოა როგორც ცენზურა გაუვლელი პრესის ნიმუში. ახალგაზრდები თავიანთ ჟურნალ-გაზეთებში ხშირად წერდნენ ისეთ პრობლემებზე, რომლებიც ქართული საზოგადოების პროგრესულ ნაწილს ანუხებდა, მაგრამ მათ შესახებ სასტიკი ცენზურის გამო აშკარად და ხმამაღლა ვერ ლაპარაკობდა. გარდა ამისა ბევრმა შემდეგში გამოჩენილმა მწერალმა, პოეტმა საზოგადო თუ პოლიტიკურმა მოღვაწემ პირველად თავისი კალამი ამ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე სცადა. ამის გამო მათი შესწავლა საყურადღებო მასალებს იძლევა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალგაზრდობის მონაწილეობის შესახებ. [ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახ. სტ.-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები, კრებული, IV, გვ. 24-25]

ახალგაზრდების მიერ სხვადასხვა დროს გამოცემული ჟურნალ-გაზეთები დაცულია საქართველოს ცენტრალურ არქივში, ლიტერატურულ და სახალხო განათლების მუზეუმებში. ოქსფორდის უნივერსიტეტთან არსებული ბიბლიოთეკის მ. უორდროპის ფონდში, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის არქივში (სანკ-პეტერბურგის განყოფილება, ნ. მარის კაბინეტი), ასევე ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ მუზეუმში. მაგრამ ეს ახალგაზრდული პრესის მხოლოდ ერთი ნაწილია. ასევე ხელნაწერ ჟურნალ-გაზეთების შესახებ ზოგიერთ ცნობას ვხვდებით ცალკეულ წიგნებსა თუ საარქივო მასალებში, მაგრამ ცალკე უნდა აღინიშნოს პეტრე ვაჭრიძის და შოთა გაგოშიძის მიერ ჩატარებული კვლევები მოსწავლეთა ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთების აღმოჩენასა და მათ გამოკვლევაში.

ახალგაზრდული პრესის ისტორია, როგორც ირკვევა ქუთაისში იწყება ჟურნალით-„მსაჯული“ რომელსაც 1865 წელს არალეგალურად ცემდნენ კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეები. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მონაფეთა ხელნაწერ ჟურნალში-„კებული მონაფეთების შრომების“ მოთავსებული საკმაოდ ვრცელი სტატია, რომელიც გიმნაზიაში ჟურნალ-გაზეთების გამოცემათა ისტორიას ეხება. უფროს კლასელებს ლევან თუმანიშვილს და სევერიან ჭოლოშვილს შეუგროვებიათ ცნობები იმ ჟურნალ-გაზეთების შესახებ, რომლებიც გიმნაზიაში გა-

მოდიოდა, მოუძევიათ და შეუკრებიან სხვადასხვა პერიოდის ხელნაწერ გამოცემათა ცალკეული ნომრები, შეუსწავლიათ ისინი და თავიანთი შეხედულებანი ჩამოუყალიბებიათ სტატიაში „ჟურნალობია გიმნაზიაში, მისი წარსული და აწყობა მდგომარეობა“ [ქუთაისის ისტორიული მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი, №15.] ეს სტატია ჟურნალ-გაზეთების გამოცემის სრულ სურათს ვერ იძლევა. მასში დასახელებული და გარჩეული არ არის XIX ს-ის 80-იან წლებში გამომავალი ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთები. მაგრამ მათ რაც ხელთ ჰქონდათ, მათაც არ მოუღწევია ჩვენამდე, ამიტომ თუმანიშვილის და ჭოლოშვილის განუვლ შრომას დიდი მნიშვნელობა აქვს.

მსაჯულის არც ერთი ნომერი ჯერ-ჯერობით მიკვლეული არაა. ლ. თუმანიშვილი და ს. ჭოლოშვილს, როდესაც ისინი გიმნაზიაში ჟურნალ-გაზეთების გამოცემის ისტორიაზე მუშაობდნენ ხელთ ჰქონდათ მსაჯულის მხოლოდ ერთი-მეოთხე ნომერი, რომელიც თვრამეტი გვერდისაგან შედგებოდა, მოთავსებული იყო ოთხი ლექსი, ოთხი წერილი და ერთი ლექსად დაწერილი კომედია. მისი რექტორი იყო ე. ბებურიშვილი. მისი თანამშრომლები და მკითხველებიც პანსიონის მოსწავლეები იყვნენ. [ქუთაისის ისტორიული მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი, № 15]

ლ. თუმანიშვილს და ს. ჭოლოშვილს ცნობით გიმნაზიაში ამ დროს ფეხი დაედგა უზნეობას, ხოლო უკეთეს ნაწილს გიმნაზიელებისა გადაუწყვეტიათ თავისთავზე აელოთ უზნებრივი სიფაქიზის ქადაგება და „მსაჯული“-სთვის სწორედ ამგვარი დანიშნულება უნდოდათ მიეცათ. თუ რამდენად ასრულებდა „მსაჯული“ თავის ამგვარ დანიშნულებას, ჩვენ არ ვიცით. მაგრამ როგორც ზემოთ აღნიშნული ავტორებისაგან ვიგებთ „მსაჯულის“ ყოველი წერილი, ყოველი ლექსი გამსჭვალული ყოფილა მგზნებარე პატრიოტული სულისკვეთებით. ჟურნალის თანამშრომელი ქართველისათვის ქართული ტანისამოსის ტარებას სავალდებულოდ თვლიდა. ასევე გამოდიოდნენ ქართული ენისა და ქართული ტრადიციების დაცვის მოწოდებით და ამით ცდილობდნენ თავიანთი წვლილი შეეტანათ ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის საქმეში.

მოსწავლეებს ჟურნალისათვის ასეთი ეპიგრაფი აურჩევიათ-„მცირესა ზედა კმაყოფილ იქმენ, რათა უმაღლესად დაგადგინოს უფალმა ღმერთმა შენ“. [ქ. ი. მ. ხელნაწერთა ფონდი, № 15.] ამით ხაზს უსვამდნენ რომ ხელნაწერ ჟურნალში თანამშრომლობა მხოლოდ პირველი ნაბიჯი იყო ფართო ასპარეზზე გამოსვლისათვის.

ლ. თუმანიშვილის და ს. ჭოლოშვილის აზრით „მსაჯული“ ჟურნალ „ცისკრის“ ძლიერი გავლენის ქვეშ იყო, ამას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ „ცისკრის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი და აქტიური თანამშრომელი ივანე კერესელიძე ქუთაისის გიმნაზიის მოსწავლეებს ჟურნალს უსასყიდლოდ უგზავნიდა. „ცისკრის“ ნაბაძულობით „მსაჯულის“ ერთ-ერთი თანამშრომელი „მოლაყბის“ ფსევდონიმითაც წერდა, მაგრამ უნდა აღინიშნოს რომ ამ პერიოდში ქართველი თერგდალეულები სათავეში ჩაუდგნენ ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას და მალე ასწიეს სალიტერატურო ენისათვის ბრძოლის დროშა. „მსაჯული“-სათვის კი თუ „კრებული მოსწავლეთა შრომებში“ მოტანილ ციტატებს დავეყრდნობით თერგდალეულთა ჟურნალის „საქართველოს მოამბის“ (რომელიც უკვე ამ დროს დახურული იყო) მისი ეროვნულ-გამათავისუფლებელი იდეები უფრო მახლობელი იყო, „ცისკრის“ პროგრამა.

ქუთაისის გიმნაზიაში გამოსულმა ხელნაწერმა ჟურნალმა საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. როგორც ლ. თუმანიშვილი და ს. ჭოლოშვილი აღნიშნავენ სწორედ ეს ხდება ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ჟურნალის შეწყვეტისა. რადგანაც მონაფეთა ხელნაწერ ჟურნალის თაობაზე წერილებს საზოგადო ჟურნალებში გზავნიდნენ დასაბეჭდად. [ქ. ი. მ. ხელნაწერთა ფონდი, №15.] 1865 წლის მაისში „ცისკარში“ დაიბეჭდა მიხეილ თუმანიშვილის წერილი, რომელშიც გაბედულად იყო დაყენებული სკოლებში ქართული ენის გაუმჯობესების საკითხი და დაგმობილია გიმნაზიაში არსებული სწავლა აღზრდის სისტემა. ხოლო რადგანაც „მსაჯული“ გიმნაზიის რედაქციისაგან ფარულად გამოდიოდა, მ. ბეთანიშვილის წერილის გამოქვეყნების შემდეგ ცნობილი გახდა და ჟურნალის გამოცემა შეწყვეტილი იქნა. „მსაჯულის“ აკრძალვის შემდეგ გიმნაზიის მოსწავლეებმა მ. ბეთანიშვილის ხელმძღვანელობით ჟურნალ „თაიგულის“ გამოცემა დაიწყეს. ლ. თუმანიშვილის და ს. ჭოლოშვილის ცნობით, ჟურნალმა ერთი წელი იარსება და 12 ნომერი გამოვიდა, „თაიგულსაც“

იგივე ბედი ხვდა წილად რაც „მსაჯულს“. თვით ჟურნალის რედაქტორი მ. ბეთანიშვილი გიმნაზიიდან სამუდამოდ დაითხოვეს.[ქ.ი.მ. ხელნაწერთა ფონდი, №15]

XIX სა-ის 80-90-იან წლებში კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეებმა რამდენიმე საკმაოდ სოლიდური ხელნაწერი ჟურნალი და გაზეთი ჰქონდა. „თაიგულის“ აკრძალვის შემდეგ ჩვენთვის ცნობილი პირველი გიმნაზიელთა ხელნაწერი გაზეთი „ია“, რომლის პირველი ნომერი გამოვიდა 1880 წლის 4 თებერვალს. სახალხო განათლების მუზეუმშია მისი 10 ნომერი დაცული. ხოლო 1880 წლის 2 მარტიდან „იას“ ერთ-ერთმა თანამშრომელმა, სილოვან ხუნდაძემ თავისი გაზეთის გამოცემა დაიწყო „სამშობლოს“ სახელწოდებით. რომლის პირველი ნომერი ქუთაისის ისტორიულ მუზეუმშია დაცული [შ. გაგომიძე, თავისუფალი სიტყვის ნაპერწკლები, თბილისი 1978 წელი, გვ. 107].

„სამშობლოს“ პროგრამა იყო ახალგაზრდებისათვის ჩაენერგა მშობლიური ენისა და ლიტერატურის სიყვარული. მის პირველ ნომერში რედაქტორი ლაპარაკობს ჟურნალ-გაზეთების მნიშვნელობაზე და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მათი ძირითადი მოვალეობაა მშობლიური ენის შესწავლას პროპაგანდა. ჟურნალში მოთავსებული მასალების ძირითადი თემატიკაა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან დაკავშირებული პრობლემები. [ქ.ი.მ. ხელნაწერთა ფონდი, №42.]

სილოვან ხუნდაძის ჟურნალის გამოცემა მალე შეწყდა, რომელიც აგრძელებდა იმ ტრადიციას რასაც საფუძველი ჩაუყარა ჟურნალმა „მსაჯულმა“. „სამშობლოს“ მეორე, მესამე და მეოთხე ნომრები დაცულია სახალხო განათლების მუზეუმში.[შ.გაგომიძე, თავისუფალი სიტყვის ნაპერწკლები, თბილისი 1978 წელი, გვ. 104].

XIX სა-ის 80-იან წლებში კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეთა მიერ გამოიცემოდა შემდეგი ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთები: „ისტორიისა და ლიტერატურის საკლასო ჟურნალი“, „ბედი“, „ციცი-ნეთელა“, „ვარ გზა მე“, „კოლო“, „ჩვენი კალამი“, „დროშა“, „შექცევა“, „სტვირი“, „გიმნაზიის აღმანახი“, „სალამური“, „კუკური“, „ცუცრუკ“, „განთიადი“, „ცისარტყელა“, „მოზარდი“, „ბიჭებო არიარაღე“, „არიარაღე“. ასევე რუსული ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთები: „სვეტ“, „ნეო-პიტნოე პერო“, „ზვეზდა“ და რუსულ-ქართული ხელნაწერი ჟურნალი „ცისარტყელა“.[პ.ვაჭრიძე, დასახ.ნაშრომი, 1995 წელი, ქუთაისი, გვ. 105-107].

XIX სა-ის 90-იანი წლებიც გამოირჩეოდა გიმნაზიელთა მიერ ჟურნალ-გაზეთების გამოცემით, ეს კარგად ჩანს ლ. თუმანიშვილის და ს. ჭოლოშვილის მიერ გაკეთებულ სქემაზეც, რომელიც წარმოდგენილია „კრებული მოსწავლეთა შრომების“ მესამე ნაწილში. 1891-94 წწ. მოწაფეებმა ხელნაწერი ჟურნალი „გაიღვიძე“ გამოსცეს, რომლის შესახებ ცნობას ვღებულობთ ხელნაწერი ჟურნალიდან „კრებული მოსწავლეთა შრომებისა“.[ქ.ი.მ. ხელნაწერთა ფონდი, №15].

„გაიღვიძეს“ შემდეგ 1894-1895 წწ. კლასიკური გიმნაზიის მოწაფეთა არალეგალური ჟურნალი „ოპოზიცია“ გამოდიოდა. რომლის 1894 წლის მეოთხე ნომერი დაცულია ოქსფორდის უნივერსიტეტთან არსებულ ბიბლიოთეკაში, მარჯორი უორდროპის ფონდში, მისი ფოტოკოპირები ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში. როდესაც მარჯორი 1984 წელს თავის ძმასთან ერთად იყო ჩამოსული საქართველოში, კერძოდ ქუთაისში, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია მოსწავლეებში, რომელთაც იცოდნენ, რომ მარჯორი დაულალავ შრომას ეწეოდა, რათა ჩვენი ქვეყნის ისტორია ინგლისელი ხალხისთვის გაეცნო. ახალგაზრდებმა გადაწყვიტეს „ოპოზიციის“ მეოთხე ნომერი გადაეწერათ და ინგლისელი სტუმრებისათვის საჩუქრად გადაეცათ. მარჯორიმ სიამოვნებით მიიღო ეს საჩუქარი და ინახავდა თავის ბიბლიოთეკაში, სწორედ მისი ფოტო ასლებია ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცული. [პ. ვაჭრიძე, დასახ. ნაშრომი, 1995 წელი, ქუთაისი, გვ. 50-51]. მოსწავლეებს ჟურნალისათვის სამახსოვრო წარწერაც გაუკეთებიათ „პატივისცემით ინგლისელ და-ძმას გიმნაზიელთაგან“. ასევე შოთა რუსთაველის სიტყვები და ქართული ანბანი, რომელიც ამავე გვერდზეა მოთავსებული.

ზემოთ დასახელებული ჟურნალ-გაზეთების მსგავსად „ოპოზიციამ“ უფრო მკაფიოდ და გაბედულად დააყენა საკითხი არამარტო ქართული ენის შესწავლის აუცილებლობაზე, არამედ მშობლიური ენის მნიშვნელობაზე საერთო ერის ცხოვრებაში. ხოლო 1895 წლიდან „ოპოზიცია“ „სხვის“ სახელწოდებით გამოდიოდა.

1899 წლის იანვრის ბოლოს გამოვიდა ახალი ჟურნალი „კრებული მოსწავლეთა შრომებისა“. რომლის მესამე და მეორე ნომრები დაცულია ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში. „კრებული“, რომ-

ლის ხელმძღვანელები იყვნენ ლ. თუმანიშვილი და ს. ჭოლოშვილი, მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა გიმნაზიაში არსებული სხვა ჟურნალებისაგან, როგორც მოცულობით ასევე შინაარსის მხრივ. ის ხუთი განყოფილებისაგან შედგებოდა: ბელეტრისტიკა, მეცნიერება, პუბლიცისტიკა, კრიტიკა და ისტორია. „კრებულის“ გამოცემა 1900 წელს შეწყდა. ეს აიხსნება იმით, რომ მას ხელმძღვანელობდნენ გიმნაზიის უკანასკნელი კლასის მოსწავლეები.[ქ.ი.მ. ხელნაწერთა ფონდი, №15].

კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეთა ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთების შესწავლა გვიჩვენებს, რომ ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მათ ძირითადი პროგრამა და მიმართულება იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, მშობლიური ქვეყნის ისტორია და ლიტერატურა. ქართული ენისა და კულტურის დაცვა ცარიზმის უხეში შემოტევებისაგან.

„მსაჯულიდან“ მოყოლებული, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების აუცილებლობისა და სკოლებში ქართული ენის სწავლების გაუმჯობესების საკითხი არ ჩამოსულა გიმნაზიელთა ჟურნალ-გაზეთების ფურცლებიდან. ეს იყო მათი მთავარი თემა და საზრუნავი. ასე რომ ამჟამად ამ ხელნაწერ ჟურნალ-გაზეთებს დიდი რეზონანსი ჰქონდათ, მიუხედავად იმისა, რომ მათი გამომცემლები მოსწავლეები იყვნენ.

ლიტერატურა:

1. ქ.ი.მ. ხელნაწერთა ფონდი №15
2. ქ.ი.მ. ხელნაწერთა ფონდი №42
3. ქ.ი.მ. ხელნაწერთა ფონდი №102
4. პ. ვაჭრიძე 1995: „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების“. ქუთაისი
5. კრებული IV, მუზეუმის შრომები.
6. შ. გაგომიძე, 1978: „თავისუფალი სიტყვის ნაპერწკლები“, თბილისი

BOLQVADZE TEA
(VOLUNTEER)

MANUSCRIPT MAGAZINES OF KUTAISI CLASSICAL GYMNASIUM STUDENTS

After the February 1865 the students of Kutaisi classical Gymnasium (the first public school) published the first illegal manuscript magazine "msajuli" (Judge) which helped created the first youthful press, with an interesting history. But it has not yet been studied. The "msajuli" was the guns of the battle against the Tsarist. This was the period when young people understand that they were long deprived of the native holly and had a desire to learn native language. Just this generation decided to create the hand-made magazine into Georgian language. It is known that most active were Kutaisi classical gymnasium students. It was often organized discussion between the students. ☒

This has been a positive influence in their intellectual development. These illegal published magazines were censored out. Therefore it is an obscene example of the press. They were writing about their problems, which was part of Georgian society. But because of censorship on these issues can not speak loudly. In addition, many public figures, politicians and well-known poet or writer for the first time trained their pen on the page of this magazine. Youth Press Stories begins in Kutaisi, from magazine "msajuli". Journal illegally printed in 1865 by Kutaisi classical gymnasium students. We are getting information about this magazine from the hand-made article of Kutaisi classical gymnasium the name of "the collection of student's article". This article speaks about the "msajuli" magazine history. In this article attract a lot of attention and it was a reason to stop journal publication. The magazine was published secretly for school administration, as well as it got known about this issue the magazine closed. After the magazine "msajuli" the students started to publish a new magazine "Taiguli"(Bouquet) This process was continued for one year and then the same fate could win. After "taiguli" the students have started publishing a new journal in 80-90 years of the 20th century. For this period magazines

ირინე ქუთათელაძე

მუზეუმის ღვანდომისილი მუზეუმის ღონდა ჯიქიას ცხოვრება და მოღვაწეობა

ღონდა ბორისის ასული ჯიქია დაიბადა 1928 წ. 18 მაისს ქ. ქუთაისში. მამა ბორის ეგნატეს ძე ჯიქია ფრუნზეს – სახელობის 63-ე მსროლელი ნითელდროშოვანი დივიზიის საინჟინრო სამსახურის უფროსი იყო. (ამავე დროს ლექციებს კითხულობდა თბილისის საინჟინრო ინსტიტუტში). დედა – ვერა ნიკიფორეს ასული გვანცელაძე-ჯიქია რუსულ ენას ასწავლიდა, მაგრამ დაოჯახების შემდეგ აღარ მუშაობდა.

ქალბატონი ღონდა ორი წლის იყო, როცა ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა თბილისში. მამის სამსახურთან დაკავშირებით ხშირად უხდებოდა მოგზაურობა და ცხოვრება საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში: რაჭაში, მცხეთაში, მანგლისში, ახალციხესა და ახალქალაქში. მამა, როგორც გზებისა და ხიდების მშენებელი სამხედრო ინჟინერ-მაიორი, ამ კუთხეებში უშუალოდ მონაწილეობდა და ხელმძღვანელობას უწევდა გზის მშენებლობის სამუშაოებს.

ქალბატონ ღონდას შემოვლილი აქვს საქართველო, თითქმის ყველა კუთხე, მრავალი ღირსშესანიშნავი ადგილი, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ბუნებით, მაგრამ გამორჩეულად უყვარს მანგლისი, როგორც თავად აღნიშნავს თავის წიგნში „მწვანე რვეული“, რომელსაც მისი ბავშვობისა და ახალგაზრდობის საუკეთესო მოგონებები უკავშირდება.

როდესაც თბილის-მანგლისის მშენებლობა დამთავრდა საცხოვრებლად თბილისში დაბრუნდა ოჯახი, სადაც 1936 წ. დაიბადა მისი ძმა დოდუკი (ჯემალი).

თბილისში ოჯახი ანჩისხატის ისტორიულ უბანში, ერეკლეს მოედანთან ახლოს, ტიპურ იტალიურ ეზოში ცხოვრებდა. ორსართულიან დიდ სახლში, რომელიც ი. ჭავჭავაძის თაოსნობით დაარსებული ოთხკლასიანი სასწავლებლისათვის იყო აგებული, მრავალი სხვადასხვა ეროვნების ოჯახი ცხოვრობდა. სახლის პირველ სართულზე რამდენიმე ოთახი საბავშვო ბაღს ეჭირა, სადაც სკოლაში შესვლამდე მიაბარეს. თბილისში პირველად სწავლა 21-ე საშუალო სკოლაში დაიწყო. [ჯიქია 2008 : 12]

მშობლები მის ყოველმხრივ განვითარებაზე ზრუნავდნენ. ცდილობდნენ მიეცათ მისთვის საჭირო ცოდნა-განათლება. მიაბარეს კონსერვატორიასთან არსებულ მუსიკალურ სკოლაში.

აი, ამ ბედნიერების ჟამს, უეცრად, ერთ ღამეში დაინგრა ქალბატონ ღონდა ჯიქიას ოჯახი, შეწყდა უდარდელი ბავშვობა, რომელიც ბედნიერად დაიწყო. 1937 წ. დააპატიმრეს და დახვრიტეს მამა, დედა კი, როგორც „სამშობლოს მოღალატის ოჯახის წევრი“ გადაასახლეს შორეულ ჩრდილოეთში, სადაც 9 წელიწადს იმყოფებოდა. მაშინ ქალბატონი ღონდა 9 წლის იყო, მისი ძმა კი მხოლოდ 11 თვის. იზრდებოდნენ ქუთაისში დედის მშობლების პოლინე და ნიკიფორე გვანცელაძეების დიდ ოჯახში. ბაბუა ნიკიფორე გვანცელაძე იმ დროს ქუთაისში რკინის ცნობილი ოსტატი იყო. ნიშანდობლივია, რომ მის მიერ გაჭედილი ეტლით შემოიარა აკაკი წერეთელმა რაჭა-ლეჩხუმი 1912 წელს. ამჟამად ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ექსპოზიციაში წარმოდგენილია ნიკიფორე გვანცელაძის და კოლია ჩოგოვაძის მიერ უკანასკნელად გაჭედილი ეტლი. [ჯიქია 2008 : 4,14]

ქუთაისში გადმოსვლის შემდეგ ღონდა ჯიქია მიიღეს ქუთაისის მე-13 საშუალო სკოლაში, რომელიც შემდეგ გადაკეთდა ქალთა მე-8 სკოლად.

ქალთა მე-8 სკოლის დირექტორი იგონებს: „ღონდა ჯიქია ჩემი სათაყვანებელი მოსწავლე იყო, ჭეშმარიტი ოქროს მედალოსანი, მაღალი ზნეობისა და ეთიკის გოგონა, ყველასაგან გამორჩეული დიდი ნაკითხობით, ერუდიციით... მასწავლებელზე მეტი შეეძლო ეთქვა გაკვეთილზე, თანაც მუსიკასავით ჩაგვესმოდა ყურში მისი თხრობა... მარტო ნიჭი რა სათქმელია! სათნოება, სიმშვიდე, გონებაამახვილობა, იუმორის გრძნობა – აი მისი ძვირფასი სამკაულები. სიბეჯითეზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია – არაერთხელ უსახელებია სკოლაში რესპუბლიკურ კონკურსებში. მის საკონკურსო თემას „გელათის ისტორია“ თბილისელმა სპეციალისტებმა მაღალი შეფასება მისცეს და იწინას-

ნარმეტყველეს მისი, როგორც ისტორიული მეცნიერების მომავალი სპეციალისტის კარიერა. სკოლის დამთავრების შემდეგ დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიკის ისტორიის ფაკულტეტი და 10 წელი იმუშავა ისტორიის მასწავლებლად მე-9 რუსულ საშუალო სკოლაში. აი მაშინ გახშირდა მისი სახელი როგორც დიდად მომზადებული სპეციალისტისა და სათნოებით აღსავსე პედაგოგისა. 1952 წელს რეპრესირებულთა ოჯახის წევრებისთვის შეზღუდვები ჯერ კიდევ არსებობდა. მე-9 რუსული სკოლის დირექტორმა ივანე წულეისკირმა კი პედაგოგის მისია მაინც დააკისრა. მისი მოსწავლეები იყვნენ ცნობილი მწერალი, დრამატურგი და რეჟისორი რეზო გაბრიაძე, ძველ ებრაულ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ გენიალური მთარგმნელი ბორის გაპონოვი და კიდევ უამრავი სახელოვანი ადამიანი. უცნაური მასწავლებელი იყო. სუსტ მოსწავლეებს ყოველგვარი საფასურის გარეშე დამატებით ამეცადინებდა, არც საბჭოთა რეჟიმში მოხშირებულ ჩვეულ გარიგებებზე მიდიოდა.

მერე რედაქციაში დაიწყო მუშაობა შტატგარეშე კორესპონდენტად დროებით.

1965 წლიდან მუშაობს აკად. ნ. ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში ჯერ უმცროს, ხოლო შემდეგ უფროს მეცნიერ-მუშაკად. 1969 წლიდან არქეოლოგიური განყოფილების გამგედ, ხოლო 1976 წლიდან დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში და არქეოლოგიური განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებლად.

მუზეუმის ყოფილი დირექტორი პროფ. მ. ნიკოლეიშვილი ასე ახასიათებდა ქალბატონ ლონდა ჯიქიას: „ლონდა ჯიქია არის სამუზეუმო საქმის კარგი სპეციალისტი, გულდასმით სწავლობს მუზეუმში დაცულ უძველეს ძეგლებს. მან სრულ წესრიგში მოიყვანა მუზეუმში არქეოლოგიის ფონდი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად განსაზღვრა მათი ადგილი სამუზეუმო მუშაობის დარგში. ლ. ჯიქიას პრაქტიკული საქმიანობა მუზეუმში სამეცნიერო მუშაობას გულისხმობს და იგი ამ საპასუხისმგებლო მოვალეობას კეთილსინდისიერად ასრულებს, ენერგიულად და საქმის ცოდნით ხელმძღვანელობს სამეცნიერო მუშაობას მუზეუმში.

ლ. ჯიქია არის მზარდი მეცნიერ-მუშაკი. სისტემატურად მონაწილეობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიურ ექსპედიციებში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ექსპედიციებში მისი მუშაობა აკად. ოთარ ლორთქიფანიძის სახელს უკავშირდება. მუშაობდა: ქუთაისის, ვანის, ვარდციხის, ნამაშევის ციხეზე, პატრიკეთის „გორიკაზე“, არქეოლოგიურ დაზვერვებში: ხომულის თეთრ მღვიმეში და „სანვეთელაში“, სადაც მონაწილეობდნენ პეტრე ჭაბუკიანი და მწერალი გ. დოჩანაშვილი, ყუმისთავში, საკაჟიაში, ორთვალა მღვიმეში, ჭახათაში, გეგუთში, პატრიკეთში, ტყაჩირში, ოფშკვითში, მალლაკის ნაციხვართავის „გორიკაზე“, მუზეუმის კომპლექსურ ექსპედიციებში წყალტუბოს რაიონის სოფლებში: ხომულში, ქვილიშორში.

გარკვეული წვლილი აქვს შეტანილი მუზეუმის კოლექციების გამდიდრების საქმეში. მათ შორისაა ჯერ კიდევ ბოლომდე შეუსწავლელი მინოტავრის გამოსახულებიანი ქვის ორი ქანდაკება, რომელიც ნაპოვნია ქუთაისში, რიონის მარცხენა ნაპირზე 1968 წელს ქალაქის ამ ნაწილის წინასწარი დაზვერვითი არქეოლოგიური შესწავლის დროს.

ქუთაისთან დაკავშირებულ არქეოლოგიურ მასალებს რესპუბლიკის გარეთაც დაეძებდა. აღმოაჩინა ოფშკვითის განძის ნაწილი მოსკოვის ისტორიული მუზეუმის ფონდებში, ძვ.წ. I ათასწლეულის კერამიკა „ნასაჯვარების“ გორიკიდან. თვით ქუთაისის მუზეუმის ფონდში მისი ყურადღება მიიპყრო გრიფონის ბრინჯაოს ქანდაკებამ, რომელიც გერმანელმა არქეოლოგმა პროფ. რობერტ ჰაიდენრაიხმა VI-VII ს.ს. დაათარილა და სასანური ეპოქის მნიშვნელოვან ძეგლად აღიარა. არქეოლოგი მ. ივაშჩენკო კი გრიფონის შესახებ წერდა, რომ იგი დაამშვენებდა მსოფლიოს ნებისმიერ პირველხარისხოვან მუზეუმს.

ქალბატონ ლონდას გამოქვეყნებული აქვს არაერთი ნიგნი და საგაზეთო სტატია.

1993 წ. „ქუთაისისა და მისი მიდამოების არქეოლოგიური ძეგლები“. ნიგნი წარმოადგენს გამოკვლევას ქუთაისისა და მისი მიდამოების არქეოლოგიური ძეგლების შესახებ. მასში თავმოყრილია და პირველად ქვეყნდება ამ რეგიონში დღეისათვის დაფიქსირებული ყველა არქეოლოგიური ძეგლი, რითაც თვალნათლივანა წარმოჩენილი ამ რეგიონის მატერიალური კულტურის უწყვეტი განვითარების დამაჯერებელი სურათი. [ჯიქია 1993 : 3]

2006 წ. კოლხური და უცხოური კულტურის ძეგლები „ქუთაისის ქვეყნიდან“. ნიგნი წარმოადგენს გამოკვლევას „ქუთაისის ქვეყნის“ (ქუთაისი და მისი მიდამოები) ძვ.წ. II ათასწლეულისა

და I ათასწლეულის შესახებ. მასში თავმოყრილია ამ რეგიონში დღეისათვის დაფიქსირებული არქეოლოგიური ძეგლები, რომლებიც მოპოვებულია არქეოლოგიური გათხრების თუ შემთხვევითი ნაპოვნების გზით. აღნიშნული მასალები ძირითადად დაცულია ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში. [ჯიქია 2006 : 4]

2008 წ. „მწვანე რვეული“, ნიგნში წარმოდგენილია ავტორის მიერ უპირატესად ახალგაზრდობის წლებში (საშუალო სკოლის ასაკიდან) შექმნილი მხატვრული ნაწარმოებები: ლექსები, ნოველები, ესკიზები, თარგმანები. ნიგნს დართული აქვს ავტობიოგრაფიული ხასიათის წინათქმა და ფოტოსურათები საოჯახო ალბომიდან. ნიგნი ეძღვნება დედ-მამისა და აღმზრდელების ნათელ ხსოვნას. [ჯიქია 2008 : 3]

2010 წ. „რას გვიამბობენ მუზეუმის ექსპონატები“, საუბარია მუზეუმში დაცულ სხვადასხვა პერიოდის მნიშვნელოვან არქეოლოგიურ ძეგლებზე.

დაჯილდოვებულია მრავალი სიგელით, ღირსების ორდენით, არის კულტურის დამსახურებული მუშაკი, საზოგადოება ქუთაისელის და რეპრესირებულთა საზოგადოება „მემორიალის“ წევრი.

ქალბატონი ლონდა ჯიქია ამჟამად მუშაობას განაგრძობს ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში მეცნიერ-კონსულტატად და ყოველთვის მზად არის მისთვის ჩვეული ყურადღებით ძველებურად მოემსახუროს ფონდში სამუშაოდ ჩამოსულ მეცნიერებს თუ მუზეუმის თანამშრომლებს. ან გარდაცვლილი ჟურნალისტი ლ. გურეშიძე თავის საგაზეთო სტატიას 2009 წელს წერდა: „ქალბატონო ლონდა, თქვენი პატიოსნება და მაღალი ზნეობა თქვენი ცხოვრების სავიზიტო ბარათია არამარტო თქვენი მეგობრების, არამედ მკითხველთა ფართო წრისათვის, ამისათვის გმადლობთ, გვიამბობით, მიყვარხართ“. მეც ამ სიტყვებით მინდა დავამთავრო ეს ჩემი მცირე მონათხრობი.

ლიტერატურა:

1. ჯიქია ლ., 2006; კოლხური და უცხოური კულტურის ძეგლები „ქუთაისის ქვეყნიდან“, ქუთ.
2. ჯიქია ლ., 2008; მწვანე რვეული, ქუთ.
3. ჯიქია ლ., 2010; რას გვიამბობენ მუზეუმის ექსპონატები, ქუთ.
4. ჯიქია ლ., 1993; ქუთაისისა და მისი მიდამოების არქეოლოგიური ძეგლები, ქუთ.

ლ. ბითაძე, ე. ყვავაძე, ო. ლანჩავა, რ. ისაკაძე, შ. ლალიაშვილი, ნ. ვაჩეიშვილი, პ. გაფრინდაშვილი, მ. დობროვოლსკაია
ბაგრატის ტაძარში აღმოჩენილი „მდიდარი ქალბატონის“ სამარხის კომპლექსური კვლევის წინასწარი შედეგები

L. Bitadze, E. Kvavadze, O. Lanchava, R. Isakadze, Sh. Laliashvili, N.Vacheishvili, P. Gaprindashvili, M. Dobrovolskaya
RELIMINARY RESULTS OF COMPLEX INVESTIGATION OF “RICH LADY” BURIAL FOUND IN BAGRATI TEMPLE




სურ. 2



სურ. 5




სურ. 3



სურ. 6




სურ. 4




სურ. 7

ომარ ლანჩავა, ნონა ქარციძე მოჭიქული კერამიკა ქუთაისიდან ფრინველის გამოსახულებით
Omar Lanchava, Nona Kartsidze BIRDS FACED GLAZED DISHES FROM KUTAISI



სურ. 1




სურ. 1ა



სურ. 2



სურ. 3




სურ. 4



სურ. 5



სურ. 6



სურ. 6ა



სურ. 7



სურ. 7ა




სურ. 8



სურ. 9



სურ. 10



სურ. 11



სურ. 12

დავით ბერძენიშვილი ბრინჯაოს ყუამილიანი ცულაბი ქუთაისის მუზეუმიდან
David Berdzenishvili TUBULAR BRONZE AXES FROM KUTAISI MUSEUM




სურ. 1



სურ. 2

ქეთევან უგლავა სარკე და სავარცხელი _ სილამაზის საწყისებთან
Kate Uglava THE MIRROR AND THE COMB _ AT THE BEGINNING OF THE BEAUTY



შალვა ბუაძე ანტიკური ხანის სამარხები ქუთაისიდან
Shalva Buadze THE ANTIQUE SEPULCHERS FROM KUTAISI



სურ. 1



სურ. 2



სურ. 3



სურ. 4



სურ. 5



სურ. 6



სურ. 7



სურ. 8



სურ. 9



სურ. 10

დათო სულაბერიძე ქართული ოქრომჭადლოვის კლასიკური ეპოქის ნიმუშები ქუთაისის მუზეუმში
Dato Sulaberidze GEORGIAN GOLDSMITH MODELS OF CLASSICAL EPOCH FROM KUTAISI MUSEUM



ღვთის მთავარანგელოზთა ხატი



შოდის წმინდა გიორგი



შოდის წმინდა გიორგი

ნელი უგრეხელიძე ილდეგაზიდური მონეტები ქუთაისის მუზეუმში
Neli Ugrehelidze ILDEGEZIDE COINS IN KUTAISI MUSEUM



თინათინ ლეთოდანი კაშის თოფი-(მუზეუმში დაცული მასალების მიხედვით)
Tinatin Letodiani FLINTLOCK (ACCORDING TO THE MATERIALS PRESERVED AT THE MUSEUM)



სურ. 1



სურ. 2



სურ. 3

ნინო სარავა, თამარ ჯიხვაშვილი **წარწერილი ტრიპტიქი ქელიშის უდაბნოს ეკლესიიდან**
Nino Sarava, Tamar Jikhvashvili **PAINTED TRIPTYCH FROM CHELISHI UDABNO CHURCH**



სურ. 1. ქელიშის უდაბნო, 2004 წ.



სურ. 2. ფერწერული ტრიპტიქი



სურ. 3. ნიკოლას რიგოსი, ტრიპტიქი XVII ს. კრეტა



სურ. 4. კარედი, ლაზარეს აღდგინება



სურ. 5. აღდგომა, ლოცვანი, XVII-XVIII სს.



სურ. 6. აღდგომა, ლოცვანი



სურ. 7. საგალობელი, 1687წ. დეტალი



სურ. 8. კარედი, დამწვრობა

ანა დოღონაძე ქსოვილების ფონდში დაცული ქართული ქალის თავსაბურავების ნიმუშები
Ana Dogonadze SAMPLES OF WOMEN'S HEADWEAR PRESERVED IN THE TEXTILE FUND OF THE MUSEUM



სურ. 1




სურ. 2



სურ. 3




სურ. 4



სურ. 5

ელისო ჩუბინიძე ნაქარგობა _ უძველესი ტრადიცია
ქართულ ხელოვნებაში
Eliso Chubinidze EMBROIDERY- AN ANCIENT
TRADITION IN GEORGIAN ART

ნოდარ აბჯანდაძე ქორეთის ეკლესიის კარი
Nodar Abjandadze KORETI CHURCH'S DOOR



სურ. 4. ქსოვილების ფონდში დაცული საერო და სასულიერო
ნაქარგობათა ნიმუშები

შინაარსი
CONTENTS

ისტორია
History

ციცინო მუმლაძე
ტრიფონ ჯაფარიძე – მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე 4

Tsitsino Mumladze
TRIPHON JAPHARIDZE - SCIENTIST AND PUBLIC FIGURE 10

ეკატერინე ყელაურაძე
ტრიფონ ჯაფარიძე ქუთაისის მუზეუმის არქივებში 11

Ekaterine Kelauradze
TRIPHON JAPARIDZE IN THE ARGHIVES OF KUTAISI MUSEUM 17

ნინო კუხიანიძე
ტრიფონ ჯაფარიძე და ანტირელიგიური ბრძოლა 19

Nino Kukhianidze
TRIPON JAPARIDZE AND ANTIRELIGIOUS FIGHT 25

მარიამ გაფრინდაშვილი
სოლომონ მეორის სიგელი 27

Mariam Gaprindashvili
DIPLOMA OF SOLOMON II 31

მაია ჩაკვეტაძე
„გალობანი, თქმულნი დავით მეფისანი“ 32

Maia Chakvetadze
“CHANTING, MENTIONED BY DAVID THE BUILDER” 37

ანთროპოლოგია, არქეოლოგია,

Antropology, Archaeology

ლ. ბითაძე, ე. ყვავაძე, ო. ლანჩავა, რ. ისაკაძე, შ. ლალიაშვილი,
ნ. ვაჩეიშვილი, პ. გაფრინდაშვილი, მ. დობროვოლსკაია
ზაბრატის ტაძარში აღმოჩენილი „მდიდარი ქალბატონის“ სამარხის
კომპლექსური კვლევის წინასწარი შედეგები 39

L. Bitadze, E. Kvavadze, O. Lanchava, R. Isakadze, Sh. Laliashvili,
N.Vacheishvili, P. Gaprindashvili, M. Dobrovolskaya
RELIMINARY RESULTS OF COMPLEX INVESTIGATION OF
“RICH LADY” BURIAL FOUND IN BAGRATI TEMPLE 51

ომარ ლანჩავა, ნონა ქარციძე
მოჭიმული კერამიკა ქუთაისიდან (ფრინველის გამოსახულებით) 53

Omar Lanchava, Nona Kartsidze
BIRDS FACED GLAZED DISHES FROM KUTAISI 58

ლონდა ჯიქია
ქუთაისის მუზეუმში დაცული პრინჯაოს ირანული ექსპონატები 59

Londa Jiqia
IRANIAN BRONZE EXHIBITS FROM KUTAISI MUSEUM 63

დავით ბერძენიშვილი
პრინჯაოს ყუბმილიანი ცულები ქუთაისის მუზეუმიდან 65

David Berdzenishvili
TUBULAR BRONZE AXES FROM KUTAISI MUSEUM 69

ქეთევან უგლავა სარკე და სავარცხელი – სილამაზის სანაწილებთან	71
Kate Uglava THE MIRROR AND THE COMB _AT THE BEGINNING OF THE BEAUTY	74
შალვა ბუაძე ანტიკური ხანის სავარცხელი ქუთაისიდან	76
Shalva Buadze THE ANTIQUE SEPULCHERS FROM KUTAISI	82
დავით დვალიშვილი რიონ-ყვირილას ხეობის ნეოლითი	85
David Dvalishvili NEOLITH FROM RIV. RION-KVIRILA'S VALLEY	91
მირანდა მარგველაშვილი დავით აღმაშენებელი და გელათი	94
Miramda Margvelashvili DAVID IVTH THE BUILDER AND GELATI CATHEDRAL	98

ხელოვნების ისტორია History of Art

დათო სულაბერიძე ქართული ოქრომჭედლოვის კლასიკური ეპოქის ნიმუშები ქუთაისის მუზეუმში	101
Dato Sulaberidze GEORGIAN GOLDSMITH MODELS OF CLASSICAL EPOCH FROM KUTAISI MUSEUM	106
ნინო სარავა, თამარ ჯიხვაშვილი ფერწერული ტრიკტიქი ჭელიშის უღაბნოს ეკლესიიდან	109
Nino Sarava, Tamar Jikhvashvili PAINTED TRIPTYCH FROM CHELISHI UDABNO CHURCH	111
მაია ქებულაძე ჯრუჭის მონასტრის არქიტექტურულ ნაგებობათა ისტორიისათვის	113
Maia KEBULADZE FOR THE HISTORY OF JRUTCHI CLOISTER ARCHITECTURE BUILDING	118
მზია ზარნაძე ქუთაისის ძველი ხიდები ღიმიტრი ერმაკოვის ფოტოარქივიდან	120
Mzia Zarnadze THE OLD BRIDGES OF KUTAISI FROM THE PHOTO-ARCHIVE OF DMITRI ERMAKOV	122

ნუმიზმატიკა Numismatic

ნელი უგრეხელიძე ილდეგიზიდური მონეტები ქუთაისის მუზეუმში	126
Neli Ugrekheldze ILDEGEZIDE COINS IN KUTAISI MUSEUM	128
ხატია კაცაძე ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული პართული მონეტები	130
Khatia Kacadze THE PARTIAN ICONS COVERED AT KUTAISI STATE HISTORIC MUSEUM	132
თამარ კვანტიძე ნუმიზმატიკური მასალა ქართულ-ირანული ურთიერთობის შესახებ VI-VII საუკუნეებში	134
Tamar Kvantidze NUMISMATIC MATERIAL ABOUT GEORGIAN-IRANIAN RELATIONSHIP IN VI-VII CENTURIES	137

ახალი ისტორია
New History

ლია გაბუნია, გურამ გაბუნია საღვთო სჯულის სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემები ქუთაისის სასწავლებლები (1918–1921 წლები)	139
Lia Gabunia, Guram Gabunia PROBLEMS CONNECTED WITH TEACHING ORTHODOXY OF KUTAISI'S SCHOOLS	152
კახაბერ ქებულაძე ქუთაისში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ისტორიიდან	154
Kakhaber Kebuladze FROM THE HISTORY OF ESTABLISHING SOVIET POWER IN KUTAISI	160
გიორგი მჭედლიძე ლუკა ასათიანი ქუთაისის ქალაქის თავი	162
Giorgi Mchedlidze LUKA ASATIANI THE HEAD OF THE CITY KUTAISI	166
მარიამ მარჯანიშვილი მესხის ქალები ქუთაისში	167
Mariam Marjanishvili MESKHIAN WOMEN IN KUTAISI	175

ეთნოლოგია
Ethnology

მაია საჩკოვი, რაულ ჩაგუნავა სამკურნალო მიზნებით ქვების გამოყენების ისტორიისათვის	177
Maya Sachkovi, Raul Chagunava CONCERNING THE HISTORY OF USING STONES FOR MEDICAL PURPOSES	179
თინათინ ლეთოდინი კაჟის თოფი-(მუზეუმში დაცული მასალების მიხედვით)	181
Tinatini Letodiani FLINTLOCK (ACCORDING TO THE MATERIALS PRESERVED AT THE MUSEUM)	184
მარგალიტა მსხილაძე ღებვის ხალხური წესები იმერეთში	186
Margalita Mskhiladze TRADITIONAL RULES OF DYEING IN IMERETI	188
ანა დოგონაძე ქსოვილების ფონდში დაცული ქართველი ქალის თავსაბურავების ნიმუშები	189
Ana Dogonadze SAMPLES OF WOMEN'S HEADWEAR PRESERVED IN THE TEXTILE FUND OF THE MUSEUM	191
ელისო ჩუბინიძე ნაქარგობა – უძველესი ტრადიცია ქართულ ხელოვნებაში	192
Eliso Chubinidze EMBROIDERY- AN ANCIENT TRADITION IN GEORGIAN ART	197
ნოდარ აბჯანდაძე ქორეთის ეკლესიის კარი	200
Nodar Abjandadze KORETI CHURCH'S DOOR	201
ნანა ეფაძე საზიარებელი ჭურჭლის ფეხსუბ-ბარძიმის განმარტებისათვის	204
Nana Efadze FOR THE DEFINITION OF COMMUNION UTENSILS _ PATON AND CHALICE	206

დავით შავიანიძე ატარული დიალექტური ლექსიკით გამოხატული სარითმობრივი მახასიათებლები	207
David Shavianidze COMMON GEORGIAN TRAITS EXPRESSED THROUGH ACHARIAN DIALECT WORDS	211
ვიკა ჩოგოვაძე პირველი ქართული კინომატოგრაფისტის ვასილ ამაშუკელის სახლი და მისი მნიშვნელობა იმერეთის საბინაო ხუროთმოძღვრებაში	213
Vika Chogovadze THE HOUSE OF THE FIRST GEORGIAN CINEMATOGRAPHER VASIL AMASHUKELI AND ITS ROLE IN IMERETI DWELLING ARCHITECTURE	215

ბიბლიოგრაფია Bibliography

ცისია გრიგოლავა ილია ჭავჭავაძის „ივერია“ (I პერიოდი)	218
Cisia Grigolava ILIA CHAVCHAVADZE'S "IVERIA" (THE FIRST PERIOD)	221
თეა ბოლქვაძე კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეთა ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთები	224
Tea Bolkvadze MANUSCRIPT MAGAZINES OF KUTAISI CLASSICAL GYMNASIUM STUDENTS	227
ირინე ქუთათელაძე მუზეუმის ღვანდომოსილი მუზეუმის ლონდა ვიძიას ცხოვრება და მოღვაწეობა	230

გადაეცა წარმოებას 21.10.2011;
ხელმოწერილია დასაბეჭდად 30.10.2011;
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 30,5;
შეკვეთა № 517, ტირაჟი 150

ფასი სახელშეკრულებო

ქუთაისის შპს „ხომლი ენ“-ის სტამბა
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33